ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კლასიკური ფილოლოგია და სიძველეთმცოდნეობა

მაია დანელია

კავკასიური თემატიკა და კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟები ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკაში“

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი **რისმაგ გორდეზიანი**

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2011

სარჩევი

შესავალი————————————————————————————————4

I. ტრადიცია და ნოვატორობა——————————————————————12

1. ფლაკუსი და მისი წინამორბედები———————————————15

2. ფლაკუსი და აპოლონიოს როდოსელი——————————————23

3 ახალი კონცეფცია – იუპიტერის სამყაროს გეგმა ———————— 48

4. ეპიზოდთა განვრცობის ზოგიერთი ასპექტი——————————54

4.1 იასონის მშობლების სიკვდილი——————————————-54

4.2. ჰესიონეს განთავისუფლება———————————————-60

4.3. ჰერკულესის მიერ პრომეთეს განთავისუფლება————————-64

II. კავკასიასთან დაკავშირებული ეპიზოდების განვრცობა——————-69

1. სკვითებისა და კოლხების ომი———————————————94

2. ომის თემასთან დაკავშირებული ზოგიერთი პასაჟის ინტერპრეტაციისათვის ————————————————————105

2.1 გესანდერი და იაზიგების ადათი——————————————106

2.2. არიასმენუსის დანაწევრება————————————————112

2.3. სტირუსის სიკვდილი—————————————————115

3. კოლხების წარმომავლობა cunabula gentis Colchidos———————-117

4. კონფლიქტში მონაწილე ტომები ——————————————122

4.1. ჩრდ. შავიზღვისპირეთის ტომები ————————————-124

4.2. სხვადასხვა წარმომავლობის ჩრდილო და დას. შავიზღვისპირეთის ტომები ————————————————————————128

4.3. ჩრდ. კავკასიელი ტომები——————————————————-132

4.4. კასპიისპირეთის ტომები———————————————————-135

4.5. აღმოსავლური წარმომავლობის ტომები ————————————136

4.6. ფლაკუსის მიერ გამოგონილი ტომები——————————————139

III. კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების კლასიფიკაცია——————141

1. მითოლოგიურ ტრადიციაში ცნობილი პერსონაჟები——————————141

1.1. აქტიურად მოქმედი ფიგურები——————————————————142

1.2. ეპიზოდურად მოქმედი პერსონაჟები ——————————————162

1.3. ნაკლებად აქტიური ფიგურები——————————————-——166

2. ნაკლებად ცნობილი პერსონაჟები ————————————————167

3. მითოლოგიური ტრადიციისათვის უცნობი პერსონაჟები ———————173

3.1. სტატისტები ————————————————————————-181
3.2. ელემენტარულად ექსპონირებული პერსონაჟები——————————-184
3.3. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები————————————————194
IV. კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების სახელდების პრინციპები—————————————————————————198
1. ლემნოსელი პერსონაჟების სახელები——————————————-198
2. კიზიკიელი პერსონაჟების სახელები———————————————199
3. კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების სახელები———————-202
3.1. ე. წ. მეტყველი სახელები————————————————————-203
3.2. ანტიკურ ავტორებთან დადასტურებული სახელები—————————-207
3.3. ანტიკური სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებული ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები———————————213
3.4. თრაკიული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები——————————————————————-214
3.5. სკვითური და ჩრდ. შავიზღვისპირეთის ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები———————————-215
3.6. წინააზიური ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები——————————————————————-219
3.7. სპარსული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები——————————————————————-221
3.8. ეგვიპტური ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები——————————————————————-222
3.9. ინდური ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები——————————————————————-223
3.10. ფრიგიული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები———————————————————————223
3.11. პართული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები——————————————————————-223
3.12. კავკასიურ სამყაროსთან დაკავშირებული სახელები————————-224
დასკვნა ——————————————————————————————-230
გამოყენებული ლიტერატურა————————————————————-234
დანართი——————————————————————————————-244

შესავალი

ანტიკურ მითებსა და ლეგენდებს შორის თავისი პოპულარობით და მხატვრული დამუშავების ინტენსივობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია არგონავტების ციკლი. მრავალ ნაწარმოებს შორის, რომელიც ამ ციკლის ლიტერატურულ ინტერპრეტაციას ეძღვნება, ანტიკურობაში თავისი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკას“.[1] მართალია, ანტიკურ სამყაროში არ დასტურდება ამ პოემის დიდი პოპულარობა, მას მხოლოდ ერთგზის მოიხსენიებს კვინტილიანუსი[2] (დაახლ. ახ. წ. 95 წ.), მაგრამ პოემამ აშკარად თავისი კვალი დატოვა ევროპული ლიტერატურის ისტორიაში.

ვალერიუს ფლაკუსთან დაკავშირებული მრავალი საკითხი იწვევს დღეს დავას მეცნიერებაში. ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ იგი გარდაიცვალა ახ. წ. 96 წლამდე,[3] ეკუთვნოდა სენატორთა წოდებას და შედიოდა ქურუმთა კოლეგიაში quindecimvir sacris faciundis[4]. კოლეგიის სხვა დანარჩენ წევრებთან ერთად, რომლებიც აპოლონის მსახური ქურუმები იყვნენ, მას ევალებოდა სიბილანური წიგნების დაცვა და განმარტება; ასევე ამ წიგნებში აღნუსხული სხვადასხვა საკულტო რიტუალებზე და უცხოურ კულტებზე ზედამხედველობა. პოემაში შესაძლოა გამოვავლინოთ რამდენიმე ქრონოლოგიური ორიენტირი: იერუსალიმის აღება ახ. წ. 70 წელს ჯერ კიდევ ვესპასიანუსის დროს, ასევე აღსანიშნავია მინიშნება ვეზუვიუსის ამოფრქვევაზე, რაც 79 წ-ის 24 აგვისტოს მოხდა (Val. Flacc. 4. 507-9, შდრ. 3. 208-9).

პოემა, რომლის პროტოტიპი აშკარად აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ უნდა იყოს, მოიცავს რვა სიმღერას, თუმცა მერვე წიგნი ჩვენამდე მოღწეულია არასრული სახით. ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერები ორ თვალსაზრისს გამოთქვამენ: ან განგებ არ დაასრულა ფლაკუსმა პოემა ან ვერ მოასწრო მისი დასრულება.[5]

---

[1] M. von Albrecht, Geschichte der römischen Literatur, München 1994[2], 738-747; M. Fuhrmann, Geschichte der römischen Literatur, Stuttgart 1999, 308-310.

[2] კვინტილიანუსი აღნიშნავს: „ახლახან დიდი დანაკლისი განიცადეს ვალერიუს ფლაკუსის გარდაცვალების გამო“ (Quint. 10, 1, 90).

[3] ვინაიდან კვინტილიანუსი კესიუს ბასუსის (Caesius Bassus) გარდაცვალების შესახებაც ამბობს, რომ ეს „ახლახან მოხდა“, თუმცა იგი ახ. წ. 79 წ. გარდაიცვალა, მკვლევართა ვარაუდით, ნაკლებ დამაჯერებელია, რომ ფლაკუსის სიკვდილი 90-იან წლებს უკავშირდებოდეს.

[4] „თხუთმეტთა კოლეგიის წევრი, რომელიც წმინდა რიტუალებს ასრულებს“: ეს ვარაუდი ეფუძნება პოემაში მოცემულ ინფორმაციას: Phoebe, mone, si Cumaeae mihi conscia vatis / stat casta cortina domo, si laurea digna / fronte viret (1. 5-7).

[5] ამ საკითხზე დაწვრილებით ვიმსჯელებთ ჩვენი ნაშრომის პირველ თავში: ტრადიცია და ნოვატორობა.

მოკლედ პოემის სტრუქტურა და შინაარსი ამგვარია:

წიგნი I: პოემის დასაწყისში ფლაკუსი შემწეობას სთხოვს აპოლონს. მოთხრობილია ფრიქსუსისა და ჰელეს ამბავი. პელიასი იასონს კოლხიდიდან საწმისის ჩამოტანას ავალებს. მინერვას შემწეობით აგებენ არგოს. იუნო იხმობს გამორჩეულ ვაჟკაცებს სალაშქროდ. პირველი მას ჰერკულესი ეხმაურება, რაც ქალღმერთის უკმაყოფილებას იწვევს. იასონი დაითანხმებს პელიასის ძეს აკასტუსს, მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში. გამოსამშვიდობებელ ღამეს ორფევსი მღერის ფრიქსუსისა და ჰელეს შესახებ. იასონი ემშვიდობება მშობლებს. ქარიშხალს ამშვიდებს ნეპტუნუსი და არგონავტები ტოვებენ იოლკოსს.

წიგნი II: მთელი ღამის განმავლობაში ცურვის შემდეგ არგო მიაღწევს კუნძულ ლემნოსს. არგონავტებს უმასპინძლებენ ლემნოსელი ქალები, რომელთაც თავიანთი ქმრები დაუხოცავთ. მინიები მანამდე რჩებიან კუნძულზე, ვიდრე ჰერკულესი გზის გაგრძელებისკენ არ მოუწოდებს მათ. ტროასთან ჰერკულესი ათავისუფლებს ჰესიონეს. გზაში არგონავტებს ჰელე გამოეცხადებათ. მალე ისინი მოხვდებიან მეფე კიზიკუსთან.

წიგნი III: კიზიკუსის კუნძულიდან გამგზავრების შემდეგ ატეხილი ქარიშხლის გამო არგონავტები, ისე რომ არც უწყიან, ისევ მის სამეფოში გაირიყებიან. დოლიონებსა და არგონავტებს შორის ღამით საშინელი ბრძოლა იმართება. სისხლისმღვრელი შეტაკების დროს იღუპება მეფე კიზიკუსი. მის სამეფოს მინიები მხოლოდ მოგვიანებით ცნობენ. გლოვობენ დაღუპულებს, მიცვალებულებს მარხავენ და განწმენდის რიტუალებს აღასრულებენ. დაკარგული თანამგზავრის, ჰილასის საძებნელად წასულ ჰერკულესს არგონავტები ნაპირზე ტოვებენ.

წიგნი IV: წყლის ნიმფას მიერ მოტაცებული ჰილასის ნახვა ჰერკულესს ამშვიდებს. იგი ახალ დავალებას იღებს: უნდა გაათავისუფლოს პრომეთე. ორფევსი უმღერის არგონავტებს. შემდეგ ისინი ბებრიკების ქვეყანაში მოხვდებიან. პოლუქსი მათ მეფეს, ამიკუსს კრივში ამარცხებს. მოთხრობილია იოს შესახებ, რითაც განმარტებულია ბოსფოროსის სახელწოდება. შემდეგი გაჩერება არგონავტებს ფინევსთან ელით. ბორეასის ვაჟები განდევნიან ჰარპიებს და მისანს საშინელი ფრინველებისაგან ათავისუფლებენ. მადლიერების ნიშნად ფინევსი წინასწარმეტყველებას ამცნობს და მათ რჩევა-დარიგებას აძლევს. არგო გაივლის სიმპლეგადებს და მარიანდინების ქვეყანას მიაღწევს.

წიგნი V: არგონავტები დიდ დანაკლისს განიცდიან. სიცოცხლეს ესალმება მისანი იდმონი და მესაჭე ტიფისი. სინოპეში არგონავტებს სამი ახალი თანამგზავრი შეემატება. მინიები ჩადიან კოლხიდაში. იუნო და მინერვა თათბირობენ. აიეტისაკენ მიმავალი იასონი შეხვდება მედეას, რომელიც ღამისეული სიზმრებით არის შეშფოთებული. კოლხი ქალწული იასონს ასწავლის სასახლისკენ მიმავალ გზას. აღწერილია სოლის ტაძარი, რომელიც მრავალი გამოსახულებით არის შემკული. აიეტი უცხოებს გულითადად იღებს, თუმცა, მას შემდეგ, რაც მათი მოსვლის მიზეზს შეიტყობს, ცდილობს, მათ დაბრკოლებები შეუქმნას. ოქროს საწმისის სანაცვლოდ იასონს სთხოვს, ძმის წინააღმდეგ ომში დაეხმაროს. მარსი, იუპიტერი და მინერვა ბჭობენ, თუ ვის დაუჭირონ მხარი.

წიგნი VI: მარსი მიწაზე ეშვება. კოლხიდაში ძმებს შორის ომი მიმდინარეობს. არგონავტები მეფე აიეტის მხარეზე იბრძვიან. იუნო ვენუსს სთხოვს შემწეობას, მედეას შეაყვაროს იასონი. იუნო მედეას ქალკიოპეს სახით ევლინება და გალავნიდან მასთან ერთად ადევნებს თვალს იასონის საგმირო საქმეებს ბრძოლის ველზე.

წიგნი VII: აიეტი იასონს ახალ დავალებას აძლევს. მან უნდა დაიმორჩილოს ცეცხლისმფრქვეველი ხარები და დაამარცხოს მიწიდან აღმოცენებული მეომრები. იუნო ვენუსს აგზავნის, რომელიც კირკეს სახეს მიიღებს, და მიუძღვის მედეას იასონთან. მედეას დახმარებით იასონი აღასრულებს აიეტის დავალებას.

წიგნი VIII: კოლხი ქალწულის შემწეობით იასონი მოიპოვებს ოქროს საწმისს. არგონავტები მედეასთან ერთად ილტვიან კოლხიდიდან. აბსირტუსის სარდლობით კოლხები არგონავტებს დაედევნებიან. კუნძულ პევკეზე იასონი და მედეა იქორწინებენ. კოლხები ითხოვენ მედეას უკან დაბრუნებას. იუნო არგონავტებს კვლავ ეხმარება და საშინელ გრიგალს გამოიწვევს. მდევართა ამალაში იმყოფება მედეას ხელისმთხოვნელი ალბანელი სტირუსიც, რომელიც ქარიშხლის გამო ზღვაში იღუპება. იასონი ფიქრობს კოლხებს გადასცეს მედეა. იასონისა და მედეას დიალოგით წყდება პოემა.

თანამედროვე მეცნიერებაში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ვალერიუს ფლაკუსი ითვალისწინებდა როგორც ბერძნულ, ასევე რომაულ წყაროებს, მათ შორის ისეთებსაც, რომელნიც არ ამუშავებენ არგონავტიკის ციკლს, რაზეც უფრო ქვემოთ შესაბამის თავში გვექნება მსჯელობა, თუმცა არ არის ერთიანო-

ბა თავად ამ ნაწარმოების მნიშვნელობის, პოეტური ღირსებებისა თუ მიზანდასახულობის საკითხებზე.

ვალერიუს ფლაკუსს კითხულობდნენ და აფასებდნენ უკვე ანტიკურ ეპოქაში. საკმარისია, დავასახელოთ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან სტაციუსი, სილიუს იტალიკუსი, დრაკონციუსი. ფლაკუსის პოემა ციტირებულია შუა საუკუნეების ფლორილეგიებში.[6] მის თხზულებას იცნობდნენ XII-XIV სს-ის ცნობილი მწერლები: იოსებ ისკანუსი, ალბერტინო მუსატო, ჯეფრი ჩოსერი, იულიუს სკალიგერი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორთა დამოკიდებულება ფლაკუსისადმი არ იყო ერთგვაროვანი. თუკი მეცნიერთა ერთი ნაწილი (ლეონარდო ბრუნი, კარლ ბიუხნერი, ვილამოვიც-მოლენდორფი)[7] საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი ამ პოემის მიმართ, უფრო პოზიტიური იყო სკალიგერი,[8] ასევე პეტერ ბურმანი, ენეას სილვიუს პიკოლომინი, რომ არაფერი ვთქვათ იტალიელ ჰუმანისტზე ჯამბატისტა პიოზე (დაახლ. 1460-1540); მან არა მხოლოდ გამოსცა ვალერიუს ფლაკუსის ტექსტი და შეადგინა კომენტარები, არამედ დაწერა მისი ვიტა და ე. წ. დამატება, სადაც, აპოლონიოს როდოსელზე დაყრდნობით, მოთხრობილია ფლაკუსის პოემის სავარაუდო დასასრული (Bologna, H. de Benedictis 1519).[9] თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეებიდან უსათუოდ უნდა ვახსენოთ მიხაელ ფონ ალბრეხტი, რომელიც ფლაკუსის პოემას „ეპიკური ტექნიკის“ ტრიუმფად მიიჩნევს.[10]

ზოგიერთი მეცნიერი პოემის პოზიტიურად შეფასების საფუძველზე უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ ვალერიუს ფლაკუსის პოემით სრულდება ანტიკურობაში არგონავტების თქმულების დამუშავების დასკვნითი ეტაპი.[11] პ. დრეგერი არგონავტთა თქმულების დამუშავების ოთხ ძირითად ვერსიას გამოყოფს. პირობითად, დაყოფის პრინციპი, ამ შემთხვევაში, ითვალისწინებს შემდეგ გარემოებას, თუ კერძოდ რომელ ღმერთს (ან ქალღმერთს) აქვს წამყვანი ფუნქცია ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებაში. შესაბამისად, ამ პრინციპს, გერმანელი მეცნიერის გათვალისწინებით, შეიძლება ვუწოდოთ θεὸς αἴτιος-ის

[6] B. L. Ullman, Valerius Flaccus in the mediaeval Florilegia, CPh 26, 1931, 21-30; W. W. Ehlers, Untersuchungen zur handschriftlichen Überlieferung der Argonautica des C. Valerius Flaccus, Zetemata 52, München 1970, 108.
[7] U. v. Wilamowitz-Mölendorff, Hellenistische Dichtung II, Berlin 1924, 165.
[8] Julius Caesar Scaliger, Poetices libri septem. Ad Sylvium filium, Lyon 1561, 323.
[9] J. Rieker, Das Supplement des Johannes Baptista Pius Bononiensis zu den Argonautica des Valerius Flaccus. *Ratis omnia vincet*, München 1998, 357-363.
[10] M. von Albrecht, Geschichte der römischen Literatur, München 1994^2, 739.
[11] P. Dräger, Argo pasimelousa. Der Argonautenmythos in der griechischen und römischen Literatur, Palingenesia 43, Stuttgart 1993, 6.

პრინციპი. აქედან გამომდინარე, ჰომეროსამდელი მწერლის მიერ დამუშავებული პირველი ვერსიის ღერძს ქმნიდა ჰერას შიში (’Αρχομενός σεθεν, Ἥρη), კერძოდ ის, რომ პელიასს პოსეიდონის კულტის თაყვანისცემითა და გაძლიერებით არ შეეზღუდა ჰერას კულტი. იასონის მიმართ ჰერას კეთილგანწყობა სწორედ ამით იყო მოტივირებული. მეორე ვერსიაში, პინდაროსის IV პითიურ ოდაში, წამყვანი ფუნქცია ეჭირა აპოლონის ნებას (’Αρχομενὸς σεῦ, ’Απόλων); პინდაროსთან საკმაოდ სრული სახით არის გადმოცემული არგონავტთა თქმულების ეპიზოდები, მაგრამ რამდენადაც ოდა კირენელ გმირს, არკესილაოსს ეძღვნება, რომელმაც გაიმარჯვა ეტლით სრბოლაში ძვ. წ. 462 წელს, შესაბამისად, მინიების თქმულებაც ქალაქ კირენეს დაარსების კონტექსტში იყო მოქცეული. მესამე ვერსიის, აპოლონიოს როდოსელის ეპიკური ნაწარმოების საყრდენი უზენაესი ღმერთის, ზევსის ნება უნდა ყოფილიყო (’Αρχομενὸς σεῦ, Ζεύς). იმის გამო, რომ ფრიქსოსის მიზეზით ოქროს საწმისი კოლხიდაში აღმოჩნდა, ზევსს შერყვნილად მიაჩნდა ბერძნული ადათ-წესები. ამდენად, მინიებს მართებდათ ოქროს საწმისის კვლავ ელადაში დაბრუნება, რითაც კომპენსირდებოდა წარსულში ჩადენილი მკრეხელობა. მეოთხე ვერსიის, ვალერიუს ფლაკუსის ეპოსის ღერძს წარმოადგენდა იუპიტერის სურვილი (Iuppiter, incipiens abs te), ბოლო მოეღო ადამიანთა ქვეყნად გამეფებული უსაქმურობისათვის. შესაბამისად, ეპოსში ვალერიუს ფლაკუსი რომაელთა მსოფლიო ბატონებად ქცევის იდეას ავითარებს.

როდესაც არგონავტთა თქმულების ვერსიებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ ეპოქას მიეკუთვნება ესა თუ ის კონკრეტული მწერალი, რომელიც არგონავტების მითის დამუშავებას კიდებს ხელს. ერთი მხრივ, იგი შეზღუდულია ტრადიციულად ცნობილი მითით, მეორე მხრივ, თანადროული ტენდენციებით, რომლებიც თავისდა უნებურად პოულობენ ასახვას მხატვრულად დამუშავებულ პოეტურ ქმნილებებში. შესაბამისად, ესა თუ ის მწერალი თავს უფლებას აძლევს, მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყოს თემის ინტერპრეტაციისას, თუმცა, მაინც გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან რადიკალურად ვერ დაშორდება ტრადიციულ თქმულებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სავსებით ვიზიარებთ რ. გორდეზიანის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს: „ფაქტობრივად, უფრო სხვადასხვა ეპოქის მწერალთა მიერ მითის აქტუალიზების დონეებთან გვაქვს საქმე, ვიდრე არგონავტიკის, როგორც ტრადიციულ ამბავთა სისტემის, ვერსიებთან. ამ თვალსაზრისით, ყოველი მხატვრული

ნაწარმოები, რომელიც მინიების თქმულების დამუშავებას ისახავდა მიზნად, ფაქტობრივად, მითის რამდენადმე ახალ ვერსიას შემოგვთავაზებდა“.[12]

სავსებით აშკარაა, რომ პოემა არ შეიძლება განვიხილოთ მისი შექმნის ეპოქისგან მოწყვეტით, როგორც დროიდან და სივრციდან ამოვარდნილი პოეტური ნაწარმოები. უფრო მეტიც, ფლაკუსი არაერთგზის მიგვანიშნებს იმ რეალობებსა თუ ორიენტირებზე, რომლებიც საკმაოდ დაშორებულნი არიან გმირთა საუკუნეს და არგონავტების ლეგენდარულ ეპოქას. სამოქალაქო ომები, ვეზუვიუსის ამოფრქვევა თავის ანაბეჭდს ტოვებს ფლაკუსის პოემაზე. იგი გატაცებით აღწერს ტირანების ქედმაღლობას, ქვეშევრდომთა შიშს, სასიკვდილოდ განწირულთა სიამაყეს, სასტიკი ტირანის გარდაცვალების შედეგად შექმნილი მძიმე წნეხისაგან განთავისუფლების შეგრძნებას.

ამ თვალსაზრისით ვალერიუს ფლაკუსის პოემა ძირეულად განსხვავდება აპოლონიოს როდოსელის პოემისაგან, რომელშიც არ გვაქვს ამგვარი მინიშნებები მის თანამედროვე თუ წინამორბედ ისტორიულ პირებსა თუ მოვლენებზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ვალერიუს ფლაკუსის პოემა გაცილებით უფრო იდეოლოგიზებულია, ვიდრე აპოლონიოს როდოსელისა. ეს გამოიხატება, გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, ასევე რელიგიის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლით ამ პოემაში და იუპიტერზე ორიენტირებული იდეოლოგიით. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ ვალერიუს ფლაკუსი ახდენს ტრადიციული მითოლოგიური ინფორმაციის სრულიად შეგნებულ აქტუალიზაციას და, ფაქტობრივად, არგონავტების თემას აყენებს რომაული იმპერიის ინტერესების სამსახურში. როგორც ჩანს, მისი პოემა ეხმიანება რომაელთა გაზრდილ ინტერესს აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათ შორის აღმ. შავიზღვისპირეთის რეგიონის მიმართ, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება მითრიდატესის ომებისა და პომპეუსის ლაშქრობების შემდეგ. აპიანოსის გადმოცემით, პომპეიუსი იმდენად იყო დაინტერესებული არგონავტების თქმულებით, რომ თავი მიანება მითრიდატესის დევნას და მინიების ნაკვალევის მონახულებას შეუდგა: ὁ δ Πομπήιος αὐτὸν εὐθὺς μ ν ἐπὶ τῇ φυγῇ μέχρι Κόλχων ἐδίωξε, μετὰ δ τοὺς Κόλχους οὐδαμοῦ δόξας αὐτὸν οὔτε τὸν Πόντον οὔτε τὴν Μαιώτιδα λίμνην περιελεύσεσθαι οὐδ μεγάλοις ἔτι πράγμασιν ἐγχειρήσειν ἐκπεσόντα, τοὺς Κόλχους ἐπῄει καθ' ἱστορίαν τῆς Ἀργοναυτῶν καὶ Διοσκούρων καὶ Ἡρακλέους ἐπιδημίας, τὸ πάθος μάλιστα ἰδεῖν ἐθέλων, ὃ Προμηθεῖ φασι γενέσθαι περὶ τὸ Καύκασον ὄρος. χρυσοφοροῦσι δ' ἐκ τοῦ Καυκάσου πηγαὶ πολλαὶ

[12] რ. გორდეზიანი, არგონავტები. *ბერძნული მითების სამყარო*, თბილისი 1999, 136.

ψῆγμα ἀφανές· καὶ οἱ περίοικοι, κῴδια τιθέντες ἐς τὸ ῥεῦμα βαθύμαλλα, τὸ ψῆγμα ἐνισχόμενον αὐτοῖς ἐκλέγουσι. καὶ τοιοῦτον ἦν ἴσως καὶ τὸ χρυσόμαλλον Αἰήτου δέρος. τὸν οὖν Πομπήιον ἐπὶ τῇ ἱστορίᾳ ἀνιόντα οἱ μ ν ἄλλοι παρέπεμπον, ὅσα ἔθνη γείτονα (Ap. Mithr. 13).[13] აქედან გამომდინარე, ვალერიუს ფლაკუსისათვის ტრადიციული გმირები და სიმბოლოები რამდენადმე ახალ მნიშვნელობას იძენენ და ცნობილ სიუჟეტურ ელემენტებს ახალ აზრს ანიჭებენ. ეს ფლაკუსთანაც შეიგრძნობა: მისთვის ოქროს საწმისი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც საზღვაო გზის გახსნა; უნდა აღინიშნოს, რომ ამის ხარჯზე პოემაში იცვლება აქცენტები და პოეტური ბრწყინვალებაც კი იმ პარტიებისა, რომელიც აპოლონიოსთან ასე გვხიბლავს. რასაკვირველია, ამ ვითარებაში ვალერიუს ფლაკუსისათვის შეუმჩნეველი არ რჩება ის, რომ აპოლონიოს როდოსელთან იასონი ერთგვარად ანტიგმირის ელფერს ატარებს, რადგან, ფაქტობრივად, მისი ყველა საგმირო საქმე სხვისი დახმარებით აღესრულება; პოეტი ცდილობს, მას გმირის სტატუსი დაუბრუნოს. ამისათვის, ბუნებრივია, იგი ვერ დაისახავდა მიზნად აპოლონიოს როდოსელთან გადმოცემული სიუჟეტური ელემენტების მკვეთრად შეცვლას; მას ესაჭიროებოდა ახალი ეპიზოდების შემოტანა; ასევე აპოლონიოს როდოსელის პათოსის, რაც შეიძლება მეცნიერული სიზუსტით აღეწერა არგონავტების მარშრუტი, რამდენადმე განელება. ამისათვის ვალერიუს ფლაკუსს კოლხიდის ეპიზოდში, იქ, სადაც მთლიანი ძალით უნდა მოხდეს იასონის გმირობის ექსპონირება, შემოაქვს ვრცელი ამბავი კოლხიდაში წარმოებული ე. წ. სამოქალაქო ომისა. ბუნებრივია, ამ ომის ჩართვას ესაჭიროებოდა შესაბამისი ანტურაჟი სხვადასხვა გმირის და სიუჟეტური ელემენტისა. ეს კი სვამს კითხვას, რა ასაზრდოებდა ასეთ შემთხვევაში ვალერიუს ფლაკუსის ფანტაზიას: გარკვეული რეალობები თუ მხოლოდ წარმოსახვის თამაში.

თუკი ვალერიუს ფლაკუსთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევას მსოფლიო კლასიკურ ფილოლოგიაში საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ, ქართულ მეცნიერებაში ამ მიმართულებით შედარებით ნაკლები ინტერესი შეინიშ-

---

[13] „პომპეიუსმა მსწრაფლ მისდია მითრიდატესს, გაქცეულს, კოლხებამდე, ხოლო კოლხების შემდეგ კი იფიქრა, რომ იგი ვერც პონტოსს შემოუვლის და ვერც მეოტისის ტბას და გაძევებულს არც დიდი საქმეების წამოწყება შეეძლებაო. შემდეგ მან მოიარა არგონავტთა თქმულების კოლხები. დიოსკურებისა და ჰერაკლეს აქ ყოფნის ამბების შესატყობად და განსაკუთრებით კი უნდოდა ენახა ტანჯვის ადგილები, რადგან ამბობდნენ, პრომეთე კავკასიონის მთაზე იყო მიჯაჭვულიო. კავკასიონიდან მომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიან ცხვრის ტყავებს ათავსებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“.

ნება. აქ უნდა აღვნიშნოთ აკაკი ურუშაძის ნაშრომი „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“. ენციკლოპედიაში Caucasus antiquus წარმოდგენილია კავკასიასთან დაკავშირებული ფლაკუსის მნიშვნელოვანი ცნობები. საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მისი შემოქმედების შესწავლას ც. გიგაურის კვლევებში. ჩვენი აზრით, ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, თუ რა პრინციპებით ახდენს ვალერიუს ფლაკუსი კავკასიასთან დაკავშირებული ინფორმაციის საოცარ განვრცობას და ამ მიზნით ახალი სიუჟეტური ელემენტის, კავკასიელი ტომის თუ პერსონაჟის შემოყვანას.

ჩვენი ნაშრომის მიზანია იმის კვლევა, თუ როგორ ახერხებს ვალერიუს ფლაკუსი კავკასიაში მომხდარ ამბებს მიანიჭოს ისტორიული სანდოობა და შექმნას ე. წ. ფსევდო-ისტორია იმ მოვლენებისა, რასაც არგონავტების ციკლის მოქმედების მანძილზე უნდა ჰქონოდა ადგილი.

შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, გამოვიკვლიოთ:

1) მთელი ის ინფორმაცია, რაც ვალერიუს ფლაკუსთან კავკასიას, კავკასიელ ხალხებსა და პერსონაჟებს ეხება, მეტწილად იმაზე ყურადღების გამახვილებით, რაც მას აპოლონიოს როდოსელისგან განასხვავებს.

2) როგორია პოეტის ფანტაზიის საფუძველზე აღმოცენებული ინფორმაციის სანდოობა კავკასიისა და მისი მეზობელი ტომების ექსპონირებისას.

3) რა პრინციპით შემოჰყავს ვალერიუს ფლაკუსს არგონავტების ლაშქრობასთან დაკავშირებული მითოლოგიური ტრადიციისათვის უცნობი უამრავი ახალი გმირი და როგორ ახდენს მათ სახელდებას.

I. ტრადიცია და ნოვატორობა

ანტიკურ ლიტერატურაში დიდი მნიშვნელობა აქვს პარადიგმატული ნაწარმოებების ტრადიციული სიუჟეტების რეციპირებას. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ კლასიკური ეპოქის დიდი ბერძენი ტრაგიკოსები თავიანთ ტრაგედიებში ძალზე ხშირად ამუშავებენ არა მარტო ერთსა და იმავე მითოლოგიურ სიუჟეტს, არამედ წარმატებით იყენებენ ამ სიუჟეტთა მხატვრული რეალიზაციით გამორჩეულ დრამებს, როგორც თავიანთი ნაწარმოების კონსტრუირებისას გასათვალისწინებელ მხატვრულ მოდელებს. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა თვით რომაული ლიტერატურის ფორმირების პროცესი, რომელიც, ფაქტობრივად, ბერძნული პროტოტიპების ჯერ მიბაძვის, ხოლო შემდეგ კი ძალზე წარმატებული შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე ჩამოყალიბდა. სწორედ დიდი ბერძნული ლიტერატურის მიმართ შემოქმედებითმა მიდგომამ გახადა შესაძლებელი, რომ უკვე ძვ. წ. I საუკუნეში რომაულმა ლიტერატურამ მიაღწია გაცილებით უფრო დიდ სიმაღლეებს, ვიდრე ეს იმავე პერიოდის ბერძნულ ლიტერატურაში შეინიშნება. რასაკვირველია, მიმართებას ბერძნულ ლიტერატურასთან ჰქონდა ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმები. ა. მ., თუკი ვერგილიუსი თავის „ენეიდაში" სრულიად სხვა სიუჟეტისათვის ერთდროულად ჰომეროსის ორსავე პოემას ეხმიანება, სენეკას „მედეა" აშკარად ევრიპიდეს იმავე სახელწოდების ტრაგედიით არის მთლიანად შთაგონებული, თუმცა გენიალური რომაელი პოეტი, ამის მიუხედავად, ახერხებს, შექმნას თავისი „მედეა", რომელსაც მსოფლიო ლიტერატურისათვის ევრიპიდესგან განსხვავებული დამოუკიდებელი ღირებულება აქვს. სწორედ ეს აძლევს ლიტერატურათმცოდნეებს შესაძლებლობას, იმსჯელონ სენეკას ნოვატორობაზე.

რაც შეეხება ვალერიუს ფლაკუსს, აქ სრულიად აშკარაა, რომ მისთვის ე. წ. ამოსავალ მოდელს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა" წარმოადგენს, მაგრამ, რასაკვირველია, შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ფლაკუსი მხოლოდ ამ პოემისგან მიღებული იმპულსებით იფარგლება და არ ცდილობს, შეინარჩუნოს საკუთარი პოეტური „ღირსება". ფლაკუსის პოემის მკვლევართ არაერთგზის უცდიათ, ეჩვენებინათ ის, რომ ფლაკუსი, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით უფრო მეტ მიმართებას ავლენდეს ჰომეროსთან, ვერგილიუსთან, ოვიდიუსთან, ვიდრე საკუთრივ აპოლონიოს როდოსელთან და, ამასთანავე, გვთავაზობდეს იმგვარი პოეტური აღმაფრენით შექმნილ არაერთ პარტიას, რომელიც მას წარმოგვიდგენს როგორც საკმაოდ ინდივიდუალურ, მაღალი

დონის პოეტს. რასაკვირველია, როდესაც მკვლევარები მსჯელობენ ფლაკუსის ნოვატორობაზე, მათ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში აქვთ ის მომენტები, რითაც ფლაკუსი ჰგავს აპოლონიოს როდოსელს ან განსხვავდება მისგან.

ჩვენი აზრით, როდესაც ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ რა არის ტრადიციული და რა ნოვატორული ფლაკუსთან, აუცილებელია ორი პლანის გამოყოფა: ერთი – მისი მიმართება მთელ ანტიკურ ლიტერატურასთან, რომელიც მას შეეძლო გაეთვალისწინებინა, და მეორე – საკუთრივ აპოლონიოს როდოსელთან. განსაკუთრებით საინტერესოა მისი მიმართება რომაელ მწერლებთან, რადგან ფაქტია, რომ ლათინურ ენაზე შექმნილი ორიგინალური პოემა, რაოდენ დავალებულიც არ უნდა იყოს იგი თავისი ბერძნული პროტოტიპისგან, იძულებული იქნება ენის, ჰექსამეტრის გამოყენების, ახალი ფორმატივების თუ კომპოზიტების შექმნის და ა. შ. პროცესში უფრო მეტად გაითვალისწინოს რომაული ლიტერატურა. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, მიმართება ფლაკუსის წინამორბედებთან და მიმართება სახელდობრ აპოლონიოს როდოსელთან ერთმანეთისგან რამდენადმე გამიჯნულად განვიხილოთ.

მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდეთ, ძალზე მოკლედ გადავავლოთ თვალი არგონავტიკის თემის რომაულ ლიტერატურაში დამუშავების ტრადიციას. ამ თემის შემოქმედებითად ათვისებაში ვგულისხმობთ რომაული ლიტერატურის ფლაკუსამდელ პერიოდს, სადაც შეგვიძლია გამოვყოთ ორი ეტაპი: პირველი – როდესაც რომაელი მწერლები ძირითადად თარგმნიან არგონავტების ციკლის დამამუშავებელ ნაწარმოებებს და მეორე – როდესაც იწყება უკვე ამ თემის შემოქმედებითად ათვისების პერიოდი და ამის საფუძველზე ორიგინალური ლათინური პოეტური ნაწარმოებების შექმნა.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ ეტაპზე ძირითადად ხდებოდა ბერძნული პროტოტიპების „თარგმნა“. არგონავტების ციკლიდან რომაელი დრამატურგებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა მედეას ამბავი და, მიუხედავად იმისა, რომ ამოსავალ მოდელს მათთვის ევრიპიდეს „მედეა“ წარმოადგენდა, მათ თავიანთ ტრაგედიებს რომაული ელფერი შესძინეს. პირველი რომაელი მწერალი, რომელმაც ევრიპიდეს „მედეა“ გადმოაკეთა ლათინურ ენაზე, იყო კვინტუს ენიუსი (ძვ. წ. 239-169). ცნობას იმის შესახებ, რომ ენიუსის ტრაგედია ბერძნული პროტოტიპის სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენდა, უკვე ციცერონთან ვხვდებით. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თავისუფალი დამოკიდებულება, რასაც რესპუბლიკის ეპოქის მწერლები ზოგადად ავლენენ

ბერძნული წინამორბედების ქმნილებებთან დამოკიდებულებაში. ამას ცხადყოფს ლუციუს აკციუსის (ძვ. წ. 170-80) „მედეა“, სადაც გარკვეულწილად ასახვა პოვა გრაკხუსების, მარიუსისა და სულას დროის გამოძახილმა: „პოლიტიკური ელემენტი და ინტრიგა. სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, მარცხი, კვლავ აღზევება, მეფეთა და ტირანების მკვლელობა, უზურპატორების დასჯა, მხარეთა შორის ბრძოლა“[14] – ყველაფერი ეს მის ტრაგედიას უდავოდ რომაულ ელფერს სძენს. ძვ. წ. I ს-ის სატირიკოსსა და ეპიკოსს, ვარონ ატაცინუსს ლათინურად გადმოუკეთებია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“,[15] რასაც, მცირეოდენი ნაწყვეტების გარდა, ჩვენამდე არ მოუღწევია.[16]

არგონავტების თქმულების შემოქმედებითად დამუშავების ეტაპი რომაულ ლიტერატურაში, შეიძლება ითქვას, რომ ავგუსტუსის ეპოქიდან იწყება, რასაც ცხადყოფს ოვიდიუსის (ძვ. წ. 43 – ახ. წ. 18) შემოქმედება. მის „მეტამორფოზებში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არგონავტების თქმულების მხატვრულ ინტერპრეტაციას. ბერძნულ ორიგინალზე დაყრდნობით მასვე შეუქმნია ტრაგედია „მედეა“, რომლისგანაც მხოლოდ ფრაგმენტები შემოგვრჩა. ყველაზე ვრცლად არგონავტების თქმულების ცალკეული სიუჟეტი გადმოცემული აქვს რომაელ მითოგრაფოსს – ჰიგინუსს „ფაბულებში“, სადაც თავმოყრილია არგონავტების ლაშქრობამდელი ამბები, თვით ლაშქრობა და მედეასა და იასონის თავგადასავალი კორინთოსში. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა პლინიუს უფროსის (ახ. წ. 23-79) ენციკლოპედიური ნაშრომი Historia naturalis, სადაც ვხვდებით თქმულების ცალკეულ სიუჟეტურ ელემენტს, დამოწმებულია ესა თუ ის პერსონაჟი, გეოგრაფიული პუნქტი. ცალკე უნდა გამოვყოთ ჩვენამდე სრული სახით მოღწეული სენეკას (ახ. წ. 1-65) ტრაგედია „მედეა“, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედეას სახის მხატვრული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში. არგონავტების თემის შემოქმედებითად ათვისების პროცესი გრძელდება ვალერიუს ფლაკუსთან, რომელიც ახერხებს წინამორბედის, აპოლონიოს როდოსელისაგან დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება შესძინოს თავის „არგონავტიკას“.

---

[14] O. Ribbek, Die römische Tragödie im Zeitalter der Republik, Leipzig 1875, 602.

[15] P. L. Schmidt, V. Terentius, P. (Atacinus), DNP12/1 Enzyklopädie der Antike, Stuttgart, Weimar 2002, 1144-1145; M. Schanz, C. Hosius, R. Herzog, P. L. Schmidt, K. Sallmann, Geschichte der römischen Literatur, Bd. 1. 1927, 312. Einleitung in die griechische Philologie, H.-G. Nesselrath (Hrsg.), , Leipzig 1997, 259; ც. გიგაური, ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“ და ცნობები კოლხეთის შესახებ, საკ. დის. თბილისი 1969.

[16] Quint. 10, 1, 87; Ovid. Amor. 1, 15, 21.

შესაბამისად, ვალერიუს ფლაკუსს თვალწინ ჰქონდა არა მარტო აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია ამ თქმულების თუ მასთან დაკავშირებული ბერძნული ნაწარმოებების რეციპირებისა ლათინურ ლიტერატურაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ შევეცდებით, ყურადღება გავამახვილოთ ფლაკუსის არაერთ წყაროზე, რომელსაც შეეძლო მასზე გარკვეული გავლენა მოეხდინა და, მეორე მხრივ, აპოლონიოს როდოსელზე, რომლის სცენარსაც ის არსებითად მიჰყვება; შემდგომ ეტაპზე განვიხილავთ ფლაკუსის ახალ კონცეფციას, რასაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ „იუპიტერის სამყაროს გეგმა“. ასევე თვალსაჩინოებისათვის განვიხილავთ რამდენიმე ეპიზოდს, სადაც იკვეთება ფლაკუსის ნოვატორული მიდგომა – ნაკლებად ცნობილი და ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიუჟეტური ელემენტის განვრცობით შექმნას ეპიზოდი, რომელიც უდავოდ მის პოეტურ ოსტატობაზე მეტყველებს.

1. ფლაკუსი და მისი წინამორბედები

თუკი დავუკვირდებით ფლაკუსის მიმართებას ამა თუ იმ ავტორთან, რომელიც შესაძლოა გარკვეულწილად მისი ინსპირაციის წყარო გამხდარიყო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი საკმაოდ კარგად იცნობს მთელ წინამავალ ლიტერატურულ ტრადიციას, ა. მ., იგი მიმართებას გვიჩვენებს ჰომეროსთან, ვერგილიუსთან, ოვიდიუსთან, სენეკასთან, ლუკანუსთან. როდესაც ესა თუ ის მწერალი ცნობილ და უკვე მრავალგზის დამუშავებულ თემას კიდებს ხელს, მის წინაშე ყოველთვის დგას გამოწვევა, აღემატებოდეს თავის ე. წ. მოდელს გამომსახველობის ძალით, აქცენტების დასმით, განსხვავებული თხრობის პერსპექტივის შექმნით, გმირთა მოქმედების მოტივაციების შეცვლით, ინდივიდუალური სტილისტური ხერხების და თავისებური მეტრული საზომების გამოყენებით. შესაბამისად, მან ისე უნდა დაამუშავოს თემა, რომ არა მარტო წარმოდგენილი ისტორია თუ ცალკეული ეპიზოდი იყოს საინტერესო, არამედ თვით წარმოდგენის სტილი და მანერა. ამდენად, ცნებებს imitatio და aemulatio დიდი მნიშვნელობა აქვს ბერძნული და რომაული ლიტერატურის თვითმყოფადობის გაგებისათვის. თუ aemulatio ე. წ. მისაბაძი მოდელის ბრმად გადმოღებას აღნიშნავს, საკმაოდ ფართოა imitatio-ს გაგება. აქ დავეყრდნობით მკვლევარ ურსულა კოიდელის სქემას, რომელსაც ის იმიტაციის არსის განსაზღვრისას გვთავაზობს თავის კლავდიანუსის კომენტარებში: „გაუთვითცნობიერებელი განზრახვით ნიმუშის გამოყენება არის

რემინისცენცია, წყაროს გამოყენება განსაზღვრული განზრახვით ან მაგალითად ინტერპრეტაციით არის მინიშნება, ხოლო კრეატიული ფორმაცვალება არის დამუშავება“.[17] რასაკვირველია, ფლაკუსის პოემა დამოკიდებულია ლიტერატურულ ტრადიციაზე, რომელიც მას წინ უსწრებდა, როგორც სიუჟეტური ელემენტების, ასევე ენობრივი ფორმების თვალსაზრისით, თუმცა, ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ, რომ ის, რაც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს მასთან მიბაძვად, უმეტესწილად შემოქმედებითი ინტერპრეტაციის მაღალ ხარისხს გვიჩვენებს. თავდაპირველად საკმაოდ მოკლედ თვალი გავადევნოთ იმ არსებით მიმართებებს, რასაც ფლაკუსი თავის წინამორბედ ავტორებთან ავლენს.

როდესაც ჰომეროსთან ფლაკუსის მიმართებაზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში ვგულისხმობთ მსგავსი მოტივების, სიუჟეტური ელემენტების და ასევე სტრუქტურული პარალელების არსებობას, ასევე მთელ რიგ შესატყვისობებს პოეტური ენის დონეზე. თუმცა, ბუნებრივია, რამდენადაც ფლაკუსი ლათინურად ქმნის თავის პოემას, ენობრივ დონეზე ყველაზე მეტ მიმართებას ვერგილიუსთან გვიჩვენებს, რომელიც, თავის მხრივ, ჰომეროსისგან არის ინსპირირებული, ასე რომ საქმე გვაქვს გარემოებასთან, რასაც მეცნიერებაში მოიხსენიებენ ტერმინით: imitatio Virgiliana Homeri. ეს პარადიგმა გარკვეულწილად მოდელი გახდა ვერგილიუსის შემდგომდროინდელი მწერლებისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ნაწარმოებებს ეპოსის ჟანრში ქმნიდა. მაგალითისათვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ომის ამსახველი სცენების აღწერისას ფლაკუსისათვის ამოსავალს წარმოადგენს „ენეიდა“ (VII და X წიგნები), არისტიების „ტიპურ სცენებს“, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი აიეტსა და პერსესს შორის გამართული ომის ამსახველ ეპიზოდში, საფუძვლად უდავოდ „ილიადის“ ე. წ. „დიომედია“ უდევს, რამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა „ენეიდის“ ავტორზე (X და XII წიგნები). შეიძლება ითქვას, ეს პრინციპი იმდენად უნივერსალურია, რომ არა მარტო ფლაკუსთან, არამედ სხვა მწერლებთანაც პოულობს ასახვას; ა. მ., სმოლენაარსი ვალერიუსის „არგონავტიკის“ VI წიგნის და სტაციუსის „თებაისის“ VII წიგნის არისტიების „ენეიდასთან“ და „ილიადასთან“ შეპირისპირებით ცდილობს, დაგვანახოს, რომ სტრუქტურულად ფლაკუსიც და სტაციუსიც

[17] U. Keudel, Poetische Vorläufer und Vorbilder in Claudians De consulatu Stilichonis. Imitationskommentar, Hypomnemata 26, Göttingen 1970, 17ff.

ვერგილიუსს ეყრდნობიან, ვერგილიუსი კი თავის მხრივ ჰომეროსს.[18] ბერძენ ეპიკოსთან მიმართებას გვიჩვენებს ასევე ფლაკუსისეული ე. წ. ორმაგი კატალოგის აგების პრინციპი, გმირების დათვალიერება ე. წ. ტეიქოსკოპია, კრივ-ში შეჯიბრის სცენები (Il. XXIII 685-699). ინტენსიურად არის შემოსული ფლა-კუსთან ტროას თემა, აქ ვგულისხმობთ ჰერკულესის როლის გაძლიერებას და მისი სახის განსაკუთრებულ ინტენსიფიკაციას. ამისათვის ფლაკუსი აპოლონიოს როდოსელისგან განსხვავებით სრულიად ახალ ეპიზოდსაც კი რთავს პოემაში, ჰერკულესის მიერ ლაომედონის ასულის, ჰესიონეს განთავისუფლებას. რამდე-ნადაც ამ ეპიზოდს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ფლაკუსის პოემაში, მასზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ის, რომ ვერგილიუსმა განსაკუთრებული გავლენა იქონია მის შემდგომდროინდელ რომაელ მწერლებზე და, მას, გარკვეულწილად, ამოსავალ მოდელად იყენებდნენ, არაერთგზის აღნიშნულა.[19] გამონაკლისს არც ფლავიუსის ეპოქის მწერლები წარმოადგენენ.[20] მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ტერმინიც კი დამკვიდრდა „interpretatio Virgiliana“.[21] ფლაკუსის ვერგილიუსთან მიმართებისას ორი პლანი იკვეთება: თუ ერთ შემთხვევაში ფლაკუსს გადმოაქვს ვერგილიუსისეული სიუჟეტური ელემენტი და ინარჩუნებს გამომხატველობით ფორმასა და შინაარსს, სხვა შემთხვევაში მასთან ამოსავალი მოდელი შეცვლილია, დაკავშირებულია სხვა კონტექსტთან და ახალი სულით არის შთაგონებული, რიგ შემთხვევაში კი ისეა აკუმულირებული და ტრანსფორმირებული, რომ ვერგილიუსის შემოქმედებაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვის კონტექსტი შესაძლოა გაუგებარი იყოს. იგი გარკვეულწილად ეყრდნობა ვერგილიუსს დაწყებული ეპოსის სტრუქტურის აგების პრინციპით დამთავრებული ლექსიკური ფორმატივების და გამოთქმა-ფორმულების გამოყენე-ბით. ვერგილიუსს სურს თავის პოემაში გააერთიანოს ე. წ. „ილიადისა“ და „ოდისეას“ თემა, თუმცა ვერგილიუსის პოემა თვისობრივად მკვეთრად განსხვავე-

[18] J. J. L. Smolenaars, Quellen und Rezeption. Die Verarbeitung homerischer Motive bei Valerius Flaccus und Statius, *Ratis omnia vincet. Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* Hildesheim, Zürich, New York 1991, 57-69.

[19] I. Greiff, De G. Valeri Flacci Argonauticis cum Vergili Maronis Aeneide comparatis. Gymnasialprogramm, Trient 1869; A. Grüneberg, de Valerio Flacco imitatore, Diss. Berlin 1893; H. Stroh, Studies zu Valerius, besonders über dessen Verhältnis zu Vergil, Gymnasialprogramm, Augsburg 1905; R. Nordera, I virgilianismi in Valerio Flacco. Contributo a uno studio della lingua epica nell'età imperiale, in: R. Nordera, T. Bertotti, L. Bezzi, E. Pianezzola, A. Lunelli. Contributi a tre poeti latini (Valerio Flacco, Rutilio Namaziano, Pascoli), Bologna 1969, 1-92.

[20] P. Hardie, Flavian Epicists on Vergil's Epic Technique, in A. J. Boyle (ed.), The Imperial Muse. Ramus Essays on Roman Literature of the Empire: Flavian Epicists to Claudian, Bendigo 1990, 3-20.

[21] P. Hardie, The Epic Successors of Vergil. A Study in the Dynamics of a Tradition, Cambridge 1993, 118.

ბულია ჰომეროსის პოემათაგან. ჰომეროსის პოემებში მითოლოგიური სიუჟეტია გადმოცემული, „ენეიდაში“ მითი თანამედროვეობასთან არის შერწყმული. ვერგილიუსის მსგავსად ფლაკუსის პოემაც ორი ინფორმაციული პლანის გაერთიანებას წარმოადგენს: მოგზაურობა და საგმირო საქმეების ექსპონირება. თუ ვერგილიუსის მიზანი არის იმის ჩვენება, რომ რომის, მსოფლიოს უძლიერესი ქალაქის, დაარსება ღმერთთა ნებით განხორციელდა, რომ იტალიელთა წინაპრები, ელინთა მსგავსად, უძველესი ტომები იყვნენ, რომ უზენაესთა გადაწყვეტილების თანახმად, ტროელთა ერთი ნაწილი დამკვიდრდა იტალიაში, თავის „პირველ სამშობლოში“, ამ იდეას ეხმიანება ფლაკუსიც თავის პოემაში, მისი აზრით, ტროა უკეთესი ქალაქი უნდა გახდეს, და მასთან მსოფლიოს მართვის სადავეებს ახალი ხალხი [იგულისხმებიან რომაელები] იგდებს ხელში *et genus Aeneadum et Troiae melioris honores* (Val. Flacc. 2. 573). პოემაში ეს ასპექტი მხატვრულად არის გადმოცემული იუპიტერის სამყაროს გეგმაში, ფლაკუსის ამ ახალ კონცეფციაზე სპეციალურ ქვეთავში გვექნება მსჯელობა. თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სცენები, სადაც აშკარად იკვეთება ვერგილიუსის გავლენა: დიდოსა და ენეასის და მედეასა და იასონის ამბები, ევანდრეს გამოსამშვიდობებელი სიტყვა პალასისადმი (Aen. VIII 560-583) შეგვიძლია შევადაროთ ესონის სიტყვას იასონისადმი (Val. Flacc. 1. 336-347), ერთი მხრივ, იტალთა კატალოგი (Aen. VII 641-817) და, მეორე მხრივ, არგონავტთა კატალოგი (Val. Flacc. 1. 353-483), ასევე მსგავსებას გვიჩვენებს მგზავრობის დასაწყისისთანავე ზღვაზე ამტყდარი ქარიშხლის სცენა (Aen. 1. 124ff.) / (Val. Flacc. 1. 640ff.). ცალკეული პასაჟების ლინგვისტური ანალიზისას ვლინდება ფორმულა-გამონათქვამების თანხვედრებიც, ფლაკუსის ჰექსამეტრულ საზომს მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით სტრიქონების დასაწყისსა და დასასრულს, ვერგილიუსისეული ელფერი დაჰკრავს; დასტურდება შემთხვევები, როდესაც ჰექსამეტრული სტრიქონის ნაწილი უცვლელი სახით არის გადმოტანილი. ვალერიუსი არსად არ წარმოგვიდგება როგორც ბრმა მიმბაძველი. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ვერგილიუსის მსგავსად ვალერიუს ფლაკუსმა შექმნა თავისი საკუთარი ენა. მართალია, იგი ითვალისწინებს წინამორბედების მიღწევებს, თუმცა ვერგილიუსს ბაძავს იმაშიც, რომ შექმნას ახალი სტილი, გაბედულად მიუდგეს ენობრივ ფორმებს, რაც აისახება ახალი ფორმების ძიებაში. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ იმ გარემოებაზე, რაც მის ახალ სტილს განსაზღვრავს: 1. ახალი სინტაქსური კონსტრუქციები. 2. სიტყვე-

ბის ახალი მნიშვნელობა, რაც ფლაკუსამდელ ლიტერატურულ ტრადიციაში არ დასტურდება. 3. სიტყვების სემანტიკური ამბივალენტობა.

შესაბამისად, მისი იმიტაციის ტექნიკა შეგვიძლია განვსაზღვროთ ტერმინით ვარიაცია. მათიას კორნი ამიკუსის პასაჟის ლინგვისტური ანალიზის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ იგი ინსპირირებულია „ენეიდის“ ერთ-ერთი პასაჟით (5.446), სადაც გადმოცემულია კრივის ამსახველი სცენა დარესსა და ენტელუსს შორის. მეცნიერი აქ ვარიაციის სამ სახეობას აყალიბებს: 1. ერთი ლექსიკური ფორმატივის სხვა სიტყვით ჩანაცვლება: in ventum შეცვლილია სიტყვით nubibus (4.273), რითაც აქცენტირებულია ამიკუსის მზარდი სიბრაზე. 2. სათქმელის ინტენსიფიკაცია დამატებითი ლექსიკური ფორმატივების მეშვეობით: ვერგილიუსის ნეიტრალური vires შეცვლილია ემოციურად დატვირთული ლექსიკური ფორმატივებით iras და ardorem (4.273-274). 3. კონტექსტიდან გამომდინარე სიტყვისთვის სხვა მნიშვნელობის მინიჭება: effundere-ს (4.273) აქ აქვს არა abicere-ს ან perdere-ს გაგება, როგორც ვერგილიუსთან, არამედ დაკავშირებულია რისხვასთან iras effundere, და ამდენად ამ კონკრეტულ შემთხვევაში სულ სხვა დატვირთვა ენიჭება.[22] ხშირად ფლაკუსის შესახებ ამბობენ, რომ რთული ენა აქვს და რიგ შემთხვევაში აზრი ისე ბუნდოვანია, რომ გაუგებარია, ავტორს რისი თქმა სურდა. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ერთი კონკრეტული მაგალითი.[23] ვენუსი მედეას საქორწინოდ უძღვნის თავის „ორმაგ“ გვირგვინს და პატიოსან თვლებს, რომელიც შემდგომ სხვა პატარძალზე აკიაფდება ipsa suam duplicem Cytherea coronam / donat et arsuras alia cum virgine gemmas (8.235-36). აზრი გაუგებარი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ვერგილიუსის პოემიდან პასაჟს, რომელიც ამ ადგილს უდევს საფუძვლად; კერძოდ, „ენეიდაში“ ენეასის მიერ დიდოსთვის მიძღვნილ საჩუქრებს შორის მოიხსენიება გვირგვინი, რომელიც ოდესღაც ელენეს ეკუთვნოდა: duplicem gemmis auroque coronam (1.655), ანუ ოქროსა და პატიოსანი თვლებისგან დამზადებული გვირგვინი. უკვე სერვიუსმა (Aen. 1.650-თან დაკავშირებით) შეიცნო აქ ენეასისა და დიდოს მომავალ ხვედრზე მინიშნება, რომ ენეასი და დიდო ერთმანეთს დაშორდებოდნენ, რამდენადაც

[22] M. Korn, Valerius Flaccus und Vergil. Das Verhältnis von Nachahmer und Meister in sprachlicher Hinsicht, *Ratis omnia vincet. Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* Hildesheim, Zürich, New York 1991, 49; F. Schimann, Valerius Flaccus und Vergil – interpretatio Virgiliana. *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* München 1998, 123-7.

[23] მაგალითი მოგვყავს ფრანკ შიმანთან (იხ. წინამდებარე სქოლიო) დასახელებული ავტორის სალემის მიხედვით: C. Salemme, Medea. Un antico mito in Valerio Flacco, Napoli 1993, 81.

გვირგვინი ადრე ფიცისგამტეხ ელენეს ეკუთვნოდა. მსგავსად, ფლაკუსიც იმედოვნებს, რომ საზოგადოებას ესმის ვერგილიუსისეული პასაჟის სიმბოლურობა და შეფარვითი მინიშნებებით წინასწარ მიუთითებს იმაზე, რომ არც იასონისა და მედეას ურთიერთობას ექნება ბედნიერი დასასრული. პოეტი უფრო მეტად ამძაფრებს ვერგილიუსის ხატოვან გამონათქვამს იმით, რომ gemmae-ს უკავშირებს მომავალი დროის მიმღეობას arsuras, ანუ მიუთითებს იმაზე, რაც მომავალშია მოსალოდნელი, et კავშირით გამოყოფს corona-სგან და ვერგილიუსის დარად aurum-ის მოხსენიება საერთოდ აღარ სჭირდება.[24]

როდესაც ფლაკუსის ოვიდიუსთან და სენეკასთან მიმართებაზე ვმსჯელობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მედეას სახის მხატვრული ინტერპრეტაცია. ამ პროცესში მათი ნაწარმოებები ფლაკუსისათვის უდავოდ შთაგონების წყაროს წარმოადგენდა მედეას სახის დამუშავებისას.[25] თავდაპირველად ყურადღება შევაჩეროთ ოვიდიუსზე. ფლაკუსის მედეა მრავალმხრივ მიმართებებს გვიჩვენებს, ერთი მხრივ, „ჰეროიდების" VI და XII წერილების და, მეორე მხრივ, „მეტამორფოზების" მედეასთან, ისევე როგორც ტრაგედია „მედეაში" წარმოდგენილ სახესთან, რომელმაც ჩვენამდე უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით მოაღწია. ოვიდიუსის მედეა წინააღმდეგობრივი გრძნობებით არის სავსე, იგი საკმაოდ რაციონალისტურად უდგება საკითხს, თუმცა რაციონალურობიდან საკუთარ თავთან საუბარში ირაციონალურობამდეც კი მიდის. ფლაკუსის მედეაც ენდობა თავის ratio-ს, თუმცა, თუ ოვიდიუსის მედეა თვითანალიზს ეწევა, ფლაკუსთან იგი სათქმელს ამბობს, ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას კი მთხრობელს უტოვებს. ამიტომაც ფლაკუსთან მონოლოგებს უფრო განსხვავებული დატვირთვა აქვს, ვიდრე ოვიდიუსთან.[26] ის, რაც საერთოა ოვიდიუსისა და ფლაკუსის მედეასათვის, არის remedium amoris ძებნა, რაც ოვიდიუსამდელი მედეასათვის არ იყო დამახასიათებელი. ა. მ., ფლაკუსის „არგონავტიკის" VII წიგნში მედეა საყვედურობს კირკეს სახით მოვლენილ ვენუსს, რომ არაფერი კურნავს ვნების ცეცხლს: sed magis his miseram, quando potes, eripe curis / unde metus aestusque mihi quaeque aspera, mater, / perpetior dubiae iamdudum incendia mentis (Val. Flacc. 7. 241-243), ეს ადგილი შეესატყვისება პასაჟს „ჰეროიდე-

---

[24] ფ. შიმანი თავის სტატიაში სხვა მრავალ საინტერესო მაგალითსა და პარალელს გვთავაზობს.
[25] S. Wetzel, Die Gestalt der Medea bei Valerius Flaccus, Diss. Kiel 1957; U. Eigler, Monologische Redeformen bei Valerius Flaccus, Frankfurt a. M. 1988.
[26] მონოლოგებთან დაკავშირებით იხ.: U. Auhagen, Medea zwischen Ratio und Ratlosigkeit, *ROV* III, München 2004, 91-102.

ბის“ XII წერილიდან, სადაც მედეა ჩივის, რომ სიყვარულის ცეცხლს ვერანაირი ჯადოსნური საშუალება აქრობს: quaeque feros pepuli doctis medicatibus ignes, / non valeo flammas effugere ipsa meas. (Ov. her. 12, 165ff).[27] ფლაკუსთან ჰესიონეს განთავისუფლების ეპიზოდი სტრუქტურულ მსგავსებას ავლენს „მეტამორფოზების“ პერსევსისა და ანდრომედას ამბავთან (Met. 4,663-764).[28] ოვიდიუსთან, ფლაკუსის მსგავსად, შეინიშნება ინტერესი კავკასიაზე არსებული თქმულებებისადმი, მის თხზულებებში მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული კოლხური გარემოს შესახებ, რაც, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ პოეტი ოქტავიანუს ავგუსტუსის ბრძანებით შავი ზღვის სანაპიროზე იყო გადასახლებული.[29] საყურადღებოა ისიც, რომ ოვიდიუსის შემოქმედება მნიშვნელოვანი წყაროა ფლაკუსისათვის თავისი გამოგონილი პერსონაჟებისათვის სახელდების პროცესშიც.

ვერგილიუსისა და ოვიდიუსის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფლაკუსთან სენეკას „მედეას“ რეციპირების საკითხს.[30] ჯერ კიდევ ფ. მემელი აღნიშნავდა, რომ ვალერიუსის გამომსახველობითი მანერა დავალებულია სენეკას დრამებისგან;[31] ა. მ., საკმარისია თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე ადგილი მოვიყვანოთ: (Val. Flacc. 1. 76 / (Ps.) Sen. Herc. Oet. 623; Val. Flacc. 1. 205 / Sen. Oed. 315; Val. Flacc. 4. 51, 51 / Sen. Tro. 419; Val. Flacc. 4. 163ff / Sen. Oed. 613ff.). განსაკუთრებულ მიმართებას გვიჩვენებს სენეკას „მედეასთან“ ფლაკუსის „არგონავტიკის“ მეხუთე (5. 231-277) და მერვე წიგნებში გადმოცემული გმირთა მოტივაციები (8. 414-446). უდავოდ, როდესაც ფლაკუსის „არგონავტიკას“ ვკითხულობთ, გვიჩნდება შეგრძნება, რომ მედეას და აიეტის სახეების ინტერპრეტაციისას ფლაკუსი მნიშვნელოვანწილად არის სენეკასგან დავალებული.[32] ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება კოლხიდაში ომის ეპიზოდის ჩართვას, რაც ფლაკუსს საშუალებას აძლევს, ჯერ ერთი: წარმოაჩინოს იასონის სიქველე, რათა მედეამ ესონიდი დაინახოს უშუალოდ საგმირო საქმის ჩადენის პროცესში და, მეორე: აიეტი ექსპონი-

---

[27] სხვა მრავალი პარალელის შესახებ იხ.: F. Bessone, Valerius Flaccus und die Medeen des Ovid, *ROV*, München 1998, 141-171.

[28] ოვიდიუსისა და ფლაკუსის ნაწარმოებთა ზოგიერთი ეპიზოდის შეპირისპირება წარმოდგენილია მეცნიერების ნაშრომებში: E. Frank, An Ovidian episode in Valerius Flaccus' *Argonautica*, RIL 105, 1971, 320-329. E. Burk, Die Befreiung der Andromeda bei Ovid und der Hesione bei Valerius Flaccus (Metam. 4, 663-764; Argon. 2, 451-578), WS 10, 1976, 221-238.

[29] И. Гагуа, Овидий Назон и древняя Колхида, Тбилиси 1984. ნ. კეჭაყმაძე, ოვიდიუს ნაზონი საქართველოს შესახებ, თსუ შრომები 69, 1958.

[30] K. Schenkl, Studien zu den Argonautica des Valerius Flaccus, SB Wien, phil.-hist.Kl. 68, 1871, 271-382; W. C. Summers, A study of the Argonautica of Valerius Flaccus, Cambridge 1894, 40ff.

[31] F. Mehmel, Valerius Flaccus, Diss. Hamburg 1934, 109-119, 130-135.

[32] J. Wetzel, Die Gestalt der Medea bei Valerius Flaccus, Diss. Kiel 1957, 3, 102-104, 176f.

რებულია როგორც ტიპური ტირანი, რომელიც ასეთი აშკარად გამოხატული თვისებებით არც აპოლონიოსთან გვხვდება და, უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ვერგილიუსთან მოიძებნება მისი პროტოტიპი.[33] მმართველობისაკენ სწრაფვა, ეგოიზმი, საკუთარი ინტერესების ქვეყნის და ნებისმიერი ცალკეული პიროვნების ინტერესებზე მაღლა დაყენება, ყოველგვარი საშუალების გამოყენება მიზნის მისაღწევად, ira და furor – ყოველივე ეს უთუოდ სენეკასეულ ტირანის სურათს მოგვაგონებს. ამდენად ფლაკუსის აიეტი გარკვეულწილად ჰგავს კრეონს: მას არ სურს, დააბრუნოს იასონი, როგორც აიეტს არ სურს საწმისის გაცემა (Val. Flacc. 5. 261; 6. 19 / Sen Med. 272f., 482, 489). აიეტის მსგავსად, არც ის ფიქრობს ასულის ბედზე და არც ქვეყნისაზე. რომ არ ექორწინა ხელმეორედ იასონს მის ასულზე, მედეას შურისძიების საფუძველი აღარ ექნებოდა. აქ რთავს სწორედ ფლაკუსი მოქმედების განვითარებაში დრამატულ ელემენტებს. აიეტს აფრთხილებს ფრიქსუსის აჩრდილი, გასცეს საწმისი, თუმცა იგი უგულებელყოფს რჩევას, და, შესაბამისად, უბედურებაც არ აყოვნებს. სენეკასთან მიმართებას გვიჩვენებს ასევე მთავარ პერსონაჟთა მონოლოგები. აბსირტუსისა და სტირუსის (8. 261-284. 335-355), ისევე როგორც მედეას სიტყვები დრაკონისა (8. 92-108) და იასონისადმი (8. 45-53. 414-446) სენეკას ტრაგედიების მონოლოგებს მოგვაგონებს, რამდენადაც ყველგან ფლაკუსს სააშკარაოზე გამოაქვს ადამიანის შინაგანი სამყარო. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ მედეას საყვედურებით აღსავსე სიტყვა იასონისადმი, როდესაც იასონი მზად არის, აიეტის ასული მდევარ კოლხებს გადასცეს. აქ გვახსენდება შესატყვისი პასაჟები სენეკას „მედეადან“: სიტყვა კრეონისადმი (Sen. Med. 179-300) და იასონისადმი (Sen. Med. 431-578). მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, სენეკა, ისევე როგორც ფლაკუსი, ცდილობენ, მედეას გაუგონ, წარმოგვიდგენენ მას არა მხოლოდ თავისი ვნებების მსხვერპლად, არამედ მის გვერდით მყოფი ადამიანების მსხვერპლადაც, ამით გარკვეულწილად თანაუგრძნობენ მას და ცდილობენ, იგივე შეგრძნება აღძრან მკითხველშიც.[34]

რაც შეეხება ვარონ ატაცინუსს, მისი პოემის ფრაგმენტების და ფლაკუსის პოემის მსგავსი ადგილების შეპირისპირების საფუძველზე დ. ფელეტი მიდის დასკვნამდე, რომ ვარონ ატაცინუსის პოემამ გამოძახილი ვერ პოვა ფლაკუსთან:

---

[33] H. Stadler, Valerius Flaccus, Argonautica VII. Ein Kommentar (Spudasmata 49), Hildesheim/Zürich/New York, 1993, 5.

[34] St. Grewe, Der Einfluß von Senecas Medea auf die *Argonautica* des Valerius Flaccus, *ROV* III, München 2004, 187.

„Die Fragmente des Varro enthalten keinen Anklang an Valerius Flaccus' Gedicht. Gemeinsam sind nur unbedeutende Übereinstimmungen, die auf die Grundzüge des erzählten Stoffes oder der epischen Sprache zurückgeführt werden können. Dagegen zeigen sich grundlegende Unterschiede sowohl im Inhalt als auch in den formalen Eigenschaften der zwei Gedichte“.[35] აქედან გამომდინარე, არც ჩვენ შევაჩერებთ მასზე ყურადღებას და მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ ფლაკუსის მნიშვნელოვან მიმართებას მის ელინისტ წინამორბედთან.

2. ფლაკუსი და აპოლონიოს როდოსელი

შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიძლება შევნიშნოთ, რომ ფლაკუსისათვის აშკარად პროტოტიპს სწორედ აპოლონიოს როდოსელის პოემა წარმოადგენს, თუმცა გვაქვს საკმაოდ არსებითი განსხვავებებიც; აშკარა მიმართება თავს იჩენს თავად პოემის სათაურში, პოემის სტრუქტურაში, სიუჟეტურ ელემენტებსა და პოეტურ ენაში; რასაკვირველია, ყოველივე ამას ემატება თითოეული ამ მომენტის პოეტური ინტერპრეტაციის ხარისხი.

ამ თავში დეტალურად არის განხილული აპოლონიოსთან ფლაკუსის პოემის მსგავსება და განსხვავების უმნიშვნელოვანესი ასპექტები.

აპოლონიოს როდოსელს, როგორც ჩანს, სურდა, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადმოეცა მინიების ლაშქრობასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა და შეექმნა ნაწარმოები, რომელიც გარკვეულწილად „ილიადისა“ და „ოდისეას“ მოტივების ნაზავი იქნებოდა. მისი პოემა, რომელიც ოთხი წიგნისგან შედგება, სტრუქტურულად ორ თანაბარ ნაწილად იყოფა: პირველში გადმოცემულია მოგზაურობა კოლხიდისაკენ (I და II წიგნებში), მეორეში კი კოლხიდაში თავგადასავალი, რაც დაკავშირებულია ოქროს საწმისის მოპოვებასთან; მას მოსდევს არგონავტების უკან დაბრუნების მარშრუტი (III და IV წიგნები). მცდელობის მიუხედავად, აპოლონიოსმა ვერ მოახერხა კომპოზიციურად შეკრული პოემის შექმნა, რის გამოც, ფორმის თვალსაზრისით, მისი „არგონავტიკა“ უფრო მეტად მცირე ეპილიონთა ნაზავს წარმოადგენს, ვიდრე კომპოზიციურად შეკრულ ერთიან ეპოსს. ვალერიუს ფლაკუსმა გააორმაგა წიგნების რაოდენობა, თუმცა ამით პოემის მოცულობა არ გაზრდილა (Ap. Rhod. – 5835 სტრ. / Val. Flacc. – 5631 სტრ.). სტრუქტურულად ფლაკუსის ნაწარმოები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ,

[35] D. Feletti, Valerius Flaccus und die Argonautae des Varro Atacinus, *ROV* III, München 2004, 112.

პირველ ნაწილში (I – V. 216) გადმოცემულია არგონავტების მგზავრობა იოლკოსიდან კოლხიდამდე, სადაც მონაცვლეობით გადმოცემულია არგონავტთა მოგზაურობის და ამა თუ იმ ადგილას შეჩერების ამბები, მეორე ნაწილში (V.217 – VIII) კი – კოლხიდაში განვითარებული ამბები; შესაბამისად, თხრობის სტილი იცვლება და ინტენსიფიცირებულია ოქროს საწმისის მოპოვებასთან დაკავშირებული მოვლენები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი ნაწილის დასასრული არ ემთხვევა უშუალოდ მეოთხე წიგნის სიმღერის დასასრულს, არამედ მოიცავს მეხუთე წიგნის პირველ მეოთხედსაც. კომპოზიციის ასეთი სტილი პოემის სხვა ადგილებთან მიმართებაშიც დასტურდება.[36] აშკარაა, ამ შემთხვევაში ფლაკუსი არ მისდევს აპოლონიოსს, არამედ იყენებს ვერგილიუსისეულ პრინციპს. ვერგილიუსთან პოემის მეორე ნაწილი (Aen. 7. 37) იწყება 36-ე სტრიქონის შემდეგ (= 6 × 6), ფლაკუსთან (5. 217) კი 216-ე სტრიქონის შემდეგ (= 6 × 6× 6).[37]

როგორც ცნობილია, ორივე პოემა ეხება არგონავტების ლაშქრობას კოლხიდაში, თუმცა, თუ აპოლონიოსი, როგორც poeta doctus, ცდილობს მეცნიერული სიზუსტით გადმოსცეს არგონავტების ლაშქრობის მარშრუტი, ჩართოს თხრობაში სხვადასხვა ხასიათის მოკლე ექსკურსები, ფლაკუსს აქცენტები სხვა ასპექტზე გადააქვს. მართალია, ორივე პოემა იწყება არგონავტების ლაშქრობის მზადებით, მაგრამ, თუ აპოლონიოსთან მთავრდება მინიების იოლკოსში დაბრუნებით, ფლაკუსის პოემის მერვე თავი უეცრად წყდება იქ, სადაც იასონი ფიქრობს, მედეა მდევარ კოლხებს გადასცეს. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მოქმედება და როგორი დასასრული უნდა ჰქონოდა ლათინურ ვერსიას[38]. რამდენადაც ეს საკითხი ვალერიუს ფლაკუსის კვლევის პრობლემატიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე საგანგებოდ შევაჩეროთ ყურადღება.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ფლაკუსის „არგონავტიკა“ 12 წიგნისაგან შედგებოდა. სამერსი ფიქრობს, ფლაკუსს აპოლონიოს როდოსელთან შედა-

---

[36] შდრ. E. Lüthje, Gehalt und Aufriss der Argonautica des Valerius Flaccus, Diss., Kiel 1971, 88, 184-185; E. Burck, Die Argonautica des Valerius Flaccus, in: E. Burck (Hrsg.), Das römische Epos (Grundriß der Literaturgeschichten nach Gattungen), Darmstadt 1979, 217-218; P. Dräger, C. Valerius Flaccus. *Argonautica*. Die Sendung der Argonauten. Lateinisch-Deutsch, Hg., übers. u. komm., Studien zur klassischen Philologie 140, Frankfurt a.M, Berlin, Bern, Bruxelles, New York, Oxford, Wien 2003, 449; G. Manuwald, Die Cyzicus-Episode und ihre Funktion in den *Argonautica* des Valerius Flaccus, Hypomnemata 127, Göttingen 1999, 11-15.

[37] შდრ. F. Mehmel, 1934, 56; W. Schetter, 1959, 300-303; J. Adamietz, 1976, 108-109; H. J.W. Wijsman, 1996, 4; P. Dräger, 2003, 449, 572-573.

[38] W.C. Summers, A study of the Argonautica of Valerius Flaccus, Cambridge 1894, 7.

რებით საკმაოდ უნდა განევრცო „არგონავტიკა“, რამდენადაც არგონავტებს ბრიტანეთამდე უნდა მიეღწიათ. კიდევ უფრო შორს მიდის მური, რომელიც მიიჩნევს, რომ ფლაკუსს თავის „არგონავტიკაში“ აგრეთვე უნდა გადმოეცა კორინთოსში განვითარებული ამბები.[39] არის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „არგონავტიკა“ 10 წიგნისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.[40] მეცნიერთა დიდი ნაწილი, რომელთაც ჩვენც ვემხრობით, თვლის, რომ ფლაკუსის „არგონავტიკა“ რვა წიგნს მოიცავდა.[41] პოემის კომპოზიციური ანალიზის საფუძველზე ჯ. ადამიცი[42] სწორედ ამ დასკვნამდე მიდის. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ჰ.-გ. ნეზელრათი, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტაციას წარმოადგენს[43], რასაც ჩვენ ოდნავ ქვემოთ მივუბრუნდებით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერები არც იმ საკითხზე არიან ერთსულოვანნი, თუ რატომ არის მერვე წიგნი ნაკლული. ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს პოეტის უეცარმა გარდაცვალებამ განაპირობა, ამ თვალსაზრისს წარმოადგენს ჰ. მ. პურტვლიე: „No, Valerius Flaccus did not apply the last file to the Argonautica. He probably did not even get any further than line 467 of book 8, but died shortly after he had written *me talie velle*“,[44] ნაწილი კი თვლის, რომ მას არც ჰქონია განზრახული, გაეგრძელებინა თხრობა. ადამიცი აღნიშნავს: „Daß sich der verlorene bzw. nicht mehr geschaffene Schluß des Werkes auf die Auseinandersetzung bei der Insel Peuce konzentrierte und dann verhältnismäßig rasch die Heimkehr erfolgte“.[45]

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ფლაკუსის „არგონავტიკის“ უკანასკნელი სტრიქონები: კოლხიდიდან გამგზავრების შემდეგ არგონავტები შეჩერდნენ ისტროსის შესართავთან, კუნძულ პევკეზე, სადაც იასონისა და მედეას ქორწინება უნდა შედგეს. არგონავტების სიმშვიდეს მოახლოვებული კოლხი მდევრები არღვევენ. მათ აბსირტუსი მეთაურობს, რომელსაც მიზნად აქვს არგონავტების განადგურება (8. 270-275). იუნოს ჩარევით უეცრად ატეხილი გრი-

---

[39] C.H. Moore, Prophecy in the Ancient Epic, Harvard Studies of Classical Philology 32, 1921, 166.
[40] J. Soubiran, Valerius Flaccus. Argonautiques. Introduction, Texte et traduction rythmée, Notes et Index (Bibliothèque d'études classiques 33), Louvan, Paris, Dudley (Ma) 2002, 32-35.
[41] W. Schetter, Die Buchzahl der Argonautica des Valerius Flaccus, Philologus 103, 1959, 297-308; E. Frank, The Structure of Valerius Flaccus' *Argonautica*, CB 43, 1967, 38-39; G. Liberman, Valerius Flaccus. Argonautiques Texte établi et traduit, 2 vol. (CUF lat. 340/369), Paris 1997/2002, 24-48; F. Caviglia, Valerio Flacco. Le Argonautiche, introduzione, traduzione e note (BUR Classici greci e Latini), Milano 1999, 17-19.
[42] J. Adamietz, Zur Komposition der Argonautica des Valerius Flaccus (Zetemata 67), München 1976, 107-113.
[43] H.-G. Nesselrath, Jason und Absyrtus – Überlegungen zum Ende von Valerius Flaccus' Argonautica, in: *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus*, hg. v. U. Eigler, E. Lefèvre, München 1998, 347-354.
[44] H.M. Poortvliet, Valerius Flaccus and the last file, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991, 43.
[45] J. Adamietz, op. cit. 113.

გალის გამო კოლხები ვერ ახერხებენ არგონავტებთან მიახლოვებას. შეშფოთებული არგონავტები იასონს არწმუნებენ, რომ მედეა კოლხებს გადასცეს (8. 387f.). იასონი მერყეობს, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ამჯობინებს, არგონავტების ნებას დაჰყვეს (8. 404-408). მედეა გრძნობს მოახლოვებულ საფრთხეს (8. 415-444) და იასონს საყვედურებით ავსებს, ეს უკანასკნელი თავის მართლებას ცდილობს და მის მიერ წარმოთქმული პირველი სტრიქონის შემდეგ (mene aliquid metuisse putas? me talia velle?, 8. 467) ტექსტი წყდება.

თუ წინამდებარე წიგნების მოცულობას გავითვალისწინებთ (I – 850; II – 664; III – 740; IV – 762; V – 695; VI – 800; VII – 653), ჩვენამდე არასრული სახით მოღწეულ მერვე წიგნს, რომელიც 467 სტრიქონს მოიცავს, სავარაუდოდ, კიდევ 400-500-მდე სტრიქონი მოსდევდა. შესაბამისად, ის ინფორმაცია, რაც აპოლონიოს როდოსელთან საკმაოდ ვრცელ ადგილს იჭერს (1400 სტრ.), ლათინურ ვერსიაში ოსტატურად უნდა ყოფილიყო აკუმულირებული. ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ საკმაოდ დაძაბული მდგომარეობა, სადაც ფლაკუსის ეპოსი წყდება, უნდა განმუხტულიყო აბსირტუსის სიკვდილით და პრაქტიკულად ამის შემდეგ უნდა დასრულებულიყო კიდეც ნაწარმოები.[46] გარკვეულწილად ფლაკუსს ვერგილიუსისეული დასასრული უნდა გაეზიარებინა. როგორც „ენეიდა“ მთავრდება ტურნუსის დაძლევით და სიკვდილით, რომელიც ენეასის fata-ს აღსრულებას უშლის ხელს, ასევე უნდა ყოფილიყო ფლაკუსის ეპოსში აბსირტუსის ფაქტორი იასონის უკანასკნელი დაბრკოლება, რომელიც მას ხელს უშლიდა სამშობლოში დაბრუნებაში.

აქედან გამომდინარე, აპოლონიოს როდოსელთან ვრცლად წარმოდგენილი არგონავტების უკან დაბრუნების ეპიზოდები საკმაოდ რედუცირებულია და კონცენტრირებულია ფლაკუსთან ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი უფუნქციობის გამო. მოკლედ გადავავლოთ თვალი ამ ეპიზოდებს:

ქორწილი ფეაკებთან: აპოლონიოსთან მდევარ კოლხთა ორი ჯგუფია წარმოდგენილი (Ap. Rhod. IV 303-328), ფლაკუსთან – ერთი. აპოლონიოსთან აფსირტოსი არგონავტებს ეწევა ჯერ კიდევ ისტროსის შესართავში შესვლამდე. მეორე ჯგუფი კი მათ მიჰყვება ფეაკების კუნძულამდე, რაც იასონისა და მედეას ქორწინებას აჩქარებს. რამდენადაც ფლაკუსთან იასონისა და მედეას ქორწილი

[46] H.-G. Nesselrath, Jason und Absyrtus – Überlegungen zum Ende von Valerius Flaccus' Argonautica, in: *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus*, hg. v. U. Eigler, E. Lefèvre, München 1998, 349.

ისტროსის შესართავთან, კუნძულ პევკეზე ხდება და მასთან საერთოდ არ არსებობს მდევარ კოლხთა მეორე ჯგუფი, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ფლაკუსთან არც იყო დაგეგმილი ფეაკებთან არგონავტების მისვლა, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფუნქციას მოკლებული იქნებოდა.[47]

კირკე: აპოლონიოსთან კირკეს ეკისრება ფუნქცია, განწმინდოს მედეა და იასონი შეცოდებისგან, რაც აფსირტოსის მკვლელობით ჩაიდინეს. თუ იმას დავუშვებთ, რომ აბსირტუსის მკვლელობა ფლაკუსის „არგონავტიკაში“, „ენეიდის“ მსგავსად, არის fata-ს განხორციელებისათვის აუცილებელი, მაშინ კირკესთან მისვლის ეპიზოდიც კარგავს თავის ფუნქციას. გარდა ამისა, მეშვიდე წიგნში კირკეს სახით ვენუსი მოევლინება მედეას და მას იასონის საკეთილდღეოდ განაწყობს, ასე რომ, ალბათ შემდგომ კიდევ კირკეს ჩართვა უფუნქციო იქნებოდა. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, ჩანს, რომ კირკე იმყოფება მედეასთან ანუ კოლხიდაში და, შესაბამისად, გამორიცხულია, დავუშვათ, რომ მედეა და იასონი აბსირტუსის მკვლელობის შემდეგ კირკესთან წავიდოდნენ.

ე. წ. „ოდისეას“ ეპიზოდები: რის აღწერასაც საგულდაგულოდ ეკიდება აპოლონიოსი, რამდენადაც თავის პოემაში მრავალ ეთნოგრაფიულსა თუ ეტიოლოგიურ ექსკურსს რთავს, ნაკლებ საყურადღებოდ მიიჩნევს ფლაკუსი. მასთან უკან დაბრუნების ზღაპრული თავგადასავალი საგრძნობლად არის რედუცირებული. რომაელი ეპიკოსი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს კავკასიის გეოგრაფიის და ეთნოგრაფიული მასალის ექსპონირებას, რასაც აიეტსა და პერსესს შორის კოლხიდაში მომხდარი ომის ფონზე წარმოგვიდგენს (ამ საინტერესო ინფორმაციის მხატვრულად გადმოცემას ეთმობა მასთან მეხუთე წიგნის უმეტესი ნაწილი და მთლიანად მეექვსე წიგნი).

დაბრუნების მარშრუტი: არგონავტების თქმულების დამამუშავებელ ნაწარმოებებში არგოს სამშობლოში დაბრუნების განსხვავებული მარშრუტები არსებობს, რაც, ბუნებრივია, ამა თუ იმ ეპოქის მწერლისათვის ხელმისაწვდომ ისტორიულ-გეოგრაფიულ ცოდნას არეკლავდა, შესაბამისად, გეოგრაფიული არეალის გაზრდა იწვევდა ამ სფეროში ცოდნის გაფართოებას და ამასთან ერთად ხდებოდა ამ ინფორმაციის სახეცვალებაც. დაბრუნების ყველაზე მოკლე მარშრუტი ჰგავს გამგზავრების მარშრუტს, ანუ უკან შავ ზღვაში გასვლა და სიმპლეგადებს შორის გაცურვა. ვალერიუსმა ეს მარშრუტი თავიდანვე შეცვალა, როდესაც მესაჭე ერგინუსის პირით ამ მიმართულებით ცურვა შეუძლებლად

[47] J. Adamietz, op. cit. 111.

გამოაცხადა (8.180-183), მასთან არგონავტებმა არ იციან, რომ სიმპლეგადები უკვე აღარ მოძრაობენ. ერგინუსი მიუთითებს ისტრუსის შესართავზე და, ამდენად, ფლაკუსი არსებითად მიჰყვება აპოლონიოსის მარშრუტს. ვალერიუსის დროისათვის საოცრად გაზრდილია რომის თვალსაწიერი დასახლებული სამყა-როს შესახებ, რომაელების მიერ ისტროსის დაპყრობამ ისიც ცხადყო, რომ არანაირი კავშირი მდინარის საშუალებით არ არსებობს ადრიატიკის ზღვასა და ისტროსს შორის. ჩნდება კითხვა: რატომ აირჩევდა ისეთ მარშრუტს ფლაკუსი, რომლის უსაფუძვლობაც მისთვის იმ დროისათვის უკვე ცნობილი იქნებოდა. ჰაინც-გიუნთერ ნეზელრათის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ფლაკუსმა კარგად უწყოდა, რომ რეალური გეოგრაფიული მონაცემები არ შეესაბამებოდა მის მიერ მოთხრობილს, მაინც აპოლონიოსის მარშრუტი აირჩია ისტროსის გავლით, თუმცა, გარკვეული მოდიფიკაციით. ამას იმით ასაბუთებს, რომ, სავარაუდოდ, იასონის მიერ აბსირტუსის დაძლევის შემდეგ, ფლაკუსი, ალბათ, საერთოდ აღარ გააგრძელებდა მომდევნო პუნქტების ჩამოთვლას.[48]

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რთული მისიის წინაშე იდგა ფლაკუსი პოემის შექმნისას. მას უნდა გაეთვალისწინებინა მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც მისი ეპოსის შექმნას უძღოდა წინ და ამასთანავე უნდა მოეხერხებინა, ინდივიდუალური ყოფილიყო ყველასათვის ცნობილი თემის დამუშავებისას.

მისდევს თუ არა რომაელი პოეტი ბერძნულ პარადიგმას და რამდენად ორიგინალურია იგი ტრადიციული ამბის დამუშავებისას? ალბათ, ეს არის ის ძირითადი კითხვა, რომელსაც ვალერიუს ფლაკუსის პოემა აღძრავს. უნდა აღინი-შნოს, რომ ბერძნულმა მოდელმა ვალერიუს ფლაკუსთან მართლაც განიცადა გარკვეული სახეცვლილება, ოღონდ ეს ნაკლებად შეეხო პოემის შინაარსობრივ მხარეს და ძირითადად გმირთა მოქმედების მოტივაციათა ცვლილებაში აისახა. ალბათ, პირველ რიგში, სწორედ ტრადიციად ქცეულ მოტივაციათა ტრანსფორმა-ცია არის ის, რაც ვალერიუს ფლაკუსის თხზულებას ორიგინალურსა და საინტე-რესოს ხდის.

როგორც უკვე ითქვა, სრულიად განსხვავებულ ჭრილში მოჩანს იასონის გა-დაწყვეტილება, როდესაც იგი სახიფათო ლაშქრობისთვის ემზადება. რომაული საზოგადოება იასონის სიქველეში უფრო მეტად რომ დაერწმუნებინა, ფლაკუსი თავის ეპოსში რთავს ახალ ეპიზოდს – პერსესსა და აიეტს შორის მომხდარ ომს.

[48] H.-G. Nesselrath, op. cit. 353-4.

სწრაფვა სახელის მოსაპოვებლად – ამ იდეით არის გამსჭვალული იასონი და თვით არგონავტები. ფლაკუსთან განსხვავებულად არის მოტივირებული მედეას საქციელი, როდესაც იგი უცხოტომელს ეხმარება. მედეა აღშფოთებულია მამის უსამართლობით, რომელმაც სტუმრისთვის მიცემული სიტყვა გატეხა. საინტერესოდ არის გადაწყვეტილი აბსირტუსის სცენაც, ტრადიციის თანახმად, მედეამ სატრფოს მცირეწლოვანი ძმაააკუწინა. ვალერიუს ფლაკუსი კი მას მამაც, დაუნდობელ, უბადლო მეომრად წარმოგვიდგენს, რომელიც იასონსაც ემუქრება და მის სამშობლოსაც (8. 270-9).[49] მართალია, აქ ფლაკუსის პოემა წყდება და აბსირტუსის მკვლელობა აღწერილი აღარ არის, მაგრამ მკითხველისთვის ცხადია, რომ იასონი მისი მოკვლით მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, სამშობლოსაც დაიცავს.

რამდენადაც ცალკე თავში დაწვრილებით ვიმსჯელებთ მედეას, აიეტისა და აბსირტუსის შესახებ, ამჯერად ყურადღებას იასონზე შევაჩერებთ; ფლაკუსი ამ პერსონაჟს აპოლონიოს როდოსელისაგან და მთელი მითოგრაფიული ტრადიციისაგან რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვიდგენს. მისი იასონი საკმაოდ რაციონალურად მოქმედებს, საღად აფასებს შექმნილ მდგომარეობას და უმეტესწილად სწორ გადაწყვეტილებამდე მიდის და, რაც ყველაზე მთავარია, იგი ხშირ შემთხვევაში ინიციატივას საკუთარ თავზე იღებს. ის არსებითი შტრიხი, რაც იასონს აპოლონიოს როდოსელის მიერ წარმოდგენილი პერსონაჟისგან გამოარჩევს, არის რაციონალურად მსჯელობის უნარი, სწრაფი რეაგირება რთულ სიტუაციაში, მობილიზება, ინიციატივის ხელში აღება – ყოველივე ეს სრულიად უცხოა აპოლონიოს როდოსელის იასონისათვის.

შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ იასონი უბადლო ორატორია. როდესაც ის სიტყვას წარმოთქვამს, ახერხებს გონივრული აქცენტების დასმას, ორი შესაძლო ვარიანტიდან ხელსაყრელი ვერსიის არჩევას; როდესაც ესონიდი პელიასისგან რთულ დავალებას მოისმენს, განსჯის, რომ არ შეეფერება უარის თქმა, ამიტომ უნდა დასთანხმდეს მეფეს, თუმცა ამასთანავე იმასაც მოისაზრებს, რაც პელიასს რთულ სიტუაციაში ჩააგდებს (1.152-155).[50] ამ მიზნით დაიყოლიებს იასონი მეფის ვაჟს (საგულისხმოა, რომ აპოლონიოს როდოსელთან აკასტუსი თავისი გადაწყვეტილებით მიდის სალაშქროდ), გაჰყვეს შორეულ ნაოსნობაში.

[49] არსებობს, სხვა ტრადიციაც, რომლის მიხედვითაც, აფსირტოსი არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის ახალგაზრდა ყმაწვილია და განცალკევებით ცხოვრობს საკუთარ სასახლეში (Ap. Rhod. III 241).

[50] მიუხედავად იმისა, რომ იასონმა იცის, შესაძლოა, უბედურება მის ახლობლებს დაატყდეთ თავს და გამგზავრებისთანავე საშინელი წინათგრძნობა იპყრობს (1.693-699), მაინც არ ცვლის გადაწყვეტილებას.

მის მიერ აკასტუსის მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე გავამახვილებთ ყურადღებას: 1. მაქსიმალურად მოქმედებს მის თავ-მოყვარეობაზე: ამბობს, რომ არც ტელამონი არც კანთუსი, არც იდასი და არც ტინდარიდი ისე არ იმსახურებს ოქროს საწმისს, როგორც აკასტუსი (1.166-7); 2. სპეკულირებს სახელის უკვდავების თემით: „როდესაც მე უკან დავბრუნდები, შენ შეგრცხვება ჩვენი სახელოვანი საქმეების, როცა უცხო ხალხების შესახებ მოვყვები, შენ გული დაგწყდება“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იასონი საკმაოდ ლაკონური სიტყვით აღწევს სასურველ შედეგს: ამ სიტყვების შემდეგ აკასტუსი ჰპირდება იასონს, რომ მამას გამოეპარება და სალაშქროდ მას გაჰყვება. უფრო მეტიც, იასონის სიტყვებმა იმდენად იმოქმედეს მის პატივმოყვარეობაზე, რომ აკასტუსი მადლობასაც კი უხდის იმისათვის, რომ საშუალებას აძლევს სიქველეში თავის გამოიჩინოს (1. 174ff).

იასონის კარგ ორატორობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას შეუძლია საჭირო დროს შესაფერისი სიტყვის თქმა: არგონავტების გამგზავრების წინ მოპსუსი და იდმონი ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მისნობას იძლევიან:[51] მოპსუსი საკმაოდ ბნელ ფერებში წარმოადგენს არგონავტების მოსალოდნელ ხვედრს, იდმონის კი პირიქით, გაცილებით უფრო იმედის მომცემია; საგულისხმოა, რომ იასონი ყურადღებას სწორედ იდმონის მისნობაზე ამახვილებს და მიმართავს ჯარს: „რამდენადაც შეიტყვეთ ღვთაებათა ნება, ძალა მოიკრიბეთ და მამათა თავდაჯერებულობა გამოიჩინეთ. მე არ მსურს გავკიცხო თესალიელი მმართველის განზრახვა ან მზაკვრული ეშმაკობა. ღვთაება მოგვიწოდებს კეთილი ნიშნით. თვით იუპიტერს სურს მიწაზე ლაშქრობა და რომ ადამიანებს რთული საქმე ჰქონდეთ. მომყევით, ამ საქმეებს მერე გავიხსენებთ, რაც სამომავლოდ წააქეზებს ჩვენს შვილებსაც“ (1.241ff.).

იასონი ყოველთვის ახერხებს სასურველი შედეგის მისაღწევად თავისი აზრის დამალვასა და შენიღბვას: ფრიქსუსის საკურთხეველთან და ჰელეს კენოტაფთან (5.194-209) წარმოთქმულ სიტყვაში მისთვის „საშიში და საძულველი“ მხარე შემკობილია ისეთი ეპითეტებით, რომ აშკარაა, იასონი ამ შემთხვევაშიც არ ავლენს საკუთარ განწყობას. თავიდან აქცენტს აკეთებს ნათესაობაზე და მფარველობასა და შემწეობას სთხოვს ფრიქსუსს ამ უცხო ქვეყანაში. ჰელეს ეუბნება, კვლავ როდის ეღირსება მის ზღვაში გაცურვა და როდის იხილავს

[51] E. Lefèvre, "Die Opfer-Szene im ersten Buch (1,184-254) und das Iason-Bild in Valerius Flaccus' Argonautica" in M. Korn and H.J. Tschiedel (edd.), *Ratis omnia vincet. Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* Hildesheim 1991, 173-180.

ზღვა კვლავ ოქროს საწმისს. კოლხიდას მოიხსენიებს როგორც „სტუმართმოყვარე სანაპიროს“ და სთხოვს აჩვენოს, თუ სად მდებარეობს ოქროს საწმისი, ფასისს მოიხსენიებს „იუპიტერის ძედ“ (მხოლოდ ამ ადგილას 5.204) და ადარებს დიდ ენიპევსს. კომპლიმენტებს არ იშურებს მედეასთვისაც, როდესაც ის პირველად შეხვდება ქალწულს (5.378-390):[52] „ქალღმერთი ხარ, მაღალი ოლიმპოს მშვენება, თავისუფლების მოყვარულთ მიყავხარ კავკასიელ ნიმფებს თავიანთ მდინარეებთან, შენი სახლი თუ მიწაზეა და აქ არის შენი მოდგმა, ბედნიერია ბავშვის მშობლები და ბედნიერია ის, ვინც სახლში წაგიყვანს და დაიწინდება შენზე სამარადჟამოდ. მაგრამ დაეხმარე, დედოფალო, მამაც უცხოელთა ლაშქარს, წარჩინებული ბერძნები ვითხოვთ თავშესაფარს, წაგვიყვანე თქვენს მბრძანებელთან, ვინც არ უნდა იყოს იგი. გთხოვ, გვასწავლე, როდის დაველაპარაკოთ და როგორ. მე, უცხოელს, გასაჭირში ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი. შენ მოგანდობთ ყველაფერს, რაც გვაბადია“. ქება ისე კარგად მოქმედებს მედეაზე, რომ კოლხი ქალწული თვითონ მიასწავლის იასონს აიეტის სასახლისაკენ მიმავალ გზას.

იასონი მედეას კომპლიმენტებით ავსებს მაშინაც, როდესაც მეფის ასული ხარების დაუღლვაში გაუწევს დახმარებას; ხოტბას ასხამს, რომ მისი მგზავრობის ერთადერთი მიზეზია, უდიდესი საგანძურია, რომელიც სამშობლოში მიჰყვება, რა მოსატანია აქ ოქროს საწმისი, მისი ხომალდისათვის ხომ ისიც საკმარისია, რომ ის იპოვა:

'o decus in nostros magnum ventura penates
solaque tantarum virgo haud indigna viarum
causa reperta mihi, <iam>iam non ulla requiro
vellera teque meae satis est vexisse carinae (8.37-40)

მხოლოდ ამის შემდეგ ამჟღავნებს იასონი თავის ნამდვილ სურვილს, რომ მას სურს, მედეა ოქროს საწმისის მოპოვებაშიც დაეხმაროს:

verum age et hoc etiam, quando potes, adice tantis
muneribus meritisque tuis. namque aurea iussi
terga referre sumus (8. 41-43)[53]

[52] ბუნებრივია, აქ გვახსენდება ცნობილი სცენა „ოდისეადან“, როდესაც ოდისევსი ნავსიკაას ხვდება.
[53] „მაგრამ მოდი, შენ ხომ შეგიძლია, ესეც დაუმატე ყველა შენს დამსახურებას და ძღვენს: ოქროს საწმისი უნდა ჩავიტანო სამშობლოში“.

თუმცა აქ იმას შენიშნავს, რომ არა მხოლოდ საკუთარი თავისათვის იღწვის, არამედ „მეგზურების სახელისათვის“ socios ea gloria tangit (37-43).

ყველაზე ეფექტურად იასონი, უდავოდ, კოლხიდაში არის ექსპონირებული;[54] მივყვეთ მოვლენებს თანამიმდევრულად:

არგონავტები კოლხიდაში ჩასვლისთანავე საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. არ იციან, როგორ წარსდგნენ აიეტის წინაშე და გამოთქვან თავიანთი თხოვნა. იასონი ამჩნევს თავისი თანამგზავრების შეცბუნებას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც არ არის მთლად თავის თავში დარწმუნებული, ცდილობს მათ მობილიზებას, უპირველეს ყოვლისა, იმის გათვითცნობიერებით, რომ მათ უამრავი საფრთხე გამოიარეს ზღვაზე და მიაღწიეს იმ მხარეს, რომელიც მათ წინაპრებსაც კი შიშს ჰგვრიდა; მინიების დაძაბუნების განსაქარვებლად იასონი იმასაც კი ამბობს, რისი თვითონაც არ სჯერა, თანამგზავრებს ამხნევებს, რომ აიეტის სამყოფელი სულაც არ არის შუაგულ ჩრდილოეთში, არამედ მზიანი მხარეა და არც მისი მმართველი უნდა იყოს საშიში კაცი:

'quod primum ingentibus ausis
optavistis' ait 'veterumque quod horruit aetas,
adsumus en tantumque fretis enavimus orbem.
nec pelagi nos mille viae nec fama fefellit
Soligenam Aeeten media regnare sub Arcto.
ergo ubi lux altum sparget mare, tecta petenda
urbis et ignoti mens experienda tyranni.
adnuet ipse, reor, neque <in>exorabile certe
quod petimus. sin vero preces et dicta superbus
respuerit, iam nunc animos firmate repulsae
quaque via patriis referamus vellera terris,
stet potius: rebus semper pudor absit in artis.' (5.313-324)[55]

---

[54] იმ მომენტამდე, ვიდრე იგი აიეტის ტრადიციულ დავალებას მიიღებს. აქედან მოყოლებული ფლაკუსის იასონი კვლავ აპოლონიოს როდოსელის იასონს ემსგავსება. ეს, ალბათ, იმითაც არის განპირობებული, რომ აქ ფლაკუსი ძალიან ვერ დაშორდებოდა ტრადიციულ სიუჟეტს.

[55] „რასაც ადრე ასე გაბედულად ესწრაფოდით და რაც ასე შიშს ჰგვრიდა წინაპართა მოდგმას, აქ ვართ ყველა, დავიპყარით ზღვით უზარმაზარი სივრცეები, არ დაგვჭირვებია ხანგრძლივი მგზავრობა, არც ის ყოფილა მართალი, რომ აიეტი შუაგულ ჩრდილოეთში მეფობს, აქ მზე ანათებს, უნდა გავემართოთ ქალაქში, გამოვიძიოთ უცხო მმართველის ბუნება. ვფიქრობ, ნამდვილად არ გვეტყვის უარს, ისეთიც ხომ არაფერი გვსურს, რაც შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ თხოვნაზე ამაყად უარს გვეტყვის, გული შეიმზადეთ ამისთვის, მოვიფიქროთ, თუ რა გზით დავაბრუნებთ საწმისს სამშობლოში, სირცხვილი შორს ასეთ რთულ საქმეში“.

ვფიქრობთ, იასონის ორატორული ნიჭი ყველაზე მეტად აიეტისადმი მიმართულ პირველ სიტყვაში გამოვლინდა (5.471-518). იგი საკმაოდ ოსტატურად აგებს სიტყვას, სწორად სვამს აქცენტებს:

ა) იასონმა კარგად იცის, რომ შექება და კომპლიმენტები სასიამოვნოდ მოქმედებს მსმენელზე: სიტყვის დასაწყისში აიეტს უწოდებს ჰიპერიონის ძეს rex Hyperionide (471), ღმერთებმა სწორედ ის გახადეს ღირსი, რომ ყოფილიყო სანაოსნო ლაშქრობის წამოწყების მიზეზი quem per freta tanta petendum/caelicolae et prima dignum statuere carina (471-2); სიტყვის შუა ნაწილში შენიშნავს, რომ აიეტი მას არ მიაჩნია ისეთ უსამართლო მეფედ, როგორადაც პელიასმა დაუსახა, არამედ მისი სამართლიანობის იმედი აქვს (491-494); სიტყვის დასასრულსაც არ ივიწყებს კომპლიმენტს: ჩემმა მეფემ განგებ აირჩია შენი ქვეყანა ცივი კავკასიის მხარე, რომელიც შენი მმართველობის ქვეშ ლამაზად ვითარდება quem te horrifero sortitus in axe / Caucasus atque tuis quantum mitescat habenis (517-518).

ბ) ინფორმაციას იძლევა საკუთარი წარმომავლობის შესახებ: აღნიშნავს, რომ ფრიქსუსის მოდგმის არიან (473-478, 499-500), ახსენებს ასევე აიეტის შვილიშვილებს, რომლებიც ასევე ნათესავებად ერგებათ ორივე მხარეს. იასონი ყურადღებას ამახვილებს თავის დამსახურებებსა და საკუთარ ძლევამოსილებაზე: იზრუნა ხომალდის აგებაზე, გმირების მოხმობაზე; ბებრიკთა ქვეყანაშიც კი, როდესაც მათმა მეფემ სტუმართმოყვარეობა არ გამოიჩინა, საკადრისად აზღვევინა, რომ იასონი და მისი მეგზურები ღვთიური სისხლისანი არიან, ხომალდს კი მინერვა მფარველობს (495-504). უფრო მეტიც, იასონი თავის თავს ალკიდს ადარებს (479-488), როგორც ევრისთევსმა ალკიდს, მსგავსად მისცა მას პელიასმა რთული დავალება.

გ) მხოლოდ ამის შემდეგ გაანდობს იასონი აიეტს საკუთარ სურვილს: „ბოლოს და ბოლოს მოვაღწიეთ კოლხიდას, და გხედავთ შენ ისეთს, როგორიც გადმოცემით ვიცოდით (505-506). არ განურისხდე მინიებს, რადგან არ ვითხოვ არაფერს ჩვენთვის უცხოს, რაც არ ეგების ჩვენს ქვეყანას. თუ სამართალი არსებობს, დამიჯერე, რომ იგი ფრიქსუსს მიეცემა და ფრიქსუსი მიიტანს მამისეულ პენატებთან“ (505-510).

დ) იასონს არ ავიწყდება ძღვენის ბოძებაც: აიეტს მიართმევს ყველაზე ძვირფას, მშობლების მიერ ნაჩუქარ აღვირს, მოციმციმე თვლებით მოოჭვილ ხმალს და დედის მიერ მოქარგულ ტენერიული ბრინჯაოს ფერის ქლამისს, რომელზეც გამოსახული იყო მოჯირითე ლაპითი (511-515).

საინტერესოა, რა რეაქცია აქვს იასონს, აიეტის თხოვნაზე, დაეხმაროს მას პერსესის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი თავზარდაცემულია, რომ ზღვაზე ამდენი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, იძულებულია კვლავ ომზე იფიქროს, თუმცა ისე აშფოთებს პერსესის საქციელი, რომელიც გარკვეულწილად მას დაბრკოლებას უქმნის, რომ თანახმაა, აიეტის გამოწვევა მიიღოს: „რთული დავალება აქაც არ გვაკლია, ზღვაზე ჭირვარამნახულებს ასეთი დღეც წამოგვეწია, ომი არის ჩემი ბედისწერა. პერსესმა არა ნაკლებად უნდა ზღოს სამაგიერო შერკინებებით ჩემი შეფერხებისა და ხელის შეშლისათვის“ (5.542-546) – ეუბნება იგი აიეტს.

როდესაც იასონს საწმისის მიღების იმედი გაუცრუვდება და აიეტისგან ახალ დავალებას მიიღებს (7.35-77), რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. უზომოდ დიდია ესონიდის მრისხანება (maesta stabat defixus in ira, 7. 82), თუმცა ამ შემთხვევაშიც ახერხებს იგი თავის შეკავებას, ღირსეულ პასუხს სცემს მეფეს და ყურადღებას იმაზე ამხვილებს, რომ მისთვის მთავარია სახელის მოხვეჭა, ღირსეული სიკვდილი და არა უარის თქმა მიცემულ რთულ დავალებაზე:

'non' ait 'hos reditus, non hanc, Aeeta, dedisti
spem Minyis cum prima tuis pro moenibus arma
induimus. quo versa fides? quos vestra volutant
iussa dolos? alium hic Pelian, alia aequora cerno.
quin agite [et] hoc omnes odiisque urgete tyranni
imperiisque caput: numquam mihi dextera nec spes
defuerit. mos iussa pati nec cedere duris.
unum oro, seu me illa suis seges obruet hastis
hauriet adverso seu crastinus ignis hiatu,
nuntius hinc saevas Peliae mittatur ad aures
hic periisse viros et me, si vestra fuisset
ulla fides, reducem patriae potuisse referri.' (7. 89-100)[56]

[56] „ასეთ იმედს არ მაძლევდი, აიეტ, მაშინ, როდესაც უპირველესნი ვიღებდით ხელში იარაღს შენს კედლებთან. სად გაქრა ერთგულება? რა ეშმაკობას მალავს თქვენი [აიეტის და პელიასის] სიტყვა? მე აქ კვლავ ვხედავ პელიასს და შემდგომ მგზავრობას. ყველა ტირანი სიძულვილითა და ბრძანებებით მავიწროვებთ. მაგრამ არასოდეს მომეცარება მარჯვენა და იმედი. მე მიჩვეული ვარ ბრძანება შევასრულო, ადვილს გვერდი ავუქციო. ერთს გთხოვ, როდესაც ის ხნულიდან აღმოცენებული მახვილს ჩამცემს ან ხვალ შემმუსრავს მტრული ხახიდან ამოსული ცეცხლი, მაცნე გაუგზავნე, პელიასის მრისხანე ყურებს მისწვდეს, რომ აქ დაიღუპნენ გმირები და ნება მიეცი სახლში წამასვენონ“.

იასონი პირობის დაცვას რომ უფრთხილდება, მაშინაც ჩანს, როდესაც მედეა ცოლად მოჰყავს, მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვა მისცა. უნდა აღინიშნოს, რომ ვალერიუს ფლაკუსთან, იმდენად რამდენადაც მდევარი კოლხები არ ითხოვენ მედეას დაბრუნებას, მოხსნილია სასწრაფო ქორწინების მოტივაციაც. კოლხიდიდან გამგზავრების შემდეგ, ვიდრე კოლხი მდევრები გამოჩნდებიან, მანამდე იქორწინებენ ისინი კუნძულ პევკეზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მედეას შეჰპირდა იასონი და სიტყვას ვერ გატეხდა და, ალბათ, იმიტომაც, რათა მათი ურთიერთობა თანამგზავრთა თვალში გაემართლებინა (ac primum socios ausus sua pacta docere | promissamque fidem thalami foedusque iugale, 8. 221-2). თუ აპოლონიოს როდოსელთან მედეას კოლხებისათვის გადაცემის საქმეს მეფე ალკინოოსი წყვეტს, ანუ იქ იასონს შუამავალი ჰყავს, ფლაკუსთან მას თვითონ უწევს გადაწყვეტილების მიღება. ერთი მხრივ, მან უნდა გაითვალისწინოს მეგზურების (sociis, 404) აზრი და, მეორე მხრივ, სიკვდილი ურჩევნია თავისი ცხოვრების მეგზურის საფრთხეში ჩაგდებას (...mortemque cupit sociamque pericli | cogitat, 8. 403-4), მაგრამ ერთიც ცხადია, რომ მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და განაჩენი გამოაქვს თანამგზავრების სასარგებლოდ. ის იყო მან დააპირა თავისი გადაწყვეტილების თქმა მინიებისათვის, რომ ქარიშხალი დაწყნარდა და მათ შესაძლებლობა მიეცათ გაეგრძელებინათ მგზავრობა, იასონმაც თავისი მძიმე გადაწყვეტილება აღარ გაამხილა (8. 406-407). ფლაკუსი ამ მომენტშიც იასონს ღირსეულ პოზიციას უნარჩუნებს; მართალია, მედეა მაინც ხვდება იასონის განწყობას, თუმცა თუ როგორ იმართლა თავი იასონმა მედეას გასაკიცხ სიტყვაზე, სამწუხაროდ ტექსტის ჩვენამდე მოუღწევლობის გამო, უცნობია.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ვიდრე იასონი მედეას სთხოვს დახმარებას ოქროს საწმისის მოპოვების თაობაზე, იგი უდავოდ გმირისათვის დამახასიათებელი თვისებებით არის აღჭურვილი, მაგრამ საკმარისია, მან მედეას სთხოვოს დახმარება, მასზე დამოკიდებული ხდება და გარკვეულწილად კარგავს ღირსებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რამდენადაც აქ უკვე ტრადიციულ დავალებასთან გვაქვს საქმე, ფლაკუსმა განგებ აარიდა თავი ზედმეტ ტრანსფორმაციას და ამ ნაწილში, ანუ ტრადიციული დავალების შესრულების მომენტში, იასონი მართლაც აპოლონიოს როდოსელის იასონს მოგვაგონებს. თუმცა ის, რომ ფლაკუსის იასონი არ წარმოადგენს მორალურად უზადო გმირს, არ ქმნის შეუსაბამობას, პირიქით ის მაქსიმალურად არის მიახლოვებული თავისი ადამიანური სისუსტეებით ჩვეულებრივ მოკვდავთან. იასონი არც უნდა იყოს

სრულყოფილების ნიმუში: ის არც ღმერთების შვილია და არც რომაელი. ერთი აშკარაა, ფლაკუსი ცდილობს, მოახდინოს იასონის, როგორც გმირის რეაბილიტაცია, ჩამოაშოროს ან შეარბილოს ისეთი თვისებები, რაც გმირს არ შეჰფერის და აღჭურვოს ახალი თვისებებით. შესაბამისად, იასონის ხასიათში თავს იჩენს ისეთი შტრიხები, რასაც ფლაკუსამდელ ლიტერატურულ ტრადიციაში პარალელი არ მოეპოვება.

ეს რაც შეეხებოდა მთავარ გმირთა მოტივაციებს, ახლა თვალი გადავავლოთ ტრადიციულ სიუჟეტურ ელემენტებს. ვალერიუს ფლაკუსისთვის, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც ჩადებული იყო არგონავტების მითში, რადგანაც ეს, როგორც აღინიშნა, ეხმიანებოდა რომის იმპერიის ექსპანსიას ანატოლიასა და შავიზღვისპირეთში, ამავე დროს, როგორც მწერლისთვის, საინტერესო იყო წმინდა მხატვრული ასპექტიც. მართლაც, მრავალპლანიანი თქმულება, დახუნძლული ფათერაკებიანი მოგზაურობის, ძალაუფლებისთვის ბრძოლისა და ტრფობის მოტივებით, იმთავითვე საუკეთესო მასალა უნდა ყოფილიყო შემოქმედისთვის. ვალერიუს ფლაკუსმა შექმნა პოემა, რომელიც თითქოსდა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ გადაწნული ამბებისგან შედგება. მართალია, მისი პოემაც, როგორც აპოლონიოს როდოსელის ეპოსი, ლინეარული ხასიათისაა, ანუ წარმოგვიდგენს ექსპედიციის დასაწყისს და ამა თუ იმ ადგილას შეჩერების ამბებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, ფლაკუსის პოემას ამთლიანებს მთავარი იდეა – საზღვაო გზის გახსნა და სხვა ხალხებთან დაკავშირების შესაძლებლობა, შესაბამისად, მასთან უკანა პლანზე ინაცვლებს ოქროს საწმისის თემა. იგი სცილდება ვიწრო ჩარჩოებს და იუპიტერის სამყაროს გეგმის სახით გვთავაზობს ახალ კონცეფციას. თავისთავად translatio imperii-ს იდეა ახალი არ არის და დასტურდება ანტიკურ ისტორიოგრაფოსებთან, მაგრამ არგონავტების თემაზე ამ კონცეფციის მორგება სწორედ ფლაკუსის ნოვატორობაა. ფლაკუსის თხზულებას განსხვავებულ ელფერს ანიჭებს ისიც, რომ პოეტმა გამოტოვა ზოგიერთი ეპიზოდი (გლავკოსის ეპიზოდი, ჰერაკლეს ბრძოლა გეას ნაშიერებთან, არესის კუნძულზე ფრიქსოსის შვილების გადარჩენა და მათი შუამდგომლობა აიეტთან კოლხიდაში, არგონავტთა თავგადასავალი ეგეოსის ზღვაში და სხვ.) და განტვირთა პოემა მრავალი მოსაწყენი, სკრუპულოზური დეტალისგან. მეორე მხრივ, კი ჩაამატა ზოგიერთი ისეთი ეპიზოდი, რომელიც საერთოდ არ გვხვდება აპოლონიოს როდოსელთან, ან, თუ გვხვდება, აკუმული-

რებული სახით და მოქმედების განვითარებისათვის არანაირი დანიშნულება არ აქვს: მაგალითად, ჰესიონეს განთავისუფლება, ესონისა და ალკიმედეს სიკვდილი, პერსესისა და აიეტის ომი კოლხიდაში. რომაელი პოეტის მხატვრული ტექნიკა რთულია და ამავე დროს, დახვეწილი. ის ახერხებს იმგვარად ააგოს თხრობა, რომ მკითხველს ერთგვარი უკმარისობის განცდა დაეუფლოს, მოთხრობილი ამბავი თავის თავში არ ამოიწუროს, დაუმთავრებელი დარჩეს და გააღვივოს შემდგომი ინტერესი. ამგვარ „შეწყვეტილ" ამბებს პოეტი, როგორც წესი, შემდეგ კვლავ აგრძელებს. ასეთია თუნდაც მედეას სიყვარულის ამსახველი მეტად ლაკონური სცენა (7. 1-25), რომელიც ოდნავ მოგვიანებით იშლება და ვითარდება (7. 103-140). არ შეიძლება აქვე არ ვახსენოთ ფლაკუსის მიდრეკილება, შემოიფარგლოს მხოლოდ მინიშნებებით, ითვალისწინებს რა, რომ მის „არგონავტიკას" ამ თემაში კარგად გათვითცნობიერებული მკითხველი ეცნობა. ასეთი ადგილები ბუნდოვანია და, რიგ შემთხვევაში, ძნელი ამოსაცნობია, თუ რომელ წყაროს ეყრდნობა ავტორი ან რომელი წყაროს ვარიაციას გვთავაზობს. განსაკუთრებით ხშირია მასთან ანტონომასიები. ა. მ., პირველ წიგნში მოხსენიებული Thracius ... sacerdos (I. 85) ეჭვგარეშეა, რომ ფლაკუსი აქ ორფევსს გულისხმობს, თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ორფევსი ფლაკუსთან ქურუმის ფუნქციას ასრულებს. აშკარაა ფლაკუსი ცდილობს, ძალიან არ დაშორდეს ტრადიციულ ვერსიას, ამდენად ფრთხილად ეკიდება ისტორიულ-გეოგრაფიულ ინფორმაციას. გაცილებით უფრო თავისუფალია იგი ამა თუ იმ სიუჟეტური ელემენტის ინტერპრეტაციისას. აქ თვალს გადავავლებთ მნიშვნელოვან ეპიზოდებს, რომლებიც აპოლონიოსთან მიმართებაში სხვაობას გვიჩვენებს, ერთ შემთხვევაში, თუ ფლაკუსი მინიმალურად ამოკლებს ამბავს, მეორე შემთხვევაში, განავრცობს მას მთელი თავისი პოეტური შთაგონებით.

- ფრიქსუსისა და ჰელეს ამბავი[57]

ფლაკუსი არსებითად მიჰყვება ბერძენ წინამორბედს ფრიქსუსისა და ჰელეს ამბის გადმოცემისას, თუმცა შეცვლილია მათთან დაკავშირებული მოტივაციები და ფუნქცია. პელიასი ფრიქსუსის ამბავს იყენებს იმისათვის, რომ იასონს დაუსაბუთოს კოლხიდაში ლაშქრობის აუცილებლობა. მოუთხრობს იასონს, რომ აიეტმა ნადიმის დროს მოკლა ფრიქსუსი, რომ ხშირად ხედავს სიზმრად სევდიან ყმაწვილს, რომელიც მას შურისძიებისაკენ მოუწოდებს; ამასვე სთხოვს ჰელეც

[57] შდრ. Ov. Fasti, III 852-876; Hyg. Fab. III; Sen. Troad. 1034-1038.

(1. 41-52; შდრ. 64-66). ამიტომ მოხუცი მეფე, რომელსაც უწინდებურად ძალა აღარ შესწევს, ახალგაზრდა და ძლევამოსილ ძმისწულს ავალებს, აღასრულოს საგმირო საქმე და წაართვას აიეტს ოქროს საწმისი. თუმცა, როგორც ცნობილია, ფლაკუსის მიხედვით, რეალურად აიეტს დანაშაული არ ჩაუდენია ფრიქსუსის მიმართ. პირიქით, დიდი პატივით მიიღო, საკუთარი ასული მიათხოვა ცოლად; გადააფიქრებინა გადაწყვეტილება, შური ეძია დედინაცვალ ინოზე (1.520-524). პოემიდან იმასაც ვიტყობთ, რომ როდესაც მხცოვანი ფრიქსუსი გარდაიცვალა, პატივით დაკრძალეს კოლხიდაში (5.185f.). მოტივაციას ისიც აძლიერებს, რომ ათამასი ვალერიუს ფლაკუსთან არის კრეთევსის შვილი (5.476-478; შდრ. 2.611) და არა ძმა, როგორც ძველ მითოსში (Hes. F. 10a, 25-28; Apollod. 1.51; Ap. Rhod. II 1162). შესაბამისად, ფრიქსუსი, ჰელე, პელიასი და იასონი კრეთევსის ხაზით ერთი და იმავე შტოს წარმომადგენლები არიან. უგულებელყოფილია აპოლონიოსისეული პელიასის არგუმენტი, რომ დაუკრძალავი ფრიქსუსი მანამ ვერ პოვებს სიმშვიდეს, ვიდრე წესისამებრ არ დაიკრძალება. ფლაკუსი ტყავში დაკრძალვის წესს სხვა ფორმით, კერძოდ, კრემაციით ანაცვლებს, ამდენად, პელიასის არგუმენტაცია ფუნქციას კარგავს ფლაკუსთან. მან ელინისტი წინამორბედისგან განსხვავებით შეძლო ფრიქსუსის როლი მნიშვნელოვანწილად გაეზარდა და მას მისნის ფუნქციას აკისრებს. ფრიქსუსი ფიგურირებს აიეტის მოტივაციაშიც: არ გასცეს ოქროს საწმისი. მეფე ხედავს ცაზე გამოსახულ ვერძს და ჩაესმის ფრიქსუსის ხმა, რომელიც აფრთხილებს, რომ, როცა საწმისს გაიტაცებენ, ეს მისი მმართველობის დასასრულის მომასწავებელი იქნება და რომ მედეა არ უნდა დარჩეს მამისეულ სახლში (5.226-243; შდრ. 1.742f.; 5.528-531). ფრიქსუსის მსგავსად ფლაკუსთან ჰელესაც გარკვეულწილად მისნის ფუქცია აქვს. ჰელეს პირითაც იასონისათვის მნიშვნელოვანი მისნობა ცხადდება. ჰელე, რომელიც არგონავტებს ჰელესპონტოსში ეცხადება (2.587-612), გმირებს მნიშვნელოვან ინფორმაციას გადასცემს: აფრთხილებს, რომ წინ სიძნელეები ელოდებათ (te quoque.../regna infesta domus fatisque simillima nostris/fata ferunt, II. 593f.), სასტიკ სკვითებთან შეხვედრა მოელით; უხსნის, თუ სად მდებარეობს ფრიქსუსის ორმაგი საკურთხეველი. იასონს ჰელე ეცხადება კოლხიდაშიც. ჰელეს შესახებ იმასაც ვიგებთ, რომ მას გადასცეს სკიპტრა და დიდ პატივშია ზღვის ფსკერზე ნეპტუნუსთან

ერთად (2.585-608).[58] ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ჰელეს გამოცხადებას იზოლირებული ადგილი უჭირავს პოემაში, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველივე წიგნში ორფევსის სიმღერა ფრიქსუსსა და ჰელეს ამბის გადმოცემას ეძღვნება, და მეხუთე წიგნშიც, არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის, კვლავ ინტენსიფიცირებულია მათი სახეები, ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მათ შორის ორგანული კავშირია. ვფიქრობთ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ კოლხიდაში გამართულ ომში, აიეტის წინააღმდეგ იბრძვის სკვითი სარდალი, რომელსაც, მიუხედავად სკვითური წარმომავლობისა, ფრიქსუსი ჰქვია, შესაძლოა, ფლაკუსს ამ გამოგონილი პერსონაჟის სახით სურდა, მხატვრულად გამოეხატა ეოლიდი ფრიქსუსის უკმაყოფილება, რადგან აიეტმა მას არ დაუჯერა და არგონავტებს არ გადასცა საწმისი. საგულისხმოა, ისიც, რომ ფრიქსუსის ჯარს წინ მიუძღვის მაღალ ჭოლოკზე აღმართული პრიალა ბეწვიანი და ოქროსრქებიანი ფურის გამოსახულება, რომელსაც კვლავ დიანას ჭალაში დაბრუნება სწადია. ესეც, შესაძლოა, იყოს მინიშნება ოქროს ვერძზე, რომელიც, იუპიტერის სამყაროს გეგმის თანახმად, ელადაში უნდა დაბრუნდეს, ამას კი აიეტი ეწინააღმდეგება.

- არგონავტთა კატალოგი

სტაბილური ნუსხის არარსებობის ფონზე აპოლონიოს როდოსელმა იტვირთა ექსპედიციაში მონაწილე გმირთა კატალოგის შექმნა და მნიშვნელოვანწილად მოახდინა კიდეც მისი სისტემატიზაცია. მათგან მხოლოდ ერთი ნაწილი ფიგურირებს მოგზაურობის პროცესში, რასაკვირველია, გარკვეულ ეპიზოდთან დაკავშირებით. ამ ეპიზოდებში ხდება, ერთი მხრივ, ლაშქრობაში მონაწილე გმირის რაიმე მახასიათებელი შტრიხით აქცენტირება, მეორე მხრივ, იკვეთებიან ის პერსონაჟებიც, რომლებიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ ისევ და ისევ რომელიმე გმირის წარმოსადგენად. აპოლონიოსთან დასახელებულია ღვთაებრივი შთამომავლობის 55 გმირი, ფლაკუსთან კი 52; თუ არ ჩავთვლით იასონს, ჰერკულესს, ჰილასს და აკასტუსს, ასეთი თანაფარდობა გვექნება: 51 არგონავტი აპოლონიოსთან და 48 ფლაკუსთან.[59] აპოლონიოსი ასახელებს 9 მინიელს, რომელიც ფლაკუსთან არ გვხვდება, მათ სანაცვლოდ ფლაკუსს 6 სხვა ახალი არგონავტი შემოჰყავს. ამ ექვსი არგონავტისგან სამს: ფილოქტეტესს, ნესტორს, ტიდევსს ფლაკუსი არგონავტების ლაშქრობასთან აკავშირებს, თუმცა მათ არ

[58] პოსეიდონისა და ჰელეს სიყვარულის მოტივი ჰესიოდესთანაც გვხვდება.
[59] ჰიგინუსთან 74 მონაწილე მოიხსენიება (Hyg. fab. XIV).

აკისრებს მნიშვნელოვან ფუნქციას; დანარჩენი სამი კი, როგორც სხვა წყაროები მოწმობენ, არგონავტების ლაშქრობასთან არიან დაკავშირებულნი: დევკალიონი და იბისი გვხვდებიან ჰიგინუსთან, იფისი კი დასტურდება აპოლონიოსის სქოლიონში (4.223f.). ფლაკუსმა შეცვალა არგონავტთა რაოდენობა, ზოგიერთ გმირს განსხვავებული ფუნქცია (იგულისხმება მაცნის [ეხიონი] და მესაჭის [ერგინუსი] ფუნქცია) მიანიჭა. ზოგიერთი გმირის მნიშვნელოვნება შეამცირა (პელევსი / იდასი), ზოგის კი გაზარდა (მისნები: იდმონი, მოპსუსი; ტელამონი, მელეაგრუსი). იკვეთება ასევე ერთი საინტერესო კანონზომიერება არგონავტების როგორც ერთიანი ჯგუფის რეაქციების გამოხატვისას. თუ აპოლონიოსთან მთელი ჯგუფი გამოხატავდა სიხარულს, შიშს ან იმედგაცრუებას, ფლაკუსთან ეს რეაქციები ერთ რომელიმე კერძო პერსონაჟზეა მისადაგებული, კერძოდ, იასონზე. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ფლაკუსს სურდა, იასონის აქცენტირებით მისი როლი მნიშვნელოვნად გაეზარდა და ენეასის მსგავსად „არგონავტიკის“ წამყვან გმირად ესონიდი ექცია.[60]

- ლემნოსი

ლემნოსელი ქალების მიერ საკუთარი ქმრების ამოხოცვის ამბავი დიდ ინტერესს იმსახურებდა ბერძნულ ტრადიციაში (Apollod. 1. 114f.; 357f.). ეს ეპიზოდი საკმაოდ ადრე დაუკავშირდა არგონავტების თქმულებას და მისი ერთ-ერთი სტაბილური ნაწილი გახდა.[61] ეს განხორციელდა ეპიზოდში ჰიფსიპილესა და იასონის სასიყვარულო თავგადასავლის ჩართვით.[62] ორივე ეს მომენტი საინტერესოდ არის შეზავებული აპოლონიოს როდოსელთან. ელინისტი წინამორბედისაგან განსხვავებით ფლაკუსმა ამ ეპიზოდს სხვა ელფერი შესძინა. მისთვის მნიშვნელოვანია არა უშუალოდ იმ მხარის აღწერა, სადაც არგონავტები პირველად შეჩერდნენ კოლხიდისაკენ მიმავალ გზაზე, არამედ თვით არგონავტების დამოკიდებულება ლემნოსზე განვითარებულ ამბებთან. ამიტომ ფლაკუსი დეტალურად მოგვითხრობს იმ ამბებსაც, რომლებიც არგონავტების ლემნოსელებთან სტუმრობას უძღოდა წინ. იგი იმდენად არის გატაცებული ამ ამბის მხატვრული ინტერპრეტაციით, რომ მითოლოგიური ტრადიციისათვის უცნობ, დამატებით პერსონაჟებსაც კი იგონებს თხრობისათვის მეტი დინამიურობის მისანიჭებლად. სტრიქო-

[60] A.J. Kleywegt, Die "anderen" Argonauten, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991, 225-237.
[61] შდრ. W. Bahrenfuß, Die Abenteuer der Argonauten auf Lemnos bei Apollonios Rhodios, Valerius Flaccus, Papinius Statius. Diss., Kiel 1951.
[62] იასონისა და ჰიფსიპილეს სიყვარულის თავგადასავალს გადმოგვცემენ: Ov. Heroid. VI; Hyg. fab. XV.

ნების მოცულობა ორივე ავტორთან თითქმის თანაბარია (აპოლონიოს როდოსელთან 300 სტრ. I.609-909, ფლაკუსთან 346 სტრ.), რაც შეეხება ეპიზოდის სტრუქტურას, ფლაკუსთან ამბავი იწყება იმ ისტორიით აღწერით, რაც ლემნოსელი ქალების მიერ კაცების ამოხოცვას უძღოდა წინ (2.82-106), ამას მოსდევს კაცების ამოხოცვის ამბავი (107-241), ჰიფსიპილეს მიერ მამის გადარჩენის ეპიზოდი (242-310), არგონავტების მისვლა ლემნოსზე (311-427). ერთი შეხედვით, ფლაკუსი მისდევს აპოლონიოსს, თუმცა, თუ შევადარებთ ამ ორ ვერსიას, თვალსაჩინო გახდება განსხვავებაც. დავიწყოთ პრეისტორიით: აპოლონიოსთან ლემნოსელი მამაკაცები უსირცხვილოდ ღალატობენ ცოლებს (1. 611-614). ქალები ურისხდებიან კიპრისს მამაკაცთა ღალატის გამო და აღარ სწირავენ მას მსხვერპლს. ამის გამო ქალღმერთი აღაგზნებს მათ შურისძიებისათვის (1. 614-619). მამაკაცებმა რეალურად თავიანთი საქციელით დაიმსახურეს ქალების რისხვა. ფლაკუსმა თხრობაში ჩართო ოლიმპოსელთა პერსპექტივა, რითაც სურდა დაესაბუთებინა, ერთი მხრივ, იუპიტერის და, მეორე მხრივ, ვულკანუსისა და ვენუსის პოზიციები ლემნოსთან მიმართებაში. ეს აირეკლება რომაული ეპოსის პირველსავე წიგნში, როდესაც იუპიტერი მართვის სადავეებს იღებს ხელში და ღმერთებისგან გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდება (I.83ff.). მას უპირისპირდება იუნო, თავდაყირა დაკიდებულ ქალღმერთს ვულკანუსი ექომაგება, რომელიც ამ დროსვარდება ოლიმპოსიდან და კუნძულ ლემნოსზე ენარცხება. ამ კუნძულზე მიიღეს ვულკანუსი, სწორედ აქ ჰქონდა მას სამჭედლოც და ამის გამო განსაკუთრებულად უყვარდათ.

ფლაკუსთან ინტრიგას უშუალოდ ვენუსი ქმნის. როდესაც მარსთან ღალატის გამო ვულკანუსმა ვენუსი დასაჯა იმით, რომ სიყვარულის ქალღმერთს მსხვერპლს აღარ სწირავდნენ ლემნოსელი ქალები, ვენუსი გადაწყვეტს, მათზე შური იძიოს და ხმას გაავრცელებს, თითქოს ქმრები ღალატობენ. თუ აპოლონიოსთან ქმრები ნამდვილად დამნაშავეები არიან, აქ ისინი ვენუსის ინტრიგის მსხვერპლად გვევლინებიან. ფლაკუსთან ასევე თვალშისაცემია ჰიფსიპილეს გამოკვეთილი pietas. თუ აპოლონიოსთან ჰიფსიპილე იძულებულია იცრუოს, რათა არგონავტებს აუხსნას მამაკაცების კუნძულზე არყოფნის მიზეზი (Ap. Rhod. 1. 793-835), ფლაკუსთან არგონავტებმა არაფერი უწყიან იმ საშინელი მოვლენების შესახებ, შესაბამისად, მას არც სჭირდება ახსნა-განმარტების მიცემა. თუ ჰიფსიპილეს pietas აპოლონიოსთან ფარულად იგრძნობა, ფლაკუსმა მას ბაკხუსთან დაკავშირებული რიტუალის მოშველიებით

და მამის წინაშე საოცარი პასუხისმგებლობის გამოვლინებით ახალი ელფერი შესძინა. ჰიფსიპილე გადაარჩენს მამას ნათლად გაცნობიერებული საფრთხისაგან და ამდენად არის pia (შდრ. 249, 256, 264). მამის გადარჩენისას იგი მიმართავს ხრიკს, სადაც საფარველად იღებს რელიგიურ რიტუალს (282). ეს გაუმართლებელი საქციელი აუცილებელია ჰიფსიპილეს pia coeptas (264) განსახორციელებლად. მას გაცნობიერებული აქვს, რომ მამას გარკვეულწილად საფრთხეში აგდებს, როდესაც გადარჩენის მიზნით ზღვას მიანდობს, ფიქრობს, იქნებ არსებობს სხვა ალტერნატივა, თუმცა შექმნილი ვითარება აიძულებს, რომ უკიდურესი ზომები მიიღოს (294). მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომელიც ჰერკულესის გამკიცხავ სიტყვაში იჩენს თავს: არ ჩანს ჰერკულესის განსაკუთრებული დამოკიდებულება ტელამონისადმი და მეორე, იმის მაგივრად რომ უკან დაბრუნება შესთავაზოს არგონავტებს (Ap. Rhod. II 373-384), ფლაკუსთან ჰერკულესი დაჟინებით მოითხოვს ფათერაკებით აღსავსე ლაშქრობის გაგრძელებას. აქ ფლაკუსს საშუალება ეძლევა, ერთმანეთს შეუპირისპიროს ჰერკულესი და იასონი. ერთი მხრივ, გმირი, რომელმაც დაძლია ადამიანური სისუსტეები, და, მეორე მხრივ, სარდალი, რომელიც არ არის უზადო გმირი, თუმცა ჰერკულესის მოწოდებისთანავე მზად არის, მიატოვოს ლემნოსელი დედოფალი და ლაშქრობა გააგრძელოს.

- დოლიონები, კიზიკუსის ეპიზოდი

კიზიკუსის ეპიზოდი, რომელსაც არგონავტთა თქმულებისაგან დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება არ მოუპოვებია, ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აპოლონიოსთან შედარებით მას ფლაკუსმა მეტი დატვირთვა შესძინა.[63] თუ აპოლონიოსთან კიზიკოსის ამბავს 216 სტრიქონი ეთმობა (1. 936-1152), საკმაოდ შთამბეჭდავი მოცულობისაა იგი ფლაკუსთან (II. 629-664 და III. 1-458). მასთან ეს გმირი ორგვარ სახეს გვიჩვენებს: როგორიც უნდა თვით მას იყოს: რაფინირებული, სტუმართმოყვარე და, მეორე მხრივ, როგორიც რეალურად არის: წინდაუხედავი, ჰიბრისით შეპყრობილი.[64] აპოლონიოსისაგან განსხვავებით ფლაკუსთან ნათლად არის გამოხატული დანაშაულის საკითხი ტრაგიკული ამბების განვითარებაში. მასთან ტრაგიკულ მოვლენებს განაპირობებს კიზიკუსის ჰიბრი-

[63] ამ ეპიზოდთან დაკავშირებით იხ.: G. Manuwald, Die Cyzicus-Episode und ihre Funktion in den *Argonautica* des Valerius Flaccus, Hypomnemata 127, Göttingen 1999; E. Burck. Kampf und Tod des Cyzicus bei Valerius Flaccus. Mélanges M. Durry, Rev. Ét. Lat. 47, 1971, 173-198.
[64] Lüthje, op. cit. 94.

სი, რაც ქალღმერთ კიბელეს შეურაცხყოფაში გამოიხატება. მან მოკლა კიბელეს წმინდა ცხოველი და საამაყო ნადავლი თავის სასახლეში დაავანა, რაც კიდევ უფრო მეტად მეტყველებს მის ჰიბრისს. კიბელეს სურს, შეურაცხყოფისათვის შური იძიოს. მან უნდა აღადგინოს სამყაროს წესრიგი, ადამიანების მოკრძალება ღმერთებისადმი. ქალღმერთმა კიბელემ დასჯის იარაღად არგონავტები გამოიყენა. ფლაკუსი მინიების განმეორებით კიზიკუსთან მოხვედრის ფაქტს, ბუნებრივია, აპოლონიოს როდოსელისგან იღებს (Ap. Rhod. I 1015-1018), თუმცა ელინისტ მწერალთან ქარი განაპირობებს არგონავტების კუნძულზე დაბრუნებას, აქ კი ღვთიური ძალები, რათა არგონავტები ჩაერთონ არასაპატიო ბრძოლაში.

ფლაკუსმა კიზიკუსთან გამართული სისხლისმღვრელი შეტაკება ომის თემატიკის კონტექსტში მოაქცია. ამ დონეზე ეს ეპიზოდი მიმართებას ავლენს ეპოსის სხვა სიუჟეტურ ელემენტებთან. რამდენადაც იგი მნიშვნელოვან პარალელს გვიჩვენებს კოლხიდაში გამართულ ე. წ. სამოქალაქო ომთან, ჩვენ მასზე უფრო დეტალური მსჯელობა შესაბამის თავში გვექნება.

- ჰილასის ეპიზოდი

ჰილასისა და ჰერკულესის ამბავს, ბერძენი წინამორბედისაგან განსხვავებით (Ap. Rhod. I 1173-1362), მეტ ყურადღებას უთმობს ფლაკუსი (3. 481-740, 4. 1-57); მასთან ეს ეპიზოდი გარკვეულ მოდიფიკაციას გვიჩვენებს.[65] აპოლონიოსთან იუნოს მოტივაცია არ განაპირობებს ჰილასის გაქრობას. მოქმედებაში სპონტანურად ერთვება კიპრისი, რომელიც ჰილასისადმი სიყვარულით განმსჭვალავს ერთ-ერთ წყლის ნიმფას (Ap. Rhod. I 1233). ფლაკუსთან იუნოს მოტივიაცია წარმართავს მოვლენებს. ჩანს, თუ რა მოტივი ამოქმედებს მის საწინააღმდეგოდ. მას არ სურს ჰერკულესის ჩრდილში ყოფნა, დღენიადაგ ცდილობს მის განადგურებას, ჯერ კიდევ ბავშვს გველები მიუგზავნა, თუმცა ჩვილმა ჰერკულესმა შეძლო მათი მოგერიება. იუნოს მიზიაში კვლავ ეძლევა შესაძლებლობა ტკივილი მიაყენოს ჰერკულესს. როგორც კი დაინახავს ხომალდიდან მოშორებით მის თანამგზავრ ჰილასს, იწყებს გეგმის განხორციელებას (Val. Flacc. 3.487ff.). პალასს თავიდან იშორებს, იმ საბაბით, რომ სკვითებისა და კოლხების ომის მსვლელობაში უნდა ჩაერთოს, თვითონ კი უშუალოდ ხრიკებს ხლართავს ალკიდის წინააღმდეგ. აპოლონიოსთან არგონავტებმა ისე გააგრძელეს გზა, რომ არც კი შეუმჩნევიათ ჰე-

[65] H. H. Koch, Die Hylasgeschichte bei Apollonios Rhodios I. 1153ff., Theokrit Eid. XIII, Properz Eleg. I.20, Valerius Flaccus Arg. III. 459ff., Diss. Kiel 1955; E. Lüthje, Gehalt und Aufriss der Argonautica des Valerius Flaccus, Diss., Kiel 1971, 125-126.

რაკლეს არყოფნა ხომალდზე. როდესაც მინიებმა გააცნობიერეს თავიანთი შეცდომა, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რადგან მიატოვეს უმამაცესი გმირები (ჰერაკლე და პოლიფემოსი). ტელამონი იასონს ადანაშაულებს, რომ ამ უკანასკნელმა განზრახ, შურის გამო დატოვა ალკიდი კუნძულზე. სიტუაცია ისე იძაბება, რომ საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მივიდოდა ბორეასის ვაჟებს რომ არ განემუხტათ კონფლიქტი. ტიფისი, როგორც მესაჭე, ხელსაყრელი ქარის გამო მოითხოვდა ნაოსნობის გაგრძელებას, ტელამონი კი უკან დაბრუნებას. ბორეადებიც გზის გაგრძელებას უჭერენ მხარს, თუმცა მათ ამოძრავებთ გმირების დაშოშმინების და არა ჰერკულესის ჩამოშორების სურვილი (თუმცა ამის გამო ისინი მოგვიანებით მაინც ისჯებიან ალკიდის მიერ უსამართლოდ). ჰერაკლე ლაშქრობას გამოეთიშა ზევსის ნებით, რაც არგონავტებს გლავკოსის პირით გაუცხადდება. ამას მოსდევს იასონისა და ტელამონის შერიგება. ფლაკუსთან ჰერკულესს ეძებენ და როდესაც ვერ პოულობენ, დგება საკითხი, გააგრძელონ მისი ძებნა, თუ ზღვაში გავიდნენ. ტელამონი ჰერკულესის ძებნას მოითხოვს, მელეაგრუსი ნაოსნობის გაგრძელებას, რადგან შეუძლებელია წინ აღუდგე იუნოს ნებას. გლავკოსის მაგივრად, რომელიც არგონავტებს ღვთის ნებას განუცხადებს (Ap. Rhod. I 1315-1325), ფლაკუსთან სასოწარკვეთილ ჰერკულესს სიზმრად ჰილასი ეცხადება, რომელიც ურჩევს, რომ იუნოს ნებას დაჰყვეს და მასზე ნუ იდარდებს, რადგან მისი ხვედრი წინასწარ იყო განსაზღვრული (Val. Flacc. 4. 25-37).

- ამიკუსი და ბებრიკები

ამიკოსის ეპიზოდი, როგორც ჩანს, საკმაოდ ძველი და ორგანული იყო არგონავტების თქმულებაში. ცალკეული სახესხვაობის გარდა ბებრიკთა მეფე, ზოგადად, უხეში, კაცთმოძულე, უგნური ადამიანის სიმბოლოდ არის გააზრებული. ბარბაროსობაზე გამარჯვება ეს არის ძირითადი იდეა, რითაც არის განმსჭვალული აპოლონიოს როდოსელისეული ინტერპრეტაცია. თუ აპოლონიოსთან ეს ეპიზოდი მოიცავს 163 სტრიქონს (Ap. Rhod. II 1-163), ფლაკუსთან მას 253 სტრ. ეთმობა (Val. Flacc. 4. 90-343). აპოლონიოსთან არგონავტები ამიკოსისადმი შიშს კი არ განიცდიან, არამედ რისხვით არიან შეპყრობილნი (19f.), განსაკუთრებით პოლიდევკესი. ვალერიუს ფლაკუსთან კი რისკის ელემენტი ახლებურად არის წარმოდგენილი. აპოლონიოსთან კრივში მონაწილეები ექსპონირებულია არა მხოლოდ არათანაბარი ძალის მქონე მხარეებად, არამედ წარმოდგენილია მათი

განსხვავებული ბრძოლის ტაქტიკა და მსოფლმხედველობა: ამიკოსი წარმოდგენილია როგორც ტიტანი, პოლიდევკესი კი როგორც ვარსკვლავი (37-44). პოლიდევკესი მშვიდად უყურებს იმ ფაქტს, რომ მასთან შებრძოლება მოუწევს, მეტიც, იგი გააზრებულად დასცინის მას მედიდურობის გამო (54-64). ფლაკუსთან ექსპონირებული ამიკუსი მეტად შიშისმომგვრელად გამოიყურება (246ff.) და პოლუქსიც მეტ მოკრძალებას ავლენს ბრძოლისადმი დამოკიდებულებაში. აპოლონიოსთან ბრძოლა მიმდინარეობს განსაკუთრებული დრამატიზმის გარეშე. ფლაკუსთან ბრძოლა ექსპონირებულია მთელი თავისი სიძნელეებით, რაც მას მეტად აახლოვებს რეალურ შერკინებასთან. აპოლონიოსთან არგონავტები ბრძოლის დამთავრების შემდეგ იხსენებენ ჰერკულესს და ამბობენ, ის რომ მათთან ერთად ყოფილიყო, ბრძოლაც არ იქნებოდა. არაფერს ამბობენ იმაზე, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სახელისათვის ბრძოლაც არ დასჭირდებოდათ. სახელის მოხვეჭასთან გმირების ასეთი დამოკიდებულება უცხოა ფლაკუსისათვის. აპოლონიოსთან ამიკოსის აღსასრულის შემდეგ ბებრიკები იბრძვიან თავიანთი მკვდარი მეფისათვის (98-136). ფლაკუსმა შეცვალა კონტექსტი, როცა შეშინებული ბებრიკები წარმოგვიდგინა. ბებრიკები, რომელთაც ამიკუსი შიშის წნეხის ქვეშ იმორჩილებდა, მისი სიკვდილის შემდეგ ზრუნავენ არა მის დაკრძალვაზე, არამედ პირიქით, გაქცევას ლამობენ. შეიძლება ითქვას, ეს არ არის ერთმანეთთან შემჭიდროვებული საზოგადოება, რომელიც ერთად დადგება საკუთარი ინტერესების დასაცავად, მათ უბრალოდ ამიკუსი იმორჩილებდა თავისი ტერორით. პოლუქსმა ბოლო მოუღო საზოგადოებას, რომელსაც ისედაც საძირკველი ჰქონდა გამოცლილი. ამიკუსის სიკვდილი შეესაბამება იუპიტერის გეგმას: ამიკუსი უსამართლოდ მრისხანებდა ხალხზე. იგი წარმოადგენდა მთავარ დაბრკოლებას, რაც აფერხებდა მეზღვაურების, მოგზაურების გასვლას აღმოსავლეთის მიმართულებით, შესაბამისად, თავისი ჰიბრისით ხელს უშლიდა იუპიტერის გეგმის განხორციელებას. მისი დაძლევით კი ბელონასთვის, რაშიც მოიაზრება ომების წარმოება, გზა ხსნილი იქნებოდა. თვით ნეპტუნუსიც, რომელიც ამიკუსის მამაა და უწყის შვილის მომავალი ხვედრი, უძლურია სამყაროს მბრძანებლის წინაშე, რადგან უნდა განხორციელდეს ძალაუფლების ცვლა აზიიდან საბერძნეთში, რასაც თავისი მსოფლმხედველობით ეწინააღმდეგება ამიკუსი.

- მარიანდინები და ლიკუსი

ფლაკუსის „არგონავტიკის“ მეოთხე წიგნის ბოლოს მოთხრობილია არგონავტე-ბის მისვლა მარიანდინებთან, შავი ზღვის სამხრ.-დას. სანაპიროზე (4.733-762), თუმცა ამბავი მეხუთე წიგნის დასაწყისის 66 სტრიქონსაც მოიცავს, სადაც ვი-ტყობთ ტიფისისა და იდმონის სიკვდილის შესახებ.[66] მიუხედავად იმისა, რომ ფლაკუსთან ამ ეპიზოდს აპოლონიოსთან შედარებით (178 სტრ. 2.720-898) მოკრძალებული მოცულობა აქვს, მნიშვნელოვან პასაჟს წარმოადგენს პოემაში თავისი ადგილისა და დატვირთვის გამო.[67] მეფე ლიკუსი არგონავტებს კეთილ-განწყობილი იღებს, რითაც გამოხატავს მადლიერებას საერთო მტრის სიკვდილის გამო (4.744). მომდევნო დღეს ხდება ორი სამწუხარო ამბავი: კვდება მისანი იდმონი და მესაჭე ტიფისი. არგონავტები დამწუხრებულები და სასოწარკვეთილნი არიან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება დაკრძალ-ვის ცერემონია და მოპსუსი შეასრულებს რიტუალს, აირჩევენ ახალ მესაჭეს და გზას გააგრძელებენ. თავდაპირველად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, თუ რა ადგილი უჭირავს ამ ერთი შეხედვით ნაკლებად შთამბეჭდავ ეპიზოდს რომაულ ეპოსში. თუ ამოვალთ იმ მოსაზრებიდან, რომ ფლაკუსის პოემა რვა წიგნისგან შედგება, მაშინ მას შუალედური ადგილი უჭირავს, რომელიც ერთმა-ნეთთან ორ განსხვავებულ ნაწილს აკავშირებს. ორიენტირი აქ არის სიმპლეგა-დები, ის, თუ რა ხდებოდა მანამდე, და ის, რაც მოხდება სიმპლეგადების გავლის შემდეგ. აპოლონიოსთან ფინევსის მისნობის მიხედვით ეს არის მეორე პუნქტი, სადაც არგონავტები სიმპლეგადების გავლის შემდეგ ხვდებიან. ფლა-კუსთან კი პირველი (4.637-710) და ამავე დროს უკანასკნელი პუნქტი, ვიდრე მინიები კოლხიდამდე მიაღწევენ; აპოლონიოსთან ფინევსის მისნობაში ამ ადგილს გამორჩეული ადგილი არ უჭირავს, აღნიშნულია მხოლოდ, რომ აქ იმყოფება ჰადესში შესასვლელი (Ap. Rhod. II 352-356). რომაელ ეპიკოსთან სიმპლეგადების დაძლევის შემდეგ უშუალოდ მარიანდინებთან მოხვედრა აქცენტირებულია ადგილმდებარეობის აღწერითაც, მცირე გეოგრაფიულ ექს-კურსში (4.711-732). პონტუსი არის საზღვარი აზიასა და ევროპას შორის და, ამდენად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არგონავტები უკვე აზიის მიწაზე იმყოფებიან. პონტუსის აღწერისას ავტორი პირველ პირში ლაპარაკობს (4. 711-732 memorem), სტრუქტურულად მას უკავშირდება კიზიკუსის ეპიზოდი; დოლიო-ნებთან არგონავტები ხვდებიან მას შემდეგ, რაც ჰელესპონტოსს გაივლიან, აქაც

[66] E. Lüthje, Gehalt und Aufriss der Argonautica des Valerius Flaccus, Diss., Kiel 1971, 181.
[67] G. Manuwald, Die Argonauten bei den Mariandynern und die Erzähltechnik in Valerius Flaccus' Argonautica, Phylologus 149, 2005, 297.

წინ წამოწეულია ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობის თემა და ისიც ნიშანდობლივია, რომ ფლაკუსი ისევ პირველ პირში გადმოსცემს სათქმელს (2.617 reor).

ფლაკუსთან ამ ადგილს რომ ორგანული კავშირი აქვს სხვა სიუჟეტურ ელემენტებთან, ცხადყოფს ამიკუსის ეპიზოდში ჩართული ამბავიც, რისთვისაც ფლაკუსს დამატებით ახალი პერსონაჟები შემოჰყავს. ბებრიკებთან არგონავტებს შემოხვდებათ დიმასი, რომელიც ლიკუსის ძმას, ოტრევსს ახლდა. ოტრევსი, რომელიც ჰესიონეზე ქორწინებას აპირებდა, გზაზე ამიკუსთან მოხვდა, რომელმაც კრივში გამოიწვია და სიცოცხლეს გამოასალმა, დიმასს სურს, ხმა ლიკუსს მიაწვდინოს, რათა მან შური იძიოს ძმისათვის. თუმცა მას არგონავტები დაასწრებენ და პოლუქსი ბებრიკების მეფეს ბოლოს მოუღებს. შესაბამისად, აქ მკითხველს კვლავ ჰესიონე და ჰერკულესი ახსენდება. გ. მანუვალდის აზრით, მარიანდინებთან მინიების მოხვედრა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ არგონავტები გადადიან ევროპიდან აზიაში, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება კავშირი დამყარდეს იმ ხალხთა შორის, რომლებიც მანამდე ერთმანეთისაგან იყვნენ გამიჯნულნი. ნიშანდობლივია ის განწყობილება, რაც ფინევსის მისნობაშია გადმოცემული, პონტუსის სანაპიროზე მხოლოდ ლიკუსი გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით. ხალიბები, აპოლონიოსისგან განსხვავებით, არა მარტო რკინას აწარმოებენ არამედ, რკინისგან იარაღს ამზადებენ, შესაბამისად, ფლაკუსს მარიანდინების ეპიზოდიდან კვლავ საომარ თემატიკაზე გადავყავართ, რასაც მეხუთე თავში პერსესსა და აიეტს შორის წარმოებული ომი მოსდევს.

ეპიზოდების შეპირისპირებისას ის არსებითი ასპექტი, რაც აპოლონიოსსა და ფლაკუსს განასხვავებს ერთმანეთისაგან, მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: აპოლონიოსმა მოვლენები ფაქტის სახით წარმოგვიდგინა, ზოგ შემთხვევაში ზედაპირულადაც კი (აქ არ ვგულისმობთ მედეას სიყვარულის ამბავს), მაშინ როდესაც ვალერიუსი მოვლენებს უღრმავდება და მათ შინაგან მოტივაციებს ეძებს. ამდენად, იგი არ კმაყოფილდება ოდენ ფაქტის კონსტატაციით და არ აინტერესებს ეტიოლოგიური მხარე, არამედ უღრმავდება მოქმედი გმირების შინაგან სამყაროს, უკვირდება მათ სულიერ მდგომარეობას, რაც შემდგომ მათ მოქმედებას განაპირობებს.[68]

[68] E. Burk, Kampf und Tod des Cyzicus bei Valerius Flaccus: Mélanges Marcel Durry, *REL* 47, 1970, 196; J. Stroux, Valerius Flaccus und Horaz, Philologus 90, 1935, 310; J. Adamietz, Zur Komposition der Argonautica des

ამგვარად, შეიძლება ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ვალერიუს ფლაკუსი, შესაძლოა, ვერ აღწევს პოეტური თვალსაზრისით სიმაღლეებს, რაც არის ჰომეროსთან ან აპოლონიოს როდოსელთან, ერთი აშკარაა, რომ ჩვენ თვალწინ არის დამოუკიდებელი პოეტი, რომელიც ცდილობს, არაერთი საინტერესო ნოვატორული ელემენტი შემოგვთავაზოს პოემაში.

3. ახალი კონცეფცია – იუპიტერის სამყაროს გეგმა

ვალერიუსმა თავისი პოეტური პროგრამა ლაკონურად ჩამოაყალიბა „არგონავტიკის“ პროოიმიონის პირველსავე ოთხ სტრიქონში:[69]

Prima deum magnis canimus freta pervia natis
fatidicamque ratem, Scythici quae Phasidis oras
ausa sequi mediosque inter iuga concita cursus
rumpere flammifero tandem consedit Olympo.[70]

ბერძნული ვერსიისგან განსხვავებით მასთან რამდენიმე მნიშვნელოვანი „რომაული“ შტრიხი იკვეთება: არგო არის წინასწარმეტყველური გემი (fatidica ratis, 1. 2), რომელმაც პირველად[71] იმოგზაურა ზღვაზე (prima ... freta pervia, 1. 1);[72] საზღვაო გზის გახსნა ვალერიუსისათვის არის მთავარი თემა და მისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ოქროს საწმისი. ამ თვალსაზრისს ამყარებს ის ფაქტიც, რომ ფლაკუსი პროოიმიონში უშუალოდ არ ასახელებს ლაშქრობის მიზანს – ოქროს საწმისს, არამედ ყურადღებას ამახვილებს თვით მოვლენაზე – არგონავტების გამბედაობაზე. შესაბამისად, Phasidis oras / ausa sequi „ფასისის ნაპირებისაკენ / გაბედა წარმართულიყო“ (Val. Flacc. 1, 2-3)[73] ცვლის ბერძნულ მო-

---

Valerius Flaccus, Zetemata 67, 1976, 113-116; M. Wacht, Zur Motivierung der Handlung im Epos des Valerius, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991, 101.

[69] დაწვრილებით ფლაკუსის ეპოსის პროოიმიონის შესახებ იხ. E. Lefèvre. Das Prooemium der Argonautica des Valerius Flaccus, Wiesbaden 1971.

[70] „ვუმღერით ზღვებს, რომლებიც პირველად ღმერთთა დიდებულმა ვაჟებმა გადალახეს და ბედის მაუწყებელ ხომალდს, რომელმაც სკვითური ფასისის ნაპირების ჩავლა გაბედა, მოძრავ კლდეთა შორის სწრაფად გაიკვალა გზა და საბოლოოდ ცეცხლოვან ოლიმპოსზე დაისადგურა“ (Val. Flacc. 1, 1-4).

[71] prima freta შეუსაბამობაში მოდის ბერძენი ისტორიკოსების ცნობებთან, რომლებიც ადრეული მოგზაურობებისა და სანაოსნო მოწყობილობების შესახებ მოგვითხრობენ, რაც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს არგონავტების ლაშქრობას; ვალერიუსი აქ ხაზს უსვამს არგონავტების მოგზაურობის მნიშვნელოვნებას, რამდენადაც, მათ გადალახეს კიანეები და მიაღწიეს პონტოს ევქსინოსს. შდრ. Dräger, 1999, 419-22.

[72] ეს აზრი პირველად რომაულ ლიტერატურაში კატულუსთან გვხვდება: illa rudem cursu prima imbuit Amphitriten (c. 64).

[73] ausa // ausi ფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით შდრ. კატულუსი 4ff.

კრძალებულ ვარიანტს βασιλῆος ἐφημοσύνῃ Πελίαο „მეფე პელიასის დავალებით“ (Ap. Rhod. I 3).

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღებას იპყრობს ფლაკუსის ინოვაცია, რასაც, პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ იუპიტერის სამყაროს გეგმა. რამდენადაც ეს ასპექტი ფლაკუსის ეპოსის ღერძს წარმოადგენს და კონცეპტუალურად აერთიანებს მის ნაწარმოებს, მიზნად ვისახავთ, დაწვრილებით განვიხილოთ იუპიტერის *ordo rerum*[74]. როდესაც არგონავტები ხომალდს ზღვაში შეაცურებენ და პაგასეს ნავსადგურს მიატოვებენ, მყისვე იცვლება მოქმედების არეალი და ფლაკუსს ოლიმპოსელთა სამყოფელში გადავყავართ. იუპიტერი, რომელსაც გარშემო ღმერთები შემოუკრებია, ზეციდან აკვირდება ბერძნების წამოწყებას, იგი კმაყოფილია და ღმერთებიც სიხარულს გამოთქვამენ.

სტრუქტურულად იუპიტერის სამყაროს გეგმა, რომელიც სულ რაღაც 30 სტრიქონშია გადმოცემული,[75] ორ ნაწილად იყოფა: შესავალი სიტყვა და გეგმის სამი ეტაპი. შესავალი სიტყვა, თავის მხრივ, ორი სეგმენტისაგან შედგება: ადრინდელი vetera „წარსული“ (5. 531-535) და ახლანდელი ვითარება repetam decreta „განვაახლებ გადაწყვეტილებებს“ (5. 536-541).

შესავალ სიტყვას მოსდევს სამყაროს გეგმის სამი ეტაპი: I. პირველი ეტაპი: აზიის დაქვეითება. ამ მიზეზით ხდება არგონავტების ლაშქრობა კოლხიდაში, ამ პლანში უნდა განვიხილოთ ტროას ომიც. შესაბამისად, პირველი ეტაპის პირველი საფეხურია ქალწულის [მედეას] მოტაცება (5. 542-547), მეორე საფეხური კი [ელენეს] მოტაცება (5. 548-554); II. მეორე ეტაპი: დანაელების დაუძლურება (5. 555); III. მესამე ეტაპი: სხვა ხალხების [რომაელების] გაძლიერება (5. 556-560). ლინგვისტური ანალიზისას იუპიტერის სამყაროს გეგმაში ორი მნიშვნელოვანი ინდიკატორი იკვეთება: ომი და წყალი, როგორც ნაოსნობის სიმბოლო: *aeqour* ad Helles (537) / *bellis* ausa manus (540); via facta per *undas* (545) / perque hiemes, *Bellona*, tibi (546); *classe* dehinc (551) / *bella*, quot ad Troia flentes (552). სემანტიკური კავშირი გამოხატულია ზმნით foveo „ხელს ვუწყობ, ვმფარველობ“: თუ ვის მფარველობდა მანამდე იუპიტერი: sic fata locos, sic ipse *fovebam* (541) და თუ ვის შეუწყობს ხელს მომავალში: gentesque *fovebo* / mox alias (555-6).

vetera „წარსული, ადრინდელი ვითარება“ (5. 531-535):

რაც ოდითგანვე დავაწესე, ყველაფერი თავისი რიგის მიხედვით

[74] ცნებაში ordo rerum იგულისხმება იუპიტერის სამყაროს გეგმა.

[75] შდრ. M. Wacht, 1991, 102-3; E. Lefèvre, 1998, 223-232; G. Manuwald, 2004,145-162.

დასაწყისიდანვე უცვლელად მიედინება.
ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩემი მოდგმა არსად მიწაზე
როცა უკვე სამყაროს წესრიგი დავამყარე.
კარგი მსურდა იმ მეფეებისთვის, რომლებიც ჯერ არ მართავდნენ.

repetam decreta „განვაახლებ გადაწყვეტილებებს" (5. 536-541):

მსურს ჩემი მბრძანებლობის გადაწყვეტილებები განვაახლო.
არსებობდა მხარე აღმოსავლეთში, რომელიც ქალწულ ჰელეს ზღვასთან და ტანაისთან მდებარეობს, ცხენებით მდიდარი და ხალხმრავალი, და ვერავინ ბედავდა ხელი აღემართა მის საწინააღმდეგოდ და სახელი ომებში მოეხვეჭა.
მე თვითონ ვმფარველობდი ამ მხარეს და მის კეთილდღეობაზე ვზრუნავდი.

accelerat ... dies „მოდის ... დღე" (5. 542-547):

თუმცა საუბედუროდ დგება დღე, და აზია ახლა შეძრულია;
ვუშვებ იმას, რომ დაეცეს. ბერძნები უკვე ითხოვენ ჩემგან ქორწილს.
ჩემი მუხები და სამფეხები, მშობელთა გულები, მათ გაგზავნეს
ეს ლაშქარი ზღვაზე. ტალღებითა და ქარიშხლებით გაკვალულია
შენთვის გზა, ბელონა. მაგრამ მხოლოდ საწმისი კი არ
წარმოშობს ბოროტებას, არამედ უფრო მეტად იმ ქალწულის მოტაცების გამო გრძელდება უთანხმოება.

veniet ... iam „მოდის ... უკვე" (5. 548-554):

ჯერ არ გადამიწყვეტია და უკვე მოდის მწყემსი ფრიგიული იდადან,
რომელსაც მოაქვს ნაღველი და სიძულვილი და ამავდროულად სამაგიერო ბერძნებისათვის. ხელისმთხოვნელთა ხომალდები, როგორი ომები იწყება
რამდენი წელი იტირებს მიკენი ტროას წინ?
რამდენი დიდგვაროვანი და ნახევრადღმერთები და რჩეული ჯარი დაიღუპება
და აზია დაუძლურდება.

hinc „ამიერიდან" (5. 555-560):

ამ დროიდან გადაწყვეტილია დანაელთა აღსასრული. მალე სხვა ხალხებს შევუწყობ ხელს. მთები, ტყეები, წყლები, ზღვის დაბრკოლებები იხსნება მათთვის. ყველაფრის მოწმეა იმედი და შიში. ამ ცვლილების დროს მე თვითონ გამოვცდი ადგილებს და მიწებს. ვის მსურს, რომ მომავალში ძალაუფლება ეპყრას ხელთ.

ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ აქ არის გადმოცემული იუპიტერის დამოკიდებულება არგონავტების ლაშქრობისადმი. სამყაროს მმართველი სიხარულს გამოთქვამს ბერძნების წამოწყების გამო: *patrii neque enim probat otia regni* (5. 500). მას შემდეგ, რაც სატურნუსის ეპოქის *otium* დაძლეულ იქნა (5. 500), არგონავტების ლაშქრობით იწყება ახალი ეპოქა. ამდენად, უზენაესი ღმერთი მხარს უჭერს ადამიანთა ქმედებებს (5. 498-502) და მისთვის არგონავტების ლაშქრობა კოლხიდაში არის *pulcherrima coepta* (5. 498-99). ყველა ღმერთს უხარია მასთან ერთად *una omnes gaudent superi* (5. 501). პარკებიც გახარებულნი არიან მომავალი ომების გამო (5. 502), რადგანაც ისეთი დრო მოდის, რომ ხალხი ომში ერთვება (5. 543), *viae Bellonas* (5. 545-546). მხოლოდ აიეტის მამა სოლი არ ეთანხმება იუპიტერის გეგმას და ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ოქროს საწმისი აზიიდან წაიღონ, რამდენადაც შიშობს, რომ თავისი ძე აიეტი ძალაუფლებას დაკარგავს (5. 503f.). მას უერთდება მარსიც, რომელსაც ასევე პირადი მოტივი ამოძრავებს. არ სურს, მისი ჭალიდან წაიღონ ოქროს საწმისი, რამდენადაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ფუნქციას დაკარგავს. იუნო მრისხანებს ჰერკულესის გამო, რადგან მისადმი სიძულვილი ამოძრავებს. პალასიც მას უჭერს მხარს. ერთადერთი ობიექტური არის იუპიტერი, რომელიც ცალკე დგას თავისი შეხედულებებით, მეორე მხარეზე კი – დანარჩენი ღმერთები, რომლებიც მფარველობას უწევენ და თანაუგრძნობენ ამა თუ იმ გმირს და, ამდენად, სუბიექტურები არიან. სოლს „დინასტიური ინტერესი" ამოძრავებს და აიეტის მხარდაჭერის მიზნით გამოთქვამს პრეტენზიას, იუპიტერს კი პრინციპის *„თანაბარი უფლებები ყველასთვის"* *iusti facultas* (5. 534) გამო არ სურს, გაითვალისწინოს მისი მოთხოვნა.[76] შესაბამისად, იუპიტერის *decreta*-ს (5. 536) განაპირობებს „ძალაუფლების როტაციის პრინციპი", რასაც შემდეგი აზრი აქვს: დაუშვას, რომ ყოველმა ხალხმა (*populi cuncti* 5. 559) ერთხელ მაინც თავის ისტორიაში მიაღწიოს ოქროს ხანას, რათა საუკეთესო პოტენციალი გამოამჟღავნოს. მაგრამ ეს ხალხები ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკვეთება, თუ ვის უნდა მიანიჭოს უზენაესმა ძალაუფლების სადავეები

[76] ვალერიუსის იუპიტერი სავსებით განსხვავდება ვერგილიუსის იუპიტერისგან. ვერგილიუსის იუპიტერი მშვიდობას წინასწარმეტყველებს (*claudentur Belli portae*, Aen. 1. 294), ვალერიუსის იუპიტერი კი შიშისა და ომების ღმერთია (*via facta per undas / perque hiemes, Bellona, tibi* 1. 545-46). ვერგილიუსთან საქმე ეხება *saturnia regna*-ს დაბრუნებას, ვალერიუსთან კი მის დაძლევას (1. 500). ვერგილიუსის იუპიტერი გეგმავს (*sic placitum,* Aen. 1. 283), ვალერიუსის კი ექსპერიმენტებს ატარებს (*experiar* 1. 559); სამყაროს გეგმის შესახებ იხ. P. Dräger, 1998, 193-211; შდრ. ასევე: P. Dräger, 2001, 52.

(558ff.). რა როლს ასრულებენ ამ კონტექსტში არგონავტები? მათ უნდა იტვირთონ ძალაუფლების გადატანის საქმე აზიიდან საბერძნეთში და შორეული აზიური მხარე საბერძნეთისათვის მისაწვდომი გახადონ *via facta per undas / perque hiemes, Bellona tibi* (545f.).[77]

შეიძლება ითქვას, რომ ფლაკუსი translatio imperii-ს თეორიის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რაც განსხვავებული ვარიაციებით სხვადასხვა ისტორიკოსებთან გვხვდება.[78] ლ. ალფონსი ვარაუდობს, რომ ფლაკუსის წყაროს წარმოადგენს რომაელი ისტორიკოსი პომპეიუს ტროგუსი, რომელთანაც ესა თუ ის ხალხი ასეთი თანამიმდევრობით იპყრობს მართვის სადავეებს: ასირიელები, მედები, სპარსელები, მაკედონელები და ბოლოს რომაელები. ვალერიუსის *ordo rerum* გარკვეულ მიმართებებს გვიჩვენებს ჰეროდოტოსთან, რომელიც ისტორიის პირველი წიგნის დასაწყისშივე გადმოსცემს ელინებისა და ბარბაროსების ერთმანეთთან დაპირისპირების მიზეზს, რაც რამდენიმე ეტაპად ხორციელდება:

- ფინიკიელები მივიდნენ არგოსში და მოიტაცეს მეფე ინაქოსის ასული იო (I. 1).
- პირველი უსამართლობა: ელინებმა, სავარაუდოდ, კრეტელებმა, ფინიკიის ტიროსში მოიტაცეს მეფის ასული ევროპე;
  მეორე უსამართლობა: ელინებმა აია-კოლხიდაში მოიტაცეს აიეტის ასული მედეა (I. 2).
- მეორე თაობაში პრიამოსის ძემ ალექსანდრემ მოიტაცა ელენე (I. 3).

ფლაკუსისათვის იუპიტერის გეგმის წარმოდგენისას აპოლონიოს როდოსელი ვერ იქნებოდა მოდელი, რადგანაც მასთან არაფერია ამის შესახებ ნათქვამი. მხოლოდ ის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ოქროს საწმისის მოპოვების შემდეგ იასონი არგონავტებს შეახსენებს მათი მისიის მნიშვნელოვნებას: ἡμετέρῃ δ' ἐπερείδεται Ἑλλὰς ἐφορμῇ, | ἠὲ κατεφείην, ἢ καὶ μέγα κῦδος ἀρέσθαι (4. 204-5) „ჩვენს მოქმედებას ემყარება ელადა და შერცხვენასა თუ დიად სახელს ჩვენგან მოელის!“. ფლაკუსისათვის ამოსავალი ისევ და ისევ ვერგილიუსი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მასთან ენეასის მოქმედებას განსაზღვრავს fatum. როგორც ჩანს, ფლაკუსის *ordo rerum* ჰეროდოტოსის დანაშაულთა მიზეზის (*αἰτίη ἀδικημάτων*) და ვერგილიუსის პენატების გადატანის (*translatio*: Aen. 2, 324ff.)

[77] E. Lüthje, op. cit. 36-38.
[78] შდრ. L. Alfonsi, Antico e meno-antico in Valerius Flaccos: Das Altertum und jedes neu Gute, für Wolfgang Schadewaldt zum 15. März 1970, hg. v. K. Gaiser, Stuttgart, Berlin, Köln, Mainz 1970, 124-131.

ნაზავს წარმოადგენს, რაც მასთან შემდეგნაირად არის მოდიფიცირებული: იუპიტერის გეგმის თანახმად, ოქროს საწმისის მეშვეობით (*fatalia ... terga* 5. 241f.) ძალაუფლება გადადის აზიიდან საბერძნეთში [მედეას და ოქროს საწმისის გატაცება], საბერძნეთის დაქვეითების შემდეგ კი – [ენეასს პენატები გადააქვს რომში] ძალაუფლებას რომაელი ხალხები იღებენ ხელში;[79] რომი უკეთესი ტროა უნდა გახდეს *et genus Aeneadum et Troiae melioris honores* (Val. Flacc. 2. 573). ეს იდეა ფლაკუსთან უკავშირდება ჰერკულესს, რომელსაც იგი დამატებით ეპიზოდს უძღვნის და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მისი ბერძენი წინამორბედი.[80] თუ არგონავტების ლაშქრობას განვიხილავთ როგორც აზიის მმართველობის სფეროში შეჭრას და, აქედან გამომდინარე, უსამართლობად, როგორც ამას სოლი ამტკიცებს, ამ გარემოებას იუპიტერი კანონზომიერებად მიიჩნევს: საწმისის და მედეას მოტაცებას უნდა მოჰყვეს პარისის მიერ ელენეს მოტაცება. შესაბამისად, იუპიტერი ფლაკუსთან სამყაროს სამართლიანი განმგებელია და ეპოსში განვითარებული მოვლენებიც იუპიტერის *ordo rerum*-თან უშუალო კავშირშია. ფლაკუსი აზიის დაქვეითებას მხატვრულად გამოხატავს თავის პოემაში აპოლონიოსისგან განსხვავებული ეპიზოდის, პერსესა და აიეტის ომის ჩართვით, ასევე *cunabula gentis Colchidos* კოლხი ხალხის წარმომავლობის და ისტორიის წარმოდგენით, რაზეც ჩვენ ქვემოთ სპეციალურ თავში გვექნება მსჯელობა.

ჩნდება კითხვა: რა ფუნქცია აქვს ზოგადად ფლაკუსის ინოვაციას – იუპიტერის სამყაროს გეგმას? ვალერიუსი არგონავტების ლაშქრობას უკავშირებს ვესპასიანუსის მიღწევებს (1. 1-21) და ცდილობს, რომის მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობა მითოსის დონეზე ასახოს. ბრიტანეთის და ოკეანის დამორჩილებით ვესპასიანუსმა წვლილი შეიტანა რომაული ძალაუფლების გაძლიერების საქმეში და რომის, როგორც მსოფლიო იმპერიის, უპირატესობა გაამყარა. ვალერიუსი ამ აზრს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, როცა „არგონავტიკის“ შესავალში ვესპასიანუსის ძის, ტიტუსის საომარ წარმატებებზეც ამახვილებს ყურადღებას (1. 12-14). ვალერიუსის, ისევე როგორც ლუკანუსის, მიდგომა ამ საკითხისადმი ისტორიულ დონეზე შეესაბამება სამყაროს გეგმის მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლების ცვლა სამხედრო უპირატესო-

[79] Val. Flacc. 1. 531ff. 2. 572ff. 5. 677ff. 8. 393ff.

[80] ჰერკულესის როლი განსაკუთრებით იკვეთება ჰესიონეს განთავისუფლების ეპიზოდში (Val. Flacc. 2. 445-578), შდრ. J. Adamietz, 1970, 29-38.

ბითა და ომში გამარჯვებებით მიიღწევა. ეს აზრი, შესაძლოა, მიესადაგოს ოთხი კეისრის ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფაქტსაც. თუმცა, პოეტს სურს, თანამედროვეებს და, უპირველეს ყოვლისა, მმართველს უჩვენოს ის, რომ წარმატებაც ცვალებადია. ამას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ იუპიტერის წინასწარმეტყველებაში ერთმნიშვნელოვნად არ არის მითითებული, რომ რომის ბატონობა მარადიულია.

4. ეპიზოდთა განვრცობის ზოგიერთი ასპექტი

4.1. იასონის მშობლების სიკვდილი

ფლაკუსის „არგონავტიკის“ პირველი წიგნის ბოლოს დაწვრილებით არის გადმოცემული იასონის მშობლების, ესონისა და ალკიმედეს სიკვდილის ამბავი (1.693-850). ამის შესახებ არაფერია ნათქვამი აპოლონიოს როდოსელთან. ეს ფაქტი დასტურდება ძველ მითოგრაფიულ ტრადიციაში (შდრ. Diod. Sicul. 4,50,1-2; Ps.-Apollod. bibl. 1,9,27,1-2; ცეცე Lykoph. 175), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ადგილას არის განთავსებული და, ფლაკუსისაგან განსხვავებით, მოტივაციას მოკლებული. ფლაკუსთან მას მოვლენათა განვითარებისათვის მნიშვნელოვანი როლი აკისრია. იოლკოსში მოქმედება რამდენიმე ეტაპად ვითარდება. პელიასი მრისხანებს იასონზე, რადგან მან დაიყოლია აკასტუსი, მისი ვაჟი კოლხიდაში სალაშქროდ გაჰყოლოდა. რადგან უშუალოდ მასზე ვერ იყრის ჯავრს, პელიასი გადაწყვეტს იასონის მამაზე, ესონზე იძიოს შური (1.700-729). ამის შემდგომ მოქმედებას გადავყავართ იასონის მშობლებთან, რომლებიც მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებენ, იმ მიზნით, რომ შეიტყონ შვილის ხვედრი. მათ ეცხადებათ კრეთევსი, ესონის მამა. ამშვიდებს ესონსა და ალკიმედეს და უწინასწარმეტყველებს მათ ვაჟიშვილის წარმატებით შინ დაბრუნებას, უცხადებს ესონს პელიასის მზაკვრულ გეგმებს და ურჩევს, თავი მანამდე მოიკლას, ვიდრე პელიასი გაუსწორდება; მიუთითებს იმაზე, რომ მიღმიერ სამყაროში იგი პატივცემული იქნება. ესონს აქვს ალტერნატივა: ხმალი იშიშვლოს და გაუსწორდეს პელიასის დამქაშებს ან ხალხს მოუხმოს საშველად. საკუთარ ძალებს ვერ ენდობა, რადგანაც ძველებურად აღარ უჭრის მარჯვენა, იმედს ვერც ხალხის თანადგომაზე ამყარებს, მათი მერყევი ბუნების გამო, ამიტომ მიდის გადაწყვეტილებამდე, თავი მოიკლას. ესონს მეუღლეც სთხოვს, მარტო არ დატოვოს და მასაც ღირსეული აღსასრული არგუნოს. ვიდრე მათ პელიასის ამალა შემოესევა, სამსხვერპლო ხარის შხამიანი სისხლის შესმით ესალმებიან

სიცოცხლეს. პელიასის მსახურები კლავენ იასონის უმცროს ძმას (1.730-826). მომაკვდავი ესონი ამ საშინელების მომსწრე ხდება. მესამე მონაკვეთში აღწერილია მიწისქვეშეთი, სადაც ალკიმედე და ესონი გარდაცვალების შემდგომ ხვდებიან.

რა უდევს საფუძვლად პელიასის გადაწყვეტილებას? იასონმა აკასტუსი დაითანხმა, სალაშქროდ გაჰყოლოდა სახიფათო მოგზაურობაში. ამით საფრთხე შეექმნებოდა არა მხოლოდ იასონს, რომლის თავიდან მოშორება სურდა პელიასს, არამედ მის საკუთარ ვაჟსაც, აკასტუსს. მართალია, აკასტუსი აპოლონიოსთანაც იღებს მონაწილეობს ლაშქრობაში, ასევე პელიასის ნების საწინააღმდეგოდ, თუმცა მასთან აკასტუსი თავისი ინიციატივით უერთდება მინიებს, აქ კი იასონი ეშმაკურად ითანხმებს უფლისწულს. ინტრიგა, რომელიც მიმართული იყო იასონის წინააღმდეგ, იასონის გამჭრიახობის წყალობით, ისევ პელიასს უბრუნდება საზიანოდ. მეფე შედარებულია კრეტელებს, რომლებიც უძლურნი არიან ცაში აჭრილ დედალუსს დაედევნონ. ასევე უძლურია და უსუსური პელიასი ზღვის წინაშე. ამის გამო მწიფდება მასში საშინელი შურისძიების გეგმა, რომელიც მიმართულია იასონის ოჯახზე. მართალია, ესონი მას დაასწრებს და თავს იკლავს, თუმცა პელიასი იმას მაინც მოახერხებს, რომ ჯერ კიდევ მომაკვდავი ესონი უმცროსი ვაჟის მკვლელობის მომსწრე გახადოს, რითაც იგი გარკვეულწილად მაინც იყრის ჯავრს ესონზე. პელიასის ხელით იღუპებიან უდანაშაულონი, რის გამოც ის უნდა დაისაჯოს ჰადესში.

ახლა განვიხილოთ, თუ რამდენად შეესაბამება პელიასის საქციელი იუპიტერის გეგმის პერსპექტივას. ესონს სურს, დაისაჯოს პელიასი იმის გამო, რომ მან არგონავტები გაგზავნა სალაშქროდ, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს იმას, რომ ამ პროცესში სხვადასხვა ხალხს შორის ომები მოხდება. სწორედ ამას განიზრახავს იუპიტერის გეგმაც: მართვის სადავეები უნდა გადავიდეს აზიიდან საბერძნეთში, ამის გამო გაგზავნა მან არგონავტთა ლაშქარი ღია ზღვაში, რათა გზა გაეხსნას ბელონას. პელიასი, ერთი შეხედვით, იუპიტერის ნებას ახორციელებს, თუმცა მისი მოტივაცია ეწინააღმდეგება უზენაესის ნებას. მას ეშინია იასონის სიქველის და თავიდან მოშორების მიზნით აგზავნის ფათერაკებით სავსე ლაშქრობაში, ხოლო ის ბოროტმოქმედება, რასაც იასონის მშობლების წინააღმდეგ ჩაიდენს, საერთოდ მოტივაციას მოკლებულია და მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით ხდება. რეალურად პელიასი ახორციელებს იუპიტერის ნებას, თუმცა მისგან დამოუკიდებლად და გაუ-

კულმართებულად. პელიასის მოტივაციას, რაც ძველ მითოსშიც დასტურდება, ფლაკუსთან კიდევ უფრო მეტად ამძიმებს უდანაშაულოთა მიმართ ჩადენილი საშინელი ბოროტმოქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველმა a priori იცის, თუ როგორ ისჯება პელიასი, ფლაკუსი უფრო მეტ დატვირთვას სძენს ამ ეპიზოდს, როდესაც სწორედ აქ, ერთი შეხედვით მოულოდნელ ადგილას, საკმაოდ ლაკონურად აღწერს სულთა სამეფოს (1,827-850); ჰადესის შესასვლელს ორი კარი აქვს: ერთი ყოველი ადამიანისათვის, ხალხისათვის, მეფისათვის მუდამ ღიაა, მეორე კი, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, თავისით იღება განსაკუთრებული პიროვნებისათვის, რომელმაც თავი გამოიჩინა მედგარი ბრძოლით, ზნეობრივი ღირებულებებით ან კულტმსახურებით (1.832-839). იქ მდებარეობს ნეტართა კუნძულები, სადაც კრეთევსი მიუძღვის ესონსა და ალკიმედეს (1,842-847). ის მათ უჩვენებს იმასაც, თუ რაოდენ საშინელი სასჯელი ემუქრება პელიასს პირველი კარის მიღმა (1, 847-8). ამის ფონზე მათ აოცებთ იმ ადამიანების პატივში ყოფნა, რომელთაც თავი სიქველით გამოიჩინეს. ნათელია, რომ ესონი და ალკიმედე ნეტართა კუნძულებზე იმკვიდრებენ სავანეს, პელიასს კი მომავალში საშინელი სასჯელი ემუქრება. რის მიხედვით იმსახურებს ან არ იმსახურებს მოკვდავი იქ მოხვედრას? ეს არის სიქველე. ესონს მსხვერპლშეწირვის დროს ეცხადება მამის აჩრდილი, რომელიც შეატყობინებს, რომ პელიასისგან საფრთხე ემუქრება, ამიტომ სჯობია, ღირსეული სიკვდილი აირჩიოს. თავისი წინაპრების შესაფერისი მემკვიდრე იყოს და შთამომავლობისთვისაც მაგალითის მიმცემი გახდეს. ამიტომ ურჩევნია ესონს თავი მოიკლას, ვიდრე პელიასისგან დამცირება აიტანოს. რა პოზიცია უჭირავს ამ შემთხვევაში იასონს? მისთვისაც მთავარია virtus და gloria. მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ მოიქცა ასე წინდაუხედავად და ვერ გათვალა ის, რომ აკასტუსის წაყვანით საკუთარ მშობლებს ჩააგდებდა საფრთხეში, ხომ არ ადგება ჩრდილი ამით მის სიქველეს, ენეასისათვის ასეთი რამ წარმოუდგენელია, იგი უაღრეს სათნოებას გამოხატავს მამის, ანქისესის მიმართ. უფრო მეტიც, ტროადან ლტოლვის დროს როდესაც შეამჩნევს, რომ დაკარგა თავისი მეუღლე კრეუსა, მყისვე ბრუნდება და მის ძებნას იწყებს. ალბათ, ამის გამო კრეთევსის გამოცხადებაში იასონის შესახებ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ უკან გამარჯვებული დაბრუნდება. შესაბამისად, საკითხი, თუ სად დაიმკვიდრებს ადგილს იასონი გარდაცვალების შემდეგ, ღიად არის დატოვებული. თუმცა ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ პაგასეს ნავსადგურიდან გამგზავრების შემდგომ

იასონს, მართალია ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მოიცავს უზომო შიში მშობლების გამო.

ზოგადად იასონის ოჯახისათვის მაინც დამახასიათებელია ერთმანეთზე ზრუნვა. მშობლები იასონზე ღელავენ, იასონი კი მშობლებზე. კრეთევსიც აშკარად ესონის მხარეზეა, რადგან იგი დაჩაგრულია, პელიასის საქციელი კი აღაშფოთებს. შესაბამისად, ურთიერთობები მათ შორის მორალურ ღირებულებებზეა დაფუძნებული.

ფლაკუსს virtus-თან დაკავშირებული საკითხები იმდენად აინტერესებს, რომ პოემაში virtus-ის შესახებ არარომაელის შეხედულებასაც წარმოგვიდგენს. კერძოდ, ერთ-ერთ ტომთან, იაზიგებთან აკავშირებს საინტერესო წეს-ჩვეულებას, რომელზეც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას. ამ ადათს მოიხსენიებს ე. წ. სკვითების კატალოგის აღწერისას (აიეტის წინააღმდეგ კოლხიდისკენ საომრად დაძრული ლაშქრის წარმოდგენისას, 6. 123-128) და მოგვიანებით, ხელმეორედ, კოლხიდაში ძმათა შორის ომის ამსახველ ერთ-ერთ სცენაში, კერძოდ, იაზიგების სარდლის გესანდერის არისტიის სცენაში (6. 282-314); მისი არსი მოკლედ ასეთია: როცა ადამიანი ბერდება, მარჯვენა აღარ უჭრის და იარაღს ვეღარ იმორჩილებს, მას თავისი ძვირფასი მემკვიდრე მახვილით მოუსწრაფებს სიცოცხლეს, ვიდრე იგი თვითონ ბუნებრივი სიკვდილით აღესრულება. მამა-შვილი ამით თავიდან იცილებს მტანჯველ ლოდინს და ორივე სასახელოდ მიიჩნევს ასეთ სიკვდილს.

namque ubi iam vires gelidae notusque refutat
arcus et inceptus iam lancea temnit eriles
magnanimis mos ductus avis haud segnia mortis
iura pati, dextra sed carae occumbere prolis
ense dato, rumpuntque moras natusque parensque,
ambo animis, ambo miri tam fortibus actis (123-128)

ფლაკუსი ამ ადათს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებს და ოდენ ეთნოგრაფიულ ცნობად არ მიიჩნევს, ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ეპოსში მასზე განმეორებით ამახვილებს ყურადღებას, ამ მომენტისათვის კი მკითხველისათვის ინფორმაციული ნაწილი უკვე ცნობილია. ამ ადათს უკავშირდებს პოეტი კოლხი ქურუმის ამბავს. აკვიტესს საფეთქლები მწვანე ალვის ხის ფოთლებით აქვს შემკული, რადგანაც მთელი ომის განმავლობაში ღელავს თავისი შვილის, კირნუსის უსაფრთხოების გამო და მტრის რიგებში დაეძებს მას (6. 296-300). ხანშიშესულ

ქურუმს ულმობლად კლავს გესანდერი, თანაც დასძენს, იგი შვილს რომ ჰყვარებოდა, მანამდე გაისტუმრებდა საიქიოს, ვიდრე ასეთ სავალალო სიბერემდე მიაღწევდა (6. 302-316). სიკვდილის პირას მისული აკვიტესი ღმერთს კვლავ შვილის მფარველობას ევედრება.

ვიდრე ამ პასაჟის ინტერპრეტაციაზე გადავიდოდეთ, მოვიყვანთ რამდენიმე ანტიკურ ცნობას, რომელიც, შესაძლოა, ფლაკუსის ინსპირაციის წყარო გამხდარიყო. ჰეროდოტოსი თავის „ისტორიაში“ მასაგეტების შესახებ ჰყვება: οὖρος δὲ ἡλικίης σφι πρόκειται ἄλλος μὲν οὐδείς· ἐπεὰν δὲ γέρων γένηται κάρτα, οἱ προσήκοντές οἱ πάντες συνελθόντες θύουσί μιν καὶ ἄλλα πρόβατα ἅμα αὐτῷ, ἑψήσαντες δὲ τὰ κρέα κατευωχέονται. Ταῦτα μὲν τὰ ὀλβιώτατά σφι νενόμισται, τὸν δὲ νούσῳ τελευτήσαντα οὐ κατασιτέονται ἀλλὰ γῇ κρύπτουσι, συμφορὴν ποιεύμενοι ὅτι οὐκ ἵκετο ἐς τὸ τυθῆναι (1.216).[81]

სტრაბონის მიხედვით, იაზიგების მსგავსი ადათი უნდა ჰქონოდათ მასაგეტებს (11. 8. 5), სოგდებსა და ბაქტრიებსაც (11. 11. 3); იგი საინტერესო ცნობას გადმოგვცემს კასპიების შესახებ, რომლებიც კლავდნენ თავიანთ მხცოვან წინაპრებს: Κάσπιοι δὲ τοὺς ὑπὲρ ἑβδομήκοντα ἔτη λιμοκτονήσαντες εἰς τὴν ἐρμίαν ἐκτιθέσιν (11. 11. 8).[82] თუ ნახავდნენ, რომ გვამებს ჩიტები დაესიენ, ამბობდნენ, განსვენებული ნეტარიაო; თუ ველური ცხოველები და ძაღლები დაეპატრონებოდნენ, ნაკლებად ნეტარიაო. თუ გვამს არავინ მიეკარებოდა, მიცვალებულს უბედურად თვლიდნენ.

თუ წყაროებში დადასტურებულ ინფორმაციას ფლაკუსთან წარმოდგენილ ვერსიას შევუპირისპირებთ, სავარაუდოდ, ფლაკუსი იცნობს ამ ადათს, თუმცა მას გარკვეული ტრანსფორმაციით წარმოგვიდგენს: ახალგაზრდა თაობა საკუთარი ხელით კლავს ხანში შესულთ, რომელთაც ბრძოლის ძალა აღარ შესწევთ. მთავარი ინოვაცია არის ფლაკუსისეული მოტივაცია: იგი ამ ადათს უკავშირებს ცნება virtus-ის გაგებას. ახლა კი უფრო დაწვრილებით: გესანდერის ლოცვაში, რომელსაც იგი გარდაცვლილი მამის აჩრდილისადმი აღავლენს, ჩანს, რომ ეს არის ადათი, რომელიც მას მამა-პაპათაგან მოსდგამს, თვითონაც ასრულებს და მომავალ თაობასაც გადასცემს. შესაბამისად, წესის არდამორჩილება და

[81] მათ ადამიანის ასაკი სულაც არ აქვთ განსაზღვრული, გარდა იმისა, რომ, როდესაც ძალიან მოხუცდება კაცი, ყველა მისი ნათესავი მოიყრის თავს ერთად, დაკლავენ მოხუცს და მასთან ერთად სხვა საქონელსაც, მოხარშავენ ხორცს და ინადიმებენ. ეს მიჩნეულია მათ შორის უბედნიერეს აღსასრულად. ხოლო ავადმყოფობით მკვდარს კი არ ჭამენ, არამედ მარხავენ და უბედურად თვლიან, რომ დაკვლამ მას არ მოუწია.

[82] „70 წელს გადაცილებულებს შიმშილით კლავდნენ და მათ გვამებს უდაბურ ადგილებში ყრიდნენ. თავად შორიდან უთვალთვალებდნენ“.

უგულებელყოფა მკრეხელობად ითვლება ტომის წარმომადგენელთა შეხედულე-ბით. ფლაკუსი ამ ემოციურად დატვირთულ სცენაში გვიჩვენებს განსხვავებას ორ მსოფლმხედველობას შორის, მაგრამ საყურადღებოა, რომ ფლაკუსი წარმო-გვიდგენს არა ელინი/ბარბაროსი დაპირისპირებას, არამედ, ზოგადად, ადამიანთა მსოფლმხედველობას შორის არსებულ განსხვავებას: ერთი მხრივ, ადათის დამცველ იაზიგს, ხოლო, მეორე მხრივ, კოლხს შორის, რომლისთვისაც მიუღებელია ეს ადათი. გარემოებას აკვიტესის სტატუსიც ამძიმებს, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იგი არის მავედრებელი მამა, რომელიც მთელი ომის განმავლობაში ცდილობს, დაიცვას შვილი უბედურებისგან. მკითხველის თვალში აღშფოთებას იწვევს ის, რომ გესანდერი ხანშიშესულ ქურუმს, რომელსაც ბრძო-ლის ველზე წააწყდება, ულმობლად კლავს და არ შეიბრალებს მავედრებელს. სიკვდილის პირას მისული აკვიტესი კი ღმერთს კვლავ შვილის მფარველობას ევედრება, რომ ღმერთმა შვილს აარიდოს მრისხანე გესანდერის ხელი.

როგორ ინტერპრეტაციას აძლევს თვით ფლაკუსი ამ ადათს? აკვიტესი გესანდერს შეწყალებას სთხოვს: genitor tibi si manet, oro / canitiem, comesce minas et si tibi natus / parce meo, 305ff. გესანდერი მას არ შეიწყნარებს, რამდენადაც ეს მის ადათს ეწინააღმდეგება, შესაბამისად, მისი თვალსაზრისი ასეთია: „Genitor…ipse hac occumbere dextra/maluit…/ et tibi si pietas nati, si dextra fuisset,/ haut medii precibus tereres nunc tempora belli" (308-314). გესანდერისთვის ეს საქციელი არის pietas, და მას რომ აკვიტესი შეეწყნარებინა, მის ვაჟკაცობას ჩრდილი მიადგებოდა, შესაძლოა, თემიდან მოეკვეთათ კიდეც. ამის საფუძველზე გერმანელი მეცნიერი ე. ლიუთე მიიჩნევს, რომ მისი საქციელი შეიძლება შევაფასოთ როგორც virtus სიქველე, რამდენადაც ის ასრულებს წესს, რომელიც მამა-პაპათაგან მოსდგამს.[83] ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, თუ მხედველობაში მივიღებთ თვით გესან-დერის აღსასრულის ფორმას: აკვიტესისადმი მიმართულ სიტყვაში გესანდერი შენიშნავს, რომ ყმაწვილს ნებისმიერი ხვედრი შეჰფერის: შიშველი ხელით ბრძოლაც და დაუმარხავად დარჩენაც კი: iuvenis sors pulchrior omnis: / et certasse manu decet et caruisse sepulchro (6. 313-4), თუმცა თვითონ მას სიცოცხლის ბოლო წუთებში ქალებთან შებრძოლება უწევს და ამაძონთა დედოფალი ევრიალე კლავს (6. 379ff.). შეიძლება ითქვას, რომ გესანდერმა საკუთარ თავს ყველაზე

[83] E. Lüthje, Gehalt und Aufriss der Argonautica des Valerius Flaccus, Diss., Kiel 1971.

სამარცხვინო განაჩენი გამოუტანა, რასაც ფლაკუსი ლაკონურად ორი სიტყვით გადმოგვცემს მისივე პირით: „heu pudor“ (6. 374).

4.2. ჰესიონეს განთავისუფლება

ფლაკუსის „არგონავტიკის“ მეორე თავში არგონავტები კოლხიდისაკენ მგზავრობისას შეჩერდებიან ტროასთან, კონცხ სიგეუმთან. ჰერკულესი ათავისუფლებს მეფე ლაომედონის ასულს, კლდეზე მიჯაჭვულ ჰესიონეს, კლავს ურჩხულს, რომელიც ქალწულს სიკვდილს უქადის (2, 445-578). როგორც ზემოთ განხილული ეპიზოდი, არც ეს გვხვდება აპოლონიოს როდოსელთან, მასთან მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ არგონავტებმა ჩაუარეს ტროას სანაპიროს (Ap. Rhod. I 922-935). ჰესიონეს განთავისუფლების ამბავი მითოლოგიურ ტრადიციაში არგონავტების თემასთან არის დაკავშირებული. ამის შესახებ ცნობა გვხვდება დიოდოროსთან (Diod. Sic. 4, 32.42.49, სავარაუდოდ, დიონისიოს სკიტობრაქიონზე დაყრდნობით) და ჰიგინუსთან (fab. 89). დიოდოროსთან ეს პასაჟი სხვა ადგილას არის წარმოდგენილი და განსხვავებული დატვირთვაც აქვს: მასთან ეს არის პირველი პუნქტი, სადაც არგონავტები შეჩერდნენ; მინიები შემთხვევით ხვდებიან ქარიშხლის შედეგად ამ სანაპიროზე; ჰერაკლე მარტო ჩადის გმირობას, ტელამონი არ იმყოფება მის გვერდით; ლაომედონი მეგობრულად არის ჰერაკლეს მიმართ განწყობილი, არ არის დასახელებული მიზეზი, მაგრამ ალკიდს სურს, თავისი ჯილდო მოგვიანებით წაიღოს, სიტუაცია კონფლიქტამდე არ მიდის, თუმცა ისიც არის აღნიშნული, რომ მოგვიანებით გმირი მაინც იძულებულია ლაომედონს მოსთხოვოს თავისი კუთვნილი ჯილდო და ტროაზე იერიში მიაქვს. ჰიგინუსთან ჰერკულესი და ტელამონი ერთად იბრძვიან ურჩხულის წინააღმდეგ. აშკარაა, ფლაკუსმა ამ ეპიზოდის წინამორბედებისგან განსხვავებული ვერსია წარმოგვიდგინა, და, რაც მთავარია, იგი არ არის კონტექსტიდან ამოვარდნილი, არამედ ორგანულ კავშირშია პოემაში განვითარებულ სხვა ამბებთან. ამ ეპიზოდის მნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით მეცნიერებს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ: რ. ვ. გარსონი ვერ ხედავს, თუ რა დატვირთვა გააჩნია ამ ეპიზოდს მთლიანი ნაწარმოებისათვის;[84] ჰ. მ. პურტვლიე „არგონავტიკის“ მეორე წიგნისათვის თანდართულ თავის კომენტარებში გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ ეპიზოდის

[84] R. W. Garson, Some Critical Observations on Valerius Flaccus' Argonautica. I, *CQ* 14, 1964, 276.

ფუნქცია არის ჰერაკლეს როლის გამოკვეთა,[85] იუპიტერის სამყაროს გეგმის გან-ხორციელებისათვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და, ამავე დროს, ფლაკუსს აძლევს შესაძლებლობას, გაეჯიბროს ოვიდიუსს (შდრ. ოვიდიუსთან პერსევსისა და ანდრომედას ამბავი, Met. 4, 663-764). იუპიტერის გეგმასთან მიმართებას პურტვლიე იმაში ხედავს, რომ აქ გამოსახული კონცეფციის თანახმად, ძალაუფლება უნდა გადავიდეს აზიიდან საბერძნეთში, შესაბამისად, ტროას ომი ამ გეგმის ერთ-ერთი ეტაპია. მეცნიერის თანახმად, ჰესიონეს ეპიზოდში აღწერილი მოვლენები დაკავშირებულია ჰერკულესის მიერ ტროას დანგრევასთან (რაც მითოლოგიური ტრადიციით პირველი გამოდის), აქედან გამომდინარე, მეორეა ტროას ომი;[86] გ. მანუვალდი არ ეთანხმება პურტვლიეს იმ საკითხში, რომ იუპიტერის გეგმაში ლაპარაკია ტროას პირველი დანგრევის შესახებ, არამედ ფიქრობს, რომ ტროას ომი აქ არგონავტების ლაშქრობის კონტექსტშია წარმოდგენილი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ არგო პირველი ხომალდი იყო, რომელმაც შორეულ ნაოსნობაში მიიღო მონაწილეობა და ამით შესაძლებელი გახდა ომების წარმოება სხვადასხვა ხალხებს შორის, არამედ იმითაც, რომ დაკავშირებულია ძალაუფლების ცვლასთან: არგონავტები მედეას იტაცებენ და საბერძნეთში მიჰყავთ, მოგვიანებით ტროელი პარისი იტაცებს სპარტელ ელენეს და ტროაში მიემართება.[87] შესაბამისად, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ეს პასაჟიც.

ამ ეპიზოდის შინაარსი მოკლედ ასეთია: არგონავტები მოხვდებიან ტროასთან ახლოს, სიგეუმის კონცხთან; მინიები ბანაკის გაშლით არიან დაკავებულნი, ჰერკულესი და ტელამონი სანაპიროს გასწვრივ სეირნობენ და მოესმებათ სასიკვდილოდ განწირულის ყვირილი, დაინახავენ კლდეზე მი-ჯაჭვულ ქალწულს, დაინტერესდებიან მისი ვინაობით და ხვედრით. ქალწული ყვება, რომ უდანაშაულოა, ილუსის მოდგმას ეკუთვნის, რომელიც ოდესღაც ბედნიერი იყო, თუმცა ამჟამად უბედურებამ მოიცვა ლაომედონის სახლი. ჭირი დაატყდა მის ქვეყანას, შემდეგ კი ზღვის ურჩხული, რომელსაც მსხვერპლად სწირავენ თვით მას. იგი იმედოვნებს, რომ ღვთის ნიშნით მხსნელად მოვლენილი ჰერკულესი გაათავისუფლებს, მის დასასაჩუქრებლად მამა ლაომედონს თეთრი ცხენები ჰყავს. იგი ჰერკულესს დახმარებას სთხოვს და დარწმუნებულია, რომ

[85] ჰესიონეს ეპიზოდში ჰერკულესის როლის გამოკვეთის და იუპიტერის გეგმასთან ამ ეპიზოდის მიმართებისათვის იხ.: E. Lüthje, op. cit. 1971, 83-4.
[86] H.M. Poortvliet, C. Valerius Flaccus. Argonautica Book II. A commentary, Amsterdam 1991, 242f.
[87] G. Manuwald, Hesione und der "Weltenplan" in Valerius Flaccus' *Argonautica*, *ROV* III, München 2004, 147.

მას შეუძლია გადაარჩინოს ქალწული და ტროა, რადგან ალკიდი ყველას აღემატება თავისი წარმოსადეგობითა და ძალ-ღონით. ჰერკულესი თანაგრძნობით განიმსჭვალება ასულის მიმართ. ამ დროს ნეპტუნუსის ნებით ამოვა ზღვის ურჩხული, დაწვრილებით არის აღწერილი სცენა, თუ როგორ ებრძვის ჰერკულესი ურჩხულს და ამარცხებს კიდეც მას (2. 497-537).[88] მწყემსები, რომელთაც ეს ამბავი გაიგეს, გახარებულნი არიან; ჰერკულესი ათავისუფლებს ქალწულს და ამაყად მიემართება მეფე ლაომედონთან. განთავისუფლებული ტროელები და მეფე თავის ოჯახთან ერთად მის შესახვედრად მოემართებიან, მაგრამ ლაომედონი დამწუხრებულია, რადგან არ სურს, შეელიოს ცხენებს. ლაომედონი ესალმება გმირს, ისინი ხომ იუპიტერის შთამომავლები არიან, იწვევს ჰერკულესს და სხვა არგონავტებს ქალაქში დაპირებით, რომ მომდევნო დღეს გადასცემს კუთვნილ ცხენებს. თუმცა სინამდვილეში განზრახული აქვს, ჰერკულესი ღამით მოკლას და მის იარაღს დაეპატრონოს. რადგან მას მისნობით სმენია, როგორც მთხრობელი განმარტავს, რომ ტროა ორჯერ დაეცემა ჰერკულესის იარაღით. თუმცა ვინ შეძლებს პრიამოსის სამეფოს აარიდოს მომავალი ხვედრი, გარდაუვალია ტროას დაპყრობა, რასაც უკეთესი ტროას დიდება უნდა მოჰყვეს (2. 567-573). ჰერკულესი იძულებულია ახალი დავალების შესრულების მიზნით ლაშქრობა გააგრძელოს სკვითიისაკენ და მეფეს უკან დაბრუნებას ჰპირდება, რის გამოც ამ ეტაპზე კონფლიქტი იმუხტება

უდავოდ ამ ეპიზოდის დატვირთვაა ჰერკულესის ფიგურის გამოკვეთა: ჰერკულესი ამ შემთხვევაში მზად არის, რომ საკუთარი ინიციატივით და არა სხვისი ბრძანებით, დაეხმაროს სხვას. ფლაკუსთან მას, აპოლონიოსისგან განსხვავებით, უკვე შესრულებული აქვს 12 დავალება და მზად არის სხვა საქმეთა შესასრულებლად. ის, რომ ჰერკულესი უარს ამბობს ლაომედონის საჩუქარზე, მოტივირებულია კოლხიდისკენ მგზავრობის გაგრძელების აუცილებლობით. შესაბამისად, არ იქმნება კონფლიქტური სიტუაცია ლაომედონსა და ჰერკულესს შორის, რასაც მის მიერ ტროას დანგრევა უნდა მოჰყოლოდა. დავალებას ამ შემთხვევაში თვითონ ჰესიონე აძლევს ჰერკულესს და თავისი ხვედრის შესახებ მხოლოდ მიანიშნებს: არ ამბობს, რომ ჭირი აპოლონის მიერ იქნა მოვლენილი, ნეპტუნუსის მიერ კი ზღვის ურჩხული მამამისის ლაომედონის დასასჯელად, რადგან მან შეპირებული ჯილდო არ მისცა ღმერთებს, რომლე-

[88] ბრძოლის სცენებთან დაკავშირებით იხ. H. Stadler, Hercules' Kampf mit dem Seeungeheuer (Val. Flacc. 2. 497-549), *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991, 181-196.

ბიც ტროას გალავნის აგებაში დაეხმარნენ. ფლაკუსთან ჰესიონე არ ეუბნება ბოლომდე ჰერკულესს სიმართლეს, იფარგლება მხოლოდ იმით, რომ ბედნიერებამ მიატოვა ლაომედონის სახლი (2. 473-474). ჰერკულესი ამ შემთხვევაში იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც იასონი აღმოჩნდა კოლხიდაში. მსგავსად მედეაც, იასონს პირდაპირ არ უხსნის აიეტსა და პერსესს შორის ომის წარმოშობის მიზეზს, უფრო მეტიც, პერსესს მოიხსენიებს როგორც impius hostis (5. 396). მხოლოდ მას შემდეგ, როცა აიეტი იასონს უარს ეტყვის საწმისის გაცემაზე, განჭვრეტს გმირი მეფის ნამდვილ სახეს. ლაომედონს არ სურს დაპირებული ცხენები მისცეს ჰერკულესს, პირიქით, ცდილობს, დრო მოიგოს, რომ ამ სატყუარათი მიიტყუოს და ღამით ვერაგულად გაუსწორდეს. ფლაკუსი აქ რთავს მოტივაციას, რომლის თანახმადაც, ლაომედონს სმენია, რომ ტროა ორჯერ დაეცემა ჰერკულესის იარაღის ქვეშ (2. 570-571). მსგავსად არის მოტივირებული აიეტის ტყუილიც. მან მისნობით იცის, რომ, თუ გასცემს ოქროს საწმისს, დაკარგავს ძალაუფლებას, ამიტომ აღარ იღებს ყურად კოლხი ქურუმის გაფრთხილებას. ლაომედონი ეწინააღმდეგება მისნობას, როცა განიზრახავს ჰერკულესის მოკვლას, თუმცა რადგან ჰერკულესი ლაშქრობის გაგრძელებას აპირებს, ამ მომენტისათვის კონფლიქტი იმუხტება.

გ. მანუვალდის თანახმად, ფლაკუსი სვამს თხრობაში ამ ეპიზოდს, თუმცა ცდილობს, რომ არ იყოს თემატიზებული მასთან დაკავშირებული ტროას პირველი დანგრევა. არამედ პირიქით, წინა პლანზე სურს წამოწიოს ტროას მეორე დანგრევა. თვით შენიშვნაც primum (2. 445), როდესაც არგონავტები სიგეუმის კონცხთან მოხვდებიან, მიანიშნებს იმაზე, რომ მოგვიანებით ეს ნაპირები კვლავ იხილავენ ბერძნულ გემებს. მანუვალდის თვალსაზრისს, რომ ჰესიონეს ეპიზოდი არ უნდა განვიხილოთ იუპიტერის სამყაროს გეგმის ჭრილში, ისიც ამყარებს, რომ ტროელები ჰესიონეს ეპიზოდში მოიხსენიებიან არა როგორც აზიის წარმომადგენლები, არამედ ფრიგიელები (შდრ. 2. 485, 551, 578). როგორც ჩანს, ფლაკუსისათვის ეს არის ნეიტრალური სახელი ტროასათვის, რამდენადაც ეს სახელი გამოიყენება გეოგრაფიული ლოკალიზაციისათვისაც (მაგ., 2.633); პოემის პროოიმიონში იგი უწოდებს იულიურ-კლავდიანურ მოდგას ფრიგიელებს (1.9), რითაც ამ ცნებას აკავშირებს რომაელებთან. როდესაც არგონავტები სიგეუმთან შეჩერდებიან, ფლაკუსი არ ამბობს, რომ ეს აზიაა, არამედ პირიქით, ტროადან გამგზავრების შემდეგ აღწერს ჰელესპონტოსს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ადგილას იმიჯნება ერთმანეთისაგან

ევროპა და აზია (2.613-615). მანუვალდის აზრით, ამ ეპიზოდს იუპიტერის გეგმისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. მისი ფუნქციაა, გამოსახოს განსაკუთრებული გენეალოგიური მიმართება ტროელებსა და რომაელებს შორის მისი სახელოვანი, მაგრამ თვით ნეგატიური ასპექტებითაც კი, რომელიც წარმოდგენილია ჰესიონეს განთავისუფლების სცენაში და ამით „სამყაროს გეგმაში“ წარმოგვიდგინოს რომი, როგორც უკეთესი ტროა.[89]

4.3. ჰერკულესის მიერ პრომეთეს განთავისუფლება

ზემოთ განხილულ ეპიზოდთან პარალელს გვიჩვენებს „არგონავტიკის“ სხვა პასაჟიც, კერძოდ, ჰერკულესის მიერ პრომეთეს განთავისუფლება. ვფიქრობთ, საჭიროა საგანგებოდ შევაჩეროთ მასზე ყურადღება.

უდავოდ, ფლაკუსი აპოლონიოს როდოსელისგან არის ინსპირირებული, როდესაც ამ ეპიზოდს რთავს თავის „არგონავტიკაში“, თუმცა ასევე თვალსაჩინოა ამ ეპიზოდის განსხვავებული მოტივაცია და ახლებურად გადმოცემის სურვილი.[90] აპოლონიოს როდოსელი იფარგლება ინფორმაციით, რაც უშუალოდ პრომეთეს ტანჯვას ასახავს. არგონავტები ვიდრე კავკასუსს ჩაუვლიან, ხედავენ არწივს, რომელიც მიფრინავს მიჯაჭვული პრომეთესკენ, ესმით ტანჯულის გმინვა და უყურებენ, თუ როგორ მოფრინავს უკან სისხლიანი ფრინველი (Ap. Rhod. II 1246-1259). შეიძლება ითქვას, რომ მასთან ეს მოვლენა, განცალკევებით დგას და მოქმედების განვითარებისათვის არ არის რელევანტური, მაშინ როცა, ფლაკუსი პოემაში რამდენიმეჯერ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ტიტანთან დაკავშირებულ ამბებზე. ამ თემის შემოტანისათვის ფლაკუსი საფუძველს არგონავტების კოლხიდაში მისვლამდე დიდი ხნით ადრე ამზადებს. იგი პოემის მეოთხე წიგნში წარმოგვიდგენს ე. წ. ღმერთების სცენას, სადაც აპოლონი, ლატონა და დიანა შეამდგლომლობენ ჰერკულესს, რომ მან გაათავისუფლოს პრომეთე, რაც მისთვის ღირსეული დავალება იქნებოდა. მეორე მხრივ, პრომეთეს განთავისუფლებას ამაოდ ცდილობს იაპეტუსიც მიწისქვეშეთიდან. შვილის კეთილდღეობისათვის მავედრებელი მამა, რომელიც მიუხედავად ფუ-

---

[89] G. Manuwald, op. cit., 2004, 159.

[90] პრომეთე მოხსენიებულია სენეკასთანაც (Sen. Herc. Oet. 1207-1210); ოვიდიუსი პრომეთეს უკავშირებს ადამიანის შექმნას (Ov. Met. I, 78-88). ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რაც ჰიგინუსთან დასტურდება: იგი მოგვითხრობს, რომ გმირმა გააფრთხილა იუპიტერი მორიდებოდა თეტისს, რის გამოც მადლიერი ღმერთი მასთან ჰერკულესს აგზავნის არწივის მოსაკლავად (Hyg. fab. LIV).

რიების წინააღმდეგობისა, ცდილობს, ჰადესიდან მიაწვდინოს ხმა იუპიტერს, სავსებით უცხოა აპოლონიოს როდოსელისათვის, ისევე როგორც ზემოთ დასახელებული ღმერთების სცენა. იუპიტერი დაჰყვება უკვდავთა ნებას და იღებს პრომეთეს განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას. ჰერკულესის მიერ პრომეთეს განათავისუფლების პროცესი დეტალურადაა აღწერილი უკვე მეხუთე წიგნში, როდესაც არგონავტები კავკასუსს უახლოვდებიან, მაგრამ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად მათ არ იციან, თუ რა ხდება სინამდვილეში, არც ის იციან, რომ ამ დროს კავკასუსთან ჰერკულესი იმყოფება (5, 154-176).

საგანგებოდ გვაცნობს პოეტი ადგილმდებარეობას, ვიდრე პრომეთეს სამყოფელის აღწერაზე გადავიდოდეს. თავდაპირველად დასახელებული არიან ხალიბები, რომლებიც რკინის მოპოვების და იარაღის დამზადების ხელოვნებას ფლობენ, იუპიტერ გენეტეუსის კლდე, ტიბარენთა მწვანე ტბები, მოსინები, მაკრონები, ბიძერები, ფილირას ნაპირები, რომლებიც ოდესღაც სატურნუსმა ცხენის ფლოქვის დაკვრით შეაზანზარა. ამის შემდეგ არის დასახელებული პრომეთეს „შიშისმომგვრელი სამყოფელი“ კავკასუსი, რომელიც ყინულოვან არქტოსთან აღმართულა (5. 154-5). არაფერია ნათქვამი პრომეთეზე, უშუალოდ გადადის ფლაკუსი პრომეთეს განთავისუფლების პროცესის აღწერაზე (5. 154-176). ალკიდი ყოველი მხრიდან ძლიერად არყევს მყარ ბორკილებს. ის, რაც კავკასუსის შერყევას მოჰყვება, წარღვნის მსგავსია, ფლაკუსი ხატოვანი შედარებით ლაკონურად გადმოგვცემს სათქმელს: „გაისმა ხმაური, თითქოს მაღლა წამომართულ იუპიტერს შეერყიოს ეთერის სიმაგრეები ან ნეპტუნუსის ხელს მთელი ქვემო სამყარო“; და მეორე – აღწერილია გაოცება, რამაც მოიცვა ყოველი სულდგმული, პონტოსის თვალუწვდენელი სანაპირო, ყოველი იბერი, არმენიამდე მოსახლე და მინიები, რომლებმაც არც კი უწყოდნენ, რომ მთებში ალკიდი იმყოფებოდა. tantum mirantur ab alto (5. 173) მიგვანიშნებს, რომ მხოლოდ ახლა დაინახეს მინიებმა, ის რისი ხმაც აქამდე ესმოდათ, აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ უკვე გათენდა: „ახლა მათ დიდებული ზღვიდან აცვიფრებს თოვლით დაფარული ნაპირები და კლდეთა ლოდები, ამასთანავე აოცებთ უზარმაზარი ჩრდილი მომაკვდავი ფრინველის, რომლის სისხლიც შავ წვიმად იღვრება ჰაერში“. აპოლონიოსთან არწივი პრომეთეს ღვიძლის სისხლით არის გაჟღენთილი, ფლაკუსთან კი ის ჰერკულესის მიერ არის დაჭრილი და სისხლისგან იცლება ingentem moribundae desuper umbram / alitis atque atris rorantes imbribus auras (175-6).

განწყობა უმალვე იცვლება, როდესაც არგონავტები უკვე კოლხების მხარეს მიადგებიან, მართალია, მზე არ ანათებს ზენიტში, მაგრამ ჩამავალი მზე („მზე უფრო ახლოს ანათებდა წყალთან“, 5. 177) ისე დამთრგუნველად აღარ მოქმედებს, როგორც ღამისეული მოვლენები: „დღის მიწურულს უკვე იხილეს დაქანცულებმა ნანატრი კოლხები, სადაც დიდი ფასისი აქაფებული შესართავით პირდაპირ ზღვაში ჩაედინება“ (5. 178-180).

ზემოთ განხილული ორი ეპიზოდის ურთიერთკავშირს ფლაკუსი სხვა მინიშნებითაც მიგვახვედრებს. ჰესიონეს განთავისუფლების გამო მეფე ლაომედონი ჰერკულესს ჰპირდება ცხენებს, ჰერკულესი კი იმის გამო, რომ კოლხიდაში მოგზაურობა უნდა გააგრძელოს, დროს არ კარგავს და მეფეს ეუბნება, უკან დაბრუნებისას გაუვლის და წაიღებს კუთვნილ ჯილდოს (2. 574-576). როდესაც პრომეთეს ხვედრით შეწუხებული ღმერთები იუპიტერთან იკრიბებიან, ამ დროისათვის ჰერკულესი უკვე ჩამოშორებულია ლაშქრობას, აპირებს კვლავ ტროაში დაბრუნდეს, რათა ლაომედონის დანაპირები ძღვენი მიიღოს (4. 58-60), თუმცა იუპიტერს დაითანხმებენ ღმერთები, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს და ჰერკულესს მაცნეს უგზავნის: გადადოს ტროაში ლაშქრობა და ჯერ პრომეთე გაათავისუფლოს ფრინველისგან (4. 78-80).

რამდენადაც არგონავტები კულტურის მატარებელნი არიან, მათი კოლხიდაში ჩასვლა, მთავარი მისიის გარდა, წესრიგის აღდგენას უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, დაუშვებელია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი თავისი მისიის განხორციელების შესაბამისად ხვდებიან, რაღაც ეწინააღმდეგებოდეს უზენაესი ღმერთის მიერ დადგენილ კანონებს, სწორედ ამიტომ შუამდგომლობენ ღმერთები პრომეთეს, რომ აკმაროს ღმერთმა ტანჯვა, რომ „მხცოვანმა ტიტანმა“ საკმარისად ზღო დანაშაული, სწორედ ამიტომ იღებს იუპიტერი გადაწყვეტილებას განთავისუფლდეს პრომეთე.[91] ფლაკუსს შეეძლო ჯერ პრომეთეს განთავისუფლება მოეთხრო ჩვენთვის და შემდგომ მიეყვანა არგონავტები კოლხიდაში, ან პირიქით, მაგრამ, ნიშანდობლივია, რომ განთავისუფლება, დროის თვალსაზრისით, სწორედ არგონავტების ჩასვლას ემთხვევა. აქვე უნდა დავუკვირდეთ ერთ პასაჟს პოემაში, რაც, ერთი შეხედვით, შესაძლოა, უზუსტობად მოგვეჩვენოს. მედეა იასონს დახმარებას აღუთქვამს და მას აძლევს ჯადოსნურ საშუალებას, რომელიც ტანჯული პრომეთეს სისხლით ნასაზრდო-

[91] H.J. Tschiedel, Prometheus und die Argonauten, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991, 304.

ები მიწიდან აღმოცენდება (Val. Flac. 7. 355-370; შდრ. Ap. Rhod. III 844-866). როგორ ახერხებს მედეა მოიპოვოს ეს მცენარე, როდესაც პრომეთე ამ დროისათვის უკვე განთავისუფლებულია და, შესაბამისად, მისი სისხლი ველარ ასაზრდოვებს მცენარეს. მედეა ცდილობს, გამოიყენოს წამალი, რომელიც უკვე აღარ არსებობს. ამდენად, მისი ჯადოსნობაც ძალადაკარგულია. ჰანს იურგენ ჩიდლის აზრით, მედეა მიეკუთვნება არქაულ სამყაროს, რომელსაც არგონავტების მიერ დამყარებულ წესრიგში ადგილი აღარ აქვს, შესაბამისად, მისი არგონავტების მიერ მიღებაც, განწირულია, რაც მართლაც კატასტროფით მთავრება.[92]

როგორც ჰესიონეს შემთხვევაში გაცხადებულია რომაელების წარმომავლობა და მათთან ჰერკულესის კავშირი, პრომეთეს შემთხვევაშიც აღნიშნულია მისი წარმომავლობა. როგორც ჩანს, ფლაკუსი განგებ არიდებს თავს ისედაც ცნობილი ფაქტის კონსტატაციას, რომელსაც აპოლონიოსი მისთვის ჩვეული პრაგმატულობით წარმოადგენს, მხედველობაში გვაქვს პასაჟი, სადაც იასონი თავისი ქვეყნის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას: „არის მაღალი მთებით გარშემორტყმული ერთი მხარე, ცხვრებითა და საძოვრებით მდიდარი; იაპეტონიდმა პრომეთემ აქ წარმოშვა კეთილი დევკალიონი, რომელმაც პირველად აღაშენა ქალაქები და უკვდავთ ტაძრები აუგო და პირველად გამეფდა ადამიანებზე. ამ მხარეს ირგვლივ მოსახლენი ჰემონიას ეძახიან. იქაა ჩემი ქალაქი იოლკოსი“ (Ap. Rhod. III 1085-1091).[93] რომაელი ეპიკოსი იაპეტუსს სენტიმენტალურ სცენაში წარმოგვიდგენს, შვილის კეთილდღეობისათვის მავედრებელ მამად, რომელიც მიუხედავად ფურიების წინააღმდეგობისა, ცდილობს, ჰადესიდან მიაწვდინოს ხმა იუპიტერს.

როგორც ჰესიონეს, ასევე პრომეთეს განთავისუფლების ამბავი არ არის დასახელებული იუპიტერის გეგმაში, თუმცა გამოხატავს იუპიტერის ნებას, მის სურვილს, დაამყაროს წესრიგი. თუ პრომეთეს ამბავი კოლხიდაში დატრიალებულ ამბებს, მედეას / ოქროს საწმისის საბერძნეთში გადატანას უძღვის წინ nec vellera tantum / indignanda manent propiorque ex virgine rapta / ille dolor (1. 546-7), ჰესიონეს ამბავი შეგვიძლია მივიჩნიოთ ტროას ომის პრეისტორიად, ანუ აქ არის ექსპონირებული ის ხალხი, რომელთა ხვედრი დაცემაა, თუმცა მომავალში ტროა უკეთესი რომი გახდება, რაც დროის თვალსაზრისით არგონავტების ლაშქრობის

[92] H.J. Tschiedel, Prometheus und die Argonauten, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991, 304.

[93] თარგმანი მოგვყავს წიგნიდან: აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. ბერძნ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ა. ურუშაძემ, თბილისი 1970.

შემდგომ მოხდება veniet Phrygia iam pastor ab Ida, / qui gemitus irasque pares et mutua Grais / dona ferat (1. 549-551).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ფლაკუსი მიჰყვება თავის ელინისტ წინამორბედს, ყოველთვის ახერხებს აქცენ-ტების ოსტატურად გადასმას, ახალი მოტივაციის შემოტანას, ზრუნავს მოქმედი პერსონაჟების შინაგანი სამყაროს წარმოჩენაზე, ცდილობს, არცერთი ეპიზოდი არ იდგეს პოემაში განცალკავებით, არამედ ორგანულად აკავშირებს მათ სხვა სიუჟეტურ ელემენტებთან. ფლაკუსთან ის ეპიზოდები განიცდიან დიფუზიას, რომლებიც აპოლონიოს როდოსელთან მხოლოდ მინიშნების სახით გვხვდება, ამ შემთხვევაში ფლაკუსი ძველ მითოლოგიურ ტრადიციას ეყრდნობა და იქიდან იღებს ინსპირაციის წყაროს, თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, მთელ რიგ შემთხვევაში ორიგინალობით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ მის ეპოსში მოქმედების განვითარება, ერთი შეხედვით, სწორხაზოვანია, აღწერს მოვლენებს ლაშქრობის დასაწყისიდან და გეგმაზომიერად მიჰყვება განვითარებული მოვლენების გადმოცემას, რომაელი ეპიკოსი მისთვის დამახასიათებელი თხრო-ბის ინდივიდუალური მანერით ახერხებს მკითხველი ყოველთვის უშუალოდ მოვ-ლენების განვითარების ცენტრში ჰყავდეს, მოქმედების გადმომცემი ეპიზოდები მაქსიმალურად გაათავისუფლოს ე. წ. „მეცნიერული დეტალებისგან“ და მათ მეტი დრამატიზმი შესძინოს. იმის მეშვეობით, რომ არგონავტების ლაშქრობის ამბებს და მედეა/იასონის თავგადასავალს გადმოსცემს არა თანამიმდევრობით, არამედ მთელი თავისი პერიპეტიებითა და ამავდროულად შორს მიმავალი პერს-პექტივით, შეიძლება ითქვას, რომ იგი ქმნის ეპიკური თხრობის ახალ ფორმას.[94]

ფლაკუსის ყველაზე საინტერესო ნოვატორობა ეხება კოლხიდასთან დაკა-ვშირებულ ეპიზოდებს, რასაც ჩვენი ნაშრომის შემდეგი თავი ეძღვნება.

[94] T. Fuhrer, Ahnung und Wissen: Zur Technik des Erzählens von Bekanntem, *ROV*, München 1998, 26.

II კავკასიასთან დაკავშირებული ეპიზოდების განვრცობა

არგონავტიკის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევართა ნაწილი გარკვეულ კანონზომიერებას ხედავს არგონავტთა თქმულების დამუშავებისას, რაც მათ საფუძველს აძლევს თქმულების ვერსიებზე ილაპარაკონ. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს არგონავტების თქმულების ბერძნულ და ლათინიზებულ ინტერპრეტაციასთან და არა ამ მითის სხვადასხვა ვერსიასთან, რასაც ცხადყოფს კიდეც ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა. თუ არგონავტების თქმულების ცალკეულ სიუჟეტურ ელემენტს ბერძნულ ლიტერატურაში ხშირად მხოლოდ საბერძნეთის ცალკეული რეგიონის ისტორიული ინტერესებისა და სრულიად კონკრეტული ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე ამუშავებდნენ, რომაული ლიტერატურისათვის ეს მომენტი უკვე მეორეხარისხოვანი გახდა. ა. მ. ევმელოსს[95] ეს მითი აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის შესაძლოა კორინთოსს დაუკავშიროს. პინდაროსი კირენეს მეფეთა წინაპარს, ბატოსს უკავშირებს არგონავტთა თქმულებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი მინიელთა მოდგმის მეფე იყო. შესაბამისად, პინდაროსს ეს თქმულება აინტერესებს ქალაქ კირენეს დაარსების კონტექსტში. აპოლონიოს როდოსელის პოემაში დეტალურად არის გადმოცემული არგონავტთა კოლხიდაში ლაშქრობისა და მათი უკან დაბრუნების საკმაოდ ხანგრძლივი მარშრუტი და ყველა ის ამბავი, რომელიც ესოდენ ორგანულად დაუკავშირდა არგონავტებს; ე. წ. მეცნიერულ-ეტიოლოგიური ინტერესის რაც შეიძლება ფართოდ ასახვა მას ელინისტური ლიტერატურის კონტექსტში აქცევს.

ის მნიშვნელოვანი ნოვაცია, რომელიც ბერძნულმა მოდელმა განიცადა რომაული ლიტერატურის ფარგლებში, ეხება არა იმდენად თქმულების საერთო ინფორმაციულ პლანს, რამდენადაც გმირთა მოქმედების მოტივაციებს და კონკრეტულ მოვლენათა განვითარებას.[96] თქმულება არგონავტებზე რომაელ მწერალთათვის საინტერესო იყო ძირითადად ორი თვალსაზრისით: ისტორიულ-გეოგრაფიული და წმინდა მხატვრული. პირველი ასპექტი რომაელებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც არგონავტთა ლაშქრობის მარშრუტი გარკვეულწილად ემთხვეოდა რომის იმპერიის ექსპანსიას ანატოლიასა და შავიზღვისპირეთში. ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც არგონავტთა თქმულების ბერძნულმა ინტერპრეტაციებმა შემოგვინახა, რომაელთათვის ახალ, სავსებით კონკრეტულ მნიშვნელობას იძენდა. ამდენად, „არგოს“ ექსპედიციის

[95] G. L. Huxley, Greek Epic Poetry from Eumelos to Panyassis, London 1969, 60-70.
[96] მიმოხილვისათვის იხ. ც. გიგაური. დასახ. ნაშრ. 1985, 49-79.

საშუალებით რომაელ პოეტებს შეეძლოთ, აესახათ მათი თანამედროვე რომის პოლიტიკის აქტუალური მხარეები.

ბუნებრივია, ვალერიუს ფლაკუსის ინსპირაციის წყაროს წარმოადგენდა, აპოლონიოს როდოსელის და სხვა ანტიკური ავტორების გარდა, არა მხოლოდ კოლხიდაში არგონავტების ექსპედიციის შესახებ არსებული ნაწარმოებები და წყაროები, არამედ აგრეთვე მთელი ბერძნული და რომაული ეპიკური პოეზია. ჩნდება კითხვა, თუ რატომ დაამუშავა ვალერიუს ფლაკუსმა არგონავტების მითი ab ovo, მაშინ როდესაც ეპოსის ფორმით ეს თქმულება ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-ში შექმნა აპოლონიოს როდოსელმა? უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ვალერიუს ფლაკუსის თანამედროვე ეპოქის ისტორიული პროცესები და ლიტერატურული ტენდენციები. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნის რომაელი მწერლებისათვის საკმაოდ აქტუალური იყო ეპიკური ფორმით ნაწარმოებების შექმნა:[97] ლივიუს ანდრონიკუსი (ძვ. წ. 280/260-200) ცდილობს ჰომეროსის ეპოსის ლათინური ვერსიის დამუშავებას. გნეუს ნევიუსი (ძვ. წ. 270-201) თავისი „პუნიკური ომით“ საფუძველს უდებს ნაციონალურ რომაულ ეპოსს. საყურადღებოა, რომ როგორც ტრაგედიის, ასევე ეპოსის სფეროში იგი უპირატესობას ანიჭებს რომაულ სინამდვილესთან დაკავშირებულ ფაბულებს. ენიუსი (ძვ. წ. 239-169) უფრო შორს მიდის და ქმნის „ანალებს“, რაც უკვე რომის ისტორიის გადმოცემის ცდას წარმოადგენს.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ავგუსტუსის ეპოქის დიდი აღმავლობის პათოსი რამდენადმე გადაეცა ე. წ. პრინციპატის ეპოქის ანუ კეისრების ეპოქის ლიტერატურას. დრამატული ჟანრის პარალელურად პოპულარული ხდება ბერძნული ეპოსის „თარგზე აჭრილი“ რომაული ეპოსი. ე. წ. ნერონის ეპოქისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდა კვლავ ეპიკური ჟანრის აღორძინება. ლუკანუსი (ახ. წ. 39-65) ქმნის ცნობილ პოემას „ფარსალია“, რომელიც წარმოგვიდგენს რომის დიდებას უკვე არა მითოლოგიური წარსულის ჩვენების საშუალებით, არამედ სამოქალაქო ომთან და მის ძირითად ფიგურებთან: იულიუს კეისართან, პომპეუსსა და კატონთან დაკავშირებული ამბების ჩვენებით.

ამ დროს იქმნება ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკაც“. გარდა იმისა, რომ რომაელი პოეტი აცოცხლებს აპოლონიოს როდოსელის სცენარს და წარმო-

[97] მიმოხილვისათვის იხ.: Handbuch der lateinischen Literatur der Antike (Hrs. v. R. Herzog und P. L. Schmidt), Bd. I (Hrsg. v. W. Suerbaum), München 2002.

გვიდგენს ყველა იმ კომპონენტს, რომელიც საშუალებას იძლევა მისი „არგონავტიკა“ მინიშნებების დონეზეც გასაგები იყოს მისი თანამედროვე მკითხველისათვის, ვალერიუს ფლაკუსი ახდენს ამ მითის პოლიტიზირებას და თავის ნაწარმოებში ცდილობს, ასახოს იმპერიის ხმაური, რომელიც მას ფანჯრებიდან ესმის.[98] რა იყო მისთვის სტიმულის მიმცემი? იზიდავდა მას იასონისა და მედეას პოპულარული ამბავი, თუ ამოძრავებდა მაშინდელი რომაელების ინტერესი ომისა და ვაჭრობისადმი, დედამიწის შემეცნებისა და ეთნოგრაფიისადმი? ფლაკუსი მიიზიდა არა მარტო ჩამოთვლილმა გარემოებებმა, არამედ განსაზღვრულმა თანადროულმა მოვლენებმა.[99] აქ იგულისხმება რომის აღმ. საზღვარზე განვითარებული მოვლენები, კორბულოს ლაშქრობები, ნერონის განზრახვა, დაემორჩილებინა ალბანები კასპიის ჭიშკართან, სარმატების შემოჭრა მისიაში, ვესპასიანუსის ლაშქრობა ბრიტანეთზე და საზღვაო გზის გახსნა,[100] ოთხი კეისრის (ოთო, გალბა, ვიტელიუსი, ვესპასიანუსი) ძალაუფლებისათვის ბრძოლა, სამოქალაქო ომები.[101]

შეიძლება ითქვას, ვალერიუს ფლაკუსის არგო არის რომის იმპერიის სიმბოლო და მისი მოგზაურობა შეესაბამება რომის ბედისწერას, ხოლო რომის იმპერიის ბედისწერა კი სწორედ იმპერიალისტური ექსპანსიაა, რომელსაც ვალერიუს ფლაკუსის ეპოსი უკავშირებს მსოფლიო მშვიდობის იდეებს. ისტორიის ხმა ნათლად ისმის ექსპრესიულ დამოკიდებულებაში, რომელსაც ვალერიუსი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გეოგრაფიული საზღვრების ტოპოგრაფიის მიმართ იჩენს (აპოლონიოსისგან განსხვავებით, რომელიც არ ავლენს მსგავს ინტერესს). ეს ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც არგონავტები ჰელესპონტოსში მოგზაურობენ და როდესაც შავ ზღვას (ევქსინოს პონტოსს) აღწევენ. გეოგრაფიულ-პოლიტიკური დაყოფის იდეა და საზღვრების შეგრძნება ლათინური არგონავტიკის მარშრუტს რომის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის სფეროში განიხილავს – ეს არის აპოლონიოსის „არგონავტიკის“ ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ხედვისგან სრულიად განსხვავებული

[98] თ. დ. პაპაგელისი, არგოს ლათინური მარშრუტები: ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“: „არგონავტების ლაშქრობა“, მასალები, 12-13 ივნისი, 2008, ვოლოსი, 99-107.

[99] R. Preiswerk, Zeitgeschichtliches bei Valerius Flaccus, *Philologus* 89, 1934, 433-442; P. Schenk, Studien zur poetischen Kunst des Valerius Flaccus: *Beobachtungen zur Ausgestaltung des Kriegsthemas in den Argonautica*, C. H. Beck Verlag, 1999; D. Braund, Writing a Roman *Argonautica*: the Historical Dynamic, *Hermathena* 154, 1993, 11-17.

[100] ეს ცნება ხაზს უსვამს მნიშვნელოვან მოვლენას, კერძოდ, არგონავტების ექსპედიციას აღმ. შავიზღვისპირეთში. ამ ლაშქრობით საბერძნეთმა გაიკვლია გზა შავიზღვისპირეთისაკენ.

[101] სამოქალაქო ომზე ფლაკუსი უშუალოდ მიგვანიშნებს „არგონავტიკის“ მეექვსე წიგნში (6. 402-406).

განზომილება. ელინიზმის ეპოქის poeta doctus-ის მაგივრად რომაულ „არგონავტიკას“ ქმნის კეისრების ეპოქის რომაელი პოეტი. ფლაკუსისეული არგონავტების მითოსი რომაული რეალიებით არის განმსჭვალული. მან ეპოსს ისეთი ელფერი შესძინა, რაც მისი თანამედროვე რომაელისათვის აქტუალური და საინტერესო იქნებოდა: gloria და virtus, potestas და timor, religio და სიკვდილისადმი თამამი დამოკიდებულება, commercia mundo და მსოფლიოს ნაწილად ყოფნის შეგრძნება – ყველა ეს ფაქტორი სიმბოლურ ასახვას პოულობს ფლაკუსის „არგონავტიკა-ში“. თქმულება არგონავტთა ლაშქრობის შესახებ, რომელიც ყველა ეპოქაში ინარჩუნებდა თავის აქტუალობას, მასთან ახალ განზომილებას იძენს. ეს გამოიხატება ტრადიციულად ცნობილი ეპიზოდებისა და პერსონაჟების გვერდით ახალი მოტივების და ფიგურების გაჩენით. წინამდებარე თავში შევეხებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ, შევეცდებით გამოვკვეთოთ, თუ როგორი ფორმით ხდება ფლაკუსთან კავკასიასთან დაკავშირებული ეპიზოდების განვრცობა.

ვიდრე ფლაკუსის „არგონავტიკის“ იმ ეპიზოდთა განხილვას შევუდგებით, რომლებიც თემატურად კავკასიასთან არიან დაკავშირებულნი, გავარკვიოთ, რა დამოკიდებულება აქვს ვალერიუს ფლაკუსს ამ ინფორმაციასთან, რა არის მასთან, სტრაბონის სიტყვებით რომ ვთქვათ, τὸ μυθῶδες καὶ τὸ ἱστορικόν (XI, 5, 3). უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მისი ეპოსი არ წარმოადგენს ისტორიული ხასიათის ნაწარმოებს, არამედ ცნობილ მითოლოგიურ თქმულებას ამუშავებს, მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს, მართალია, პოეტური ფორმით, მაგრამ საკმაოდ რელიეფურად გადმოსცეს კავკასიასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

არგონავტთა ლაშქრობის ისტორიულობა ჯერ კიდევ კლასიკური ეპოქის მწერლებს სჯეროდათ: ჰეკატეოს მილეტელს, სკილაქს კარიანდელს, ჰეროდოტოსს, თუკიდიდესს, ქსენოფონს და ა. შ. ერატოსთენესი (ძვ. წ. IIIს.) წერს: „ძველი ხალხები ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის შუა ზღვაში კი არ ცურავდნენ, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იასონი“ (Strab. I. 3. 2). არგონავტების ლაშქრობის ისტორიულობის დასამტკიცებლად სტრაბონთან ვკითხულობთ: Λέγεται δ' Ἰάσονα μετὰ Ἀρμένου τοῦ Θετταλοῦ κατὰ τὸν πλοῦν τὸν ἐπὶ τοὺς Κόλχους ὁρμῆσαι μέχρι τῆς Κασπίας θαλάττης, καὶ τήν τε Ἰβηρίαν καὶ τὴν Ἀλβανίαν ἐπελθεῖν καὶ πολλὰ τῆς Ἀρμενίας καὶ τῆς Μηδίας, ὡς μαρτυρεῖ τά τε Ἰασόνια καὶ ἄλλα ὑπομνήματα πλείω. τὸν δ Ἄρμενον ε ναι ἐξ Ἀρμενίου πόλεως τῶν περὶ τὴν Βοιβηίδα λίμνην μεταξὺ Φερῶν καὶ

Λαρίσης, τοὺς σὺν αὐτῷ τε οἰκίσαι τήν τε Ἀκιλισηνὴν καὶ τὴν Συσπιρῖτιν ἕως Καλαχανῆς καὶ Ἀδιαβηνῆς, καὶ δὴ καὶ τὴν Ἀρμενίαν ἐπώνυμον καταλιπεῖν (Strab. XI, IV, 8).[102]თვით ბერძენი ავტორები ეძებდნენ არგონავტების მითში სინამდვილეს და, ამდენად, მათ წინაშე ყოველთვის იდგა პრობლემა, განსაკუთრებით გეოგრაფოსებისა და ისტორიკოსების შრომებში, მაქსიმალურად აესახათ სინამდვილესთან მიახლოვებული ისტორიული ფაქტები.

ჩნდება კითხვა: რამდენად სარწმუნოა ბერძენ ისტორიკოსთა წყაროები ისტორიულობის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში საკითხს დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ. ყველა საისტორიო წერილობითი წყარო თავისი ეპოქის გამოძახილია. მასში თავს იჩენს ავტორის პიროვნული თვისებები, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, პოლიტიკური მრწამსი; ა. მ. ქსენოფონს (ძვ. წ. 426-355), რომელიც თვით ბერძნებს მიაჩნდათ არასანდო ავტორად საბერძნეთის ისტორიის შესასწავლად, ქართველი მეცნიერები ერთ-ერთ სანდო წყაროდ თვლიან სწორედ იმის გამო, რომ მისი ინტერესების სფეროში არ შედიოდნენ ძველი ქართველი ტომები.[103] ჰეროდოტოსის (ძვ. წ. V ს.) პრინციპი იყო „ისტორიაში“ წარმოედგინა მის მიერ გაგონილი თუ მოსმენილი ფაქტები, მიუხედავად იმისა, სჯეროდა თუ არა თვით მას ამ ფაქტების ჭეშმარიტების. რასაკვირველია, ხშირად ბერძენი ისტორიკოსი ცდილობს მოახდინოს ამ ფაქტების ანალიზი, გააკეთოს სათანადო დასკვნები, გამოთქვას საკუთარი თვალსაზრისი ამა თუ იმ ცნობასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი სანდოობის განსაზღვრას თავად მკითხველს მიანდობს. სწორედ ამიტომ, ბერძენი ისტორიკოსის ყოველი ცნობის განხილვისას ზუსტად უნდა გაირკვეს, სად გვაქვს საქმე ჰეროდოტოსის მიერ მოსმენილი თუ ნანახი ფაქტის აღწერასთან და სად ამ ფაქტის ჰეროდოტოსისეულ ინტერპრეტაციასთან.[104] სტრაბონს (ძვ. წ. 63/64 – დაახლ. ახ. წ. 24) განუწყვეტლივ აღელვებს საკითხი, თუ რამდენად დამაჯერებელია ის ინფორმაცია, რასაც გადმოსცემს. ა. მ., იგი თავის „გეოგრაფიაში“, როდესაც ამაძონების შესახებ მოგვითხრობს, ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, დგება პრობლემის წი-

---

[102] „ამბობენ, რომ, როდესაც იასონი არმენოს თესალიელთან ერთად კოლხებთან მივიდა, მან მიაღწია კასპიის ზღვამდე, იბერიაცა და ალბანიაც გადაიარა და დიდი ნაწილი არმენიისა და მიდიისა, როგორც მოწმობს ამას იასონისა და სხვათა მიმართ განკუთვნილი მრავალი ძეგლი. არმენოსი იყო არმენიის ქალაქიდან, იმ ქალაქთაგან ერთ-ერთიდან, რომლებიც მდებარეობენ ბოიბეიდისის ტბასთან, ფერასა და ლარისას შორის რომ არის. ისინი კი, ვინც მასთან ერთად იყვნენ, დასახლდნენ აკილისენეში და სისპირიტისში, კალაქანემდე და ადიაბენემდე. მან დაუტოვა არმენიას თავისი სახელი“.

[103] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი 1976, 9.

[104] რ. გორდეზიანი, ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ, *თსუ შრომები*, 162, არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, თბილისი 1975.

ნაშე, რა არის მითიური და რა ისტორიული მათ ამბებში და გვთავაზობს ცნებების τὸ μυθῶδες καὶ τὸ ἱστορικόν დეფინიციას: οἱ μ ν γὰρ ἄλλοι τὸ μυθῶδες καὶ τὸ ἱστορικὸν διωρισμένον ἔχουσι· τὰ γὰρ παλαιὰ καὶ ψευδῆ καὶ τερατώδη μῦθοι καλοῦνται, ἡ δ' ἱστορία βούλεται τἀληθές, ἄν τε παλαιὸν ἄν τε νέον, καὶ τὸ τερατῶδες ἢ οὐκ ἔχει ἢ σπάνιον· (XI, 5, 3).[105]

მას შემდეგ, რაც პომპეიუსმა 65 წ. დალაშქრა იბერია და კოლხიდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა რომაელთა თვალსაწიერი კავკასიისა და კავკასიელი ხალხების შესახებ, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული წყაროებიც ამ პერიოდიდან მეტ სარწმუნოობას იძენენ. აღმოსავლეთის ქვეყნების და განსაკუთრებით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მიმართ ინტერესი გარკვეულწილად აირეკლა ფლაკუსის თანამედროვე ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაწარმოებებში. ამ პროცესმა ასახვა პოვა ვალერიუს ფლაკუსთანაც. მასთან განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ევროპისა და აზიის საზღვრების შეგრძნება (4. 720). ევროპისა და აზიის შეპირისპირება ჯერ კიდევ ბერძნულ-სპარსული ომებიდან იღებს დასაბამს, ძვ. წ. VI ს-ის ბოლოს და V ს-ის დასაწყისში. სწორედ აქედან მოყოლებული გამოიყენება ეს ტერმინები სამყაროს ორი ნაწილის აღსანიშნავად და ზოგჯერ ბერძნული და აღმოსავლური ცხოვრების ნირის აღმნიშვნელ განზოგადებულ ვერბალურ სიმბოლოებადაც.[106] აპოლონიოს როდოსელთან აზია ორი ფორმით გვხვდება: ʼΑσίς (I 444 II 777) და ʼΑσίη (IV 261-293).[107] არგოსის ცნობილ

---

[105] „... სხვა ამბებს მითიური და ისტორიული მხარეები გამიჯნული აქვთ: ძველს, ტყუილსა და საკვირველს მითები ეწოდება, ხოლო ისტორიას ესაჭიროება ჭეშმარიტება, ძველი იქნება თუ ახალი, ხოლო საკვირველი ან არ გააჩნია, ან მეტისმეტად ცოტა“.

[106] R. Gordesiani, Die Gegenüberstellung Europa Asien vom Altertum bis zur Gegenwart, *Logos Abhandlungen*, Tbilisi 1997.

[107] ʼΑσίς: იდმონის წინასწარმეტყველებაში „მე კი ღვთაების მკაცრი ნებით სიკვდილი მიწერია შორს – სადმე აზიის ხმელეთზე“ (I 444); ლიკოსი არგონავტებს უყვება ჰერაკლეზე: „მას აზიის ხმელეთი ფეხით გამოევლო“ (II 777); ʼΑσίη: არგოსის სიტყვაში „იყო დრო, როცა ის მნათობები, ზეცაზე რომ ციმციმებენ, ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, არც დანაელთა წმიდა მოდგმის სახსენებელი იყო. [ქვეყნად] იყვნენ მხოლოდ არკადიელები – აპიდანელები; არკადიელები, რომლებიც, გადმოცემით, მთვარეზე ადრე ცხოვრობდნენ და მთებში რკოთი იკვებებოდნენ. არც პელასგური ქვეყანა იმართებოდა სახელოვანი დევკალიდებისაგან მაშინ, როცა სახელგანთქმული იყო შავი ყანებით მდიდარი, უძველეს თაობათა დედა-ეგვიპტე და დიადი მდინარე ტრიტონი, რომლითაც ირწყვებოდა მთელი შავი [მიწა]. ზევსისაგან მოვლენილი მერეხი არასოდეს არ ასველებდა მას და წყალდიდობითაც საკმაოდ უხვ ნაყოფს იძლეოდნენ ხოდაბუნები. ამბობენ, რომ ერთმა ვინმემ, დანდობილმა თავისი ხალხის ძალღონესა და მამაცობაზე, აქედან გარს შემოუარა მთელს ევროპასა და აზიას. ლაშქრობათა ჟამს მან დაასახლა ურიცხვი ქალაქები, რომელთაგან ზოგი ახლაც დასახლებულია, ზოგი კი – აღარ; მას შემდეგ ხომ მრავალმა საუკუნემ განვლო. ხოლო აია ახლაც მტკიცედ დგას და აქ [ცხოვრობენ] იმ ვაჟკაცთა ჩამომავალნი, რომლებიც მან აიაში სამოსახლოდ დაამკვიდრა. ამათ შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ (IV 261-293); Εὐρώπη მხოლოდ აქ მოიხსენიება კონტინენტად, დანარჩენ სამ შემთხვევაში პერსონიფიცირებულია: I 181, IV 1643, III 1179.

სიტყვაში აპოლონიოსი გადმოგვცემს სესოსტრისის მიერ აზიის დასახლების ამბავს. რაც შეეხება ტერმინს Εὐρώπη, ის მხოლოდ არგოსის სიტყვაში მოიხსენიება კონტინენტად, დანარჩენ სამ შემთხვევაში კი – პერსონიფიცირებულია (I 181, IV 1643, III 1179). ფლაკუსი რომ დიდ ინტერესს იჩენს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გეოგრაფიული საზღვრების ტოპოგრაფიის მიმართ, ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც არგონავტები ჰელესპონტოსში მოგზაურობენ და როდესაც შავ ზღვას აღწევენ. საგანგებოდ არის აღწერილი ევროპისა და აზიის გასაყარი. ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე ფაქტორზე: ეს რეგიონი უაღრესად წყალუხვია. უბრალოდ ჩამონათვალიც კი შთამბეჭდავია: ისტროსის შვიდტოტიანი დელტა, ტანაისი, ტირასი, ყვითელი ჰიპანისი, ნოვასი, მეოტისის ყურე. წყალი ნაკლებად მარილიანია; საშინელი ყინვების გამო ზამთარში ყველაფერი იყინება.[108] აქ არის სწორედ ევროპისა და აზიის გასაყარი (4. 727-8).[109] ფლაკუსთან საგანგებოდ არის აღნიშნული და ფორმულირებული მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი: საზღვაო გზის გახსნა – არგონავტების მიერ სიმპლეგადების გადალახვა: freta, quae longis fuerat impervia saeclis, / ad subitam stupuere ratem, 711f. რომაელი ეპიკოსი აღმ. შავიზღვისპირეთის აღმოჩენას შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „პონტოსის ყველა შორეული ქვეყანა და მეფენი, შორეული ხალხები, ისინი ახლა აღმოჩენილია“ Pontique iacentis / omne solum regesque patent gentesque repostae, 712-3.

ვიდრე ვიმსჯელებთ საკითხზე, თუ რა მიმართებას გვიჩვენებს ფლაკუსი კავკასიასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან, თვალი გავადევნოთ, როგორ იცვლებოდა ეპოქების შესაბამისად დამოკიდებულება ამ რეგიონის მიმართ.[110] კავკასია ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული აღნიშნავს ქედს შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. კლასიკურამდელი პერიოდის ბერძნული წყაროების მიხედვით კავკასია აღქმულია როგორც რეგიონი, რომელთანაც დაკავშირებულია

---

[108] შდრ. სტრაბონის ცნობა: „ევროპიდან აზიაში ხმელეთთა აღწერის მიზნით გადასვლისას ჩვენ მიერ გამოყოფილი ორი აზიური ნაწილიდან პირველი ჩრდილოეთითაა, რის გამოც აღწერა აქედან უნდა დაიწყოს. ხოლო ჩრდილოეთით მდებარე ამ ქვეყნებიდან პირველად ტანაისის მიმდებარე მიწებია, რომელიც (ტანაისი) ჩვენ ევროპისა და აზიის საზღვრად დავადგინეთ“ (Strab. XI, 1, 5).

[109] შდრ. სოლის მიმართვა იუპიტერისადმი, რომელიც პარალელებს გვიჩვენებს მეოთხე წიგნში ამ რეგიონის (zona, 1. 516) დახასიათებასთან:
1. 515 nube rigens – 4. 729 umbrosae nubes
1. 512 saevum gelu – 4. 722-726
1. 516 nostros ... zona reverberat ignes – 4. 729 umbrosae nubes.

[110] მიმოხილვისათვის შდრ.: რ. გორდეზიანი, Λєκτά რჩეული ნაშრომები. К восприятию Кавказа в античных истониках, ლოგოსი, თბილისი 2000, 262-267; Herrman, Καύκασος, RE XI, 1, 59-62.

პრომეთესა და არგონავტების თქმულება. კლასიკურ პერიოდში კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების განვითარებასთან ერთად ხდება ინფორმაციის კრიტიკული აღქმა. ამ პერიოდში კავკასია ლეგენდარულის სფეროდან რეალურში გადადის. კლასიკურის შემდგომი პერიოდის ბერძნული და რომაული წყაროები უკვე აღარ არიან ორიენტირებულნი ოპოზიციაზე ელინები/ბარბაროსები. ამ ეპოქაში ყალიბდება კავკასიის შესახებ რეალობის მეტ-ნაკლებად ადეკვატური შეხედულებები. უფრო ღრმად გაიაზრება კავკასიის გეოპოლიტიკური სიტუაცია. ყალიბდება თვალსაზრისი კავკასიის ეთნიკური სიჭრელის თაობაზე. ცნება კოლხიდა მოიცავს მრავალრიცხოვან ტომს, რომლებიც დას. საქართველოს ტერიტორიაზე სახლობენ. კავკასიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ამ პერიოდის მწერალთა თანახმად, კომპაქტურად დასახლებული იბერია. შედარებით მცირეა ინფორმაცია იმ ტომების შესახებ, რომლებიც კავკასიის ჩრდ. ფერდობებზე ბინადრობენ. ძირითადად ყურადღება მახვილდება ალანებზე, სარმატებზე, სკვითურ ტომებზე, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი მრავალრიცხოვნებითა და სამხრეთის ტომებთან ურთიერთობით. კავკასიის სინამდვილის ამსახველი ცნობები უხვად მოგვეპოვება ბერძნულ მწერლობაში მითრიდატესის ომებთან დაკავშირებით (ძვ. წ. II ს-ის I ნახ.), როდესაც რომი საგანგებო ინტერესით ეკიდება ამიერკავკასიის ქვეყნებს. რომის იმპერიის ფარგლების განვრცობასთან ერთად ფართოვდებოდა მსოფლიო საზღვრები. კავკასია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა დაპირისპირებაში დასავლეთი/აღმოსავლეთი, ევროპა/აზია და სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ინტერესი ამ რეგიონისადმი. რომის იმპერიის ფარგლების განვრცობასთან ერთად ფართოვდებოდა მსოფლიო ისტორიის ძირითადი არენის საზღვრები. ამის პარალელურად სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა კავკასიის როლი ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ტომების სისტემატური ურთიერთშეტაკებებისა და დიფერენცირებულობისა, თანდათანობით იკვეთება კავკასიის ერთიანობის ხატი. ეს პროცესი შეჯამდა სტეფანოს ბიზანტიელის „ეთნიკაში“, რომელიც ყველაზე დიდი ქედის გარშემო განლაგებული რეგიონის განმაზოგადებელ აღმნიშვნელად გვთავაზობს ტერმინს Καυκασιανός ან Καυκασίτης.[111]

[111] Καύκασος, τὸ ὄρος, ὃ καὶ Παροπάνισον καλοῦσι, τῶν κατὰ τὴν ʼΑσίαν ὀρῶν μέγιστον. τὸ ἐθνικὸν Καυκάσιος καὶ Καυκασία θηλυκῶς ἐπὶ τῆς χώρας, ἀφʼ ου̣ τὸ Καυκασιανός ὡς Κασπιανός. καὶ οὐδετέρως Καυκάσιον. λέγεται καὶ διὰ τοῦ ι Καύκασις, ἐξ ου̣ τὸ Καυκασίτης, ὡς τὸ ʼΟασίτης τῆς ʼΟάσιος.

ანტიკურმა სამყარომ, რომლის წიაღშიც აღმოცენდა ტერმინი კავკასია, პირველმა შენიშნა მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი – დიფერენცირებულობა და გარკვეული ერთიანობა. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული წყარო, სადაც ეს ორონიმი დასტურდება (Καυκάσου πέλας „კავკასოსის მახლობლად“), არის ესქილე (Prom. desm. 422, შდრ. 719). ჰეროდოტოსთან ტერმინი დადასტურებულია სამი ფორმით: ὁ Καύκασος (I 203, 204) – კავკასოსის მთის ან ქედის აღმნიშვნელი არსებითი სახელი, Καυκάσιος – ὄρος-ის მსაზღვრელი (Καύκασιον ὄρος I 104), Καύκασις – გამოიყენება საერთოდ კავკასიის ქედის აღმნიშვნელ არსებით სახელად (III 97) და ასევე მსაზღვრელად, Καυκάσιος ὄρεος (III 97). შესაბამისად, ჰეროდოტოსთან ტერმინი გვხვდება ყველა იმ ძირითადი საბაზისო ფორმით, რომელთა საფუძველზე ანტიკურსა თუ პოსტანტიკურ წყაროებში ნაწარმოებია ჩვენთვის საინტერესო ფუძის შემცველი ყველა ფორმატივი. აპოლონიოს როდოსელთან კავკასიასთან დაკავშირებული შემდეგი ფორმები გვხვდება: უშუალოდ კავკასოსი მსაზღვრელებით αἰπεινός „მაღალი“: Καύκασον αἰπήεντα (II 1267); νιφόεις „თოვლიანი“: νιφόεντος ... | Καυκάσου (III 1224). Καυκάσιος ფორმა როგორც მსაზღვრელი დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: Καυκάσου ἐν κνημοῖσι (II 1210) „კავკასიონის მთებში“; κνημοῖς ἔνι Καυκασίοισιν (III 852) „კავკასიის ფერდობებზე“; Καυκασίων ὀρέων (II 1247) „კავკასიის მთების“; Καυκασίην ἅλαδ’ (IV, 135) „კავკასიის ზღვა“. Καυκασίη ასევე დასტურდება ნიმფა ასტეროდეას, აფსირტოსის დედის წარმომავლობის აღსანიშნავად: τὸν μὲν Καυκασίη νύμφη τέκεν ’Αστερόδεια (III, 242);

ფლაკუსთანაც, როგორც ზემოთ დასახელებულ წყაროებში, კავკასუსი, უპირველეს ყოვლისა, არის ის ადგილი, სადაც პრომეთეა მიჯაჭვული: Ultimus inde sinus saevumque cubile Promethei / cernitur, in gelidas consurgens Caucasus Arctos (5.155); consonat ingens / Caucasus (5. 161); quem te horrifero sortitus in axe /Caucasus 5. 518; quantus ubi ipse gelu magnoque incanuit imbre / Caucasus (6.612); ante meus caesa descendet Caucasus umbra (7.55). ამას გარდა გვხვდება ამავე სახელის პერსონაჟი, რომელიც ერთ-ერთი კოლხი მეომრის თიდრუსის მამაა. თიდრუსი კავკასუსმა ფასისის ნაპირებთან ჩასახა Caucasus ad primas genuit quem Phasidis undas (6.641). ეს პერსონაჟი პირველად პლუტარქოსთან გვხვდება, რომლის თანახმად, კავკასუსის სახელი უკავშირდება მთას, რომელსაც ამ მწყემსის მიხედვით ეწოდა კავკასოსი და, შესაბამისად, ამ მთის ეპონიმადაც მოიაზრება: ... Προσηγορεύθη δ Καύκασος διὰ

περίστασιν τοιαύτην. Μετὰ τὴν γιγαντομαχίαν Κρόνος ἐκκλίνων τὰς Διὸς ἀπειλὰς ἔφυγεν εἰς τὴν ἀκρώρειαν Βορέου Κοίτης· καὶ εἰς κροκόδειλον μεταμορφωθεὶς [ἔλαθεν· ὁ δ Προμηθεὺς] ἕνα τῶν ἐγχωρίων ποιμένα Καύκασον ἀναταμὼν καὶ κατανοήσας αὐτοῦ τὴν διάθεσιν τῶν σπλάγχνων, ε πεν οὐ μακρὰν ε ναι τοὺς πολεμίους. Ὁ δ Ζεὺς ἐπιφανεὶς τὸν μ ν πατέρα δήσας πλεκτῷ ἐρίῳ κατεταρτάρωσεν· τὸ δ ὄρος εἰς τιμὴν τοῦ ποιμένος Καύκασον μετονομάσας, προσέδησεν αὐτῷ τὸν Προμηθέα καὶ ἠνάγκασεν αὐτὸν ὑπὸ σπλαγχνοφάγου ἀετοῦ βασανίζεσθαι, ὅτι παρηνόμησεν εἰς τὰ σπλάγχνα, ὡς ἱστορεῖ Κλεάνθης ἐν γ Θεομαχίας γεγραφώς (Plut. fluv. 5, 3).[112]

Caucaseus რომაელ ეპიკოსთან გვხვდება შემდეგი სიტყვების მსაზღვრელად: კავკასუსის მდინარეები და კლდეები: congeminant amnes rupesque fragorem / Caucaseae, stupet ipse dei clamoribus ales (6. 72); კავკასიის კლდეები: Caucaseis speculatrix Iuno resedit / rupibus (7.190); კავკასიის მთები: vix ea, Caucaseis cum lapsus montibus anguis (5.253); კავკასიის ნიმფები ad sua Caucaseae producunt flumina nymphae (5. 381); კავკასიის ყვავილი: Prometheae florem de sanguine fibrae / Caucaseum promit nutritaque gramina monti (7. 357); კავკასიის ხეები: Caucaseaeque trabes omnisque Aeetia tellus (7. 565). საინტერესოა, რომ ფლაკუსთან Caucaseus, ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, განსაზღვრავს პრომეთეს ეთნიკურ წარმომავლობას; იგი მოიხსენიება როგორც კავკასიელი მხცოვანი: 'in quem alium Alciden, in quae iam tempora differs / Caucaseum, rex magne, senem? (4.63).

ცალკე უნდა შევეხოთ სკვითიის საკითხს, რას აღნიშნავს ფლაკუსთან ეს ცნება, შესაძლოა თუ არა მისი ლოკალიზება, რას ეფუძნება ის გარემოება, რომ რომაელი ეპიკოსი სკვითებად მოიხსენიებს ისეთ ტომებს, რომლებიც არ არიან სკვითური წარმომავლობის, რითი აიხსნება ის ფაქტი, რომ თვით კოლხი აიეტი და კოლხი ქალწული მედეაც მასთან რამდენიმე ადგილას სკვითებად მოიხსენიებიან?

პირველად **სკვითია** ჰეროდოტოსთან გვხვდება ზედსართაული ფორმით Σκυθική (IV 12, 28, 51, 76, 101, 125, 130, 139), რასაც უმეტეს შემთხვევაში თან და-

[112] „...ხოლო კავკასიონი შემდეგი გარემოების გამო ეწოდა. გიგანტებთან ბრძოლის შემდეგ ზევსის მუქარას გამოქცეულმა კრონოსმა "ბორეასის სარეცელს" შეაფარა თავი და ნიანგად ქცეული იქ იმალებოდა. მაგრამ [პრომეთევსმა], რომელმაც ერთი ადგილობრივი მცხოვრები – მწყემსი კავკასოსი მოკლა და მისი შიგნეულობა გამოიკვლია, თქვა, რომ მტრები შორს არ იყვნენ. აქ მოსულმა ზევსმა მამა დაგრეხილი მატყლით შეკრა და ქვესკნელში ჩააგდო. მთას კი მწყემსის პატივსაცემად დაარქვა კავკასოსი, მას მიაჯაჭვა პრომეთე და აიძულა დაეთმინა ტანჯვა – ღვიძლს უკორტნიდა არწივი მწყემსის გულ-ღვიძლისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო. ასე გადმოგვცემს კლეანთესი "თეომაქიის" III წიგნში."

ერთვის ლექსიკური ფორმატივები χῶρα და γῆ (I 105; IV 8, 99, 123, 129). ჰეროდოტოსის დროს სკვითია მოიცავს ტერიტორიას ქვემო ისტროსსა და ტანაისს შორის. ჩრდილოეთით სახლობენ არასკვითური ტომები: აგათირსები, ნევრები, ანდროფაგები და მელანქლენები. სამხრეთით ესაზღვრება პონტოს ევქსინოსი. ჰეროდოტოსის გაგებით, სკვითების ქვეყანა დიდი ხნის განამავლობაში წარმოადგენდა ჩაკეტილ პოლიტიკურ მთლიანობას, ვიდრე იქ არ შეიჭრნენ სარმატები, რის შემდეგაც სკვითია სარმატიად იწოდებოდა, თუმცა სკვითიის სახელდება უკვალოდ არ გამქრალა, იგი სამხ.-აღმ. ევროპის ყველა ნომადური და ნაწილობრივ მომთაბარე ტომების, მათ შორის მონათესავე სარმატების (რომლებიც ხშირად სკვითებადაც მოიხსენიებიან) განმაზოგადებელ ტერმინად იქცა, იმდენადაც კი, რომ ეს სახელდება ჩრდ. აზიურ ტომებზეც ვრცელდებოდა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი სტრაბონის ცნობა, რომლის თანახმადაც, მთელი ჩრდ. აზია სკვითების ქვეყანაა: Εἰσπλέοντι δ' ἐν δεξιᾷ μ ν τοῖς Εὐρωπαίοις οἱ συνεχεῖς Σκύθαι νέμονται καὶ Σαρμάται οἱ μεταξὺ τοῦ Τανάιδος καὶ τῆς θαλάττης ταύτης, νομάδες οἱ πλείους, περὶ ὧν εἰρήκαμεν· ἐν ἀριστερᾷ δ' οἱ πρὸς ἕω Σκύθαι, νομάδες καὶ οὗτοι, μέχρι τῆς ἑῴας θαλάττης καὶ τῆς Ἰνδικῆς παρατείνοντες. ἅπαντας μ ν δὴ τοὺς προσβόρρους κοινῶς οἱ παλαιοὶ τῶν Ἑλλήνων συγγραφεῖς Σκύθας καὶ Κελτοσκύθας ἐκάλουν· (Strab.XI,6,2).[113] გეოგრაფოს მარინოსთან და პტოლემაიოსთან კვლავ ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ სკვითების სახელდება ვრცელდებოდა ჩრდ. აღმოსავლეთის უდიდეს ნაწილზე, მაშინ როცა, ამ დროისთვის ძველი სკვითური ტერიტორიები ევროპაში სარმატიად იწოდება, რომელსაც მდ. ტანაისი მიჯნავდა ევროპულ და აზიურ ნაწილებად.[114] ბერძნული ტერმინით Σκύθαι (ლათ. Scythae) მოიხსენიებდნენ ტომებს, რომლებიც უპირატესად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და რომლებიც ძვ. წ. VII საუკუნიდან გვიანანტიკურობამდე მოყოლებული ჩრდილოეთში და პონტოს ევქსინოსის ჩრდ.-დას.-ით სახლობდნენ. ჩრდ. საზღვრებად მოიაზრებოდა ტერიტორია მდინარეებს ისტროსსა (დუნაი), ტირასს (დნესტრი), ჰიპანისს, ბორისთენესს (დნეპრი) და ტანაისს (დონი) შორის. ბერძნების და რომაელების

[113] „შიგ რომ შევცურდებით (კასპიის ზღვაში), მარჯვენა მხარეს, ევროპელების მომიჯნავენი არიან სკვითები და სარმატები, რომლებიც ცხოვრობენ ტანაისსა და ამ ზღვას შორის. ესენი, როგორც უკვე ვთქვით, მეტწილად მომთაბარეები არიან. მარცხენა მხარეს კი არიან აღმოსავლეთის სკვითები. ესენიც მომთაბარეები არიან და გადაჭიმულნი არიან აღმოსავლეთის ზღვამდე და ინდოეთამდეც კი. ძველი ელინი აღმწერელნი ყველა ამ ჩრდილოეთის ხალხებს საზოგადოდ სკვითებსა და კელტოსკვითებს უწოდებდნენ“.

[114] K. Kretschmer, Scythia, RE II A,1, 942-946.

შეხედულება სკვითების შესახებ ამბივალენტურია: ერთი მხრივ, სკვითებს მიიჩნევდნენ ბარბაროსებად, მეორე მხრივ, ბუნებასთან დაახლოვებულ, სამართლიან და მორწმუნე ადამიანებად (Thuk.2,97; Strab.7,3,7f.). დარიოსის ლაშქრობებთან დაკავშირებით სკვითები პირველად ჰეროდოტოსთან დასტურდებიან. ბიზანტიური პერიოდის ჩათვლით სკვითებად განუსხვავებლად მოიხსენიებოდნენ ჩრდილოეთის და ჩრდ.-აღმ. ბარბაროსი ხალხები.[115]

ანტიკურ წყაროებში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, თუ რა მასშტაბებს მოიცავს სკვითია. ეს ვითარება აისახება ფლაკუსთანაც. იგი „არგონავტიკის“ შესავალშივე ფაზისს მოიხსენიებს სკვითურ მდინარედ და აიეტსაც და მედეასაც სკვითებად მიიჩნევს hunc ferus Aeetes, Scythiam Phasinque rigentem (1.43); da Scythiam Phasinque mihi tuque, innuba Pallas (1. 87); კრეთევსის მისნობაში მედეა მოიხსენიება როგორც საპატარძლო სკვითიიდან mox Scythiae spoliis nuribusque superbus / adveniet (1.745). თუმცა, ამავდროულად, მეექვსე წიგნში, სადაც აიეტი და პერსესი უპირისპირდებიან ერთმანეთს, კარგად არის გამიჯნული, თუ ვინ მოიაზრებიან კოლხებად და ვინ მათთან დაპირისპირებულ ძალად: Musa, mone, quanto Scythiam molimine Perses / concierit (6.34) „მუზავ, შემახსენე როგორი მოწადინებით აღაგზნებდა პერსესი სკვითიას“; Talia certatim Minyae sparsique Cytaei / funera miscebant campis Scythiamque premebant (6. 428) „მინიებმა ბრძოლაში გაინაწილეს კვიტეელების ხვედრი ბრძოლის ველზე და შეავიწროვეს სკვითები“; 'quid me iam patriis eiectum sedibus istas / ut struerem pugnas Scythiamque in bella moverem / vos superi (6. 728) გაწბილებული პერსესი მიმართავს ქალღმერთებს, რომ ომში სკვითია დამარცხდა; შდრ. ასევე sic demum rapidi venies ad Phasidis amnem. / castra ibi iam Scythiae fraternaque surgit Erinys (4.617); ფინევსის მისნობაში კოლხებთან დაპირისპირებული ძალა იწოდება სკვითებად: concutiens Scythiaeque super tentoria sistit (6.7) „ბოლოს მიხვალ მჩქეფარე ფასისის წყლებთან იქ უკვე სკვითების კარვებია გაშლილი“; შდრ. ასევე პერსესის დამხმარე ძალა, რომლებიც სკვითურ რაზმად მოიხსენიება nec minus hinc urget Scythiae manus armaque Canthi (6. 350); aut Scythiae tanta inde manus (7.424); კიმერიელი მისანი ვანუსი სკვითიის ახალგაზრდობას არგონავტების ლაშქრობების შესახებ უამბობს: Vanus, eum Scythiae iam tertia viderat aetas (6. 115); პერსესის მოკავშირე კოლაქსესი მიმართავს არგონავტებს 'vos Scythiae saturare

[115] I. v. Bredov, Skythen, DNP 11, 644-656.

canes Scythiaeque volucres / huc miseri venis<tis>? (6. 647) „მოდით, უგნურნო, სკვითიის ძაღლების და სკვითიის ფრინველების საჯიჯგნად.“

Scythicus ზედსართაული ფორმა ფლაკუსთან გვხვდება მსაზღვრელად შემდეგ შემთხვევებში: სკვითური ფასისი (1.2); სკვითური ზღვა (1. 58, 1. 331, 2.379, 2. 574); სკვითიის მეფე (1. 345, 1. 442); სკვითიის მიწა (1. 442); სკვითიის შვილი sic. აიეტი (1. 503); სკვითიის მდინარე (2. 595); სკვითური სამსხვერპლო (2. 648); სკვითიის სიმდიდრე (3.307); სკვითიის მეფეები (3. 496); სკვითიის ქვეყანა (3. 617); სკვითური ნაპირები (3. 653, 6.49, 7.42); სკვითიის ხალხი (4.9); სკვითური მშვილდი (4. 728); სკვითიის ქალაქი (5.224, 5. 325); სკვითიის სახლები (5. 516); სკვითიის ყურე (6. 319); სკვითური ისტრუსი (8.185).

თვალშისაცემია ფლაკუსის დამოკიდებულება ამ ტერმინების შერჩევისას: რაც უფრო უახლოვდებიან არგონავტები ნანატრ კოლხიდას, მით უფრო მეტი კონკრეტიზაცია და დიფერენციაცია ხდება; ა. მ. თუ ნაოსნობის დანიშნულების მხარე არგონავტების მოგზაურობის დასაწყისში განზოგადებული სახელით ჩრდილოეთით (arctos), ფაზისი სკვითურ მდინარედ, ხოლო აიეტი და მედეა სკვითებად მოიხსენიებიან (1. 345, 1. 442), არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის მეტი კონკრეტიზაცია ხდება. ეთნიკურობის განმსაზღვრელი სხვადასხვა ტერმინი იჩენს თავს: კოლხი[116], აიელი[117], კვიტეელი[118], ფასისელი[119]. მედეა თუ პოემის დასაწყისში მოიხსენიება როგორც საპატარძლო სკვითიიდან, არგო-

[116] Colchus: ...saevi capient quae gaudia Colchi, 3.698; Phasidis et mites' inquit 'dent vellera Colchi, 4.706; apparent trepidi <per> Phasidis ostia Colchi, 5.440; hinc pariter Colchi Graique sequuntur / missilibus, 6.190; concurrunt ultroque ruunt in funera Colchi, 6. 241; atque 'hanc, o siquis vobis dolor iraque, Colchi, / accelerate viam 8.264; qua iussos sectatur quaerere Colchos / arte queat, 1.66; repperit et Colchos in me luctumque meorum, 1. 201; ei mihi, Colchos / unde ego et avecti timuissem vellera Phrixi?, 1. 327; tu quoque Phrixeos remo, Poeantie, Colchos / bis Lemnon visure petis, 1. 391; prodigiis quatiuntque truces oracula Colchos, 1. 743; ipse truces illic Colchos hostemque iuvabis, 4.618; vosque, viri, optatos huc adfore credite Colchos, 3.82; coeperat optatos iam lux ostendere Colchos, 5.178; cernis,' ait 'Colchos habeant quae proelia quique, 5. 283; Phasidis hos imponat agris Colchosque vocari / imperet, 5. 420; ac simul hinc Colchos, hinc fundit in aequora Persen, 6.30; Graiugenas, omnes rapturus acumine Colchos, 6. 389; dispulerant Colchos pariterque inglorius Armis, 6. 530; venerat ut Colchos procul atque Aeetia Parthis, 6. 691; fas mihi non habiles, fas et tibi linquere Colchos, 7. 231; quisve pudor Colchos iterum fratremque videnti, 8.313; haud usquam Colchorum animi ~neque in peste revinctos~ / tela, 6.417; robur inest; nec enim solis dare funera Colchi, 3.681; haec tum miracula Colchis / struxerat, 5.451; non opus auxilio Colchis nec foedere vestro, 5. 633; quem genitor Colchis solioque imponere fratris / iam statuit, 6.742; te iubet aut ullas Colchis abducere natas, 8. 156; nec numero quoniam Colchis nec puppibus aequos, 8. 320; infesto clamore ruunt inimicaque Colchis / aequora, 8. 326; lumina et admotis nimium mens anxia Colchis / profuit, 5. 50.

[117] Aeaeus: Caspius Aeaeum correpto crine Monesen /abstulit (6.189).

[118] Cytaeus (a) adj.: sed fama Cytaeae / virginis 6.156; fertur et ipsa furens ac se modo laeta Cytaeis / agminibus, 6. 543; aspicis ut Minyas inter proceresque Cytaeos / emicet effulgens quantisque insultet acervis, 6. 595; tum iuvenem terris Parcae tenuere Cytaeis / ac subiti Mavortis amor, 6. 693; (b) subst.: Talia certatim Minyae sparsique Cytaei / funera miscebant campis Scythiamque premebant, 6.427; ...nova lux offusa Cytaeis, 5.466.

[119] Phasiades: et desertus equo Thydrum pedes excipit hasta / Phasiaden, 6.640.

ნავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის კოლხ ქალწულად იწოდება.[120] უფრო რელიეფურად იმიჯნება ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი. ეს კარგად ჩანს ეპითეტებისა და შედარებების დონეზეც; თუ ჩრდილოეთის ექსპონირებაში ჭარბობს თოვლი, გაუსაძლისი კლიმატური და საყოფაცხოვრებო პირობები, კოლხიდის დასახასიათებლად მრავალგზის გამოიყენება მზის, სითბოს და სინათლის აღმნიშვნელი ტერმინები.[121] ჩრდ. შავიზღვისპირეთი ზოგადად მოხსენიებულია ტერმინით Arctos.[122] ჩრდილოეთი კარგად არის ექსპონირებული ფლაკუსთან იაზიგი მეომრის გესანდერის სიტყვაში, რომლითაც არგონავტ კანთუსს შიშს ჰგვრის: „შენ, არგიველო, რომელმაც ეს საცხოვრისები მყუდროდ და ადამიანურად მიიჩნიე, ხედავ აქ, საბრალოვ, განსხვავებულ ჟამთა ცვლას, მასაზრდოვებელ თოვლს და სიცოცხლის დროულ უგულებელყოფას. არც მჩატე ნიჩბებზე ხელების დაწყობა გვეხერხება, და არც ზურგქარის ლოდინი გვჭირდება. ცხენებს დავაქროლებთ ზღვის გაყინულ შუაგულში ან იქ, სადაც ისტროსი წყალს აჩუხჩუხებს. არ ვწყალობთ თქვენი ქალაქის კედლებს: ახლა თავისუფლად დავქრივარ ჩრდილოეთის ზეგნებზე. ყველაფერი მაქვს და ყოველივეს თან დავატარებ; შესაძლოა მხოლოდ ეტლი დავკარგო და ამ ნადავლსაც დიდი ხნით ვერ დაისაკუთრებ როგორც გამარჯვებული. საზრდო კი ჩვენი არის ყოველგვარი პირუტყვი თუ ნადირი; გაუგზავნე აზიის, არგოლიდის მცხოვრებთ ამბავი, რომ შიში ნუ ექნებათ: არასოდეს დავტოვებ მე ამ ყინვას, ამ კლდეებს, მარსის ველებს, სადაც ასეთ შმაგ მდინარეში ჩვენი შთამომავლობა და ახალშობილები გამოვაწრთეთ, სადაც ამდენგვარია სიკვდილი კაცთათვის. ამგვარად მშობლიურ ყინვაში ომიც და ნადავლის მოპოვებაც ტკბილია“ (6. 323-339).

[120] Colchis: Colchis erat nondum miseros exosa parentes, 5.349; fundere taeda / Colchis et aequali dominam lustrare caterva, 7.181; et iamiam magico per opaca silentia Colchis, 7. 389;...sed non incendia Colchis / adspirare sinit clipeoque inliditur ignis, 7. 584;... alium dehinc turbida Colchis / exarmat, 7. 596; Iamque manus Colchis ~crinem~que intenderat astris, 8.68; Somne pater: 'Somne omnipotens, te Colchi[di]s ab omni, 8. 70; contra Tartareis Colchis spumare <venenis>, 8. 83; Colchis et Haemonius nobis succedet adulter, 8. 338; sensit diva dolos iam pridem sponte requirens / Colchida, 6.468; His ubi nequiquam nutantem Colchida curis / Iuno videt, 7.153; Cytherea petivit / Colchida, 7. 190; flebat et invito prospexit Colchida vultu, 7. 575; At trepidam in thalamis et iam sua facta paventem / Colchida, 8.2; gemit inritus ille / Colchidos ora tuens, 7.369; ergo iter<um> ad socias convertere Colchidos artes, 7. 625; შდრ. კოლხი ქალები Colchides aequalesque tibi, Medea, puellae, 8.142.

[121] ergo ubi lux altum sparget mare (5.318); Sol propius flammabat aquas extremaque fessis/ coeperat optatos iam lux ostendere Colchos (5.177-8). კოლხიდაში მდებარეობს მზის ღმერთის, სოლის ტაძარი; აიეტი სოლის ვაჟია; იასონი მას მიმართავს როგორც ჰიპერიონის ძეს rex Hyperionide (5.471).

[122] cernitur, in gelidas consurgens Caucasus Arctos, 5.155; signa gerens omnemque quatit rumoribus Arcton, 5.272; Soligenam Aeeten media regnare sub Arcto, 5.317; cum vada Thyrsagetas gelida liquisse sub Arcto, 6.140; nec clarior ullis / Arctos equis, 6.147; შდრ. ასევე ზედსართ. ფორმა Arctous: 3.499; 5.619; 6.295, 330.

თუმცა ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პოემაში გვხვდება ორი პასაჟი, სადაც „გარკვეულ აღრევასთან“ გვაქვს საქმე: აიეტი და მედეა სკვითებად მოიხსენიებიან მას შემდეგაც, რაც არგონავტები უკვე კოლხიდაში იმყოფებიან: პირველი, როდესაც ფლაკუსი აღწერს აიეტის რეაქციას, როდესაც მან იასონის თხოვნა მოისმინა, იგი თავის თავს სკვითებთან აიგივებს: Scythiae periisse timores „სკვითიის წინაშე გამქრალა შიში“ (5.524-5); და მეორე, სადაც გადმოცემულია სამშობლოს მიტოვებით გამოწვეული მედეას განცდები, პოეტი ამბობს: nulla palus, nullus Scythiae non maeret euntem / amnis (8.209) „სკვითიის ყველა ჭაობი და მდინარე დარდობს, ის რომ მიდის“. შდრ. ასევე ეთნიკურობის აღმნიშვნელი მდ. სქ. ლექსიკური ფორმატივი Scythis „სკვითი ქალი“, რომელიც gen. pl.-ს ფორმით გვხვდება, იქ, სადაც აღწერილია მედეას სიზმარი Phasidis aequali Scythidum comitante caterva (5.342) „ფასისის ნაპირებზე თან ახლავს [მედეას] თანატოლ სკვით ქალწულთა ჯგუფი“.

ასეთი აღრევები, ჩვენი აზრით, სწორედ იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ტერმინი სკვითი ფართო ცნებაა. ჯერ კიდევ ევმელოსის (ძვ. წ. VIII ს.) ფრაგმენტებში არის მოხსენიებული, რომ აიეტმა, რომელსაც წილად ხვდა კორინთოსში მეფობა, დაუტოვა იგი ბუნოსს და თვითონ სკვითიის კოლხიდაში წავიდა (პინდაროსის სქოლიასტი, Ol. XIII, 74; ცეცე ლიკოფრონის 174 ტაეპის შეს.).

ჰირკანია მდებარეობს კასპიის ზღვის სამხ.-აღმ.-ით, რის გამოც მრავალი ისტორიული წყარო კასპიის ზღვას ჰირკანიის ზღვადაც მოიხსენიებს. “ამ ზღვის ჩრდ.-დას. ნაწილს უპირატესად კასპიისა ეწოდებოდა, ხოლო მის სამხ.-აღმ. ნაწილს კი – ჰირკანიისა, იმის შესაბამისად, თუ ტომები – კასპი(ელ)ები და ჰირკანე(ლე)ბი – სად ცხოვრობენ, ზღვის ნაწილებსაც სახელები ისეთივე აქვთ”.[123] ჰირკანიის სამხ. ნაწილი ესაზღვრება დანარჩენ ირანს და მათ შორის ბუნებრივ საზღვარს ქმნის მაღალმთიანი მასივი, რომელზე გადასასვლელ უღელტეხილსაც უწინ ეწოდებოდა კასპიის ჭიშკარი ანუ Portas Caspiae.[124] Hyrcania როგორც რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინი ფლაკუსთან არ გვხვდება, თუმცა ნახსენებია Caspia claustra ამაძონებთან დაკავშირებით: cum redit ingenti per Caspia claustra triumpho

[123] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V (ძვ. ბერძ. თარგმნა, გამოკვ. და საძიებ. დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა), თბილისი 1983, 137.
[124] Kiessling, Hyrkania, RE, IX 1, 454-526.

(5.124).[125] Hyrcanus მასთან წარმოდგენილია როგორც მსაზღვრელი Perses / barbaricas movit opes Hyrcanaque signa „ჰირკანიული საომარი ნიშნები“ (3.494) და ასევე დასტურდება როგორც ეთნონიმი ომში მონაწილე ზოგიერთი პერსონაჟის ექსპონირებისას: ჰირკანიელია კირისი: quin et ab Hyrcanis Titanius expulit antris / Ciris Cimmerius (6.79); ვანუსი: ducit ab Hyrcanis vates sacer agmina lucis / Vanus (6.114); ძმები მედორესი და გელასი: Viderat Hyrcanos paribus discurrere fratres / Castor equis (6. 203).

კიმერია, მხარე სადაც კიმერიელები ცხოვრობენ, მდებარეობს სკვითურ ტავროსთან და მეოტისის ტბასთან. Cimmerius ისევე როგორც Hyrcanus, ფლაკუსთან დასტურდება როგორც ეთნონიმი: ა. მ., კიმერიელი სარდალია ავხუსი, რომელსაც თან მოაქვს კიმერიული სიმდიდრე, იგულისხმება, რომ მას თან ახლავს კიმერიელ მეომართა ურიცხვი ჯარი tertius unanimis veniens cum milibus Auchus / Cimmerias ostentat opes (6.61). კიმერიელი მისანია ომში მონაწილე ერთ-ერთი სარდალი ვანუსი. ფლაკუსთან ქვეყნის დასალიერად არის მიჩნეული კიმერიელთა ადგილსამყოფელი Cimmerium domus „კიმერიელთა სამყოფელი“ (3.399). აქ მდებარეობს მღვიმე, სადაც შავებში მოსილი კელენევსი[126] ასამართლებს ადამიანებს, რომელთაც ცოდვა ჩაიდინეს (3.399ff.).

მეოტისი შავი ზღვის ჩრდ.-აღმ.-ით მდებარე მხარეა, ზოგიერთის განმარტებით, წარმოადგენს სკვითიას, სადაც ლოკალიზდება მეოტისის ტბა (Schol. ad Aeneid. VI, 799). არსებობს გადმოცემა, რომ ჰელიოსის ვაჟებს სამფლობელოდ შემდეგი მიწები ერგოთ: აიეტს მეოტისი და კოლხიდა, პერსესს კი – ტავრია (Schol. ad Ap. Rhod. III 200).[127] მეოტისი ფლაკუსთან ნახსენებია ხოათრებთან დაკავშირებით, ისინი ფლობენ ისეთ ხელოვნებას, რომ ზამთარში გაყინულ მეოტისსაც კი ადნობენ nunc subitam trepidis Maeotin solvere plaustris (6.154). არცერთი მხარე არ არის ისეთი ხალხმრავალი, როგორც მეოტისი, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობა დღენიადაგ ომებში იღუპება: neque enim plaga gentibus ulla / ditior: aeterno quamquam Maeotia pubes / Marte cadat (6.36-8). Maeotius გვხვდება მსაზღვრელად შემდეგ შემთხვევებში: მეოტიური წყლები Maeotia laxent / aequora (4.720); და-

[125] „მდინარე, რომელსაც ახალგაზრდა ქალწული უძღვნის ცხენებს და აღთქმულ საბრძოლო ცულებს მიართმევს, როდესაც ის დიდებული ტრიუმფით კასპიის ვიწრობებით უკან ბრუნდება, მოათრევს რა უკან მასაგეტსა და მიდიელს“.
[126] კელენევსი ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია, მასზე დაწვრილებით ვისაუბრებთ შესაბამის თავში.
[127] SC ВДИ XXI, 292.

სახელებულია ასევე მეოტიელი ნიმფა, ერთ-ერთი სკვითი პერსონაჟის პევკონის დედა at genetrix imis pariter Maeotis ab antris / implevit (6.565).

კავკასიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, სტრაბონის პერიოდის ავტორთა თანახმად, **იბერიაც**, კომპაქტურად დასახლებული, ეთნიკურად საკმაოდ ერთიანი და ცივილიზებული ქვეყანა. იგი გარშემორტყმულია კავკასიის მთებით, რომლის სამხრეთით ნაყოფიერი ფერდობები მოიცავენ იბერიას და აღწევენ როგორც კოლხიდას, ასევე არმენიას, თუმცა არმენია, წყაროთა უმეტესობის თანახმად, გადის კავკასიის ფარგლებიდან და აღიქმება უფრო აზიის ქვეყნად. ბუნებრივია, ზუსტი და სტაბილური საზღვრები არ არსებობდა და ისინი დროებით ან ხანგრძლივად შეეძლო შეეცვალა ნებისმიერ ექსპანსიას მეზობელი ან დაშორებული ქვეყნიდან. ფლაკუსი პოეტური ფორმით გვიქმნის წარმოდგენას კავკასიის საზღვრების შესახებ, როდესაც პრომეთეს ტანჯვის შესახებ გვიამბობს, მისი გმინვა თვით არმენიამდეც კი აღწევს და ძრწოლას ჰგვრის ყოველ იბერს.[128] ფლაკუსთან Hiber[129] და Hiberus[130] ფორმატივების გარდა დასტურდება თვით რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინი იბერიაც: აიეტი ახასიათებს თავის ერთ-ერთ მოკავშირეს იაქსარტესს, რომლის შიშით ძრწიან გეტები, მედები და მთელი იბერია iam pavidi cum prole Getae, iam pervigil illum / Medus et oppositis exspectat Hiberia claustris (5.603-4). ჭრელი იბერიიდან მიიჩქარიან ლატრისი და ოტაკესი კოლხიდაში აიეტის წინააღმდეგ საომრად discolor hastatas effudit Hiberia turmas, / quas Otaces, quas Latris agunt (6.120).

იბერიის მეზობელი ქვეყანაა **ალბანია**. ალბანიაც მოიცავს როგორც კავკასიის მიმდებარე ტერიტორიებს, ასევე კასპიისპირეთის იმ რეგიონებსაც, რომლებსაც უკვე ველარ მივიჩნევთ კავკასიად; სტრაბონის თანახმად οἰκοῦσι δ μεταξὺ τῶν Ἰβήρων καὶ τῆς Κασπίας θαλάττης, πρὸς ἕω μ ν ἁπτόμενοι τῆς θαλάττης, πρὸς δύσιν δ ὁμοροῦντες τοῖς Ἴβηρσι· τῶν δ λοιπῶν πλευρῶν τὸ μ ν βόρειον φρουρεῖται τοῖς Καυκασίοις ὄρεσι (ταῦτα γὰρ ὑπέρκειται τῶν πεδίων, καλεῖται δ τὰ πρὸς τῇ θαλάττῃ μάλιστα Κεραύνια), τὸ δ νότιον ποιεῖ ἡ Ἀρμενία παρήκουσα, πολλὴ μ ν πεδιὰς πολλὴ δ καὶ ὀρεινή, καθάπερ ἡ Καμβυσηνή, καθ' ἣν ἅμα καὶ τοῖς Ἴβηρσι

---

[128] horruit immensum Ponti latus, horruit omnis
Armeniae praetentus Hiber penitusque recusso
aequore Cyaneas Minyae timuere relictas (5.165-168).

[129] Armeniae praetentus Hiber penitusque recusso (5.166); quos nec Hiber aut tota suis Aurora pharetris / sustineat (5. 559); Iamque Getae iamque omnis Hiber Drangeaque densa (6.507); forte ubi serus Hiber Issedoniaeque phalanges (6. 750); Sauromatae, miseranda, proci? cui vadis Hibero (7.235).

[130] Iamque Hyperionius metas maris urget Hiberi / currus (2.34); ilicet extremi nox litore Solis Hiberas / condidit (3.730).

καὶ τοῖς Ἀλβανοῖς οἱ Ἀρμένιοι συνάπτουσιν (XI, 4, 1).[131] ფლაკუსი პოემაში მოიხსენიებს ორ ალბანელ მეომარს: კრემედონს, რომელიც აიეტისა და პერსესის კონფლიქტში ჩართული Albani cadit ipse Chremedoni[di]s hasta (6.194)[132] და ალბანელ უფლისწულს სტირუსს,[133] რომელსაც ომის დაწყებამდეც ჰქონდა კოლხებთან ურთიერთობა. ამ პერსონაჟზე ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევაჩერებთ ყურადღებას.

ამაძონების დედაქალაქად მოიხსენიება თემისკირა თერმოდონთან (Her.IX 27; Diod.IV16; Paus.I 2 1; Appian.Mithr.78).[134] აპოლონიოს როდოსელის მიხედვით (II 987ff.), ამაძონების ტომი წარმოიშვა არესისგან და ნიმფა ჰარმონიისგან. იუსტინიანუსთან ისინი სკვითების მიერ დატოვებული ქალებია, რომლებიც თერმოდონთან საომრად მოვიდნენ და ბრძოლაში დაიღუპნენ (Iust. 4; შდრ. სალუსტიუსთან ისინი სკვითიიდან მოვიდნენ მცირე აზიაში Sallust.frg.3,46; ესქილესთან კი კოლხიდიდან, კავკასიის სამხრეთიდან Aesch. Prometh. 415, 723). ფლაკუსი ელინისტი ეპიკოსის მსგავსად ამაძონებს თერმოდონის მიდამოებში ათავსებს (5. 121-124); როგორც სხვა მწერლებს, მასაც, ამაძონები არესის შთამომავლებლად მიაჩნია და ამიტომ გადმოგვცემს, რომ მათი სახელი წმინდა და ღვთიურია: „მიღმა რჩება ჰალისი, გრძელ ხვეულებად მიმდინარე ირისი და თერმოდონი, რომელიც თავის მრისხანე ნაკადებს მარილიანი ზღვის შუაგულშიც კი ხმაურით აჩუხჩუხებს, გრადივუსისათვის წმინდა და უმდიდრესი ნადავლით სავსე მდინარე, რომელსაც ახალგაზრდა ქალწული უძღვნის ცხენებს და აღთქმულ საბრძოლო ცულებს მიართმევს, როდესაც ის დიდებული ტრიუმფით კასპიის ვიწროებებით უკან ბრუნდება, მოათრევს რა უკან მასაგეტსა და მიდიელს. ჭეშმარიტი შთამომავლები არიან ისინი ღვთაებრივი სისხლისა, ღმერთისგან წარმოშობილნი[135]; (შდრ. ასევე 4.601-609). ფლაკუსი ადასტურებს, რომ ამა-

---

[131] „ალბანები ცხოვრობენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის: აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს. რაც შეეხება დანარჩენ მხარეებს, ჩრდილოეთისა გამაგრებულია კავკასოსის მთებით (ეს მთები მდებარეობენ დაბლობებს ზემოთ, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ზღვისკენ არის, იწოდება კერავნიად), სამხრეთისაკენ არის მეზობლად მდებარე არმენია, რომელიც ნაწილობრივ დაბლობია, ნაწილობრივ მთიანი, როგორც, მაგალითად, კამბისენე, სადაც იბერებსა და ალბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები“.

[132] Albanus დასტურდება ასევე როგორც გაარსებითებული ზედსართავი სახელი: coniciunt, fugit adductis Albanus habenis (6.271).

[133] advehit Albana Styrus gener agmina porta, / bellum ingens (3.497); adnuitur thalamis Albani virgo tyranni (5.258); tum gener Albanis Styrus qui advenerat oris (5.459); pacta quod Albano coniunx Medea tyranno (6.44); ...Albano fuit haec promissa tyranno (8.153).

[134] Graef, Amazones, RE, I, II, 1755.

[135] transit Halys longisque fluens anfractibus Iris
saevaque Thermodon medio sale murmura volvens,

ძონებთან შერკინება მამაკაცებსაც უჭირთ (5. 132-140). იგი არ იფარგლება ტრადიციით ცნობილი ამაძონი პერსონაჟებით და პერსესსა და აიეტს შორის გამართულ ომში რთავს რამდენიმე ფიგურას, რომელთაგან ნაწილი გესანდერის არისტიის ამსახველ სცენაში იღუპება: თოე, ჰარპე, მენიპე, ლიკე და მათი დედოფალი ევრიალე. მანამდე ისინი აიეტის დამხმარე ლაშქარში არიან მოხსენიებულნი აიეტის მოკავშირე მეგობარ მეფეებთან ერთად. ევრიალე საკუთარი შვილივით უყვარს აიეტს.

ამ მხარეების გარდა ფლაკუსი ასახელებს სხვა მრავალ გეოგრაფიულ პუნქტს, ქალაქს, მთას, მდინარეს. ყველა ეს ტოპონიმი, ჰიდრონიმი თუ ორონიმი უმეტესწილად დასახელებულია ე. წ. სკვითების კატალოგში, სადაც ფლაკუსი წარმოგვიდგენს აიეტის წინააღმდეგ დაძრულ მეომართა რაზმებს, რომელთაც აიეტის ძმა პერსესი აღაზევებს. ქვემოთ მოკლედ გადავავლოთ თვალი პოემაში დაცულ გეოგრაფიულ ინფორმაციას.

მირაკე (Myrace) – ფლაკუსის მიხედვით, მწვანე მირაკეს და მდ. ტიბისუსის მახლობლად, სკვითიის სანაპიროზე იშვა კოლაქსესი, იუპიტერისა და გველისფეხება ქალღმერთის ჰორას ვაჟი. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მდინარე სკვითიაში Maris (Her.4.48), Marisus (Strab.7.3.13). ВДИ-ის კომენტატორის თანახმად (SC ВДИ, XXVIII, 345) ეს ჰიდრონიმი უნდა დავუკავშიროთ პტოლემაიოსის ტამირაკეს (Geogr. III, 5, 2) და ასევე მირგეტების ტომს (Hec. fr.155). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფლაკუსთან ამ ძირიდან ნაწარმოებ სახელს ატარებს პართელი ელჩი მირაკესი (6.690, 717); ჰეინსიუსი ამჯობინებს ეს სახელი წაიკითხოს როგორც Tmyracen, რამდენადაც Tamyraces იყო ქალაქი სკვითიაში და მთისწინეთი ჰილეაში. ამ მოსაზრებას ამყარებს სტრაბონის Tmolus (Timolus), Tmarus ლექსიკური ფორმატივების დადასტურება: ὁ Τόμαρος ἢ Τμάρος (ἀμφοτέρως γὰρ λέγεται) (Wijsman, 2000, 38).

ტიბისენური (Tibisenus) – ფლაკუსი ახსენებს ადიექტივურ ფორმას Tibisenaque iuxta / ostia. Tibisenus (6.50). იგი უნდა მომდინარეობდეს ჰიდრონიმიდან Tibisis; ტიბისისი ჰეროდოტოსის თანახმად მდინარეა, რომელიც ლოკალიზებულია თრაკიაში დანუბიოსის მახლობლად (Her.4.49). ამ მდინარის ზუსტი ლოკალიზაცია

Gradivo sacer et spoliis ditissimus amnis,
donat equos, donat votas cui virgo secures
cum redit ingenti per Caspia claustra triumpho
Massageten Medumque trahens. est vera propago
sanguinis, est ollis genitor dues (5. 120-126).

ძნელია (RE, VI, 1, 815) და ВДИ-ის კომენტატორის თანახმად (SC ВДИ, XXVIII, 345) უნდა დავუკავშიროთ იგი პტოლემაიოსის ტიბისუსს (Geogr.III, 7.1) ან ტიფესოსს (Prisc. Pan. fr.8), რომელსაც აიგივებენ თანამედროვე ტემეშთან, დუნაის მარცხენა შენაკადთან.

გერუსი (Gerus) – ერთ-ერთ სკვით სარდალს დატისს თან ახლავს ბრძოლის ჟინით ანთებული განგარიდები და მეომრები, რომლებიც გერუსთან (მდ. სკვითიაში) და ბიკესის ტბასთან სახლობენ (6.67-8). გერუსი შესაძლოა შევუპირისპიროთ პლინიუსის მდინარეს Gerrhus (Plin.n.h.4.84) და გეროსს, რომელიც მოიხსენიება ჰეროდოტოსთან (Her.4.56) და პტოლემაიოსთან (Geogr.V,11,2) (SC ВДИ, XXVIII, 346).

ბიკესი (Byces) – პლინიუსთან ვხვდებით მდინარეს, რომელიც ჩაედინება ბიკესის ტბაში (Plin. n.h.4.84) და პტოლემაიოსთან (Ptol.Geogr.III,5,2), მას აიგივებენ თანამედროვე სივაშთან (SC ВДИ, XXVIII, 346).

ტირა (Tyra) – linquitur abruptus pelago Tyra (6.84) შდრ. Plin.n.h.4.82, Mela 2.7 hos ab Histricis Tyra separat, Steph.Byz.s.v. Τύρας. ამ ფორმით მოიხსენიებს მას ოვიდიუსიც et nullo tardior Tyras (Ov. Pont.4.10.50) (Wijsman, 2000, 51); შდრ. ასევე Tyres, მდინარე, რომელიც ასევე ფლაკუსთან დასტურდება quas Tanais flavusque Tyres Hypanisque Novasque „აღარ მოვიხსენიებ წყალთა იმ სიუხვეს, შვიდნაკადიანი ისტროსის შესართავები რომ წარმოქმნიან: ტანაისს, ყვითელ ტირესს, ჰიპანისსა და ნოვასს, და იმ ფართო ყურეს, სადაც მეოტისის წყლები იღვრება“ (4.718-21).

ამბენუსი (Ambenus) – linquitur et mons / Ambenus (6.85) „მიტოვებულ იქნა მთა ამბენუსიც“; ტომაშეკი განათავსებს ამ მთას დუნაისა და დნესტრს შორის არსებულ მაღლობებზე (Tomaschek, Ambenus, RE, I, 2, 1797). სვიდა მოიხსენიებს ამავე ფუძის მქონე ქალაქს Ἄμβεναι· ὄνομα πόλεως. ფლაკუსი ასახელებს ამავე სახელწოდების სკვით პერსონაჟს (6. 251), ზოგიერთი მეცნიერი ამ პერსონაჟის სახელს უკავშირებს გალ. ambis, ლათ. amnis, სანსკრ. amba „წყალი“. სახელი უნდა მიეკუთვნებოდეს გეტურ ან ბასტარნულ ნომენკლატურას (Tomaschek, RE I.2, 1797).

ოფიუსა (Ophiusa) – gelidis pollens Ophiusa venenis (6.85) „მომაკვდინებელი შხამებით უხვი ოფიუსა“. იგი ტირას ძველი სახელწოდებაა; შდრ. Scylax 68, Strabo 7.3.16, Steph.Byz. s.v. Τύρας, πόλις καὶ ποταμός ἐν τῷ Εὐξείνῳ Πόντῳ... ἐκαλεῖτο δ’ Ὀφιοῦσσα, oppido...ubi antea Ophiusa dicebatur (Plin.n.h.4.82). რამდენადაც ეს ადგილი მომაკვდინებელი შხამებით არის ცნობილი, არ არის გამორიცხული, რომ აქ

აქცენტირებულია ამ სახელის სემანტიკაც, როგორც გველების ქალაქისა (ὄφις „გველი“) (Wijsman, 2000, 51).

ნოვასი (Novas) – hiberni qui terga Novae (6.100), შდრ. ასევე quas Tanais flavusque Tyres Hypanisque Novasque (4.719). როგორც ჩანს, აქ იგულისხმება უკრაინის ერთ-ერთი მდინარე. ა. ჰეერენი[136] ახსენებს სხვადასხვა წყაროებში დადასტურებულ მდ. Naiss, რომელიც შესაძლოა ნოვასი იყოს. გ. ლიბერმანი[137] უკავშირებს ჰეროდოტოსის მდინარეს Nόης (4.49), დანუბიოსის თრაკიულ შენაკადს. არსებობდა ამავე სახელწოდების რომაულ ლეგიონერთა გარნიზონი და გასაჩერებელი პუნქტი ქვემო მისიაში დუნაისთან, რომელსაც ფლაკუსი შესაძლოა უკავშირებდეს ამ მდინარეს (RE, XVII, 1, 1125, 2).

ალაძონი (Alazon) – gelidumque securi / eruit et tota non audit Alazona ripa (6.101) „და არავის სმენია ალაზონის ნაპირების შესახებ“. მდინარე ალბანიაში, რომელსაც აიგივებენ კირუსის შესართავთან Ἀλαζόνιος, Strab.11.3.2; Albanorum gens..., mox Hiberes, discreta ab his amne Alazone in Cyrum Caucasis montibus defluente (Plin.n.h.6.29) (Wijsman, 2000, 57).

ტარასი (Taras) – quosque Taras niveumque ferax Euarchus olorum (6.102) „ტარასი და თოვლივით ქათქათა გედებით უხვი ევარხუსი“; v. l. (Tarax C). პატარა მდინარე სადაც მდებარეობდა ტარენტუმი, იწოდებოდა ტარასად. ტარასი პავსანიასის მიხედვით არის პოსეიდონის ვაჟი (Paus.10.10.8), შდრ. ევარხუსი. შესაძლოა, ფლაკუსმა ეს სახელები იპოვა აპოლონიოსის „არგონავტიკის“ სქოლიონებში, რომელიც დაკარგულია. ეს უნდა ედოს საფუძვლად ამ გეოგრაფიულ აღრევას.

ევარხუსი (Euarchus) – niveumque ferax Euarchus olorum (6.102) „თოვლივით ქათქათა გედებით უხვი ევარხუსი“. მდინარე სინოპეს მახლობლად, რომელიც მდებარეობდა პონტუსის არა იმ მხარეს, სადაც უმეტესად მოიხსენიებიან ტომები, არამედ საწინააღმდეგო მხარეზე. როგორც ტარასის შემთხვევაში, მისი ლოკალიზებაც რთულია. ბურმანი მიუთითებს Magnum Etymologicum-ზე, სადაც ვკითხულობთ: Εὔαρχος: Οὕτως ἐκαλεῖτο ὁ Κύκνος διὰ τὸ ἐπιτυχῶς καινίσαι τὸ δόρυ τοῦ Ἀχιλλέως. კიკნუსი გადაიქცა გედად. Φασὶ δ καὶ ποταμόν τινα παρὰ τὴν Σινώπην Εὔαρχον ὑπὸ τῶν Ἀργοναυτῶν προσηγορεῦσθαι, ἀφ' οὗ πρῶτον ἔπιον, ὥς φησιν Εὐφορίων, Ἥ οἱ Εὐάρχοιο φέρε κλέος ἀμφὶ ῥέεθρον. პატარა მდინარე ევარხუსი

136 A. Heeren, De chronographia a Valerio Flacco adhibita, diss. Göttingen 1899, 48.
137 G. Liberman, Valerius Flaccus. Argonautiques Texte établi et traduit, 2 vol. (CUF lat. 340/369), Paris 1997/2002, 283.

შეიძლება იყოს კიკნუსის სინონიმი; ეს კიკნუსი არის პოსეიდონის ვაჟი, რომლის ამბავს ვხვდებით ოვიდიუსთან (Met. 12.64ff.) (Wijsman, 2000, 57-8).

ემოდა (Emoda) – iungit opes Emeda suas, sua signa secuti (6.143) „თავის საომარ ძალას ურთავს ემოდა"; (v. l. Emeda V + L, Eumeda C). ჰეერენი[138] საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ Emodus უკავშირდება Imaus „ჰიმალაის", ციტირება მოაქვს პლინიუსიდან Emodus (n. h.5.98), Hemodus (6.60), Hemodi montes (6.56), ultra montes Hemodos (6.88); Diod Sic. 2.35: τὸ Ἡμωδὸν ὄρος (Wijsman, 2000, 72), შდრ. ასევე (SC ВДИ, XXVIII, 348).

ვალერიუს ფლაკუსმა წარმოგვიდგინა არა მარტო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, არამედ ასევე სამხრეთ კავკასია: კოლხიდა, ალბანია, ამაძონია, (ალბათ, აქვე უნდა შემოვიდეს აიეტის დამხმარე სარდლებიც და, თუ მათი რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, სულ ცოტა შვიდი არასახელდებული მხარე თუ ქვეყანა უნდა იგულისხმებოდეს). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოლხიდას და მდინარე ფაზისს.

ბერძნული წყაროების თანახმად, კოლხიდა მიკენური ეპოქის ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა. მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით, ის იყო მთელს შავიზღვისპირეთში ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი გაერთიანება. სტრაბონი გვაწვდის ცნობას იმის თაობაზე, რომ დიოსკურიასში ერთთა მონაცემებით 70, ხოლო სხვათა – 300 ტომის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, რომელთაგან თითოეული თავის ენაზე ლაპარაკობდა. მათ შორის არიან ისინიც, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ კოლხიდის დაბლობზე და უფრო ცივილიზებულები არიან, ისინიც, რომლებიც განცალკევებით ცხოვრობენ მათი სიამაყისა და ველურობის წყალობით. მათ ყველას უწოდებენ კავკასიელებს (Strab. XI, 2, 16).

ფლაკუსი ტრადიციას ეყრდნობა აია-კოლხიდის გეოგრაფიული ლოკალიზაციისას და აღწერილობას საკმაოდ რეალისტურ ელფერს სძენს. მასთან კოლხიდა არის ძლიერი სახელმწიფო გაერთიანება, რომლის სათავეშიც დგას მეფე. იგი განსაკუთებულ ყურადღებას უთმობს სამეფო კარის აღწერას. არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის სამეფო კარის წარმომადგენლებს, რომლებიც სოლის ტაძარში შეკრებილან, ასე აგვიწერს: ტაძარში მზის შვილი აიეტი შემოდის, მის გვერდით დგას ყმაწვილი აბსირტუსი, სასიძო,

138 A. Heeren, 1899, 41.

ალბანელი უფლისწული სტირუსი, ეოლოსის შთამომავლები, ფრიქსოსის ვაჟები: ფრონტისი, არგუსი, მელასი, კიტისორუსი, წარჩინებული მამები *patres* (5.456-464), აიეტის დასახმარებლად ჩამოსული მეგობარი მეფეები *motique ad proelia reges*. მეფეს მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტისას მხარში უდგანან წარჩინებული მამები და ასევე ფუნქციონირებს ქურუმთა ინსტიტუტი. აპოლონიოსისგან განსხვავებით ფლაკუსი აიეტის და მისი ოჯახის სასახლეების აღწერის მაგივრად, წარმოგვიდგენს სოლის ტაძარს, რომელსაც არა ოდენ ტაძრის ფუნქცია აქვს, არამედ არის ნაგებობა, სადაც მნიშვნელოვანი შეკრებები და მოლაპარაკებები იწარმოება. სწორედ აქ გაიმართება იასონისა და აიეტის შეხვედრა. ასე აღუწერს მედეა ამ ადგილს იასონს: „წინაპართა წესისამებრ ამ საკურთხეველთან [სოლის ტაძარში] მოდის მეფე, აქ უსმენს იგი წარჩინებულებს და ყურადღებას უთმობს ხალხის თხოვნებს და ურჩევს უმჯობესს“ (5. 404-406). ხალხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის მართვის საქმეში. ისინი ირჩევენ დამსახურების მიხედვით გამორჩეულ წარმომადგენლებს უხუცესებად (praecipuo Titania tellus / legit honore patres, 5.463-4) და ქვეყნის მართვას ანდობენ. ხალხი რომ საკმაოდ აქტიურია, პოემის ამ პასაჟიდანაც ჩანს: როდესაც ჰერას მიერ იასონზე შემოხვეული ღრუბელი გაიფანტება, ისინი მოდიან და კითხულობენ დაჟინებით, აინტერესებთ უცხოების ვინაობა, თუ რამ მიიყვანათ კოლხიდაში, ხალხს იასონი ანგარიშს უწევს და გრძელ სიტყვას წარმოთქვამს კიტეელების (5.465-467) და მათი მეფის, აიეტის მოსალმობიერებლად (5.471-518).

ცნობა აიას[139] ქალაქ კვიტაისზე ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელთან გვხვდება.[140] არაერთგზის იხსენიებს ამ ქალაქს ფლაკუსი. პირველად ეს სახელი V წიგნში დასტურდება Cytaeus ფორმით (5. 466). აქ პოეტი ლაკონურად ახასიათებს ქალაქს, აღნიშნავს, რომ იგი ლამაზია და გაკვირვებას იწვევს უცხოებში. კონტექსტიდან გამომდინარე დასტურდება, რომ კვიტაისი კოლხიდის მთავარი ქალაქია. კვიტეური მიწა terris Cytaeis (693) არის აიეტის სამეფო

[139] Αἶα – კოლხიდის ძველი სახელი (Αἶα-Κόλχις II 417, 422, 1094, 1185; III 306, 1061; IV 255). აქ მოვიდა ოქროს ვერძით ფრიქსოსი (II 1141). აიას ქალაქია კვიტაისი (II 1267). აიას ეპითეტია ტიტანური (IV 131). აია დაასახლა ეგვიპტელმა სესოსტრისმა (IV 277, 278). აპოლონიოსი აქ იმეორებს ჰეროდოტოსის ცნობას (II 2, 103), რომლის მიხედვითაც, აიაში მოსახლე ტომის წარმოშობა დაკავშირებულია სესოსტრისის ლაშქრობასთან.

[140] Κυταΐς. Κυταΐδος II 399; „კვიტაიისის ხმელეთსა“ ἠπείροιο Κυταιίδος, IV 511; „კვიტაისის მხარეში დაბრუნება“ Κυταιίδος ἤθεα γαίης, Κυταΐδα II 1267; „აიას ქალაქი კვიტაისი“ Κυταιίδα τε πόλιν Αἴης; Κυταιεύς, Κυταιέος II 403, „კვიტაიელი აიეტის“ Κυταιέος Αἰήταο III 228, Κυταιέος Αἰήταο, Κυταῖος. Κυταίου II 1094, Αἰήταο Κυταίου.

რეზიდენციის ადგილი. ამ ძირიდან ნაწარმოები სხვა ფორმატივებიც გვხვდება ფლაკუსთან: მედეას ეთნიკურობის გადმოსაცემად fama Cytaeae virginis (6. 156-157); კოლხი მეომრის Cytaei (427) და კვიტეელი რაზმების აღსანიშნავად Cytaeis agminibus (543); aspicis ut Minyas inter proceresque Cytaeos (595-596) სადაც ნათქვამია, რომ იასონი კიტეელთა შორის ბრწყინავს.

ფლაკუსმა მოახერხა თავის ეპოსში მხატვრული ფორმით წარმოედგინა კავკასიასთან დაკავშირებული ისტორიული რეალიები, გათვითცნობიერებული აქვს კავკასიის გეოპოლიტიკური სიტუაცია, წარმოდგენა კავკასიის ეთნიკური სიმრავლის შესახებ. ასევე ასახავს კოლხიდის საგარეო და საშინაო ურთიერთობებს. საინტერესოა, რომ შიდა-კავკასიური ურთიერთობების საჩვენებლად ვალერიუსს პოემაში შემოაქვს *coniunx Medea*-ს თემა. მედეას ხელის მოსაპოვებლად რამდენიმე გმირი იბრძვის: ჰენიოხებისა და ალანების წარჩინებული წარმომავლობის სარდალი ანავსისი, ალბანელი უფლისწული სტირუსი, სკვითი ჯადოქარი კოასტესი, პართელი ელჩი მირაკესი. აღსანიშნავია, რომ ოთხივე მათგანს ომამდეც აქვს გარკვეული ურთიერთობა კოლხიდასთან. ანავსისი (6.42-47) სკვითების კატალოგში პირველ ადგილას მოიხსენიება და გამოთქმით *iam pridem* (6.43) დროის თვალსაზრისითაც მიგვანიშნებს მის ადრეულ ურთიერთობებზე აიეტთან; იგი ჯერ კიდევ მაშინ განეწყო აიეტის მიმართ მტრულად, როდესაც ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, მედეა ალბანელი სტირუსისათვის შეერთო ცოლად (6.43-44) და არა მისთვის, ასე რომ, მას პირადი მოტივიც ამორავებს ომში ჩასაბმელად; სკვითი ჯადოქარი კოასტესი კოლხიდაში ხოათრებთან და კენტორებთან ერთად მოისწრაფვის. კენტორებსა და ხოათრებს ოქროს საწმისის ხელში ჩაგდების სურვილი აქვთ, კოასტესი კი მედეათი არის დაინტერესებული. თუმცა მას, სხვა საქმროთაგან განსხვავებით, არც მედეასადმი სიყვარული ამოძრავებს და არც საგმირო საქმენი, არამედ კოლხი ასულის ჯადოქრობით შორს განთქმული სახელი (6.155-7); პართიის მეფის ელჩი მირაკესი აღმოსავლეთ სანაპიროდან კოლხიდაში იმ მისიით ჩადის (6.690), რომ პართელებსა და კოლხებს შორის კავშირი გაამყაროს. სანაცვლოდ მას, ოქროს გარდა, ჯილდოდ მედეაც ეგულება. ჯერ კიდევ აიეტსა და პერსესს შორის ომი არ იყო დაწყებული, რომ სიყვარულით განიმსჭვალა კოლხი ქალწულის მიმართ და ომში ჩაბმასაც არ მოერიდა; ალბანელი სტირუსიც ომის დაწყებამდე ჩამოვიდა კოლხიდაში და ის არგონავტების სოლის ტაძარში მისვლის მომენტისათვის უკვე სამეფო კარის წარმომადგენელთა შორის არის დასახელებული. მას სხვა

ხელისმთხოვნელთა შორის პრივილეგია აქვს – იგი თვით აიეტმა აირჩია სასიძოდ, თუმცა თავს დამტყდარმა ომმა დაგეგმილი ქორწილი შეაფერხა. სტირუსს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს მედეას ხელისმთხოვნელთა შორის და, არგონავტების ჩამოსვლის შემდეგ, მათ რიცხვს იასონიც შეემატება. როცა ეს უკანასკნელი მედეასთან ერთად კოლხიდიდან გაიქცევა, შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, თუმცა უფრო მეტად უმძაფრდება მედეას მიმართ სიყვარული (8.302), როცა მისი სამუდამოდ დაკარგვის საფრთხე შეექმნება. იგი მდევარ კოლხებში დიდი აქტიურობით გამოირჩევა (8.298-305, 328-368). სტირუსი იუნოს მიერ გამოწვეულ გრიგალში მდევარ კოლხებსა და არგონავტებს შორის შეტაკების დროს ტრაგიკულად იღუპება (8.363-368).

როგორც ზემო თქმულიდან გამომდინარეობს, მედეას ხელზე პრეტენზიას აცხადებს: ალანი, სკვითი, ალბანელი და პართელი. აიეტმა მისნობით იცის, რომ მედეა მამისეულ სახლში ქალწულად არ უნდა დარჩეს და იმას მიათხოვოს, ვისაც თვითონ მედეა მოისურვებს. აიეტი თვითნებურად არჩევანს ალბანელ უფლისწულზე აკეთებს. ფლაკუსი თავისი პოეტური გამონაგონის მეშვეობით წარმოდგენას გვიქმნის კოლხიდის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. გააქტიურებულია აიეტის ნახევარძმა პერსესი, რომელიც თავის მხრივ ცდილობს ტახტის ხელში ჩაგდებას. აქ შეიძლება ამოვიკითხოთ ძალაუფლების გადანაწილების პროცესი. ოქროს საწმისის ან მედეას ხელში ჩაგდებას, რომლებიც ძალაუფლების სიმბოლოდ შეგვიძლია გავიაზროთ, რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი ესწრაფვის. იასონი – საბერძნეთის მკვიდრია, სტირუსი – ალბანეთის (კოლხიდასა და მის მეზობელ ალბანეთს შორის თითქმის ნათესაური ურთიერთობებია), ანავსისი – ალანიის, მირაკესი – პართიის (ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო გარიგებები და მოლაპარაკებები წარმოებს). ბუნებრივია, ეს სურათიც უნდა ასახავდეს იმ ურთიერთობებს და ისტორიულ პროცესს, რაც ახ. წ. I საუკუნის მწერლისათვის სავსებით თვალნათელი იყო. აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ სტრაბონის ცნობა, რომელსაც ფლაკუსი მთელ რიგ შემთხვევებში ეყრდნობა: „ალექსანდრეს შესახებ მწერლებს, ბევრს არც უნდა ვენდოთ ადვილად, რადგან ესენი ადვილად თხზავენ ალექსანდრეს სახელის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ იგი ლაშქრობდა აზიის უკიდურეს კუთხემდე დიდად დაშორებით ჩვენგან. ხოლო შორეულის შესახებ საწინააღმდეგოს თქმა ძნელია. რომაელთა და პართელთა მფლობელობა მეტს რასმე ხდის ფარდას უწინდელ გადმოცემებთან შედარებით, რადგანაც ამ მხარეებისა და ტომების

აღმწერლები, რომელთა შორისაც ვითარდებოდა მოვლენები, უფრო სარწმუნოდ ლაპარაკობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც ამათზე წინ იყვნენ. ესენი ხომ საგანგებოდ უკვირდებიან შესასწავლ საგნებს“ (XI, 6, 4).

ვალერიუს ფლაკუსის დაინტერესებას კავკასიის თემატიკით ყველაზე თვალსაჩინოდ პოემაში სკვითებისა და კოლხებს შორის კონფლიქტის ეპიზოდის შემოტანა მოწმობს.

1. სკვითებისა და კოლხების ომი

მთავარი იდეა, რაც ფლაკუსის „არგონავტიკას“ ამთლიანებს, არის არა ოქროს საწმისის მოპოვება, არამედ თვით არგონავტების ექსპედიციის მნიშვნელოვნება, საზღვაო გზის გახსნა. ეს კი თავის მხრივ დაკავშირებულია სხვადასხვა ხალხს შორის ომის წარმოების და ამით თვითდამკვიდრების შესაძლებლობასთან. ამდენად, სავსებით ბუნებრივია ფლაკუსის აშკარად გამოხატული ინტერესი ომის თემისადმი, რასაც ვერ ვიტყვით აპოლონიოს როდოსელზე, რომელთანაც, შეიძლება ითქვას, არ გვხვდება ასეთი მასშტაბური ბატალური სცენების აღწერა.[141] ომის თემის ამსახველი ეპიზოდებიდან, რომლებიც ძველ მითოლოგიურ ტრადიციაში არგონავტების ციკლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, აპოლონიოსი იღებს კიზიკოსის ნიქტომაქიას და აიეტის დავალებასთან დაკავშირებულ ამბებს (იგულისხმება იასონის მიერ ხარების დაუღლვა და მიწის ნაშიერების მოგერიება). თუ კიზიკოსთან გამართული ნიქტომაქია აპოლონიოს როდოსელთან 13 სტრიქონს მოიცავს (Ap. Rhod. I 1039-1052), ფლაკუსთან ღამისეულ შერკინებებს 206 სტრიქონი ეთმობა (Val. Flacc. 3.43-249),[142] მეორე მხრივ, აიეტის დავალებასთან დაკავშირებული ამბები, რასაც ფართო ადგილი უჭირავს აპოლონიოსთან, მნიშვნელოვნად არის რედუცირებული რომაელ ეპიკოსთან, სულ რაღაც 114 სტრიქონს შეადგენს (7.539-653)[143]. რაც შეეხება აიეტისა და პერსესის ომს, აქ ფლაკუსი ელინისტი წინამორბედისაგან სავსებით განსხვავებულ გზას ირჩევს. ძველ მითოლოგიურ ტრადიციაში დადასტურებული ცნობა ძმებს შორის მომხდარი ომის შესახებ უაღრესად მიმზიდველი აღმოჩნდა მისთვის. „არგონავტიკის“ მეხუთე წიგნის უმეტესი ნაწილი (5.217-695) ომის წინა-

---

[141] აპოლონიოსთან ომის თემის მნიშვნელობისათვის შდრ.: H. Fränkel, 1961, 1-20; H. Fränkel, 1968, 510-512; R. L. Hunter, 1988, 436-453; G. O. Hutchinson, 1988, 115f.

[142] კიზიკუსის ეპიზოდის ვრცელ კვლევას გვთავაზობს გ. მანუვალდი თავის ნაშრომში: G. Manuwald, Die Cyzicus-Episode und ihre Funktion in den Argonautica des Valerius Flaccus, *Hypomnemata* 127, Göttingen 1999.

[143] E. Burck, Jasons Kämpfe in Kolchis bei Apollonios und Valerius Flaccus: *DOREMA*, Athen 1975, 11-43.

რე ისტორიის, მეექვსე წიგნი კი მთლიანად ომის მსვლელობასა და მასთან დაკავშირებული პერიპეტიების გადმოცემას ეთმობა, ანუ თავისი მოცულობით (მთლიანობაში 1238 სტრ.) იგი აღემატება ყველა დანარჩენ ეპიზოდს.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ, თუ რა ფუნქცია და დატვირთვა აქვს კოლხებისა და სკვითების ომს ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკაში“,[144] რამ განაპირობა ის, რომ მას ასეთი ვრცელი ადგილი უჭირავს მის პოემაში. ვიდრე ამას გავაკეთებთ, თვალი გადავავლოთ, თუ როგორ ინტენსიფიკაციას განიცდის ომის თემა რომაელ ეპიკოსთან[145].

დავიწყოთ იმით, რომ აპოლონიოსისგან განსხვავებით ფლაკუსის იასონი სულ სხვა რანგში წარმოგვიდგება, ეს არის გმირი, რომელმაც საგმირო საქმეები უნდა აწარმოოს. აპოლონიოსთან იასონი ნაკლებად გამორჩეული გმირია და უმთავრესი ნიშანი, რაც მას სხვა არგონავტებისგან გამოარჩევს, არის ἀμηχανία: „მას არ აღაფრთოვანებს დავალება, რომელიც უნდა შეასრულოს, არამედ მძიმე ტვირთად აწევს. აკლია სწრაფვა საქმისადმი და საკუთარი ძალების რწმენა. იგი ფრთხილია და მერყევი ხასიათი ტანჯავს“.[146] ფლაკუსი ცდილობს, ყველაფერი არაჰეროიკული ჩამოაშოროს ესონიდს, რაშიც ზემოთ დავრწმუნდით, როდესაც აპოლონიოსისა და ფლაკუსის პოემების ურთიერთმიმართებაზე გვქონდა მსჯელობა. ფლაკუსი იასონს ენეასის ტიპის გმირად აქცევს.[147] ამას იმით ახერხებს, რომ იასონს ანიჭებს სიქველეს *virtus*.[148]

საომარი განწყობილება პოემის დასაწყისიდანვე იგრძნობა, კერძოდ, პელიასის მზაკვრულ დავალებაში (1.22-90). იოლკოსის მბრძანებელი თვითონ მი-

---

[144] შდრ.: Th. Baier, 1998; P. Schenk, 1999.

[145] მიმოხილვისათვის იხ.: ვეტცელი ომს არგონავტების ლაშქრობის მთავარ თემად ასახელებს, წამოწევს იასონის და არგონავტების გმირობას და ამ ასპექტით აკავშირებს მას სკვითების ომთან (39-41) (S. Wetzel, 1957, 12f.); ადამიტცი ხაზს უსვამს ფორმალურ ასპექტს და ყურადღებას უთმობს შემდეგ ეპიზოდებს: დოლიონებთან ბრძოლას (Arg.3.43-256), იუნოს სიტყვას (3.492ff.), იუპიტერის გაკიცხვას (4.9-12), ფინევსის მისნობას (4.617-619), მუზებისადმი მიმართვას (5.271ff.) (J. Adamietz, 1976, 79); ვენინი შენიშნავს, რომ სკვითების ომს კოლხიდის მოქმედებაში ძირითადი ადგილი უჭირავს (P. Venini, 1971, 611f.); ფერენცი იასონის ბრძოლებს კონცეპტუალურად აკავშირებს გმირის virtus-თან (A. Ferenczi, 1995, 154-156). ამ საკითხს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა პ. შენკმა, რომლის ნაშრომსაც ჩვენ არა ერთხელ დავეყრდნობით P. Schenk. Studien zur poetischen Kunst des Valerius Flaccus: *Beobachtungen zur Ausgestaltung des Kriegsthemas in den Argonautica,* C.H.Beck Verlag, 1999.

[146] H. Fränkel, Ein Don Quijote unter den Argonauten des Apollonios, Mus. Helv. 17, 1960, 4: „Die Aufgabe, die ihm gestellt ist, begeistert ihn nicht, sondern sie lastet auf ihm. Es fehlt der vitale Tatendrang und das instinktive Selbstvertrauen. Er ist vorsichtig und von Bedenken gequält“.

[147] K. W. Hull, The Hero-concept in Valerius Flaccus' Argonautica, in: Studies in Latin Literature and Roman History, Bruxelles 1979, 378-409.

[148] Ferenczi, 1995, 154-156: ეს სიტყვა არგონავტიკაში 18-ჯერ გვხვდება, აქედან 8-ჯერ იასონთან და 2-ჯერ მთლიანად არგონავტებთან დაკავშირებით.

უზღავდა სამაგიეროს კოლხიდას, უწინდებურად ძალა რომ შესწევდეს, მისი ვაჟი კი ჯერ კიდევ ძალიან პატარაა საომარი საქმეებისათვის, ამიტომ იასონმა უნდა იტვირთოს ოქროს საწმისის მოპოვების მისია. იასონის მამა ესონიც დიდი სიამოვნებით მიიღებდა ლაშქრობაში მონაწილეობას, მაგრამ მასაც მარჯვენა უწინდებურად აღარ ერჩის. მისი განწყობილება (1.336-340) ეხმიანება ხომალდ არგოს სურათებს; ერთ-ერთ მათგანზე გადმოცემულია ლაპითების ბრძოლა კენტავრების წინააღმდეგ (1.140-148). ესონს მაშინ პელევსი და ნესტორი ახლდნენ თან, რომლებიც ახლა არგონავტების ლაშქრობის მონაწილეები არიან.[149]

თუ დავუკვირდებით არგონავტების კატალოგსაც, აქაც საგრძნობია საომარი განწყობა. ფლაკუსი საგულდაგულოდ აღწერს ცალკეული გმირის საომარ აღკაზმულობასა და საბრძოლო მზადყოფნას. პოემაში მრავალგზის ასევე გვხვდება მინიშნება ტროას ომზე (1. 370-373, 380-382, 387, 391-393, 403-409). შესაბამისად, ვალერიუსი ერთ მთლიან სურათს წარმოგვიდგენს: მამათა თაობამ საომარ საქმეებში აჩვენეს თავი და ამით დაედო საფუძველი ძალაუფლების ცვლას (1.542f.), ვაჟების თაობა საომარი ექსპედიციით მიდის აზიის წინააღმდეგ და წარმატებით ართმევს მას თავს (1.545-548), რასაც მომავალი თაობა საბოლოოდ ამყარებს (1.549-554). ეს ყველაფერი მხატვრული ფორმით ფლაკუსის ახალ კონცეფციაში – იუპიტერის სამყაროს გეგმაშია წარმოდგენილი, რაზეც ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა შესაბამის თავში.

რაც შეეხება აიეტისა და პერსესის ომს, ფლაკუსის შთაგონების წყარო, შესაძლოა, გამხდარიყო აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ სულ რაღაც რამდენიმე სტრიქონში გადმოცემული ამბავი: კოლხიდაში ჩასული იასონი აიეტს სთავაზობს, რომ სამსახურს გაუწევს მეზობელი სავრომატების ან სხვა რომელიმე ხალხის დამორჩილებაში ოქროს საწმისის სანაცვლოდ (Ap. Rhod. III 392-395). აპოლონიოსთან ამ შემოთავაზებას არ გააჩნია ფუნქციონალური დატვირთვა, ვინაიდან ამ ხაზით მოქმედება აღარ ვითარდება. აიეტი ფიქრობს, უმალვე გაუსწორდეს თავხედ არგონავტებს, თუ ჯერ მათი ძალა გამოსცადოს (3.397-398). ცნობა იმის შესახებ, რომ მედეამ დახმარება აღმოუჩინა პერსესის მიერ ტახტიდან ჩამოგდებულ აიეტს და მას კუთვნილი ძალაუფლება დაუბრუნა, ჯერ კიდევ აპოლოდოროსთან გვხვდება (I.IX.28.6). მსგავსი ცნობა დასტურდება დიოდორო-

[149] კენტავრების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი აპოლონიოსის არგონავტების კატალოგზე დაყრდნობით შემოაქვს ფლაკუსს. არგონავტი კორონოსი ვაჟია ლაპითი კაინევსისა, რომელიც ამ ბრძოლაში დაეცა (Ap. Rhod. I 57-64).

სთანაც (IV. 55), რომელიც გადმოგვცემს, რომ მედეა თავის ვაჟთან, მედოსთან ერთად კვლავ კოლხიდაში ბრუნდება, მიატოვებს რა ათენელ ეგევსს. კოლხიდაში მედოსი კლავს პერსესს და აიეტს ტახტს უბრუნებს. იმავე მოტივაციას ვხვდებით რომაულ ლიტერატურაში ჰიგინუსთან (fab. XXVI) და ტაციტუსთან (An. VI.34). ნათელია, რომ ფლაკუსი არსებითად ცვლის წყაროებში ამ ნაკლებად ცნობილი ეპიზოდის საკვანძო მომენტებს: 1. აიეტსა და პერსესს შორის კონფლიქტი მედეას კოლხიდაში ყოფნისას ხდება; 2. ფლაკუსთან გამარჯვებული არის აიეტი და არა პერსესი და, ამდენად, აიეტს არც სჭირდება მედეას და მისი ვაჟის დახმარება; 3. ასეთი მასშტაბურობით მხოლოდ მასთან არის აღწერილი უშუალოდ კოლხიდაში მომხდარი ომის ამსახველი სცენები. ქვემოთ განვიხილავთ ომის წინარე ისტორიას, მოტივაციასა და სტრუქტურას.

ა) ომის წინარე ისტორია: ფლაკუსი პირველი წიგნიდანვე (1.22ff.) ამზადებს საფუძველს ძმათა შორის ომისათვის, რომლის პროგრამაც იუპიტერის სამყაროს გეგმაშია (1.531-560) წარმოდგენილი. რომაელი ეპიკოსის მიერ გამოგონილი სამეტაპოვანი სამყაროს გეგმის *ordo rerum* მიხედვით ოქროს საწმისის მეშვეობით ძალაუფლება აღმოსავლეთიდან გადადის საბერძნეთში [მედეას და ოქროს საწმისის გატაცება[150] // პარისის მიერ ელენეს წამოყვანა] და საბერძნეთის დაქვეითების შემდეგ კი ძალაუფლებას სხვა [რომაელი] ხალხები იღებენ ხელში [ენეასს პენატები რომში მიაქვს]. შეიძლება ითქვას, რომ ფლაკუსისეულ სამყაროს გეგმაში[151] ერთად არის წარმოდგენილი ჰომეროსი, აპოლონიოსი და ვერგილიუსი. ფლაკუსის მხატვრულ ტექნიკაზე მიუთითებს ასევე ეპიკური თხრობის მისეული ტექნიკა. იგი პოემაში პროლეფსების[152] ჩართვით ინტენსიურად ახდენს მკითხველის ცოდნის აქტივირებას: თხრობაში რთავს მეტ-

[150] იასონის მიერ საწმისის და მედეას გატაცებაზე პოემაში კავკასიური სიყვარულის ალეგორიული ისტორიაც მიგვითითებს, რომელიც კოლხიდაში სოლის ტაძარში იყო გამოსახული: სიყვარულისგან გახელებული მდინარის ღმერთი ფასისი კოლხი ნიმფის აიას დამორჩილებას ლამობს, დარცხვენილი ქალწული ილტვის მშობლიურ მთებში გაშმაგებული ფასისისგან, შეშინებული და ძალ-ღონემიხდილი აია ყრის კაპარჭებს და მას საბოლოოდ ღმერთი იმორჩილებს თავისი მძლავრი ტალღებით (5.425-428). მსგავსად მედეაც ამაოდ ცდილობდა იასონის სიყვარულისგან თავის დაღწევას (7.1-20, 127-152, 292-322), მაგრამ საბოლოოდ ღმერთების ჩარევით თმობს და იასონი საწადელს აღწევს (6.439-479, 590-591, 7.153-186, 323-324) (G. Manuwald, 1998, 31).

[151] შდრ. G. Manuwald, 2002, 43-57; G. Manuwald, 2004, 145-162.

[152] არსებობს პროლეფსების სხვადასხვა სახეები: 1. ხილვები და მისნობები (მისნების ან ღმერთების); 2. შელოცვა და წყევლა; 3. სიზმრები; 4. მოქმედი ფიგურების წინათგრძნობა მომავალში მოსალოდნელი მოვლენების შესახებ; 5. კრძალვა, შიში; 6. სურვილები, მოლოდინი, დასკვნა, ბრძანება, გეგმა (გადაწყვეტილება, განკარგულება, მოლაპარაკება); 7. სურათების აღწერა; 8. აიტიები; 9. წინასწარი მინიშნება, რომელსაც მთხრობელი პირველ პირში გადმოგვცემს, ამას მიეკუთვნება მეტაფორები, კომენტარები შედარებისას; 10 ანალოგიები (დაწვრ. იხ. Fuhrer, 1998, 15).

ნაკლებად შენიღბულ მოვლენებს, რომლებიც მოგვიანებით განვითარდება.[153] პირველი წიგნის დასაწყისიდანვე „არგონავტიკაში“ მოქმედება ისეა წარმოდგენილი, რომ გარკვეულ მიზანდასახულობას გვიჩვენებს: შესაბამისად, გააჩნია ტელეოლოგიური განზომილება. მეხუთე წიგნში თავს იჩენს პროლეპსების მთელი წყება: მთხრობელის მინიშნებები, მისნობები, ხილვები, მოქმედ პერსონაჟთა წინათგრძნობები, შიში, სიზმრები და ანალოგიები,[154] რომელთა მეშვეობითაც თვალწინ მთელი წინარე ისტორია წარმოგვიდგება და ამავდროულად ის ფაქტებიც არის დაშიფრული, რომლებიც მომავალში განვითარდება.

ბ) ომის მოტივაცია: ნაწარმოებში ომი ერთდროულად ორ სიბრტყეზე მიმდინარეობს, ამდენად, საყურადღებოა, ერთი მხრივ, ღმერთების და, მეორე მხრივ, ადამიანების მოტივაციები.

ღმერთები: იუპიტერმა უწყის *fata*-ს შესახებ, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული და დაკანონებული: *vetera haec nobis et condita pergunt / ordine cuncta suo rerumque a principe cursu / fixa manet* (1.531-533) და რომ დადგენილი ხვედრის შეცვლა შეუძლებელია[155], თუმცა, მეორე მხრივ, მოვიდა ცვლილებების დრო, ეს იუპიტერის გეგმაში მხატვრულად ასე არის გადმოცემული: „მსურს ჩემი მბრძანებლობის გადაწყვეტილებები განვაახლო. / არსებობდა მხარე აღმოსავლეთში, რომელიც ქალწულ ჰელეს ზღვასთან და ტანაისთან მდებარეობს. / ცხენებით მდიდარი და ხალხმრავალი, და ვერავინ ბედავდა ხელი აღემართა / მის საწინააღმდეგოდ და სახელი ომებში მოეხვეჭა. / მე თვითონ ვმფარველობდი ამ მხარეს და მის კეთილდღეობაზე ვზრუნავდი. / თუმცა საუბედუროდ დგება დღე, და აზია ახლა შეძრულია; / ვუშვებ იმას, რომ დაეცეს. ბერძნები უკვე ითხოვენ ჩემგან ქორწილს. / ჩემი მუხები და სამფეხები, მშობელთა გულები, მათ გაგზავნეს / ეს ლაშქარი ზღვაზე. ტალღებითა და ქარიშხლებით გაკვალულია / შენთვის გზა, ბელონა. მაგრამ მხოლოდ საწმისი კი არ / წარმოშობს ბოროტებას, არამედ

---

[153] T. Fuhrer, Ahnung und Wissen: Zur Technik des Erzählens von Bekanntem, *ROV*, München 1998, 11-26.

[154] ავი წინათგრძნობით არის მოცული მედეა თავისი სიზმრის გამო (5.335f.); სიზმარში მედეა ესალმება მამას და საქმროს. ამის შემდეგ ხედავს სოლის ტაძრის სურათებზე საკუთარ ხვედრს: თუ როგორ იძიებს შურს პელიასზე კორინთოსში. იასონის მედეასადმი მიმართული სიტყვაც (5.378-390) მომავალი მოვლენების შესახებ მინიშნებებს შეიცავს; სოლის ტაძარში გამოსახული სურათების საშუალებით იასონი წინასწარ იღებს ცნობას თავისი უბედურების შესახებ (რომლის არსიც მისთვის ამ მომენტში მიუწვდომელია); იასონისა და მედეას სიყვარულის ამბავს სამწუხარო დასასრული რომ ექნება, არა ერთხელ არის მინიშნებული რამდენიმე ადგილას (ჰეკატეს მისნობა 6.497ff., იუპიტერის სიტყვა V წიგნის ბოლოს, მოპსუსის ორივე მისნობა VIII წიგნში).

[155] მას, რომ დადგენილი ხვედრის არიდება არ ძალუძს, ჩანს კოლაქსესის ამბიდანაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი მისი ძეა, უძლურია, დაიხსნას სიკვდილისგან (6.621-630).

უფრო მეტად იმ ქალწულის მოტაცების გამო გრძელდება უთანხმოება“ (5.536-548).

რაც შეეხება სხვა ღმერთებს, ე. წ. *ministeria deorum* მხარს უჭერს ლაშქრობას *una omnes gaudent superi* (1.501). იუნომ და პალასმა იციან, რომ სამართლიანობა ამ ომში პერსესის მხარეზეა Procerum vi pulsus iniqua / germanique manu Perses / barbaricas iam movit opes Hyrcanaque signa (3, 492). ამიტომ იუნო აგზავნის პალასს კოლხიდაში, რათა არგონავტებმა პერსესის მხარე დაიჭირონ: sponde adfore reges / dis gentos, quis arma volens, quis agmina iungat (3, 504). თუმცა მოგვიანებით ცვლიან გადაწყვეტილებას *Quibus addimur armis ?* ეკითხება პალასი იუნოს. „cernis“ ait „Colchos habeant quae proelia, quique / nunc status. hinc Perses, illinc non viribus aequis / apparat Aeetes aciem. quibus addimur armis?“ cui Iuno „dimitte metus, ne proelia forte / hinc tibi grata negem; ... stat pectore fixum / Aeetae sociare manus, scio perfida regis / corda quidem; nullos Minyis exsolvet honores“ (5, 283). ეს დიალოგი უკიდურესად განსხვავდება წინამდებარისაგან. ჩნდება კითხვა: დაივიწყეს ღმერთებმა ის, რაც პერსესს შეჰპირდნენ? ან ფლაკუსს აღარ ახსოვს ის, რის შესახებაც მესამე წიგნში მოგვითხრო. ეს უკანასკნელი გამოირიცხება თუ ისტორიის განვითარებას მივადევნებთ თვალს. დამარცხების შემდეგ პერსესი მწარედ საყვედურობს ღმერთებს, რადგან მათ პირობა მისცეს, მაგრამ მხარდაჭერა არ აღმოუჩინეს. რაზე მიუთითებს ეს წინააღმდეგობრიობა? არგონავტებმა რომ ისედაც ძლიერი პერსესის მხარე დაიჭირონ, ომი მალე დამთავრდება, ეს კი იუპიტერის გეგმას ეწინააღმდეგება. ამიტომაც ქალღმერთები არგონავტებს აიეტის *iniquus tyrannus* მხარეზე აყენებენ. ასე გადაწყვეტენ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ იციან, ეს კავშირი არგონავტებს არაფერს არგებს.

მხოლოდ სოლი და მარსი ფიქრობენ, რომ ოქროს საწმისის საბერძნეთში დაბრუნება მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება: მარსი ღელავს, რადგან საწმისი მის ჭალაში ინახება და საწმისის გატაცების შემთხვევაში საფრთხე ემუქრება (1.529), იგი ფუნქციას დაკარგავს; სოლი კი იმიტომ არის შეშფოთებული, რომ საწმისი მისი ძის აიეტის განმგებლობაშია, რაც უზრუნველყოფს მის შეუზღუდავ ძალაუფლებას, ამიტომ სთხოვს იუპიტერს არგონავტების ხომალდის კოლხიდაში გამგზავრებას ხელი შეუშალოს.

ადამიანები: ვიდრე ომი დაიწყება კოლხიდაში, მას წინ უძღვის ორი მისნობა და ავისმომასწავებელი ნიშნები. აიეტს ღამით გამოეცხადება გარდაცვლილი ფრიქსუსის აჩრდილი (5.233-240). ეოლიდი აღწერს აიეტის

დამსახურებას, თუ როგორ შეიფარა მან ლტოლვილი უფლისწული, მიათხოვა საკუთარი ქალიშვილი. აჩრდილი აიეტს უწინასწარმეტყველებს, რომ იგი ძალა-უფლებას მაშინ დაკარგავს და თავს უბედურება დაატყდება, როცა ოქროს საწმისს მარსის ჭალიდან მოიტაცებენ; ამას მოსდევს გაფრთხილება: მედეა უნდა გათხოვდეს მასზე, ვისზეც სურს, რადგან ქალწული არ უნდა დარჩეს მა-მის სამფლობელოში; როგორც მისნობიდან ჩანს, ის, რომ აიეტი ძალაუფლებას დაკარგავს, გარდაუვალია (ამის გამოსახატავად გამოყენებულია *cum temporale* და არა *cum conditionale*). მხოლოდ მედეას თაობაზე გაფრთხილება მოითხოვს აიეტისგან გადაწყვეტილებას, რასაც იგი სპონტანურად იღებს კიდეც, სურს, მედეა ალბანელ უფლისწულს მიათხოვოს (5.256-258); მისნობას მოსდევს ვიზუ-ალური სურათი: თითქოს ფრიქსუსი აიეტს აწვდის საბედისწერო საწმისს *fatalia visus* (5.241).

ფრიქსუსის მისნობას სრულიად ეწინააღმდეგება კოლხი ქურუმის მისნობა, რომელსაც წინ უძღვის ავისმომასწავებელი ნიშნები და მოვლენები *(auguria monstraque).* ქურუმი აფრთხილებს მეფეს, რომ ავბედითი საწმისი *exitiale ... vellus ... infaustum* (5.261-2) ქალაქს უბედურებას მოუტანს, ამიტომ იგი უნდა დააბრუნონ ჰემონიაში (5.261-262).

აიეტი პერსესს ვერ გაუტოლდება სამხედრო ძალით, მაგრამ არგონავტებთან კავშირის დამყარებით ცდილობს თავისი მიზნების განსახორცი-ელებლად გამოიყენოს ისინი. უმალავს არგონავტებს ომის ნამდვილ მიზეზს და არწმუნებს მათ, რომ პერსესს განზრახული აქვს, მას ტახტი წაართვას. ჰპირ-დება მათ ოქროს საწმისს დახმარების შემთხვევაში (5.534-541), თუმცა რეალუ-რად ოქროს საწმისის დათმობას არც აპირებს.

აიეტი დილემის წინაშე დგას: მას გადაწყვეტილება საკუთარი ინტე-რესების საკეთილდღეოდ გამოაქვს, რაც უკმაყოფილებას იწვევს პერსესის მხრიდან და ომის დაწყების საბაბი ხდება. ბრძოლის დაწყებამდე პერსესი ცდილობს, იასონი დაარწმუნოს აიეტის მზაკვრობაში, მაგრამ მარსი მანამდე ერევა საქმეში, ვიდრე მაცნე იასონამდე მიაღწევს (6.14-30).

პერსესი პირველია, ვინც აიეტის ძალისხმევის აბსურდულობას განჭვრეტს (6.733) და ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის უკიდურეს ზომას მიმართავს. თუმცა მესამე წიგნის პასაჟიც მიგვითითებს, რომ ძმებს შორის მანამდეც არსებობდა მტრული განწყობილება. აპოლონიოს როდოსელთანაც კი ჩანს, რომ

აიეტს დაძაბული ურთიერთობა აქვს სავრომატებთან თუ სხვა ხალხებთან (Apoll. Rhod. 3.392-395).

რაც შეეხება იასონს, იგი, მიუხედავად იმისა, რომ განჭვრეტს აიეტის მზაკვრობას, მაინც აიეტის მხარეს იჭერს: *ergo nec hic nostris deerat labor arduus actis* (5.542) „მძიმე დავალებების შესრულება აქაც არ აგვცდება", *veniant super haec quoque fato / bella meo (5.544-5)* „ომი არის ჩემი ხვედრი" – დასძენს იგი. ვფიქრობთ, რომ ზოგადად არგონავტების ქმედებები ლაკონურად შეიძლება შეფასდეს ამ ფრაზით *sine honores labores* (6.733).[156]

გ) ომის ამსახველი სცენების სტრუქტურა: რამდენადაც კიზიკუსის კუნძულზე განვითარებული ამბები სტრუქტურულ მიმართებას გვიჩვენებენ კოლხიდის ომთან, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე. კიზიკუსის ეპიზოდს წინ უძღვის პასაჟი (2.627-3,13), სადაც ფლაკუსი აღწერს დოლიონების ქვეყანას და მის მმართველს წარმოგვიდგენს (2.627-636). ამას მოჰყვება სცენა, სადაც კიზიკუსი მეგობრულად იღებს არგონავტებს (2.636-648), ასევე ნადიმის აღწერა, სადაც აღნიშნავენ დამეგობრებას (2.649-664), მსგავსად არის კონსტრუირებული კოლხიდაში კონფლიქტის ეპიზოდი: მოქმედება კოლხიდაში იწყება მუზებისადმი მიმართვით (5.217-224), რასაც მოსდევს წინარე ისტორიის ანუ მოვლენების გადმოცემა, რაც არგონავტების კოლხიდაში ჩასვლამდე მოხდა და ომის წარმოშობის მიზეზები (5.224-277). ღმერთების სცენაში იუნო და პალასი გეგმას აწყობენ, როგორ წარმართონ კოლხიდის ომი თავიანთ საკეთილდღეოდ. (5.278-296); პარალელურად ბჭობენ არგონავტები, როგორი გზით მივიდნენ აიეტთან (.297-328). მომდევნო სცენებში ომის თემა უკანა პლანზე გადადის (5.329-454). აიეტთან შეხვედრა ხდება სოლის ტაძარში (5.455-546). იგი აღწერს, თუ როგორ მიდის რამდენიმე არგონავტი ქალაქში, მედეასთან პირველ შეხვედრას, სოლის ტაძრის სურათებს. ამას მოსდევს აიეტთან აუდიენცია (5.455-546). მეფე სთხოვს იასონს, დაეხმაროს პერსესის წინააღმდეგ გამართულ ომში. მას შემდეგ, რაც არგონავტები ქალაქში შედიან (5.558-569), კავშირი მყარდება ნადიმით, სადაც აიეტი და იასონი ერთმანეთს წარუდგენენ მოკავშირეებს (5.570-617). ღმერთების სცენაში ოლიმპიელები არკვევენ პოზიციებს (5.618-695), იუპიტერი განსაზღვრავს ომის მიმდინარეობას (5.672-689). სცენა მთავრდება ღმერთების ნადიმით (5.690-695).

---

[156] Ferenczi, op. cit. 1995, 155.

ვალერიუსი ორივე ეპიზოდის პირველ მონაკვეთს ამთავრებს ნადიმით: მესამე წიგნში არგონავტები ნადიმის შემდეგ ემშვიდობებიან კიზიკუსს (3.1-13), მეხუთე წიგნში წარმოდგენილია არგონავტებისა და აიეტის ნადიმი (5.690-695). მომდევნო სცენებში აღწერილია მოწინააღმდეგე მხარეთა დაპირისპირება. ორივე პასაჟის ბოლოს ნიადაგი შემზადებულია უშუალოდ ბრძოლის სცენების აღწერისათვის. კიზიკუსის ეპიზოდის მეორე მონაკვეთი იწყება მუზებისადმი მიმართვით (3.14-18), სადაც ფლაკუსი ყვება პრეისტორიას: კიზიკუსმა შეურაცხყო კიბელე, რითაც დაიმსახურა სასჯელი არგონავტების ხელით (3.19-31). აიეტიც ჰიბრისის გამო დაისაჯა, მიუხედავად იმისა, რომ ომში სკვითებზე გამარჯვება მოიპოვა, არგონავტებმა გაიტაცეს ოქროს საწმისი, მისი სამეფო ხელისუფლების სიმბოლო.

ომის თემასთან დაკავშირებული ორივე ეპიზოდის აგებისას ფლაკუსი სამ მოდელს ეყრდნობა: აპოლონიოსს, ჰომეროსს და ვერგილიუსს. უდავოდ კიზიკუსის ეპიზოდი ფაბულის დონეზე მიჰყვება აპოლონიოს როდოსელს (I 936-1014), თუმცა, როგორც ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის; ფლაკუსი ამას აღწევს „ენეიდის“ პირველი წიგნიდან შესატყვისი პასაჟების და მოტივების შემოტანით (453-493, 561-630, 647-655, 697-756 სადაც დიდო იღებს ენეასს და უყვება ტროას დამხობას); კოლხიდის ომი გარკვეულ პარალელებს გვიჩვენებს „ენეიდაში“ ლაციუმში მომხდარ ომთან (7.36-322).[157] ენეასის ლაციუმში წარმოებულ ბრძოლებსა და კოლხიდის ომს შორის კონცეპტუალური თანხვედრაც არსებობს. თუ მოიპოვებენ არგონავტები საწმისს, ენეასი მიიღებს უფლებას, ტროელებისათვის იტალიაში დააარსოს ახალი სამშობლო. მოქმედების პროგრამა ჩამოყალიბებულია იუპიტერის გეგმაში (Arg. 1.531-560; შდრ. Aen. 1.254-296). ენეასის გამარჯვება იტალიელ მოწინააღმდეგეებზე ემსახურება furor impius-ის დამორჩილებას, რაც fata-თია განსაზღვრული. „არგონავტიკაში“ ომი არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ყოველ გამორჩეულ ხალხს ძალუძს ჩაიგდოს ხელში მართვის სადავეები. შესაბამისად, კოლხიდაში მომხდარი ომი განაპირობებს ძალაუფლების ცვლას საბერძნეთის საკეთილდღეოდ. არგონავტები ამარცხებენ აზიურ ძალის განმასახიერებელ სკვითებს და ამით ამყარებენ საბერძნეთის უპირატესობას. იასონის საგმირო საქმეები იწვევენ მედეაში სიყვა-

[157] თანხვედრები თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სმოლენაარსის მიერ შემოთავაზებულ სქემებში: J.J.L. Smolenaars, Quellen und Rezeption. Die Verarbeitung homerischer Motive bei Valeius Flaccus, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991, 70-71.

რულს, რომლის მეშვეობითაც იგი მოიპოვებს საწმისს. ეს მოვლენა განაპირობებს კონფლიქტს (იგულისხმება კოლხთა დადევნება), რომლის დასრულების შემდეგაც ჰეგემონია აზიიდან საბერძნეთში გადადის.[158]

ახლა უფრო დაწვრილებით შევეხოთ სკვითებისა და კოლხების ომთან დაკავშირებულ ეპიზოდებს. ომის მსვლელობის გადმომცემ პირველ ნაწილში ფლაკუსი გვიყვება სკვითების ტრაგედიას, აქ აღწერილ ეპიზოდებში რამდენიმე მნიშვნელოვანი და ნაკლებადმნიშვნელოვანი სკვითი პერსონაჟის გარდა იღუპებიან კოლხი მეომრებიც. ომის შესავალ სტრიქონებში (182-201) ფლაკუსი ბრძოლის სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. გვთავაზობს ომის ზოგად აღწერილობას (182-188); შემოაქვს ბრძოლის ამსახველი კონკრეტული სცენები (189-195); თანაბრად იღუპებიან მეომრები ორივე მოწინააღმდეგის მხრიდან, განსაკუთრებული დრამატიზმი ომის განვითარებაში არ შეიმჩნევა. შემდეგ წარმოდგენილია გამორჩეულ გმირთა არისტიები: ექსპონირებულია არგონავტი კასტორი (203-264); მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ალბანელი სტირუსისა და ალანთა სარდლის, ანავსისის შეხვედრას (265-278); ამას მოჰყვება იაზიგი გესანდერის არისტია (279-385); სკვითი არიასმენუსის ჩართვა ბრძოლაში (386-426).

შუალედური ადგილი უჭირავს ღმერთების სცენას: ბატალურ სცენებს ადგილს უთმობს იუნოს ინტრიგები. იგი ვენუსს სთხოვს სიყვარულის ქამარს, რათა მედეა სიყვარულით აღაგზნოს იასონის მიმართ. მიიღებს მედეას დის, ქალკიოპეს სახეს და ქალაქის კედლებიდან ქალწულთან ერთად აკვირდება ომის მსვლელობას (427-506).

ამ ინტერმეცოს შემდგომ კვლავ შემოდის ომის ამსახველი სცენები. მეორე ნაწილში კოლხები და არგონავტები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ, მედეა, რომელიც იუნო–ქალკიოპესთან ერთად აკვირდება ომის მსვლელობას, ყურადღებას ამახვილებს იასონზე და სიყვარულით განიმსჭვალება. კმაყოფილი იუნო სტოვებს მოქმედების ასპარეზს, მედეა მხოლოდ იასონით არის შეპყრობილი (507-724). მეექვსე წიგნის ბოლოს ფლაკუსი კვლავ პერსესსა და მედეას უბრუნდება. პერსესი უკმაყოფილებას გამოთქვამს სკვითების დამარცხების გამო, მედეას მხოლოდ იასონის ბედი ადარდებს. ეს ორი მნიშვნელოვანი ფიგურა: მედეა და პერსესი შესავალშივე შემოჰყავს ფლაკუსს და მათი დასკვნით ნაწილში მოხსე-

[158] P. Schenk, op. cit. 1999, 271, შდრ. ასევე: 32-40.

ნიებით კომპოზიციურად კრავს მთელს მეექვსე წიგნს. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ წარმოვადგენთ ომის მსვლელობის სტრუქტურას:[159]

1-32 (32 სტრ.) შესავალი

33-181 (149) სკვითების კატალოგი

182-426 (245) სკვითების წარუმატებლობა

182-202 დასაწყისი

203-264 კასტორის არისტია

265-278 სტირუსისა და ანავსისის შერკინება

279-385 გესანდერის არისტია

386-426 არიასმენუსის ჩართვა ბრძოლაში

427-476 (50) ღმერთების სცენა (იუნო, იუნო–ვენუსი)

477-724 (248) კოლხების გამარჯვება (იუნოსა და მედეას ტეიქოსკოპია)

477-505 იუნო–მედეა

507-574 კოლხური ალიანსი

575-601 იუნო–მედეა

602-656 იასონის არისტია

657-680 იუნო–მედეა

681-724 იასონი–მედეა

725-760 (36) ომის დასასრული (პერსესი–პალასი; მედეა)

აიეტისა და პერსესის კონფლიქტი და მასთან დაკავშირებული ამბები ჩვენთვის განსაკუთრებით არის საინტერესო ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამოც. ფლაკუსს მოქმედებაში შემოჰყავს კავკასიასთან დაკავშირებული მრავალი ახალი პერსონაჟი. იგი 79 ახალ ფიგურას იგონებს, რომლებიც უშუალოდ ამ კონფლიქტში იღებენ მონაწილეობას. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმომავლობით, გარეგნობით, ჩაცმულობით, ადათ-წესებით; ბუნებრივია, ძირითადად, ისინი სტატისტის ფუნქციას ასრულებენ, თუმცა მრავალი მათგანი გამოირჩევა განსაკუთრებული ექსპონირების ხარისხით. მათ შესახებ უფრო დეტალური მსჯელობა მომდევნო თავში გვექნება.

ისმის კითხვა: რაში დასჭირდა ფლაკუსს განევრცო აიეტისა და პერსესის დაპირისპირების ამბავი, გამოეგონებინა მითოლოგიური ტრადიციისათვის ამდენი უცნობი ახალი პერსონაჟი. ფლაკუსმა ომის თემატიკის ინტენსიფიკაციით ლათი-

[159] E. Lüthje, op. cit. 1971, 280.

ნური ეპოსი თავისებურად აქტუალური გახადა თავისი ეპოქის საზოგადოებისათვის. ეს მომენტი ძირითადად ორი ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული. ერთი მხრივ, ისტორიული რეალობით, მეორე მხრივ, ავტორის გაზრდილი ინტერესით კავკასიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმართ. ომის თემის ნაწარმოებში ჩართვით, რომელიც უცილობლად მის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს, ფლაკუსთან რედუცირებულია ზღაპრული ეპიზოდები და გაზრდილია კავკასიის თემატიკა. მის განსაკუთრებულ ინტერესს ამდენი ახალი კავკასიელი პერსონაჟის გამოგონებაც ადასტურებს. მათი ლინგვისტური ანალიზი ცხადყოფს, თუ როგორ ცდილობს ფლაკუსი ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ნომენკლატურის გაზრდას.

2. ომის თემასთან დაკავშირებული ზოგიერთი პასაჟის ინტერპრეტაციისათვის

პოემაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ომის თემასთან დაკავშირებული რამდენიმე პასაჟი, რომელთა გააზრებაც წარმოუდგენელია ზოგადად ეპოსის ტექსტისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. რას გულისხმობს ეპიკური ტექსტი? ეპიკური ტექსტების კომპარატივისტული კვლევის საფუძველზე პ. გრინცერმა გამოავლინა აღმოსავლურ და დასავლურ ეპოსებს შორის მსგავსება-განსხვავება.[160] ეპიკური ტექნიკისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ენა, ფორმულების ენა,[161] ეპოსის კომპოზიცია, რომელშიც შედის გარკვეული თემებისა და მოვლენების ერთობლიობა: მაგ., შეკრებების აღწერა ზეცასა და მიწაზე (თათბირები), გმირების მოსვლა და წასვლა, სტუმართა მიღება, ნადიმები, დღესასწაულები, ჩაცმა და აღჭურვა, სიზმრები, მოგზაურობა. კომპოზიციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გმირთა სიტყვებს, მათ ქებას და დატირებას, ამა თუ იმ მოვლენის კატალოგს; საგმირო ეპოსში გამოიყოფა მსგავსი მოტივები და სიუჟეტები. ვ. ჟირმუნსკის[162] აზრით, ეპოსში გამოიყოფა შემდეგი მსგავსი მოტივები და სიუჟეტები: გმირის სასწაულებრივი დაბადება, მისი თვითნებობები, მაგიური მოუწყვლელობა, უჩვეულო ცხენი და იარაღი, დაძმობილება, მაჭანკლობა. ძველი ეპოსების ხშირი თემაა გმირის მიერ ქალღმერთის

---

[160] П. А. Гринцер, Эпос древнего мира: Типология и взаимосвязи литератур древнего мира, "Наука", Москва 1971.

[161] M. Parry, L'epithete traditionelle dans Homere, Paris 1928; M. Parry, Studies in the Epic Technique of Oral Verse-making, p. I-II, Harvard Studies in Classical Philology, vol. XLI, 1930.

[162] В. Жирмунский, Народный героический эпос, Москва-Ленинград 1962, 9.

სიყვარულის უარყოფა, მისი შურისძიება, სუბსტიტუტის სიკვდილი ან გმირის მიწისქვეშეთში მოგზაურობა.

სხვადასხვა ეპოსებში ცალკეული მოტივების სიახლოვის მიზეზების გარკვევისას გრინცერი შეეცადა, მოეცა ამ მოტივების მითოლოგიური ახსნა. როგორც ირკვევა, ყველა ასახავს საყოველთაოდ გავრცელებულ მითოსურ სიუჟეტებსა და წარმოდგენებს. სავარაუდოა, რომ ეპიკური პოემების შინაარსებში ჩადებულია გარკვეული პრინციპები, რომლებიც ხელს უწყობს ერთი და იმავე მოტივებისა და სიუჟეტების გამოყენებას.

როდესაც მწერალი რაიმე ფაბულას იღებს, იგი გარკვეულწილად შეზღუდულია მხატვრული დამუშავებისას, გაბედული ცვლილების შედეგად შესაძლოა საკმაოდ დაშორდეს ამოსავალ ფაბულას, ამდენად, უნდა დასჯერდეს ინტერპრეტაციას იმ დოზით, რომ ე. წ. მოდელი ფაბულა ამოცნობადი იყოს; ეს მას ხელს არ უშლის, რომ გარკვეულწილად თვითრეალიზებაც მოახდინოს.

ფლაკუსის „არგონავტიკაში“ კოლხიდის ომის ეპიზოდში გვხვდება რამდენიმე პასაჟი, რომელსაც, ვფიქრობთ, გარკვეული აზრობრივი დატვირთვა გააჩნია და მათი ინტერპრეტაცია და ტექსტუალური ანალიზი შეუძლებელი იქნება ეპიკური ტექსტისათვის დამახასიათებელი საერთო კანონზომიერებების გათვალისწინების გარეშე.

2. 1. გესანდერი და იაზიგების ადათი

ფლაკუსი ე. წ. სკვითების კატალოგში მოიხსენიებს იაზიგებს და მათთან აკავშირებს საინტერესო ადათს, რომელზეც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას პირველად კატალოგში (6. 123-128) და მოგვიანებით ხელმეორედ კოლხიდაში ძმათა შორის ომის ამსახველ სცენაში, კერძოდ, იაზიგების სარდლის გესანდერის არისტიის სცენაში (6. 282-314); ჩვენ ამ ადათზე უკვე ვიმსჯელეთ, როდესაც ესონისა და ალკიმედეს სიკვდილის ამბავს განვიხილავდით, აქ მოკლედ გადმოვცემთ მის არსს: როცა ადამიანი ბერდება, მარჯვენა აღარ უჭრის და იარაღს ვეღარ იმორჩილებს, მას თავისი ძვირფასი მემკვიდრე მახვილით მოუსწრაფებს სიცოცხლეს, ვიდრე იგი თვითონ ბუნებრივი სიკვდილით აღესრულება. მამა-შვილი ამით თავიდან იცილებს შეურაცხმყოფელ ლოდინს და ორივე სასახელოდ მიიჩნევს ასეთ სიკვდილს.

namque ubi iam vires gelidae notusque refutat
arcus et inceptus iam lancea temnit eriles
magnanimis mos ductus avis haud segnia mortis

iura pati, dextra sed carae occumbere prolis
ense dato, rumpuntque moras natusque parensque,
ambo animis, ambo miri tam fortibus actis (6. 123-128)

ნაწარმოებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ადათს უკავშირდება კოლხი ქურუმის, აკვიტესის ამბავი, რომელიც შვილის, კირნუსის უსაფრთხოებაზე ზრუნავს, ცდილობს, იგი სიკვდილისგან დაიხსნას (6. 296-300). ხანშიშესულ ქურუმს ულმობლად კლავს იაზიგი გესანდერი, რომელიც აღშფოთებულია ჭარმაგი მოხუცის ბრძოლის ველზე გამოჩენით და ფიქრობს, შვილს რომ იგი ჰყვარებოდა, ასეთ სამარცხვინო სიბერემდე ვერ მიაღწევდა (6. 302-316). სიკვდილის პირას მისული აკვიტესი ღმერთს კვლავ შვილის მფარველობას ევედრება.

თუ წყაროებში ახალგაზრდა თაობის მიერ ხანშიშესული მოხუცების მიმართ დამოკიდებულების შესახებ დადასტურებულ ინფორმაციას (ვგულისხმობთ ჰეროდოტოსის და სტრაბონის ცნობებს) ფლაკუსთან წარმოდგენილ ვერსიას შევუპირისპირებთ, აშკარად ჩანს, რომ ფლაკუსი იცნობს ამ ადათს, თუმცა მას გარკვეულწილად ტრანსფორმირებული სახით წარმოგვიდგენს: ახალგაზრდა თაობა საკუთარი ხელით კლავს ხანში შესულთ, რომელთაც ბრძოლის ძალა აღარ შესწევთ. მთავარი ინოვაცია არის ფლაკუსისეული მოტივაცია: იგი ამ ადათს უკავშირებს ცნება virtus-ის გაგებას. ახლა კი უფრო დაწვრილებით: გესანდერის ლოცვაში, რომელსაც იგი გარდაცვლილი მამის აჩრდილისადმი აღავლენს, ჩანს, რომ ეს არის ადათი, რომელიც მას მამა-პაპათაგან მოსდგამს, თვითონაც ასრულებს და მომავალ თაობასაც გადასცემს. შესაბამისად, წესის არდამორჩილება და უგულებელყოფა მკრეხელობად ითვლება ტომის წარმომადგენელთა შეხედულებით. ფლაკუსი ამ ემოციურად დატვირთულ სცენაში გვიჩვენებს განსხვავებას ორ მსოფლმხედველობას შორის, მაგრამ საყურადღებოა, რომ ფლაკუსი წარმოგიდგენს არა ელინი/ბარბაროსი დაპირისპირებას, არამედ შიდა-კავკასიურ ტომებს შორის არსებულ მენტალურ განსხვავებას: ერთი მხრივ, ადათის დამცველს იაზიგს, ხოლო, მეორე მხრივ, კოლხ ქურუმს შორის, რომლისთვისაც მიუღებელია ეს ადათი. გარემოებას აკვიტესის სტატუსიც ამძიმებს, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იგი არის მავედრებელი მამა, რომელიც მთელი ომის განმავლობაში ცდილობს, დაიცვას შვილი უბედურებისგან, მავედრებლის უგულებელყოფა კი, როგორც ცნობილია, უზენაესი ღმერთის მიერ დადგენილ კანონებს ეწინააღმდეგება. ამდენად, მკითხველის თვალში აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ხანშიშესულ მავედრებელ მამას ულმობლად კლავს

იაზიგთა სარდალი. ამაღელვებელია ის სცენაც, სადაც სიკვდილის პირას მისული აკვიტესი ღმერთს კვლავ შვილის მფარველობას ევედრება.

თუ ამ ეპიზოდს უფრო ღრმად დავუკვირდებით, ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს მსხვერპლშეწირვის გარკვეულ ფორმასთან და, ამდენად, ვიდრე ამ პასაჟის ანალიზზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ საკითხს, თუ რას გულისხმობს ზოგადად მსხვერპლშეწირვის არსი და ფუნქცია. ამ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს სხვადასხვა ენაზე. საქმე გაგვიმარტივა იმ გარემოებამ, რომ ქართულ ენაზე მოგვეპოვება რუსუდან ცანავას ფუნდამენტური ნაშრომი „მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები“, სადაც მეცნიერული თეორიების შტუდირების საფუძველზე ავტორი მრავალ მნიშვნელოვან კონცეპტუალურ მოსაზრებას წარმოგვიდგენს. მეცნიერული თვალსაზრისების შეჯერების საფუძველზე რ. ცანავა მიდის დასკვნამდე, რომ მსხვერპლშეწირვის არსი, ფუნქცია და დანიშნულება უნივერსალურია. შესაბამისად, მსხვერპლშეწირვის მითორიტუალური მოდელების „მუშაობა“ უძველესი კულტურებიდან დღემდე ტიპოლოგიური მსგავსებების ნაირფერ სურათს წარმოგვიდგენს.[163]

ბერძნულ მითებში ადამიანის დანაწევრების ორი მოდელი გვხვდება. ე. წ. „სამონადირეო“ მითორიტუალიდან აღმოცენებული (ამ ტიპის მითებში ადამიანის მსხვერპლშეწირვას აქვს მოტივაცია) და ე. წ. „სპარაგმოსი“ – ადამიანის დაგლეჯა რიტუალური გაშმაგებისას. ეს მოდელი მისტერიული კულტებისთვისაა დამახასიათებელი. ამ დროს ადამიანი ცოცხლად იგლიჯება ყოველგვარი რიტუალური სამზადისის გარეშე.[164]

ანტიკურ ლიტერატურულ ძეგლებში აღწერილია ადამიანთა მსხვერპლშეწირვის სხვადასხვა ფორმა. ამ მხრივ სხვა თქმულებების გვერდით უდავოდ ადამიანის მსხვერპლშეწირვას განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება არგონავტების ციკლში (ფრიქსოსის, აფსირტოსის, პელიასის, მედეას შვილების). მიგვაჩნია, რომ ფლაკუსთან მართლაც იკვეთება ომის კონტექსთან დაკავშირებული რამდენიმე ამბავი, რომელიც სწორედ ამ ასპექტის გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას. ფლაკუსი რომ რელიგიურ საკითხებში განსწავლული იყო, ამას ცხადყოფს მისი თანამდებობაც: იგი შედიოდა ქურუმთა კოლეგიაში Quindecimvir

[163] რ. ცანავა, მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები, თბილისი, ლოგოსი, 2005, 60.
[164] Op. cit., 149.

Sacris Faciundis. კოლეგიის სხვა დანარჩენ წევრებთან ერთად მას ევალებოდა სიბილანური წიგნების დაცვა და განმარტება. ასევე ამ წიგნებში აღნუსხული სხვადასხვა საკულტო რიტუალების ჩატარება.

ვფიქრობთ, რომ აკვიტესის და გესანდერის ამბის გასაანალიზებლად დაგვეხმარება ე. წ. სამონადირეო მითორიტუალიდან აღმოცენებული დანაწევრების მოდელის გათვალისწინება. ეს ამბავი ომის ამსახველ სცენაში ისე ოსტატურად არის ინტეგრირებული, რომ დაუკვირვებელ მკითხველს, შესაძლოა, მხედველობიდანაც კი გამორჩეს მისი აზრობრივი დატვირთვა. ახლა უშუალოდ რიტუალურ ასპექტზე შევჩერდეთ. ამ პასაჟში აშკარად იკვეთება ყველა ის კომპონენტი, რომელიც ასეთი ტიპის მსხვერპლშეწირვისთვის არის აუცილებელი.

ა) *მსხვერპლშეწირვის შემსრულებელი*: იაზიგი სარდალი გესანდერი.

ბ) *მსხვერპლის არჩევა:* კოლხი ქურუმი აკვიტესი. გესანდერი განზრახ ირჩევს მოხუც მსხვერპლს, ვისი შეწირვაც, მისი წარმოდგენით, უფრო „გამართლებული“ იქნება, ვიდრე ახალგაზრდასი. საგულისხმოა, რომ მავედრებელი აკვიტესი ხელუხლებელი დააბიჯებს მოწინააღმდეგეთა რიგებში, თითქოს მას ვერავინ ამჩნევდეს. მისი საზრუნავიც მხოლოდ შვილის მფარველობაა; მას – *მსხვერპლს* მხოლოდ გესანდერი – *შემსრულებელი* ამჩნევს.

გ) *მსხვერპლშეწირვისათვის მზადება:* ვიდრე მსხვერპლშეწირვას აღასრულებდეს, გესანდერი მიმართავს მამათა აჩრდილებს patrias ... umbras (6.287), კერძოდ, ევედრება გარდაცვლილი მამის, ვორაპტუსის სულს, სადაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ეს ადათი მათ მამა-პაპისგან მოსდგამთ და რომ თვითონაც იცავს და რომ შვილიშვილებიც პატარაობიდანვე ამასვე სწავლობენ (6. 288-291). ლოცვას მოსდევს ავტორისეული რეპლიკა, რომ ერებოსმა ეს ლოცვა გაიგო haec ait, auditusque Erebo (6. 292).

დ) *მსხვერპლშეწირვის იარაღი:* პოემაში ეს იარაღი მოიხსენიება, როგორც ensis – ორმხრივად ალესილი ხმალი (corripit ensem, 6. 292; adacto / ense, 6. 308).

თუ რა ბედი ეწეოდა იაზიგების ადათის შესაბამისად ლიკვიდირებულ მოხუცებს, უცნობია. ფლაკუსი ამაზე არაფერს ამბობს. თვალი გადავავლოთ წყაროებში დადასტურებულ ინფორმაციას: მასაგეტები (ჰეროდოტოსის ცნობა) ე. წ. კანიბალურ ნადიმს აწყობდნენ და ჭამდნენ წინაპრებს. კასპიელების (სტრაბონის ცნობა) ადათის თანახმად, ხანშიშესული მიცვალებულები ფრინველის ან ძაღლების ულუფა ხდებოდა, ხოლო თუ არავინ დააკარებდა პირს, ეს ცუდ ნიშნად მიაჩნდათ. ციცერონი „ტუსკულანური საუბრების“ I წიგნში სხვადასხვა

ხალხების დაკრძალვის წესების მიმოხილვისას წერს: მაგები (ირანელი ქურუმები) მიწაში დამარხვამდე ცხედრებს ცხოველებს აგლეჯინებდნენ. ჰირკანიაში უბრალო ხალხი თემის ძაღლებს კვებავდა, მაღალი წრის წარმომადგენლები – შინაურ ძაღლებს. ამ ძაღლების ჯიში ჩვენთვის კარგადაა ცნობილი; მათ განსაკუთრებული მიზნით ზრდიდნენ; ჰირკანელები თვლიდნენ, რომ ამ ძაღლების მიერ დაგლეჯა მათთვის საუკეთესო სამარხი იყო (Cic. Tusc. disp. I, X V). დიოდოროსის ცნობით, სპარსელები მიცვალებულთა გვამებს ძაღლებს უყრიდნენ დასაგლეჯად (Diod. III, 62).

როგორ ინტერპრეტაციას აძლევს თვით ფლაკუსი ამ ადათს? აკვიტესი გესანდერს შეწყალებას სთხოვს: genitor tibi si manet, oro / canitiem, comesce minas et si tibi natus / parce meo, 305ff. გესანდერი მას არ შეიწყნარებს, რამდენადაც ეს მის ადათს ეწინააღმდეგება, შესაბამისად, მისი თვალსაზრისი ასეთია: „Genitor…ipse hac occumbere dextra/maluit…/et tibi si pietas nati, si dextra fuisset,/ haut medii precibus tereres nunc tempora belli" (308-314). გესანდერისთვის ეს საქციელი არის pietas, და მას რომ აკვიტესი შეეწყნარებინა, მის ვაჟკაცობას ჩრდილი მიადგებოდა, შესაძლოა, თემიდან მოეკვეთათ კიდეც. ამის საფუძველზე გერმანელი მეცნიერი ლიუთე მიიჩნევს, რომ მისი საქციელი შეიძლება შევაფასოთ როგორც virtus სიქველე, რამდენადაც ის ასრულებს წესს, რომელიც მამა-პაპათაგან მოსდგამს.[165] ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, რის საფუძველსაც გვაძლევს თვით გესანდერის აღსასრულის ფორმა: აკვიტესისადმი მიმართულ სიტყვაში გესანდერი შენიშნავს, რომ ყმაწვილს ნებისმიერი ხვედრი შეჰფერის: შიშველი ხელით ბრძოლაც და დაუმარხავად დარჩენაც კი (iuvenis sors pulchrior omnis: / et certasse manu decet et caruisse sepulchro 6. 313-4), თუმცა თვითონ სიცოცხლის ბოლო წუთებში ქალებთან შებრძოლება უწევს და ამაძონთა დედოფალი ევრიალე კლავს (6. 379ff.). მან საკუთარ თავს ყველაზე სამარცხვინო განაჩენი გამოუტანა, რასაც ფლაკუსი ლაკონურად ორი სიტყვით გადმოგვცემს გესანდერის პირით: „heu pudor" (6. 374).

იმისათვის რომ სრული იყოს ჩვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ იასონის მშობლების ესონისა და ალკიმედეს აღსასრულის ამბავზე, სადაც ასევე ხორციელდება მსხვერპლშეწირვა, უფრო სწორედ თვითშეწირვა (1. 693-850), რაც ასევე პარალელს გვიჩვენებს ჩვენთვის საინტერესო გესანდერის ამბავთან. ფლაკუსს ამ შე-

[165] E. Lüthje, Gehalt und Aufriss der Argonautica des Valerius Flaccus, Diss., Kiel 1971.

მთხევაშიც ისევ და ისევ რომაელისათვის მნიშვნელოვანი ცნებები pietas და virtus-ის გაგება შემოაქვს. ერთი-ორად არის საინტერესო ეს პასაჟი, რამდენადაც აპოლონიოსთან ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. განსხვავებული ფორმით დასტურდება ეს ფაქტი მითოგრაფოსებთან.[166]

იასონი ლაშქრობაში თან წაიყვანს პელიასის შვილს აკასტუსს, რაც პელიასის რისხვას გამოიწვევს. მოვლენები იოლკოსში რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: პელიასი გადაწყვეტს იასონის მშობლებზე იძიოს შური; ალკიმედე და ესონი ხარს სწირავენ მსხვერპლად; პელიასის ხალხი მოიჩქარის, ალკიმედე და ესონი სიცოცხლეს თვითმკვლელობით[167] ასრულებენ, პელიასი კლავს იასონის უმცროს ძმას.

იასონის პაგასეს ნავსადგურიდან გამგზავრების შემდეგ, ალკიმედე და ესონი მსხვერპლს სწირავენ ღმერთებს. ესონს გამოეცხადება მამის, კრეთევსის აჩრდილი, რომელიც შეატყობინებს პელიასის მზაკვრულ ზრახვებს. ამიტომ მოითხოვს მისგან, რამდენადაც ესონი მისი ვაჟია, მამაცურად გამოესალმოს სიცოცხლეს (1. 750). ესონს სურს გადაწყვიტოს, თუ როგორი სიკვდილი აირჩიოს (1.769-773), რათა, თავის მხრივ უმცროსი ვაჟისათვის იყოს სამაგალითო და ასევე არ შეარცხვინოს თავისი წინაპარი ეოლოსი, რომელიც, კრეთევსის თქმით, მას უკვე აჩრდილთა სამეფოში ელოდება (1. 751). ესონი გადაწყვეტს, რომ გმირულად აღესრულოს, ვიდრე მას პელიასი მოუღებდეს ბოლოს. ამ გადაწყვეტილებასთან კონტრასტს გვიჩვენებს ესონის სურვილი, რომ პელიასი აღესრულოს უჩვეულო, უღირსი და საშინელი სიკვდილით. „დე, დაეცეს იგი არა ბრძოლის ველზე, ან თვითმკვლელობით, არამედ თავისიანებმა დაგლიჯონ, დაანაწევრონ და დაუმარხავად დატოვონ“

exitia indecoresque obitus! non Marte nec armis
aut nati precor ille mei dignatus ut umquam
ense cadat; quae fida manus, quae cara suorum
diripiat laceretque senem nec membra sepulchro
contegat. haec noster de rege piacula sanguis
sumat et heu cunctae quas misit in aequora gentes!' (1.810-815)

---

[166] შდრ. Diod. Sicul. 4, 50, 1-2; Ps.-Apoll. bibl. 1, 9, 27, 1-2, ცეცე ლიკოფრონთან 175.

[167] ადამიანთა მსხვერპლშეწირვის სხვადასხვა ფორმა არსებობდა. მათ შორის, თვითშეწირვაც (Ю. А. Шилов, Человеческие жертвоприношения в мифоритуалах Северного Причерноморья IV - I тыс. до н. э. // Жертвоприношение, Москва, 2000, 72-73).

ამდენად, პელიასის indecores oblitus (1. 810) კონტრასტს გვიჩვენებს ესონის დიდებულ ხვედრთან magni obitus (1. 769). ფლაკუსის მიერ შეთხზული ამბავი ესონისა და ალკიმედეს თვითმკვლელობის შესახებ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ აქ, ერთი შეხედვით მოულოდნელ ადგილას, არის აღწერილი აჩრდილთა სამეფო (1. 827-831); ყურადღებას იპყრობს მიღმიერ სამყაროში შესასვლელი ორი კარი: ერთი მათგანი ყველა ხალხისათვის და მეფეთათვის მუდამ ღიაა, მეორე კი მხოლოდ იშვიათად იღება და მხოლოდ განსაკუთრებული პიროვნებათათვის, რომელთაც სიცოცხლეში გამოიჩინეს თავი სიქველით, ზნეობრივი ღირებულებებით ან კულტმსახურებით (1.832-839). ამ კარის მიღმა მდებარეობს ნეტართა კუნძულები, საითაც კრეთევსი შეუძღვება ესონსა და ალკიმედეს (1.842-847). კრეთევსი მათ უჩვენებს აგრეთვე კარს, რომლის მიღმაც პელიასს სამუდამო ტანჯვა ელოდება (1.849-850). კიდევ ერთ დეტალზე შევაჩერებთ ყურადღებას: იასონს იოლკოსიდან გამგზავრებისთანავე შეიპყრობს შიში მშობლების ხვედრის გამო, რაც მას მოსვენებას უკარგავს. მშობლები კი თავის მხრივ იასონის ხვედრის გამო შიშობენ, რა ბედი ეწევა მას შორეულ ნაოსნობაში. სწორედ ეს ღირებულებები: ერთმანეთზე ზრუნვა და სიყვარული, გამბედაობა და ღირსეული აღსასრულისთვის მზადყოფნა, pietas და virtus გამოარჩევს ალკიმედესა და ესონს სხვა მოკვდავთა შორის და სწორედ ამიტომ მათთვის იღება საიქიოს ის კარი, რომელიც, ჩვეულებრივი მოკვდავთათვის დახურულია (1.835-838).

2.2. არიასმენუსის დანაწევრება

ჩვენი ყურადღება ასევე მიიპყრო ერთ-ერთი სკვითი მეომრის, არიასმენუსის აღსასრულის ფორმამ. ვფიქრობთ, რომ იგი გარკვეულ მიმართებას გვიჩვენებს ე. წ. „სპარაგმოსის" მოდელთან[168]. აშკარაა, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ არიასმენუსის ამბავი მოსდევს გესანდერისა და აკვიტესის ისტორიას, თუმცა, მათ შორის კიდევ ერთი – არგონავტ კანთუსის დანაწევრების – ამბავია ჩართული, რაც ინტერპრეტაციისათვის უცილობლად მნიშვნელოვანია.

არიასმენუსი სკვითი მებრძოლია, რომელიც დასახელებულია ე. წ. სკვითების კატალოგში და ასევე ექსპონირებულია აიეტსა და პერსესს შორის გამართული ომის ამსახველ ეპიზოდში. ფლაკუსი მას განსაკუთრებით გამოყოფს, რაზეც მეტყველებს მისადმი პირდაპირი აპელირება: „მსურს შენი საქმენი

[168] ამ მოდელის თვალსაჩინო ნიმუშია დიონისე-ძაგრევსი, პენთევსი, აქტეონი.

მომავალ თაობებს გადავცე“ (6. 102-3). არიასმენუსი ომის მამოძრავებელი ძალაა, საომარ ეტლზე ამხედრებული ბრძოლის ველზე დაჰქრის, ერთადერთი სურვილი ამოძრავებს, გაჟლიტოს ბერძნები და კოლხები (6. 386-389). ტრაგიკულია არიასმენუსის აღსასრული, მას მტერი ვერაფერს დააკლებდა, ბრძოლაში ათენა პალასი რომ არ ჩარეულიყო. გმირი საბრძოლო ეტლიდან ხტება და საკუთარივე ეტლის ბასრი ნამგლებით დანაწევრებული კვდება (6. 423-426).

ვიდრე მოყვანილი ადგილის ინტერპრეტაციაზე გადავიდოდეთ, ყურადღებას გავამახვილებთ არგონავტ კანთუსის ამბავზე, რომელიც არიასმენუსის დანაწევრებას უსწრებს წინ. ფლაკუსს აკვიტესის სიკვდილის შემდეგ შეგნებულად შემოჰყავს მოქმედებაში არგონავტი კანთუსი, რომელსაც, ისევე როგორც არიასმენუსს, უშუალოდ მიმართავს: te quoque, Canthe, tui non inscia funeris Argo / flevit ab invita rapientem tela carina (6.317-321).[169] კანთუსის ამბავი ასეა გადმოცემული (6. 316-371):[170] გესანდერი მკერდში მახვილის დარტყმით განგმირავს კანთუსს. მასთან მყის გაჩნდებიან სხვა არგონავტები: იდასი, მელეაგრუსი, მენოეტიუსი და პოლუქსი, ტელამონი ცხედარს ფარს გადააფარებს და ცდილობს მის დაცვას, მოწინააღმდეგე კი მის მითვისებას. დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ გლეჯენ კანთუსს: შუა ნაწილში ხელს ჩაავლებს ტელამონი, კისერში სწვდება გესანდერი. ტელამონი მის უკან გამოტაცებას ლამობს. შთაბეჭდილებას ფლაკუსის ხატოვანი შედარებაც აძლიერებს: „ვინმემ რომ საკულტო მსახურებს ხარის ტყავის დასარბილებლად მისცეს ცხიმი, მონაცვლეობით ჭიმავენ ტყავს და ასე არბილებენ მას, ცხიმი კი მიწაზე მოწვეთავს, ასე ცდილობდა ორივე მხარე ცხედრის მითვისებას; ასე გლეჯდნენ საბრალოს [კანთუსს] ნაწილებად (6. 358-363).[171]

რა მოტივაცია აქვს კანთუსის სიკვდილს? როგორც მოხუცი ქურუმის შემთხვევაში, არგონავტთან მიმართებაშიც გესანდერი წინასწარ გააზრებულად

[169] მინიშნება კანთუსის ხვედრზე პირველ წიგნშიც გვხვდება (1. 451).

[170] ეს არგონავტი იმითაც იმსახურებს ყურადღებას, რომ ჩართულია გესანდერის არისტიაში და ფლაკუსი სწორედ ამ მომენტს ირჩევს მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოსაცემად. კერძოდ, აქ გესანდერი კანთუსს აღუწერს არქტოსს [ჩრდილოეთ კავკასიას], გაუსაძლის პირობებს, აუტანელ სიცივეს, მუდმივ ზამთარს და არახელსაყრელ კლიმატს, აღწერს ასევე მომთაბარე ტომების ცხოვრების წესს.

[171] აღსანიშნავია, რომ კანთუსი ლაშქრობაში მონაწილე ყველაზე მნიშვნელოვან გმირებს შორის მოიხსენიება; როდესაც იასონი აკასტუსის დაყოლიებას ცდილობს, ჩამოთვლის გმირებს და დასძენს, რომ არც ტელამონი, არც კანთუსი, არც თვით ტინდარიდი არ მიაჩნია ოქროს საწმისის უფრო მეტად ღირსად, ვიდრე აკასტუსი (1.166-167). საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ ამ არგონავტის სიკვდილის ეპიზოდს, სულ სხვა კონტექსტში, აპოლონიოს როდოსელთანაც ვხვდებით; კანთოსს ლიბიაში კლავს მწყემსი, რომელიც მისგან საკუთარ ფარას იცავს (IV 1485-1501).

მოქმედებს (illum, ubi congress subiit Gesander iniquo territat his, 322f.). მკვლევართა აზრით, შეწირული ადამიანის დანაწევრების რიტუალი უკავშირდება მიწათმოქმედებას და განკუთვნილია ნაყოფიერების მატების უზრუნველსაყოფად. მოკლული და დანაწევრებული ადამიანის სხეულის ნაწილებს მარხავდნენ მინდორში, რათა უზრუნველეყოთ მიწის ნაყოფიერება და წელიწადის დროების რიტმული მონაცვლეობა. ამ ადათის ახსნად მიაჩნიათ უგარიტული რიტუალური ტექსტი, რომლის მიხედვით, ომის ქალღმერთი ანატი კლავს და ანაწევრებს მოტს, მისი სხეულის ნაწილებს კი მინდორში მარხავს.[172] მეორე მხრივ, ადამიანის ასო-ასოდ აკუწვა არის წინაპირობა კონკრეტულ საქმეში წარმატებისათვის. ვფიქრობთ, სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე კანთუსთან დაკავშირებით. მისი დანაწევრება განაპირობებს იმას, რომ ამ აქტის შემდეგ არგონავტები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ ბრძოლაში. თუ მანამდე ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, ამის შემდეგ უპირატესობა აშკარად არგონავტებს აქვთ. კანთუსი არის იასონის სუბსტიტუტი. მისი სიკვდილი ენაცვლება იასონისას, მთავარი გმირის სიკვდილი ან ჰადესში ჩასვლა კი, როგორც ცნობილია, ეპოსის ხშირი თემაა.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ არიასმენუსის ამბავს და მივყვეთ თანამიმდევრულად, თუ როგორ ხდება არიასმენუსის დანაწევრება. გმირი გრძნობს, რომ დრო და გარემოება მოითხოვს მის ასპარეზზე გამოსვლას (ecce locum tempusque, 386). არიასმენუსი გონდაკარგულივით, ყოველგვარი გეგმის გარეშე მოქმედებს (nullo rapiens discrimine currus, 395), ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ მას ფლაკუსი წარღვნას ადარებს (390-394). მოქმედებაში ერთვება ათენა, რომელმაც უნდა განახორციელოს მსხვერპლშეწირვა, იგი აღმართავს თავის ფარს, მაღლა წამოშლილი გველები დააფრთხობენ ცხენებს. დამფრთხალი ცხენები მეეტლეებს ჩამოაგდებენ და აბსოლუტურად უმართავი ნამგლებიანი ეტლები (falcatos ... axes, 387, შდრ. ensibus uncis, 400) სასაკლაოს ქმნიან მებრძოლთა რიგებში. შედეგი საზარელია: ერთი მხრივ, ცხენების (biiugus, 413) და, მეორე მხრივ, მეეტლეთა (eriles, 413) ნაწილები, (artus, 413) აკუწული (secant, 414) თვლის მანებით (radii 414) და აღვირით (frena, 414). ეტლი მოკლულთა სისხლით არის გაჟღენთილი (currus caede madens, 415), მასზე მეეტლეთა შიგნეულობა მოჩანს (regum / viscera, 415-6). ამ საზარელ სანახაობას მოსდევს მამაცი არიასმენუსის ქმედება: უიარაღოდ

[172] Op. cit. 63.

დარჩენილი გმირი ხტება ეტლიდან (ipse recollectis audax Ariasmenus armis / desilit, 423-4), რასაც მოსდევს მისი აღსასრული: მოხრილი მახვილები (acies curvae, 424) და ბორბლების ნამგლები (falcis... rotis, 425-6) ყოველი მხრიდან აკუწავს (secat, 424) და დაანაწევრებს (partitur, 425) სკვით მეომარს.

ისევე, როგორც გესანდერის შემთხვევაში, აქაც თითქმის ყველა ძირითადი კომპონენტი დასტურდება, რაც სპარაგმოსის განსახორციელებლად არის საჭირო: ა) გამორჩეული მსხვერპლის არჩევა: არიასმენუსი; ბ) სპარაგმოსის ჩამტარებელი: ქალღმერთი ათენა; გ) იარაღი: ორმაგად ალესილი ხმალი.

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ჯგუფურ სპარაგმოსთან, სადაც აქცენტირებულია ერთ-ერთი გამორჩეული სარდლის, არიასმენუსის დანაწევრება. ფლაკუსი, როგორც ჩანს, ზედმიწევნით იცნობს ამ რიტუალს და სწორედ სკვითებთან აკავშირებს მას. როგორც ცნობილია, ადამიანთა მსხვერპლშეწირვა, დანაწევრება და ნაწილების მინდორში დამარხვა დასტურდება სკვითების ყოფაშიც, ცირკუმშავიზღვისპირეთის ტომებში, ჩრდილო კავკასიაში, ბალკანეთზე, დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთშიც.[173]

2.3. სტირუსის სიკვდილი

სტირუსის ამბავი ძალაუფლების მოპოვების მითორიტუალს მოგვაგონებს. ალბანელი უფლისწული სტირუსი მედეას ერთ-ერთი ხელისმთხოვნელია. სტირუსის გარდა მედეას ხელის მოსაპოვებლად რამდენიმე გმირი იბრძვის: ჰენიოხებისა და ალანების სარდალი ანავსისი, სკვითი კოასტესი, პართელი ელჩი მირაკესი, ბერძენი იასონი. აიეტმა წინასწარმეტყველების თანახმად იცის, რომ მას (მის ძალაუფლებას) საფრთხე მოელის უცხოელისგან, ამიტომაც ახლოს არ იკარებს მათ და გადაწყვეტს, მედეა არაუცხოელს მიათხოვოს. იგი არჩევანს ალბანელ უფლისწულზე აჩერებს და არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის სტირუსი, როგორც მედეას კანონიერი საქმრო, უკვე სამეფო ოჯახის წევრთა შორის არის დასახელებული აბსირტუსისა და ფრიქსუსის ვაჟების გვერდით (5. 459-460, შდრ. 3. 496-497). ანავსისს ომის დაწყებამდეც აკავშირებს ურთიერთობა კოლხიდასთან. აიეტზე განაწყენებულია, რადგან მეფემ მედეას ხელისმთხოვნელთა შორის უპირატესობა სტირუსს მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ანავსისს აიმედებდა. იასონის გარდა

---

[173] Ю. А. Шилов, op. cit., 2000.

მედეას და, ამდენად, აიეტის სამეფოს ხელში ჩაგდების ყველა მსურველი იღუპება პერსესსა და აიეტს შორის ამტყდარ ომში. განსაკუთრებულად არის აქცენტირებული სტირუსის სიკვდილი. ნიშანდობლივია, რომ იგი კოლხიდიდან მოშორებით კვდება, კერძოდ კ. პევკეზე, სადაც იმყოფებიან კოლხიდიდან გამოქცეული არგონავტები. ამ ადგილს გამორჩეული დანიშნულება აქვს: აქ იმართება იასონისა და მედეას ქორწილი. აქვე არის სამსხვერპლო აღმართული (sacrificas...aras, 243), ასევე იმყოფებიან კულტმსახურნიც (ministri, 242). საზეიმო ცერემონიას შეაფერხებს მომხვდურ კოლხთა ლაშქარი აბსირტუსის მეთაურობით. ამ ლაშქარში იმყოფება სტირუსიც, რომელიც სიყვარულით არის ანთებული (flammatus amore, 8. 300). მოქმედებაში ერთვება ქალღმერთი იუნო, მისი მეოხებით საქმე არ მიდის ხელჩართულ ბრძოლამდე, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალრიცხოვანი კოლხები დასჯაბნიდნენ არგონავტებს. იუნო გამოიწვევს საშინელ გრიგალს. ნიშანდობლივია, რომ პირველი სტირუსი შეამჩნევს აბობოქრებულ ზვირთებს (longa...unda, 8. 299). მიუხედავად იმისა, რომ მრავალი შეიწირა და შთანთქა ზღვის ტალღებმა, სტირუსი არ აპირებს უკან დახევას, იმდენად დიდია მისი მრისხანება (335). გემიდან გადმოვარდნილი[174] ლამობს თავის გადარჩენას, თუმცა არც არავის ესმის მისი და არც არავის სურს მისი დახმარება (nulla potest, aut ulla velit, 364). იგი სასიკვდილოდაა განწირული. ჩამოვაყალიბოთ ის მთავარი ორიენტირები, რაც ამ მითორიტუალისათვის არის განმსაზღვრელი: ა) მსხვერპლი არის მეფის ასული ხელის მთხოვნელი: სტირუსი; ბ) მსხვერპლშეწირვას ატარებს ღვთაება: იუნო; გ) მსხვერპლი იღუპება გამორჩეულ ადგილას არაორდინალური ფორმით: სტირუსი კვდება კ. პევკეზე, ხომალდიდან გადმოვარდნილი.

აკვიტესის, არიასმენუსის, კანთუსის, სტირუსის ამბები ისე ორგანულად არის ჩართული ეპოსის სიუჟეტურ ქარგაში, რომ, ერთი შეხედვით, შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს კიდეც მათი მნიშვნელობა. ოთხივე განხილული შემთხვევის გაანალიზება შეუძლებელია მსხვერპლშეწირვის მითორიტუალის გათვალისწინების გარეშე. ფლაკუსი შემთხვევით არ არჩევს მსხვერპლად შესაწირ ადამიანებს, ისინი სხვა დანარჩენ ადამიანთა შორის გამოირჩევიან; (საგულისხმოა, რომ რომაელი ეპიკოსი მათ ეთნიკურობის თვალსაზრისითაც გამოარჩევს: აკვიტესი კოლხია, არიასმენუსი – სკვითი, კანთუსი – ბერძენი,

[174] შდრ. გადმოცემები სიმაღლიდან ჩამოვარდნილ ადამიანზე (ელპენორი, ბუტესი, მიზენუსი, პალინურუსი) (ცანავა, 2005, 230-241).

სტირუსი – ალბანელი). გამორჩეული მსხვერპლი ანუ დასჯილი უშუალოდ გადადიოდა ღვთაების განკარგულებაში. ოთხივე შემთხვევაში მსხვერპლს იწირავს ღვთაება (ბელონა, ათენა, იუნო). რაც შეეხება დაუმარხავად დატოვებას, ეს სასჯელი კი არ იყო, არამედ დაკრძალვის ძველისძველი ფორმა, რომლის თანახმადაც, მარადიული სუბსტანცია – ძვლები ხელმეორედ აღდგომის უნარს შეიძენდა. დაუმარხავად დატოვება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში ყოფილა გავრცელებული, გამონაკლისს არც კავკასია წარმოადგენს. ეს რიტუალი მითორიტუალური წარმოდგენების განვითარების გვიანდელ ეტაპზე დასჯის ფორმად იქცა და შემდგომ დესაკრალიზაცია განიცადა. რამდენადაც დაკარგული აქვს წარმოშობის ფესვები და ოდინდელი მნიშვნელობა, საკრალურობისაგან დაცლილი რიტუალი ვანდალობად აღიქმება. შეიძლება ითქვას, რომ ფლაკუსთან ეს მითორიტუალები დესაკრალიზაციას განიცდიან და პროფანული ხასიათი აქვთ, თუმცა, ისიც ცხადია, რომ მითორიტუალური ასპექტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება რიტუალებში განსწავლული რომაელი ეპიკოსის მიერ შექმნილი ამ პასაჟების გააზრება.

3. კოლხების წარმომავლობა **cunabula gentis Colchidos**

რომაულ წყაროებში წარმოდგენილია სახელგანთქმული კოლხური ტომები: ხალიბები, ტიბარენები, მაკრონები, ბიძერები, მოსინიკები, ფილირები, თვით კოლხები. ფლაკუსი შავიზღვისპირეთის შესახებ გეოგრაფიულ ცნობებს ზუსტად იცავს და ავტორის თანახმად, ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, ბიძერები და ფილირები კოლხური ტომებია. პოეტი ლაკონურად ახასიათებს დასახელებული ტომების ზნე-ჩვეულებებს, რამდენადაც აპოლონიოსთან ისინი საკმაოდ დეტალურად არიან დახასიათებულნი (5.140-153), სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად ავსებს ცნობებს კოლხთა შესახებ. ფლაკუსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ: საკმაოდ ორიგინალურად წარმოგვიდგენს სოლის ტაძარს, რომელსაც კოლხიდაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია;[175] აქ სრულდება მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები.[176] მეფე უსმენს წარჩინებულ მამებს, ხალხის თხოვნებს (5. 405-6). ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ტაძრის სურათების აღწერის მეშვეობით (5.

[175] შდრ. G. Manuwald, 1998, 307-317.
[176] შდრ. ვერგილიუსთან იუნოს ტაძარი (Aen. I 440-493).

426ff.) შევიტყობთ კოლხიდის ისტორიას, კოლხურ *ordo rerum*-ს.[177] ვფიქრობთ, ფლაკუსი გააზრებულად გადმოსცემს ასეთი სახით კოლხების ისტორიას, რამდენადაც სოლი აიეტის მამაა და აიეტს თანაუგრძნობს, შესაბამისად, ლოგიკურია აიეტისა და იასონის შეხვედრა ოქროს საწმისის მოლაპარაკების თაობაზე გაიმართოს არა აიეტის სასახლეში (როგორც ეს აპოლონიოს როდოსელთანაა წარმოდგენილი), არამედ სოლის ტაძარში, რომლის ფრონტონზეც თვით სოლია გამოსახული.[178]

პირველი სურათი, რომელსაც იასონი რამდენიმე თანამგზავრთან ერთად სოლის ტაძართან მისვლისას დაინახავს (5. 426-414), განთავსებულია ტაძრის ფრონტონზე. სოლი ოქროსფერ ცხენებთან ერთად ატლასზე გადმოდის და დღე მოჰყავს. მას მოსდევენ მთვარე მომცრო ეტლით, პლეადები და ჰიადები.

non aliter quam si radiantis adirent
ora dei verasque aeterni luminis arces,
tale iubar per tecta micat. stat ferreus Atlans
Oceano genibusque tumens infringitur unda.
at medii per terga senis rapit ipse nitentes
altus equos curvoque diem subtexit Olympo.
pone rota breviore soror densaeque sequuntur
Pliades et madidis rorantes crinibus ignes (5.407-414)

ტაძრის ორმაგ კარებზე გამოსახულია *cunabula gentis Colchidos ...ortusque* (5. 416-417). აღწერილია სცენები, რომლებიც კოლხების წარმომავლობას და წარსულს გადმოსცემენ. მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია არგოს კოლხიდაში ჩამოსვლასთან (5. 417-432) და ამბებს, რომლებიც მოგვიანებით კორინთოსში განვითარდება (5. 433-454).

პირველი სცენა კარის პირველ დარაბაზე კოლხების წარმომავლობას გადმოსცემს (5. 417-423). ფლაკუსი ამ შემთხვევაში აშკარად ჰეროდოტოსს ეყრდნობა და იზიარებს თვალსაზრისს კოლხების ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ. ნაჩვენებია, თუ როგორ მიდის ეგვიპტის მეფე სესოსტრისი გეტების

[177] ჰომეროსიდან მოყოლებული ხელოვნების ნიმუშების აღწერა ეპოსში ცნობილი მოვლენაა: აქილევსის ფარი (Il. 18. 478-608); ალკინოოსის სასახლე (Od. 7. 84-133), ვერგილიუსთან – იუნოს ტაძარი დიდოს ქვეყანაში (Aen. 1. 446-495); დედალოსის მიერ აგებული ტაძრები (6. 14-34); ლავრენტელი პიკუსის სახლი (7. 170-191); ენეასის ფარი (8. 626-731).

[178] უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში კონკრეტულად არ არის მითითებული, თუ სად იყო ესა თუ ის სცენა განთავსებული, ჩვენ ვეყრდნობით გ. მანუვალდის (G. Manuwald, 1998, 307-317) მიერ შემოთავაზებულ ლოკალიზებას.

წინააღმდეგ სალაშქროდ,[179] დამარცხების შემდეგ ჯარის ნაწილი კვლავ ეგვიპტეში მიჰყავს, ნაწილს კი აიძულებს, კოლხიდაში დასახლდეს; მოვლენის აღწერისას ხაზგასმულია შიში და ძალადობა. ნაწილი კვლავ თავის სამშობლოში, არსინოეში ბრუნდება და კეთილდღეობასა და უზრუნველობაში ატარებს ცხოვრებას თბილ ფაროსზე, კოლხიდაში დასახლებული ნაწილი კი ამის მაგივრად თავიანთ ჩაცმულობას ცვლის სარმატულ შარვლებზე, რაც უცხოელობის, არაცივილიზირებულობის და ბარბაროსობის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ (5. 421-423).

ამ შტრიხის ინტენსიფიკაცია მომდევნო სცენაშიც ხდება, სადაც პერსონიფიცირებული მდინარე ფასისი მოიხსენიება ეპითეტით *barbarus* (5. 424; შდრ. 1. 517-518).

Colchidos hic ortusque tuens, ut prima Sesostris
intulerit rex bella Getis, ut clade suorum
territus hos Thebas patriumque reducat ad amnem,
Phasidis hos imponat agris Colchosque vocari
imperet. Arsinoen illi tepidaeque requirunt
otia laeta Phari pinguemque sine imbribus annum
et iam Sarmaticis permutant carbasa bracis (5.417-423)

ამავე კარის დარაბაზე კოლხების წარმომავლობის სცენას მოსდევს ორი სცენა (5. 424-432), რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება კოლხების წარმომავლობას და დროული ფიქსაციაც არ არის მოცემული, თუმცა, კოლხების მითიურ წარსულს მიეკუთვნება.

პირველი სცენა (5. 424-428) გვიჩვენებს, თუ როგორ სდევნის მდინარის ღმერთი ფასისი კავკასიელ ნიმფა აიას, რომელიც ილტვის მშობლიურ მთებში, თუმცა, ბოლოს შეშინებული ქალწული კაპარჭს აგდებს და მას ღმერთი იმორჩილებს მძლავრი ტალღებით.

barbarus in patriis sectatur montibus Aean
Phasis amore furens. pavidas iacit illa pharetras

[179] სესოსტრისის ლაშქრობებისა და ეგვიპტელებისა და კოლხების მსგავსებაზე შდრ. ასევე (Ap. Rhod. 4. 272-278), რომელიც არგოსის სიტყვაში გადმოგვცემს ცნობას აიაში მოსახლე კოლხების ეგვიპტელებისაგან წარმოშობის შესახებ. ეს ტრადიცია ჰეროდოტოსისგან იღებს დასაბამს (II 102-110): სესოსტრისმა ილაშქრა აზიაში, დაიპყრო ტავრები, სკვითები; მდინარე ფასისთან დატოვა ლაშქრის ნაწილი, რომლისგანაც წარმოიშვნენ კოლხები. ბერძენი ისტორიკოსი აქ ემყარება გადმოცემას ეგვიპტელებსა და კოლხებს შორის არსებულ გარეგნულ მსგავსებების შესახებ (შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები არიან, წესად აქვთ წინადაცვეთა, მსგავსი წესით ამუშავებენ სელს, ერთი აქვთ ცხოვრების ნირი და ენა, Her. II, 2,103-4).

virgineo turbata metu, discursibus et iam 427
deficit ac volucri victam deus alligat unda.

მეორე სცენა (5. 429-432) გადმოსცემს განადგურებულ ფაეთონს, რომელსაც დები დასტირიან, ტეთისი ცდილობს, შეაგროვოს ეტლის ნატეხები და ცხენის ლაგამ-აღვირი, იმ ცხენის, რომელსაც სოლის ტკივილის ეშინია.

flebant populeae iuvenem Phaethonta sorores
ater et Eridani trepidum globus ibat in amnem.
at iuga vix Tethys sparsumque recolligit axem
et formidantem patrios Pyroenta dolores (5.429-432)

ამ გამოსახულებებშიც გადმოცემულია ძალადობა, უბედურება და ტკივილი, ისე რომ, კარის პირველი დარაბის სურათები დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. ეს სცენები იმავდროულად პარალელს გვიჩვენებენ, ერთი მხრივ, მედეასა და იასონის და, მეორე მხრივ, აბსირტუსის მომავალ ხვედრთან.[180] მედეაც ამაოდ ცდილობს იასონის სიყვარულისგან თავდაცვას (7.1-20, 127-152, 292-322), მაგრამ საბოლოოდ ღმერთების ჩარევით თმობს და იასონი საწადელს აღწევს (6.439-479, 590-591, 7.153-186, 323-324). ფაეთონის ამბავი აბსირტუსის მომავალ ხვედრზე მიგვანიშნებს და ფაეთონის სიკვდილიც, გარკვეულწილად, აბსირტუსის აღსასრულის მომასწავებელია, თუმცა, იმის გამო, რომ ფლაკუსის „არგონავტიკის“ მერვე წიგნი ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული, ამაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია.

კარის მეორე დარაბაზე გამოსახულია მოვლენები, რომლებიც მომავალში უნდა განვითარდეს (5. 433-454). მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად არც ადგილი და არც პერსონაჟია დასახელებული და მხოლოდ მინიშნებებია ერთმანეთის მიყოლებით მოცემული, გათვითცნობიერებული მკითხველისათვის ყველაფრის იდენტიფიკაციაა შესაძლო.

პირველ სურათზე (5. 435-439) გამოსახულია არგოს აგების სცენა და არგონავტების მოგზაურობის დასაწყისი. რამდენადაც არგო აღწერილია როგორც ერთადერთი გემი მთელს უსაზღვრო ზღვაზე (5. 438), ეს გარემოება მიმართებას გვიჩვენებს პროოიმიონში აქცენტირებულ თემასთან (1. 1-4) – შორეულ ქვეყნებში საზღვაო გზის გახსნასთან. აქ მინიშნებულია მოგზაურობის ისტო-

[180] საინტერესოა, რომ აპოლონიოს როდოსელიც აფსირტოსს ერთგან ფაეთონად მოიხსენიებს καὶ μιν Κόλχων υἷες ἐπωνυμίην Φαέθοντα / ἔκλεον „კოლხთა შვილები მეტსახელად ფაეთონს ეძახდნენ“ (Arg. III 245-6).

რიული როლი, რაც საფუძველს უდებს აზიის ძალაუფლების დასუსტებას და ომების მეშვეობით ბერძნების გაძლიერებას.

aurea quin etiam praesaga Mulciber arte
vellera venturosque olim caelarat Achivos.
texitur Argea pinus Pagasaea securi
iamque eadem remos, eadem dea flectit habenas,
ipsa subit nudaque vocat dux agmina dextra.
exoritur Notus et toto ratis una profundo
cernitur, Odrysio gaudebant carmine phocae (5.433-439)

მეორე სურათი (5. 440-441) მიემართება მოვლენების დასასრულს კოლხიდაში, სადაც გამოსახულნი არიან შეშინებული კოლხები და მედეა, რომელიც მიატოვებს მამას.

apparent trepidi per Phasidis ostia Colchi
clamantemque procul linquens regina parentem (5.440-441)

კარის მეორე დარაბაზე ასევე გადმოცემულია სცენების ბოლო წყება (5. 442-451. 452-454), რომელიც წინამავლისაგან აშკარად გამოყოფილია ლექსიკური ფორმატივით (contra 5. 442) და წარმოადგენს კორინთოსის მოვლენებს: ნაჩვენებია საქორწინო ჩირაღდნები, შურისძიების ქალღმერთები, მიტოვებული, სევდიანი ყოფილი ცოლი, მზადება სამოსის და გვირგვინის მოსაწამლად და მათი ზემოქმედება ახალ ცოლზე (5. 442-451), და ბოლოს, სისხლით გაჟღენთილი ქალი, რომელიც ფრთოსანი დრაკონით შებმული ეტლით მიფრინავს ჰაერში (5. 452-454).

urbs erat hinc contra gemino circumflua ponto,
ludus ubi et cantus taedaeque in nocte iugales
regalique toro laetus gener; ille priorem
deserit: ultrices spectant a culmine Dirae.
deficit in thalamis turbataque paelice coniunx
pallam et gemmiferae donum exitiale coronae
apparat ante omnes secum dequesta labores.
munere quo patrias paelex ornatur ad aras
infelix et iam rutilis correpta venenis
implicat igne domos... (5.442-451)

იასონმა ტაძრის კარებზე გამოსახული სურათების დათვალიერება ხალისიანად დაიწყო (*nec minus hinc varia dux laetus imagine templi / ad geminas fertorafores,*

4216f.), მომდევნო სცენების დათვალიერების შედეგად კი განწყობა რადიკალურად შეეცვალა, ისე რომ, აიეტთან საუბრის დაწყების მომენტისათვის (5. 456-547) ჯერ კიდევ განიცდის ავისმომასწავებელი სურათების ზემოქმედებას. თვით კოლხებსაც კი, რომელთაც ვერ გაუგიათ ჰეფესტოს მიერ შექმნილი სურათების არსი, სძულთ ეს სურათები და თვალს არიდებენ (5. 454). არგონავტებიც დაბნეულნი და შიშით შეპყრობილნი არიან (5. 455).

...haec tum miracula Colchis
struxerat Ignipotens nondum noscentibus, ille
quis labor, aligeris aut quae secet anguibus auras
caede madens. odere tamen visusque reflectunt (5.451-454)

ე. ლეფევრი ფლაკუსის მიერ ასეთი სახით გადმოცემულ კოლხების შესახებ ამბებში ცდილობს, პოეტის თანამედროვე რომაელთა ისტორიის ანარეკლი დაინახოს. როგორც ჩანს, რომაელმა ეპიკოსმა მხატვრული ფორმით წარმოგვიდგინა სამოქალაქო ომები, რასაც მანამდე ლუკანუსი შეეცადა თავის Bellum civile-ში და ფლაკუსის შემდგომ სტაციუსი Thebais-ში. თუ აპოლონიოს როდოსელი კოლხების აღწერისას არ ავლენს თანადროულ მიმართებებს, ლეფევრის აზრით, კოლხები რომაელებს არის შედარებული და ამით აიხსნება მათ შესახებ შექმნილი ნეგატიური სურათიც.[181] ეს თვალსაზრისი გარკვეულწილად მისაღებია, თუმცა არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ფლაკუსი აშკარად დიფერენცირებულ დამოკიდებულებას ავლენს, ერთი მხრივ, ჩრდილოეთში მოსახლე ტომებს და, მეორე მხრივ, ბარში მცხოვრებ კოლხებს შორის.

4. კონფლიქტში მონაწილე ტომები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიკურ წყაროებში შედარებით მცირეა ინფორმაცია იმ ტომებისა და გაერთიანებების შესახებ, რომლებიც კავკასიის ჩრდილოეთ ფერდობებზე ბინადრობენ. აქ ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სარმატებზე, ალანებზე, სკვითურ ტომებზე, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი მრავალრიცხოვნებითა და ურთიერთობებით კავკასიის სამხრეთ ნაწილში მცხოვრებ ტომებთან. ამ ტომების შესახებ არაერთი ცნობა მოგვეპოვება. ბუნებრივია, ჩვენ არ ვისახავთ მიზნად წარმოვადგინოთ ყველა წყარო, გვაინტერესებს, თუ რა სურათს გვიჩვენებს ამ მხრივ ფლაკუსის „არგონავტიკა“. აპოლონიოს როდოსელ-

[181] E. Lefèvre, Das Bild der Kolcher in Valerius Flaccus' Argonautica, *Phasis* I, 1999, 37.

თან ყურადღება ძირითადად გამახვილებულია სამხ. შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებზე; იგი ღირებულ ეთნოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის ხალიბების (II 1002-1008), ტიბარენების (II 1009-1014), მოსინიკების (II 1015-1029) შესახებ. რაც შეეხება ჩრდილოეთში მცხოვრებ ტომებს, დასახელებული არიან სავრომატები – კოლხებისადმი მტრულად განწყობილი სკვითური ტომი (იგივე სარმატები III 353, III 394);[182] სკვითები, რომელთა საზღვრებშიც მიედინება ისტროსი (IV 288, IV 320); მდინარე ისტროსის სანაპიროზე მოსახლე ტომები: სიგინები (IV 320) და გრავკენები (IV 321), ასევე სინდები – ისტროსის შესართავთან ლავრიონის ველზე მცხოვრები ტომი (IV, 322).[183]

ფლაკუსი, შეიძლება ითქვას, უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციას გვაწვდის ჩრდ. კავკასიასა და ჩრდ. შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომების შესახებ; ძირითადად ეს ცნობები წარმოდგენილია ე. წ. სკვითების კატალოგში, სადაც გმირების ექსპონირებასთან ერთად ჩართულია მრავალი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობა. ამ ინფორმაციის კატალოგში შემოტანით ფლაკუსი ახდენს არგონავტების მოწინააღმდეგეების ექსპონირებას[184]. იგი სხვადასხვა წყაროდან იღებს ინფორმაციას და საინტერესოდ მიჩნეულ დეტალებს სკვით ხალხს უსადაგებს; ფლაკუსი ასეთ ინფორმაციას სხვადასხვა როგორც პოეტური, ასევე არაპოეტური წყაროდან იღებს, რათა ისტორიულად დამოწმებულმა ფაქტებმა მის მიერ მონათხრობს რეალური ელფერი შესძინოს. ზოგიერთ ტომს ფლაკუსი მეტი დამაჯერებლობისათვის ისეთ ადათ-წესებს

[182] არგოსი აიეტს წარუდგენს არგონავტებს: „მან ჩემგან ისმინა, რომ სავრომატები [შენი] დიდი მტრები არიან და განიზრახა საჩუქრისათვის საკადრისი სამაგიერო მოგიძღვნას და ისინი შენს კვერთხს დაუმორჩილოს“ (III 353). იასონი მიმართავს აიეტს: „ახლაც მზადა ვართ, სამაგიერო გადაგიხადოთ სწრაფი ომით: გინდ სავრომატებს დავუმორჩილებთ შენს კვერთხს, გინდ კიდევ სხვა ხალხს“ (III 394).

[183] „ველურმა მწყემსებმა, ხომალდების შიშით მრავალრიცხოვანი ნახირი დაცვარულ მდელოებზე მიატოვეს, თითქოს ურჩხულებით სავსე ზღვიდან აღმომავალ მხეცებს ხედავდნენ. მათ უწინ არ ენახათ საზღვაო ხომალდები; არც თრაკიელებთან აღრეულ სკვითებს, არც სიგინებს, არც გრავკენებსა და არც ლავრიონის უდაბურ და დიდ ველზე მოსახლე სინდებს“ (IV 314-322). სიგინებს მოიხსენიებს ჯერ კიდევ ჰეროდოტოსი (Her.V, 9), სტრაბონის მიხედვით, ისინი ცხოვრობენ კასპიის ზღვასთან (XI, 11,8). გრავკენები მხოლოდ აპოლონიოს როდოსელთან გვხვდება. ჰეროდოტოსი სინდებს და ქ. სინდიკეს შავი ზღვის სანაპიროზე ათავსებს და სკვითურ ტომად თვლის (VI, 26), სტრაბონის მიხედვით, სინდები მეოტთა ტომია (XI, 2, 1011).

[184] W. Kühlmann, Katalog und Erzählung. Studien zu Konstanz und Wandel einer literarischen Form in der antiken Epik, Diss. Freiburg/Br. 1973, 303f. გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობების წარმომავლობის შესახებ იხ.: A. Heeren, De chronographia a Valerio Flacco adhibita, diss. Göttingen 1899; R. Harmand, De Valerio Flacco Apollonii Rhodii imitatore 1898 Nancy, 19-22: ვალერიუსი სხვადასხვა წყაროებიდან იღებს ინფორმაციას და გადააქვს საინტერესოდ მიჩნეული დეტალები სკვით ხალხზე; E. Shreeves. Landscape, Topography and Geographical Notation in the Argonautica of Valerius Flaccus. Diss. University of North Carolina, Chapel Hill, 1979, 170-175: ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფლაკუსი ასეთ ინფორმაციას სხვადასხვა, როგორც პოეტური, ასევე არაპოეტური წყაროებიდან იღებს, რათა ისტორიულად დამოწმებულმა ფაქტებმა მის მიერ მონათხრობს რეალობა მიანიჭოს.

მიაწერს, რაც სხვა ტომებთან დაკავშირებით გვხვდება წყაროებში, ან უმეტესწილად მისი პოეტური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.

ტომები, რომელთაც ფლაკუსი ჩამოთვლის, შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: 1. ჩრდ. შავიზღვისპირეთის ტომები: აკესინები, თირსაგეტები, იაზიგები, კიმერიელები, სატარხები, სარმატები, ჰილეები; 2. სხვადასხვა წარმომავლობის ჩრდილო და დას. შავიზღვისპირეთის ტომები: ავხატები, არიმასპები, ბატარნები, ბისალტები, კოლალეტები, კორალები, მესიელები, ნევრები; 3. ჩრდ. კავკასიელი ტომები: ალანები, ექსომატები, ტორინები, სინდები, ჰენიოხები; 4. კასპიისპირეთის ტომები: კასპიადები, ჰირკანიელები; 5. აღმოსავლური წარმომავლობის ტომები: განგარიდები, დრანგები, კესეები, მიკეები; 6. სავარაუდოდ ფლაკუსის მიერ გამოგონილი ტომები: ბალონიტები, კენტორები, ხოათრები. სურათი თვალსაჩინოა, ფლაკუსი ძირითადად იმ ხალხებს რთავს კატალოგში, რომლებიც ისტორიულად დასტურდებიან, იმისათვის, რომ მომხდარ ომს ისტორიული ელფერი შესძინოს და რეალური გახადოს.

4.1. ჩრდ. შავიზღვისპირეთის ტომები

აკესინები[185] – ფლაკუსი წარმოგვიდგენს ერთ-ერთ სკვით სარდალს ფრიქსუსს, რომელსაც აკესინური რაზმები მიჰყავს კოლხიდაში სალაშქროდ (Acesinaque .../ ...agmina, 6. 70-1).

ცნობილია ამ სახელწოდების მდინარე, რომელსაც პლინიუსი განათავსებს ყირიმის და ბორისთენესის მახლობლად (Plin. n. h. 4.83). Steph. Byz. თავის დამატებაში გვაწვდის მათ შესახებ ინფორმაციას: Τάναις...τινὲς δὲ καὶ τὸν ποταμὸν Ἀκεσίνην εἶναι.

თირსაგეტები – ფლაკუსთან ეს ტომი დასტურდება ფორმით Thyrsagetae (6.135ff.). ვისმანის აზრით, ავტორს, სავარაუდოდ, სურდა ეს ტომი ეტიმოლოგიურად დაეკავშირებინა ბაკხუსის thyrsus-თან და, შესაბამისად, დიონისეს მითთან, რაზეც მეტყველებს პოემის კონტექსტიც:[186] „არ დავდუმდები არც თირსაგეტზე, რომელიც სისხლიან ომებში ტიმპანონს დაატარებს, ზურგზე მოგდებული აქვს მოფრიალე ტყავი და ხელთ უპყრია ყვავილებით გარშემოწნული ამწვანებული მახვილი. არსებობს თქმულება, რომ ბაკხუსმა, იუპიტერის და კადმუსის სისხლით ნათესავმა, ამ რაზმის სარდლობით კეთილსურნელოვანი საბეელები, მათი

[185] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 46.
[186] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 70.

ბედნიერი სამეფო და არაბებიც დაამარცხა, შემდეგ კი, როცა ჰებრუსის წყალზე გადადიოდა, მიატოვა თირსაგეტები ყინულოვან ჩრდილოეთში. მათ ახლაც კი შემორჩენილი აქვთ წინაპართა ადათი: სპილენძის საკრავზე წმინდა დარტყმები და ფლეიტა, მთხრობელი აღმოსავლური ბრძოლის შესახებ" (6.135-142).

თისაგეტები სკვითიის ჩრდილოეთში, ტყეში მცხოვრები და მონადირე ტომია; ისინი ცხოვრობდნენ სავაჭრო გზასთან, რომელიც ტანაისიდან ურალის შუა მთებისკენ მიემართებოდა. სახლობდნენ ტყის მასივში ქვემო კამასთან (kama) და იყვნენ ფინურ-უგრული წარმომავლობისა.[187] ეს ფორმა უნდა დავუკავშიროთ ჰეროდოტოსის Θυσσαγέται (IV 22); შდრ. Steph. Byz. s. v. Thyssagetae; Mela 1.116; Plin. n. h. VI 19.

იაზიგები[188] – იაზიგები და მათი გამორჩეული სარდალი გესანდერი კოლხიდაში აიეტსა და პერსესს შორის გამართულ ომში იღებენ მონაწილეობას. (6. 294-316). ფლაკუსი ამ ტომთან აკავშირებს საინტერესო ადათს, რომელზეც ჩვენ უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ.

იაზიგი სარმატები სახლობდნენ დონსა და დნეპრს შორის (Strab. 7. 3. 17 Tac. Ann. 12. 29. 3). თავდაპირველად ისინი მეოტისის ტბასთან ცხოვრობდნენ (Ammian. Marc. XXII 8, 31). სავარაუდოდ, ალექსანდრე დიდის გარდაცვალების შემდეგ მათ დაამხეს სკვითების სამეფო და გავრცელდნენ კარპატებამდე. აქედან ისინი მივიდნენ დონის და თაისის დაბლობზე, სადაც პტოლემაიოსი (Geogr. III 7) ასე განსაზღვრავს მათი საცხოვრებელი ადგილის საზღვრებს: დას.-თით და სამხ.-თით – დონი, აღმ.-თით – თაისი, ჩრდ.-თით – კარნუნტუმის მთები. ტაციტუსი (ann. XII 29) გვამცნობს, რომ კლავდიუსის დროისათვის სვებების მეფე ვანიუსის ჯარში იმყოფებოდნენ მხედარი იაზიგები. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ახ. წ. 50 წლისათვის იაზიგები დონსა და თაისს შორის ცხოვრობდნენ.

კიმერიელები[189] – ფლაკუსი „არგონავტიკაში" მოიხსენიებს კიმერიელ ქურუმს ავხუსს (6.60, 619), რომელიც ურიცხვ ერთსულოვან მეომარს სარდლობს და თავს იწონებს კიმერიული სიმდიდრით (იგულისხმება მეომრებით); ფლაკუსთან ქვეყნის დასალიერად არის მიჩნეული კიმერიელთა ადგილსამყოფელი Cimmerium domus „კიმერიელთა სამყოფელი" (3.399). აქ მდებარეობს მღვიმე, სა-

187 A. Herrmann, Thyssagetai, RE, A. 1, 755; SC ВДИ, XXVIII, 348.
188 Vulić, Iazyges, RE, IX. 1, 1189 S VI; SC ВДИ, XXVIII, 348; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 64-5.
189 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 42.

დაც შავებში მოსილი კელენევსი[190] ასამართლებს ადამიანებს, რომელთაც ცოდვა ჩაიდინეს (3.399ff.).

ანტიკურ წყაროებში ეს არის ტომი, რომელიც სახლობდა სკვითურ ტავროსთან და მეოტისის ტბასთან. მათი ექსპანსია განიცადა კავკასიამ და ანატოლიამ. შდრ. გიმერიები, კიმბრები, ქეიმერები. ჰეროდოტოსის თანახმად, სახლობდნენ სკვითიის რეგიონებში (4.12), მათი სახელი ეწოდა ყირიმის ნახევარკუნძულს. მელა მათ მოიხსენიებს ამაძონებისა და ჰიპერბორეელების გვერდით (1.13). ოვიდიუსის მიხედვით, ისინი ფლობენ მითიურ ბეჭედს, იგი კიმე-რიელებთან ახლოს განათავსებს სომნუსის გამოქვაბულს (Met.11.592).

სატარხები[191] – ფლაკუსთან მოიხსენიებიან აიეტის წინააღმდეგ დაძრულ ლაშქარში: თავიანთ ალმებს მოჰყვებიან ექსომატები, ტორინები და ქერათმიანი სატარხები sua signa secuti / Exomatae Torynique et flavi crine Satarchae (6.143-4). სატარხები მდიდარნი არიან საწველელით (6.145).

სატარხები ყირიმზე მცხოვრები ხალხია, რომელთაც სახელწოდება მიიღეს ქ. სატარხადან (Satarcha). ისინი ეპიგრაფიკულადაც დასტურდებიან ყირიმზე Σαταρχαιους [Latyschev Inscriptiones orae sept. I nr. 244]; Σαταρχαῖοι იხ. Steph. Byz. Τάφραι. კალისტრატოსი უკავშირებს მათ Τάφραι-ს ტაფრიებს, რომლებიც ბრმე-ბის შთამომავლები იყვნენ. ჰეროდოტოსის ცნობით, სკვითები როდესაც რძეს მოწველიან, ასხამენ ხის ჭურჭელში, რომელსაც შემოუსხამდნენ ბრმებს ფაშატი ცხენის რძის სადღვებად. ამის გამო სკვითები ყველას აბრმავებდნენ, ვისაც ხელთ იგდებდნენ (Her. IV, 2f.) და მათ მხარესაც Τάφραι ან Τάφρη ეწოდებოდა. პლინიუსი სატარხებს (Satharcheos) განათავსებს მდ. დონის (n. h. VI 22), ტავროსული ხერსონესოსის მახლობლად (IV. 85), როგორც მელა (Mela II 3. 4), რომლის მიხედვით, ისინი ცხოვრობდნენ Palus Maeotis-თან და იყვნენ ტავროსელების აღმ. მეზობლები. ისინი უნდა იყვნენ მონების შთამომავლები, რომლებიც მათ ქალბატონებს დაუკავშირდნენ, როცა სკვითები ხანგრძლივ ომს აწარმოებდნენ თრაკიელების წინააღმდეგ. პლინიუსი განარჩევს Satharcheos Herticheos და Satharcheos Spalaeos. ეს უკანასკნელნი, კისლინგის თანახმად (Kiessling, RE, VIII, 1150), არიან გამოქვაბულში მცხოვრები სატარხები, რაც არა მხოლოდ Steph. Byz.-ის Τάφρα ან Τάφρη-ს მოგვაგონებს, არამედ მეცნიერი მათ

---

[190] კელენევსი ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია, მასზე დაწვრილებით ვისაუბრებთ შესაბამის თავში.

[191] Weissbach, Satarchae, RE, II A. 1, 60; SC ВДИ, XXVIII, 348; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 73.

მელასთან (Mela II 10) მოხსენიებულ ხალხს Sarthae უკავშირებს, რომელთაც არ უყვარდათ ოქრო და ვერცხლი, არამედ აწარმოებდნენ გაცვლით ვაჭრობას. უკიდურესად მკაცრ ზამთარს ატარებდნენ ქვესკნელებში; სახეს იმოსავდნენ, მხოლოდ თვალები მოუჩანდათ.

სარმატები – ფლაკუსი სარმატებს ასახელებს აიეტის წინააღმდეგ დაძრულ ლაშქარში, ისინი გამოირჩევიან გრძელი მახვილებით, როგორც მაკე- დონელები (conti) შდრ. Grat.117 Macetum immensos...contos, Sil.15.684 f. conti / Sarmatici, Tac.Hist.1.79.2 Sarmatae...neque conti neque gladii, Ann.6.35.1. ფლაკუსი მოიხსენიებს Sauromatae ფორმასაც at tibi quinam / Sauromatae, miseranda, proci? (7.234-5) და საინტერესო ეთნოგრაფიულ დეტალსაც რთავს ეპიზოდში, კერძოდ, სადაც კირკედ ქცეული იუნო ცდილობს, მედეა დაიყოლიოს, იასონზე იფიქროს, ეუბნე- ბა, რომ საბრალოს მხოლოდ სავრომატები, იბერიელები და ველური გელონები სთხოვენ ხელს, რომელთაც წესად არ აქვთ დასჯერდნენ მხოლოდ ერთ ცოლს: cui vadis Hibero,/ ei mihi, vel saevo coniunx non una Gelono? (7.235-6).

პლინიუსის თანახმად (n. h. 4.80), Graecis Sauromatae Σαυρομάται ცხოვრობ- დნენ ამჟამინდელ უკრაინაში (ტანაისის მახლობლად), ასევე წყაროებში აღწერი- ლია, რომ ისინი მოვიდნენ დანუბიოსიდან teste Ovidio (Tr., Pont. passim) ან Sil.3.617 Sarmaticis victor compescet sedibus Histrum და კავკასიიდან (Luc.3.270 Heniochi saevisque adfinis Sarmata Moschis, სადაც მოსხები არიან სამხრ. კოლხიდიდან); შდრ. Herod.3.94, 7.78.[192]

ჰილეები[193] – ფლაკუსთან Hylaea ...cum gente მოიჩქარის სიენესი (6.74). ფლაკუსი გადმოგვცემს, თუ როგორი ხშირი და უდაბური ტყეა ამ ადგილას: densior haud usquam nec celsior extulit ullas / silva trabes fessaeque prius rediere sagittae / <arboris ad summum quam pervenere cacumen> / quin et ab Hyrcanis Titanius expulit antris (6.76-79).

ჰილეა არის ტყიანი კუნძული ბორისთენესის რეგიონში, აკესინუსის მახლობლად (შდრ. Her. 4.9, 18f. 54, 79); ჰილეას შესახებ ცნობას ასევე ვხვდებით პლინიუსთან: inde silvestris regio Hylaeum mare quo adluitur cognominavit (4.83). იყო თუ არა ეს რეგიონი რეალობაში ტყიანი, უცნობია, შესაძლოა, ბერძნებს ასეთი წარ-

---

[192] H. J.W. Wijsman, 2000, 79.
[193] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 47-48.

მოდგენა შეექმნათ სიტყვის ეტიმოლოგიის გამო, რამდენადაც ὕλη „ტყეს" ნიშნავს.[194]

4.2. სხვადასხვა წარმომავლობის ჩრდ. და დას. შავიზღვისპირეთის ტომები

ავხატები[195] – ავხატები მოიხსენიებიან ფლაკუსის „არგონავტიკაში" აიეტ-ის წინააღმდეგ დაძრულ სკვითების კატალოგში, მასთან ამ ძირიდან ნაწარმოები საკუთარი სახელიც – ავხუსი – დასტურდება (Auchus, 6.60, 619) კიმერიელი პერსონაჟისათვის. ფლაკუსი ავხატებთან დაკავშირებით აღნიშნავს მათ გაწა-ფულობას ლასოს ტყორცნაში: Auchates patulo vaga vincula gyro / spargere et extremas laqueis adducere turmas (6.132-3) „დახელოვნებულნი არიან ავხატები მფრინავი ბაგირის შორს წრიულად ტყორცნაში, რომლის ყულფი ყველაზე უკიდურეს რაზმსაც კი სწვდება".

ჰეროდოტოსი ამ ცნობას უკავშირებს საგარტიებს, სპარსულ ტომს, პავსა-ნიასი კი სავრომატებს καὶ σειραῖς περιβαλόντες τῶν πολεμίων ὁπόσοις ἐπιτύχοειν (Paus. 1.21.5). ჰეროდოტოსის თანახმად, ავხატები ერთ-ერთი სკოლოტური ტომია: τούτους τῶν Σκυθέων οἱ Αὐχάται γένος καλέονται (Her. IV 6). თქმულების მიხედვით, ისინი ტარგიტაოსის უფროსი ვაჟიშვილისგან, ლიპოქსეოსისაგან იღებენ დასა-ბამს. მიუხედავად ამისა, მართვის სადავეები ხელთ ეპყრათ პარალატებს (Parala-tai), რომლებიც უმცროსი ვაჟის შთამომავლები იყვნენ. თუ ეს უკანასკნელნი უკავშირდებიან ბასილეებს (Basileioi) და აროტერები (Aroteres) ტრაპიებს (Trapies) და კატიარებს (Katiaroi), ამ შემთხვევაში ბორისთენესთან მცხოვრები ტომები, გერები (Gerroi) და გეორგები (Georgoi) შეიძლება დავუკავშიროთ ავხატებს (Plin. IV 88). პლინიუსი აკავშირებს ავხატებს თქმულებასთან, სადაც გადმოცემულია ნაპეების გამანადგურებელი ბრძოლა. სახელი, შესაძლოა, ნიშნავდეს „გაძლიერებულს"; ეტიმოლოგია შეიძლება დავუკავშიროთ zd. vakhšatha „ზრდას".

არიმასპები[196] – არიმასპები მითიური ხალხია სკვითურ ჩრდილოეთში. მათ შესახებ ცნობები გვხვდება არისტეას პროკონესოსის ეპიკურ ნაწარმოებში „არიმასპეა". არიმასპების სახელი სკვითური წარმომავლობისაა და ნიშნავს „ცალთვალას" (Her. IV 27); ეს ტომი სხვადასხვა წყაროში გვხვდება: Aeschyl.Prom.802ff; Kallim. H.Del.291ff; Paus.I 24, 6; Orph. Arg. 1063 და სხვ. პლინიუსი

---

[194] SC ВДИ, XXVIII, 346.

[195] Tomaschek, Auchatai, RE, II, 2, 2268; SC ВДИ, XXVIII, 345, 348; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 69.

[196] Val. Flacc. 6. 131; Wernicke, Arimaspoi, RE, II, 1, 826-7; SC ВДИ, XXVIII, 347; A. Heeren, De chronographia a Valerio Flacco adhibita, diss. Göttingen 1899, 31; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 68.

მათ განათავსებს: Maeotae, a quibus lacus nomen accepit, ultimique a tergo eorum Arimaspi (Plin.6.50), 4.88. არიანოსი კი დრანგებსა და არახოსიებს შორის (Arr. Anab. III, 27, 4). არიმასპებს ასახელებს ფლაკუსი „არგონავტიკაში" აიეტის წინააღმდეგ დაძრულ სკვითების ლაშქარში: mox Riphaei montes. et qui tua iugera nondum / eruis, ignotis insons Arimaspe metallis, / doctus (6.130-2) „და შენ, არიმასპო, უდანაშაულო, უმეცარო ლითონისა, რომელიც ჯერ არ შეხებიხარ შენს მიწებს". იგი ცდილობს ამით აგვიხსნას, რომ არიმასპებმა ჯერ კიდევ არ იციან ოქროს ძალა, თუმცა ჰეროდოტოსი გადმოგვცემს, რომ ევროპის ჩრდილოეთში არსებობდა ოქრო, რომელსაც იცავდნენ გრიფები, მათ კი ეს ოქრო მოსტაცეს არიმასპებმა (III 116); შდრ. ასევე Lucan 3.280f.: auroque ligatas / substringens, Arimaspe, comas. ჰეერენი მიიჩნევს, რომ ფლაკუსი არიმასპებს მიუსადაგებს სატარხების წეს-ჩვეულებებს (Mela 2.10 auri ignari); ზოგადად, ამას ამბობენ სკვითების შესახებ (Just. 2.2.7): aurum et argentum perinde aspernantur „ოქროსა და ვერცხლს თანაბრად უგულებელყოფენ". ВДИ-ის კომენტატორი არიმასპების ტომს უკავშირებს ერთ-ერთი სკვითი პერსონაჟის, არიასმენუსის სახელდებას, რომელიც ასევე ფლაკუსის „არგონავტიკაში" გვხვდება.

ბატარნები[197] – ფლაკუსის თანახმად, სკვითი სარდალი პერსესის მოკავშირე ტევტაგონუსი მეთაურობს ბატარნების ტომს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან დაუმუშავებელი საქონლის ტყავის ფარებით.

ბატარნების ტომის უძველესი სახელწოდება უნდა იყოს Bastarnae (Strabo 7. 3. 17). ცნობილია ასევე var. lect.: Basternas (Tac. ann. II 65, Dion. perieg. 302, Dio, Sidon. Apoll.), Batarnas ფორმას გვთავაზობს ფლაკუსი (6. 96), სავარაუდოდ, იგი ცვლის უძველეს ფორმას მეტრული თვალსაზრისის გამო, Blastarni (Tab. Peut.), Basternae (Trog. Pomp. prol. 28. 32; Ov. Tr. II 198; Plin. n. h. IV 100). პირველი დიდი გერმანული ტომი, რომელიც თავისი სამშობლოდან დაიძრა და ძვ. წ. II ს-სთვის დონის შესართავამდე (დონის ჩრდ. ნაპირზე) გადაადგილდა. მათ როგორც პონტოსის ახლოს მოსახლე ტომს (ἐπήλυδες) მოიხსენიებს Ps.-Skymn. 797. აპიანოსი ჩამოთვლის მათ მითრიდატესის მოკავშირე ხალხთა შორის (Mithr. 15. 69. 71). ძვ. წ. I ს-სთვის მათი ადგილსამყოფელი გადაჭიმული იყო კარპატების აღმ. მხარიდან დონის შესართავებამდე და მოიხსენიებიან დაკების მეზობლებად (Strab. III 128. VII 289. 294ff. 305f.; Plin. n. h. IV 100). პტოლემაიოსი (III 5, 7) მათ ევროპული სარმატიის

[197] Ihm, Bastarnae, RE, III. 1, 110-113; SC ВДИ, XXVIII, 347; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 55-56.

მაცხოვრებლებად მიიჩნევს. მარკომანების ომში ბასტარნები რომის წინააღმდეგ გაერთიანებულ ტომთა შორის არიან მოხსენიებულნი (Hist. Aug. M. Anton. 22). მოგვიანებით მათ ახსენებს Claudian. de IV cons. Honorii 450; de cons. Stil. I 96 და Sidon Apoll. carm. V 474. VII 323. კლავდიანუსი მათში გოთებს მოიაზრებს. პოლიბიოსის აღწერილობის მიხედვით (შდრ. Liv. და Plut.), ისინი გამოირჩეოდნენ ახოვანი აღნაგობით, მეომრული სულისკვეთებით (Athen. V 213). ისინი დიდსულოვნებას იჩენდნენ მტრის მიმართ; არ აინტერესებდათ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მუდმივად საომარ ლაშქრობებში იღებდნენ მონაწილეობას, სადაც ყოველთვის თან ახლდათ ოჯახიც (Plut. Liv. XLIV 26; Val. Flacc. 6. 95f.).

ბისალტები[198] – მათი წარმომავლობის შესახებ ცნობები ძალიან მწირეა, თუმცა ცხადია, რომ ისინი გერმანული ტომია. პოლიბიოსი, პლუტარქოსი მათ გალატებად თვლიან, აპიანოსი – გეტებად, დიონ კასიოსი კი მათ სკვითებადაც მიიჩნევს (Dio LI 23). სტრაბონი მათ გერმანულ ტომებად მოიაზრებს, თუმცა დარწმუნებული არ არის (VII 306), რომაელები კი ამას დარწმუნებით ამბობენ (Plin. n. h. IV 81; Tac. Germ. 46).

ფლაკუსი, სავარაუდოდ, იცნობდა იმ ცნობას, რომლის თანახმადაც, ისინი სკვითებად მიიჩნევიან და ამ ტომს სკვითურ ადათ-წესებს უკავშირებს (6. 96) ბისალტებს აიეტის წინააღმდეგ კოლხიდაში გამართულ ომში ტევტაგონუსი მეთაურობს (შდრ. ბასტარნები Strab. VII, 3, 2). ისინი შეიარაღებულნი არიან დაუმუშავებელი საქონლის ტყავის ფარებითა (შდრ. მაკრონების და მოსინიკების დაწნული ფარების შესახებ ცნობა Xen. Anab. IV, 6, 26) და თანაბარზომიერი მახვილებით. როგორც ჩანს, ფლაკუსისათვის ცნობილი იყო, რომ ბასტარნები გერმანიკული ტომი იყო, შესაბამისად, მათი სარდლის, ტევტაგონუსის სახელიც teuto- ელემენტს შეიცავს: A. Heeren მართებულად აღნიშნავს, რომ teuto- თავსართით დაწყებული სახელები გერმ. ან გალ. წარმომავლობისაა, teuta-თი კი – ბერძნულისა. საინტერესოა, რა საფუძველზე აკავშირებს ფლაკუსი თრაკიულ-მაკედონური წარმომავლობის ტომს, ბისალტებს სკვითებთან? შესაძლოა, იგი ეყრდნობა ვერგილიუსის ცნობას, სადაც ბისალტები გელონებთან (G. 3. 461: Bisaltae... acerque Gelonus) ერთად მოიხსენიებიან სკვითებად, გელონუსი კი, როგორც ცნობილია, სკვითესის ძმას ერქვა.

---

[198] Oberhummer, Bisaltai, RE, III. 1, 499-500; SC ВДИ, XXVIII, 345; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 37.

კოლალეტები[199] // Coeletae // Koiletai // Koilaletai – (Κοιλῆται) თრაკიული ტომია მდ. ჰებრუსზე მთების ჰემოსისა და როდოპას მახლობლად (Celaletae maiores Haemo, minores Rhodopae subditi, inter quos Hebrus amnis, Plin. n. h. IV, 41). ტიბერიუსის დროს მათ აჯანყებაზე გვამცნობს ტაციტუსი Coelaletae Odrusaeque et Dii, validae nationes arma cepere (Tac. Ann. 3. 38. 4).

ფლაკუსის თანახმად, ისინი მეოტისთან სახლობენ და აიეტის წინააღმდეგ გამართულ ომში საბრძოლველად ეტლებზე ამხედრებულნი მოისწრაფიან. ისინი ცხოვრობენ ბეწვის კარვებში თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად, შვილები ხელნაზე სხედან და თავს გამოთლილი ჯოხების სროლით ირთობენ (6. 81-83). ამ წეს-ჩვეულების შემოტანით ფლაკუსი ამ ტომს სკვითური ტომების ადათებთან აახლოვებს.

კორალები[200] – ყაჩაღთა თრაკიული ტომია, რომელსაც სტრაბონი (οἱ περὶ τὸ Αἱμον... Κόραλλοι... πάντα μὲν ταῦτα ληστρικώτατα ἔθνη, VII, 5, 13) განათავსებს ჰემოსსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის, ოვიდიუსი კი – ქვემო დუნაიზე (Pont. IV. 2. 37. 8. 83). აპიანოსი მათ ჩამოთვლის იმ ტომებს შორის, რომლებიც მითრიდატესს მიემხრნენ და განათავსებს მათ როდოპესა ან ჰემოსს და ისტროსს შორის (Mithrid. 69). ოვიდიუსი კი მათ ლოკალიზებას ისტროსთან ახდენს.

ფლაკუსის თანახმად, აიეტის წინააღმდეგ კოლხიდისკენ დაძრულ სკვითებში მოიხსენიებიან (6. 89-94). მათ აღმართული აქვთ ალმები, რომლებზეც გამოსახულია ბარბაროსული (უცხოური) ბორბლები, ზურგზე გამოეხატათ რკინის ღორები და იუპიტერის გამოსახულებები – წაჭრილი სვეტები. არ სჭირდებათ საბრძოლოდ მოწოდება საომარი ყიჟინით, არამედ ისინი მღერიან თავიანთი წეს-ჩვეულების მიხედვით გარდასულ ამბავთა შესახებ, წინაპართა საქმეებს ასხამენ ხოტბას მეომართა აღსაგზნებად. სახელის ეტიმოლოგიას უკავშირებენ სპარს. kara-ს მნიშვნელობით „მეომარი“.[201]

მესიელები[202] (Moesus) – მათ ბალონიტებსა და სარმატებს შორის მოიხსენიებს ფლაკუსი (მხ. რ.-ში Moesus ფორმით) აიეტის წინააღმდეგ დაძრულ სკვითების ლაშქარში (6. 162). ისინი სხვა მეომართაგან იმით გამოირჩევიან, რომ განსაკუთრებით ეხერხებათ ცხენით ჯირითი. ელვის სისწრაფით იცვლიან დაღლილ ცხენებს.

---

[199] Oberhummer, Koilaletai, RE, XI. 1, 1049; SC ВДИ, XXVIII, 346; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 49-50.
[200] Fluss, Koralloi, RE, XI. 2, 1377; SC ВДИ, XXVIII, 347; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 53.
[201] შდრ. W. Tomaschek, Die alten Thraker. Ein ethnologische Untersuchung, Gorgias Press, 2009^2, I 97.
[202] Fluss, Moesi, RE, XV. 2, 2347-2350; SC ВДИ, XXVIII, 349.

მესიელები მისიაში ქვემო დუნაიზე მცხოვრები ხალხია (ან თრაკიელი ან გეტი). თავდაპირველად ეს სახელი სამხ. აღმ. ევროპული ნახევარკუნძულის ჩრდ.-ში მცხოვრებ თრაკიელ ხალხს აღნიშნავდა, მოგვიანებით კი რომაულ პრო-ვინცია მისიაში სხვადასხვა მოსახლეობის გამაერთიანებელი სახელწოდება იყო. მისიის ტერიტორიების გავრცობასთან ერთად ტიბერიუსიდან მოყოლებული ეს სახელი თრაკიულ-ილირიული ტომების აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა, რომ-ლებიც მესიელების აღმ. და დას.-თით ცხოვრობდნენ.

ნევრები[203] – ფლაკუსი სკვითების კატალოგში იაზიგებთან ერთად მო-იხსენიებს ნევრებს (raptor amorum / Neurus, 6. 122) (მხ. რ.-ის სახელობითი ბრ.-ის ფორმით Neurus).

ჰეროდოტოსის თანახმად, სკვითების ჩრდ-თით სახლობდნენ (Her. IV 17, 100, 102, 105, 115, 125). ВДИ-ის კომენტატორი ამ სახელს უკავშირებს ჰეროდოტოსთან დადასტურებულ ნევრების დასახელებას (Her. IV, 17, 4. 100, 102, 105, 125), რომლებიც შორეულ ჩრდ.-ში ცხოვრობენ ბორისთენესის და ჰიპანისის მახ-ლობლად. მისივე ცნობით, ნევრებს სკვითური ადათ-წესები ჰქონდათ (IV 105): პლინიუსი და მელა აღწერენ მათ ჯადოსნურ ძალას (Plin. n. h. 4. 88; Mela 2. 14) si velint in lupos iterumque in eos qui fuere mutantur; დასტურდება აგრეთვე Nervi ფორმა (Amm. 31.2.14).

4.3. ჩრდ. კავკასიელი ტომები

ალანები[204] – დიდი ნომადური ხალხი კავკასიისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთით. მათ შესახებ ცნობას გვაწვდის ლუკიანოსი κοινὰ γὰρ ταῦτα ’Αλανοῖς καὶ Σκύθαις, πλὴν ὅτι οὐ πάνυ κομῶσιν οἱ ’Αλανοὶ ὥσπερ οἱ Σκύθαι (Lucian.Tox.51); ალანებს მოიხსენიებს ლუკანუსიც Armeniosque arcus Geticis intendite neruis, / si uos, o Parthi, peterem cum Caspia claustra / et sequerer duros aeterni Martis Alanos (Bell. civ. 8.223); კლავდიანუსის მიხედვით, ალანები ცხოვრობენ მეოტისის მახლობლად caesamque bibens Maeotin Alanus (Claud.3.312) შდრ. ასევე Amm. Marc. 22.8.31; ჰეერენის თანახმად, ისინი თავდაპირველად ცხოვრობდნენ პონტუსის აღმ. სანაპიროზე, კოლხიდასთან ახლოს, მოგვიანებით კი შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი.

---

[203] A. Herrmann, Neuroi, RE, XVII. 1, 158-161; SC ВДИ, XXVIII, 348.

[204] Heeren, A., De chronographia a Valerio Flacco adhibita, diss. Göttingen 1899, 26ff; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 35.

ფლაკუსთან ალანებს და ველურ ჰენიოხებს სარდლობს ანავსისი (6.42). ალანები მოიხსენიებიან ეპითეტით ardens „ფიცხი“. ალანები ასევე გვხვდებიან ბრძოლის ველზე, სადაც უფრთხიან იასონს, როდესაც ამ უკანასკნელმა ბოლო მოუღო სკვით მებრძოლს, კოლაქსესს (6.656).

ექსომატები – ფლაკუსთან ეს ტომი თავიანთ ალმებს მოჰყვებიან ტორინებთან და ქერათმიან სატარხებთან ერთად sua signa secuti / Exomatae Torynique et flavi crine Satarchae (6.143-4) „ჩრდილოეთში არავის ჰყავს მათზე უფრო გამორჩეული ცხენები“. ექსომატებს ნადირობა ასაზრდოებს: „გადაიქროლებენ ჰიპანისის მყიფე ყინულით დაფარულ წყალზე, ილტვიან ვეფხვის ან მრისხანე ძუ ლომის ნაშიერებით და ნაღვლიანი დედა შეშდება საეჭვო ნაპირის ბექობზე“ (6.146-149).

ВДИ-ის კომენტატორის თანახმად, ეს ეთნონიმი შესაძლოა დავუკავშიროთ პტოლემაიოსის იაქსამატებს (Geogr.V.8.16), იაძამატებს (Pseud.-Scymn, 879) ან იქსამატებს Ixamatae (Mela 1, 114),[205] იქსომატებს Ixomatae et Maeotiae et Iazyges (Amm.22.8.31).

ტორინები[206] (Toryni) – სავარაუდოდ, კავკასიასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ტომია. ფლაკუსთან მოიხსენიებიან ექსომატებისა და ქერათმიანი სატარხების გვერდით sua signa secuti / Exomatae Torynique et flavi crine Satarchae (6.143-4). ტორინები თაფლს სდებენ პატივს (6.145). ВДИ-ის კომენტატორის აზრით, ეს ეთნონიმი შეიძლება დავუკავშიროთ ქ. ტორინების დასახელებას თესპროტიაში. თუმცა, უფრო სარწმუნოა, რომ აქ იგულისხმებიან ტორეტები (Ps. Scymn.74). სწორედ ამიტომ გვთავაზობს ჰეერენი Toretae ფორმას და მიუთითებს სტრაბონზე 11.2.11 (Τορεάται = Τορέται, Plin. n. h. 6.17 Toretae, Steph. Byz. Τορέται). მოგვიანებით სახელი Toringus ფიქსირდება სიდონიუსთან Chunus, Neurus, Bastarna, Toringus ტომების აღმნიშვნელ სახელთა გვერდით (Sidon. Apoll. carm. VII 323). ჰეერენს მოჰყავს ეკვივალენტური ფორმები სხვა ტომებთან დაკავშირებითაც: Sarmat-/Sauromat-, Exomat-/Ixabat-/Iaxamat-/Ixibat-.[207]

სინდები – ხალხი აზიურ სარმატიაში, აზოვის ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროს და შავი ზღვის ჩრდ.-აღმ. სანაპიროს შორის, კიმერიული ბოსფოროსის აღმ. მხარეს, თანამ. ტაიმანის ნახევარკუნძულზე. ყველაზე ადრე ისინი იხსენიებიან

[205] SC ВДИ, XXVIII, 348.
[206] SC ВДИ, XXVIII, 348; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 72.
[207] A. Heeren, 1899, 55.

სკილაქსის პერიპლუსში. ავტორი ტომების ჩამოთვლას იწყებს ჩრდ.-დან – ტანაისიდან (დონიდან) სამხრეთის მიმართულებით. თავდაპირველად იგი ასახელებს ტანაისთან სავრომატებს, შემდეგ მეოტებს (მეოტისის ტბასთან), მერე კი მოიხსენიებს სინდებს (Scyl. 72). ჰეროდოტოსის გადმოცემით, სინდები სკვითების მეზობლად ცხოვრობენ და ზამთარში, როდესაც კიმერიული ბოსფოროსი იყინება, სკვითები ყინულზე გადადიან ეტლებით გაღმა და ლაშქრობენ იქ მყოფი სინდების წინააღმდეგ (Herod. IV, 28). ამავე ტერიტორიაზე ასახელებს სინდებს ჰელანიკოსიც – სინდები, მეოტები (ზემოთ), სკვითები (Helan. fr. 93). განსხვავებულია სინდების ლოკალიზაცია აპოლონიოს როდოსელის პოემაში. იგი მათ ისტროსზე ათავსებს. როდესაც არგონავტების და აფსირტოსის გემები მიცურავდნენ ისტროსზე, მათ გემებს გაოცებით უყურებდნენ სკვითები, სიგინები, სინდები ლავრიონის ველზე რომ ცხოვრობდნენ (Ap. Rhod. IV 309-322). მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ აქ დასახელებული სინდები ჰეროდოტოსის (ისევე, როგორც სხვა ავტორების სინდები) უნდა იყვნენ და შეცდომით როდოსელს ისინი ისტროსის ნაპირებზე, თრაკიაში გადაჰყავს.

სინდებს ახსენებს ფლაკუსიც: degeneresque ruunt Sindi glomerantque paterno / crimine nunc etiam metuentes verbera turmas (6.86-87) „გადაგვარებული სინდებიც მოისწრაფვიან და შეკრებენ რაზმებს, მათ ახლაც კი წინაპართა დანაშაულის გამო დარტყმების ეშინიათ“. ВДИ-ის კომენტატორის თანახმად, ფლაკუსი სინდებს degeneres უწოდებს, რადგანაც მათ აიგივებს ბრმების (τυφλοί) იმ შთამომავლებთან, რომლებიც ჰეროდოტოსის მიხედვით წარმოიშვნენ სკვითი ქალებისა და მონებისგან (ისინი იბრძოდნენ მიდიიდან დაბრუნებული მოლაშქრე სკვითების წინააღმდეგ, რომლებმაც დაიმორჩილეს მათრახებით).[208] შდრ. ასევე Plin. n. h. 4.80, სადაც იგი degeneres გამოიყენებს სკვითებთან მიმართებაში Scythae degeneres et a servis orti.[209]

ჰენიოხები[210] – (Ἡνίοχοι Ps.-Skyl. 71). ძვ. წ. V ს-ში დიდი ტომი პონტოსის ტყიან სანაპიროზე, როგორც ძიგები და აქაველები ჩრდილოეთში და სანიგები სამხრეთში. ჰენიოხების მხარეში დაარსდა პიტიუსი. ჰენიოხები მისდევდნენ მეცხოველეობას, ეწეოდნენ მეკობრეობას მჩატე ნავებით (Strab.11.2.14); ისინი ძვ. წ. IV ს-ში ბოსფოროსის მეფემ ევმელოსმა დაიმორჩილა და აღკვეთა მეკობრეობა

[208] SC ВДИ, XXVIII, 346.
[209] H. J.W. Wijsman, 2000, 51.
[210] A. Plontke-Lüning, Heniochoi, DNP 5, 346-7; E. Kiessling, s. v. Ἡνίοχοι, RE 8. 1, 259-280.

(Diod.20.25.2). ძვ. წ. I და ახ. წ. I სს-ში ხდება მიგრაციები ჩრდ.-აღმ. მცირე აზიაში, სადაც ჰენიოხები პონტოური ალპებიდან თვით მდ. კირუსის სათავეებამდე სახლდებიან oritur in Heniochis montibus quos alii Coraxicos vocavere (6.26); პლინიუსი მათ განათავსებს კოლხების მეზობლად ab his ad Pontum usque Heniochorum plurima genera (Plin. n. h. 6.30).

ფლაკუსი ჰენიოხებს მოიხსენიებს ეპითეტით trux „ველური“. მათ და ფიცხ ალანებს სარდლობს ანავსისი აიეტის წინააღმდეგ გამართულ ომში (6.42ff.). ჰენიოხების მოხსენიება ამ ეპითეტით შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს ზედსართავი პოემაში სხვა ადგილას კოლხურ გარემოსთან დაკავშირებით გვხვდება (1.743, 4.618);[211] (შდრ. ასევე 2.73 და 8.456, სადაც trux ლომის და დათვის ეპითეტია). ამ ეპითეტით ძირითადად მოიხსენიებიან მეკობრეები შდრ. Heniochae nautis plus nocuere rates (Ov.Pont.4.10.26), Ἡνιόχων... ληστρικῶς (Strabo 17.3.24). ვფიქრობთ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ფლაკუსი ანტიკურობაში გავრცელებულ სახელს ჰენიოხეს[212] არქმევს მედეას კოლხ ძიძას (5.357). ამით იგი ყურადღებას ამახვილებს ამ ტომებს შორის [კოლხებსა და ჰენიოხებს] მჭიდრო ურთიერთკავშირზე.

4.4. კასპიისპირეთის ტომები

კასპიადები[213] – ტომი, რომელიც სახლობს კასპიის ზღვის სამხრ.-დას. სანაპიროზე (Strab.XI, 4,5).[214] გვხვდებიან სახელწოდებით Caspiani (Mela 1.12) ან Caspi (Plin.Nat.6.39). ჰეერენი[215] იმოწმებს სერვიუსს Amazonidum autem derivatio est pro principalitate, sicut Scipiadas duros bello pro Scipionibus (Serv. ad Verg.Aen.1.490).

ფლაკუსი საინტერესო ცნობას გვაწვდის კასპიადების შესახებ: მათ ბრძოლაში თან ახლავთ მებრძოლი ძაღლები: „შემდეგ მოსდევენ დრანგეის საბრძოლო წყებანი და თავიანთი სავანეებიდან გამოსული კასპიადები, რომელთა ძაღლების ხროვა რქის საყვირის მკაფიო ხმაზე სწრაფად ხტის და პატრონთა ბრძოლაში მონაწილეობს. ამიტომ სიკვდილის შემდეგ მათ საკადრისი პატივიც ერგებათ და იკრძალებიან ყორღანებში წინაპრების და ვაჟკაცთა სამარხებს შორის. ძაღლების ხროვა უკვე მკერდ შეჯავშნულები და საზარლად აჯაგრულები

211 H. J.W. Wijsman, 2000, 35-36.
212 Weicker, Henioche, RE 8. 1, 258.
213 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 59.
214 SC ВДИ, XXVIII, 347.
215 A. Heeren, De chronographia a Valerio Flacco adhibita, diss., Göttingen 1899, 33.

შავ მწყობრად მოჰქრიან საზარელი ყეფით, როგორიც გაისმის დისის შიშისმომგვრელ შესასვლელთან ან ჰეკატეს ამალა გამოსცემს მაღლა ჰაერში“ (6.107-113). ჰეერენს ამ ადგილთან დაკავშირებით მოჰყავს ციტატა სტრაბონიდან (11.4.5), სადაც მსგავსი ცნობა გადმოცემულია ალბანების ძაღლების შესახებ, ჰირკანიელების გამორჩეულ ძაღლებზე, ისინი ასევე კასპიელებთან დაკავშირებითაც მოიხსენიებიან, რამდენადაც ჰირკანია იწოდება კასპიად (Steph. Byz. λέγεται καὶ Ὑρκανία ἡ Κασπία). ფლაკუსი ბრძოლის უნარის გარდა, როგორც ამას გადმოგვცემს ელიანუსი (Ὑρκανοῖς καὶ Μάγνησιν οἱ κύνες συνεστρατωύοντο, Ael. Hist. Anim. 7.38), პოემაში რთავს ცნობასაც იმის შესახებ, რომ მათ პატრონებთან ერთად მარხავენ; შდრ. ციცერონი regia cum lucem posuerunt membra, probatum est / Hyrcanis adhobere canes (Cic. Tusc. 1.108 და Sic. 13.473 f.). ჰეერენის თანახმად, ფლაკუსი ინსპირირებული უნდა იყოს ვერგილიუსისგან, რამდენადაც მასთან ცხენები არიან პატივში სამოთხეში (Verg. Aen. 6.657ff.), მაგრამ უფრო სარწმუნოა, როგორც ვისმანი თვლის, რომ აქ მისი ინსპირაციის წყაროა პლინიუსი <canis Hyrcanus> accenso regis Lysimachi rogo iniecit se flammae, similiterque Hieronis regis.

ჰირკანიელები[216] – ხალხი სამხრ. კასპიისპირეთში, სადაც ჩაედინება მდინარე კირუსი. ნახსენებია სენეკასთან (quaenam ista regio est?...) an feris Hister / praebens Alanis, an subaeterna nive / hyrcana tellus an vagi passim Scythae (Sen.Thy.629-632, შდრ. ასევე Verg.Aen.4.367, 7.605) და კატულუსთანაც, სხვადასხვა ორიენტალურ და მითიურ ქვეყნებს შორის: არაბეთი, პართია, ეგვიპტე (Catul.11.5). სენეკას „მედეაში“ (712) კავკასიასთან, არაბეთთან და მედიასთან კავშირში. მოგვიანებით გვხვდება ლუკანუსთან vastisque Hyrcania silvis (Luc.3.268; 114); ლუკრეციუსთან დასტურდება „ჰირკანიული ჯიშის“ მეომარი ძაღლი (Lucr.3.750).

ფლაკუსთან აიეტის წინააღმდეგ დაძრულ ლაშქარში 2 ჰირკანიელი სარდალია მოხსენიებული: კირისი (6.80) და ვანუსი (6.115); ბრძოლის ამსახველ სცენებში მოიხსენიებიან ჰირკანიელი ძმები: მედორესი (6.211) და გელასი (6.208), რომელთა მამაც სახელგანთქმულია ჯიშიანი ცხენებით.

4.5. აღმოსავლური წარმომავლობის ტომები

[216] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 49.

განგარიდები[217] (Gangaridai // Gandaridai) – ინდური ტომი, რომლებიც მდ. განგესის ნაპირებზე ცხოვრობდნენ (Gangaridum Calingarum, Plin. Nat. 6. 65), შდრ. ვერგილიუსი solidoque elephanto / Gangaridum (Verg. G. 3. 26f.). მათ ალექსანდრე დიდის ლაშქრობის შემდგომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს (Curt. IX. 2. 1. Diod. II. 37). ჰეროდოტოსის მიხედვით, „სატაგიდები, განდარიები, დადიკები და აპარიტები მეშვიდე სატრაპიაში არიან გაერთიანებულნი (Her. III 91). მეგასთენესის თანახმად (Plin. n. h. VI 66), განგარიდების მეფე ფლობს 60000 ჯარს, 1000 მხედარს, 700 საომარ სპილოს, რაც საკმაოდ დიდ სამხედრო ძალას წარმოადგენს. ავგუსტუსის დროს მათი სახელი ცნობილია რომაული საზოგადოებისათვის. იგი გვხვდება ვერგილიუსთან (Verg. Georg. III 26f.) და, შესაძლოა, სწორედ მისი გავლენით რთავს ფლაკუსი ამ ტომს თავის „არგონავტიკაში“ (6. 67).

აიეტის წინააღმდეგ გამართულ ომში მათ სარდლობს დატისი. შრადერი[218] ამ სახელის ნიშანდობლივ კონიუნქტურას გვთავაზობს Dandaridum ფორმით, რაც ალიტერაციას ქმნის დატის და დარაპსის სახელების გვერდით, თუმცა ფლაკუსის გამომცემლები ფორმა „განგარიდებს“ ანიჭებენ უპირატესობას. დანდარიები // დანდარიდები მოიხსენიებიან როგორც ტაციტუსთან (regem Dandaridarum exturpat, Ann. 12. 15. 1), ასევე სტრაბონთანაც (11.2.11), პლუტარქოსთან (Luc. 16), მათი მიხედვით, ისინი ცხოვრობდნენ მდ. ჰიპანისთან ახლოს, ყირიმის ბოსფოროსის მახლობლად.

დრანგები[219] (Drangae) – აღმ.-ირანული ტომი დრანგიანეს რეგიონში, ეტიმანდროსის ქვემო დინებასთან, არეიასა და ჰედროსიას, კარმანიასა და არახოსიას შორის (Strab. XV, 2, 8; Plin. n. h. 6. 61, 94). მათ ქვეყანას დრანგიანე ეწოდება (Diod. XVII 78. 81. 165. XVIII 3. 39) და დრანგენე. უფრო ძვ. ფორმა ანლაუტში z-თანხმოვნით არის წარმოდგენილი, რაც ჰეროდოტოსთან Σαράγγαι ფორმით გვხვდება. ბერძ. ისტორიკოსის თანახმად (III 93) ისინი ცენტრალური უდაბნოს (საგარტები, თამანები) და კარმანიის ტომებთან (უტიები, მიკეები და კუნძულის მცხოვრებლები) ერთად მეთოთხმეტე სატრაპიაში შედიან და 600 ბაბილონ. ტალანტს იხდიან ყოველწლიურად. მისივე მიხედვით (III 117), ისინი პართების და ჰირკანიელების სამხ. მხარეზე ცხოვრობენ.

---

[217] Kiessling, Gandaridai, RE, VII. 1, 694-695; SC ВДИ, XXVIII, 346; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 44-45.
[218] J. Schrader, Observationum liber, Franeker, 1761, 10.
[219] Tomaschek, Drangai, RE, V. 2, 1665-1667; SC ВДИ, XXVIII, 347.

დრანგეებს კასპიადებთან ერთად მოიხსენიებს ფლაკუსი აიეტის წინააღმდეგ საომრად დაძრულ სკვითების ლაშქარში (6. 106), ისინი უშუალოდ იბრძვიან კოლხიდაში (6. 507).

კესეები[220] (Cessaeae) –სტრაბონის მიხედვით (11. 13. 6, 16. 1. 17, Plin. n. h. 6. 134, Diod. 17. 111), კოსეები მიდიური ტომია. ჰეროდოტოსის თანახმად, მერვე სატრაპიაში შედიოდნენ: სუსელები და კისიელები (Her. III 91). შესაძლოა Cissaeae ფორმაც, აქ ეყრდნობიან მელას და პლინიუსის ცნობას, რომელთა თანახმად, ამ ტომს უკავშირებენ კისების Cissi (n. h. 6. 21) მთებს (Tomaschek, Cissii montes, RE, III. 2, 2590: კავკასოსის ჩრდ. განშტოება), რომელსაც აიგივებენ კავკასოსის მთების ჩრდ. განშტოებასთან ან ტომის სახელწოდებასთან Cissianti (Mela 1. 13; Plin. n. h. 6. 35), რომლებიც კავკასოსის მთების ჩრდ.-ში ცხოვრობდნენ სკვითების მეზობლად.[221]

მიკეები[222] (Mycaei) – სავარაუდოდ ბაქტრიული ტომია. ჰეროდოტოსის თანახმად, მეცამეტე სატრაპიაში შედიოდნენ: სარანგიები, თამანელები, უტიები, მიკეები ... კასპიები (Her. III 93). მიკეებს კესეებთან ერთად მოიხსენიებს ფლაკუსი (6. 129). ისინი თმის სურნელებას აფრქვევენ (შდრ. არონი, რომლის მეომრებიც ასევე ამ ნიშნით გამოირჩევიან: 5. 590, 6. 524). ამ ტომის სახელს აკავშირებენ ბაქტრიულ ტომთან მიკებთან.[223] ВДИ-ის კომენტატორი კი მიიჩნევს, რომ შესაძლოა ამ სახელის დაკავშირება გეოგრ. პუნქტ მექლესოსთან, რომელიც, პტოლემაიოსის (Geogr. V 9, 5) თანახმად, კოლხიდის ჩრდ-ში მდებარეობდა (Geogr. V, 9, 6).

ოთხივე შემთხვევაში ეს ტომები პირველად ჰეროდოტოსთან დასტურდება და აღსანიშნავია, რომ მათი სახელდება ამ უკანასკნელთან სხვანაირად ჟღერს. ისინი რომელიმე სატრაპიაში შედიან და ხშირ შემთხვევაში იმით ხასიათდებიან, რომ ხარკს არ უხდიან სპარსეთს. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიყვანოთ თვით ჰეროდოტოსის ცნობა, რომლის თანახმადაც, რაც უფრო ღრმად შევდივართ სამხრეთიდან კავკასიის ქედის მიმართულებით, მით უფრო ნაკლებად ემორჩილება მოსახლეობა ვინმეს, თავად სპარსეთის იმპერიასაც კი. კოლხები მათი მეზობლებივით კავკასიის მთებამდე, რომლებამდეც ვრცელდება სპარსელ-

[220] Weissbach, Kossaioi, RE, XI. 2, 1499-1503; SC ВДИ, XXVIII, 348; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 68.
[221] შდრ. Tomaschek, Cissianti, RE, III. 2, 2590: ხალხი მეოტისთან ამაძონების მახლობლად.
[222] SC ВДИ, XXVIII, 348.
[223] A. Herrmann, Mykoi, RE, XVI. 1, 1029.

თა მმართველობა, არ იხდიან ხარკს და ნებაყოფლობითი საჩუქრებით იფარგლე-ბიან. კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს კი არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა (Herod. III, 97). როგორც ჩანს, ფლაკუსი შეგნებულად არჩევს ამ ტომებს, გარკვეულწილად უცვლის მათ სახელს, რათა, ალბათ, გარკვეული შეუსაბამობა არ შექმნილიყო ჰეროდოტოსის „ისტორიაში“ დადასტურებულ ფაქტებსა და მის მიერ გადმოცემულ ინფორმაციას შორის.

4.6. ფლაკუსის მიერ გამოგონილი ტომები

ბალონიტები[224] (Balloniti) – მათ ფლაკუსი სკვითების კატალოგში ასახე-ლებს მესიელებისა და სარმატების გვერდით, ისინი ორივე მხრიდან ათანაბრე-ბენ მოკავშირეთა რაზმებს (ibant et geminis aequantes cornibus alas / Balloniti, 6. 161).

ბალონიტები, როგორც ჩანს, სარმატი ხალხია; მოგვიანებით სახელი Bellonotus ფიქსირდება სიდონიუსთან Chunus, Neurus, Bastarna, Toringus ტომების აღმნიშვნელ სახელთა გვერდით (Sidon. Apoll. carm. VII 323). ეტიმოლოგიას უკავშირებენ ოსურ ფორმატივს balân, balwán „მტრედი; ღია ფერის“, რომელსაც ერთვის მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსი thä.

კენტორები[225] (Centores) – ფლაკუსის თანახმად „საეჭვო“ (dubius) კენტო-რები და „შიშისმომგვრელი“ (dirus) ხოათრები მოისწრაფიან კოლხიდაში (6. 151-154). მათ სურთ ოქროს საწმისის ხელში ჩაგდება. თავიანთი ჯადოქრობით შიშს ჰგვრიან ყოველივეს, თაყვანს სცემენ ღმერთებს და ძალუძთ გაზაფხულზე აყვავების პროცესი შეაჩერონ, ზამთარში კი მეოტისს აღნობენ მოქანავე ეტლე-ბისათვის, მათთან ერთად მოისწრაფვის კოლხიდისკენ მედეას ჯადოქრობის სახელით დაინტერესებული სკვითი ჯადოქარი კოასტესი. ВДИ-ის კომენტატორი კენტორებს უკავშირებს მდ. კენტრიტესს[226] (Xen. Anab. IV, 3, 1), რომელიც ევფ-რატში ჩაედინება; ასევე არსებობს მოსაზრება სახელის კენტავრებთან დაკავში-რების შესახებ, რომლის შემადგენელი ვოკალი -a- შეცვლილია მოკლე -o-ხმოვნით.

ხოათრების[227] (Choatrae) – სახელი უკავშირდება ტავროსის მთიანეთის ერთ-ერთ სახელწოდებას ხოათრასს (Choatrae: Plin. V 98; Sol. 38, 12): პლინიუსი

---

224 Tomaschek, Ballonoti, RE, II. 2, 2832; SC ВДИ, XXVIII, 349.
225 SC ВДИ, XXVIII, 349; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 75.
226 Weissbach, Kentrites, RE, XI. 1, 181.
227 Tomaschek, Choatrae, RE, III. 2, 2355; Weissbach, Choatras, RE, III. 2, 2355; SC ВДИ, XXVIII, 349; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 75.

ჩამოთვლის მათ შავი ზღვის ჩრდ.-დას. ტომებს შორის (n. h. VI 19). სახელს აწარმოებენ ასევე ავესტ. ფორმატივიდან khwāthra, რაც „ბრწყინვალებას“ ნიშნავს და რაც, შესაძლოა, თოვლით დაფარულ მთების ბრწყინვალებაზე მიუთითებდეს. შდრ. ასევე პარახოათრასი, მთათა სისტემა არმენიის სამხრ.-დას.-თით (Strabo, XI, 8, 1: ამჟ. იალბუზი).

ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ ინფორმაცია კავკასიასთან დაკავშირებული 30-მდე სხვადასხვა წარმომავლობის ტომის შესახებ, რომელიც აიეტისა და პერსესის კონფლიქტშია ჩართული. ჩნდება კითხვა, რა განაპირობებს მათ მიმართ ფლაკუსის ინტერესს და რატომ აკავშირებს მათ არგონავტების თქმულებასთან, უფრო მეტიც, რაში სჭირდება ფლაკუსს დამატებით კიდევ მითოლოგიურ ტრადიციაში და ისტორიულ წყაროებში არარსებული ტომების გამოგონება. პასუხი ერთი შეიძლება იყოს. იგი უაღრესად არის ინსპირირებული არგონავტების თქმულებით და კავკასიასთან დაკავშირებული ინფორმაციით. ხოათრებისა და კენტორების და მათი სარდლის კოასტესის სიუჟეტში ჩართვით ფლაკუსი ეხმიანება თქმულების ორ ძირითად სიმბოლოს: ოქროს საწმისს და მედეას. არც კოასტესის სახელდების სემანტიკაა შემთხვევითი (ბერძნ. κῶας „საწმისი“). თანადროული მინიშნებები, რომელსაც ვალერიუსი უკავშირებს მტრულად განწყობილი ტომების აღწერას, თამამი და განზოგადებული ხასიათისაა, რათა არგონავტების ბრძოლა კოლხიდაში ფლავიუსთა დინასტიის ქმედებებთან დააკავშიროს. ასეთი მინიშნებებისათვის პოემაში ე. წ. სკვითების კატალოგში დასახელებულია სკვითი ტომები, რამდენადაც რომი ამ რეგიონში ახ. წ. I ს-ში და განსაკუთრებით ნერონის პერიოდში ომს აწარმოებდა, ისე რომ, კატალოგში რამდენიმე ისტორიული ტომის მოხსენიებას მკითხველში უნდა გამოეწვია ვალერიუსის თანამედროვე ისტორიის ასოციაცია[228]. განსაკუთრებით არის გამოყოფილი სარმატები და მოცემულია მათი ზუსტი აღწერილობა (6. 162. 231-238), რაც ტაციტუსის ცნობებს (hist. 1. 79) ეხმაურება. ეს ტომი ფლავიუსთა ეპოქაში განმეორებით შეიჭრა იმპერიაში; ასევე ისტორიულ მიმართებას გვიჩვენებენ იაზიგები, ისევე როგორც ბისალტების ლეგიონი, რომლებიც ფლაკუსის პოემაში legio XII fulminata-ს ემბლემას ატარებენ, ეს ლეგიონი კი იუდეველთა ომში

[228] შდრ. W. C. Summers, 1894, 55; R. Harmand, 1898, 15; R. Harmand, 1899, 38f.; R. Preiswerk, 1934, 433-435; E. Shreeves, 1979, 167-170.

ვესპასიანუსის, ხოლო შემდგომ ტიტუსის დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდნენ (შდრ. Tac. hist. 5, 1; Joseph. bell. 5, 1, 6. 11, 4;)[229].

[229] ისტორიული მიმართებებისათვის იხ. Schenk, 1999; E. Shreeves, op. cit. 118-134.

III. კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების კლასიფიკაცია

კავკასიისა და კავკასიური ტომების შესახებ ანტიკურ წყაროებში დადასტურებული ვრცელი ინფორმაცია, პირობითად, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1. მითოლოგიური და 2. ისტორიული. პირველ ჯგუფში უნდა მოექცეს ის სახეები და მოვლენები, რომლებიც ბერძნული მითოლოგიური ქრონოლოგიის თანახმად, ძვ. წ. II ათასწლეულზე ანუ ე. წ. გმირთა ეპოქაზე უფრო გვიან არ მოიაზრებიან, მეორე ჯგუფი კი მოიცავს ინფორმაციას, რომლის ისტორიული რეალობაც ეჭვს არ იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. ისტორიული ინფორმაცია ბევრად აღემატება თავისი მოცულობით (იგულისხმება პერსონაჟთა და მოვლენათა სიმრავლე) მითოლოგიურს, შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი პოპულარობით ანტიკურ სამყაროში ვერ უწევდა კონკურენციას კავკასიასთან დაკავშირებულ ცნობილ მითოლოგიურ სახეებსა და მოვლენებს, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, პრომეთეს და, მეორე მხრივ, არგონავტების თქმულების პოპულარობით, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან როგორც დამუშავების ინტენსივობით, ასევე პერსონაჟთა და მოვლენათა რაოდენობით.

როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, ვალერიუს ფლაკუსი გამოირჩევა არგონავტების თქმულების საინტერესო ინტერპრეტაციით, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცა იმ ფაქტმა, რომ მასთან კავკასიასთან დაკავშირებული მრავალი პერსონაჟი ფიგურირებს. ისინი, შესაძლოა, შემდეგ კატეგორიებად დავყოთ: 1. მითოლოგიურ ტრადიციაში ცნობილი პერსონაჟები, სადაც თავის მხრივ შეიძლება გამოვყოთ სამი ქვეჯგუფი: ა) აქტიურად მოქმედი ფიგურები (მედეა და აიეტი); ბ) ეპიზოდურად მოქმედი პერსონაჟები (აბსირტუსი) და გ) ფიგურები, რომლებსაც, ფაქტობრივად, ფუნქცია აქვთ დაკარგული (კირკე, ქალკიოპე, ფრიქსუსის ვაჟები: არგუსი, ფრონტისი, მელასი, კიტისორუსი); 2. მითოლოგიურ ტრადიციაში ნაკლებად ცნობილი პერსონაჟები (პერსესი, მედეას დედა, ფასისი, კავკასუსი); 3. საერთოდ უცნობი პერსონაჟები (ნიმფა აია, მედეას ძიძა ჰენიოხე, კიმერიელი მისანი კელენევსი, აიეტისა და პერსესის მოკავშირეები, სკვითებისა და კოლხების ომში მონაწილე მეომრები).

1. მითოლოგიურ ტრადიციაში ცნობილი პერსონაჟები

დავიწყოთ მითოლოგიურ ტრადიციაში ცნობილი პერსონაჟებით, თავდაპირველად შევეხოთ აქტიურად მოქმედ ფიგურებს მედეასა და აიეტს. ვალერიუს ფლაკუსმა ისინი, შეიძლება ითქვას, ახლებურად წარმოგვიდგინა. როდესაც

ვამბობთ „ახლებურად“, ძირითადად ვგულისხმობთ იმის აღნიშვნას, რაც მათ აპოლონიოს როდოსელის მიერ შექმნილი სახეებისაგან განასხვავებს, რამდენადაც ყველა ფლაკუსამდელი წყაროს მოცვა ამ შემთხვევაში ძალიან შორს წაგვიყვანდა.[230]

1.1. აქტიურად მოქმედი ფიგურები

◙ მედეა ◙

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფლაკუსის მედეა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ბევრი საერთო აქვს ფლაკუსის წინამორბედებთან წარმოდგენილ მედეას ფიგურებთან, აშკარად იმდენად გამოირჩევა თავისი ორიგინალობითა და თვითმყოფადობით, რომ თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ „ფლაკუსის მედეაზე“.[231] ქვემოთ შევეხებით რამდენიმე ასპექტს, რაც ჩვენი აზრით, ყველაზე არსებითია ფლაკუსის ხედვის გააზრებისათვის: არის მედეა ჯადოქარი თუ შეყვარებული ქალი, იუნოსა და ვენუსის ინტრიგის მსხვერპლი თუ ნება-ყოფლობით დამნაშავე, არის იგი ბოროტმოქმედი და ულმობელი ბარბაროსი, რომელიც ყველაფერზე წავა მიზნის მისაღწევად თუ უბრალოდ ქალი, რომელიც ესწრაფვის ბედნიერებას.

აპოლონიოს როდოსელი მედეას უშუალოდ არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის გვაცნობს, ფლაკუსი კი საფუძვლიანად ამზადებს მკითხველს მედეასთან შესახვედრად პოემის დასაწყისიდანვე. სახელის აღნი-შვნის გარეშე პირველსავე წიგნში მოიხსენიებს მას როგორც regis...filia (1.61), აქვე ახდენს მისი დემონური ძალების ილუსტრაციას

... silet possessa dracone
vellera, multifidas regis quem filia linguas
vibrantem ex adytis cantu dapibusque vocabat
et dabat externo liventia mella veneno (1.60-63)[232]

---

[230] წყაროების მიმოხილვისათვის შდრ.: P. Dräger, Argo pasimelousa. Der Argonautenmythos in der griechischen und römischen Literatur, *Palingenesia* 43, Stuttgart 1993; ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი 1964; რ. გორდეზიანი, არგონავტები. *ბერძნული მითების სამყარო,* თბილისი 1999, 2007[2].

[231] ამას მოწმობს ის მრავალრიცხოვანი გამოკვლევაც, რომელიც ფლაკუსისეული მედეას შესახებ შეიქმნა: S. Wetzel, Die Gestalt der Medea bei Valerius Flaccus, Diss., Kiel 1957; K. W. D. Hull, Medea in Valerius Flaccus's Argonautica, in: Proceedings of the Leeds Philos. and Lit. Society, Lit. and Rhet. Section 16, 1, 1975, 1-25; T. Stover, Unexampled Exemplarity: Medea in the Argonautica of Valerius Flaccus, in: Transactions of the American Philological Association 141, 2011, 171-200.

[232] „და რომ საწმისს ისეთი ძლიერი დრაკონი დარაჯობს, რომელსაც მრავლადდაყოფილი ენებით მოსისინეს, ჯადოსნური გალობითა და ნუგბარით იხმობდა სიღრმიდან მეფის ასული და აწვდიდა თაფლს, შეზავებულს უცხოური შხამით, რის გამოც მას მოლურჯო ფერი დაჰკრავდა“.

შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს მისან მოპსუსის წინასწარმეტყველება, რომელსაც ის არგონავტებს გაანდობს, აქ მინიშნებაა იმ ამბებზე, რასაც მედეა კორინთოსში მოიმოქმედებს, ბუნებრივია, ევრიპიდეს და სენეკას მცოდნე მკითხველი სწვდება მათ არსს.

...quaenam aligeris secat anguibus auras

caede madens? quos ense ferit? miser, eripe parvos,

Aesonide! cerno et thalamos ardere iugales! (1. 224-226)[233]

მკითხველი იმასაც ხვდება, თუ რა საფრთხე მოელის პელიასს მედეასგან, იმ ეპიზოდში, სადაც ესონი ნატრობს, პელიასი აღესრულოს ჯერ კიდევ გაუგონარი საშინელი სიკვდილით (1. 812-814).

ამდენად, პირველი შთაბეჭდილება მედეას შესახებ ასეთია: იგი არის დემონური ძალების მფლობელი ჯადოქარი, რომელიც შიშის ზარს სცემს ყველას. მეოთხე წიგნში იუპიტერი უკვე გაცხადებულად მოიხსენიებს მას როგორც „დამნაშავე ქალწულს“ impia ... / virgo:

i, Furias Veneremque move, dabit impia poenas

virgo nec Aeetae gemitus patiemur inultos (4. 13-14)[234]

მეხუთე წიგნში კი, სადაც ფლაკუსი შესთხოვს მუზას, შთააგონოს კოლხიდაში დატრიალებული ამბები, მედეას უწოდებს „საშინელ და შიშისმომგვრელ ქალწულს“ (foedera et horrenda), რომლის წინაშეც შიშით კრთის არგო foedera et horrenda trepidam sub virgine puppem (5. 220).

როდის გვიმხელს ფლაკუსი შიშისმომგვრელი ასულის სახელს? მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც არგონავტები კოლხიდაში ჩადიან. პირველად ფრიქსუსი მოიხსენიებს მედეას თავისი სახელით. ფლაკუსის საინტერესო გამონაგონია ფრიქსუსის წინასწარმეტყველება, რომლის თანახმადაც, ქალწული არ უნდა დარჩეს მამისეულ სასახლეში, არამედ უნდა გათხოვდეს იმაზე, ვისაც მოისურვებს (5.239-240). პირველად აქვეა პირდაპირ გაცხადებული მედეას ფუნქცია: იგი ჰეკატეს მსახური ქურუმია და მისი მფარველობის ქვეშ იმყოფება. როდესაც მედეა აპირებს ჯადოსნური საშუალება გადასცეს იასონს და ტოვებს

---

[233] „ფრთოსანი დრაკონით ვინ არღვევს სივრცეებს მკვლელობით გაჟღენთილი? ვის განგმირავს ის ხმლით? მოარიდე მას ბავშვები, საბრალო ესონიდო, ვხედავ, როგორ იწვის საპატარძლოს თალამოსი“.

[234] „წადი, ფურიები აღძარი და ვენუსი. დამნაშავე ქალწული დაისაჯოს, სამაგიერო მიეზღოს აიეტის ვარამის გამო“.

ჰეკატეს ჭალას, სამსახოვანი ღვთაება მისტირის მას და იასონს ემუქრება, რომ მწარედ აზღვევინებს მსახური ქალის მოტაცებას (6.499-502).

მედეა ამ წინასწარ განცხადებული თვისებების რამდენადმე კონტრასტული ნიშნებით წარმოგვიდგება არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის; ეს ძლიერი, უშიშარი ჯადოქარი ერთიანად დამფრთხალია და შეშინებული ღამისეული სიზმრის გამო (5.335-347). დილით მედეა მიდის მდინარესთან ავისმომასწავებელი ხილვისაგან განსაწმენდად (horrendas lustrantia flumina noctes, 332). სიზმრის შინაარსი ასეთია:[235] შეშინებული მედეა მოდის ჰეკატეს წმინდა ჭალიდან, მიიწევს მზრუნველი მამის სამყოფელისკენ (pii...patris ora, 5.336), თუმცა მისგან უშველებელი ზღვის სივრცე აშორებს, აბსირტუსი ცდილობს, დაედევნოს მედეას, ქალწული ხედავს მოსალოდნელი სიკვდილის წინაშე შეშინებულ ბიჭებს, თვითონაც დამფრთხალი, სისხლშია ხელებგასვრილი და ცრემლები სდის.

ამ სიზმრის მეშვეობით ფლაკუსი შეგვახსენებს, თუ როგორ „ურჩხულთან“ (monstrum) გვაქვს საქმე და პარალელურად წარმოგვიდგენს დამფრთხალ ქალწულს, რომელიც უცხოელების დანახვაზე კრთის და მხოლოდ მას შემდეგ მშვიდდება, როდესაც ძიძა ჰენიოხე აწყნარებს, მომხვდურები ბერძნები არიანო. სწორედ ამ მომენტში გამოკვეთს ფლაკუსი მედეას რეალურ სტატუსს. აქ, იგი ორჯერ (5. 373, 385) მოიხსენიებს მას როგორც regina-ს.[236]

როგორია მედეა იასონთან პირველი შეხვედრისას? ეს სცენა უდავოდ ჰომეროსის ცნობილ პასაჟს მოგვაგონებს „ოდისეადან“. აქ მედეა გულუბრყვილო ნავსიკაას უფრო ჰგავს, ვიდრე სტიგეური ხელოვნების ცოდნით განთქმულ ჯადოქარს, იგი ისეა დაბნეული, რომ ვერც კი ბედავს, თვალი გაუსწოროს უცხოელს. ფლაკუსის ძველი კომენტატორები აქ, ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, შეუსაბამობას ხედავდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ფლაკუსი საკმაოდ არათანამიმდევრულია. მათ შორის ერთ-ერთი კომენტატორი ფ. მემელი აღნიშნავდა Es fällt schwer, eine gerechte Ordnung hinter dem in den Argonautica dargestellten Geschehen zu entdecken.[237] მემელის ნაშრომი 1934 წელს არის გამოცემული, მას შემდეგ მრავალი სამეცნიერო სტატია გამოვიდა, რომელთა ავტორები დიამეტრალურად განსხვავებული აზრის არიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ფლაკუსი მედეას ხასიათის შტრიხებს მკაცრად განსაზღვრული გეგმის მი-

---

235 ეს სიზმარი ὄραμα-ს ტიპს მიეკუთვნება, დეტალური ინტერპრეტაციისათვის იხ.: U. Gärtner, Träume bei Valerius Flaccus, *Philologus* 140, 1996, 300-302.

236 იასონი regina-ს უწოდებს იუნოს და რამდენიმეჯერ ასე მოიხსენიება ჰიფსიპილეც.

237 F. Mehmel, Valerius Flaccus, Hamburg 1934, 95.

ხედვით წარმოგვიდგენს. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ასეთი ამბივალენტური შტრიხები მედეას ხასიათში მეტად საინტერესო სახეს ქმნის, ყოველივე ეს იმას ემსახურება, რომ უფრო მძაფრად აღვიქვათ შეყვარებული მედეას გრძნობები.

ამ პატარა ინტერმეცოს შემდეგ ფლაკუსი კვლავ იმ ხაზს აგრძელებს, რომ მედეა, უპირველეს ყოვლისა, ჯადოქარი და ყველაფერზე წამსვლელი ქალია, სოლის ტაძარზე გამოსახული ერთ-ერთი სურათი სწორედ ამას ცხადყოფს; აქ აღბეჭდილია ის ამბები, რაც კორინთოსში დატრიალდება (5. 442-451); შევნიშნავთ, რომ ამ სურათების არსი შეუცნობელია კოლხებისათვის და თვალს არიდებენ მას, ვერც იასონი ჩაწვდება მათ არსს დარბაზის დათვალიერებისას. რომაელი ეპიკოსი მედეას სახის ინტენსიფიკაციას სკვითების კატალოგშიც ახდენს. ნუსხაში დასახელებული პირველივე სარდალი, ანავსისი მედეათია დაინტერესებული, მტრულად არის განწყობილი აიეტის მიმართ, რადგან მეფე ალბანელ სტირუსს შეჰპირდა მედეას ცოლად. მედეა ასევე ფიგურირებს კატალოგის ნუსხაში ბოლო სარდლის, კოასტესის ექსპონირებისას. კოასტესს, რომელიც თვითონაც ჯადოქარია, განსაკუთრებით აინტერესებს კოლხი ქალწული სტიგეური ხელოვნების ცოდნის გამო.

მედეას სახის შტრიხების გამოსაკვეთად და კიდევ უფრო მეტი ინტრიგისათვის ვალერიუს ფლაკუსს ისეთი ნოვაციები შემოაქვს პოემაში, რაც უცხო იყო ელინისტი მწერლისათვის. პოემის ის ნაწილი, რომელზეც ჩვენ ქვემოთ შევაჩერებთ ყურადღებას, კარგად დაწერილი დრამატული სცენარივით იკითხება. კერძოდ, როდესაც სიტუაცია ჩიხში შედის, კოლხები ომში დიდ დანაკლისს განიცდიან და იასონს საფრთხე ემუქრება, იუნო გამოსავალს ეძებს; იგი ხვდება, რომ მედეა არის ერთადერთი, ვისაც იასონის ხსნა შეუძლია. მხოლოდ აიეტის ასული ფლობს მაგიურ ძალებს და, რაც მთავარია, ამას ემატება მისი მზადყოფნა, არ შეუშინდეს ბოროტმოქმედებას nullum mente nefas, nullos horrescere visus (6. 453).

ამ მიზნით პოემაში იასონის შემწე ქალღმერთები ტრანსფორმირებული სახით წარმოგვიდგებიან. აუცილებელი გახდა ორი ჩარევა, მედეა საჭირო კონდიციამდე რომ მისულიყო. პირველი, როცა იუნო-ქალკიოპე ვენუსის ქამარს შემოარტყამს მედეას (6. 668), რაც საკმარისი არ აღმოჩნდება, ამიტომ საქმეში თვით ვენუსი-კირკე ერთვება. შესაბამისად, თუ აპოლონიოს როდოსელთან ქალკიოპე და კირკე აქტიურად მოქმედებენ, აქ ისინი ფუნქციას მოკლებულნი არიან. ძირითადი აქცენტი ქალღმერთებზეა გადატანილი.

ჩვენთვის საინტერესო სცენების გარდა, აღსანიშნავია, რომ ვენუსი მანამდეც გვხვდება ტრანსფორმირებული სახით, კერძოდ, იგი მიიღებს ერთ-ერთი ლემნოსელი ქალის, დრიოპეს სახეს და ისე აღაგზნებს ლემნოსელ ქალებს, დახოცონ თავიანთი ქმრები. ვენუსი ორივე შემთხვევაში ფურიის ფუნქციებს ითავსებს, მისი ატრიბუტიკაც ამაზე მიუთითებს. დოროთე ელმი, განიხილავს რა ვენუსისა და ფურიების წარმოსახვის ტრადიციას, აღნიშნავს: In den Argonautica wiederum sei das Wirken der Venus, der Juno und der Furien fast ununterscheidbar.[238]

ახლა განვიხილოთ ჯერ იუნოს და შემდეგ ვენუსის გარდასახვები. აქ მედეას სხვა კუთხით დავინახავთ: არის ის ქალღმერთების ინტრიგის მსხვერპლი, თუ ნებაყოფლობით ეხმარება იასონს, იძულებით მოქმედებს თუ დამოუკიდებლად. რამდენადაც ეს პასაჟები დეტალურად არის გამოკვლეული ულრიხ ეიგლერისა და ატილა ფერენცის შრომებში, აქ მხოლოდ ძირითად მომენტებს გამოვყოფთ.[239]

იუნოს გარდასახვა – იუნო / ქალკიოპე (6. 439 – 7. 152)

იუნო მოკავშირეობას სთხოვს ვენუსს, მიიღებს მისგან სარტყელს და ქალკიოპედ გადაქცეული მიდის მედეასთან, იხმობს მას ქალაქის კედლებთან, სადაც ჩანს, თუ როგორ იბრძვიან ვაჟკაცები (6. 477-487)[240] და სწორედ ამ დროს ქალწულს სარტყელს შემოაკრავს წელზე. თუ მანამდე დანაკარგს კოლხები და არგონავტები განიცდიდნენ, მედეას გამოჩენისას სურათი იცვლება, წარმატება ახლა მათ მხარეზეა, იუნო-ქალკიოპე ზრუნავს იმაზე, რომ იასონი უზადო სარდლად და მეომრად წარსდგეს კოლხი ქალწულის წინაშე (6. 575 შმდ.). შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ იასონი უმალვე იპყრობს აიეტის ასულის ყურადღებას, იუნო ძალას არ იშურებს ესონიდის კეთილშობილების, ძლევამოსილების და სიმამაცის წარმოსაჩენად. იუნო-ქალკიოპე მხოლოდ მას შემდეგ ტოვებს მედეას, როცა მიიჩნევს, რომ ვენუსის სარტყელის ზემოქმედებით სასურველი მიზანი მიღწეულია. მართლაც, მედეა ქალკიოპეს წასვლის შემდეგაც

[238] D. Elm, Venus und die Tradition der Furiendarstellung, *ROV*, München, 1998, 256: „ფლაკუსის არგონავტიკაში ვენუსის, იუნოს და ფურიების მოქმედება თითქმის არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებს“. ელმი თავის მხრივ იმოწმებს ჰარდის, რომელიც ასკვნის, რომ ვალერიუს ფლაკუსი თავისი ვენუსის კონცეფციის საფუძველზე „ენეიდის“ შეფარულ ანალიზს აწარმოებს: ვალერიუსი შეუპირისპირებს ფურორს, რომელსაც „ენეიდის“ მეორე ნაწილში ალექტო იწვევს, სიყვარულის ვნებას, რომლის მიზეზიც ვენუსია, ibid. 257.

[239] U. Eigler, Medea als Opfer – Die Götterintrige im VII. und VIII. Buch der Argonautica (VII 1 – VIII 67), *ROV*, Hildesheim, Zürich 1991, 155-172; A. Ferenczi, Medea – eine Heldin, *ROV*, München 1998, 337-346.

[240] დაწვრილებით იუნოს როლზე ფლაკუსის ეპოსში იხ.: W. Schubert, Socia Iuno. Zur Gestalt der Götterkönigin in Valerius Flaccus' Argonautica, Hildesheim, Zürich 1991, 121-137.

რჩება მშობლიურ კედლებთან და თვალს ადევნებს ბრძოლას, რაც მას უკვე იმდენად აღარ ჰგვრის სიამოვნებას, რადგან შიში იპყრობს იასონის გამო. იგი მხოლოდ ბრძოლის დასასრულისას ბრუნდება საკუთარ თალამოსში (6.753-4).

ვენუსის და იუნოს მიზანი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს, თუმცა, როგორც მოგვიანებით განვითარებული მოვლენები მოწმობენ, საჭირო გახდება კიდევ ერთი „ინტერვენცია“.

მართალია, იასონის სიტყვა, რომელსაც ის წარმოთქვამს აიეტის მრისხანე დავალების საპასუხოდ (7. 89-100), შთაბეჭდილებას ახდენს მედეაზე და კიდევ უფრო უმძაფრებს გრძნობებს, თუმცა მაინც მერყეობს, გადაწყვეტილებას ვერ იღებს (7. 101-152), უფრო მეტიც, ეგუება იმ აზრს, რომ იასონი სამშობლოში უნდა დაბრუნდეს (7. 139). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ იუნო ამ ეტაპზე ვერ ახერხებს ქურუმი ქალის გარდაქმნას შეყვარებულ ქალად; რეალურად, ალბათ, ჯერ არც არსებობს ამისი მოტივაცია, რადგან ამ მომენტში არგონავტებს თვითონ შეუძლიათ გაუმკლავდნენ საფრთხეს და მედეას დახმარება ამ შემთხვევაში ნაკლებად სჭირდებათ. იუნო ხედავს მედეას მერყეობას და ახალ ფანდს მიმართავს. მიდის ვენუსთან და სთხოვს, გაუმძაფროს კოლხ ქალწულს გრძნობები, ისე რომ მან დაუყოვნებლივ, აუღელვებლად, ცივი გონებით დატოვოს მამისეული სახლი და ნებისმიერი უბედურებისგან დაიცვას მისი საყვარელი იასონი (7. 159-170).

მას შემდეგ რაც ვენუსი მედეას სიახლოვეს აღმოჩნდება, შეიძლება ითქვას, რომ მედეას სულიერ მდგომარეობაში ახალი ფაზა იწყება. თუ მანამდე მედეა საკუთარ თავს ესაუბრება და ჯერ კიდევ შერჩენია საღი გონება, რეალურად შეაფასოს სიტუაცია, ვენუსის სიახლოვეს აღმოჩენა მას სხვა აზრებს შთააგონებს, მისი წარმოსახვითი თანამოსაუბრე ახლა იასონია (7. 198-209). ამ სიტყვაში ჩანს მისი უმწეობა; მას არ ძალუძს რამით დაეხმაროს იასონს, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ იასონს სძულს ყველა და მათ შორის მედეაც. თუმცა თავს იმით ინუგეშებს, რომ, როცა იასონი დავალების შესრულებისას აღესრულება, მისი სხეულის ნარჩენებს მოაგროვებს და დაკრძალავს. მისი წმინდა მოვალეობა იქნება, სიყვარული გამოავლინოს გმირისადმი და მის საფლავზე იზრუნოს. ვენუსის საქმეში ჩართვის შემდეგ კი, მედეა უკვე აშკარად აღარ არის ასეთი უმწეო;[241] იგი ყველაფერზე წავა იასონის დასახმარებლად.

---

[241] საინტერესოა, რომ ვენუსი იღებს არა ქალკიოპეს, არამედ კირკეს სახეს. მედეა ვირტუალურ მიმართვაში იასონისადმი ახსენებს, რომ იგი ვერ იხილავს იასონს სიცოცხლის ბოლოს, რადგან

ახლა ვნახოთ, თუ როგორ იცვლება მედეას სულიერი მდგომარეობა ვენუსის გამოჩენის შედეგად

ვენუსის გარდასახვა – ვენუსი / კირკე (7. 153-399)

ვენუსის უშუალო ჩარევამდე მედეა მაინც ახერხებს თავის მოთოკვას. ფლაკუსი ზედმიწევნით გადმოგვცემს აიეტის ასულის სულიერ მდგომარეობას მის მონოლოგში: მედეა შეყვარებულია (amanti, 7. 3); იგი აკვირდება საკუთარ თავს (pervigil), შეიგრძნობს თავის სურვილს (volens), თუმცა ვერ შეიცნობს მოტივს (casu, errore): nunc ego quo casu vel quo sic pervigil usque / ipsa volens errore trahor? (7. 9-10). როგორც კი უახლოვდება ვენუსი-კირკე მედეას, მას სევდა იპყრობს (maeret 197), გამუდმებით ფიქრობს იასონზე. მედეაზე ვენუსის სიტყვები მიზანმიმართულად მოქმედებს. ვენუსი-კირკე პირდაპირ საქმეზე გადადის (7. 223-236); ეუბნება, რომ მედეა არის მისი მოსვლის მიზეზი. მას ბევრი ხელისმთხოვნელი ეხვევა გარს, გადაწყვეტილებაც სწორი უნდა მიიღოს. იმისათვის, რომ მედეა ადვილად შეელიოს სამშობლოს, ქალწულს მშობლიური მხარის დატოვების მიმართ თავის დამოკიდებულებას გააცნობს: „შენ სამშობლოს უწოდებ, სადაც დღე გითენდება (7.228-9), მე კი არაფერი დამრჩენია აქ, ღმერთები ყველა ცოცხალი არსებისათვის სამყაროს ყველა მხარეში საერთოა“ (227-8). ამის მერე გადადის საკითხზე, სადაც კოლხების და სკვითების უარყოფით მხარეებზე მსჯელობს: „მე აქ დიდხანს ვერ დავრჩები, მეც მაქვს უფლება და შენც, დავტოვოთ დაუმორჩილებელი კოლხები“ (non habiles...Colcos, 7.231). კონტრასტისათვის აღუწერს თავის უპირატესობას: „ახლა ვარ პიკუსის ცოლი, ავსონიელი მეფის. იქ არ მაშინებს ცეცხლისმფრქვეველი ხარების ველი. მე ვარ ტუსკიური ზღვის ქალბატონი, შენ კი, საბრალოვ, მხოლოდ სავრომატები გყავს ხელის მთხოვნელნი. ვაი! ვის მიჰყვები, ველურ იბერს? გელონს, რომლებიც ერთ ცოლს არ სჯერდებიან“. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ფლაკუსისეული ირონია: როგორც ვიცით, არც კირკეს მიერ ნაქები იასონი დასჯერდა ერთ ცოლს.

ვენუსი მიზნის მისაღწევად არ ერიდება ტყუილს და მედეას სხვათა შორის უყვება ამბავს, რომ მასთან მომავალს გზად შეხვდა სარდალი, ანუ იასონი, რომელსაც იგი მედეას მსახური გოგონა ეგონა და რომელმაც შემწეობა ითხოვა

იძულებულია მკაცრი დის გვერდით იმყოფებოდეს (7.201-202). ალბათ, ამიტომაც იუნო გადაიფიქრებს, კვლავ ქალკიოპეს სახით რომ გამოეცხადოს მედეას და ვენუსთან მიდის დასახმარებლად (7. 155).

ზღვაზე მგზავრობის დროს; მხოლოდ მედეაა მისი ხსნისა და გადარჩენის ერთადერთი იმედი (7.257-283).

ასეთი სიტყვის შემდეგ მედეა მორალურად გატყდა, ის, რაც აკავებდა ნაბიჯის გადასადგმელად, ვენუსის „სეანსის“ შემდეგ დაძლეული აღმოჩნდა. მედეა დახმარებას სთხოვს კირკეს, გამოუტყდება გრძნობებში (7.238-250). ვენუსი ბოლომდე მასთანაა, ვიდრე იასონს არ შეახვედრებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, აიეტის ასული მაინც ენით აღუწერელ ტანჯვას განიცდის, ისე რომ, გადაწყვეტს, საწამლავი დალიოს, თუმცა ქალღმერთისავე ძალისხმევით, როდესაც ამ ქვეყნისაგან განშორების მომენტი დაუდგება, სულ სხვაგვარად შეხედავს სიცოცხლეს. კიდევ ერთხელ გაიაზრებს მედეა, რაც შეიძლება მის მოქმედებას მოჰყვეს შედეგად: აქ გამოკვეთილია ყველაფერი ის, რაც ასე მნიშვნელოვანია მედეასთვის: ახალგაზრდობა, იმის ვერ ხილვა, თუ როგორ დაკაცდება აბსირტუსი, იასონის უსუსურ მდგომარეობაში დატოვება, რადგან მისი ხსნა მედეაზეა დამოკიდებული (7.338-343). მედეა ცვლის გადაწყვეტილებას, ემორჩილება ხვედრს. მისი სურვილი იქნებოდა, იასონს მანამდე შემთხვეოდა უბედურება, ვიდრე აქამდე მივიდოდა საქმე (344-346). მედეა მაინც ვერ იღებს დამოუკიდებლად საბოლოო გადაწყვეტილებას და ისევ ვენუს-კირკეს მიანდობს საკუთარ ბედს: „შენ, როგორც უფროსს, გითმობ და დავყვები შენს ნებას როგორც უმცროსი“ (347-349). თუმცა, მას შემდეგ, რაც მედეა პრომეთეს სისხლიდან აღმოცენებულ ყვავილს მოიპოვებს და იასონის დასახმარებლად მიემართება ვენუსთან ერთად, იგი მაინც გრძნობს სინდისის ქენჯნას, კიდევ ერთხელ სურს დასტური მიიღოს ვენუსისგან, რომ სწორად იქცევა: „თვითონ იასონი მთხოვს, მემუდარება თვითონ? არ არის ეს დანაშაული, ზიანს არ აყენებს წესიერებას, არ გამკიცხავენ უცხო კაცის ნებას რომ დავყვე?“ (7.385-388), – ეკითხება იგი კირკეს.

ჰ. ჩიდლი შენიშნავს, რომ მედეას საქციელი, შესაძლოა, შევაფასოთ როგორც nolens sequor „არ მსურს, მაგრამ ვემორჩილები“ და კონტრასტისათვის მოიხმობს აპოლონიოს როდოსელს, სადაც მედეა დამოუკიდებლად მოქმედებს. იქ აიეტის ასული თავს სიხარულით ირთავს იასონთან შესახვედრად (III 828ff.), ყველაფერს თვითონ გეგმავს (890-911), მომავალზე არც კი ფიქრობს (835ff.), თვითონ მართავს ეტლს (871), დაუფიქრებლად გადასცემს იასონს ჯადოსნურ საშუალებას (1013ff.). ჩიდლი დაასკვნის, რომ მედეა არის დამნაშავე და

მსხვერპლი ერთდროულად (Sie ist Täter und Opfer zugleich).[242] ამასვე ეხმიანება ოვიდიუსის მეტამორფოზების მედეა თავისი ფრაზით Video meliora proboque / deteriora sequor (7, 20f.) „რაც კარგია, ვიცი, ვადიდებ, ცუდს კი ვესწრაფვი“.

იმისათვის რომ ფლაკუსის მედეაზე სრული შთაბეჭდილება შეგვექმნას, საჭიროა დეტალურად განვიხილოთ იასონისა და მედეას შეხვედრის სცენები. თუ მათ სადიალოგო პარტიებს დავუკვირდებით, ასეთი სურათის მოწმენი გავხდებით: იასონის პარტიები მოიცავს 36 სტრიქონს, მედეასი – 40 სტრიქონს. სიტყვების თანმიმდევრობა ასეთია: საუბარს იწყებს იასონი 17 სტრ. (413-430), ამას მოსდევს მედეას სამი სიტყვა (437-449+452-55, 467-472, 477-487), იასონის მეორე სიტყვა 18 სტრ. (490-508), მედეას მოკლე სიტყვა 5 სტრ. (516-521), იასონის 1 სტრიქონიანი შეკითხვა (529), მედეას საბოლოო სიტყვა 5 სტრ. (532-537). ამდენად, ამ სცენაში მათი პარტიების საერთო მოცულობა დაახლოებით ერთნაირია, შესაბამისად, დიალოგში ისინი თანაბარი ხვედრითი წილით წარმოგვიდგებიან.

მედეას შეხვედრისას სურს, რომ პირველად საუბარი იასონმა დაიწყოს, რათა შეიტყოს, თუ რას სთავაზობს იასონი და ამის მიხედვით ააგოს მსჯელობა. იასონი, რომელიც ჯერ არ არის დარწმუნებული მედეას მზადყოფნაში, დაეხმაროს მას, სთხოვს კოლხ ასულს, მამამისივით შეუბრალებელი ნუ იქნება. არწმუნებს, რომ იგი უდანაშაულოა და დაუმსახურებლად ისჯება აიეტის მიერ (415-418), თან შეახსენებს იმას, რომ აიეტს სამსახური გაუწია, რომ ხელიდან გამოეცალა საუკეთესო მეომრები, კანთუსი და იფისი, ამ სამსახურისათვის აიეტს უნდა გაეშვა მშვიდობით იასონი და საზღაური მიეცა მისთვის, ამის მაგივრად კი ის ახალ დავალებას აძლევს (422-427). აქ იასონი ქალწულის გრძნობებზე თამაშს იწყებს, ჯერ ამბობს „ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა მეც მოვკვდე“ (427-428), თუმცა მერე დარწმუნებით დასძენს: „ერთი გარდაუვალია: არ მოვკვდები, არასოდეს წავალ აქედან საწმისის გარეშე“ (428-429).

იასონის მოკრძალებული თხოვნის შემდეგ, მედეა კვლავ სირცხვილის გრძნობით არის შეპყრობილი, არ იცის, რითი დაიწყოს, რა თქვას: ფლაკუსი საკმაოდ ოსტატურად აგებს მედეას სიტყვას. აქ ნაჩვენებია მედეას ხასიათის ერთგვარი გრადაცია მორცხვი ქალწულიდან უცხოელით მოხიბლული ქალის მზადყოფნამდე, მას საკუთარი სიცოცხლე ანაცვალოს. მედეას პარტია რამდენიმე ნაწილად ვითარდება და თითოეულ ამ ნაწილს შეგვიძლია ვუწოდოთ გარკვეული ნაბიჯი იასონის კეთილგანწყობის ან საპასუხო გრძნობის მოპო-

[242] H. J. Tschiedel, Medea – Zauberin und Liebende, *ROV*, Hildesheim, Zürich 1991, 172.

ვების გზაზე. ეს ნაწილები ერთმანეთისაგან გამოიყოფა ნარატიული ჩანართებით ან იასონის ამ ერთგვარ მონოლოგში ჩართვით. შევეცადოთ, ამ თვალსაზრისით მოვახდინოთ მედეას სიტყვის ანალიზი და ვნახოთ, თუ რა არსებით განსხვავებას გვიჩვენებს იგი აპოლონიოს როდოსელთან დადასტურებული შესაბამისი სცენისგან.

437-449 სტრიქონები შეიძლება მედეას სიტყვის ერთგვარ პროოიმიონად გავიაზროთ, სადაც აიეტის ასული იასონს არწმუნებს იმაში, რომ იგი მის ანაბარაა დარჩენილი:

'quid, precor, in nostras venisti, Thessale, terras?
unde mei spes ulla tibi tantosque petisti
cur non ipse tua fretus virtute labores?
nempe ego si patriis timuissem excedere tectis
occideras, nempe hanc animam cras saeva manebant
funera. Iuno ubi nunc, ubi nunc Tritonia virgo,
sola tibi quoniam tantis in casibus adsum
externae regina domus? miraris et ipse,
credo, nec agnoscunt hae nunc Aeetida silvae.
sed fatis sum victa tuis. cape munera supplex
non mea teque iterum Pelias si perdere quaeret
inque alios casus, alias <si> mittet ad urbes,
heu formae ne crede tuae!'

452-455 ამ სტრიქონებში მედეა სთავაზობს იასონს აბსოლუტურად უპერსპექტივო შანსს, საკუთარი ძალებით გადალახოს წინააღმდეგობები. და თან გამოხატავს სურვილს, როგორმე აიცილოს თავიდან დანაშაულზე პასუხისმგებლობა. თუმცა ის, რომ მედეას პასუხისმგებლობის თავიდან აცდენის ეს ცდა ასევე უპერსპექტივოა, ჩანს ბუნების მოვლენების აღწერით, რის შემდეგაც მედეა უკვე მომზადებულ ბალახს გადასცემს იასონს. და ამას მოსდევს მისი რაციონალური პრაქტიკული რჩევების შემცველი სიტყვა (467-472):

'nunc age et has' inquit 'cristas galeamque resume
quam modo funerea tenuit Discordia dextra.
hanc iace per medias, cum verteris aequora, messes.
protinus in sese conversa furoribus ibit
cuncta phalanx atque ipse fremens mirabitur et me

respiciet fortasse pater.'

მას შემდეგ, რაც მას აქვს ხილვა იმისა, თუ რა მოხდება მომავალში, იგი იასონს მიმართავს სიტყვებით, რომლებშიც უკვე ჩანს მზადყოფნა, უცხოელის გულისთვის საკუთარი სიცოცხლე დათმოს (477-487):

'sis memor, oro, mei, contra memor ipsa manebo,
crede, tui. quantum hinc aberis, dic quaeso, profundi?
quod caeli spectabo latus? sed te quoque tangat
cura mei quocumque loco, quoscumque per annos
atque hunc te meminisse velis et nostra fateri
munera, servatum pudeat nec virginis arte.
ei mihi, cur nulli stringunt tua lumina fletus?
an me mox merita morituram patris ab ira
dissimulas? te regna tuae felicia gentis,
te coniunx natique manent; ego prodita abibo
nec queror et pro te lucem quoque laeta relinquam.'

აქ იასონი პირველად ერთვება დიალოგში და მისი სიტყვები სავსებით ლოგიკურად ეხმიანება მედეას მზადყოფნას, თავი გასწიროს იასონის გულისთვის. იასონს შეუძლია ქალის გულის მოლბობა მხოლოდ იმის დაპირებით, რომ ცოლად მოიყვანს (490-508):

'tune' ait 'Aesoniden quicquam te velle relicta
credis et ulla peti sine te loca? redde tyranno
me potius, recipe ingratos atque exue cantus!
quis mihi lucis amor? patriam cur amplius optem
si non et genitor te primam amplectitur Aeson
teque tuo longe fulgentem vellere gaudens
spectat et ad primos procumbit Graecia fluctus?
respice ad has voces et iam, precor, adnue, coniunx.
per te, quae superis divisque potentior imis,
perque haec, virgo, tuo redeuntia sidera nutu
atque per has nostri iuro discriminis horas:
umquam ego si meriti s<im> noctis <et> immemor huius,
si te sceptra, domum, si te liquisse parentes
senseris et me iam non haec promissa tuentem,

tum me non tauros iuvet evasisse ferosque
terrigenas, tum me tectis tua turbet in ipsis
flamma tuaeque artes. nullus succurrere contra
ingrato queat et siquid tu saevius istis
adicias meque in medio terrore relinquas.'

ძირითადი გარდატეხა უკვე მომხდარია. მედეამ მიიღო იასონისგან გარანტია ცოლად მოყვანის თაობაზე და ამის შემდეგ იგი უკვე უკონკრეტებს იასონს იმას, თუ რა დაბრკოლებების გადალახვა ელის წინ და თუ როგორი შეიძლება იყოს ამ პროცესში მედეას როლი (516-521).

'accipe perdomitis quae deinde pericula tauris
et quis in Aeolio maneat te vellere custos.
nondum cuncta tibi, fateor, promissa peregi.
saevior ingenti Mavortis in arbore restat,
crede, labor. quem--tanta utinam fiducia nostri
sit mihi nocturnaeque Hecates--<. 521a
. . . .> nostrique vigoris.'

დრაკონის შემზარავი ხმა ახსენებს მედეას, თუ რა არის ყველაზე უკანასკნელი და საშინელი დაბრკოლება ოქროს საწმისის მოპოვების გზაზე და თავისი რჩევითა და უკანასკნელი ემოციური არგუმენტაციით, ოღონდ იასონმა შეძლოს ამ დაბრკოლების დაძლევა და მზად არის თუნდაც მოკვდეს მედეა, ფაქტობრივად, საბოლოოდ არწმუნებს იასონს იმაში, რომ მან თავისი პირობა შეასრულოს.

ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა აიხსნას ის, რომ ერთმანეთს ენაცვლება შეყვარებული, შეშინებული, თვითმკვლელობაზე წამსვლელი გოგონა და ძლევამოსილი, შიშისმომგვრელი ჯადოქარი. როგორც ჰ. ჩიდლი მიიჩნევს, ამას ფლაკუსი განზრახ აკეთებს, რათა კონტრასტი მეტად შესაგრძნობი იყოს და რაც შეიძლება გამომსახველობითი იყოს სიყვარულის ძლიერება, რომელიც ყველაფერს ამარცხებს. თვით ისეთი ჯადოქარიც კი, რომელიც ყველას შიშს გვრის, სიყვარულის წინაშე უძლურია. Die reinigende und verwandelnde Kraft des Eros entkleidet Medea ihrer Dämonie, nimmt ihr alle bedrohliche Überlegenheit und reduziert sie auf

bloße Menschlichkeit.[243] ამასვე ეხმიანება ჰულის მოსაზრება: Erst in dieser Menschlichkeit kann Medea leiden und tragische Züge annehmen.[244]

ქალღმერთების ძალისხმევის მიუხედავად, მედეას არ ტოვებს იმის განცდა, სწორად იქცევა თუ არა. როდესაც კოლხიდიდან მიდის, მას მარტოობის შეგრძნება იპყრობს და არ ასვენებს სინანულის გრძნობა: ...quamquam Haemoniis cum regibus iret / sola tamen (8. 205-6)[245]. მედეას თვალებზე აქვს აფარებული მოსასხამი ცრემლების დასამალად ...in lumine palla / flebat adhuc (204-5).

კიდევ ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: მედეას სადი აზროვნების უნარი რომ არ დაუკარგავს, ამაზე ეს ფაქტიც მეტყველებს: როგორც კი ამჩნევს იასონში მერყეობას, მას თავდაცვის ინსტიქტი კარნახობს, უმალვე მიიღოს ზომები. თუ აპოლონიოს როდოსელთან მედეას კოლხებისათვის გადაცემის საქმეს მეფე ალკინოოსი წყვეტს, აქ იასონს უწევს გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, ის არის ერთადერთი, ვისაც პასუხი შეიძლება მოსთხოვოს მედეამ. იასონი თავის მხრივ, რთულ სიტუაციაშია: მან, ერთი მხრივ, უნდა გაითვალისწინოს მეგზურების (sociis, 404) აზრი და, მეორე მხრივ, დაიცვას მედეასთვის მიცემული პირობა. ესონიდს სიკვდილი ურჩევნია თავისი ცხოვრების მეგზურის საფრთხეში ჩაგდებას (...mortemque cupit sociamque pericli / cogitat, 8. 403-4), მაგრამ ერთი ცხადია, რომ მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და განაჩენი გამოაქვს თანამგზავრების სასარგებლოდ. აქ ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებასაც, აპოლონიოს როდოსელისგან განსხვავებით, როდესაც იასონი გადაწყვეტს, თავისი განაჩენი აუწყოს მინიებს, ქარიშხალი წყნარდება, ანუ არგონავტებს შესაძლებლობა მიეცემათ გაემგზავრონ, შესაბამისად, ისინი აღარ გამოთქვამენ მედეას გამო უკმაყოფილებას და არც იასონი არ არის იძულებული მედეას საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. თუმცა მედეას თვალს არაფერი გამო-პარვია (...ipsam interea quid restet amantem / ignorare sinunt decretaque tristia servant, 8. 406-407), ქალწული, რომელიც აქამდე სირცხვილის გრძნობით იყო სავსე, ივიწყებს ყველაფერს და შეურაცხყოფილი ქალის პოზიციიდან ესაუბრება იასონს (8.415-444). აქ იგი ლაპარაკობს შელახულ ღირსებაზე და რაც მთავარია იმაზე, რომ მას აქვს უფლება იცოდეს, რა ხდება მის თავს (...consultaque vestra / fas audire mihi,

---

[243] H. J. Tschiedel, Medea – Zauberin und Liebende, *ROV*, Hildesheim, Zürich 1991, 218-219.

[244] K. W. D. Hull, Medea in Valerius Flaccus's Argonautica, in: Proceedings of the Leeds Philos. and Lit. Society, Lit. and Rhet. Section 16, 1, 1975, 21.

[245] „მიუხედავად იმისა, რომ ჰემონიელ სარდლებთან ერთან მიემგზავრებოდა, მაინც სიმარტოვეს გრძნობდა“.

418-9). მედეა იასონის თავმოყვარეობაზე თამაშობს: მას მოიხსენიებს როგორც ყველაზე ერთგულ მეუღლეს (fidissime coniunx, 8. 419), მოუწოდებს არ გატეხოს ფიცი, რადგან იგი პასუხისმგებელია არა მეგზურების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მის წინაშე (...scis te mihi certe, / non socios iurasse tuos, 422-3). თუ მანამდე მედეა იმაზე ფიქრობდა, რომ იასონს თავი უხერხულად არ ეგრძნო ქალის მიერ გაწეული სამსახურის გამო, ამჯერად დაუნდობელია და სურს, მაქსიმალურად დაამციროს და შელახოს მისი ღირსება: „შეგაშინა ომმა ჩემს ძმასთან, მამაჩემის ხომალდებმა“ (427), „თავს დამარცხებულად გრძნობ, უფრო ძლიერი მტრის საფრთხეში“ (428). და აქ იგი უკვე გადადის თავისი დამსახურებების ჩამოთვლაზე, რათა კიდევ უფრო მძაფრად შეაგნებინოს იასონს, რომ მისი დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა რთული დავალებების შესრულებას. მედეა სულ რამდენიმე სიტყვით ცხადყოფს თავის ამჟამინდელ დამოკიდებულებას იასონისადმი, რომ იგი ისეთი ძვირფასი აღარ არის მისთვის, როგორც ადრე ...mene, optime quondam / Aesonide (8. 441-2). და მაინც, მედეა თითქოს თავს იმართლებს, განა სამართლიანი არ არის მისი საქციელი, პასუხი მოსთხოვოს იასონს (...me ferre preces et supplicis ora / fas erat, 442-3).[246] სწორედ ეს შტრიხი განასხვავებს ფლაკუსის მედეას აპოლონისეული მედეასგან. ელინისტ პოეტთან კოლხი ასული ამ მომენტში უფრო კატეგორიულია და მრისხანე, ფლაკუსთან კი მისი ხასიათის შტრიხები, შეიძლება ითქვას, უფრო რელიეფურად არის წარმოჩენილი.

ცალკე უნდა განვიხილოთ მედეას აიეტისადმი დამოკიდებულება. კოლხთა მეფე რომ მედეათი „სპეკულირებს“, ცხადად ჩანს ჯერ კიდევ მესამე წიგნში, სადაც იგი ასულს ცოლად ჰპირდება ყველას, ვინც მოკავშირეობას გაუწევს Aeetes contra thalamis et virgine pacta / conciliat reges Scythicos primusque coacta (3. 495-6). მედეას დაუკითხავად გადაწყვეტს, იგი ალბანელ უფლისწულს მიათხოვოს. მიუხედავად ამისა, მედეას მის მიმართ კრძალვა და შიში აქვს (8. 51-52); ყოველთვის, როცა უცხოელის დახმარებას გადაწყვეტს, მამაზე ფიქრობს. საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის მერეც, იგი მამას მოიხსენიებს უსაზღვრო მოწიწებით. თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში იგი მხოლოდ მამას ახსენებს: „რომ მომხვეოდი ათასჯერ უკანასკნელად, მამა აიეტ, მაშინ როდესაც მივდივარ,

---

[246] აპოლონიოს როდოსელთან მედეას გასაკიცხი სიტყვა 35 სტრიქონს მოიცავს (IV 355-390); ვიდრე იასონი მედეასთვის არასაკეთილდღეო გადაწყვეტილებას მიიღებდეს, კოლხი ქალწული მანამდე გადადის იერიშზე და კიცხავს. იგი აფექტურ მდგომარეობაშია, სურს ყველაფერი გადაწვას და თვითონაც ცეცხლს მისცეს თავი.

და გენახა ჩემი ცრემლები, დამიჯერე, მამა, მე ის შენზე მეტად არ მიყვარს, ვისაც მივყვები, დე, მალე ზღვის ტალღებში დავინთქე, შენ მშვიდად და დიდი ხნით იმეფე, ახლა, ამას გთხოვ, იხარე შენი სხვა შვილებით" (8.10-15). იმდენად დიდია მამის წინაშე მისი შიში და კრძალვა, რომ უკვე მეორედ გადაწყვეტს საწამლავის მიღებას (8.17-19). ასევე აღსანიშნავია, რომ მაშინაც კი, როდესაც იასონს გამკიცხავ სიტყვას ეუბნება, მხოლოდ მამის რეაქცია აინტერესებს, მხოლოდ მისი რცხვენია: „მამა აღარ დაიჯერებს, რომ მე ჩემი დანაშაულისათვის ვისჯები და დამოკიდებული ვარ" (...haud hoc nunc genitor putat – aut dare poenas / iam sceleris dominumque pati? 8. 443-4).

მას შემდეგ, რაც მედეა დაეხმარება იასონს დავალებების შესრულებაში, გადასცემს მალამოს და ასწავლის, თუ როგორ გაუმკლავდეს მიწიდან აღმოცენებულ მეომრებს, მიაძინებს დრაკონს და საწმისს გაატაცებინებს იასონს, ასეთ ფრაზას წარმოთქვამს: „იმედია, ყველაფერი შევასრულე, რაც უსამართლოა" (omne nefas, iam, spero, peregi, 8. 108). გათვითცნობიერებულმა მკითხველმა იცის, რომ მედეა კიდევ სხვა საშინელებებსაც ჩაიდენს. ამ ბოროტმოქმედებათა შესახებ ინფორმაცია რამდენიმე ადგილას პროლეპსების სახით გვხვდება პოემაში. შვილების მკვლელობაზე მიგვითითებს მედეას სიზმარი: mox stare paventes / viderat intenta pueros nece seque trementum / spargere caede manus et lumina rumpere fletu (5.338-340) „ის ხედავდა იქვე იდგნენ ბიჭები შეშინებულები მოსალოდნელი სიკვდილის წინაშე, მისი ხელები წაბილწული, რადგან ის კლავს მოცახცახეებს და თვალები ცრემლებით ევსება"; როდესაც იასონი და მედეა კ. პევკეზე იქორწინებენ, მოპსუსი ისურვებდა, რომ მას [მედეას] შვილები არასოდეს ჰყოლოდა (et tibi iam nullos optavit, barbara, natos, 8. 251).

გვხვდება ასევე მინიშნებები კრეუსას ხვედრის შესახებ: კ. პევკეზე ქორწილის დროს ვენუსი ახლადდაქორწინებულებს უძღვნის სამოსს ოქროს კანტით მოქარგულს და ორმაგ გვირგვინს, მარგალიტებს, რომელიც განკუთვნილია სხვა საპატარძლოს ალის მოსადებად (ipsa suas illi croceo subtegmine vestes / induit, ipsa suam duplicem Cytherea coronam / donat et arsuras alia cum virgine gemmas, 8. 234-236). შდრ. ასევე მოპსუსის მისნობა, სადაც კორინთოსში მომხდარ ამბებზეა მიშნიშნება (1. 224-226).

რაც შეეხება აბსირტუსის სიკვდილს, არის თუ არა ეს მედეას კიდევ ერთი nefas-ი, ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ დაწვრილებით ვილაპარაკებთ.

როგორია ფლაკუსის მედეა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში მედეასთან დაკავშირებული შედარებები დაგვეხმარება: როცა მედეა კედლებთან მიდის, იგი თეთრი შროშანია, რომელსაც გაზაფხულის ფერი დაკრავს და ხანმოკლე დროით ხარობს და ამ მცირე ხნის განამვლობაში განსაკუთრებულად ჰყვავის (6.492-495); ვენუსის სარტყელის შემოკვრის შემდეგ, როდესაც მედეა კვლავ საკუთარ თალამოსში ბრუნდება, განასახიერებს ბაკქ ქალებს ღამისეული როკვისას. ყველაფერზე წამსვლელ თიადებს, რომლებიც ღმერთთა გამოსახულებებს იტაცებენ. მსგავსად კოლხ ქალწულსაც არაფერი აღელვებდა, როდესაც შინისკენ მიდიოდა ბერძენთა ლაშქრის რიგებში და მშობლიურ რაზმებში, იგი მხოლოდ იასონზე ზრუნავდა, მხოლოდ მას ხედავდა, მის აღჭურვილობას, მის სახეს (6.755-60); მედეა ვენუსის მისვლამდე შედარებულია ორესტესს, ვენუსთან შეხვედრის შემდეგ კი პენთევსს, ბაკხუსის მიერ გაშმაგებულს, მასაც სულ ცოტა აკლია, რომ გრძნობის მორევმა დაიმორჩილოს.

აპოლონიოს როდოსელის მიერ „არგონავტიკის“ მესამე წიგნში წარმოდგენილი მედეას სახე უდავოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ფლაკუსი, შეიძლება ითქვას, მედეას ხასიათის შტრიხებს შედარებით მეტად რელიეფურად ხატავს, მასთან ეს პერსონაჟი რთული და მრავალწახნაგოვანია, ყველაზე მეტად თვალშისაცემია მისი ამბივალენტური ბუნება: მედეა ერთდროულად არის ჯადოქარიც და შეყვარებული ქალიც, ინტრიგის მსხვერპლიც და ბოროტმოქმედებაზე წამსვლელიც, სტანჯავს სირცხვილის გრძნობაც და ცნობისმოყვარეობაც. ყოველივე ეს ფლაკუსთან ისე ოსტატურად არის შეზავებული, რომ საქმე გვაქვს უდავოდ საინტერესო ფიგურასთან და, შეიძლება ითქვას, ისევე როგორც სხვა რიგ შემთხვევებში, თავისი ინდივიდუალური ხედვის წყალობით შეძლო საკუთარი, წინამორბედთაგან განსხვავებული მედეა წარმოედგინა ჩვენთვის. ასე რომ, ვფიქრობთ, თამამად შეიძლება მისი მედეაც აპოლონიოს როდოსელის, ევრიპიდეს, სენეკას მიერ შექმნილი ფიგურების გვერდით დავაყენოთ.

▣ აიეტი ▣

აპოლონიოს როდოსელთან აიეტის სხვა ეპითეტთა შორის ინტენსივობით გამოირჩევა ὑπερήνωρ „ზვიადი“, ὀλοός „მრისხანე“, ὑπερφιαλός „მეტისმეტად ქედ-

მაღალი“.[247] აქცენტი გაკეთებულია ძირითადად მის ძალ-ღონესა და სამეფო ძლევამოსილებაზე. ასეთია აიეტი ფლაკუსთანაც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას კოლხთა მეფე, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს როგორც ტირანი.

ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფლაკუსი აპოლონიოსისგან განსხვავებულ მოტივაციას უძებნის პელიასის დავალებას. პელიასი აიეტს ადანაშაულებს ფრიქსუსის მკვლელობაში (1.43ff.), რათა თავისი დავალების საფუძვლიანობა გაამართლოს. ანუ მკითხველს თავიდანვე საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება აიეტის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მას რეალურად ეს დანაშაული არ ჩაუდენია. ეს რომ ტყუილია, სოლის სიტყვიდანაც ჩანს (1.520-524). აიეტმა ფრიქსუსი არ უარყო, პირიქით, მმართველობაც უწილადა, ქალიშვილი მიათხოვა, ახლა ბერძენი მოდგმის შვილიშვილები ჰყავს და სურს ქალიშვილთა საქმროები უცხო ქვეყნიდან, ნათესაობრივი კავშირით ურთიერთობა გაამყაროს.[248] მართალია, აიეტს რეალურად არ მოუკლავს ფრიქსუსი, იგი მხცოვან ასაკში გარდაიცვალა კოლხიდაში (5.224-225), თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, როდესაც არგონავტების მისვლა მას საშინლად გააბრაზებს, ფიქრობს, უმჯობესი იყო საერთოდ არ მიეღო ფრიქსუსი და კარგი იქნებოდა, იმთავითვე დაღუპულიყო ზღვაში, როგორც მისი და ჰელე. ეს ყველაფერი მკითხველში კვლავ იმ ferus აიეტს ახსენებს და მისგან კარგს არაფერს მოელის.

როგორი მმართველია აიეტი?

მედეა მამის შესახებ უამბობს იასონს, რომ აიეტი სოლის ტაძარში უხუცესების რჩევებს ისმენს და ხალხის თხოვნებს შეისმენს rex feret, hic proceres audit populosque precantes / adloquiis facilis: praesens pater admonet aequi (5. 45-6). რამდენად შეესაბამება მედეას სიტყვები რეალობას? რამდენად ითვალისწინებს მეფე თავისი ხალხის და თუნდაც წარჩინებული მამების ან მისნების თხოვნასა და სურვილებს?

აიეტს არგონავტების კოლხიდაში მისვლამდე სიზმარში გამოეცხადება ფრიქსუსის აჩრდილი, რომელმაც მას გაფრთხილება praecepta (5.263) მისცა: მაშინ დაინგრევა შენი ხელისუფლება, როცა ოქროს საწმისს გაიტაცებენ. ამის გამო მედეა, რომელიც ჰეკატეს ემსახურება, უნდა ცოლად უნა გაყვეს ხელის მთხოვნელს, რომელსაც მოისურვებს, რათა ასული არ დარჩეს მამისეულ

[247] ფლაკუსთან მისი ეპითეტებია: ferus (1.43), Soligenae (5.223), Sole satus (5.263), perfida...corda (5.289), infando ... tyranno (7.87); მოიხსენიება როგორც Skythici...nati (1.503), Aeaei...tyranni (5.547).
[248] შდრ. 5.233-235.

სამეფოში (5.234-240). მეორე მხრივ, კოლხი ქურუმის მისნობა მოითხოვს უბედურების თავიდან აცილების მიზნით დამღუპველი საწმისის გაცემას, ავისმომტანი საწმისის ჰემონიაში გაგზავნას (5.261-262). აიეტი ამ ორი მისნობიდან ირჩევს ფრიქსუსის მისნობას (5.263). აქედან აიეტმა თავისთვის სასარგებლო დასკვნა გამოიტანა: იმისათვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, უნდა ფლობდეს საწმისს. ამიტომაც უგულებელყოფს კოლხი ქურუმის გაფრთხილებას (5.264). მისი ნახევარძმა პერსესი ცდილობს, აიეტი დაარწმუნოს, ქვეყნის ინტერესი დაიცვას და გასცეს ოქროს საწმისი. ძმები ვერ თანხმდებიან. ომი გარდაუვალია.

აიეტი ერთი შეხედვით ჭკვიანი მმართველია: ომისთვის მოკავშირეებს კრებს იმ პირობით, რომ მედეას მიათხოვებს Aeetes contra thalamis et virgine pacta / conciliat reges Scythicos primusque coacta (3. 495-6). თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებას, მედეა ალბანელ სტირუსს მიათხოვოს. არ ერიდება ტყუილს და ყველაფერზე მიდის, არგონავტებისაგან რომ მიიღოს დახმარება. მიზნის მისაღწევად იგი ახერხებს თავისი აზრების დამალვას და არგონავტების მიმართ მტრული დამოკიდებულების შენიღბვას; მიუხედავად იმისა, რომ არ სიამოვნებს იასონის წინადადება ოქროს საწმისის დათმობაზე, რისხვას გულში იცხრობს, ახერხებს დამალოს თავისი განწყობილება და მინიებს მეგობრულად შეეპასუხება: „ვისურვებდი, ასეთი ძნელბედობის ჟამს არ მოსულიყავით ჩემთან, როდესაც მტერი ახლოს დაბანაკებულა, ჩემს ძმას განუზრახავს ჩემი განადგურება და სურს დამამარცხოს ურიცხვი ჯარით. აბა, დაიცავით ჯერ თქვენი ნათესავების საცხოვრისები, თავი გამოიჩინეთ სიმამაცით, ოქროს საწმისს გადავცემ გამარჯვებულს, და არა მხოლოდ საწმისს“ (5.534-541).

მიუხედავად წინასწარ მიღებული ზომებისა, აიეტმა რეალურად ვერ გათვალა, თუ საიდან იყო საფრთხე მოსალოდნელი. აიეტს თავისი ქალიშვილების იმედი აქვს, დარწმუნებულია, რომ მედეა დრაკონს ბერძნების დასაღუპად წარმართავს (550); ასევე აიეტი იმედოვნებს, რომ იასონი ვერ გაბედავს დავალების მიღებას, მას ჰგონია, რომ იასონი უკვე გაემგზავრა საწმისის გარეშე (539-543). იგი ორივე შემთხვევაში ცდება.

აიეტი ვერც ერთხელ იღებს სწორ გადაწყვეტილებას, ტირანისათვის დამახასიათებელი თვისებები, მას ხელს უშლის იყოს კარგი მმართველი. ფლაკუსი ზედმიწევნით დეტალურად აღწერს აიეტის სულიერ მდგომარეობას

აფექტის მომენტში. ექსტრემალურ სიტუაციაში მისი რეაქციები ყველა იმ ნიშან-თვისებას ავლენს, რაც ტირანისათვის არის დამახასიათებელი.

მისი რეაქცია ღამისეულ გამოცხადებაზე არის ნაჩქარევი და დაუფიქრებელი: *membra toris rapit ille tremens* (5.244); აიეტი ფრიქსუსის მისნობას იღებს მხდალი გულით aegro corde (5.264); როდესაც აიეტი შეიტყობს, რომ მის წინააღმდეგ ლაშქარი იკრიბება, გადმოცემულია, თუ როგორ წამოხტა რისხვით გაშმაგებული და თავს დაატყდა უხუცესებს (furens ira solio proripit alto / ... patres, 5.268-269); მისი სოლისადმი მიმართული ლოცვა წარმოაჩენს იმას, რომ დევნილად გრძნობს თავს და რომ საფრთხე ემუქრება: *haec tibi fatorum, genoitor, tutela meorum, / omnituens tua nunc terris, tua lumina toto / sparge mari. seu nostra dolos molitur opertos / sive externa manus, primus mihi nuntius esto* (5.246-249); მისი ეგოცენტრული ბუნება თავს იჩენს, როცა აიეტმა უგულებელყო კოლხი მისნის გაფრთხილება და საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება არჩია ხალხის კეთილდღეობას: *nec vulgi cura tyranno / dum sua sit modo tuta salus* (5.264-265). „ის, რომ აიეტს სურს მეფობის შენარჩუნება, ბუნებრივია და ადამიანური, მაგრამ გზები, რომელთა მეშვეობითაც ცდილობს ამის განხორციელებას, არაჰუმანურია", – მიიჩნევს თ. ბაიერი.[249] იგი გარშემო მყოფთა მიმართ უნდობლობით არის განმსჭვალული და ფიქრობს, რომ ხალხის საწინააღმდეგოდ მმართველობა შესაძლებელია. შიში აქვს როგორც შინაურ, ისე საგარეო მტრების წინაშე და ამის გამო იტანჯება.[250] მისნობის მიღების შემდეგ, მარსს ევედრება, რომ საწმისი დაიცვას: *tu quoque, sacrata rutilant cui vellera quercu, / excubias, Gradive, tene. praesentia luco / arma tubaeque sonent, vox et tua noctibus extet* (5.250-252) და საბრძოლო ყიჟინით შიში მოჰგვაროს გარშემომყოფთ. თუ სენეკას გავიხსენებთ, იარაღის ჟღარუნი ტირანის ერთადერთი თავდაცვის საშუალებაა. აიეტი არ მოქმედებს გააზრებულად, არამედ სპონტანურად იღებს გადაწყვეტილებას. აქ იგულისხმება გადაწყვეტილება მედეას სტირუსზე გათხოვების შესახებ, მისნობის და ავისმომასწავებელი ნიშნების უგულებელყოფა. იგი მრისხანეა და ადვილად გამოდის წყობიდან. როცა პერსესმა მისი გაკრიტიკება სცადა, გაცოფებული დაესხა თავს და ზიანი მიაყენა მას: *ille fures ira solio se proripit alto / praecipitatque patres ipsumque... ense petis* (5.268-271). მას იპყრობს *furor* და *ira*. სენეკას მიხედვით,

[249] დაწვრილებით იხ.: Th. Baier, Ursache und Funktion des Krieges gegen Perses in den Argonautica des Valerius Flaccus: *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* München 1998, 321-326.

[250] შდრ. Sen. De clementia (1, 11, 4-1. 12, 5).

ira ყველაზე საშინელი და ამასთანავე საშიში აფექტია. *furor, ira, impietas* ღმერთების მიმართ, მისნობის უგულებელყოფა და ტირანის მახასიათებელი ნიშნები სამართლიანი მმართველის აბსოლუტურად საწინააღმდეგო სახეს ქმნის. აიეტი ერთიანად ომზე და ძალადობაზეა ორიენტირებული. სწორედ დაუდევრობითა და დაუფიქრებლობით, იმით, რომ უარს ამბობს საწმისის გაცემაზე, თავის ძმას სამოქალაქო ომის დაწყების საბაბს აძლევს. აიეტი არა ნაკლებად არის გაშმაგებული, როდესაც იასონმა პირობა შეასრულა, სკვითების წინააღმდეგ ომში დახმარება გაუწია. იმის მაგივრად, რომ შეესრულებინა მიცემული სიტყვა, პირობას არღვევს, უზომო რისხვით არის აღსავსე, როდესაც არგონავტებს კიცხავს: (7.35-77) „სხვა ქვეყნიდან ხართ წარმომავლობით, გაქვთ საკუთარი სანაპიროები და სამეფოები, რა სისულელემ მოგიყვანათ ამ სანაპიროსთან, განა მე ვიყავი თქვენი მეგობრობის მიზანი? ფრიქსუს, შენ ჩემი უბედურების პირველო მიზეზო, რატომ დასავით არ დაიღუპე ზღვაში. ბედნიერი ვიქნებოდი საერთოდ არ მცოდნოდა ბერძენთა სახელები. პელიას მეფე? ვინ არის იგი? თესალია? რა საბერძნეთი? რომელ მოდგმას ვხედავ? ან სად არის სიმპლეგადები? უცხო მოვიდა სკვითიის სანაპიროსთან! იასონი 50 დევნილთან ერთად, ო სირცხვილო, მას სურს აზიაში შემოიჭრას, ერთმა გემმა უნდა დამცინოს, რომელიც ცდილობს, ნადავლი ცოცხალ მეფეს წაჰგვაროს?! რა უნდა, მე თვითონ უნდა მივართვა, თავად უნდა გავუკვალო ჩემი ტყეები?!“ იგი არგონავტებს ყაჩაღებს უწოდებს და ამბობს, რომ არ დაუთმობს საწმისს, ვიდრე სხვა დავალებას არ შეასრულებს იასონი. აქ აიეტი ტრადიციით ცნობილ დავალებას აძლევს იასონს. საშინლად შეურაცხყოფილია, როდესაც იასონი ელჩად უგზავნის ეხიონს, რათა აიეტმა მოამზადოს ცეცხლისმფრქვეველი ხარები (vocor en ultro, 546). უკვე აღარც მალავს, რომ უბედურება სურს დაატყდეს თავს იასონს და რომ სწადია, საწმისი მისთვის საზარელი იასონის სისხლით გაიჟღინთოს.

ფლაკუსის შეფასებით, აიეტი იმსახურებს, რომ მოტყუებული და მიტოვებული იყოს. აიეტმა რომ ბოროტად გამოიყენა არგონავტების სამსახური, ამას ცხადყოფს ფლაკუსის შენიშვნა: „აიეტმა ბოროტება ჩაიდინა, თავდაპირველად კეთილი გულით მიიღო კავშირი, მერე უმუხთლა და საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენა“ (6. 12-13). როდესაც იუნო და ათენა არგონავტების კოლხიდაში მისვლისას ბჭობენ, ვის დაუჭირონ მხარი, იუნოს გადაწყვეტილი აქვს აიეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ამას ასაბუთებს იმით, რომ ეს

მეფე არის ორგული და მინიებს არ მისცემს საწმისს (scio perfida regis / corda quidem, nullos Mynyis exolvet honores, 5. 289-90). აიეტის კრიტიკას თავად ფლაკუსი ახდენს: *ante dolos, ante infidi, tamen exequar astus / Soligenae falli meriti meritique relinqui* (5.222-223). აიეტს ახასიათებს მზაკვრობა, ორპირობა, ცბიერება. მას უწოდებს ყალბ მზის შვილს infidi ... Soligenae (5.222-223), რომელმაც დაიმსახურა ღალატი falli და მიტოვება relinqui.

ფლაკუსი მოვლენებს უსწრებს და აიეტის ხვედრზე გვიყვება, მართალია, იგი სკვითებისა და კოლხების ომში გამარჯვებას მოიპოვებს, თუმცა როდი აღმოჩნდება ეს გამარჯვება ხანგრძლივი, მას საკუთარი სამეფოდან გააძევებენ (5.681-689).

1.2. ეპიზოდურად მოქმედი პერსონაჟები

▣ აბსირტუსი ▣

ზოგიერთი წყაროს მიხედვით აფსირტოსი მცირეწლოვანია, როდესაც იასონი კოლხიდაში ჩადის (Ov. Met. VII 54);[251] ზოგიერთის მიხედვით, ა. მ., აპოლონიოს როდოსელთან იგი უკვე ყმაწვილია და განცალკევებით ცხოვრობს საკუთარ სასახლეში (III 241, შდრ. ასევე (Orph. Arg. 397). აპოლონიოს როდოსელთან აფსირტოსი მართავს მამის ეტლს (III 1236, 1234f. IV 225, შდრ. Philostr. iun. 11) და მეთაურობს არგონავტების მდევარ კოლხთა ერთ ჯგუფს (IV 306, 314, 322, 399, 422, 451).

ფლაკუსთან იგი პირველად დასახელებულია კოლხიდის სამეფო ოჯახის აღწერისას. უფლისწული დგას აიეტის გვერდით, ჯერ კიდევ ყმაწვილი (primis ... in annis, 5.457), წინაპართა ღირსეული შთამომავალი (dignus avo, 5.458). იგი სარდლობს კოლხებს სკვითების წინააღმდეგ გამართულ ომში. აბსირტუსი რამდენიმე სიტყვით არის წარმოდგენილი ბრძოლის დაწყების წინ (6.171-172), ომის მიმდინარეობისას მისი არისტიები არ არის აღწერილი. იგი მამის საომარ საჭურველში დგას თავისი ამალის სათავეში, მის გვერდით არიან სტირუსი, ალბანელი უფლისწული და ძლევამოსილი სარდლები, ასევე იასონი და ბერძენთა ლაშქარი თვით ათენას თანხლებით.

---

[251] Wernike, Apsyrtos, RE, II 1, 284.

აბსირტუსი აქტიურია იმ ეპიზოდში, სადაც მდევარი კოლხების სარდლობით კუნძულ პევკეს მიადგება.[252] მისი თაოსნობით დაედევნებიან კოლხები არგონავტებს და ითხოვენ ოქროს საწმისის უკან დაბრუნებას. რეალურად სწორედ აქ ხდება ბერძნებისა და კოლხების პირველი სერიოზული დაპირისპირება, რამდენადაც სკვითების წინააღმდეგ გამართულ ომში კოლხები მინიების მხარდამხარ იბრძოდნენ. აბსირტუსს თან ახლავს სტირუსი. ორივე მათგანი შელახული ღირსების აღდგენაზე ფიქრობს, თუმცა, თუ სტირუსი მზად არის დაიბრუნოს მედეა და არ სურს, ესონიდს დაუთმოს იგი, სხვაგვარია აბსირტუსის პოზიცია. აბსირტუსი უზომო რისხვით არის აღსავსე, მას არანაირ კომპრომისზე წასვლა არ სურს; არც საწმისი უნდა, არც დას წაიყვანს, რომც აჩუქონ, კავშირის დადების არანაირი იმედი არ არსებობს. აბსირტუსი არ მიიღებს დას (nec te / accipio, germana, datam... 8.270-271), რადგან იგი შერცხვენილია (o pudor, 269), მისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ 50 მენიჩბის და ერთი ხომალდის ჩაძირვა. იგი ბრძოლაში იწვევს მთელ საბერძნეთს, მას სურს, აზღვევინოს სამაგიერო, ცეცხლს მისცეს მთელი საბერძნეთი (Graecia fallax / persequor atque tuis hunc quasso moenibus ignem, 275-6). იგი დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, ისინი ხომ რიცხვით გაცილებით აღემატებიან ბერძნებს, ამიტომაც განზრახ სულ იმას უსვამს ხაზს, რომ ბერძნებს მხოლოდ ერთი ხომალდი ჰყავთ (puppe (nefas) una, 267; unaque mersa / ... ratis, 274-5), მათ კი მრავალი.

ტრაგიკულია აბსირტუსის ხვედრი ამ ომში, იგი უძლურია ქალღმერთის წინაშე, რომელიც იასონს მფარველობს. იუნოს მიერ გამოწვეული გრიგალის გამო, გამოუვალ სიტუაციაში იმყოფება; მასზე ასევე გამანადგურებლად მოქმედებს ერთგული მოკავშირის, სტირუსის დაღუპვა. ნიშანდობლივია, რომ ფლაკუსი აქ აბსირტუსს და მედეას მსგავსი ეპითეტებით მოიხსენიებს, ერთგვარი პარალელიზმის მეშვეობით იგი ცდილობს, კიდევ უფრო მძაფრად შესაგრძნობი გახადოს ამ და-ძმის ტრაგიკული ხვედრი. ასე მაგალითად, სტირუსის სიკვდილის შემდეგ აბსირტუსი საშინლად არის დამწუხრებული (...visu maeret defixus acerbo, 8. 369), მედეასთან დაკავშირებით, მის დარდს ფლაკუსი სწორედ ამ ზმნით (maereo) გადმოგვცემს: solo maeret defecta cubili, 7. 116; maeret et absenti nequiquam talia fatur, 7. 197). როდესაც აბსირტუსი სასოწარკვეთილია, არ იცის, რა იღონოს, ამბობს: heu quid agat? (8. 370). მედეაც, როდესაც ველარ პოულობს

[252] შდრ. აპოლონიოს როდოსელი.

გამოსავალს, სწორედ ამ სიტყვებს წარმოთქვამს: heu quid agat? videt externo se prodere patrem /dura viro ...(7.309-310). აბსირტუსი იძულებულია, ქარიშხლის გამო უარი თქვას იერიშზე და უაზრო შურისძიებაზე (abscessit tandem vanaque recedit ab ira, 374), თუმცა ბოლომდე იმედს მაინც არ კარგავს, ელოდება ხელსაყრელ მომენტს, იქნებ, კვლავ მიეცეს ომის განახლების საშუალება (impatiens pugnaque datur non ulla potestas, 381). მედეაც, იძულებულია ხვედრს დაემორჩილოს, რადგან იუნოს სურს, იგი იასონის დამხმარე იყოს (te ducente sequor, tua me, grandaeva, fatigant / consilia et monitis cedo minor, 7, 348-9). ვფიქრობთ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ორივეს ფლაკუსი infelix-ს უწოდებს. მედეას ძმისადმი დამოკიდებულებას ოდნავ ქვემოთ კვლავ მივუბრუნდებით.

აბსირტუსის მკვლელობასთან დაკავშირებით წყაროებში სხვადასხვა ვერსია გვხვდება.[253] ყველაზე დეტალურად ამ მომენტს აპოლონიოს როდოსელი გადმოგვცემს და საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს ამ ფაქტის აღწერას. საინტერესოა, ვინ არის აქ ინიციატორი. მედეა თავის სიტყვაში, სადაც ის კიცხავს იასონს (IV 355-390), კატეგორიულად სთხოვს მას, დაიცვას პირობა, რომელიც ზევსს-ჰიკესიოსის წინაშე დადო, მუქარასაც არ ერიდება. სწორედ ამ საგანგებო სიტუაციაში იასონი, რომელიც ძირითადად ἀμηχανία-თი არის შეპყრობილი, ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც გულისხმობს კოლხების მეთაურის გაუვნებელყოფას (IV 398-407). როგორც ჩანს, მედეაც შემზადებული იყო ასეთი წინადადებისათვის, რადგან იასონის თავზარდამცემ შემოთავაზებას ყოველგვარი მერყეობის გარეშე იზიარებს, იგი ხომ აპოლონიოს როდოსელთან ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფი რეაგირების უნარით გამოირჩევა: „საჭიროა, შეუფერებელ საქმეთ ესეც დავურთოთ, რაკი იმთავითვე ჩავიდინე ცოდვა და ღვთის ბოროტი შეგონებები შევასრულე“ (411-413); „თუ ეს საქმე მოგწონს, არც მე დაგიშლი, მოკალი იგი და კოლხებთან ბრძოლაში ჩაები“ (419-420).

აპოლონიოსი საგულდაგულოდ აღწერს თვით მკვლელობის აქტს (455-480). მასთან ამ ფაქტს მნიშვნელოვანი მოტივაცია აქვს: აფსირტოსის მკვლელობა

[253] ჯერ კიდევ ყრმა აფსირტოსს კლავენ აიეტის სასახლეში (Soph. Kolchid. frg. 319; Eur. Med. 167. 1334; Kall. frg. 411); მედეას თან მიჰყავს აფსირტოსი ხომალდზე, მას არგონავტები კლავენ, ანაწევრებენ და ფაზისს მიანდობენ აიეტის შესაყოვნებლად (Pherec. frg. 73); აფსირტუსს კ. მინერვაზე კლავს იასონი (Hyg. fab. 23); მედეას მზაკვრობის შედეგად აფსირტოსი არგონავტების ხელში მოხვდება, მას კლავენ, და ფასისში აგდებენ (Orph. Arg. 1022ff.); აფსირტოსი კვდება შხამისგან (Leon Schol. Eur. Med. 167); დაწვრილებით იხ. Wernike, Apsyrtos, RE, II 1, 285.

განარისხებს ზევსს (IV 557, 587, 737) და, შესაბამისად, არგონავტებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწევთ, ვიდრე პაგასეს ნავსადგურს მიაღწევენ. ასევე მოტივირებულია კირკესთან სტუმრობა: მედეა და იასონი უნდა წავიდნენ კირკესთან, რათა განიწმინდონ დანაშაულისაგან.

რამდენადაც ფლაკუსის „არგონავტიკა“ ჩვენამდე ნაკლული სახით არის მოღწეული, ანუ პოემა მთავრდება მედეას გასაკიცხი სიტყვით, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა აბსირტუსის მკვლელობის ეპიზოდი, ძნელია იმის თქმა, ჰქონდა თუ არა განზრახული ფლაკუსს საერთოდ აბსირტუსის მკვლელობის სცენის გადმოცემა. ამდენად, ამ საკითხზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია. აბსირტუსის მოსალოდნელი ხვედრის შესახებ ფლაკუსი მხოლოდ რამდენიმე მინიშნებას გვაძლევს. როდესაც იგი აღწერს აიეტის სამეფო კარს, იქ აბსირტუსს მოიხსენიებს ეპითეტით insons „უდანაშაულო“ dignus avo quemque insontem meliora manerent (5.458) „უდანაშაულოს უკეთესი ხვედრი უნდა რგებოდა“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფლაკუსის შენიშვნა, რომელიც ჩართულია იასონისა და მედეას ქორწინების ეპიზოდში „ვინ იფიქრებდა, რომ საკურთ-ხეველზე სასტიკად სისხლი დაიღვრებოდა ან კულტმსახურთაგან რომელი შეძლებდა კიდევ ამის გახსენებას (quis modo tam saevos adytis fluxisse cruores / cogitet? aut ipsi qui iam meminere ministri? 8. 241-2), ასევე აბსირტუსის ხვედრზე მიგვანიშნებდეს.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ფლაკუსს სურს, აარიდოს მედეას ძმის მკვლელობის ინიცირებისა თუ განხორციელების საქმე. მედეას სიზმარში, სადაც შენიღბულად არის ლაპარაკი იმაზე, რომ მედეა მოკლავს საკუთარ შვილებს, არაფერია მინიშნებული აბსირტუსის მკვლელობაზე. მხოლოდ ის არის აღნიშ-ნული, რომ მედეას დაედევნება ძმა pontus et ingenti circum stupefacta profundo /fratre tamen conante sequi (5.337-338). ჩვენს მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს ასევე ამყარებს ის დამოკიდებულება, რომელსაც მედეა ძმის მიმართ ავლენს: როდესაც მედეა თავის მოკვლას გადაწყვეტს, გაახსენდება ამქვეყნიური სიამენი, თავისი ძმა აბსირტუსი, იგი თავის თავს ეუბნება: „განა არ გაინტერესებს, როგორ დავაჟკაცდება შენი ძმა“ (7. 340). როდესაც საქმე შეიძლება მივიდეს შეტაკებამდე იასონსა და აბსირტუსს შორის, მედეას სიკვდილი ურჩევნია იმას, რომ დაუშვას ან ერთის ან მეორის სიკვდილი (8. 316-317). თუმცა, თუ მითში მოქმედების განვითარების ლოგიკიდან ამოვალთ, სავარაუდოდ, იასონისა და აბსირტუსის შეტაკებას უნდა მოჰყოლოდა აბსირტუსის სიკვდილი. აქ არ შეიძლება არ

გავიხსენოთ სოლის ტაძარში გამოსახული სურათები, მდინარის ღმერთისა და აიას ამბავი, რომელიც აშკარად იასონისა და მედეას ამბის ალეგორიაა; ამ სცენას მოსდევს ფაეთონის ამბავი, რომელიც შესაძლოა სიმბოლურად აბსირტუსის ტრაგიკულ აღსასრულზე მიგვანიშნებდეს (5. 429-432).[254]

1.3. ნაკლებად აქტიური ფიგურები (კირკე, ქალკიოპე, ფრიქსუსის ვაჟები: არგუსი, ფრონტისი, მელასი, კიტისორუსი)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კირკე უშუალოდ მოქმედებაში არ ფიგურირებს, მის სახეს იღებს ვენუსი და ისე გამოეცხადება მედეას (7.210-283). მას თან აქვს თავისი ატრიბუტი ჯადოსნური კვერთხი (magica...virga, 7. 212) და აცვია მოქარგული სამოსი (pictis / vestibus, 7.211-212). მედეა აღტაცებულია კირკეს ნახვით. მისი სიტყვიდან ვიგებთ, რომ დიდი ხანია კირკე იძულებით წავიდა დრაკონშებმული ეტლით სამშობლოდან (fuga, 7. 219). რამდენადაც, ფლაკუსის „არგონავტიკის“ ბოლო მერვე სიმღერა ჩვენამდე ნაკლული სახით არის მოღწეული, ძნელია დარწმუნებით იმისი თქმა, ჰქონდა თუ არა განზრახული პოეტს აბსირტუსის მკვლელობის პოემაში ჩართვა, შესაბამისად, კირკეს ეპიზოდის ნაწარმოებში ინტეგრირებაც ამ გარემოებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

რაც შეეხება ქალკიოპეს, მის ფუნქციას იუნო ითავსებს და ქალკიოპედ გარდასახული ცდილობს მედეას დაყოლიებას იასონის დასახმარებლად. მედეას დისადმი დამოკიდებულება ჩანს იასონისადმი მიმართვაში[255], სადაც ახსენებს, რომ იგი ვერ იხილავს ესონიდის უკანასკნელ ბედისწერას, რადგან იძულებულია მკაცრი დის (durae...sorori) გვერდით იმყოფებოდეს (7.201-202). ალბათ, ამიტომაც გადაიფიქრებს იუნო კვლავ ქალკიოპეს სახით გამოეცხადოს მედეას და ვენუსთან მიდის დასახმარებლად, რათა მან ამჯერად კირკეს სახით მოახდინოს ქალწულზე ზემოქმედება (7. 155).

ქალკიოპესა და ფრიქსუსის ვაჟებიც მხოლოდ აიეტის სამეფო კარის აღწერისას დასახელებით ამოწურავენ თავიანთ ფუნქციას. არგონავტებთან მათთან შეხვედრა ხდება კოლხიდაში და ისინი იასონისა და მინიების საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ.

---

[254] არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ აპოლონიოს როდოსელი აიეტის ძეს ფაეთონს უწოდებს καὶ μιν Κόλχων υἷες ἐπωνυμίην Φαέθοντα / ἔκλεον „კოლხთა შვილები მეტსახელად ფაეთონს ეძახდნენ“ (Arg. III 245-6).

[255] აქ იასონი მედეას წარმოსახვითი თანამოსაუბრეა.

თვალშისაცემია ერთი გარემოება, ყველა ზემოთ დასახელებული პერსონაჟი საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს აპოლონიოს როდოსელთან, ფლაკუსთან მათი ფუნქციები, ფაქტობრივად, სხვა მოქმედ პერსონაჟებზეა გადანაწილებული.

2. ნაკლებად ცნობილი პერსონაჟები (პერსესი, ფასისი, კავკასუსი, მედეას დედა)

◈ პერსესი ◈

პერსესი ჰელიოსისა და პერსეისის ვაჟია, აიეტის, კირკეს და პასიფაეს ძმა (Apollod. I 83. 147; Hyg. praef. 12, 12 Schm.).[256] დიონისიოს სკიტობრაქიონი აპოლოდოროსისაგან განსხვავებით გადმოგვცემს, რომ ჰელიოსსა და პერსეისს მხოლოდ ორი ვაჟიშვილი აიეტი და პერსესი ყავდათ. პერსესი დაქორწინდა ტავროსელ ქალწულზე ან ადგილობრივ ნიმფაზე, რომლისგანაც შეეძინა ჰეკატე. ჰეკატე ცოლად გაჰყვა აიეტს და ეყოლათ შვილები: კირკე და მედეა (Schol. Apoll. Rhod.III 200. 476; Diod. IV 45, 1. 2; Etym. M. 515, 12).[257]

პერსესზე არაფერს ამბობს აპოლონიოს როდოსელი, ვალერიუს ფლაკუსი კი პირიქით, მას დიდ ყურადღებას უთმობს. პოემაში იგი აიეტის ნახევარძმაა. დაკავშირებულია კოლხიდაში მომხდარ ომთან. პერსესი ერთადერთია, რომელიც აპროტესტებს აიეტის გადაწყვეტილებას, არ გასცეს საწმისი, ამიტომ უპირისპირდება მეფეს და საომარ ძალებს კრებს. ომის დაწყებამდე პერსესი ელჩობას უგზავნის არგონავტებს, უარი თქვან აიეტის მხარდამჭერ ომში ჩაბმაზე. ელჩობის მისია მიზნად ისახავს, ნათელი მოეფინოს აიეტის ვერაგობას. პერსესი ხაზს უსვამს მის უპირატესობას: მან ითხოვა პირველ რიგში საწმისის ჰემონიელებისათვის გადაცემა, სწორედ ეს გახდა უთანხმოების და ასეთი საზარელი ომის დაწყების მიზეზი, ამიტომაც უმჯობესია, მასთან შეკრან კავშირი ან სამშობლოში დაბრუნდნენ, რადგანაც აიეტის დაპირება არ არის სარწმუნო. პერსესის არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებელია: მინიებმა არ უნდა იომონ სხვისი ნება-სურვილის გამო. ამისათვის ხომ არ გამოუვლიათ მათ ამხელა გზა. აქვე ეხება პერსესი მორალურ საკითხს: რამდენად აქვთ მათ უფლება იბრძოლონ იმ ხალხის [სკვითების] წინააღმდეგ, ვისაც არ იცნობენ და არ სძულთ (6.16-26).

[256] პერსესი (Apollod. I 147, Diod. IV 45), პერსევსი (Etym. M. 515, 12 და Dionys. Scyt.).
[257] W. Peek, Perses, RE, XIX 1, 973-974.

ომში წარმატება თავდაპირველად სკვითების მხარეზე იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც იუნომ დაიწყო მოქმედება არგონავტების დასახმარებლად, მდგომარეობა შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ქალღმერთებმა პერსესს აღუთქვეს შემწეობა, ომის დაწყებამდე შეთანხმდნენ, რომ აიეტის მხარეს დაიჭერდნენ. გარკვეულწილად სამართლიანია პერსესის აღშფოთება, რომელსაც ის ღმერთების მიმართ გამოთქვამს და ისღა დარჩენია, დაელოდოს იმ დღეს, როდესაც იასონს უმუხთლებს აიეტი და არ შეუსრულებს დანაპირებს (6.727-736). სასოწარკვეთილი პერსესი ბრძოლაში ჩაებმება და არ ასცდებოდა კიდეც განსაცდელი, ეს რომ პალასს არ შეემჩნია. პალასმა იცის, რომ აიეტის ტახტი გარკვეული დროით უნდა დაიკავოს პერსესმა, თუ მისი მიზეზით პერსესი დაიღუპება, იუპიტერისგან არ აცდება გაკიცხვა (6.741-744). იუპიტერის მისნობიდან ჩანს, რომ, როცა თესალიელები სამშობლოში გაემგზავრებიან, აიეტს პერსესი განდევნის (5.683-4).

პერსესმა მოგვიანებით თავის ძმა აიეტს რომ წაართვა ძალაუფლება და იგი კოლხიდაში კვლავ დაბრუნებულმა მედეამ მოკლა, ამის შესახებ ცნობას ჯერ კიდევ აპოლოდოროსთან ვხვდებით (Apollod. I 147). ჰიგინუსთან კი მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება (Hyg. fab. 27. 244): კოლხიდაში დედის საძებნელად ჩამოდის მედოსი (მედეასა და ეგევსის ვაჟი), ამბობს, რომ კრეონის მეფის ვაჟი ჰიპოტესია. მედეაც, რომელიც მოგვიანებით ჩამოდის კოლხიდაში, მალავს ვინაობას, თითქოს არტემისის ქურუმია. როდესაც გაიგებს, რომ ჰიპოტესია კოლხიდაში ჩამოსული, გადაწყვეტს, საზარელი კრეონის ვაჟის მკვლელობას და დაარწმუნებს პერსესს, რომ უცხოელი უდავოდ მედოსის სახით ჩამოვიდოდა, რათა შური ეძია აიეტის გამო. ამის გამო უნდა ეზღო სამაგიერო უცხოელს. მედეა, როცა შეიცნობს საკუთარ ვაჟს და მიხვდება, რომ ცდებოდა, სთხოვს პერსესს, უფლება მისცეს, დაელაპარაკოს ყმაწვილს. ამასობაში გადასცემს მას ხმალს. მედოსი მოკლავს პერსესს და მემკვიდრეობად იღებს აიეტის სამეფოს, რომელსაც ამიერიდან თავისი სახელის მიხედვით მედიას უწოდებს. ნაწილობრივ მისდევს ფლაკუსი აპოლოდოროსსა და ჰიგინუსს. იუპიტერის წინასწარმეტყველებაში გაცხადებულია პერსესის ხვედრი. მიუხედავად იმისა, რომ არგონავტების კოლხიდიდან გამგზავრების შემდეგ პერსესი იგდებს ხელში სამეფო ხელისუფლებას, მოგვიანებით სამშობლოში მხცოვან ასაკში დაბრუნებული აიეტი ხდება ქვეყნის მმართველი, ამაში მას ქალიშვილი და ბერძენი შვილიშვილი გაუწევენ დახმარებას (5. 685-7).

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას, რაზეც ფლაკუსი სხვათა შორის მიგვითითებს. პერსესს სურს, თავი ისე მოაჩვენოს არგონავტებს, რომ ძალიან შესტკივა გული ქვეყნის ბედის გამო და სწორედ ამიტომ უპირისპირდება აიეტს, თუმცა პოემიდან ისიც ჩანს, რომ ძმებს ერთმანეთთან მანამდეც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. პერსესი ჯერ კიდევ მაშინ აგროვებდა საომარ ძალებს ძმის წინააღმდეგ, ვიდრე აიეტი საბედისწერო გადაწყვეტილებას მიიღებდა. ორივე ძმა ესწრაფვის სამეფო ხელისუფლებას. პერსესი კი კიცხავს ქალღმერთებს, რომ უმტყუნეს და საბოლოოდ მისი დამარცხებით დამთავრდა ომი, თუმცა იუპიტერის მისნობიდან ცხადად ჩანს, რომ ძალადობით მოპოვებული ძალაუფლება ხანგრძლივი ვერ იქნება.

◈ კავკასუსი ◈

ფლაკუსის მიხედვით, კავკასუსი კოლხი მწყემსია. როცა იგი ჩვეულებისამებრ მამისეულ ფარას მწყემსავდა, მდ. ფასისის ნაპირებთან ჩაისახა თიდრუსი; მშობლები თავიანთ ვაჟს ამის გამო „ფასისის მსახურს“ უწოდებდნენ (6. 639-43); კავკასუსის სახელი უკავშირდება მთას, რომელსაც ამ მწყემსის მიხედვით კავკასოსი ეწოდა და ამ მთის ეპონიმად მოიაზრებოდა, ცნობას ამის შესახებ პლუტარქოსთან ვხვდებით, სახელის ეტიმოლოგიაზე უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში ვიმსჯელებთ (Plut. fluv. 5, 3).[258]

◈ ფასისი ◈

ფასისი მდინარის ღმერთია. მისი სატრფოა კავკასიელი ნიმფა აია. სიყვარულისგან გახელებული ფასისი აიას დამორჩილებას ლამობს, დარცხვენილი ქალწული ილტვის მშობლიურ მთებში გაშმაგებული ღვთაებისგან, შეშინებული და ძალ-ღონემიხდილი აია ყრის კაპარჭებს და მას საბოლოოდ ფასისი იმორჩილებს თავისი მძლავრი ტალღებით (5.425-428). ფლაკუსის მიხედვით, ფასისის და აიას ამბავი, სხვა სურათებთან ერთად, გამოსახული იყო კოლხიდაში სოლის ტაძარში (5. 407-454). სავარაუდოდ, ბერძნული წარმომავლობის ეს მითი მხოლოდ ფლაკუსთან ფიგურირებს. სახელი ფასისი უკავშირდება კოლხიდის ცნობილი მდინარის სახელს. იგი როგორც ჩანს, ამ მდინარის ეპონიმად გაიაზრებოდა.[259]

---

[258] Patsch, Caucasus mons, RE, III.2 1801.

[259] E. Diehl, Phasis, RE, XIX.2, 1886-1893; O. Lordkipahidze, Phasis. The River and the City in Colchis, Geographica Historica 15, Stuttgart 2000.

◈ მედეას დედა ◈

რა ვიცით მედეას დედის შესახებ? ყველაზე ძველი წყარო ჰესიოდე მედეას დედას მოიხსენიებს სახელით Ἰδυῖα (Hes. Teog. 958ff.),[260] დიონისიოს სკიტობრაქიონი კი ჰეკატეს ასახელებს (Diod. IV 45). აპოლონიოს როდოსელთან მედეასა და აფსირტოსს სხვადასხვა დედა ჰყავთ: აფსირტოსი „შვა კავკასიელმა ნიმფამ ასტეროდიამ მანამ, სანამ [აიეტი] კანონიერ ცოლად დაისვამდა თეტისისა და ოკეანის უმცროს ასულს იდიას“ (III 242-244). აიეტის კანონიერი ცოლი κουριδίην ... ἄκοιτιν კი არის იდიია, მედეას დედა. აპოლონიოსი მას პოემაში ორჯერ ასახელებს და ორივე შემთხვევაში თან ახლავს აიეტს ἐκ δ’ αὐτὴ Εἰδυῖα δάμαρ κίεν Αἰήταο (III 269). მეტი მის შესახებ არაფერი ვიცით.

ფლაკუსთან მედეას დედა სახელით არ მოიხსენიება. მართალია, იგი პოემაში მხოლოდ ერთხელ ჩნდება, თუმცა მისი სიტყვა უთუოდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. აღსანიშნავია, რომ ფლაკუსი დიდ ყურადღებას უთმობს ოჯახური ურთიერთობების გადმოცემას, გამონაკლისს არც მედეას დედა წარმოადგენს. სულისშემძვრელია სცენა, სადაც მიტოვებული დედა ემშვიდობება შვილს და საშინლად განიცდის მომხდარ ამბებს. იგი დგას ზღვასთან, გაწვდილი აქვს ხელები და მოსთქვამს. ფლაკუსი აღწერს, რომ მასთან ერთად ტირის მედეას და [ქალკიოპე], მთელი კოლხიდის ყველა სხვა დედა, ქალი და გოგონა (8. 141-2). მიუხედავად ამისა, ამათ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ არის ხაზგასმული მედეას დედის სიმარტოვე სიტყვებით: extat sola (8. 143).

რამდენადაც მისი სიტყვა (8. 144-170), რომელიც 26 სტრიქონისაგან შედგება, კომპოზიციური თვალსაზრისითაც არის საინტერესო, დაწვრილებით გადმოვცემთ მას.

შესავალ ნაწილში დედა სთხოვს შვილს, უკან დაბრუნდეს: ამისთვის ჩამოთვლის რამდენიმე მიზეზს. პირველი და ყველაზე მთავარი: კოლხიდაში იმყოფებიან მისი ახლობლები: „აქ არიან შენიანები“ (hic turba tuorum / omnis, 145-146); მისი მამა „მამა აღარ ბრაზობს შენზე“ (iratus nondum pater, 146); „აქ არის მშობლიური მხარე (tellus, 146) და სამეფო ტახტი“ (sceptraque, 147); დედა მიუთითებს შვილს, იმაზე, რომ საკუთარ ქვეყანაში იგი არის მეფის ასული, უცხო მხარეში კი რა ადგილი უნდა დაიჭიროს მან ინაქოსელ ქალწულებს

[260] მსგავსად ასევე: Apoll. Rhod. III 243; Lycophr. 1024; Apollod. I 9, 23, 5; Cic. nat. deor. III 48; Hyg. fab. 25; იხ.: Lesky, Medeia, RE, XV 1, 30.

შორის როგორც უცხომ (barbara, 148), როგორ ენდობა იგი აქაველებს მარტო უცხო ქვეყანაში, ჰპირდებიან იქ თავშესაფარს, ელოდება იგი ქორწილს?

წამიერად დედას საკითარ ხვედრზე ფიქრი იპყრობს და ამ მომენტში მედეას დედა ადამიანურ სისუსტეს იჩენს, როდესაც საკუთარ თავსაც დასტირის: „განა ასეთ სიბერეს ვისურვებდი“ (150).

სავსებით ლოგიკურია, რომ ამის შემდეგ უბედურების გამომწვევი მიზეზი – იასონი – ახსენდება და არ ერიდება მის გაკილვას: მზად არის გაანადგუროს იასონი და უკან დაიბრუნოს შვილი (150-153) „ალბანელ უფლისწულს უნდა მოეყვანა ცოლად მედეა და არა მას, საცოდავი მისი მშობლები, პელიასსაც არ დაუვალებია მისთვის ასეთი ქურდობა, კოლხებისათვის მოეტაცებინა ასულები“.

ამის შემდეგ ნაჩვენებია, რომ დედა მზად არის, ყველაფერი დაუთმოს უცხოელს, ოღონდ შვილი დაიბრუნოს: „გქონდეს საწმისი და წაიღე ყველაფერი, რაც ჩვენს ტაძრებშია“ (153-157).

კარგად შევიგრძნობთ დედის უმწეობას, იგი ამ მომენტში კარგად იაზრებს, რომ მარტო იასონი არ არის უბედურებათა მიზეზი, რომ მედეას ნების გარეშე ვერ ვერ იმოქმედებდა უცხოელი, ამიტომ გონს მოეგება და კვლავ ნამდვილ დამნაშავეს, მედეას უბრუნდება: „თუმცა რას ვადანაშაულებ დაუმსახურებელი საყვედურებით ვიღაცას“ (159-161), მისთვის ხომ არავის დაუძალებია გაქცევა „ის თვითონ ილტვის“ (ipsa fugit, 159).

შემდგომ მისი ზრუნვის ობიექტი კვლავ უშუალოდ მედეაა (162-170), საგულისხმოა, რომ აქ მედეას უწოდებს infelix (160), როგორც ოდნავ ზემოთ აბსირტუსი მოიხსენიება (infelix frater, 136). დედა აღწერს შვილის გრძნობებს და ნანობს, რომ თავის დროზე ვერ მიუხვდა შვილს, თუ როგორ იტანჯებოდა (...redeunt nam singula menti, 160). როგორ წარმოიდგენდა, რომ გაქცევაზე დათანხმდებოდა მედეა (...talem paterere fugam, 167). დედა შვილის საქციელს აფასებს როგორც nefas (159, 168) და ყველაზე საინტერესო რაც არის, რაც მედეას დედის მიმართ სიმპათიით განგვაწყობს: დედა შვილის სიყვარულის გამო მზად არის ბოროტმოქმედებაში მასთან თანაზიარი იყოს, მზად არის გაიღოს მსხვერპლი შვილის ბედნიერების გამო (...commune fuisset / aut certe nunc omne nefas iremus et ambae / in quascumque vias? 167-169).

მედეას დედა გარკვეულწილად ალკიმედეს მოგვაგონებს. ჩვენ ესონისა და ალკიმედეს შვილთან დამოკიდებულებაზე უკვე დაწვრილებით ვიმსჯელეთ, აქ მხოლოდ რამდენიმე ნიშანდობლივ პარალელზე გავამახვილებთ ყურადღებას.

იასონის და არგონავტების გამგზავრების შემდეგ დედების მოთქმა ისმის, მამების გულები შეძრულია increscunt matrum gemitus et fortia languent / corda patrum, longis flentes amplexibus haerent (1. 315-316). მათ ფონზე ალკიმედეს ხმა ყველას აჭარბებს vox tamen Alcimedes planctus supereminet omnis (317). საშინელი ტკივილი და უზომო სიყვარულია გადმოცემული იასონისადმი მიმართულ სიტყვაში (320-334), ალკიმედე არის furens (318) დედა, რომელიც გარკვეულწილად ეგოისტია და ვერ ეგუება შვილის წასვლას. მისი სიცოცხლე მაშინ დამთავრდა, როდესაც იასონი გაემგზავრა ...sat caeli patiens, cum prima per altum / vella dedit (765-6).

აქვე გვახსენდება პელიასი, რომელიც მიუხედავად თავისი მრისხანებისა და ტირანიისა, სათუთი გრძნობებით აღსავსე მამაა, რომელიც უზომოდ განიცდის აკასტუსის წასვლას, ის ხომ იასონმა დაიყოლია, გაყოლოდა შორეულ ლაშქრობაში, რათა სხვა მშობლების მსგავსად, პელიასიც დატანჯულიყო. უზომოა მისი რისხვა saevit atrox Pelias (700). აკასტუსის სამყოფელში ზღურბლზეა განრთხმული და მისი ვაჟის ნაკვალევს კოცნის quin etiam in thalamis primoque in limine Acasti / fusus humo iuvenis gressus et inania signa / ore premit (709-711). შემძვრელია სიტყვები, სადაც უზომო ტკივილია გადმოცემული (713-721). ამ მომენტში მწიფდება მისი გადაწყვეტილება, საშინლად გაუსწორდეს იასონის მამას, რითაც ესონიდს სამაგიეროს მიუზღავს ...'sunt hic etiam tua vulnera, praedo, / sunt lacrimae carusque parens!'...(723-4).

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მედეას დედის სიტყვა უაღრესად საინტერესოდ წარმოგვიჩენს ამ სახეს და, მეორე მხრივ, იგი კომპოზიციურადაც კრავს პოემას და ეთანხმება ჩვენს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, ფლაკუსის „არგონავტიკა“ რვა წიგნისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. პირველ წიგნში გადმოცემული ალკიმედეს იასონთან[261] და პელიასის აკასტუსთან განშორების სცენები გარკვეულ სტრუქტურულ მსგავსებას გვიჩვენებენ მერვე წიგნში წარმოდგენილ ამბებთან; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მედეას დედის ფიგურა არცერთ ფლაკუსამდელ და არც ფლაკუსის შემდგომდროინდელ წყაროში არ ფიგურირებს, ფლაკუსის მიერ შექმნილი სახე კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რითაც კიდევ ერთხელ შეიძლება ხაზი გაესვას მის მისწრაფებას, ტრადიციულ მითში შეიტანოს სიახლე არა მხოლოდ ამა თუ იმ ეპიზოდის, არამედ „ახალი“ პერსონაჟების ექპონირების დონეზე.

[261] იასონის დედასთან დაკავშირებით იხ.: P. Dräger, Iasons Mutter. Wandlung von einer griechischen Heroine zu einer römischen Matrona, Hermes 123, 1995, 470-89.

3. მითოლოგიური ტრადიციისათვის უცნობი პერსონაჟები (ნიმფა აია, მედეას ძიძა ჰენიოხე, აიეტისა და პერსესის მოკავშირეები, სკვითებისა და კოლხების ომში მონაწილე მეომრები).

აღსანიშნავია, რომ ფლაკუსთან მითოლოგიური ტრადიციით საკმაოდ კარგად ცნობილი პერსონაჟების გარდა გვხვდება ახალი პერსონაჟები, რომლებიც პირველად მხოლოდ მასთან დასტურდებიან. თუ ელემენტარულ სტატისტიკურ დაკვირვებას მოვახდენთ, ერთი მხრივ, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაზე“ და, მეორე მხრივ, ვალერიუს ფლაკუსის ეპოსზე, აღმოჩნდება, რომ აპოლონიოს როდოსელთან დაახლოებით კავკასიასთან დაკავშირებული 23 პერსონაჟი გვხვდება, ვალერიუს ფლაკუსთან კი 110-მდე, რომელთაგან 79 ფიგურა აიეტისა და პერსესის ომის ეპიზოდშია ჩართული.[262] განსხვავება საკმაოდ თვალსაჩინოა. ჩნდება კითხვა: ვინ არიან ეს პერსონაჟები და რითი არის განპირობებული მათი ასეთი მასშტაბური გაჩენა ვალერიუს ფლაკუსთან.

ჩვენ უკვე დაწვრილებით ვიმსჯელეთ სკვითებისა და კოლხების ომის ფუნქციასა და არსზე; ძმებს შორის მომხდარი ომი, რომელიც ნაკლებად იყო დამუშავებული ბერძნულ წყაროებში, ფლაკუსმა ოსტატურად დაუკავშირა კოლხიდაში განვითარებულ ამბებთან; ამ ომის წინარე ისტორიისა და მსვლელობის გადმოცემას, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა მასთან. აშკარად თვალში საცემია, რომ ფლაკუსი პოემის დასაწყისისთანავე ახდენს ომის თემის ინტენსიფიკაციას, შეიძლება ითქვას, რომ პირველი სტრიქონებიდანვე სათანადოდ ამზადებს მკითხველში შესაბამის განწყობას: დაწყებული არგოს სურათების აღწერით, სადაც ლაპითებისა და კენტავრების ბრძოლაა ასახული, ლემნოსელი ქალების მიერ მამაკაცებზე ანგარიშსწორების დეტალური აღწერით, კიზიკუსის ღამის შერკინებისა და საშინელი ხოცვა-ჟლეტის ილუსტრირებით, დამთავრებული კოლხიდის ომის პერიპეტიების გადმოცემით. ბუნებრივია, ამ „ახალი“ სიუჟეტებისათვის ფლაკუსს დასჭირდებოდა, გამოეგონებინა ახალი პერსონაჟები, რომელთაც ე. წ. ფსევდო-მითოლოგიური შეგვიძლია ვუწოდოთ. მათი უმრავლესობა, როგორც უკვე აღინიშნა, აიეტისა და პერსესის ომში არის ჩართული და ამ მოვლენასთან დაკავშირებით ექსპონირებული.

[262] ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ის პერსონაჟები, რომლებიც უშუალოდ ომთან არ არიან დაკავშირებულნი: ა. მ., კოლხი ნიმფა აია (5.424), მედეას ძიძა ჰენიოხე (5.357), ნიმფები – სინოპე (5.109) და პევკე (8.256) და ა.შ.

ფლაკუსი მოწინააღმდეგე მხარეთა ექსპონირებას განსხვავებულად ახდენს; იგი, ბუნებრივია, ომის ყველა მონაწილეზე არ ამახვილებს ყურადღებას, განსაკუთრებით გამოჰყოფს რამდენიმე სარდალს, როგორც აიეტის, ასევე პერსესის ლაშქრიდან; კოლხების ლაშქარს აბსირტუსი სარდლობს; სულ აიეტის მხარდამჭერთა შორის სახელით მოხსენიებულია 32 მეომარი[263], რომელთაგან 2 ალბანელია, 5 ამაძონი, 7 მოკავშირე, რომელთა წარმომავლობაც უცნობია, 1 პართელი და 17 კოლხი. ამას ემატება დასახმარებლად მზადმყოფი არგონავტთა ლაშქარი.

აიეტის მხარდამჭერთა შორის ფლაკუსი განსაკუთრებით გამოარჩევს მის 7 მოკავშირეს,[264] რომლებიც ჯერ კიდევ მეხუთე წიგნში, სამეფო კარის აღწერისას არიან დასახელებულნი და აიეტის ნადიმზე ექსპონირებულნი (5.567-614), რაც ჰომეროსის ე. წ. „ტეიქოსკოპიას" მოგვაგონებს.[265] წარმოდგენილია 7 სარდალი *motique ad proelia reges*:[266] კარმეიუსი, არონი, კამპესუსი, ოდრუსა, იაქსარტესი, ლატაგუსი, ხოასპესი.[267] აღსანიშნავია, რომ არც ერთთან დაკავშირებით ფლაკუსი არ აზუსტებს მათ წარმომავლობას. მხოლოდ გარეგნული ნიშნებითა და პიროვნული თვისებებით წარმოგვიდგენს თითოეულ მათგანს. ბუნებრივია, ისინი საომრად არიან ჩამოსულნი კოლხიდაში, ამიტომ თვალშისაცემია მათი საერთო საომარი განწყობილება: კარმეიუსი დღე-ნიადაგ საგმირო საქმეებზე ფიქრობს და მუდმივ საომარ მზადყოფნაშია, მოუთმენლად ესწრაფვის ომის დაწყებას (5.578-580; 582-584). იაქსარტესი იმდენად თავდაჯერებულია თავის ძლევამოსილებაში, რომ თვით ღმერთებისაც კი არ ეშინია. აიეტი მას ამართლებს, რადგან იგი ყოველთვის ასრულებს მიცემულ სიტყვას და უმეტესად საომარი საქმეებით არის დაკავებული. მისი შიშით ძრწიან გეტები, მედები, მთელი იბერია (5.596-604). არონთან დაკავშირებით ფლაკუსი ხაზს უსვამს მის სიმდიდრეს, თავზე ზრუნვის მომენტს: არონი მდიდარია და ჭრელი

---

263 ამ შემთხვევაში გვაინტერესებს კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟები და არ ვგულისხმობთ არგონავტებსაც, რომლებიც, ბუნებრივია, ასევე აიეტის მხარეზე იბრძვიან.

264 შდრ. J. Adamietz, 1976, 79-80; E. Lüthje, 1971, 231-232; J. E. Shelton, 1971, 320-322; E. Shreeves, 1979, 162f.

265 შდრ. Hom. Il. 3.161ff. განსხვავება ის არის, რომ აიეტი და ნადიმზე მიწვეული იასონი ათვალიერებენ თავიანთ და არა მოწინააღმდეგის მოკავშირეებს.

266 ფლაკუსი ასეთი თანამიმდევრობით წარმოგვიდგენს აიეტის მხარეს: თავდაპირველად დასახელებულნი არიან არგონავტები [იასონი, ეაკუსის ვაჟები: პელევსი და ტელამონი და კალიდონის ვაჟები: ტიდევსი და მელეაგრუსი], შემდგომ დამხმარე სარდლები და ბოლოს ამაძონები [მათი მეთაური ევრიალე].

267 საინტერესოა ტეილორ-ბრიჯსის დაკვირვება, ამ სარდლების სახელები თავიანთი თანამიმდევრობის მიხედვით (კარმეიუსი, არონი, კამპესუსი, ოდრუსა, იაქსარტესი) ქმნიან აკროსტიქს cacoi *(κακοί)* (P.R. Taylor-Briggs, Valerius' Flavian Argonautica. *CQ* 44, 1994, 212-35).

სურათებით მოქარგული მოსასხამით იპყრობს მნახველთა ყურადღებას. მისი მეომრები ზაფრანის სურნელს აფრქვევენ და მოწესრიგებული ვარცხნილობით გამოირჩევიან (5.590-592), მათ ხუჭუჭა თმა აქვთ. არონი ამასთანავე უბადლო მეომარია, აბსირტუსის მხარდამხარ იბრძვის და მას არ ჩამოუვარდება სიმამაცით (6.524). კამპესუსი ვეფხვის ტყავით არის მოსილი (5.593), რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ის, ალბათ, უბადლო მონადირეა. ოდრუსა სხვა მოკავშირეთა შორის თმიანი გულ-მკერდითა და ხშირი წვერით გამოირჩევა, ასევე იქცევს ყურადღებას ღვინის სიყვარულით, რასაც იასონი განცვიფრებაში მოჰყავს (5.593-595). ლატაგუსი (5.584) და ხოასპესი (5.584-586) აღფრთოვანების ღირსნი არიან. ხოასპესი მოიხსენიება ეპითეტით „მდინარის შობილი“ *amnigena,* რაც, შესაძლოა, მის ღვთიურ წარმომავლობაზე მიუთითებდეს.[268] როცა აიეტი იასონს ამ მოკავშირეს წარუდგენს, იგი თავისი საომარი ცხენის სისხლს შეექცევა, თუმცა ცხენი ამის გამო სულაც არ უძლურდება და კვლავაც მკვირცხლად მიაჭენებს ხოლმე თავის მხედარს; აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იასონის მშობლები ხარის სისხლის შესმით იკლავენ თავს, ხოასპესს კი ცხენის სისხლი ვერაფერს აკლებს, რაც მის უჩვეულო გამძლეობაზე მეტყველებს.[269]

ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ, მივიღებთ ტიპური კავკასიელის განზოგადებულ სურათს: მეომარი, მონადირე, მკაცრი პირობების ამტანი, ღვინის მოყვარული; გარეგნული შტრიხები: თმახუჭუჭა (ჰეროდოტოსის მინიშნება ეგვიპტურ წარმომავლობაზე) და ჭარბთმიანი. ვფიქრობთ, რომ ფლაკუსი სწორედ ამიტომ არ მიიჩნევს საჭიროდ, უშუალოდ განსაზღვროს მათი წარმომავლობა, არამედ ამ პერსონაჟების სახით კავკასიელთა განზოგადებულ ტიპს გვთავაზობს. ეთნიკური წარმომავლობის დაზუსტების გარეშეც მკითხველს მშვენივრად ექმნება წარმოდგენა კოლხების მეზობლების შესახებ.

პერსესის ლაშქარი უფრო შთამბეჭდავია, აქ ფლაკუსი ინტენსიურად ამახვილებს ყურადღებას მათ მრავალრიცხოვნებაზე: პერსესის მხარეზე წარმოდგენილია 47 სახელდებული მეომარი, რომელთაგან 1 კიმერიელია, 1 იაზიგი, 1 გეტი, 2 იბერიელი, 4 ჰირკანიელი და 38 სკვითი. ამათგან 18 ექსპონირებულია ომის დასაწყისში პერსესის დასახმარებლად დაძრულ ლაშქარში ე. წ. „სკვითების კატალოგში“ (6.42-170).

---

[268] შდრ. ფასისი (5.425-428), თიდრუსი (6.639).

[269] ცნობა ამ ჩვეულების შესახებ სხვა ანტიკურ ავტორებთან არ დასტურდება.

ვიდრე ფლაკუსი სკვითებსა და კოლხებს შორის გამართულ ომის აღწერაზე გადავიდოდეს, მას წინ უმძღვარებს სკვითების კატალოგს[270], სადაც იგი ცალკეულ სარდალს და ხალხს ჩამოთვლის, რომელთაგან ნაწილი ბრძოლის სცენებშიც არის ექსპონირებული, ნაწილი კი ოდენ კატალოგში მოხსენიება.[271] კატალოგის შექმნისას ვალერიუსი გარკვეულწილად ჰომეროსს (Il. 2. 494-779 ე. წ. ხომალდთა კატალოგი)[272] და ვერგილიუსს (Aen. 6. 37-40; Aen. 7. 643-817) მიჰყვება, თუმცა მისი კატალოგი უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ კატალოგის ფორმირების პროცესში პოეტი ახერხებს ვერგილიუსისეული და ჰომეროსისეული სტილისა და მხატვრული ხერხების შერწყმას. ვერგილიუსი იტალების კატალოგის წარმოდგენით მიზნად ისახავს, აქცენტი ძველი იტალიიდან თანამედროვეობაზე გადაიტანოს. ვალერიუსს ვერგილიუსისაგან განსხვავებული მიდგომა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფლავიუსთა საიმპერატორო კარს აკავშირებს მითოსთან, რომის იმპერიას, რომაელების ექსპანსიას ბრიტანეთზე, ოკეანის დაძლევას და ვესპასიანეს მილიტარისტულ ქმედებებს ადარებს არგონავტების მიერ საზღვაო გზის გახსნას და მათ საომარ ქმედებებს,[273] შეიძლება ითქვას, რომ ტიპოლოგიური კავშირი მითოსსა და თანადროულობას შორის, როგორც ეს „ენეიდაშია" ლაციუმის ომის მეშვეობით წარმოდგენილი, ფლაკუსთან არ დასტურდება.[274] ფლაკუსის „არგონავტიკაში" სკვითები წარმოადგენენ აზიის წამყვან ძალას, რომლებიც აიეტის მომხრე არგონავტების წინააღმდეგ იბრძვიან და, ამდენად, ისინი უპირისპირდებიან საბერძნეთს, ანუ აღმოსავლეთი უპირისპირდება დასავლეთს.

---

[270] ეპიკურ კატალოგებთან დაკავშირებით ლუკანუსამდე იხ.: J. Gaßner, Kataloge im römischen Epos. Vergil - Ovid - Lucan, Diss. München, Augsburg 1972, 5-24, 159-162; ლუკანუსის კატალოგთან დაკავშირებით იხ.: L. Eckhardt, Exkurse und Ekphraseis bei Lucan, Diss. Heidelberg 1936, 26-29; W. Kühlmann, Katalog und Erzählung. Studien zu Konstanz und Wandel einer literarischen Form in der antiken Epik, Diss. Freiburg/Br. 1973, 166f. 239f.

[271] კატალოგის მიზანი ძირითადად ემსახურება იმას, რომ წარმოადგინოს ცალკეული გმირი, რომელიც შემდეგ ბრძოლაში იქნება ექსპონირებული. სკვითების კატალოგში დასახელებული გმირებისაგან და ხალხებისაგან ბრძოლებში კვლავ გვხვდებიან: ანავსისი (6.42-47; 265-278), კოლაქსესი (48-59; 621-656), ავხუსი (60-64; 619f.), სიენესი (74-78; 703-705), ფალკესი (88-94; 245; 553f.), არიასმენუსი (103-105; 386-426), დრანგები (106-113; 507f.), იბერიელები (120f.; 507f.), იაზიგები ანუ გესანდერი (122-128; 279-385), ექსომატები (143-149; 569), სარმატები (162; 231-264).

[272] რ. გორდეზიანი, „ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი 1970, 10-87: ჰომეროსიდან მოყოლებული ეპიკური ტრადიციის თანახმად კატალოგში მოხსენებული ყველა გმირი არ არის შემდგომში კვლავ ექსპონირებული და პირიქით.

[273] P. Schenk, 1999, 183.

[274] P. Schenk, 1999, 184.

საჭიროდ მიგვაჩნია, განსაკუთრებით შევაჩეროთ ყურადღება კატალოგის სტრუქტურაზე. კატალოგს აერთიანებს ორი თემა: ოქროს საწმისი და მედეა. აქ ჩამოთვლილი არიან მნიშვნელოვანი გმირები, რომელთაგან ნაწილი ომის სცენებშიც არის ექსპონირებული, ასევე მრავალი ჩრდილო-კავკასიელი ტომი და, რიგ შემთხვევაში, მათი ადათ-წესები; საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ წეს-ჩვეულებათა უმეტესობას, რომლებიც წყაროებში ამ რეგიონში მცხოვრებ სხვა ტომებთან დაკავშირებით დასტურდება, ფლაკუსი სკვითებს უსადაგებს. როგორც დეტალური ანალიზი ცხადყოფს, პოეტი კატალოგის ფორმირებისას გვერდს უვლის ვერგილიუსის პრინციპს და უფრო მეტად მოგვაგონებს ლუკანუსს, რომელიც ცდილობს, გარკვეული წესრიგი შეიტანოს მეომართა თვალუწვდენელ სიმრავლეში (Luc. 1. 392-465, 3. 169-297), ამას, როგორც ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, ახერხებს ფლაკუსიც სკვითების კატალოგში, სადაც აშკარად შეინიშნება სტრუქტურული დაყოფის ელემენტები.

კომპოზიციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სკვითების კატალოგი სამ თანაბარ მონაკვეთად არის დაყოფილი. სტრიქონების მოცულობა სამსავე მონაკვეთში დაახლოებით თანაბარია.[275] ამ თვალსაზრისით კატალოგის სამსავე მონაკვეთში განსხვავებული სურათი გვაქვს: კატალოგის პირველ ნაწილში წინა პლანზეა წამოწეული (6. 42-80) ცალკეული გმირი თუ სარდალი. ისინი ან მარტო მიდიან საომრად (6. 68f.) ან რომელიმე ტომთან ერთად[276]; მეორე ნაწილში ექსპონირებულია სხვადასხვა ტომი, ზოგ შემთხვევაში მათი მეთაურის თანხლებით (6. 80-121). აქ უფრო მეტად გვხვდება ამ ტომებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული თუ გეოგრაფიული ინფორმაცია;[277] კატალოგის მესამე ნაწილი კვლავ სხვა სურათს გვიჩვენებს: ფლაკუსი კონცენტრაციას ახდენს ხალხების წარმოდგენაზე, რომელთა ჩამოთვლას იგი, უპირველეს ყოვლისა, ეთნოგრა-

[275] პირველი მონაკვეთი (6.42-80) 38 სტრიქონს შეადგენს, მეორე (6. 80-121) – 42 სტრიქონს და მესამე (6. 121-162) – ასევე 42 სტრიქონს.

[276] ეს არის წარმოდგენილი ზმნებით: miserat (6.42), ostentat (61), movet (70), expulit (79), ასევე ductor (48), quem circum (66), cum gente (74); ზმნების ფუნქციისათვის კატალოგში შდრ. W. Kühlmann, 1973, 304.

[277] 6.80-87: წარმოდგენილია ხუთი ტომი; 6.88-94: ფალკესი – კორალები; 6.95-98: ბატარნები – ტევტაგონუსი; 6.99-103: ხალხები, რომლებიც ალაძონთან სახლობენ; 6.103-105: არიასმენუსი, რომელიც განზრახ არის ჩასმული ამ სეგმენტის ცენტრალურ ნაწილში; 6.106-113: დრანგები და კასპიადები; 6.114-119: ვანუსი, ჰირკანიელები და ინდები; 6.120f.: იბერიის ხალხები ოტაკესის და ლატრისის მეთაურობით; შესაბამისად არის განაწილებული ზმნებიც: expulit (6.79), agit (6.88), duce (6.97), ferentem (6.104), ducit (6.114) და agunt (6.121) მიემართება მონაკვეთს, სადაც ხალხი წარმოდგენილია სარდლით. გამონათქვამები, რომლებიც დამოუკიდებელ მოქმედებას გვიჩვენებენ, მიემართება ხალხებს: traxere (6.81), linquitur (6.84), ruunt (6.86), ferit (6.99) და insequitur (6.106). გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები წარმოდგენილია შემდგომ სტრიქონებში: 6.81-83, 85, 90-94, 100f. 107-113. დაწვრილებით იხ.: P. Schenk, 1999.

ფიული ცნობებით ავრცობს (6. 121-162). შესაბამისად, კატალოგის დამასრულებელ ნაწილში ძირითადი აქცენტი გადატანილია ამა თუ იმ ხალხის დახასიათებაზე.[278] მონაკვეთების გამოსაყოფად ფლაკუსი იშველიებს სპეციალურ ზმნებს, კავშირებს და ნაწილაკებს სტრიქონის დასაწყისში.[279]

ახლა უფრო დეტალურად: სკვითების კატალოგის დასაწყისს ფლაკუსი განსაკუთრებით გამოჰყოფს.

ანავსისი (6.42-47) პირველი სარდალია, რომელსაც ფლაკუსი გამოთქმით iam pridem (6.43) დროის თვალსაზრისითაც წამყვან როლს აკისრებს;

შემდეგ დასახელებულია კოლაქსესი, რომელსაც თან ახლავს ბისალტების ლეგიონი (proxima); კოლაქსესის შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია მის ღვთიურ წარმომავლობაზე. იგი იუპიტერისა და ჰორას შვილია, რომელიც მწვანე მირაკეს და ტიბისუსის ახლოს იშვა (6.48-59). აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ თვით იუპიტერია კოლაქსესის მამა, იგი მაინც უმწეოა, აარიდოს თავის ძეს სიკვდილი (6.621ff.).

რიგით მესამე (6.60-64) ადგილზე სახელდება ავხუსი კიმერიელებთან ერთად (tertius). ავხუსის შესახებ ის ვიცით, რომ ის ქურუმია.

დარაპსი და დატისი, კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა მამა-შვილად გავიაზროთ.[280] დარაპსი სპარსელებთან ბრძოლებში მიღებული ჭრილობებით იტანჯება და ამიტომ კოლხიდაში საომრად აგზავნის დატისს (6. 65-66), თუმცა, მოგვიანებით თვითონაც იღებს მონაწილეობას ომში. დატისს თან ახლავს ბრძოლის ჟინით ანთებული განგარიდები და მეომრები, რომლებიც გერუსთან (მდ. სკვითიაში) და ბიკესის ტბასთან სახლობენ.

ამის შემდეგ ფლაკუსი ჩამოთვლის სამ სარდალს (ანქსური, სიდონი, რადალუსი); მათ შემთხვევაში იგი არ გამოკვეთს ინდივიდუალურ შტრიხებს.

---

278 შდრ. eruis (6.131), doctus...spargere et adducere (132f.), iungit (143), secuti (143), ibant (160). პირველი სეგმენტისგან განსხვავებით (42-80) რედუცირებულია ვიღაცის მოქმედებაში მოყვანის ზმნები. ზმნები impulit (150) და sollicitat (156) არ შეესაბამება მონაცემებს, რამდენადაც კენტორებს და ხოათრებს ამოძრავებთ velleris ardor (150) და კოასტესი მედეას ჯადოქრობით არის მოტივირებული (156f.). პოეტის გამოსვლით (135: silebo) წარმოჩენილია თირსაგეტების განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც ბაკხუსის ჩართვით არის გაძლიერებული, თუმცა მას აქ არ აქვს უშუალოდ ამ ომთან კავშირი, ოდენ მოიხსენიება მითოლოგიურ ექსკურსში, რაც ეხმიანება იუპიტერის აპოსტროფს (1.565-567).

279 შდრ. Arg. 6. 42: miserat; 68: non defuit; 74: movit et; 84: linquitur; 106: insequitur; 114: ducit; 143: iungit; 150: impulit; 160: ibant; 48: proxima; 60: tertius; 79: quin et; 88: hos super; 95: ast ubi; 99: nec procul; 103: te; 129: hic et; 134: non ego.

280 მოტივი როცა მამა ომში აგზავნის შვილს შდრ. ვერგილიუსი (Aen.2.87) და პირიქით, როცა მისანი მამა ცდილობს ომში დაიფაროს თავისი ვაჟი (Aen.10.417). ეს მოტივი ფლაკუსთანაც გვხვდება: მისანი აკვიტესი ცდილობს მძიმე ხვედრი აარიდოს თავის ვაჟს კირნუსს (Arg.6. 294-316).

ერთადერთი ინფორმაცია, რასაც პოეტი გვაწვდის, არის ის, რომ სიდონი და რადალუსი ძმები არიან. მათ მომავალ ხვედრზეც არაფერს ამბობს ავტორი.

ამ ინფორმაციული სიმწირის ფონზე, ფლაკუსს შემოჰყავს ერთ-ერთი სკვითი სარდალი, რომელსაც ფრიქსუსს არქმევს. ფლაკუსი განგებ ირჩევს ამ სახელს, რათა გამოაფხიზლოს მკითხველი და ამ სახელის აქტივაციით მოაგონოს მას ოქროს საწმისი და მთავარი მოტივი, რისთვისაც იმართება ომი. აქ მას შემოაქვს კიდევ ერთი ატრიბუტი: აკესინელ მებრძოლებს, რომელთაც ფრიქსუსი მეთაურობს, მაღალ ჭოლოკზე აღმართული პრიალა ბეწვიანი და ოქროსრქებიანი ფურის[281] გამოსახულება მიუძღვის წინ. ფურ-ირემი ნაღვლიანია, რადგან ვერ ახერხებს კვლავ მრისხანე დიანას ჭალაში დაბრუნებას. აქ ალეგორიულად მინიშნებაა იმაზე, რომ ოქროს საწმისი დიდხანს ვერ დარჩება მარსის ჭალაში, ფლაკუსი კვლავ იმ ავბედით მისნობას შეგვახსენებს omine fatidicae ...cervae (6.70), რომელსაც მეხუთე წიგნში წარმოსთქვამს ფრიქსუსის აჩრდილი.

ფრიქსუსი მეცხრე სარდალია კატალოგში და ამის შემდეგ ვალერიუსი კიდევ 9 სარდლის ექსპონირებას ახდენს. აქვე აღსანიშნავია, რომ კატალოგში მოხსენიებული ბოლო ანუ 18-ე სარდალი კოასტესი, ისევე როგორც პირველი, სწორედ მედეასთან არის დაკავშირებული. კოასტესი, რომელიც კოლხიდაში ხოათრებთან და კენტორებთან ერთად მოისწრაფვის. კოასტესი მედეათი არის დაინტერესებული (6. 155-7). აშკარად ნიშანდობლივია ამ პერსონაჟის სახელის სემანტიკაც, შესაძლოა ფლაკუსი მას აწარმოებდეს ბერძნული ფორმატივისგან κῶας „საწმისი“; შესაბამისად, კვლავ ამ ორი სიმბოლოს: მედეას და საწმისის ხსენებით ფლაკუსი კომპოზიციურადაც კრავს და ამთლიანებს კატალოგს.

რაც შეეხება დანარჩენ სარდლებს, სიენესი ჰილეელ მებრძოლებთან ერთად არის წარმოდგენილი. ის ორი რამით იქცევს ყურადღებას: პერსესი მას თვითონ აღაზევებს საომრად, აჩვენებს რა აიეტისგან მიყენებულ ჭრილობებს. ამ სარდალს პირადი მოტივი კი არ ამოძრავებს ბრძოლაში ჩასაბმელად, არამედ ჰუმანური. ასევე საგულისხმოა, რომ იგი სასტიკად უსწორდება ომში პართელ ელჩს (6. 703), რომელიც მედეას ერთ-ერთი ხელისმთხოვნელია (6.691-694).

---

[281] ფურ-ირემი, როგორც დიანას ატრიბუტი, ჰომეროსიდან მოყოლებული ფართოდ არის დადასტურებული (Hom. Od. VI, 102), მაგრამ ეს ტრადიცია და მასთან დაკავშირებული მითიც, რაზეც ფლაკუსი მიგვანიშნებს, სავარაუდოდ, მისი გამოგონილი უნდა იყოს; შდრ. (Plut. Sert. 11).

ჰირკანიელების სარდალი კირისი (6. 80) ყურადღებას იქცევს თავისი წარმომავლობით. ეპითეტით *Titanius* ფლაკუსი ხაზს უსვამს მის ღვთიურ წარმომავლობას.

რაც შეეხება ფალკესს, იგი კატალოგში ოდენ დასახელებით ამოწურავს მისიას, თუმცა მოგვიანებით ბატალურ სცენებში კვლავ გვხვდება. საგულისხმოა, რომ მას ბრძოლის ველზე ეოლიდი ფრიქსუსის ვაჟი, არგუსი ჩამოაგდებს ცხენიდან (6.554).

ტევტაგონუსი მეთაურობს ბატარნებს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან დაუმუშავებელი საქონლის ტყავის ფარებითა და თანაბარზომიერი მახვილებით. გამოთქმით in se trahit Aea batarnas (6.96) ფლაკუსი კვლავ გვახსენებს ძმებს შორის ამტყდარ ომს.

არიასმენუსთან დაკავშირებით წინ არის წამოწეული ორი ფაქტორი: 1. პოეტი უშუალოდ მიმართავს მას (6.103) და 2. მოხსენიებულია მისი საბრძოლო ნამგლებიანი ეტლი (6.104f.). უმამაცესი მეომარი პალასის ჩარევის შედეგად საკუთარი ეტლიდან გადმოვარდნილი კვდება (6.423-426).

ვანუსი ჰირკანიელი წმინდა მისანი და აედია. სკვითიის სამი თაობა ისმენდა მისგან ამბებს მინიელთა და არგოს ხომალდის შესახებ. მისი რჩევებით სარგებლობდნენ ინდოელები, ასბჭიანი თებეს და მთელი პანქაიას მკვიდრნი (6. 115-119). ამ პერსონაჟით ფლაკუსი კვლავ ააქტიურებს თავისი პოემის მთავარ მოტივს.

ამის შემდეგ ფლაკუსს შემოჰყავს ორი სარდალი ლატრისი და ოტაკესი, რომლებიც არც კატალოგში გამოირჩევიან და არც შემდგომ ბრძოლებში არიან ექსპონირებულნი. მას განგებ გადააქვს აქცენტი იმ ეთნიკურ ერთეულებზე, რომელთა ხვედრითი წონა საკმაოდ დიდია კატალოგის დასკვნით ნაწილში.

კატალოგის დასკვნით ნაწილში კი პოეტი ჩამოთვლის სხვადასხვა ტომს: იაზიგებს, მიკეებს, თირსაგეტებს, ექსომატებს, ტორინებს, სატარხებს, კენტორებს, ხოათრებს, ბალონიტებს, სარმატებს.

ეს რაც შეეხებოდა აიეტისა და პერსესის მომხრეებს, ამათ გარდა პოემაში სხვა მრავალი პერსონაჟიც გვხვდება, რომელთაგან უმეტესობა, ფლაკუსის თანახმად, თავიანთი წარმომავლობით კავკასიასთან არიან დაკავშირებულნი. აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი მათგანი არ არის მთავარი პერსონაჟი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სიუჟეტის განვითარებაში, რაც კიდევ

უფრო ზრდის იმის ალბათობას, რომ პოეტმა ისინი გამოიგონა. თუმცა გვხვდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი პერსონაჟიც, რომელთა მეშვეობითაც ფლაკუსი შიდა კავკასიურ ურთიერთობებს წარმოაჩენს.

თავდაპირველად შევეცადოთ, დავაჯგუფოთ ყველა ეს ე. წ. ფსევდო-მითოლოგიური პერსონაჟი გარკვეულ კატეგორიებად, რამდენადაც მათ მიმართ თვითონ ავტორს დიფერენცირებული დამოკიდებულება გააჩნია. პერსონაჟთაგან ნაწილს სტატისტის ფუნქცია აქვს, ნაწილი ჩვეულებრივ სტატისტებს აღემატება მათზე მოწოდებული ინფორმაციის მოცულობით; განსაკუთრებით საინტერესოა ის ჯგუფი, რომელშიც ავტორი ცდილობს, უკვე ესა თუ ის მოქმედი პირი მეორეხარისხოვანი პერსონაჟის დონემდე აამაღლოს. ამას იგი აღწევს რამდენიმე საშუალებით: 1. პოემის მოქმედებაში პერსონაჟის მრავალგზისი ჩართვით; 2. გმირის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის ინტენსიფიკაციით (პოეტი არ იფარგლება მხოლოდ პერსონაჟის წარმომავლობისა და ვინაობის წარმოდგენით, არამედ მას სიუჟეტის განვითარების ლოგიკის შესაბამისად დამატებით ფუნქციასაც აკისრებს). ამდენად, ის მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც განისაზღვრება ამა თუ იმ პერსონაჟის მნიშვნელოვნება, არის მისი კონკრეტულ სიტუაციაში ექსპონირების ხარისხი თუ ინტენსივობა. ქვემოთ წარმოდგენილი პერსონაჟები ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით არიან დაჯგუფებულნი.

3.1. სტატისტები

გასაკვირი არ არის, რომ ბრძოლის სცენებში წარმოდგენილ გმირთა უმრავლესობა მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული. ზოგიერთი მათგანი შეიძლება მეტჯერაც იყოს დასახელებული, თუმცა ეს არსებითად არ ზრდის ამ გმირის მნიშვნელოვნებას. მათ შესახებ არსებული ინფორმაცია მხოლოდ ასეთი ტიპის მონაცემებით იფარგლება: ისინი ან კლავენ მოწინააღმდეგეს, ან თვითონ ხდებიან მსხვერპლნი.

ა). A კლავს B-ს

ამბენუსი – სკვითი მებრძოლი. იგი კოლხ ოკრევსს ხის მორით დაკვრით მოუღებს ბოლოს ბრძოლაში (6.250-251).

კასპიუსი – სკვითი მებრძოლი. იგი ბრძოლაში თმაში წვდა აიელ მონესესს და მოკლა (6. 189-192).

კრემედონი – ალბანელი მებრძოლი. იგი ბრძოლის ველზე სკვით კარესუსს მოუსწრაფებს სიცოცხლეს (6. 194).

ბ). A-ს კლავს B

ამასტრუსი – სკვითი მებრძოლი. ფრიქსუსის ვაჟის, არგუსის მიერ განგმირული აღესრულება ბრძოლის ველზე (6. 554-556).

აპრესი – კოლხი მებრძოლი. ქვეით შერკინებაში კლავს იუპიტერის ძე, კოლაქსესი (6. 638).

არინესი – კოლხი მებრძოლი. აღესრულება იუპიტერის ძის, კოლაქსესის მიერ (6. 638).

ბარისასი – სკვითი მებრძოლი. კლავს ბორეასის ვაჟი, მინიელი კალაისი (6. 557).

დიპსასი – კოლხი მებრძოლი. მას სკვითი კარესუსი კლავს (6. 192).

ზაკორუსი – სკვითი მებრძოლი. მას და ფალკესს ბრძოლაში ფრიქსუსის ვაჟი არგუსი ჩამოაგდებს ცხენიდან (6.554).

ზეტესი // **ძეტესი** – კოლხი მებრძოლი. მას დარაპსი სიცოცხლეს მოუსწრაფებს (6.572).

იდასმენუსი – სკვითი მებრძოლი. ბრძოლაში ფრიქსუსის ვაჟი მელასი შუბით დაჭრის კეფაში (6. 196-99).

ირონი – სკვითი მებრძოლი. ბრძოლაში ფერდში პილიური შუბით დაიჭრა (6. 201-2).

კერამნუსი – სკვითი მებრძოლი. მას მკერდში სასიკვდილო დარტყმით განგმირავს იასონი (6. 550).

მონესესი – კოლხი მებრძოლი. მას სკვითი კასპიუსი თმაში წვდა და მოკლა (6. 189-192).

ოებასუსი – კოლხი მებრძოლი. იგი ცდილობს, საშიშ მტერს, ფალკესს თავი მოარიდოს, თუმცა სკვითი მეომარი მას მარცხენა თვალთან მიაყენებს ჭრილობას (6. 244-7).

ოკრევსი – კოლხი მებრძოლი. მას სკვითი ამბენუსი ხის მორით მოუღებს ბოლოს (6. 250-251).

ოლბუსი – კოლხი მებრძოლი. კლავს იუპიტერის ძე, კოლაქსესი (6. 638).

პრიონი – გეტელი მეომარი. იასონი მოუსწრაფებს სიცოცხლეს (6. 619).

რინდაკუსი – სკვითი მებრძოლი. ოებალიდი პოლუქსის ხელით ესალმება სიცოცხლეს.

სტრიმონი – კოლხი მებრძოლი. სკვითი კარესუსი ჯერ კოლხ დიპსასს გაუსწორდება, ხოლო შემდგომ სტრიმონსაც კლავს (6. 192-4).

სუეტესი – სკვითი მებრძოლი. ყელში სასიკვდილო დარტყმას აყენებს იასონი (6. 550).

ჰიპეტაონი – კოლხი მებრძოლი. იუპიტერის ძე კოლაქსესი კლავს (6. 637).

გ). აქ შეგვიძლია გავაერთიანოთ ის სტატისტები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ორ ქვეჯგუფში ვერ ხვდებიან და მათი ხვედრი გარკვეულ ვარიაციას გვიჩვენებს:

A ცდილობს მოკლას B, მაგრამ შემთხვევით თუ ღმერთების ნებით კვდება C

ლექსანორი – სკვითი მებრძოლი. ლექსანორი ცდილობს იასონის მოკვლას, რაც მედეას შეშფოთებას იწვევს, თუმცა განგების წყალობით, მის მიერ გატყორცნილი ისარი კოლხ კაიკუსს განგმირავს (6. 686).

A კლავს B-ს, თვითონ კი C-სგან კვდება

კარესუსი – სკვითი მებრძოლი. კლავს კოლხ მეომრებს: დიპსასსა და სტრიმონს, თვითონ მას კი ალბანელი კრემედონი მოუღებს ბოლოს (6. 192-4).

A კვდება (არ არის დასახელებული, თუ ვინ კლავს)

ონხევსი – სკვითი მებრძოლი. ონხევსი ბრძოლაში ცხენს ვერ იმორჩილებს, რომელიც პირდაპირ მოწინააღმდეგის შუბის საპირისპიროდ მიექანება. ამაოდ ცდილობს საფრთხის თავიდან აცილებას. ცხენი მაინც წინ მიიწევს, მასთან ერთად თავზარდაცემული მხედარიც. ის საბოლოოდ კარგავს იარაღს (6. 256).

სიბოტესი – კოლხი მებრძოლი. დარწმუნებულია თავისი აბჯრის სიმტკიცეში, იგერიებს სკვითი ამბენუსის მიერ ნასროლ შუბს, თუმცა ამაოდ, იგი სასიკვდილოდ არის განწირული.

A გადარჩება

ოხევსი და ტირესი – სკვითი მებრძოლები. ფლაკუსი სკვით მეომრებთან დაკავშირებით მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მათ არც კი უწყიან, თუ ვის უნდა უმადლოდნენ თავიანთ კეთილ ხვედრს, რადგან ფრიქსუსის ვაჟი მელასი შუბით განგმირავს იდასმენუსს (6. 196-99), ოხევსი და ტირესი კი, რომლებიც მახლობლად იმყოფებიან, სიკვდილს გადაურჩებიან.

3.2. ელემენტარულად ექსპონირებული პერსონაჟები

უდავოდ ფლაკუსის ოსტატობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი ყოველთვის ცდილობს, გმირები რაღაც გამორჩეული შტრიხებით ან რაიმე ტიპის ინფორმაციით დასამახსოვრებელი გახადოს, პოეტი რიგ შემთხვევაში ბრძოლის პერიპეტიების ასახვისას ისეთ ამბავს რთავს ბატალურ სცენებში, რომ მკითხველის ყურადღებას ერთიანად აფხიზლებს. ამ კატეგორიაში გაერთიანებულ პერსონაჟთა ექსპონირება რამდენიმე განსხვავებული გზით ხდება:

ა) აქცენტირებულია მხოლოდ გმირის წარმომავლობა და სტატუსი

ანქსური – სკვითი სარდალი. პერსესის მოკავშირე (6.68). დასახელებულია სიდონისა და რადალუსის გვერდით სკვითების კატალოგში.

რადალუსი და სიდონი – სკვითი სარდლები. ძმები მოიხსენიებიან პერსესის მომხრეთა შორის სკვითების კატალოგში (6.69) სარდალ ანქსურთან ერთად.

ტევტაგონუსი – სკვითი სარდალი. პერსესის მოკავშირე. მეთაურობს ბატარნების ტომს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან დაუმუშავებელი საქონლის ტყავის ფარებით (6. 97).

დარაპსი და დატისი – სკვითი სარდლები. დარაპსი სპარსელებთან ბრძოლებში მიღებული ჭრილობებით იტანჯება, ამიტომ კოლხიდაში საომრად აგზავნის დატისს (6. 65-66). დატისს თან ახლავს ბრძოლის ჟინით ანთებული განგარიდები და მეომრები, რომლებიც გერუსთან (მდ. სკვითიაში) და ბიკესის ტბასთან სახლობენ, თუმცა მოგვიანებით თვითონ დარაპსიც იღებს მონაწილეობას ომში. იგი ბრძოლის ველზე კლავს ძეტესსა და ლატაგუსს (6. 572).

ვანუსი – ჰირკანიელი წმინდა მისანი და აედი. ჰირკანიის მთებიდან კრებს ჯარს პერსესის დასახმარებლად (6.114-115). სკვითიის სამი თაობა ისმენდა მისგან ამბებს მინიელთა და არგოს ხომალდის შესახებ. მისი რჩევებით სარგებლობდნენ ასბჭიანი თებეს და მთელი პანქაიას მკვიდრნი (6. 115-119).

კირისი – ჰირკანიელი სარდალი, სოლის ვაჟი. პერსესის მოკავშირეთა შორის არის დასახელებული და მის დასახმარებლად ჰირკანიის შეუპოვარ მეომრებს მოუძღვის საომრად (6. 80). ბრძოლის ეპიზოდში ექსპონირებული არ არის.

ლატრისი და ოტაკესი – სკვითი სარდლები. მოიხსენიებიან სკვითების კატალოგში პერსესის მოკავშირეთა შორის, მეთაურობენ იბერიის რჩეულ მეომრებს აიეტის წინააღმდეგ გამართულ ომში. არცერთი მათგანი არ არის ბრძოლის ეპიზოდში ექსპონირებული (6.120).

ფალკესი – სკვითი სარდალი. დასახელებულია პერსესის მომხრეთა შორის. აიეტის წინააღმდეგ საბრძოლველად იგი ხმაურით მიუძღვის წინ შეიარაღებულ მეომრებს. ექსპონირებულია ბრძოლის დროსაც. კოლხი ოებასუსი ცდილობს, მას თავი მოარიდოს, თუმცა სკვითი მეომარი კოლხს მარცხენა თვალთან მიაყენებს სასიკვდილო ჭრილობას (6. 244-7). საბოლოოდ, ფალკესს ფრიქსუსის ვაჟი, არგუსი ჩამოაგდებს ცხენიდან (6. 554).

ბ) წარმომავლობის გარდა ხაზგასმულია გმირის პირადი ღირსება, რაიმე ნაკლი, გარეგნობა, ჩაცმულობა

არონი – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს. მისი ვინაობა და გარეგნობა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე აღძრავს ინტერესს იასონში. მდიდარი და ჭრელი სურათებით მოქარგული მოსასხამით იპყრობს უცხოთა ყურადღებას. არონი და მისი მეომრები ზაფრანის სურნელს აფრქვევენ და მოწესრიგებული ვარცხნილობით გამოირჩევიან (5. 590-591). ამასთან ერთად უბადლო მეომარია, აბსირტუსის მხარდამხარ იბრძვის და მას არ ჩამოუვარდება სიმამაცით (6. 524), მისი მახვილით აღესრულება სკვითი მებრძოლი არმისი (6. 530-541).

იაქსარტესი – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს. იგი იმდენად თავდაჯერებულია თავის ძლევამოსილებაში, რომ თვით ღმერთებისაც კი არ ეშინია. აიეტი იაქსარტესს ამართლებს, რადგან იგი ყოველთვის ასრულებს მიცემულ სიტყვას და დღე და ღამე ომის საქმით არის დაკავებული. მისი შიშით ძრწიან გეტები, მედები, იბერები. იგი უშუალოდ ბრძოლის ამსახველ ეპიზოდში ექსპონირებული არ არის (5. 596-604).

კამპესუსი – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს. მხოლოდ მის გარეგნულ მხარეს აღწერს: იგი ვეფხვის ტყავით არის მოსილი (5. 593). კამპესუსს პერსესის წინააღმდეგ ბრძოლაში მტრის მახვილი სასიკვდილოდ განგმირავს თეძოსა და საზარდულში (6. 243-4).

კარმეიუსი – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს, მისი ვინაობა ომის დაწყებამდე აღძრავს ინტერესს იასონში. დღე-ნიადაგ

საგმირო საქმეებზე ფიქრობს და მუდმივ საომარ მზადყოფნაშია. მას თან ახლავს მეაბჯრე და მოუთმენლად ესწრაფვის ომის დაწყებას. უშუალოდ ბრძოლის ამსახველ ეპიზოდში ექსპონირებული არ არის (5. 578-8).

ლატაგუსი – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს. მას და კოლხ ძეტესს სკვითი დარაპსი კლავს აიეტსა და პერსესს შორის გამართულ ომში. ლატაგუსი გაქცევას ცდილობს, თუმცა დარაპსის მახვილი მას სასიკვდილოდ განგმირავს (6. 572-4).

ოდრუსა – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს. სხვა მოკავშირეთა შორის თმიანი გულ-მკერდითა და ხშირი წვერით გამოირჩევა, ასევე იქცევს ყურადღებას ღვინის სიყვარულით, რასაც იასონი განცვიფრებაში მოჰყავს. უშუალოდ ბრძოლის ამსახველ ეპიზოდში ექსპონირებული არ არის (5. 594-5).

ხოასპესი – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს. იგი მოიხსენიება ეპითეტით „მდინარის შობილი" *amnigenes* (ეს ეპითეტი პირველად ფლაკუსთან გვხვდება), რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი მდინარის ღმერთის ძეა. როცა აიეტი იასონს ამ მოკავშირეს წარუდგენს, ხოასპესი თავისი საომარი ცხენის სისხლს შეექცევა, თუმცა ცხენი ამის გამო სულაც არ უძლურდება და კვლავაც მკვირცხლად მიაჭენებს ხოლმე (ცნობა იმ ჩვეულების შესახებ სხვა ანტიკურ ავტორებთანაც დასტურდება) (5. 584-6).

ევრიალე – აიეტის მოკავშირე ამაძონი მებრძოლი ქალი, სხვა ამაძონებთან (ლიკე, თოე, ჰარპე და მენიპე) ერთად იბრძვის კოლხების მხარეზე. იასონთან საუბარში აიეტი აღნიშნავს, რომ მას საკუთარ ქალიშვილებში არ გამოარჩევს (5. 614), ყველა აღტაცებაში მოჰყავს მის აბჯარ-იარაღს, აიეტი საგულდაგულოდ აღწერს მის აღკაზმულობას (5. 611-613). როცა იაზიგების სარდალი გესანდერი არგონავტ კანთუსს განგმირავს, მის გვამს მინიები, ამაძონების დახმარებით, ქალწულ ევრიალეს ეტლით განარიდებენ ბრძოლის ველს (6. 370). სწორედ იგი გაუპობს თავს გესანდერს თავისი საბრძოლო ნაჯახით (6. 373).

ავხუსი – კიმერიელი ქურუმი. პერსესის მოკავშირეთა შორის არის დასახელებული. იგი ურიცხვ ერთსულოვან მეომარს სარდლობს და თავს იწონებს კიმერიის სიმდიდრით. დაბადებიდანვე თეთრი თმა ჰქონდა (ქერათმიან ბუდინების შესახებ იხ. Her. IV 108), თუმცა ხანდაზმულობის გამო თავი უკვე მოშიშვლებოდა, სამად განასკვული ორმაგი თავსაკრავი (აქ უნდა იგულისხმებოდეს ქურუმის წმინდა თავსაბურავი, სიმელოტეზე მინიშნებაც უნდა

დავუკავშიროთ ჰეროდოტოსის ცნობას მელოტ არგიპეების შესახებ (Her. IV 23), რომლებიც ძალიან ჰგავდნენ ჰიპერბორეელებს) უმშვენებდა საფეთქლებს (6. 60-64). ომში მას ბოლოს უღებს იასონი, მოჰკვეთს თავს და ხელებს (6. 619-620).

ჰებრუსი – სკვითი მეომარი. იასონი მოუსწრაფებს სიცოცხლეს. მის გარეგნობაში ფლაკუსი აღნიშნავს მოჭარბებულ თმიანობას *terrificis undantem crinibus* (6. 618).

ჰელიქსი – სკვითი მეომარი. მას კლავს არგონავტი ნესტორი. ფლაკუსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ჰელიქსის სიყმაწვილეს. იგი იმდენად ახალგაზრდა გამოესალმა სიცოცხლეს, რომ მამას ჯეროვნად ვერც მოესწრო მისი აღზრდა. ამდენად, უფრო მეტად ტრაგიკულია ახალგაზრდა სკვითის აღსასრული (6. 569-71).

ოტაქსესი და რამბელუსი – სკვითი მებრძოლი. მათთან დაკავშირებით ფლაკუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აიეტის წინააღმდეგ გამართულ ომში იმდენად დაუნდობლად იბრძვიან, რომ ერთიანად მუსრს ავლებენ კოლხებს. ოტაქსესი მოიხსენიება ეპითეტით *acer* „სასტიკი“ (6. 529).

არმისი – სკვითი მებრძოლი. ფლაკუსი მას inglorius „უსახელოს“ უწოდებს, რადგან ეს უკანასკნელი ყოველგვარ უკადრის ხერხს მიმართავს მტრის შესაშინებლად. ასეთივე უსახელოა მისი აღსასრულიც. მას დაუნდობლად განგმირავს კოლხთა მოკავშირე არონი, რომელიც მოუწოდებს ღირსეული შერკინებისკენ (6. 530-541).

მონესუსი – კოლხი მებრძოლი. იუპიტერის ძემ, კოლაქსესმა განიზრახა იასონის მოკვლა და ესროლა ქვის ლოდი, თუმცა ქალღმერთ იუნოს შეწევნით არგონავტთა მეთაური უვნებელი გადარჩა, ლოდი კი კოლხ მონესუსს მოხვდა, რომელსაც არავინ იცნობდა (*ignotus)* ქვეყანაზე და არავინ დაიტირებდა (*infletus)* (6. 650-1). ამ ეპითეტებით ფლაკუსი უმნიშვნელო ადამიანებზე მიგვანიშნებს, რომლებიც შესამჩნევნი ხდებიან თავიანთი შეუმჩნევლობით.

გ) ექსპონირებულია ბრძოლის ამსახველ სცენაში რაღაც ამბის კონტექსტში

აკვიტესი და კირნუსი – აკვიტესი მდინარის ღმერთის ფასისის კოლხი ქურუმია. მხცოვან აკვიტესს საფეთქლები მწვანე ალვის ხის ფოთლებით აქვს შემკული, რადგანაც მთელი ომის განმავლობაში ღელავს თავისი შვილის, კირნუსის უსაფრთხოების გამო და მტრის რიგებში დაეძებს მას (6. 296-300).

ხანშიშესულ ქურუმს იაზიგების წინამძღოლი გესანდერი კლავს ულმობლად, თანაც დასძენს, იგი შვილს რომ ჰყვარებოდა, მანამდე გაისტუმრებდა საიქიოს, ვიდრე ასეთ სავალალო სიბერემდე მიაღწევდა (6. 302-316). სიკვდილის პირას მისული მამა ღმერთს კვლავ შვილის მფარველობას ევედრება.

გელასი და მედორესი – ჰირკანიელი ძმები, გელასი და მედორესი ბრძოლის ველზე მხარდამხარ იბრძვიან (6. 203), ისინი გამოირჩევიან საუცხოო ცხენებით, მათი მამა მთელს ჰირკანიაში საუკეთესო ჯიშის ცხენებით იყო სახელგანთქმული. ბრძოლის ველზე არგონავტი კასტორი ერთ-ერთი ძმის, გელასის ცხენის ხელში ჩაგდებას მოინდომებს, მას შუბით განგმირავს და მხედრის გარეშე დარჩენილ ცხენს დაეპატრონება. გელასის ძმა მედორესი შურის საძიებლად კასტორს დაესხმება თავს, თუმცა მას მინიელი ფალერუსი გამოასალმებს სიცოცხლეს (6. 217-18).

ტაქსესი და ჰიპანისი – სკვითი მებრძოლი. სკვითი ტაქსესი ცდილობს ცოცხალმკვდარი ჰიპანისის დახმარებას, სურს, თანამებრძოლი ბრძოლის ველს განარიდოს, თან ლამობს, მახვილი ამოგლიჯოს ჭრილობიდან, რათა თავი დაიცვას მომხვდურისგან. ის იყო ტაქსესმა შუბი მოიმარჯვა, რომ ამასობაში მას მოულოდნელად ლაკონი დაესხა თავს (6. 252-7).

თიდრუსი – კოლხი მებრძოლი. ბრძოლის ველზე იუპიტერის ძე, კოლაქსესი განგმირავს მახვილით (6. 639). ფლაკუსის მიხედვით, თიდრუსი მდ. ფასისის ნაპირებთან ჩაისახა კავკასუსის მიერ, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მამისეულ ფარას მწყემსავდა; სწორედ აქედან მომდინარეობს მისი მეტსახელი „ფასისის მსახური“; ასე უხმობდნენ მას მშობლები. თიდრუსს ფლაკუსი გარეგნული ნიშნითაც წარმოგვიდგენს: იგი გრძელ თმას ატარებდა, რომლის შეჭრის უფლებას მას მშობლები არ რთავდნენ.

ტაგესი – სკვითი მებრძოლი. ფლაკუსი ინფორმაციას გვაწვდის მისი წარმომავლობის შესახებ. მამას ტავლასი ჰქვია, დედა კი ნახევრადქალღმერთი (semidea) ტყის ნიმფაა. ფლაკუსი საგულდაგულოდ აღწერს ტაგესის ჩაცმულობას: თოვლივით ქათქათა ტილო, ოქრომკედით ნაქარგი ქლამისი, ოქროსფერი თაიგული ქუდზე, ჭრელი ძაფებით მოქარგული შარვალი. ღამღამობით დედის დები ტყეში ფხიზლობდნენ და ზრუნავდნენ მის ჩაცმულობაზე, თუმცა ამაოდ, რადგან ტაგესი ბრძოლისას მტრის მახვილით საზარდულში განგმირული აღესრულება (6. 221-7).

პევკონი – სკვითი მებრძოლი. მას დედისეული ლერწმით შეკრული მუქი ხვეული თმა ამშვენებს. როგორც ჩანს, მისი დედა წყლის ნიმფაა, რომელიც ტირილით შესძრავს მიდამოს და თავის ვაჟს უხმობს, თუმცა, საუბედუროდ, ყმაწვილი ვერასოდეს შეძლებს, ინავარდოს ზღვის ნაპირზე და ინადიროს ირმებზე, რადგან ომში იღუპება (6. 563-9).

რიფევსი – სკვითი მებრძოლი. დაქირავებულ ჯარისკაცად მსახურობს მეზობელ ქვეყნებში. მას ბრძოლის ველზე ბორეასის ვაჟი, მინიელი კალაისი კლავს (6. 558). რიფევსი საუცხოო ას საქონელსა და ას ცხენს მისცემდა სიცოცხლის სანაცვლოდ, თუმცა ვერანაირი განძის წყალობით ვერ აიცილებს ადამიანი გარდაუვალ სიკვდილს.

სიენესი – სკვითი მებრძოლი. მოიხსენიება პერსესის მოკავშირეთა შორის. ჰილეების (Hylaea) მრავალრიცხოვან ტომს მოუძღვის აიეტის წინააღმდეგ საომრად (6. 74). სიენესის ყურადღებას იქცევს პართელი ელჩი მირაკესი თავისი მდიდრული ჩაცმულობითა და აღჭურვილობით. მრისხანე სკვითი ვეფხვის ტყავით მოსილ ყმაწვილს შუბით განგმირავს (6. 703).

ფრიქსუსი – სკვითი მებრძოლი. პერსესის მომხრეთა შორის არის დასახელებული და ფურ-ირემის ავისმომასწავებელი გაფრთხილების მიუხედავად აიეტის საწინააღმდეგოდ მეთაურობს აკესინელ მებრძოლებს. მის ლაშქარს მაღალ ჭოლოკზე აღმართული პრიალა ბეწვიანი და ოქროსრქებიანი ფურის გამოსახულება მიუძღვის, რომელსაც კვლავ მრისხანე დიანას ჭალაში დაბრუნება სურს. ფრიქსუსი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით ფლაკუსი სკვითების კატალოგში არგონავტების მიზნის, ოქროს საწმისის აქცენტირებას ახდენს (6. 70).

კაიკუსი – კოლხი მებრძოლი. სკვითი ლექსანორი, რომელიც იასონის მოკვლას ესწრაფოდა, შემთხვევით მას განგმირავს. ფლაკუსი მოიხსენიებს აგრეთვე კაიკუსის ცოლს, რომელსაც უთანაგრძნობს ქმრის დაკარგვის გამო, რადგანაც ისინი ახალი დაქორწინებულები იყვნენ და ვერ მოესწროთ სიყვარულით ტკბობა (6. 688-9).

თოე, ლიკე, მენიპე, ჰარპე – ამაძონი მებრძოლი ქალები, ისინი დედოფალ ევრიალეს მეთაურობით იბრძვიან კოლხების მხარეზე. არგონავტებს ეხმარებიან, თავიანთი ეტლით ბრძოლის ველს და მტრის მახვილებს გაარიდონ მინიელი კანთუსის გვამი; ულმობელი იაზიგების სარდალი, გესანდერი თოეს ფარით დაუცველ ადგილას (6. 375), ლიკეს კი მკერდის არეში (6. 374) განგმირავს; მას

შემდეგ, რაც თოესა და ლიკეს გაუსწორდება, თავს დაესხმება ჰარპეს (6. 375). განიზრახავს, იერიში მიიტანოს მენიპეზე (6. 377), თუმცა არ დასცალდება; გესანდერს ამაძონთა დედოფალი, ევრიალე საომარი ნაჯახით გაუპობს თავს.

დ) პერსონაჟები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ომში მონაწილე მებრძოლებთან

ცალკე ჯგუფს ქმნიან პერსონაჟები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ომში, თუმცა დაკავშირებულნი არიან ომში მონაწილე მეომრებთან. ფლაკუსი ზოგიერთ მათგანს სახელით მოიხსენიებს, ნაწილს კი – სახელს არ არქმევს: გესანდერის მამა იაზიგი ვორაპტუსი (6.288); სკვითი ტაგესის მამა ტავლასი (6.221), ტაგესის დედა – ნახევრადქალღმერთი (6.223), რომლის სახელიც უცნობია; კოლაქსესის დედა, სკვითი ქალღმერთი ჰორა (6.58); ჰირკანიელი ძმების მედორესისა და გელასის მამა (6.204); სკვითი ჰელიქსის მამა (6.569); კოლხი თიდრუსის დედა (6.643); სკვითი პევკონის დედა – წყლის ნიმფა (6.564); კოლხი კაიკუსის ახალგაზრდა მეუღლე (6.688); აიეტის მოკავშირის კარმეიუსის მეაბჯრე (5.579); პართელი ელჩის მირაკესის მეაბჯრე (6.694). ამ პერსონაჟთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა რამდენიმე მათგანი: ვორაპტუსი, ტავლასი, ჰორა.

ვორაპტუსი – იაზიგი მეომრის, გესანდერის მამა. გესანდერი, ვიდრე კოლხ მხცოვან ქურუმს აკვიტესს გაუსწორდება, შემართებისათვის და სულისკვეთების გასაძლიერებლად მიმართავს თავის გარდაცვლილი მამის აჩრდილს. შვილი მამას პატივს სცემს, რადგან იგი დროულად აღესრულა და ვერ მიაღწია საზარელ სიბერეს. ფლაკუსი იაზიგი მამა-შვილის მაგალითზე წარმოგვიდგენს იაზიგების ადათს: როცა ადამიანი ბერდება, ძალა აღარ შესწევს და იარაღს ვეღარ იმორჩილებს, მას თავისი მემკვიდრე მოუსწრაფებს სიცოცხლეს, ეს ადათ-წესი თაობიდან თაობას გადაეცემა, ხოლო არდამორჩილების შემთხვევაში ურჩი სათანადოდ ისჯება (6. 122-128, შდრ. 288-291).

ტავლასი – სკვითი მებრძოლის, ტაგესის მამა (6.221). მისი მეუღლეა ნახევრადქალღმერთი (semidea) ტყის ნიმფა, მათი ვაჟია ტაგესი, რომელიც კოლხებსა და სკვითებს შორის გამართულ ომში იბრძვის. ტყის ნიმფები, ღამღამობით ფხიზლობდნენ და ზრუნავდნენ მათი დისწულის, ტაგესის ჩაცმულობაზე; თუმცა ამაოდ, რადგან ტაგესს ბრძოლის ველზე მტრის მახვილი საზარდულში განგმირავს.

ჰორა – ბისალტების წინამძღოლის კოლაქსესის დედა, სკვითიის გველისფეხება ქალღმერთი, რომელიც ნახევრად ქალი იყო, ნახევრად ექიდნა. კოლაქსესი ღვთიური წარმომავლობისაა, რადგან იგი იუპიტერისა და ჰორას ვაჟია, რომელიც იშვა სკვითიის სანაპიროზე, მწვანე მირაკეს და მდ. ტიბისუსის მახლობლად. ფლაკუსი შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას ამ პერსონაჟის წარმომავლობაზე, რამდენადაც მისი მეშვეობით სკვითების ღვთიურ საწყისზე მიგვანიშნებს. გადმოცემის თანახმად, ჰერაკლემ დაუდო დასაბამი სკვითთა მოდგმას მითიურ ქალღმერთთან შეუღლებით, თუმცა ფლაკუსი თქმულებას სახეს უცვლის და ჰერაკლეს იუპიტერით ანაცვლებს (სავარაუდოდ, იგი ეყრდნობა ბერძნ. წყაროებს (Her. IV, 5, 9; Diod, II, 43, 3), სადაც გადმოცემულია, რომ პირველი სკვითი ტარგიტაოსი ზევსისა და მდ. ბორისთენესის ასულისგან იშვა). როგორც კოლაქსესის, ასევე მთელი მისი ფალანქსის ფარებზე გამოსახულია სამად გაყოფილი ცეცხლის ალი, ამასთან ერთად ოქროს დრაკონები, ჰორას ნიშან-სიმბოლო (სკვითებისათვის საომარ ნიშნებზე და ემბლემებზე დრაკონების გამოსახვა დადასტურებული ფაქტია ანტიკურ წყაროებში, Arr. Tact. XXXV, 3).

ე) პერსონაჟები, რომლებიც ომთან არ არიან დაკავშირებულნი

აია – კავკასიელი ნიმფა, მდინარის ღვთაება ფასისის სატრფო. მოიხსენიება მხოლოდ ფლაკუსის „არგონავტიკაში“. აიასა და ფასისის ამბავი, სხვა სურათებთან ერთად, გამოსახული იყო კოლხიდაში სოლის (ჰელიოსის) ტაძარში (5.407-454). სიყვარულისგან გახელებული ფასისი აიას დამორჩილებას ლამობს, დარცხვენილი ქალწული ილტვის მშობლიურ მთებში გაშმაგებული ფასისისგან, შეშინებული და ძალ-ღონემიხდილი ნიმფა ყრის კაპარჭებს და მას საბოლოოდ ღმერთი იმორჩილებს თავისი მძლავრი ტალღებით (5.425-428).

ჰენიოხე – მედეას ძიძა (5. 357). ეს პერსონაჟი სხვა ავტორებთანაც გვხვდება, თუმცა ამ სახელით მხოლოდ ფლაკუსთან მოიხსენიება. მედეა ჰენიოხეს ავალებს კოლხიდაში ჩამოსული უცხოელების ვინაობის შეტყობას. მოხუცი ძიძა, რომელიც ბავშვობიდანვე ზრდიდა მედეას, ამშვიდებს მას, რადგან კოლხიდაში ჩამოსული უცხოელები ბერძნებს გვანან და ხელში მშვიდობის ნიშნად ზეთისხილი უჭირავთ, ამდენად მათი არ უნდა ეშინოდეს.

კელენევსი – ფლაკუსის მიერ გამოგონილი ეს პერსონაჟი „არგონავტიკაში“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილას არის ექსპონირებული. როდესაც ჩვენ

კიზიკუსის ეპიზოდს განვიხილავდით, აღვნიშნეთ, რომ ფლაკუსთან მას უდავოდ განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.[282] კელენევსიც სწორედ ამ ეპიზოდთან არის დაკავშირებული. აპოლონიოს როდოსელთან მინიები სამ დღეს გლოვობენ კიზიკუსის დაღუპვას დოლიონებთან ერთად (1. 1057-58). ისინი იმიტომ ვერ მიემგზავრებიან კუნძულიდან, რომ 12 დღის განმავლობაში ქარიშხალი არ ცხრებოდა; მას შემდეგ, რაც მოპსუსის მისნობით ესონიდმა რეა-კიბელეს შესწირა მსხვერპლი და გრიგალი ჩაწყნარდა, არგონავტებს კუნძულიდან გამგზავრების საშუალება მიეცათ; იასონმა და არგონავტებმა სიხარულით დატოვეს კუნძული. ფლაკუსთან კიზიკუსის სიკვდილის შემდეგ არგონავტები ღრმა სასოწარკვეთას მიეცემიან. მიუხედავად, იმისა, რომ არგონავტებს ორჯერ ჰქონდათ ხელსაყრელი პირობები გამგზავრებისათვის, ისინი ერთგვარ ἀμηχανία-ს მოუცავს და გამგზავრების გადაწყვეტილებას ვერ იღებენ; მათ საკმარისად არ მიაჩნიათ ის პატივი, რაც მიაგეს დაკრძალვისას კიზიკუსს, გაუქრათ ბრძოლის ჟინი, სამშობლოს სიყვარული; თვით იასონიც კი არ მალავს გრძნობებს და ტირის (3. 362-371). საქმე იქამდე მიდის, რომ სასოწარკვეთილი იასონი მისან მოპსუსს ეკითხება რჩევას, თუ რითი უნდა იყოს განპირობებული მათი სულიერი მდგომარეობა, ღმერთების სურვილია ის, რომ მათ დაბრკოლება შეხვდათ, თუ რამ გამოიწვია მათი მხრიდან შიში, რატომ აღარ ფიქრობენ სამშობლოზე, რატომ არ სურთ გამგზავრება. მოპსოსი ამავე ეპიზოდში აპოლონიოს როდოსელთანაც ფიგურირებს, სწორედ ის ამოიცნობს ზღვისპირა ფრთოსანის მისნობას, რომელიც იასონს თავთან ჩაუქროლებს და რჩევას აძლევს, მსვერპლი შესწიროს რეა-კიბელეს. აპოლონიოსთან მოპსოსი მხოლოდ ამით იფარგლება. რომაელ ეპიკოსთან უბრალო მრჩეველის გარდა, მას დამატებითი ფუნქციაც აქვს, შეიძლება ასე ითქვას, იგი ახდენს არგონავტების „გამოფხიზლებას“ და განწმენდის რიტუალსაც ატარებს. საამისოდ მას დამაჯერებელი არგუმენტაცია სჭირდება.

მოპსუსის სიტყვა სხვა ასპექტითაც არის საინტერესო,[283] აქ დეტალურად მხოლოდ ამ კონკრეტულ ასპექტს განვიხილავთ. მოპსუსის სიტყვის ჩვენთვის საყურადღებო მონაკვეთში (3. 384-396) ერთმანეთისაგან გამიჯნულია დამნაშავეების ტიპები, ისინი, ვინც განზრახ ჩადიან დანაშაულს და ისინი, ვინც

---

[282] G. Manuwald, Die Cyzicus-Episode und ihre Funktion in den *Argonautica* des Valerius Flaccus, *Hypomnemata* 127, Göttingen 1999.

[283] ეს სიტყვა შეიცავს სტოიკური ფილოსოფიის ელემენტებს სულების წარმომავლობის შესახებ. შდრ. ასევე ანქიზესის სიტყვა ვერგილიუსთან (Verg. Aen. 724-751).

უნებურად ხდებიან დამნაშავეები. მოპსუსის თანახმად, თუ ადამიანმა განზრახ ჩაიდინა დანაშაული, უსახელოდ გარდაცვლილები წარსდგებიან სულთა მეუფის წინაშე და მათ უფლება ეძლევათ, კვლავ სააქაოს დაუბრუნდნენ, ერთ-ერთი ფურიის თანხლებით, რომლებიც შურს იძიებენ დამნაშავეზე, საშინელ შიშს მოჰგვრიან მას. ის, ვინც უნებურად ჩადის დანაშაულს ან იძულებით (რაც პრაქტიკულად ასევე დანაშაულია), მას ქენჯნის სინდისი ნამოქმედარის გამო. ფლაკუსი დაწვრილებით გადმოგვცემს ასეთი ადამიანის მდგომარეობას: „resides et iam nil amplius ausi / in lacrimas humilesque metus aegramque fatiscunt / segnitiem“[284] (3. 394-396).

არგონავტების შემთხვევა მეორე ტიპის დანაშაულს წარმოადგენს. შესაბამისად, მოპსუსი შექმნილი რთული სიტუაციიდან ასეთ გამოსავალს (sed nostra requiret / cura viam, 396-7) სთავაზობს იასონს: მას სმენია, იქ, სადაც კიმერიელები ცხოვრობენ, ქვეყნის დასალიერში, ღმერთებისთვისაც უცხო მხარეში, სადაც მზე ვერასოდეს აღწევს, ავერნუსის მთიან ტყეში, სადაც ფოთოლიც კი არ ირხევა, უკაცრიელ და ბნელ ადგილას, ქვემოთ მდებარეობს მღვიმე და გზა აჩრდილთათვის, აქ გამოდის შავებში მოსილი მისანი (atraque sedens in veste, 406) კელენევსი, რომელსაც ხელთ ხმალი უპყრია (ensifer, 406) და უდანაშაულოებს ათავისუფლებს ჩადენილი შეცოდებებისგან, შელოცვებს ამბობს და მიუტევებს მათ, რის შედეგადაც დარცხვენილ სულებს სიმშვიდე მოიცავს. მოპსუსი არგონავტებს უყვება, რომ სწორედ მისგან შეიტყო, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მინიებმა, საშინელი ვარამისაგან რომ განიკურნონ: ღმერთებს მსხვერპლი უნდა შესწირონ და განწმენდის რიტუალი ჩაატარონ. მხოლოდ მოპსუსის მიერ ჩატარებული განწმენდის რიტუალის შემდეგ გრძნობენ არგონავტები შვებას და იკრებენ ძალას გასამგზავრებლად.

კელენევსის ფიგურას და პოემაში წარმოდგენილ მასთან დაკავშირებულ მოტივაციას პარალელი არ მოეძებნება სხვა ავტორებთან, ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მართლაც ფლაკუსის პოეტური ფანტაზიის ნაყოფია.

[284] „დამაშვრალნი, ვეღარაფრის გამბედავნი, იცრემლებიან, მდაბიო შიში და სნეული უმოქმედობა თრგუნავთ“.

3.3. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები

აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ პირობითია ამ ჯგუფში გაერთიანებული ფიგურების მეორეხარისხოვან პერსონაჟებად მიჩნევა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი აშკარად აღემატებიან უბრალო სტატისტებს და იმ ფიგურებსაც, რომლებიც ელემენტარულად არიან ექსპონირებულნი, ამდენად, თავისუფლად შეგვიძლია ისინი მეორეხარისხოვან გმირებად ჩავთვალოთ. ბუნებრივია, მათი რიცხვი სტატისტებთან შედარებით მცირეა. აქ მათ კლასიფიკაციას ვახდენთ მოქმედებაში ჩართულობის ინტენსივობით:

ა) ინტენსიურად მოქმედი მნიშვნელოვანი პერსონაჟები: გესანდერი, სტირუსი, კოლაქსესი

გესანდერი – იაზიგების წინამძღოლი. გესანდერი ინტენსიურად არის ექსპონირებული ფლაკუსის „არგონავტიკაში“ აიეტისა და პერსესის კონფლიქტის ამსახველ ეპიზოდში. მისი მეშვეობით ფლაკუსი იაზიგების ადათ-წესებს წარმოგვიდგენს, რაზეც ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ (6. 122-128). გესანდერი დაუნდობელია ფასისის ქურუმის, ხანშიშესული აკვიტესის მიმართ, რომელსაც არ შეიწყნარებს არც ხანდაზმულობის გამო და არც მის ხვეწნა-მუდარას, რომ შეინდოს მისი ვაჟი, აქცევს ყურადღებას (6. 294-316). არგონავტ კანთუსთან შერკინების ეპიზოდში გესანდერი სკვითების ცხოვრების მკაცრ პირობებს აღუწერს ბერძენ მეომარს და დასძენს, რომ ყველაფრის მიუხედავად, მშობლიურ მხარეს არ გაცვლის არც ერთ სხვა ქვეყანაზე. განგმირავს კანთუსს, რომლის გვამსაც მინიები, ამაძონების დახმარებით განარიდებენ ბრძოლის ველს. თავს ესხმის ამაძონებს: მოკლავს ლიკეს, თოეს, იერიშს მიიტანს ჰარპეზე. აღშფოთებულია, რადგან მას ქალებთან უწევს ბრძოლა, ამდენად, უფრო მეტად ტრაგიკულია მისი აღსასრული. მას ამაძონი ევრიალე გამოასალმებს სიცოცხლეს (6. 373).

სტირუსი – ალბანელი უფლისწული, აიეტის მოკავშირე. მედეას ერთ-ერთი ხელისმთხოვნელი. მედეას ხელის მოსაპოვებლად რამდენიმე გმირი იბრძვის: ჰენიოხებისა და ალანების სარდალი ანავსისი, სკვითი კოასტესი, პართელი ელჩი მირაკესი და ალბანელი სტირუსი. აიეტმა წინასწარმეტყველების თანახმად იცის, რომ მის მეფობას საფრთხე მოელის უცხოელისგან, ამიტომაც ახლოს არ იკარებს მათ, და გადაწყვეტს, მედეა არაუცხოელს მიათხოვოს. იგი არჩევანს ალბანელ უფლისწულზე აჩერებს და არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის მომენტისათვის სტირუსი, როგორც მედეას კანონიერი საქმრო, უკვე სამეფო

ოჯახის წევრთა შორის არის დასახელებული აბსირტუსისა და ფრიქსუსის ვაჟების გვერდით (5. 459-460, შდრ. 3. 496-497). თუმცა აიეტს ეს ხელს არ უშლის, რომ მედეას სახელი თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს (3. 495-6). ალანი ანავსისი სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე განეწყო აიეტის მიმართ მტრულად, რადგან მეფემ არჩევანი ალბანელზე შეაჩერა და არა მასზე (6. 43-44). ფლაკუსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტირუსისა და ანავსისის შერკინებას, რადგან მათ საბრძოლველად პირადი მოტივიც ამოძრავებთ. ანავსისი არ აპირებს დაუთმოს სტირუსს ის, რაც მას ყველაზე მეტად უყვარს. მოახერხებს კიდეც ალბანელის დაჭრას, რომელიც ბრძოლის ველს გაეცლება. ალანთა სარდალი მას სიმხდალეში დებს ბრალს; მის სიტყვაში, რომლითაც ანავსისს მიმართავს, დიდი ირონიაც იგრძნობა: რომ მას ჭრილობებს ვერც მედეა და ვერც მისი შელოცვა-მკურნალობა დაუამებს (6. 265-278). სტირუსის მიერ სასიკვდილოდ განგმირული ანავსისი ბრძოლის ველზე აღესრულება. სტირუსი, რა თქმა უნდა, იასონშიც თავის მეტოქეს ხედავს და მას მტრად ეკიდება, როცა ეს უკანასკნელი მედეასთან ერთად კოლხიდიდან გაიქცევა. მდევარ კოლხებში დიდი აქტიურობით გამოირჩევა (8. 298-305, 328-368). იგი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, რადგან თვით მეფე აიეტის გადაწყვეტლებას არ სცემს არავინ პატივს და კიდევ უფრო მეტად უმძაფრდება მედეას მიმართ სიყვარული (8. 302), როცა მისი სამუდამოდ დაკარგვის საფრთხე შეიქმნება. იუნოს მიერ გამოწვეულ გრიგალში მდევარ კოლხებსა და არგონავტებს შორის შეტაკების დროს ტრაგიკულად იღუპება, ისე, რომ აბობოქრებულ ტალღებში ჩავარდნილ უფლისწულს ვერავინ აღმოუჩენს დახმარებას (8. 363-368).

კოლაქსესი – ბისალტების წინამძღოლი. პერსესის მოკავშირეთა შორის არის დასახელებული. იგი ღვთიური წარმომავლობისაა: იუპიტერისა და გველისფეხება სკვითიის ქალღმერთის, ჰორას ვაჟია, რომელიც იშვა სკვითიის სანაპიროზე, მდ. მირაკესა და ტიბისუსის მახლობლად. ფლაკუსი შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას მის წარმომავლობაზე, რამდენადაც ამ გმირის მეშვეობით სკვითების ღვთიურ საწყისზე მიგვანიშნებს. ბრძოლის ველზე კოლაქსესი დიდი აქტიურობით გამოირჩევა. მან მუსრი გაავლო კოლხთა უმეტესობას. მას ემსხვერპლა: გესითოუსი (6. 637), ჰიპეტაონი (6. 637), არინესი (6. 638), ოლბუსი (6. 638), აპრესი (6. 638), თიდრუსი (6. 639), მონესუსი (6. 651); მასვე ერგო პატივი შებრძოლებოდა არგონავტთა მეთაურს. კოლაქსესმა განიზრახა

მისი მოკვლა, ესროლა ქვა, თუმცა ქალღმერთ იუნოს შეწევნით არგონავტთა მეთაური უვნებელი გადარჩა, ხოლო ლოდი ყველასათვის უცნობ და უჩინარ მებრძოლს, კოლხ მონესუსს მოხვდა (6. 650-1). კოლაქსესის ბედი გადაწყვეტილი იყო. იუპიტერს სურდა შვილისთვის სიკვდილი აერიდებინა, თუმცა ვერც უზენაესმა ღვთაებამ შეძლო პირმშოსთვის დადგენილი ხვედრის აცილება (6. 624-9). ასეთი სახელოვანი გმირის დამარცხებით იასონმა დიდი სახელი მოიხვეჭა.

ბ) ნაკლებად ინტენსიურად მოქმედი მნიშვნელოვანი პერსონაჟები:

ანავსისი – წარჩინებული წარმომავლობის ალანთა და ჰენიოხთა სარდალი, პერსესის მოკავშირე. მედეას ერთ-ერთი ხელისმთხოვნელი (შდრ. სტირუსი, კოასტესი, მირაკესი). იგი ჯერ კიდევ მაშინ განეწყო აიეტის მიმართ მტრულად, როდესაც მან გადაწყვიტა მედეა სტირუსისათვის (ალბანელი უფლისწული) შეერთო ცოლად (6. 43-44). ღმერთების ნებიერი ანავსისი სწორედ სტირუსის მიერ განგმირული აღესრულება ბრძოლის ველზე (6. 265-278).

არიასმენუსი – სკვითი მებრძოლი. პერსესის დამხმარე ლაშქარშია დასახელებული. ფლაკუსის მიერ არაერთგზის არის ექსპონირებული. ავტორს სურს, მისი სიმამაცე მომავალ თაობებს გადასცეს (6. 103-105). ომის მამოძრავებელი ძალაა, საომარ ეტლზე ამხედრებული ბრძოლის ველზე დაქრის, ერთადერთი სურვილი ამოძრავებს, გაჟლიტოს ბერძნები და კოლხები (6. 386-389). ტრაგიკულია არიასმენუსის აღსასრული, მას მტერი ვერაფერს დააკლებდა, ბრძოლაში ათენა პალასი რომ არ ჩარეულიყო. როცა არიასმენუსი საბრძოლო იარაღის გარეშე რჩება, ხტება ეტლიდან და საკუთარივე ეტლის ბასრი ნამგლებით დანაწევრებული ესალმება სიცოცხლეს (6. 423-426).

კოასტესი – სკვითი ჯადოქარი. კოლხიდაში ხოათრებსა და კენტორებს მოუძღვის აიეტის წინააღმდეგ საბრძოლველად. მედეას ერთ-ერთი ხელისმთხოვნელია. თუმცა მას, სხვა საქმროთაგან (შდრ. ანავსისი, სტირუსი, მირაკესი) განსხვავებით, არც მედეას სიყვარული ამოძრავებს და არც ბრძოლისადმი დაუოკებელი სწრაფვა, არამედ კოლხი ქალწულის სახელი. კოასტესს მედეასთან შეუღლება იმიტომ სურს, რომ მედეა ჯადოქრობით შორს არის სახელგანთქმული (6. 155-7).

მირაკესი – პართიის მეფის ელჩი კოლხებთან. მედეას ერთ-ერთი ხელისმთხოვნელი (შდრ. სტირუსი, ანავსისი, კოასტესი). აღმ. სანაპიროდან

ჩადის კოლხიდაში იმ მისიით, რომ პართელებსა და კოლხებს შორის კავშირი გაამყაროს. სანაცვლოდ, ოქროს გარდა, ჯილდოდ მედეაც ეგულება. ჯერ კიდევ აიეტსა და პერსესს შორის ომი არ იყო დაწყებული, მირაკესი რომ სიყვარულით განიმსჭვალა კოლხი ქალწულის მიმართ. ფლაკუსი საგულდაგულოდ აღწერს უცხოელი ელჩის ჩაცმულობას: მას თავზე საუცხოო ქსოვილისგან შექმნილი პატიოსანი თვლებით შემკული ტიარა მშობლიურ ყაიდაზე ახურავს. გამოირჩევა საომარი აღკაზმულობითა და მოკლე ხმლით, რომელიც მარჯვენა მხარეზე აქვს მოქცეული. ყმაწვილს უცხოური წაწვეტებული ფეხსაცმელი აცვია და ტანს ვეფხვის ტყავი უმშვენებს. გამიჯნურებული მირაკესი, საფრთხის მიუხედავად, არ ტოვებს კოლხიდას და მამაცურად იბრძვის ძმებს შორის გამართულ ომში. მას თან ახლავს საჭურისი მეაბჯრე. თვითონ ეტლზე ამხედრებულს გამუდმებით იერიში მიაქვს მტერზე. მირაკესს სკვითი სიენესი განგმირავს შუბით და მის ნივთებს დაეპატრონება.

ჩვენი აზრით, ვალერიუს ფლაკუსთან ტრადიციისათვის უცნობი ამდენი, მეტწილად მის მიერ გამოგონებული, ახალი პერსონაჟის შემოყვანა პოემაში განპირობებული უნდა იყოს ერთი მხრივ ისტორიული რეალობით და, მეორე მხრივ, საკუთრივ კავკასიის მიმართ ინტერესის გაზრდით; ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფლაკუსის სურვილი, ტრადიციული მითის ეპიკური დამუშავებისას იყოს მისი დიდი წინამორბედი ეპიკოსების მიმდევარი და ამასთანავე ნოვატორიც.

IV. კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების სახელდების პრინციპები

ფლაკუსის „არგონავტიკაში“ ბევრი ახალი პერსონაჟი ფიგურირებს: ლემნოსელი, კიზიკიელი, კავკასიასთან დაკავშირებული მრავალი ახალი სახე; ჩვენთვის ნიშანდობლივია ის დამოკიდებულება, რასაც ფლაკუსი მის მიერ შექმნილ ე. წ. ფსევდო-მითოლოგიური პერსონაჟებისადმი ავლენს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ენობრივ დონეზეც ახერხებს, ერთმანეთისაგან გამიჯნოს განსხვავებული წარმომავლობის პერსონაჟები. ქვემოთ წარმოვადგენთ მათი სახელების სავარაუდო წარმომავლობას და ვიმსჯელებთ იმ პრინციპებზე, რომლებითაც, შესაძლოა, ფლაკუსი ხელმძღვანელობს პერსონაჟების სახელდების პროცესში.

ფლაკუსის მიერ სახელდების პრინციპების გამოყენების სპეციფიკაზე უფრო რელიეფური წარმოდგენის შესაქმნელად ლემნოსელი და კიზიკიელი პერსონაჟების სახელდების შემთხვევებს განვიხილავთ. ეს საშუალებას მოგვცემს წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, სახელთა შერჩევისას ფლაკუსი ერთიანი პრინციპებით სარგებლობს, თუ კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების შემთხვევაში იგი რამდენადმე განსხვავებულ გზას ირჩევს.

1. ლემნოსელი პერსონაჟების სახელები

ლემნოსის ეპიზოდში ჰიფსიპილეს, მისი მაცნისა (იფინოე)[285] და ძიძის (პოლუქსო)[286] გარდა გვხვდება 7 ახალი პერსონაჟი, რომელთაგან 4 არის მამაკაცი (ამითაონი, 2.162; დორიკლუსი, 2.149; კოდრუსი, 2.136ff.; ოლენიუსი, 2.163) და 3 ქალი (დრიოპე, 2.174; ევრინომე, 2.136ff; ნეერა, 2.141). ამ ეპიზოდს, რომელიც არგონავტთა თქმულების ტრადიციულ სიუჟეტურ ელემენტს წარმოადგენს, რომაელი ეპიკოსი საკმაოდ ავრცობს ისეთი ინოვაციით, რაც ფლაკუსამდელი ტრადიციისათვის უცხოა, მხედველობაში გვაქვს ვენუსის ტრანსფორმაცია ერთ-ერთ ლემნოსელ ქალად და ასევე მოქმედებაში ქალღმერთ ფამას ჩართვა. როგორც ჩანს, ამ პერსონაჟებს ფლაკუსი ვენუსის ინტრიგის ასახვის აუცილებლობიდან გამომდინარე ქმნის. ვენუსი იმის გამო, რომ შური იძიოს ლემნოსელ ქალებზე, გადაწყვეტს, მათ უბედურება დაატეხოს თავს. იგი მოკავშირეობას სთხოვს ფამას (ჭორისა და ავსიტყვაობის ქალღმერთს) და ავალებს, ლემნოსელ ასულებში ხმა გაავრცელოს, რომ მათ მეუღლეები სამარცხვინოდ ღალატობენ თრაკიელ ქალებთან. ამ ეპიზოდში დასახელებული არცერთი პერსონაჟს არ

[285] Ἰφινόη: Ap.Rhod.*Arg*.1.702; Iphinoe: Hyg.*Fab*.15; Val.Flacc.2.162, 2.327.
[286] Πολυξώ: Ap. Rhod.*Arg*.1.668; Polyxo: Hyg.*Fab*.15.5; Val. Flacc. 2.316.

გააჩნია სტატისტზე აღმატებული ფუნქცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ გვხვდება სამი ლემნოსელი ქალი: დრიოპე, ევრინომე და ნეერა. ვენუსი ერთ-ერთი მათგანის, დრიოპეს სახით მოევლინება ლემნოსელ ქალებს, ფამა კი ნეერას სახით ეწვევა ევრინომეს და ატყობინებს, რომ მისმა ქმარმა კოდრუსმა მოიყვანა თრაკიელი ცოლი, ანუ, ფაქტობრივად, აქ ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ევრინომეს ფიგურა; თუ შეიძლება ასე ითქვას, ევრინომეს სახით ფლაკუსი ლემნოსელი ქალების განზოგადებულ ტიპს გვთავაზობს; ევრინომე სანიმუშო ცოლია და რუდუნებით უფრთხილდება თავის სარეცელს occupat exesam curis castumque cubile / servantem, 2, 137, ქმრის ერთგულია ...manet illa viro, 2. 138, თუმცა მას შემდეგ, რაც ქმრის ღალატში დარწმუნდება, მზად არის დაუნდობლად იძიოს შური თავის მეუღლეზე. ის, თუ როგორ დეტალურად აღწერს ფლაკუსი ლემნოსელი ქალების შურისძიების სცენებს, ასევე მის განსხვავებულ ხედვის მანერაზე მეტყველებს. იგი არ იფარგლება მხოლოდ ინფორმაციის კონსტატაციით, არამედ ისე ოსტატურად აგებს სცენებს, რომ გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს მძაფრსიუჟეტიან ფილმს ვუყურებთ.

რაც შეეხება ლემნოსელი პერსონაჟების სახელდებას, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ყველა ეს სახელი საკმაოდ გავრცელებულია ანტიკურ ონომასტიკაში.[287]

2. კიზიკიელი პერსონაჟების სახელები

დოლიონების ეპიზოდს, ისევე როგორც ლემნოსის ამბებს, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ფლაკუსის „არგონავტიკაში“. ბუნებრივია, ამ ე. წ. ნიკტომაქიის აღწერისას ფლაკუსი ტრადიციულად ცნობილ სიუჟეტს ეყრდნობა, თუმცა ამ შემთხვევაშიც ეპიკური თხრობის მისთვის დამახასიათებელი მანერით ავრცობს და ამდიდრებს მას ე. წ. ფსევდო-მითოლოგიური პერსონაჟებით.

აპოლონიოს როდოსელთან 12 დოლიონელი პერსონაჟი გვხვდება. მათ სტატისტების ფუნქცია აქვთ. სქემა არის ასეთი: A (არგონავტი) კლავს B-ს (დოლიონელს): ჰერაკლე კლავს ტელეკლესს (I 1040) და მეგაბრონტესს (I 1041);

[287] ამითაონი (Apd.1.9.11, 1.7.7; Dio.4.68.3, 4.69.3; Hes.*CWE*.13; Hom.*Od*.11.258); დორიკლუსი (Apd.3.12.5; Hom.*Il*.11.489; Hyg.*Fab*.90; Ver.*Aen*.5.621; *Oly*.10.67); კოდრუსი (Hdt.1.147, 9.97; Pau.1.19.5, 1.39.4, 7.2.1, 7.2.8, 7.2.10, 7.3.3, 7.3.5-7; Strab.9.1.7, 14.1.3); ოლენიუსი (Olenus: Hyg.*Ast*.2.13; Ov.*Met*.12.433, 10.68; შდრ. Olenius: Stat.*Theb*.12.741); დრიოპე (Lib.*Met*.32; Ov.*Met*.9.329ff., 9.350ff.; *Aen*.10.550ff.; შდრ. Stat.*Theb*.2.613;[287] ევრინომე (Apd.3.9.2; Hyg.*Fab*.70; Apd.1.2.2, 1.3.1, 3.12.6; *Arg*.1.503; Hes.*The*.907; Nonn.2.573; Hom.*Od*.17.495; Ov.*Met*.4.208ff.; Hes.*CWE*.7; Hyg.*Fab*.157); ნეერა (Apd.2.1.2; Apd. *Library* 3.5.6; Apd.3.9.1-2; შდრ. Pau.8.4.6; QS.1.292).

აკასტოსი – სფოდრისს (I 1041); პელევსი – ძელისსა (I 1042) და გეფიროსს (I 1042); ტელამონი – ბასილევსს (I 1043), იდასი – პრომევსს (I 1044), კლიტიოსი – ჰიაკინთოსს (I 1044), ტინდარიდები – მეგალოსაკესსა (I 1045) და ფლოგიოსს (I 1045), ოინიდი – იტომენევსს (I 1046) და არტაკესს (I 1047). ეპითეტების დონეზე ამ გმირთა შორის გამოირჩევიან გეფიროსი (ἀρηΐθοος „გულადი“), იტომენევსი (θρασύς „მამაცი“) და არტაკესი (πρόμος ἀνδρῶν „ვაჟკაცთა სარდალი“). აპოლონიოსთან მთელს ნიქტომაქიას 8 სტრიქონი ეთმობა (I 1040-1047). ეს იმიტომ, რომ ელინისტ პოეტს ზოგადად არც აინტერესებს ბატალური სცენების აღწერა, მოკლედ აყალიბებს თავის სათქმელს: მეომრებს, რომლებიც ბრძოლის ველზე დაეცნენ, ახლაც პატივით მოიხსენიებენ იქაური მკვიდრნი, დანარჩენები კი სიმხდალის გამო შედარებულია დაფრთხალ მტრედთა გუნდებს (I 1047-1050). სამაგიეროდ, ეს ამბავი მას აინტერესებს ერთ-ერთი აიტიის გადმოცემის კონტექსტში.

ფლაკუსთან კიზიკუსთან დაკავშირებული ამბების აღწერას 400-ზე მეტი სტრიქონი ეთმობა (3. 43-458). უშუალოდ ბრძოლის პერიპეტიები მესამე წიგნის 95-ე სტრიქონიდან იწყება და 116 სტრ. ეთმობა ღამისეული ბრძოლის სცენებს.[288] ვალერიუს ფლაკუსთან კიზიკუსის ეპიზოდში დასახელებულია სულ 38 ახალი ფიგურა. როგორც აპოლონიოს როდოსელთან, აქაც მათ სტატისტის ფუნქცია აქვთ,[289] ინფორმაცია მათ შესახებ ასეთი ტიპისაა: A (არგონავტი) კლავს B-ს (კიზიკიელს): ტიდევსი კორითუსს (98-107); პელევსი ამბროსიუსს (138); ანკევსი ეხეკლუსს (138-9); ნესტორი ამასტრუსს (145); ფლიასი ოხუსს (148-9); პოლუქსი ჰებრუსს (149); იასონი კლავს: ძელისს, ბრონტესს, აბრისს, გლავკუსს, ჰალისს, პროტისს, დორკევსს. თუმცა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ფლაკუსის მცდელობას, ამ სიმრავლეში რამდენიმე პერსონაჟის აქცენტირებით ისინი ჩვენთვის დასამახსოვრებელი გახადოს, თუნდაც უმნიშვნელო შტრიხით.[290]

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, ვინ არიან ეს პერსონაჟები: პირველი, ვინც ღამისეულ შეტაკებაში კვდება, არის კიზიკიელი კორითუსი (95-112), რომელიც იმდენად ახოვანია, რომ ევრიტუსმა თავი შეიკავა, მას შებმოდა,

[288] ბრძოლის დეტალური აღწერა იხ.: E. Burk, Kampf und Tod des Cyzicus bei Valerius Flaccus: Mélanges Marcel Durry, *REL* 47, 1970, 187.

[289] სტატისტები: ირონი (111), კოტისი (112), ბიენორი, პირნუსი (112) – ბიენორის მამა (112), ტელეკოონი (140), კრენევსი – ორნიტუსის მამა (178), იტისი (189), ჰაგესი (191), თაფსუსი (191), ნეალკესი (191), კიდრუსი (192).

[290] გენისუსი (114-116); მედონი (117-120), ფლეგიასი (124-137), ადმონი (167-172), ორნიტუსი (173-180), საგესი (181-185).

ტიდევსმა კი ოლენიური შუბი გაუქანა. მომაკვდავი კორითუსი ცდილობს შუბის ამოღებას, რომელიც სისხლით წითლად არის შეღებილი. ამის შემდეგ ფლაკუსი წარმოგვიდგენს სამ კიზიკიელს (113-132), რომლებიც ქალაქიდან მოიჩქარიან ბრძოლაში ჩასაბმელად. ვხვდებით გენისუსს, რომელსაც ცოლმა იარაღი და-უმალა, თუმცა ბუხარში აალებული ცეცხლის წყალობით მამაცმა გმირმა მაინც იპოვა საჭურველი და ბრძოლის ველისკენ გასწია (114ff.); მზრუნველმა ცოლმა, მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო, დაეხსნა საყვარელი ქმარი ბედისწერისგან: telis gaudes, miserande, repertis (116). ქურუმი მედონი, როგორც კი გაიგებს საბრძოლო მოწოდებას, მიატოვებს დაწყებულ მსხვერპლშეწირვას და მტერთან საომრად ემზადება, განსაკუთრებით ამაღელვებელია ჩვენთვის მისი სიკვდილი: inde vagi nec bella modis nec casibus isdem / conseruere manu et longe iacuere perempti (123f.). მესამე კიზიკიელი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, არის ფლეგიასი, იგი პელასგელ თამირისს უხმობს, სჯერა, რომ ეს ჩვეული თავდასხმაა მტრისაგან (124-132). იგი ჰერკულესის მსხვერპლი ხდება (133-137). სა-მართლიანად შენიშნავს ე. ლიუთე: „ეს სამი პერსონაჟი ისეა წარმოდგენილი ფლაკუსის მიერ, რომ მათი სიკვდილი განსაკუთრებით მოქმედებს მკით-ხველზე“.[291] მომდევნო მონაკვეთში ფლაკუსი მასობრივ სცენას წარმოგვიდგენს, სადაც 17 კიზიკიელი ესალმება სიცოცხლეს (138-185). პოეტი კვლავ იმას ცდილობს, რომ იმოქმედოს მკითხველზე. ნესტორი ყოველგვარი გულმოწყა-ლების გარეშე უსწორდება ამასტრუსს და ახარებს მდიდარი ალაფი (145); საკმაოდ მკაცრია ჰერკულესის სიტყვები, როდესაც მომაკვდავ კიზიკიელ ადმონს მიმართავს: „occumbens i nunc“ ait „Herculis armis / donum ingens semperque tuis memorabere fatis“ (169f.). სტუმართმოყვარე ორნიტუსის სიკვდილიც ტრაგიკულია, მას კლავს იდმონი, რომელსაც მანამდე კიზიკიელმა ძღვენი უსახსოვრა (173-177).

შეიძლება ითქვას, ძირითადად ეს პერსონაჟები ფლაკუსს აინტერესებს იმდენად, რამდენადაც არგონავტების (იასონი, 151-160; ჰერკულესი, 161-172; იდმო-ნი, 173-180; ჰილასი, 181-185; დიოსკურები, 186-197; ტელამონი, 198-206) არისტიებს წარმოგვიდგენს მათი მეშვეობით, თუმცა ისიც აშკარაა, რომ რამდენიმე მათგანი უდავოდ მკითხველის თანაგრძნობას იწვევს.

ბრძოლის მიზეზია, დაისაჯოს კიზიკუსი ჰიბრისის გამო, მას შემდეგ, რაც კიზიკუსი კვდება, impia bella მთავრდება (253). არგონავტები თავს იცავენ და

[291] E. Lüthje, Gehalt und Aufriss der Argonautica des Valerius Flaccus, Diss., Kiel 1971, 98.

მტერს არ უშინდებიან, სურთ მტრის წინაშე მამაცები გამოჩნდენენ (იასონი 80f.), მთელს ძალ-ღონეს არ იშურებენ (ტიდევსი 103ff.), მომაკვდავ მტერზეც კი სურთ შთაბეჭდილების მოხდენა (ჰერკულესი 169). თუმცა მათი გარჯა ამაოა, სახელის მოხვეჭას ასეთ ომში აზრი არა აქვს. ფლაკუსი ამას გაცილებით საგრძნობს ხდის, როდესაც კიზიკუსის მეომრებს მოიხსენიებს როგორც infelix manus (95), თანაგრძნობა მათი ხვედრის აღწერისას სწორედ ამისი დასტურია.

საინტერესოა, რა სახელებს ურჩევს ფლაკუსი კიზიკიელ გმირებს; 38 კიზიკიელი პერსონაჟის სახელთაგან 30 ანტიკურ ავტორებთან დასტურდება სხვადასხვა პერსონაჟების აღსანიშნავად,[292] 9 სახელი კი ანტიკური სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებული ელემენტების კომბინაციით უნდა შეექმნა ავტორს.[293] თუკი გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ფლაკუსი ლემნოსელ და კიზიკიელ პერსონაჟების ძირითადად ანტიკური სამყაროს ენობრივი არეალიდან ურჩევს სახელებს, გაცილებით მრავალფეროვანია მისი პრინციპები კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების სახელდებისას.

3. კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების სახელები

რასაკვირველია, როდესაც კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების სახელებს ვიკვლევთ, ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვცდილობთ მათი ეტიმოლოგიების წარმოდგენას, რადგან სავსებით შესაძლებელია ბერძნულ მეტყველ სახელში ესა თუ ის ფუძე ეტიმოლოგიურად უკავშირდებოდეს წინაბერძნულ ან სხვა რომელიმე ენობრივ გარემოს, ისევე როგორც წინააზიურ სახელებში დადასტურებულ

[292] აბარისი (Hdt.4.36; Ver.*Aen*.9.344; Ov.*Met*.5.86,); ამასტრუსი (Verg.Aen.XI 674); ამბროსიუსი (’Αμβρωσεύς: Paus.10.36.1; ῎Αμβρωσος: Pol.4.25; Strab.9.423); არესი (იხ. ῎Αρης); ბიენორი (Hom.*Il*.11.92; Ov.*Met*.345); ბრონტესი (Hes.Theog.140; Eustath.Od.1622,50; Apollod.I.1,2; Verg.Aen.8.425); გლავკუსი (იხ. Γλαῦκος); დორკევსი (Ovid.met.III 210; Hyg.fab.181; შდრ. Stat.*Theb*.9.809); ერიმუსი (Verg.*Aen*.10.702; ῎Ερυμος: Hom.*Il*.16.345); ეხეკლუსი (’Εχεκλής: Hom.Il.16.189); ზელისი (Ζέλυς: Ap. Rhod. I.1042); იტისი (Apd.3.14.8; Eur.*Her*.1018; Hyg.*Fab*.239; Verg.*Aen*.9.574); კორითუსი (Apollod. III 104; Verg. Aen. III 167. VII 209; Ov.*Met*.12.290ff., 5.125;); კოტისი (Κότυς: DH.1.27.1-2; Hdt.4.45); კრენევსი (Ov.*Met*.12.310; შდრ. Stat.*Theb*.5.221, 9.319); მედონი (Hom.Il.716-728; Hyg.*Fab*.134; Ov.*Met*.3.581-691; Hom.Il.17.216. Verg.Aen.6.483; Ovid.met.12.303); მელანთუსი (Ov.*Met*.3.581-691); ნეალკესი (Verg.Aen.10.753; Plin.35.11.40-43); ნისეუსი (Aes.*LB*.619; Apd.3.15.5, 3.15.7-8; Hes.*CWE*.7; Hyg.*Fab*.198, 242; Ov.*Met*.8.145); ოლენიუსი (Olenus: Hyg.*Ast*.2.13; Ov.*Met*.12.433, 10.68); ორნიტუსი (Ap. Rhod.*Arg*.1.207, 2.65; Verg.*Aen*.11.678ff.); ოფელტესი (Apd.1.9.14, 3.6.4; Hyg.*Fab*.74; შდრ. Stat.*Theb*.4.741, 5.534ff., 5.632); ოხუსი (᾿Ωχος: Ptol.6.11.2; Strab.11.518; Plin.6,16,18,48); პროტისი (Πρωτίς: Theocr.13,25.2); ფლეგიასი (Apd.3.5.5, 3.10.3; Hom.*Asc*.16; Hes.*CWE*.89; Ov.*Met*.5.87; შდრ. Stat.*Theb*.3.79, 7.711, 8.688); ფოკევსი (Φοκεύς: Aesch.Ag.881; Eur.I.T.917; ჰალისი (Verg.*Aen*.9.765; შდრ. Stat.*Theb*.2.574); ჰებრუსი Verg. Ecl. 10.65; Verg.*Aen*.10.697, 12.331; Hor. Carm. 3.25.10; შდრ. Stat. Theb. 7.66, 10.315).

[293] აქ ვგულისხმობთ შემდეგი პერსონაჟების სახელებს: ადმონი, გენისუსი, თაპსუსი, ირონი, კიდრუსი, პირნუსი, საგესი, ტელეკოონი, ჰაგესი.

ფუძეებს შეიძლება ჰქონდეთ სულ სხვადასხვა ეტიმოლოგია და დაკავშირებულნი იყვნენ ინდოევროპულ, სემიტურ ან კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან. ასევე, როდესაც გარკვეულ სახელებს ვათავსებთ სკვითურ ან სპარსულ ჯგუფში, გასათვალისწინებელია, რომ სკვითური ენა თავისთავად ეკუთვნოდა ირანულ ენათა ჯგუფს და ამ შემთხვევაში ძალზე ძნელია ზუსტი ზღვარის გავლება, რომელი ფუძეა წმინდა სკვითური და რომელი სპარსული. სწორედ ამიტომ ჩვენ წარმომავლობაზე მსჯელობისას ძირითადად გვაინტერესებს ვალერიუს ფლაკუსისათვის ცნობილი რომელი ენობრივი გარემოდან შეიძლებოდა მოეხდინა ავტორს ამა თუ იმ ფუძის გამოყენება ან სხვადასხვა ელემენტებთან კომბინირება.

3.1. ე. წ. მეტყველი სახელები

აკვიტესი (Aquites)[294] – კოლხი მისანი. ა. ჰეერენი[295] ამ სახელს უკავშირებს Aquitani ფორმას, ამავე თვალსაზრისს ეთანხმება ჰ. ვისმანი[296], თუმცა ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ სახელის წარმოებისას, შესაძლოა, ფლაკუსი ლათ. ფორმატივს aqua „წყალი“ და ბერძნულში გავრცელებულ სახელის მაწარმოებელ სუფიქს -της გამოიყენებს, რასაც ამყარებს თვით ფლაკუსთან ამ პერსონაჟის შესახებ დაცული ინფორმაცია, აკვიტესი მდინარე ფაზისის ღვთაების ქურუმია.

ამბენუსი (Ambenus)[297] – სკვითი მეომარი. ფლაკუსი პოემაში ასახელებს ამავე სახელწოდების მთას სარმატიაში (6. 85), რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი ამ პერსონაჟის სახელს უკავშირებს.[298] ამბენუსის ეტიმოლოგიას, ჩვეულებრივ, გალ. ambis, ლათ. amnis, სანსკრ. amba „წყალი“ ფორმატივებთან აკავშირებენ. სახელი უნდა მიეკუთვნებოდეს გეტურ ან ბასტარნულ ნომენკლატურას.[299]

ანაუსისი (Anausis)[300] – პერსესის მოკავშირე. ჰენიოხებისა და ალანების სარდალი. წარმოებისას, შესაძლოა, ფლაკუსი ან ანტიკური ეპოქის ონომასტიკაში ფართოდ გავრცელებულ anau- ელემენტს იყენებდეს ან ე. წ. მეტყველ სახელს ბერძნ. ἀναύ-ω „ყვირილი“ ზმნიდან აწარმოებდეს. ასევე შესაძლოა, რომ ფლაკუსი ამ სახელს ქმნიდეს ეთნონიმიდან Anasi, რომელიც ერთხელ არის

294 Val. Flacc. Arg. 6. 294-316.
295 A. Heeren, De chronographia a Valerio Flacco adhibita, diss. Göttingen 1899, 20.
296 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 127.
297 Val. Flacc. Arg. 6.250-251.
298 Tomaschek, Ambenus mons, RE, I.2, 1797.
299 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 51.
300 Val. Flacc. Arg. 6. 42-47, 265-278.

მოხსენიებული პლინიუსთან (Plin. Nat. 6. 22). ამ ვარაუდს ამყარებს ასეთი ტიპის მონაცვლეობათა სხვა მაგალითებიც: Colaxais / Colaxes, Auchates / Auchus, Tyra / Tyras, Bastarnae / Batarnae, Thyssagetes / Thyrsagetes.[301]

აპრესი (Apres)[302] – კოლხი მეომარი. ფლაკუსი, შესაძლოა, იყენებდეს aper, apri „ტახი“ მნიშვნელობის მქონე ფუძეს ან ძველი სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებულ apr- ელემენტს.[303]

გელასი (Gelas)[304] – ჰირკანიელი მეომარი. შესაძლოა, ფლაკუსი ძველ სამყაროში გავრცელებულ ონომასტიკურ gela- ფუძეს გამოიყენებს, რომელიც, მეტწილად, ბერძნ. γελάω „სიცილი“ ზმნის სემანტიკასთან არის დაკავშირებული.

გესანდერი (Gesander)[305] – იაზიგი სარდალი. სახელის წარმომავლობა უცნობია.[306] წარმოებისას, შესაძლოა, ფლაკუსი ლათ. gero, gessi „ვატარებ, ვაწარმოებ“ (bellum gerere „ომის წარმოება“) და ბერძნ. ἀνήρ, ἀνδρός „მამაკაცი“ კომპონენტებს გამოიყენებს (შდრ. Thessandrus, ბერძენი გმირი ვერგილიუსთან Aen. II, 261). ჰ. კოსტლინი უკავშირებს ამ სახელს gaesum სიტყვას „შუბის“ მნიშვნელობით.[307]

გესითოუსი (Gessithous)[308] – კოლხი მეომარი. შესაძლოა, ფლაკუსი ლათ. gero, gessi „ვატარებ, ვაწარმოებ“ და ბერძნ. θοός „სწრაფი“ კომპონენტებს გამოიყენებს. კომპოზიტის მეორე შემადგენელ ნაწილთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ფლაკუსთან ამ ფუძის შემცველი სხვა პერსონაჟთა სახელებიც დასტურდება: ა. მ., ამაძონი თოე Thoe „სწრაფი“ (6. 375) და ნერეისი კიმოთოე Cymothoe „სწრაფი ტალღა“ (2. 605). ვერგილიუსთან ამ სახელით მოიხსენიება ზღვის ნიმფა (Verg. Aen. I 144). რაც შეეხება კონტექსტს, სადაც პერსონაჟი გესითოუსია მოხსენიებული, ფლაკუსის ფრაზა Hypetaona Gessithoumque ეხმიანება ვერგილიუსისეულ: Thesea Pirithoumque (Aen. 6.393), Ixiona Pirithoumque (Aen. 6.601).

---

301 A. Heeren, Göttingen 1899, 57; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 36; SC ВДИ, XXVIII, 344.
302 Val. Flacc. Arg. 6. 638.
303 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 244.
304 Val. Flacc. Arg. 6. 203-218.
305 Val. Flacc. Arg. 6. 122-128, 6. 279-316, 6. 374-380.
306 A. Heeren, Göttingen 1899, 21; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 122.
307 H. Köstlin, Zu Valerius Flaccus, *Philologus* 39, 1880, 438.
308 Val. Flacc. Arg. 6. 637.

ᲓᲘᲞᲡᲐᲡᲘ (Dipsas)[309] – კოლხი მეომარი. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სახელწოდების მდინარე არსებობდა კილიკიაში. წარმოებისას, შესაძლოა, ფლაკუსი ამ პერსონაჟის სახელს ბერძნ. Δίψας გველის სახეობას „ანკარას“ (Nic. Ther. 334 ff.) უკავშირებს, რომლის კბენაც დაუოკებელ წყურვილს იწვევს და შეესაბამება διψάω ზმნის სემანტიკას.[310]

ᲕᲐᲜᲣᲡᲘ (Vanus)[311] – პერსესის მოკავშირე. ჰირკანიელი მისანი. შესაძლოა ეს პერსონაჟი შექმნილია სტაციუსის ამფიარაუსის ანალოგიით. ჩვენთვის ასევე საინტერესოა ტაციტუსთან დადასტურებული სახელი ვანიუსი (Tac. Ann. 2.63, 12.29), რომელიც საკმაოდ ცნობილი ფიგურა ყოფილა. შესაძლოა, ფლაკუსი *metri causa* ვანიუსს ცვლის ვანუსად.[312] არც ის არის გამორიცხული, რომ წარმოებისას, ფლაკუსი ლათ. ლექსიკურ ფორმატივს vanus გამოიყენებს მნიშვნელობით „ცარიელი, ამაო“.

ᲖᲐᲙᲝᲠᲣᲡᲘ (Zacorus)[313] – სკვითი მეომარი. სახელის წარმოებისას, შესაძლოა, ფლაკუსი სახელს ბერძნ. ლექსიკური ფორმატივიდან ζάκορος „ტაძრის მსახური“ აწარმოებს, თუმცა ა. ჰეერენი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და გვთავაზობს Pacorus კონიუნქტურას. პაკორუსი იყო პართელთა მეფე, რომელიც კრასუსმა დაამარცხა ძვ. წ. 53 წ. (Hor. Carm. 3.6.9).[314]

ᲗᲘᲓᲠᲣᲡᲘ (Thydrus)[315] – კოლხი მეომარი. ფლაკუსის მიხედვით, იგი მდ. ფასისის ნაპირებთან ჩაისახა კავკასოსის მიერ, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მამისეულ ფარას მწყემსავდა; სწორედ აქედან მომდინარეობს თიდრუსის მეტსახელი „ფასისის მსახური“; სახელის წარმომავლობა უცნობია. წარმოებისას ფლაკუსი, შესაძლოა, იყენებდეს θύ- ელემენტს „მსხვერპლშეწირვის“ და δρά-ω კომპონენტს „ვაკეთებ, ვმოქმედებ“ მნიშვნელობით.

ᲙᲔᲚᲔᲜᲔᲕᲡᲘ (Celaeneus)[316] – კიმერიელი მისანი. საინტერესოა სახელის წარმომავლობა. პინდაროსის ოდების სქოლიოებში „შავგვრემან კოლხებთან“ დაკავშირებით ვხვდებით სქოლიასტის შენიშვნას: „ერთნი ამბობენ, რომ ეს ნიშნავს „სახით შეშინებულს“, რადგან „კელაინოსს“ ხმარობენ „შეშინების“

---

[309] Val. Flacc. Arg. 6. 192
[310] შდრ. H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 93.
[311] Val. Flacc. Arg. 6. 114-119.
[312] A. Heeren, Göttingen 1899, 16; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 62; SC ВДИ, XXVIII, 347.
[313] Val. Flacc. Arg. 6. 554
[314] A. Heeren, Göttingen 1899, 19; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 214.
[315] Val. Flacc. Arg. 6. 639.
[316] Val. Flacc. Arg. 3. 406.

მნიშვნელობით. ხოლო სხვები ამბობენ, რომ სკვითები ეგვიპტელთა კოლონისტები არიან, ამიტომაა, რომ ამბობენ, შავკანიანები არიანო. ხოლო საფიქრებელია, რომ ისინი (მართლაც) ეგვიპტელთა კოლონისტები არიან“; თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ამ სიტყვის კავშირი „შეშინებასა“ და „გაოცებასთან“ (καταπληκτικός და κατάπληξις) არ დგინდება: „უთუოდ ისინი, ვინც არ სცნობდნენ კოლხთა კავშირს ეგვიპტელებთან, ვერ ხსნიდნენ მათ შავგვრემანობას და უპოვეს ასეთი ახსნა პინდაროსის ცნობას – არგონავტები შეებრძოლნენ შეშინებულ (თუ გაოცებულ) კოლხებს – მახვილი კოლხების სხვა თვისებაზე გააკეთეს. აქ ჩანს ბერძნის დამოკიდებულება არაბერძნის მიმართ“.[317] κελαινός ნიშნავს „შავს“, „მუქს“, „ბნელს“, ამ სიტყვის სემანტიკა რომ ფლაკუსისთვისაც ნიშანდობლივია, მის მიერ პოემაში მოწოდებული ინფორმაციაც ცხადყოფს: მისანი კელენევსი შავი ტანისამოსით არის მოსილი ...atraque sedens in veste Celaeneus (3. 406), ამდენად, ეს სახელი აშკარად მეტყველ სახელთა რიგს მიეკუთვნება.

კერამნუსი (Ceramnus)[318] – სკვითი მეომარი. სხვა წყარო სკვით კერამნუსს არ იხსენიებს. სახელის წარმომავლობა უცნობია. წარმოებისას, შესაძლოა, ფლაკუსი იყენებს ბერძ. κέραμος მნიშვნელობით „თიხა“.[319]

ლატრისი (Latris)[320] – პერსესის მოკავშირე. იბერიელი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, ეს სახელი ჩრდ. შავიზღვისპირეთთან დაკავშირებით სხვა ავტორებთან არ დასტურდება.[321] სახელის წარმოებისას ფლაკუსი, სავარაუდოდ, იყენებს ანტიკურობაში გავრცელებულ latr- ელემენტს, რაც მეტყველ სახელთა რიგს მიეკუთვნება „მსახურის, მაცნის, ქურუმის“ მნიშვნელობით (შდრ. ასევე Plin. Nat. 4.97 *insulam Latrim*).

ლექსანორი (Lexanor)[322] – სკვითი მეომარი. სახელის წარმომავლობა უცნობია, თუმცა არცთუ იშვიათად გვხვდება ბერძნ. სახელები -ανωρ დაბოლოებით. ალბათ, ეს სახელი დაკავშირებულია lex- (Leleges) ფუძესთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ -ανωρ დაბოლოება ἀνήρ ფორმატივიდან მომდინარეობს, ლექსანორი შეიძლება გავიგოთ როგორც მჭევრმეტყველი.

[317] თ. ყაუხჩიშვილი, 1976, 39.
[318] Val. Flacc. Arg. 6. 550.
[319] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 213.
[320] Val. Flacc. Arg. 6. 121.
[321] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 64; Franke, Latris, RE, XII.1, 978; SC ВДИ, XXVIII, 348.
[322] Val. Flacc. Arg. 6. 686.

მედორესი (Medores)[323] – ჰირკანიელი მეომარი. სახელის წარმოებისას ფლაკუსი ძველ სამყაროში გავრცელებულ ონომასტიკურ med- ფუძეს გამოიყენებს, რომელიც, მეტწილად, ბერძ. μήδομαι „ვზრუნავ, განვიზრახავ“ ზმნის სემანტიკასთან არის დაკავშირებული: შდრ. ასევე Μέδων, Μήδεια. შესაძლოა, ეს სახელი ასევე დავუკავშიროთ ტროელთა ერთ-ერთ მოკავშირეს Μέδων-ს (Hom. Il. 17. 216, შდრ. ასევე Verg. Aen. VI 483) ან კენტავრს, რომელიც ოვიდიუსთან გვხვდება (Ov. Met. 12. 303).[324]

3.2. ანტიკურ ავტორებთან დადასტურებული სახელები

არონი (Aron)[325] – აიეტის მოკავშირე. საკმაოდ გავრცელებული სახელია ანტიკურ წყაროებში.[326] ამ სახელს ატარებს სხვადასხვა რეგიონთან დაკავშირებული არაერთი პირი (PGE). არის მცდელობა, ეს სახელი დაუკავშირონ სოფელს დალმატიურ სანაპიროზე (Aronia, RE, II 1, 1215).[327]

ევრიალე (Euryale)[328] – აიეტის მოკავშირე. ამაზონი. ასე ჰქვია ერთ-ერთ გორგონას (Hes. Theog. 276, Pind. Pyth. 12, 20, Apollod. II, 4, 2, 7), ასევე მინოსის ასულს, რომელმაც პოსეიდონთან შეუღლებით შვა ორიონი (Arat. 322, Hyg. astr. II 34).[329] როგორც ამაზონის სახელი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება.

ზეტესი (Zetes)[330] – კოლხი მეომარი. აღსანიშნავია, რომ ამავე სახელს ატარებს არგონავტი ძეტესი. როგორც კოლხი მეომრის სახელი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება, ამდენად, სავარაუდოდ, იგი მის მიერ შექმნილი პერსონაჟია.

თოე (Thoe)[331] – ამაზონი მეომარი ქალი. გავრცელებული სახელია ანტიკურ წყაროებში. ამ სახელს ატარებს ოკეანოსისა და ტეთისის ასული (Hes. th. 354), ნერევსისა და დორისის ასული (Il. 18. 40).[332] თოე, როგორც ამაზონის სახელი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება, ამდენად, სავარაუდოდ იგი მის მიერ შექმნილი პერსონაჟია.

---
[323] Val. Flacc. Arg. 6. 203-218.
[324] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 99.
[325] Val. Flacc. Arg. 5. 587-592; 6. 524-541.
[326] Hoefer, Arron, RE, II 1, 1260.
[327] H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 266-7.
[328] Val. Flacc. Arg. 5. 611-614, 6. 370-379.
[329] Wagner, Euryale, RE, VI.1, 1316-17.
[330] Val. Flacc. Arg. 6. 572.
[331] Val. Flacc. Arg. 6. 375.
[332] G. Türk, Thoe, RE, VI A.1, 303.

ᲘᲓᲐᲡᲛᲔᲜᲣᲡᲘ (Idasmenus)[333] – სკვითი მეომარი. არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაში ფლაკუსი სახელს ორი კომპონენტიდან Idas, რომელიც ანტიკურობაში გავრცელებული საკუთარი სახელია (ა. მ. იდასი ეწოდება ერთ-ერთ არგონავტს) და meno-დან აწარმოებდეს, შდრ. Ariasmenus. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იდასმენუსი ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია.

ᲙᲘᲠᲜᲣᲡᲘ (Cyrnus)[334] – კოლხი მეომარი. საკმაოდ გავრცელებული სახელია ანტიკურ ონომასტიკაში. ამ სახელს ატარებს სხვადასხვა რეგიონთან დაკავშირებული არაერთი პირი (PGE). ასევე ცნობილია ამავე სახელწოდების მდინარე, რომელიც კასპიის ზღვაში ჩაედინება (Plut. Pomp. 34. 35, Dio Cass. 36.53, 54) და რომელიც მდ. კიროსის სინონიმია.[335] კოლხი კირნუსი მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება, სხვა წყარო მას არ იხსენიებს.[336]

ᲚᲘᲙᲔ (Lyce)[337] – ამაძონი მეომარი ქალი. ეს სახელი დასტურდება ჰორაციუსთან, კერძოდ, ასე იწოდება ჰორაციუსის სატრფო (Hor. Od. 4, 13). ლიკე როგორც ამაძონის სახელი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება. ალბათ, იგი მის მიერ გამოგონილი პერსონაჟია.

ᲛᲔᲝᲢᲘᲡᲘ (Maeotis)[338] – ნიმფა. პევკონის დედა. სახელი უკავშირდება ამჟამინდელი აზოვის ზღვის ძველ სახელწოდებას, მეოტისი აკავშირებდა კიმერიულ ბოსფოროსს პონტოს ევქსინოსთან.[339] იგი არის აგრეთვე შავი ზღვის ჩრდ.-აღმ. მდებარე მხარე, ზოგიერთი განმარტებით, სკვითია, სადაც არის მეოტისის ტბა (Schol. ad Aeneid. VI, 799). ზოგიერთი გადმოცემით, ჰელიოსის ვაჟებს სამფლობელოდ შემდეგი მიწები ერგოთ: აიეტს მეოტისი და კოლხეთი, პერსესს კი – ტავრია (Schol. ad Ap. Rhod. III 200). Μαιῶτις λίμνη (Maeotes lacus Plin. n. h. IV 84; Maeotica palus II 168; Maeotis, Maeotis lacus IV 75; Maeotius lacus IV 76) ფორმის გვერდით დასტურდება იონიური ფორმა Μαιῆτις (Herod. IV 20-123). ლათინურში დასტურდება ასევე ნათ. ბრ. ფორმით Maeotidis, იშვიათად Maeotis (Cic. Tuscul. V 17, Plin. IV 84). ფლაკუსთან ამ სახელს ატარებს მის მიერ გამოგონილი ნიმფა.

---

333 Val. Flacc. Arg. 6. 196-99.
334 Val. Flacc. Arg. 6. 297.
335 Tomaschek, Cyrni, RE, IV.2, 1943-1944.
336 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 128.
337 Val. Flacc. Arg. 6. 374.
338 Val. Flacc. Arg. 6. 565.
339 Herrmann, Maiotis, RE, XIV. 1, 590-592.

მენიპე (Menippe)[340] – ამაზონი მეომარი ქალი. ასე ეწოდება ნერევსისა და დორისის ასულს (Hes. th. 260).[341] მენიპე როგორც ამაზონის სახელი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება. სავარაუდოდ, იგი მის მიერ გამოგონილი პერსონაჟი უნდა იყოს.

პევკე (Peuce)[342] – ნიმფა. ამ სახელწოდების კუნძული უძველესი წყაროს, აპოლონიოს როდოსელის, მიხედვით ისტროსის შესართავში მდებარეობდა, ჩრდილოეთით Νάρηκος στόμα, ხოლო სამხრეთით Καλὸν στόμα ესაზღვრებოდა; ეს კუნძული საკმაოდ ხშირად დასტურდება რომაელ ავტორებთანაც: Lucan. III 201f., Martial. VII 54, 3.[343] საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ადგილს ვალერიუს ფლაკუსიც, რომელიც რამდენიმეგზის მოიხსენიებს მას (8. 256, 293, 376f.), რამდენადაც სწორედ აქ იმართება იასონისა და მედეას ქორწილი. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ ამ კუნძულის სახელის მქონე ნიმფასაც იგონებს და ასეთ ამბავს აკავშირებს მასთან: ნიმფა პევკესთვის ნამუსი აუხდია მდინარე ისტრუსის ღვთაებას; ნიშანდობლივია, რომ ფლაკუსი ამ კონტექსტით იასონისა და მედეას უიღბლო ქორწინებაზე მიგვანიშნებს.

სიბოტესი (Sibotes)[344] – კოლხი მეომარი. სიბოტესი საკმაოდ გავრცელებული ბერძნული სახელია (PGE). სკვითიასთან დაკავშირებით ეს პერსონაჟი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.[345] ალბათ, ის ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია.

სინოპე (Sinope)[346] – ნიმფა. ამ სახელით ანტიკურ წყაროებში დასტურდება ელინური ქალაქი პონტოს სამხრ. სანაპიროზე, პაფლაგონიის ნახევარკუნძულზე, (ას)სირიად წოდებულ მხარეში (Skyl. 89, Dionys. perieg. 772 და Schol. Nikeph. 761, Eustath. zu Dionys. 775. 1166, Schol. Apoll. Rhod. II 946). მელა მას ხალიბებთან განათავსებს (Mela I 105). ჰეროდოტოსი სინოპეს ადგილმდებარეობას ამგვარად განსაზღვრავდა: „ ეგვიპტე მდებარეობს მთიანი კილიკიის პირდაპირ. აქედან სინოპემდე, რომელიც ევქსინოს პონტოსთანაა, ხუთი დღის პირდაპირი გზაა მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის. ხოლო სინოპე მდებარეობს იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ისტროსი ზღვას ერთვის“ (II, 34). პოლიბიოსი გადმოგვცემს,

---

340 Val. Flacc. Arg. 6. 377.
341 Gunning, Menippe, RE, XV.1 860-861.
342 Val. Flacc. Arg. 8. 217.
343 E. Polaschek, Peuce, RE, XIX.2, 1384-1390.
344 Val. Flacc. Arg. 6. 248-50.
345 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 111.
346 Val. Flacc. Arg. 5. 109.

რომ სინოპე მდებარეობს პონტოს მარცხენა მხარეს, ვინც ფასისში მიცურავს და მდებარეობს ზღვაში შეჭრილ ნახევარკუნძულზე, რომლის ყელიც უერთდება აზიას (Polyb. IV, 56, 5). სინოპე ადრიდანვე დაუკავშირდა არგონავტების თქმულებას (Strab. I, 46). მას სახელი უნდა მიეღო ამაძონი სინოპესაგან (Ps. – Skymn. 941. Anon. peripl. Pont. Eux. 21. Nikeph. 761 f. Dionys. perieg. 775 f. Fest. Avien. 951 f., Schol. Apoll. Rhod. II 946). მისი თავი გამოსახულია სინოპეს მონეტებზე. სინოპე დაუარსებიათ იასონის თანამგზავრს, არგონავტ ავტოლიკოსს, დეილეონსა და ფლოგიოსს (Ps. Skymn. 944 f.). ავტოლიკოსი ლუკულუსის დროსაც ითვლებოდა, როგორც οἰκιστής და თაყვანს სცემდნენ მას, როგორც ღმერთს. არსებობდა მისი ორაკულიც (Strab. XII, 546; Plut. Luk. 23; Appian. Mithr. 83).[347]

სტრიმონი (Strymon)[348] – კოლხი მეომარი. ჰესიოდესთან ამ სახელით დასტურდება მდინარის ღმერთი, ტეთისისა და ოკეანოსის ვაჟი (Hes. th. 339). ასევე შესაძლოა, ეს სახელი დავუკავშიროთ ამავე სახელწოდების სასაზღვრო მდინარეს Στρυμών მაკედონიასა და თრაკიას შორის (Verg. Aen. X 265; შდრ. Stat. Theb. 5,188), შდრ. ასევე Strymonius – ტროელი მეომარი ვერგილიუსთან (Aen. X 414).[349] სავარაუდოდ, სტრიმონი ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია.

ტაგესი (Tages)[350] – სკვითი მეომარი. ეს სახელი საკმაოდ გავრცელებულია ეგვიპტურ და ბერძნულ-რომაულ ონომასტიკაში.[351] იგი გვხვდება ოვიდიუსთან ეტრუსკი პერსონაჟის აღსანიშნავად (Ov. Met. 15.558); ასევე ვხვდებით ამ სახელს სტაციუსთანაც (Stat. Theb. 9.270). ეტიმოლოგიის ცდას უკვე ანტიკურ წყაროებში გვთავაზობენ: ἀπὸ τῆς γῆς (Schol. Lucan. I 636). სტაციუსის კომენტატორი დევარი მიიჩნევს, რომ ეს სახელი ეტრუსკულია და სკვითიასთან არაფერი აქვს საერთო; საგულისხმოა, რომ -us სუფიქსით გაფორმებული სახელი Tagus ერთ-ერთი რუტული მეომრის სახელია ვერგილიუსთან (Aen. IX 418). სკვითიასთან დაკავშირებით ტაგესი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.[352]

ტალაუსი (Talaus)[353] – სკვითი მეომარი. ანტიკურ წყაროებში დადასტურებული სახელია,[354] ასე ეწოდება ილირიოსის ერთ-ერთ შვილს, რომელიც

[347] Ruge, Sinope, RE, 3A. 1, 252-255.
[348] Val. Flacc. Arg. 6. 192-4.
[349] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 93; Türk, Strymon, RE, IV A.1, 394.
[350] Val. Flacc. Arg. 6. 221-7.
[351] Tages, RE, IV A.2, 2009-2011.
[352] H. J.W. Wijsman, Leiden 2000,102-103.
[353] Val. Flacc. Arg. 6. 222.
[354] Scherling, Taulas, RE, IV A.2, 2530.

ილირიელი ტავლანტიების ეპონიმი იყო (App. Illyr. 2), შდრ. ასევე ლუკანუსი Taulantius incola (Luc. 6.16). თვითონ ეს ილირიული ტომი მოხსენიებულია პლინიუსთან proprieque dicti Illyri et Taulanti et Pyraei (Plin. 3.144). სკვითიასთან დაკავშირებით ტალავსს მხოლოდ ფლაკუსთან ვხვდებით, ალბათ, ეს პერსონაჟი მის მიერ არის გამოგონილი.[355]

ფალკესი (Phalces)[356] – სკვითი მეომარი. რაც შეეხება სახელის წარმომავლობას, იგი შესაძლოა დავუკავშიროთ ერთ-ერთ ტროელ გმირს ჰომეროსთან (Hom. Il. 13, 791, 14. 513).[357] სკვითიასთან დაკავშირებით ფალკესი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.

ფრიქსუსი (Phrixus)[358] – პერსესის მოკავშირე. სკვითი სარდალი. რაც შეეხება სახელის წარმომავლობას, ფლაკუსი ამ სკვით პერსონაჟს მითოლოგიურ ტრადიციაში ცნობილი ეოლიდი ფრიქსოსის სახელს არქმევს.[359]

ჰელიქსი (Helix)[360] – სკვითი მეომარი. საკმაოდ გავრცელებული სახელია ანტიკურ წყაროებში. ამ სახელს ატარებს სხვადასხვა რეგიონთან დაკავშირებული არაერთი პირი (PGE). შესაძლოა, ფლაკუსი ამ სახელს აწარმოებს ოვიდიუსის მიხედვით (Ov. Met. 5.87 intonsumque comas Helicem).[361] როგორც სკვითი მეომარი ჰელიქსი მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება, ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია.

ჰენიოხე (Henioche)[362] – მედეას კოლხი ძიძა. ამ სახელით ანტიკურ წყაროებში სხვადასხვა მითოლოგიური პერსონაჟი მოიხსენიება: კრეონის მეუღლე (Hes. scut. 83), პიტთეუსის ასული, კანეთოსის მეუღლე და სკირონის დედა (Plut. Thes. 25);[363] ცნობილია ასევე ჰენიოხების ტომის სახელწოდება, ამდენად, სავსებით შესაძლებელია, ეს სახელი სწორედ ამ ეთნონიმიდან იყოს ნაწარმოები Heniochi.[364] ჰენიოხე, როგორც კოლხი პერსონაჟის სახელი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება.[365]

---

355 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 102.
356 Val. Flacc. Arg. 6. 88-9, 244-7, 554.
357 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 52; SC ВДИ, XXVIII, 346.
358 Val. Flacc. Arg. 6. 70.
359 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 46; SC ВДИ, XXVIII, 346.
360 Val. Flacc. Arg. 6. 569-71.
361 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 220-221.
362 Val. Flacc. Arg. 5. 357.
363 Weicker, Henioche, RE, VIII.1, 258.
364 Kiessling, Heniochi, RE, VIII, 259-280.
365 H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 180.

ამასტრუსი (Amastrus)[366] – სკვითი მეომარი. აღსანიშნავია, რომ ამავე სახელს ატარებს აგრეთვე ფლაკუსთან მოხსენიებული კიზიკიელი გმირიც (3. 145). ანტიკურ წყაროებში გვხვდება როგორც მდ. სქ. სახელი. Amastris დასტურდება როგორც ამაზონი ქალის სახელი, რომელმაც ქ. ამასტრისი დააფუძნა (Demosth. Bith. b. St. B. 2) და როგორც სპარსელ ქალთა ერთობ გავრცელებული საკუთარი სახელი: ამასტრისი ქსერქსეს მეუღლეს, დარიოს II-ის ქალიშვილს, არტაქსერქსეს II-ის ასულს და ა. შ. ერქვათ. ასე მოიხსენიება ვერგილიუსთან ერთ-ერთი ტროელი მეომარი (Verg. Aen. XI 674), ამდენად, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ის მოსაზრება, რომ ამ პერსონაჟისათვის სახელი ფლაკუსმა ვერგილიუსისგან ისესხა. სავარაუდოდ, ამასტრუსი ფლაკუსის მიერ შექმნილი პერსონაჟი უნდა იყოს, თუმცა ამ სკვითი მებრძოლის სახელდებისას მისი ინსპირაციის წყარო, ალბათ, ვერგილიუსია.[367]

ანქსური (Anxur)[368] – პერსესის მოკავშირე. სკვითი სარდალი. როგორც სკვითი მეომარი სხვა ავტორებთან არ დასტურდება, თუმცა, წყაროებში ეს სახელი სხვადასხვა ფორმით ხშირად გვხვდება. ცნობილია ამავე სახელწოდების პერსონაჟი ვერგილიუსთან, სადაც იგი წარმოდგენილია როგორც ტურნუსის თანამგზავრი რუტული მებრძოლი (Verg. Aen. X. 544 f.); სავარაუდოდ, იგი ვერგილიუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟი უნდა იყოს.[369] სახელის ეტიმოლოგიის ცდას ვხვდებით უკვე ანტიკურ წყაროებში, ა. მ., სერვიუსი მას (Serv. Aen. VII 799) ბერძნული ფორმიდან ἄνευ ξύρας აწარმოებს. შესაძლოა, ფლაკუსმა სახელი ვერგილიუსის გავლენით გადმოიღო.[370]

კაიკუსი (Caicus)[371] – კოლხი მეომარი. სახელის წარმომავლობა უცნობია. კაიკუსი ფართოდ გავრცელებული სახელია ანტიკურობაში. ამ სახელწოდების მდ. არსებობდა მისიაში (Hes. Th. 338ff.; Pind. I. 4 (5), 53. Verg. G. 4. 370. Ov. Ars. 3. 196), აგრეთვე ცნობილია Καΐκου πεδίον (Her. 6. 28). ჩვენთვის ნიშანდობლივია, რომ ამ სახელს ატარებს ერთ-ერთი ტროელი გმირი ვერგილიუსთან (Aen. I 183, IX 35). სავარაუდოდ, კაიკუსი ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია და მისი წყარო შესაძლოა, რომ სწორედ ვერგილიუსი იყო.[372]

---

366 Val. Flacc. Arg. 6. 554-556.
367 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 215; Tümpel, Amastris, RE, I.2, 1749-50; Amastros, RE, I.2, 1750.
368 Val. Flacc. Arg. 6. 68.
369 O. Rossbach, Anxur, RE, I.2, 2652-2653.
370 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 45; SC ВДИ, XXVIII, 346.
371 Val. Flacc. Arg. 6. 688-9.
372 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 261-2.

ლატაგუსი (Latagus)[373] – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობა უცნობია. აღსანიშნავია, რომ ამავე სახელდებით გვხვდება ტროელი გმირი ვერგილიუსთან (Aen. X 697) და სავსებით შესაძლოა, წყაროს სწორედ ეს რომაელი ეპიკოსი წარმოადგენდა. ასევე შდრ. აღმოსავლური ქალაქი ელიანესთან πόλις δέ ἐστιν Ἰνδῶν ἡ Λατάγη (Ael. Nat. An. 16.10).[374]

ჰებრუსი (Hebrus)[375] – სკვითი მეომარი. სახელის წარმომავლობა უცნობია. ფლაკუსთან ვხვდებით ამავე სახელწოდების მდინარეს თრაკიაში, რომელიც გან-თქმული იყო ოქროთი (შდრ. Verg. Ecl. 10.65, Hor. Carm. 3.25.10, Stat. Theb. 7.66), ამ სახელს ატარებს ფლაკუსთან ერთ-ერთი კიზიკიელი გმირიც (3. 149). ჰებრუსის სახელი შეიძლება ასევე დავუკავშიროთ ვერგილიუსის პერსონაჟს, ტროელი დოლიქაონის ძეს (A. X 696, XII 331), შდრ. ასევე (Stat.Theb.10.315).[376]

ირონი (Iron)[377] – სკვითი მეომარი. სახელის წარმომავლობა უცნობია. სხვა წყარო ირონს არ იხსენიებს. აღსანიშნავია, რომ ამავე სახელს ატარებს აგრეთვე ფლაკუსთან მოხსენიებული კიზიკიელი გმირიც (3. 111). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირონი საკმაოდ გავრცელებული სახელის ჰიერონის შემოკლებული ფორმაა ან იროსის სახეცვლილი ეკვივალენტი.

3.3. ანტიკური სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებული ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

ოებასუსი (Oebasus)[378] – კოლხი მეომარი. წარმოებისას, შესაძლოა ფლა-კუსი იღებს ანტიკურ ონომასტიკაში გავრცელებულ Oeb- ელემენტს და ურთავს -asus სუფიქსს (შდრ. Οἰβάδης, Οἴβαλος, Οἴβαρας, Οἰβώτας). შესაძლოა სახელს აწარმოებს სპარსული სახელიდან Οἰβάρης, რომელიც დარიოსის მეჯინიბე იყო (Her. 3.85-88, 6.33, Aesch. Pers. 984). ეს პერსონაჟი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.[379]

ოკრეუსი (Ocreus)[380] – კოლხი მეომარი. შესაძლოა ფლაკუსი იღებს ანტი-კურ ონომასტიკაში გავრცელებულ Ocr- ელემენტს და ურთავს სახელის

[373] Val. Flacc. Arg. 5. 584, 6. 572.
[374] H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 272.
[375] Val. Flacc. Arg. 6. 618.
[376] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 237; Oberhummer, Hebros, RE, VII.2, 2589-2590.
[377] Val. Flacc. Arg. 6. 201-2.
[378] Val. Flacc. Arg. 6. 244-7.
[379] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 110.
[380] Val. Flacc. Arg. 6.250-251.

მაწარმოებელ -eus სუფიქსს (შდრ. Oncheus, Ocheus). თუ გავითვალისწინებით სახელის კონიუნქტურას Otreus, ასე ერქვა ფრიგიის მეფეს (Hom. Il. III 186).[381]

ᲝᲜᲮᲔᲕᲡᲘ (Oncheus)[382] – სკვითი მეომარი. წარმოებისას, შესაძლოა ფლაკუსი იღებს ანტიკურ ონომასტიკაში გავრცელებულ Onch- ელემენტს (Ὀγχόη ქ. ფოკისში. Ὀγχοαῖος. Ὀγχοεύς St. B.) და ურთავს სახელის მაწარმოებელ -eus სუფიქსს (შდრ. Ocreus, Ocheus). ა. ჰეერენის მიხედვით, სახელი ნაწარმოებია ბეოტიური ქალაქიდან Ὄγχηστος, რომელიც მოხსენიებულია Apoll. Rhod.-თან (3.1242).[383] ეს პერსონაჟი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.

ᲡᲢᲘᲠᲣᲡᲘ (Styrus)[384] – ალბანელი სარდალი. შეიძლება დავუკავშიროთ ქ. სტირას (Στύρα) ევბეას სამხრ.-დას. სანაპიროზე (Il. 2, 539) ან ჰეროდოტოსთან დადასტურებულ ეთნონიმს Στυρεῖς (Her. 8. 1) Στυρέες (Her. 6, 107). ეს პერსონაჟი შეიძლება შევადაროთ ვერგილიუსის ტურნუსს, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფლაკუსის ინსპირაციის წყარო ამ პერსონაჟის შექმნისას სწორედ იგი იყო. სტირუსი შავიზღვისპირეთთან დაკავშირებით არცერთ სხვა ავტორთან არ დასტურდება.

ᲰᲐᲠᲞᲔ (Harpe)[385] – ამაზონი მეომარი ქალი. Harp- ელემენტი ანტიკურ ონომასტიკაში საკმაოდ გავრცელებულია. ჰარპე როგორც ამაზონის სახელი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება. ამდენად, იგი მის მიერ შექმნილი პერსონაჟი უნდა იყოს.

ᲰᲘᲞᲔᲢᲐᲝᲜᲘ (Hypetaon)[386] – კოლხი მეომარი. არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაში ფლაკუსი სახელს ორი კომპონენტიდან hyp- ანტიკურ ონომასტიკაში გავრცელებული ელემენტით და -taon ბოლოსართით აწარმოებდეს. ჰიპეტაონი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.

3.4. თრაკიული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

ᲝᲓᲠᲣᲡᲐ (Odrussa)[387] – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობა უცნობია. ეს აღმოსავლური წარმოშობის სახელი საკმაოდ გავრცელებული იყო ანტიკურობაში. პლინიუსის მიხედვით, არსებობდა ასეთი სახელწოდების თრაკიული ტომი (Plin. Nat. 4.40: *Odrysarum gens fundit Hebrum*, იხ. Lenk, B., Odrysai, RE, XVII 2,

---

381 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 112.
382 Val. Flacc. Arg. 6. 256.
383 A. Heeren, Göttingen 1899, 14; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 114.
384 Val. Flacc. Arg. 3. 492-497, 5. 459-460, 6. 266-278, 8. 298-305, 328-368.
385 Val. Flacc. Arg. 6. 375-6.
386 Val. Flacc. Arg. 6. 637.
387 Val. Flacc. Arg. 5. 594-5.

1900-1903). სტეფ. ბიზანტიელის მიხედვით, Ὄδρυσα ოდრისების ქალაქია, Ὀδρύσης კი მდ. რინდაკუსის შენაკადი მისიაში (Strab. 12, 550 . 551; Xen. An. 7, 5, 1; D. Per. 793, იხ. Ruge, W., RE, XVII 2, 1903-1904). ჰესიქიოსის თანახმად, ასე იწოდებოდა სკვითების მეფე (Hesych. Miles. fr. 4, 14).[388] ფლაკუსი ამ გავრცელებულ სახელს თავისი გამოგონილი პერსონაჟისთვის იყენებს და მას განსხვავებულად აწარმოებს -a სუფიქსით.

ᲡᲣᲔᲢᲔᲡᲘ (Suetes)[389] – სკვითი მეომარი. სხვა წყარო მას არ იხსენიებს.[390] სახელის წარმომავლობა უცნობია. ა. ჰეერენი მხარს უჭერს შრადერის კონიუნქტურას Seuthen, რამდენადაც Seuthes დასტურდება როგორც სამეფო სახელი ოდრისულ თრაკიაში (Thuc. 2.97; Xen. An. 7.1.5; Liv. 42.51.10).[391]

3.5. სკვითური და ჩრდ. შავიზღვისპირეთის ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

ᲐᲕᲮᲣᲡᲘ (Auchus)[392] – პერსესის მოკავშირე. კიმერიელი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორი ამ სახელს უკავშირებს ავხატების ტომს (Plin. Nat. 6.22), რომლებიც, ჰეროდოტოსის თანახმად (IV 6), პირველი სკვითის, ტარგიტეოსის ვაჟის, ლიპოქსეოსისგან იღებენ დასაბამს.[393] ავხუსი / ავხატები – ასეთი ტიპის მონაცვლეობის საილუსტრაციოდ შესაძლოა სხვა მაგალითების მოყვანაც: Anasi / Anausis, Colaxais / Colaxes, Tyra / Tyras, Bastarnae / Batarnae, Thyssagetes / Thyrsagetes. ავხუსი, როგორც კიმერიელი პერსონაჟი, მხოლოდ ფლაკუსთან დასტურდება. სავარაუდოდ, იგი მის მიერ შექმნილი ფიგურა უნდა იყოს.[394]

ᲐᲠᲘᲐᲡᲛᲔᲜᲣᲡᲘ (Ariasmenus)[395] – პერსესის მოკავშირე, სკვითი მეომარი. ВДИ-ის კომენტატორი ამ სახელს უკავშირებს არიმასპების ტომს[396], რომლებიც დრანგებისა და არახოსიებს შორის სახლობდნენ (Arr. Anab. III, 27, 4).[397] სხვა წყარო არიასმენუსს არ იხსენიებს.[398] არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაში ფლაკუსი

---

[388] H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 268-269.
[389] Val. Flacc. Arg. 6. 550.
[390] Türk, Suetes, RE, IV A.1, 591.
[391] A. Heeren, Göttingen 1899, 21; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 213.
[392] Val. Flacc. Arg. 6.60, 619.
[393] SC ВДИ, XXVIII, 345; Tomaschek, Auchatai, RE, II 2, 2268.
[394] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 42.
[395] Val. Flacc. Arg. 6. 103-105, 386-426.
[396] Wernicke, Arimaspoi, RE, II 1, 826.
[397] SC ВДИ, XXVIII, 347.
[398] A. Heeren, Göttingen 1899, 15; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 58.

სახელს ორი კომპონენტიდან aria(s)- (არია – ასე ეწოდებოდა თანამედროვე ირანს) და meno- ბოლოსართით აწარმოებდეს.

ᲐᲠᲘᲜᲔᲡᲘ (Arines)[399] – კოლხი მეომარი. ფლაკუსი, შესაძლოა, იყენებდეს ძველი სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებულ arin- ელემენტს. იგი ასევე შესაძლოა დავუკავშიროთ პუნიკურ სიმაგრეს არინეს (Liv. 26.49.5) ან ერთ-ერთი დაკიური მდინარის სახელწოდებას.[400]

ᲙᲐᲡᲞᲘᲣᲡᲘ (Caspius)[401] – სკვითი მეომარი. ფლაკუსი, როგორც ჩანს, სახელის წარმოებისას სხვა წყაროებში ფართოდ დადასტურებულ ტოპონიმს ან ეთნონიმს იყენებს. იგი მოიხსენიებს აგრეთვე სკვითურ ტომს, კასპიადებს (6.107).[402] კასპიუსი, როგორც სკვითი გმირი, მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება, სავარაუდოდ, იგი მის მიერ გამოგონილი პერსონაჟი უნდა იყოს.[403]

ᲙᲝᲚᲐᲥᲡᲔᲡᲘ (Colaxes)[404] – პერსესის მოკავშირე სკვითი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, სახელის წარმოებისას, ფლაკუსი, შესაძლოა ჰეროდოტოსისეულ კოლაქსაისს იყენებს, რომელიც სკვითიის პირველი მეფე იყო (Her. IV, 5).[405] ფორმათა ასეთი მონაცვლეობის საილუსტრაციოდ შესაძლოა სხვა მაგალითების მოყვანაც: Anasi / Anausis, Auchates / Auchus, Tyra / Tyras, Bastarnae / Batarnae, Thyssagetes / Thyrsagetes. სახელი ასევე შეიძლება დავუკავშიროთ კოლებისა და კოლხების სახელდებას.[406]

ᲛᲘᲠᲐᲙᲔᲡᲘ (Myraces)[407] – პართელი ელჩი კოლხიდაში. იგი შეიძლება დავუკავშიროთ ფლაკუსთან დადასტურებულ ამავე სახელწოდების მდ. მირაკეს, რომლის მახლობლადაც იშვა სკვითი მებრძოლი კოლაქსესი (6. 50). ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, ეს სახელი უნდა შევუპირისპიროთ პტოლემაიოსის ტამირაკეს (ტამირაკე (Geogr. III, 5, 2) იყო ქალაქი სკვითიაში, ასევე კონცხი ჰილეაში (შდრ. Tmolus (Timolus) Timorus Strab. 7.7.11) და ასევე მირგეტების ტომის

---

[399] Val. Flacc. Arg. 6. 638;
[400] A. Heeren, Göttingen 1899, 57; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 244.
[401] Val. Flacc. Arg. 6. 189-192.
[402] Tomaschek, Caspiae, RE, III.2, 1654.
[403] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 92.
[404] Val. Flacc. Arg. 6. 48, 621, 646.
[405] SC ВДИ, XXVIII, 345.
[406] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 37-8.
[407] Val. Flacc. Arg. 6. 690, 717.

სახელდებას (Hec. fr. 155). რამდენადაც პართელი მირაკესი სხვა ავტორებთან არ გვხვდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პერსონაჟი ფლაკუსმა შექმნა.[408]

ოლბუსი (Olbus)[409] – კოლხი მეომარი. აღსანიშნავია, რომ დასტურდება ამ სახელწოდების (Ὀλβία) ქალაქი ევროპულ სარმატიაში, ჰიპანისის მარჯვენა სანაპიროზე. სხვა ცნობების მიხედვით, ასე იწოდებოდა მდინარე ბორისთენესთან. ფლაკუსი, როგორც ჩანს, ამ სახელწოდების მიხედვით აწარმოებს მამაკაცი პერსონაჟის სახელს -us სუფიქსის დართვით. ეს ფიგურა სხვა ავტორებთან არ დასტურდება.

რიფევსი (Ripheus)[410] – კოლხი მეომარი. ფლაკუსი სახელის წარმოებისას, შესაძლოა, იყენებდეს ძველი სამყაროს ონომასტიკაში გავრცელებულ Riph-/Rhip ელემენტს. Sittig-ის თანახმად (RE, I A.1, 921), ფლაკუსს ეს სახელი უნდა შეექმნა გეოგრ. პუნქტის Riphaei montes მიხედვით, რაც უშუალოდ ფლაკუსთანაც სახელდება რამდენიმეგზის (2. 516, 5. 558, 602, 6. 33, 119, 7. 562; შდრ. ასევე Serv. Aen. IX 82),[411] თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ფლაკუსის ინსპირაციის წყაროს შესაძლოა უშუალოდ ვერგილიუსი წარმოადგენდა, რამდენადაც „ენეადაში“ ამ სახელს ატარებს ერთ-ერთი ტროელი გმირი (II 339, შდრ. ასევე სხვა ტროელი გმირიც II 334. 426 ეკვივალენტური Riph-//Rhipeus ფორმით, შდრ. ოვიდიუსთან ერთ-ერთი კენტავრის სახელი Ov. Met. XII 352). სკვითიასთან დაკავშირებით ეს პერსონაჟი სხვა ავტორებთან არ დასტურდება. ალბათ, რიფევსი ფლაკუსის მიერ გამოგონილი პერსონაჟია.

ტაქსესი (Taxes)[412] – სკვითი მეომარი. სავარაუდოდ, იგი შეიძლება დავუკავშიროთ სკვითების მეფე Τάξακις-ის სახელს, რომელიც ჰეროდოტოსთან გვხვდება (Her. 4.120) ან ჰიდრონიმს თრაკიაში (Τάξος); სახელის წარმოებისთვის შდრ. ასევე ოტაქსესი (Val. Flacc. 6. 529).[413]

ტევტაგონუსი (Teutagonus)[414] – პერსესის მოკავშირე სკვითი სარდალი. სახელის წარმომავლობა უცნობია. სახელი შედგება ორი კომპონენტისაგან: τεύτα (შდრ. Teutamus (Hom.Il.2.840) და -γόνος ბოლოსართისგან. ა. ჰეერენი მართებულად აღნიშნავს, რომ teuto- თავსართით დაწყებული სახელები გერმანული ან

408 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 263.
409 Val. Flacc. Arg. 6. 638.
410 Val. Flacc. Arg. 6. 557-62.
411 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 216; შდრ. Sittig, Ripheus, RE, I A.1, 921.
412 Val. Flacc. Arg. 6. 252-7.
413 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 112.
414 Val. Flacc. Arg. 6. 97.

გალური წარმომავლობისაა, teuta-თი კი – ბერძნული.[415] ტევტაგონუსი ჩრდ. შავიზღვისპირეთთან დაკავშირებით სხვა ავტორებთან არ დასტურდება.[416]

ტირესი (Tyres)[417] – პერსესის მოკავშირე. სკვითი სარდალი. ფლაკუსი მოიხსენიებს მსგავსი სახელწოდების მდინარეს სარმატიაში Tyra // Tyres (დნესტრი) და, სავსებით შესაძლოა, რომ სახელს სწორედ ამ ჰიდრონიმიდან აწარმოებდეს. სკვითიასთან დაკავშირებით ტირესი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.[418]

პევკონი (Peucon)[419] – გეტელი მეომარი. რაც შეეხება სახელის წარმომავლობას, ამ ფუძიდან ნაწარმოები დერივატები საკმაოდ გავრცელებულია ანტიკურ ონომასტიკაში (Πευκαῖοι – ხალხი იაპიგიაში, St. B.; Πευκεύς – ჰერაკლეს ეპითეტი, Lyc. 663; Πεύκη – კუნძული მისიაში, Arr. An. 1, 2, 2, Apoll. Rhod. 4, 309; Πεῦκαι, Zos. 1, 42; ისტროსის სამხრ. შენაკადი, Ptol. 3, 10, 2; მთები ევროპულ სარმატიაში, Ptol. 3, 5, 15). ეს ფორმატივი უშუალოდ ფლაკუსთანაც გვხვდება როგორც მდედრ. სქ. სახელი პევკე, რომელიც ერთ-ერთი ნიმფის (8. 256) და იმავდროულად კუნძულის აღმნიშვნელი სახელიცაა (8. 217, 8. 293, 8. 376). შესაბამისად, ფლაკუსი ამ მამაკაცი პერსონაჟის სახელს -on სუფიქსის დართვით აწარმოებს და იგი ამ ფორმით მხოლოდ მასთან დასტურდება.[420]

სიდონი (Sidon)[421] – სკვითი მეომარი. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, ეს სახელი უნდა დავუკავშიროთ მეოტიის ერთ-ერთ ტომს, სინდებს, რომლებსაც აპოლონიოს როდოსელი მოიხსენიებს (Apoll. Rhod. IV 322), თუმცა ეს უკანასკნელი სინდებს ურევს თრაკიელ სიდონებში.[422] ასევე შესაძლოა ამ სახელის დაკავშირება ფინიკიის უძველესი ქალაქის სახელწოდებასთან Σιδών (Od. 15, 425; Scyl. 104; Strab. 16, 756; Verg. Aen. I 446, 613), რომელსაც თვით ფლაკუსიც ახსენებს, სახელდობრ კი, ამ სახელისგან ნაწარმოებ ადიექტივურ ფორმას Sidonicus (6. 95). რამდენადაც ეს სახელი სკვითიასთან დაკავშირებით სხვა ავტორებთან არ გვხვდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს პერსონაჟი ფლაკუსის მიერ არის გამოგონილი.[423]

---

[415] A. Heeren, Göttingen 1899, 61; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 56.
[416] SC ВДИ, XXVIII, 347.
[417] Val. Flacc. Arg. 6. 201.
[418] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 95.
[419] Val. Flacc. Arg. 6. 563-9.
[420] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 218.
[421] Val. Flacc. Arg. 6. 69.
[422] SC ВДИ, XXVIII, 346.
[423] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 45-46; Honigmann, Sidon, RE, II A.2, 2216-2229, Gressmann, RE, II A.2, 2229-2230.

ჰიპანისი (Hypanis)[424] – სკვითი მეომარი. სავარაუდოდ, იგი შეიძლება დავუკავშიროთ მდ. ჰიპანისს, ბორისთენესის დიდ შენაკადს ევროპულ სარმატიაში (Her. 4. 52, შდრ. ასევე Val. Flacc. 4. 710, 6. 147). სტეფანე ბიზანტიელის თანახმად, ამავე სახელწოდების ქალაქი არსებობდა პონტოსსა და მეოტისს შორის.[425] ასევე სავსებით შესაძლოა, რომ ამ პერსონაჟის შექმნისას ფლაკუსის ინსპირაციის წყაროს ვერგილიუსი წარმოადგენდა. მასთან ამ სახელით ერთ-ერთი ტროელი მებრძოლი მოიხსენიება (Aen. II 340, 428). სკვითიასთან დაკავშირებით ჰიპანისი მხოლოდ ფლაკუსთან გვხვდება, ალბათ, იგი მის მიერ შექმნილი ფიგურაა.

ჰორა (Hora)[426] – სკვითი ქალღვთაება. კოლაქსესის დედა. სახელის წარმომავლობა უცნობია, ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, შესაძლოა, ის დავუკავშიროთ არტემისის ეპითეტს Ὡραία, რაც პირეოსშიც არის ეპიგრაფიკულად დადასტურებული. ჰეროდოტოსი (4.59) მოიხსენიებს, რომ სკვითები თაყვანს სცემდნენ სკვითების უმაღლეს ღვთაებას Ἱστίην μὲν μάλιστα (სკვითურად Ταβιτί).[427] ოვიდიუსთან ასე იწოდება ჰერსილიე, მას შემდეგ, რაც იგი ქალღმერთი გახდა (Ov. Met. 14.850). ასეთი სახელწოდების ნიმფა სკვითიასთან დაკავშირებით მხოლოდ ფლაკუსთან დასტურდება.[428]

3.6. წინააზიური ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

არმისი (Armis)[429] – სკვითი მეომარი. სხვა წყარო არმისს არ იხსენიებს. სახელის წარმომავლობა უცნობია. შესაძლოა, ფლაკუსი სახელის წარმოებისას ან ლათ. arm- „იარაღის“ მნიშვნელობის მქონე ელემენტს ან წინააზიურ ონომასტიკაში გავრცელებულ arm- ფუძეს იყენებს. გრონოვიუსი და ჰეინსიუსი უპირატესობას ანიჭებენ Armes ფორმას, რამდენადაც მას ადვილად უკავშირებენ არმენიას.[430]

რამბელუსი (Rambelus)[431] – სკვითი მეომარი. შესაძლოა, ფლაკუსი იყენებდეს ანტიკური ეპოქის ონომასტიკაში დადასტურებულ ramb- ელემენტს: შდრ. Ῥαμβαῖοι – ნომად. ხალხი სირიაში (Strab. 16.2.10); Ῥαμβάκας ὁ Μῆδος (Xen.

---
424 Val. Flacc. Arg. 6. 252-5.
425 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 112; Kiessling, Hypanis, RE, IX.1, 210-230.
426 Val. Flacc. Arg. 6. 58.
427 SC ВДИ, XXVIII, 345.
428 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 41.
429 Val. Flacc. Arg. 6. 530-541.
430 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 207.
431 Val. Flacc. Arg. 6. 529.

Cyrop. 5.3.42), მაშინ როცა Ῥαμβάκια სოფელია ბელუხისტანში (Arr. Anab. Alex. 6.21.5).[432]

კამპესუსი (Campesus)[433] – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობა უცნობია. შესაძლოა, ეს აღმოსავლური წარმოშობის სახელი დავუკავშიროთ ადგილს კაპადოკიაში, რომელსაც Κάμπαι ეწოდება.[434] ასევე შესაძლოა ფლაკუსი ან ანტიკური ეპოქის ონომასტიკაში ფართოდ გავრცელებულ camp- ელემენტს იყენებს (შდრ. მითიური ურჩხულის სახელი Καμπή, Apollod. I 2, 1, Kroll, RE, 10.1842) ან ე. წ. მეტყველ სახელს ლათ. campus „მინდორი“ ფორმატივიდან აწარმოებს და გვთავაზობს მისგან -esus დაბოლოებით ფორმირებულ მამაკაცის სახელს, რომელიც სხვა წყაროში არ გვხვდება.

კარესუსი (Caresus)[435] – სკვითი მეომარი. სახელის წარმომავლობა უცნობია. იგი შესაძლოა დავუკავშიროთ ამავე სახელწოდების მდინარეს ტროაში Κάρησος / Καρεσσός (Il. 12, 20).[436] სხვა წყარო კარესუსს სკვითიასთან დაკავშირებით არ იხსენიებს.

კარმეიუსი (Carmeius)[437] – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობა უცნობია. ეს აღმოსავლური წარმოშობის სახელი შესაძლოა დავუკავშიროთ პლინიუსთან დადასტურებულ ფორმას Carmei (Plin. n. h. 6. 157: Minaei ..., quorum Carmei) და დავუშვათ, რომ სწორედ ეს ავტორი წარმოადგენდა ფლაკუსის წყაროს.[438]

კრემედონი (Cremedon)[439] – ალბანელი მეომარი. იგი შესაძლოა დავუკავშიროთ პონტოსში არსებულ ქალაქს Κρέμη; შდრ. სტაციუსთან დადასტურებული სახელი Chremetaon (Stat. Theb. 7.712: falcato... Chremetaona curru).[440] ალბანელი კრემედონი სხვა წყაროში არ დასტურდება.

პრიონი (Prion)[441] – გეტელი მეომარი. სახელის წარმოებისას, შესაძლოა ფლაკუსი იყენებს ანტიკურ ონომასტიკაში დადასტურებულ ლექსიკურ ფორმატივს (ადგილი ლიბიაში Pol. 1, 85; მდინარე არაბეთის სამხ. სანაპიროზე Ptol. 6, 7, 10. 13; მდინარე ინდოეთში Steph. Byz.; მთა სარდესში Pol. 7, 15; მთა კუნძულ

---

432 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 207.
433 Val. Flacc. Arg. 5. 593, 6. 243-4.
434 H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 268.
435 Val. Flacc. Arg. 6. 192-4.
436 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 93.
437 Val. Flacc. Arg. 5. 578-83.
438 H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 265.
439 Val. Flacc. Arg. 6. 194.
440 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 93-4.
441 Val. Flacc. Arg. 6. 619.

ქიოსზე Plin. n. h. 5, 31, 36), რითაც უნებურად აფართოვებს ჩრდ. შავიზღვისპირეთის ონომასტიკას.

3.7. სპარსული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

ბარისასი (Barisas)[442] – სკვითი მეომარი. წარმოებისას ფლაკუსი, შესაძლოა, იყენებდეს ძველი სამყაროს ონომასტიკაში ფართოდ გავრცელებულ baris-ფორმატივს. Βάρις ეწოდება ქალღმერთს ეკბატანაში (PGE); ასევე გვხვდება მსგავსი ფუძის სპარსული სახელი Βαρίσσης (Ctesias, FHG 688.F 13.16).[443] სკვითიასთან დაკავშირებით ეს სახელი სხვა ავტორებთან არ დასტურდება.

დარაპსი (Daraps)[444] – სკვითი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, ეს სახელი შავიზღვისპირეთთან დაკავშირებით სხვა ავტორებთან არ დასტურდება. შეიძლება პარალელი გავავლოთ სპარსეთის მეფე დარიოს I-ისა და მისი ნავარქოსის დატისის სახელებთან, რომელიც ძვ. წ. V ს-ში სპარსულ ფლოტს მეთაურობდა. ასევე შესაძლოა, ეს სახელი დავუკავშიროთ ბაქტრიულ ქალაქს დარაპსას (Δάραψα), რომელიც სტრაბონთან მოიხსენიება (11.11.2).[445]

დატისი (Datis)[446] – სკვითი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორი ამ სახელს, რამდენადაც იგი შავისზღვისპირეთისათვის სხვა ავტორებთან არ დასტურდება, უკავშირებს სპარსეთის მეფე დარიოს I-ის ნავარქოსს დატისს, რომელიც ძვ. წ. V ს-ში მეთაურობდა სპარსულ ფლოტს.[447]

ვორაპტუსი (Voraptus)[448] – იაზიგი. გესანდერის მამა. სახელის წარმომავლობა უცნობია. შესაძლოა, აქ მოიაზრებოდეს ამავე სახელწოდების აღმოსავლური მდინარე, რომელიც ჩვენთვის უცნობია. PGE-ში ვხვდებით მსგავსი სახელწოდების კუნძულს სპარსეთის ყურეში Οὐορόχθα.[449]

იაქსარტესი (Iaxartes)[450] – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობა უცნობია. იგი, სავარაუდოდ, ნაწარმოებია ჰიდრონიმიდან Ἰαξάρτης (მდ. სოგდიანეში), რომელიც კასპიის ზღვაში ჩაედინებოდა და ხშირად ურევდნენ მას ტანაისში (Strab. 11, 507-518; Plin. Nat. 6.49); არიანოსის (Arr. An. 3, 30, 7) თანახმად, ეს მდინარე

---

442 Val. Flacc. Arg. 6. 557.
443 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 216.
444 Val. Flacc. Arg. 6. 65-66, 572.
445 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 44; Tomaschek, Darapsa, RE, IV.2, 2152; SC ВДИ, XXVIII, 345.
446 Val. Flacc. Arg. 6. 65.
447 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 44; Swoboda, Datis, RE, IV.2, 2227-2229; SC ВДИ, XXVIII, 345.
448 Val. Flacc. Arg. 6. 288-291.
449 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 124.
450 Val. Flacc. Arg. 5. 596-604.

მოიაზრება კავკასიაში (ამჟ. Hindu Kush), საიდანაც წარმოდგება ერთ-ერთი ტომის სახელწოდება Iaxartae.[451]

ოხევსი (Ocheus)[452] – სკვითი მეომარი. შესაძლოა, ფლაკუსი სახელს აწარმოებს och- ფუძისაგან, მაგ. Ochos-ის, არტაქსერქსეს III-ის ეპითეტის მიხედვით (Diod. Sic. 17.5.3; Plut. Alex. 69), (შდრ. მდ. ირანში) და ურთავს მას -eus სუფიქსს (შდრ. Ocreus, Oncheus).[453] ფლაკუსთან ვხვდებით ამავე ძირისგან ნაწარმოებ სახელს ერთ-ერთი კიზიკიელი გმირისათვის; ამ შემთხვევაში სახელი -us სუფიქსით არის გაფორმებული: Ochus (3. 148). სხვა წყაროში ოხევსი სკვითიასთან დაკავშირებით არ დასტურდება.

ხოასპესი (Choaspes)[454] – აიეტის მოკავშირე. წარმომავლობა უცნობია. შესაძლოა, სახელი დავუკავშიროთ მდ. ხოასპესს (Χοάσπης) სუსიანაში (Her. 1, 188); გადმოცემის თანახმად, სპარსელი მეფეები და პართელი მონარქები ამ მდინარის წყალს სვამდნენ (შდრ. [Tib]. Pan. Mess. 3.7.140: *regia lympha Choaspes;* Plin. Nat. 31.35: *Parthorum reges ex Choaspe et Eulaeo tantum bibunt*). ამავე სახელწოდებას ატარებს მდ. ინდოეთში (Strab. 15, 697). შდრ. ასევე ჰანიბალის ერთ-ერთი აფრიკელი მოკავშირის სახელი (Sil. 3.317). სკვითიასთან დაკავშირებით ხოასპესი მხოლოდ ფლაკუსთან დასტურდება.[455]

3.8. ეგვიპტური ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

სიენესი (Syenes)[456] – პერსესის მოკავშირე. სკვითი სარდალი. სახელის წარმომავლობა უცნობია. სავარაუდოდ, შეიძლება იგი დავუკავშიროთ ქალაქს Συήνη-ს ეგვიპტის სამხრ. საზღვარზე (Her. 2, 28; Ov. Pont. 1.5.79: *calidae ... Syenae;* Luc. 8.851: *exustam Cancro torrente Syenen*). ჰ. ვისმანი იზიარებს „არგონავტიკის" ერთ-ერთ ხელნაწერში დაცულ კონიუნქტურას Sirenem, რაც შესაძლებელს ხდის, რომ ეს სახელი დავუკავშიროთ ერთ-ერთი ტომის სახელწოდებას Σίρακες (Strab. 11.5.8), (შდრ. Σιρακοί Strab. 11.2.1; Siraci Plin. Nat. 4.83, Tac. Ann. 12.15, 12.16; შდრ. ასევე Σιράχοι, Σιρακηνοί, რაც ნაწარმოებია ქ. Σιρακηνή-დან Strab. 11.51.2). შავიზღვისპირეთთან დაკავშირებით ეს სახელი სხვა ავტორებთან არ გვხვდება.[457]

---

451 H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 270; Herrman, Iaxartes, RE, IX, 1181.
452 Val. Flacc. Arg. 6. 200.
453 A. Heeren, Göttingen 1899, 49; H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 95.
454 Flacc. Arg. 5. 584-6.
455 Tomaschek, Choaspes, RE, III.2, 2355; H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 273.
456 Val. Flacc. Arg. 6. 74, 6. 703.
457 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 48.

3.9. ინდური ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

ᲙᲝᲐᲡᲢᲔᲡᲘ (Coastes)[458] – პერსესის მოკავშირე. სკვითი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, იგი შეიძლება დავუკავშიროთ მდ. კოასს ჩრდ.-დას. ინდოეთში (Ptol. Geogr. VI, 18, 2),[459] შესაბამისად, ფლაკუსი თავისდა უნებურად აფართოებს ჩრდ. შავიზღვისპირეთის ნომენკლატურას. თუ ფლაკუსის „არგონავტიკის" კონტექსტს გავითვალისწინებთ, აშკარად ნიშანდობლივია ამ სახელის სემანტიკაც, მისი დაკავშირება ბერძნულ ფორმატივთან κῶας, რაც „საწმისს" ნიშნავს.[460]

3.10. ფრიგიული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

ᲠᲘᲜᲓᲐᲙᲣᲡᲘ (Rhyndacus)[461] – სკვითი მეომარი. სახელის წარმოებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ფლაკუსი ამავე სახელწოდების მდინარეს მოიხსენიებს (3. 35), რომელიც ფრიგიაში ლოკალიზდება[462] და, შესაძლოა, რომ სწორედ ამ ჰიდრონიმისგან აწარმოებდეს ამ სახელს. სხვა ავტორებთან რინდაკუსი სკვითიასთან დაკავშირებით არ გვხვდება.[463]

3.11. პართული ონომასტიკური ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები

ᲛᲝᲜᲔᲡᲔᲡᲘ (Moneses)[464] – კოლხი მეომარი. ამ სახელდებით არაერთი პერსონაჟი დასტურდება ანტიკურ წყაროებში (App. Parth. p. 93; Hor. Od. 3, 6, 9; Lob. Path. 430); იგი ფლაკუსის შემდგომდროინდელ ტრადიციაშიც გვხვდება სხვადასხვა ავტორთან პართელი პერსონაჟების, კერძოდ, პართელი მეფის Μοναίσης აღსანიშნავად (Plut. Ant. 37, 46; D. Cass. 49, 23, 62, 20).[465] უნდა შევნიშნოთ, რომ ფლაკუსი პარალელურად მოიხსენიებს სხვა კოლხ პერსონაჟსაც Monesus.

ᲛᲝᲜᲔᲡᲣᲡᲘ (Monesus)[466] – კოლხი მეომარი. რაც შეეხება სახელის წარმოებას, ფლაკუსთან ვხვდებით ამავე ფუძის საკუთარ სახელს Moneses, რაც საკმაოდ გავრცელებული სახელდებაა ანტიკურ ონომასტიკაში პართელი მეფეების აღსანიშნავად და უშუალოდ ფლაკუსთანაც დასტურდება, თუმცა, კოლხი

---

[458] Val. Flacc. Arg. 6. 155-9.
[459] SC ВДИ, XXVIII, 349.
[460] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 76.
[461] Val. Flacc. Arg. 6. 219-221.
[462] Bürchner, Ryndacus, RE, I A.1, 1286.
[463] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 102.
[464] Val. Flacc. Arg. 6. 189-192.
[465] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 92.
[466] Val. Flacc. Arg. 6. 650-1.

პერსონაჟისათვის (შდრ. 6. 189);[467] როგორც ჩანს, ფლაკუსი ამ შემთხვევაში, mones- ფუძეს -us სახელის მაწარმოებელი სუფიქსით აფორმებს.

3.12. კავკასიურ სამყაროსთან დაკავშირებული სახელები

აქ წარმოდგენილ პერსონაჟთაგან ნაწილის სახელდება ფლაკუსამდელი ტრადიციისათვისაც არის ცნობილი: აია, კავკასუსი, ფასისი, ნაწილი კი: კირისი, ოტაკესი, ოტაქსესი და რადალუსი ფლაკუსის გამოგონილი ფიგურებია.

ᲐᲘᲐ (Aea)[468] – კოლხი ნიმფა. სავარაუდოდ, ბერძნული წარმომავლობის ეს მითი მხოლოდ ფლაკუსთან ფიგურირებს. აიაც, როგორც კოლხი ნიმფა, მხოლოდ მასთან გვხვდება. სახელი აია უკავშირდება კოლხიდის სინონიმის, აიას სახელს (Her. 1, 2; Apoll. Rhod. II 419; Mimn. ep. 10).[469] ის, როგორც ჩანს, ამ მხარის თუ ქალაქის ეპონიმად გაიაზრებოდა.[470]

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲣᲡᲘ (Caucasus)[471] – კოლხი მწყემსი. თიდრუსის მამა. ფლაკუსის მიხედვით, კავკასუსის მიერ, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მამისეულ ფარას მწყემსავდა, მდ. ფასისის ნაპირებთან ჩაისახა თიდრუსი (6. 639-43); ეს პერსონაჟი პლუტარქოსთანაც გვხვდება და იგი უკავშირდება მთას,[472] რომელსაც სწორედ ამ მწყემსის მიხედვით კავკასოსი ეწოდა და ამ მთის ეპონიმად მოიაზრებოდა: „...ხოლო კავკასიონი შემდეგი გარემოების გამო ეწოდა. გიგანტებთან ბრძოლის შემდეგ ზევსის მუქარას გამოქცეულმა კრონოსმა “ბორეასის სარეცელს” შეაფარა თავი და ნიანგად ქცეული იქ იმალებოდა. მაგრამ [პრომეთემ], რომელმაც ერთი ადგილობრივი მცხოვრები – მწყემსი კავკასოსი მოკლა და მისი შიგნეულობა გამოიკვლია, თქვა, რომ მტრები შორს არ იყვნენ. აქ მოსულმა ზევსმა მამა დაგრეხილი მატყლით შეკრა და ქვესკნელში ჩააგდო. მთას კი მწყემსის პატივსაცემად დაარქვა კავკასოსი, მას მიაჯაჭვა პრომეთე და აიძულა, დაეთმინა ტანჯვა – ღვიძლს უკორტნიდა არწივი მწყემსის გულ-ღვიძლისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო. ასე გადმოგვცემს კლეანთესი “თეომაქიის” III წიგნში.“ (Plut. fluv. 5, 3).

ᲤᲐᲡᲘᲡᲘ (Phasis)[473] – მდინარის ღმერთი. ფლაკუსის მიხედვით, ფასისისა და აიას ამბავი, სხვა სურათებთან ერთად, გამოსახული იყო კოლხიდაში სოლის

---

[467] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 92, 251.
[468] Val. Flacc. Arg. 5. 425-428.
[469] Escher, Aia, RE, I.1, 919-920.
[470] SC ВДИ, XXVIII, 344; H. J.W. Wijsman, Leiden 1996, 207-208.
[471] Val. Flacc. Arg. 6. 639-43.
[472] Patsch, Caucasus mons, RE, III.2; 1801.
[473] Val. Flacc. Arg. 5. 425-428.

(ჰელიოსის) ტაძარში (5. 407-454). სავარაუდოდ, ბერძნ. წარმომავლობის ეს მითი მხოლოდ ფლაკუსთან ფიგურირებს. სახელი ფასისი უკავშირდება კოლხიდის ცნობილი მდინარის სახელს.[474] ფასისი, როგორც ჩანს, ამ მდინარის ეპონიმად გაიაზრებოდა.[475]

კირისი (Ciris//Cyris)[476] – პერსესის მოკავშირე ჰირკანიელი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, შესაძლოა, ეს სახელი მდ. კიროსს დავუკავშიროთ (Plin. 6.26: *Cyrus oritur*; Strab. 1.3.21).[477] კირისი სწორედ ამ მდინარის ღვთაება უნდა ყოფილიყო, სახელიც და ეპითეტიც მის ღვთიურ წარმომავლობაზე მიუთითებს. ეპითეტი *Titanius* გვაფიქრებინებს, რომ აქ სწორედ ამ მდინარის ღვთაება ივარაუდება. ეს ეპითეტი შეიძლება დაუკავშირდეს ტერმინს ტიტანს (ჰელიოსი, პრომეთე, კირკე *Titanis*), რასაც ის ფაქტიც ამყარებს, რომ Cyrus სპარსულად „მზეს" ნიშნავს (Plut. Artax. 1.2; Hesych. s.v. Κῦρος). ეს ტერმინი ასევე შეიძლება დავუკავშიროთ კოლხიდის მდინარეს, ტიტენისს; როგორც ცნობილია, უკვე აპოლონიოს როდოსელი უწოდებს აიას ტიტენიურს (შდრ. Val. Flacc. Aen. 5.463). სხვა წყარო ჰირკანიელ კირისს არ იხსენიებს.[478]

ოტაკესი (Otaces)[479] – პერსესის მოკავშირე იბერიელი სარდალი. ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, ეს სახელი შეიძლება დავუკავშიროთ ოლთაკესს, რომელიც ან კოლხების სარდალი იყო (App. Mithr. 117) ან დანდარიებისა (Plut. Luc. 16). ასევე შესაძლოა მისი დაკავშირება სპარსულ სახელთან – ოტანესთან (Herod. 3.68 ff., 5.25 ff., 7.40 ff.).[480]

ოტაქსესი (Otaxes)[481] – სკვითი მეომარი. ეს სახელი აშკარა პარალელს გვიჩვენებს ოტაკესთან (სკვითი პერსონაჟის სახელი ფლაკუსთან, 6. 121), რომელიც ВДИ-ის კომენტატორის მიხედვით, შესაძლოა დავუკავშიროთ ოლთაკესს; ეს უკანასკნელი ან კოლხების სარდალი იყო (App. Mithr. 117) ან დანდარიებისა (Plut. Luc. 16). სახელის წარმოებისათვის შდრ. ასევე ტაქსესი (Val. Flacc. 6. 252).[482]

---

[474] Diehl, E., Phasis, RE, XIX.2, 1886-1893; 3. SC ВДИ, XXVIII, 344.
[475] O. Lordkipanidze, Phasis. The River and the City in Colchis, Geographica Historica 15, Stuttgart 2000.
[476] Val. Flacc. Arg. 6. 80.
[477] SC ВДИ, XXVIII, 346.
[478] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 49; Ciris, Hoefer, RE, III.2, 2585.
[479] Val. Flacc. Arg. 6. 121.
[480] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 64; SC ВДИ, XXVIII, 348.
[481] Val. Flacc. Arg. 6. 529.
[482] H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 207.

რადალუსი (Rhadalus)[483] – პერსესის მოკავშირე სკვითი სარდალი. შესაძლოა, ფლაკუსი იყენებდეს ანტიკური ეპოქის ონომასტიკაში დადასტურე-ბულ rhada-/rada- ელემენტს, შდრ. Radamistus (Tac. Ann. 12.44.3.ff), Rambelus (Val. Flacc. 6.529). რადალუსი როგორც სკვითი მეომარი, სხვა ავტორებთან არ გვხვდება.[484]

თუკი მოვინდომებთ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის განზოგადებას სქემის სახით და იმის დადგენას, თუ კავკასიასთან დაკავშირებული ამა თუ იმ რეგიონის გმირები სახელდების დონეზე რა ინტენსივობით წარმოგვიდგებიან ამა თუ იმ კატეგორიაში, ჩვენ ამგვარ სურათს მივიღებთ:[485]

წარმომავლობა	მეტყვ. სახ.	ანტ. ა.ვტ. დადასტ. სახ.	ანტ. ონომ. დადასტ. სახ	თრაკ. ონომ. ელემ. შექმნ.	სკვ.ჩრდ.შზღვ. ელემ. შექმნ.	წინაა.ზ. ონომ. ელემ. შექმნ.	სპარს. ონომ. ელემ. შექმნ.	ეგვ. ონომ. ელემ. შექმნ.	ინდ. ონომ. ელემ. შექმნ.	ფრიგ. ონომ. ელემ. შექმნ.	პართ. ონომ. ელემ. შექმნ.	კავკ. სამყ. დაკავშ. სახ.
კოლხი	5	6	3		2						2	1
ალბანელი			1			1						
ამაძონი		4	1									
სკვითი	4	11	1	1	11	3	4	1	1	1		2
კიმერიელი	1				1							
ჰირკანიელი	3											1
იბერიელი	1											1
გეტი						1						
ალანი	1											
იაზიგი	1						1					
პართელი					1							
უცნობი წარმო-მავლობის		2		1		2	2					

483 Val. Flacc. Arg. 6. 69.
484 H. J.W. Wijsman, Leiden 2000, 45; SC ВДИ, XXVIII, 346.
485 აქვე გვინდა შევნიშნოთ: იმ შემთხვევაში, სადაც ხელთ გვქონდა რამდენიმე ვარიანტი ამა თუ იმ პერსონაჟის სახელის სავარაუდო წარმომავლობის შესახებ, ავირჩიეთ ჩვენთვის ყველაზე სარ-წმუნო ვერსია და ამის მიხედვით მივაკუთვნეთ სახელი შესაბამის ჯგუფს.

ზემოთ დასახელებული პერსონაჟების სახელდების კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო საინტერესო გარემოებამ: თუ ფლაკუსი თავის გამოგონილ ლემნოსელ და კიზიკიელ გმირებს მეტწილად ანტიკური ტრადიციისათვის ცნობილ სახელებს არქმევს, კავკასიელი და სკვითი პერსონაჟების მიმართ იგი სხვაგვარ დამოკიდებულებას ავლენს: ის ცდილობს, სხვადასხვა წარმომავლობის ფიგურები აშკარად განირჩეოდნენ ერთმანეთისგან თავისი სახელდებითაც; როგორც კვლევამ გვიჩვენა, იგი სპეციალურად არჩევს კავკასიელი, სკვითი, კოლხი, ალბანელი, ჰირკანიელი, კიმერიელი, პართელი და ა. შ. პერსონაჟებისათვის სახელებს.

კავკასიელ პერსონაჟთა სახელების წარმომავლობის კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი: ე. წ. მეტყველი სახელები; ანტიკურ ავტორებთან დადასტურებული სახელები; ანტიკური სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებული ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები; თრაკიულ, სკვითურ და ჩრდ. შავიზღვისპირეთის, წინააზიურ, სპარსულ, ეგვიპტურ, ინდურ, ფრიგიულ, პართულ ონომასტიკაში დადასტურებული ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები; კავკასიურ სამყაროსთან დაკავშირებული სახელები.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ფლაკუსთან სახელთა წარმოების პრინციპთა საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი: ა) პერსონაჟთაგან ერთი ნაწილის სახელდება ფლაკუსის წინამორბედი მწერლების გავლენით უნდა იყოს ინსპირირებული, აქ შეიძლება დავასახელოთ: ჰომეროსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი, ტაციტუსი და, რა თქმა უნდა, ვერგილიუსი; ყველაზე ინტენსიურად ფლაკუსი სწორედ მას მიმართავს, მაგალითისათვის შეგვიძლია ვახსენოთ: ანქსური, ამასტრუსი და ა. შ.; აქვე უნდა გავამახვილოთ ყურადღება არცთუ უმნიშვნელო გარემოებაზე: წინამორბედი ავტორების მიხედვით სახელდებული თითქმის ყველა პერსონაჟის შემთხვევაში ფლაკუსი ისეთ სახელებს არჩევს, რომლებიც გეოგრაფიული არეალის თვალსაზრისითაც მიესადაგებიან მის მიერ გამოგონილ ფიგურებს, ა. მ., გარდა იმისა, რომ ჰიპანისი ვერგილიუსთან ერთ-ერთ ტროელ გმირს ჰქვია და (სავარაუდოდ, მისგან უნდა ჰქონდეს ფლაკუსს ნასესხები) ეს სახელი, როგორც ცნობილია, ამავე სახელწოდებას ატარებს ბორისთენესის ერთ-ერთი შენაკადი და, ამდენად, ფლაკუსი „შემთხვევით“ არ უსადაგებს ამ სახელს მის მიერ გამოგონილ სკვით მეომარს; შესაბამისად, თუ სხვა მრავალ შემთხვევასაც მივიღებთ მხედველობაში, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ფლაკუსი უმეტესწილად ითვალისწინებს გეოგრაფიულ კონტექსტსაც; ბ)

პერსონაჟთა ნაწილის სახელდება აშკარად მეტყველ სახელთა რიგს მიეკუთვნება, ა. მ., ანავსისი, აკვიტესი და ა. შ.; გ) არ შეიძლება ცალკე არ დავასახელოთ ტრადიციით ცნობილი სახელები, რომელთაც მწერალი თავისი პოეტური ამოცანების შესაბამისად უსადაგებს მის მიერ შექმნილ ახალ პერსონაჟებს: მაგ., მასთან ეოლიდი ფრიქსოსის სახელით გვხვდება ერთ-ერთი სკვითი სარდალი, არგონავტ ზეტესის სახელით კი კოლხი მეომარი მოიხსენიება; დ) სახელთა ნაწილს ავტორი ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის, ჰიდრონიმის, ორონიმის მიხედვით არჩევს: აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფლაკუსს აშკარად დიფერენცირებული დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა წარმომავლობის პერსონაჟებისადმი. მასთან დასახელებულია 17 კოლხი მეომარი: აკვიტესი, აპრესი, არინესი, გესითოუსი, დიპსასი, თიდრუსი, კაიკუსი, კირნუსი, მონესუსი, მონესესი, ოებასუსი, ოკრევსი, ოლბუსი, სიბოტესი, სტრიმონი, ზეტესი, ჰიპეტაონი; შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ არც ერთი მათგანის სახელის შემთხვევაში არ არის გამოყენებული ისეთი ტოპონიმი, ჰიდრონიმი ან ორონიმი, რომელიც ჩრდილოეთ ან დასავლეთ შავიზღვისპირეთთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც, სკვითი მეომრების სახელდების შემთხვევაში ხშირად ვხვდებით ისეთ სახელებს, რომელთაც შესატყვისობები მოეძებნებათ აღნიშნული რეგიონების გეოგრაფიული პუნქტების სახით, ა. მ., ჰიპანისი, ჰებრუსი, ტაქსესი, ტირესი და ა. შ.; ე) საკმაოდ დიდია იმ სახელთა რაოდენობა, რომლებიც აშკარად ფლაკუსის პოეტური ფანტაზიის ნაყოფია; იგი ანტიკურ ან ძველი სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებულ ელემენტებს იღებს და სხვადასხვა სუფიქსების დართვით ქმნის ახალ სახელებს: მაგ., იდასმენუსი, მონესუსი, ტაგესი და ა. შ.

როდესაც კავკასიელი პერსონაჟების კლასიფიკაციაზე გვქონდა მსჯელობა, აღვნიშნეთ, რომ ფლაკუსი ცდილობს, თითქმის ყველა პერსონაჟი ერთმანეთისაგან განმასხვავებელი შტრიხებით წარმოგვიდგინოს; მასთან უდავოდ სხვაგვარად არიან დახასიათებულნი, ერთი მხრივ, კოლხები და, მეორე მხრივ, სკვითები, თავიანთი განსხვავებული გარეგნობისა თუ ცხოვრების ნირის გამო, ისევე როგორც, თავის მხრივ აიეტისა და პერსესის მოკავშირე სარდლები. ფლაკუსი განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას იმას, რომ, ელემენტარული ექსპონირების დონეზე მაინც, ესა თუ ის პერსონაჟი მკითხველისათვის დასამახსოვრებელი გახადოს, ამას იგი ახერხებს რამდენიმე გზით: პერსონაჟებს ურჩევს საგულდაგულოდ ამა თუ იმ ეპითეტს, გადმოგვცემს მათ პირად ღირსებას თუ მანკიერებას, ხაზს უსვამს რაიმე შტრიხს მის გარეგნობასა თუ

ჩაცმულობაში, აგვიწერს მათი ცხოვრების წესის ამსახველ დეტალებს, წარმოგვიდგენს ამა თუ იმ პერსონაჟს რომელიმე საინტერესო ამბის კონტექსტში და, რაც მთავარია, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, იგი თავის გამოგონილ პერსონაჟებს საგულდაგულოდ ურჩევს სახელებს და, შეიძლება ითქვას, რომ თავისდა უნებურად აფართოვებს არგონავტების თქმულების კავკასიასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს ახალი ე. წ. კვაზი მითოლოგიური სახეებით.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“ ბერძნული თქმულებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციკლის ეპიკურ დამუშავებაში აშკარად ერთ-ერთ საეტაპო პოემას წარმოადგენს. ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო ფლაკუსის პოემის კვლევა რამდენიმე ასპექტით, რომელთა შორის უმთავრესს რომაელი პოეტის ე. წ. კავკასიური თემატიკის მიმართ დამოკიდებულების კვლევა წარმოადგენდა.

კვლევის შედეგები ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ვალერიუს ფლაკუსის შემოქმედებაში დიდია როგორც ტრადიციისათვის ანგარიშის გაწევის, ასევე ნოვატორობის ხვედრითი წილი. ტრადიციული ინფორმაციის გათვალისწინება ვლინდება ფლაკუსის პოემის არა მხოლოდ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკასთან“, არამედ საერთოდ როგორც ბერძნულ, ასევე რომაულ პოეტურ და მითოლოგიურ ტრადიციასთან მიმართებაში. ნოვატორობა თავს იჩენს რამდენიმე მიმართულებით: ა) ტრადიციით ცნობილი ეპიზოდების განვრცობა-ტრანსფორმაციაში; ბ) აპოლონიოს როდოსელთან შედარებით ცენტრალურ გმირთა ხასიათების უფრო რელიეფურად წარმოჩენასა და იასონისათვის გმირისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მინიჭებაში;

ყველაზე მეტად ნოვატორობა ვლინდება კავკასიის თემატიკასთან დაკავშირებული ეპიზოდების, მოტივების, პერსონაჟების განვრცობასა თუ შექმნაში, რაც რამდენიმე ძირითადი პრინციპით ხორციელდება:

ა) *კავკასიასთან დაკავშირებული ეპიზოდების განვრცობა*: ამას ფლაკუსი აღწევს სკვითებისა და კოლხების ომის თემასთან დაკავშირებული ეპიზოდის განსაკუთრებული აქცენტით; ამ ეპიზოდის პოემაში ჩართვით მან საინტერესოდ წარმოგვიდგინა კავკასიასთან დაკავშირებული მოვლენები. გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გვიჩვენა კავკასიური წარმოშობის ხალხთა დამოკიდებულება ერთმანეთთან, მათი ადათ-წესები ზოგადად რეგიონის და ასევე ამ რეგიონის ცალკეული ქვეყნების დონეზე. მასთან საკმაოდ რელიეფურად არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი (სკვითია, ჰირკანია, კიმერია, მეოტისი), და, მეორე მხრივ, სამხრ., და აღმ. შავისზღვისპირეთი: (კოლხიდა, ალბანია, ამაძონია; აქვე გვინდა აღვნიშნოთ აიეტის მოკავშირე სარდლები, რომელთა წარმომავლობას ფლაკუსი არ აზუსტებს, სავარაუდოდ, მათი სახით სულ ცოტა შვიდი არასახელდებული მხარე თუ ქვეყანა უნდა იგულისხმებოდეს);

ბ) *კავკასიისა და მისი მეზობელი ტომების ექსპონირება*: ამ ომში მონაწილე ტომების საკმაოდ ფართო სპექტრის წარმოდგენით. ე. წ. შიდაკავკასიურ

კონფლიქტზე ყურადღების გადატანა ფლაკუსისათვის საკმაოდ წარმატებული საშუალება არის, რაც შეიძლება მასშტაბურად გვიჩვენოს კავკასიისა თუ მის მეზობლად მყოფი ტომების პანორამა. ფლაკუსს მკაფიო წარმოდგენა აქვს კავკასიის ეთნიკური სიმრავლის შესახებ. მან აიეტისა და პერსესის ომის კონტექსტში პოემაში შემოიყვანა სხვადასხვა რეგიონების სარდლები და მეომრები: ალანები, ჰენიოხები, ბისალტები, კიმერიელები, განგარიდები, ჰირკანიელები, კოლალეტები, სინდები, კორალები, ბატარნები, დრაკანტები, კასპიადები, ნევრები, იაზიგები, მიკეები, კესეები, არიმასპები, ავხატები, თირსაგეტები, ექსომატები, ტორინები, სატარხები, კენტორები, ხოათრები, ბალონიტები, მესიელები, სარმატები, სავრომატები, გელონები, იბერიელები. მათი უმეტესობა ექსპონირებულია ე. წ. სკვითების კატალოგში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფლაკუსი კოლხების წარმომავლობის აღწერას. ამ მიზნით იგი საკმაოდ ორიგინალურად წარმოგვიდგენს სოლის ტაძარს, რომლის კედლებზეც კოლხთა წარმომავლობის სურათებია ასახული. მასთან გვხვდება 30-მდე ტომი, რომლებიც არ ფიგურირებს ფლაკუსამდელ ტრადიციაში არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებით, მათ შესახებ ინფორმაციას ფლაკუსი, როგორც ჩანს, იღებს ელინისტური და პოსტელინისტური ისტორიული თუ გეოგრაფიული წყაროებიდან (სტრაბონი, პლინიუსი) ან კონფლიქტში მონაწილე ტომებს თვითონ იგონებს, მასთან 4 საერთოდ უცნობი ტომი დასტურდება;

გ) *აიეტ-პერსესის კონფლიქტთან დაკავშირებულ ეპიზოდებში პერსონაჟთა საკმაოდ დიდი სპექტრის ჩართვა*: კონფლიქტში მონაწილე 150-მდე პერსონაჟიდან 51 არის არგონავტი, დანარჩენი პერსონაჟები კავკასიასა და მისი მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები, აქედან 85 პერსონაჟი უცნობია ფლაკუსამდელი ტრადიციისათვის, რომელთაგან 79 ფიგურა აიეტისა და პერსესის ომის ეპიზოდშია ჩართული და ისინი შეიძლება ფლაკუსის ფანტაზიის ნაყოფად მივიჩნიოთ.

2. ფლაკუსის პოემაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავკასიასთან დაკავშირებული პერსონაჟების სახელდების პრინციპები. ფლაკუსს ამ პერსონაჟებისადმი აშკარად დიფერენცირებული დამოკიდებულება აქვს: ის ცდილობს, სხვადასხვა წარმომავლობის ფიგურები აშკარად განირჩეოდნენ ერთმანეთისგან არა მარტო მათ შესახებ მოწოდებული ინფორმაციით, არამედ სახელდების დონეზეც; როგორც კვლევამ გვიჩვენა, იგი სპეციალურად არჩევს კავკასიელი, სკვითი, კოლხი, ალბანელი, იბერიელი, ჰირკანიელი, კიმერიელი, ამაძონი, პართელი და ა. შ. პერსონაჟებისათვის სახელებს. გარდა იმ სახელებისა,

რომლებიც ფლაკუსმა მიიღო ტრადიციიდან (ფრიქსუსი, ზეტესი), მასთან გვხვდება სავსებით ახალი სახელები, მათ შორის გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: ე. წ. მეტყველი სახელები; ანტიკური სამყაროს ონომასტიკაში დადასტურებული ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები; თრაკიულ, სკვითურ და ჩრდ. შავიზღვისპირეთის, წინააზიურ, სპარსულ, ეგვიპტურ, ინდურ, ფრიგიულ, პართულ ონომასტიკაში დადასტურებული ელემენტების კომბინაციით შექმნილი სახელები; კავკასიურ სამყაროსთან დაკავშირებული სახელები. სავსებით აშკარაა, რომ ამ სახელთა აბსოლუტური უმეტესობა შექმნილია თვითონ პოეტის მიერ.

3. ვალერიუს ფლაკუსთან კავკასიასთან დაკავშირებული ინფორმაციის განვრცობა პოემაში რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული, რომელთაგან უმთავრესია:

ა) *ისტორიული რეალობა.* ამ შემთხვევაში იგულისხმება რომის იმპერიის საზღვრების მნიშვნელოვანი გაფართოება და მისი ინტერესების სფეროში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონის მოქცევა. შესაბამისად, პოეტი ტრადიციულ მითს არგონავტთა შესახებ, ერთი მხრივ, იყენებს რომაელთა ლტოლვის ასასახად ახალი შორეული ტერიტორიებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერესისა იმ რეალობების მიმართ, რაც ამ ტერიტორიებზე ფლაკუსის თანამედროვე ეპოქაში არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ იმ ტომთა და პერსონაჟთა დიდი უმეტესობა არგონავტთა თქმულების ბერძნულ ვერსიებში არც დასტურდება და არც არის შესაძლებელი, რომ დადასტურდნენ, რადგან ისინი აშკარად ვალერიუს ფლაკუსის პოეტური ფანტაზიის ნაყოფად შეიძლება მივიჩნიოთ. ამით იგი, ფაქტობრივად, ახდენს აპოლონიოს როდოსელის და სხვა ბერძნული წყაროების მონაცემების ერთგვარ სინთეზს იმ რეალურ ცოდნასთან, რაც რომაელებს გაუჩნდათ მათი აღმოსავლეთით ექსპანსიის შედეგად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს პერსონაჟები ვალერიუს ფლაკუსს სჭირდება თავისი ინფორმაციისათვის კვაზიისტორიულობის მისანიჭებლად; გარდა ამისა გასათვალისწინებელია რომაელი ეპიკოსის აშკარად დიფერენცირებული დამოკიდებულება, ერთი მხრივ, გეოგრაფიული და, მეორე მხრივ, ნარატიული ინფორმაციის მიმართ: თუ კავკასიის რეგიონებისა და სხვადასხვა დასახლებული პუნქტის აღწერისას იგი რეალისტურად წარმოსახავს მისთვის ცნობილ კავკასიის გეოგრაფიას, ნარატიულ სფეროში იგი დიდ თავისუფლებას ავლენს, რთავს რა ნაწარმოებში ახალ ეპიზოდებს და ე. წ. ფსევდო-მითოლოგიურ პერსონაჟებს;

ბ) *საკუთრივ კავკასიის მიმართ ინტერესის გაზრდა.* რომის იმპერიისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ახალი სავაჭრო და საკომუნიკაციო გზების ხელში ჩაგდება, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ტერიტორიების და გადასასვლელების გამოყენება, რომელთა საშუალებითაც იმპერიისა და მისი მეგობარი ქვეყნების ფარგლებს გარეთ მცხოვრები ნომადური ტომები „რომაული მშვიდობის" არეალში მოქცეულ ხალხებს პრობლემებს შეუქმნიდნენ. შესაბამისად, ფლაკუსი ასახავს იმ სურათს, რომელიც საერთოდ კავკასიაში არსებულ ვითარებას შეიძლება გადმოსცემდეს. მართალია, ამ მხრივ ისტორიული თვალსაზრისით შესაძლოა იგი არაერთ უზუსტობას უშვებდეს და ერთმანეთის დაპირისპირებულად წარმოგვიდგენდეს იმ ხალხებსა და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც ზოგჯერ მართლაც მტრულად იყვნენ ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, ზოგჯერ კი მშვიდობიანი თანამეზობლობით გამოირჩეოდნენ. ამით პოეტი შორდება ისტორიულ სანდოობას. სამაგიეროდ იგი საკმაოდ ადეკვატურად გადმოსცემს კავკასიის რეგიონის და მის მეზობლად მცხოვრებთა მშფოთვარე სულს და მუდმივ არასტაბილურობის საფრთხეს, რომელიც აქ შეიძლება არსებობდეს;

გ) *ფლაკუსის სურვილი, ტრადიციული მითის ეპიკური დამუშავებისას იყოს მისი დიდი წინამორბედი ეპიკოსების მიმდევარი და ამასთანავე ნოვატორიც.* ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ როგორც ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელის, ვერგილიუსის და სხვათა არაერთი ეპიზოდისა და პასაჟის აშკარა რეცეფციის ცდებს მასთან, არამედ ასევე სურვილს, ხშირ შემთხვევაში გავიდეს ტრადიციული ინფორმაციული ჩარჩოებიდან და როგორც სემანტიკური, ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით ნოვატორ პოეტად მოგვევლინოს. აქედან გამომდინარე, ვალერიუს ფლაკუსი, უკვე ეპიკური შემოქმედების დონეზე ავლენს მითთა თხზვის შესაშურ უნარს და ამით მნიშვნელოვნად ამდიდრებს არგონავტების შესახებ თქმულების კავკასიურ ეპიზოდს.

გამოყენებული ლიტერატურა

ტექსტები, თარგმანები

1. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. ბერძნ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ა. ურუშაძემ, თბილისი 1970.
2. Apollonios Rhodios, Argonautica, Trans. R.C.Seaton, Ed. William Heinemann, The Loeb Classical Library, Harvard 1976.
3. G. Valerius Flaccus Setinus Balbus Argonauticon libri octo, ed. E. Courtney, Leipzig 1970.
4. Apollonii Rhodii Argonautica. recogn. brevique adnotatione critica instruxit Hermann Fränkel, Oxonii 1961.
5. Caius Valerius Flaccus Setinus Balbus Argonautica. Die Argonautenfahrt. Lat. Text mit Einl. Übers. kurzen Erläuterungen, Eigennamenverzeichnis und Nachwort von H. Rupprecht, Franz Stolz Verlag, 1987.
6. P. Dräger, C. Valerius Flaccus. *Argonautica*. Die Sendung der Argonauten. Lateinisch-Deutsch, Hg., übers. u. komm., Studien zur klassischen Philologie 140, Frankfurt a.M, Berlin, Bern, Bruxelles, New York, Oxford, Wien 2003.

ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ლიტერატურის ისტორიები

7. Der Neue Pauly (DNP), Enzyklopädie der Antike hg. v. H. Cancik und H. Schneider, 15 Bde., Stuttgart, Weimar 1996.
8. Paulys Realenzyklopädie der klassischen Altertumswissenschaft (RE). Neue Arbeiten begonnen v. G. Wissowa, fortgeführt v. W. Kroll und K. Mittelhaus, zuletzt hg. v. K. Ziegler, Stuttgart, München 1893-2000.
9. Metzler Lexikon antiker Autoren, hg. v. O. Schütze, Stuttgart, Weimar 1997.
10. W. Pape, Wörterbuch der griechischen Eigennamen (PGE), 2 Bde., 1807-1854.
11. Einleitung in die griechische Philologie, H.-G. Nesselrath (Hrsg.), Leipzig 1997, 259.
12. Handbuch der lateinischen Literatur der Antike, hg. v. R. Herzog und P. L. Schmidt, Bd. I (Hrs. v. W. Suerbaum), München 2002.
13. Geschichte der römischen Literatur, hg. v. M. Schanz, C. Hosius, R. Herzog, P. L. Schmidt, K. Sallmann, Bd. I, 1927.
14. M. von Albrecht, Geschichte der römischen Literatur, München 1999, 1994^2, 738-747.
15. M. Fuhrmann, Geschichte der römischen Literatur, Stuttgart 1999, 308-310.
16. Caucasus Antiquus ენციკლოპედია ანტიკური კავკასია, ტ. I წყაროები, ლოგოსი, 2010.

17. В. В. Латышев, Scythica et Caucasica (SC), Известия древних писателей.

სამეცნიერო ლიტერატურა

18. ც. გიგაური, ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“ და ცნობები კოლხეთის შესახებ, საკ. დის. თბილისი 1969.
19. ც. გიგაური, კოლხეთი რომაულ მწერლობაში, თბილისი 1985.
20. რ. გორდეზიანი, „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი 1970.
21. რ. გორდეზიანი, ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ, თსუ შრომები, 162, არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, თბილისი 1975.
22. რ. გორდეზიანი, არგონავტები. *ბერძნული მითების სამყარო*, თბილისი 1999, 2007[2].
23. რ. გორდეზიანი, Λεκτά რჩეული ნაშრომები. К восприятию Кавказа в античных источниках, ლოგოსი, თბილისი 2000.
24. ნ. კეჭაყმაძე, ოვიდიუს ნაზონი საქართველოს შესახებ, თსუ შრომები 69, 1958.
25. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი 1964.
26. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი 1976.
27. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V (ძვ. ბერძ. თარგმნა, გამოკვ. და საძიებ. დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა), თბილისი 1983.
28. რ. ცანავა, მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები, თბილისი, ლოგოსი, 2005.
29. И. Гагуа, Овидий Назон и древняя Колхида, Тбилиси 1984.
30. П. А. Гринцер, Эпос древнего мира: Типология и взаимосвязи литератур древнего мира, "Наука", Москва 1971.
31. М. Данелия, Персонажы „кавказского происхождения“ в „Аргонавтике“ Валерия Флакка: *Caucasica* 5, Тбилиси 2002.
32. В. Жирмунский, Народный героический эпос, Москва-Ленинград 1962.

33. Ю. А. Шилов, Человеческие жертвоприношения в мифоритуалах Северного Причерноморья IV - I тыс. до н. э. // Жертвоприношение, Москва 2000.
34. J. Adamietz, Zur Komposition der Argonautica des Valerius Flaccus: *Zetemata* 67, München 1976.
35. J. Adamietz, Jason und Hercules in den Epen des Apollonios Rhodios und Valerius Flaccus, *A&A* 16, 1970, 29-38.
36. L. Alfonsi, Antico e meno-antico in Valerius Flaccos: Das Altertum und jedes neu Gute, für Wolfgang Schadewaldt zum 15. März 1970, hg. v. K. Gaiser, Stuttgart, Berlin, Köln, Mainz 1970.
37. U. Auhagen, Medea zwischen Ratio und Ratlosigkeit, *ROV* III, München 2004.
38. W. Bahrenfuß, Die Abenteuer der Argonauten auf Lemnos bei Apollonios Rhodios, Valerius Flaccus, Papinius Statius, Diss., Kiel 1951.
39. Th. Baier, Ursache und Funktion des Krieges gegen Perses in den Argonautica des Valerius Flaccus: *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus*, München 1998.
40. F. Bessone, Valerius Flaccus und die Medeen des Ovid, *ROV*, München 1998.
41. D. Braund, Writing a Roman *Argonautica*: the Historical Dynamic, *Hermathena* 154, 1993.
42. D. Burck, Kampf und Tod des Cyzicus bei Valerius Flaccus, Mélanges M. Durry, Rev. Ét. Lat. 47, 1971.
43. D. Burck. Jasons Kämpfe in Kolchis bei Apollonios und Valerius Flaccus: *DOREMA*. Athen 1975.
44. E. Burk, Die Befreiung der Andromeda bei Ovid und der Hesione bei Valerius Flaccus (Metam. 4, 663-764; Argon. 2, 451-578), WS 10, 1976.
45. E. Burck, Die Argonautica des Valerius Flaccus, in: E. Burck (Hrsg.), Das römische Epos (Grundriß der Literaturgeschichten nach Gattungen), Darmstadt 1979.
46. F. Caviglia, Valerio Flacco. Le Argonautiche, introduzione, traduzione e note (BUR Classici greci e Latini), Milano 1999.
47. P. Dräger, Argo pasimelousa. Der Argonautenmythos in der griechischen und römischen Literatur. Palingenesia 43, Stuttgart 1993.
48. P. Dräger, Iasons Mutter. Wandlung von einer griechischen Heroine zu einer römischen Matrona, Hermes 123, 1995, 470-89.
49. P. Dräger, "Zeus/Juppiter und Apollo(n). Die Parallelität in der Handlungsstruktur bei Homer, Vergil, Apollonios und Valerius", in: Ulrich Eigler & Eckard Lefèvre, in Zusarb.

mit Gesine Manuwald (edd.). *"Ratis omnia vincet." Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus, Zetemata* 98, München 1998, 193-211.

50. P. Dräger, "War die Argo das erste Schiff?", *RhM* 142, 1999, 419-22.
51. P. Dräger, Die Argonautika des Apollonios Rhodios. Das zweite Zorn-epos der griechischen Literatur, München, Leipzig 2001.
52. P. Dräger, C. Valerius Flaccus. *Argonautica*. Die Sendung der Aronauten. Lateinisch-Deutsch, Hg., übers. u. komm., Studien zur klassischen Philologie 140, Frankfurt a.M, Berlin, Bern, Bruxelles, New York, Oxford, Wien 2003.
53. L. Eckhardt, Exkurse und Ekphraseis bei Lucan, Diss. Heidelberg 1936, 26-29.
54. W. W. Ehlers, Untersuchungen zur handschriftlichen Überlieferung der Argonautica des C. Valerius Flaccus, Zetemata 52, München 1970, 108.
55. U. Eigler, Monologische Redeformen bei Valerius Flaccus, Frankfurt a. M. 1988.
56. U. Eigler, Medea als Opfer – Die Götterintrige im VII. und VIII. Buch der Argonautica (VII 1 – VIII 67), *ROV*, Hildesheim, Zürich 1991.
57. D. Elm, Venus und die Tradition der Furiendarstellung, *ROV*, München 1998.
58. D. Feletti, Valerius Flaccus und die Argonautae des Varro Atacinus, *ROV* III, München 2004.
59. A. Ferenczi, Sine honores labores. Zum Virtusbegriff bei Valerius Flaccus, *Philologus* 139, 1995.
60. A. Ferenczi, Medea – eine Heldin, *ROV*, München 1998.
61. E. Frank, An Ovidian episode in Valerius Flaccus' *Argonautica*, RIL 105, 1971.
62. E. Frank, The Structure of Valerius Flaccus' *Argonautica*, CB 43, 1967.
63. H. Fränkel, Noten zu den Argonautika des Apollonios, München 1968.
64. H. Fränkel, Ein Don Quijote unter den Argonauten des Apollonios, Mus. Helv. 17, 1960.
65. E. Frenzel, Stoffe der Weltliteratur. Ein Lexikon dichtungsgeschichtlicher Längsschnitte, Stuttgart 1976.
66. E. Frenzel, Motive der Weltliteratur. Ein Lexikon dichtungsgeschichtlicher Längsschnitte, Stuttgart 1980.
67. T. Fuhrer, Ahnung und Wissen: Zur Technik des Erzählens von Bekanntem, *ROV*, München 1998.
68. R. W. Garson, Some Critical Observations on Valerius Flaccus' Argonautica, I, *CQ* 14, 1964.

69. U. Gärtner, Gehalt und Funktion der Gleichnisse bei Valerius Flaccus, Hermes Einzelschriften 67, Stuttgart 1994.
70. U. Gärtner, Träume bei Valerius Flaccus, *Philologus* 140, 1996.
71. J. Gaßner, Kataloge im römischen Epos. Vergil - Ovid - Lucan, Diss. München, Augsburg 1972.
72. R. Gordesiani, Die Gegenüberstellung Europa Asien vom Altertum bis zur Gegenwart, Logos Abhandlungen, Tbilisi 1997.
73. I. Greiff, De G. Valeri Flacci Argonauticis cum Vergili Maronis Aeneide comparatis, Gymnasialprogramm, Trient 1869.
74. St. Grewe, Der Einfluß von Senecas Medea auf die *Argonautica* des Valerius Flaccus, *ROV* III, München 2004, 187.
75. A. Grüneberg, de Valerio Flacco imitatore, Diss. Berlin 1893.
76. P. Hardie, Flavian Epicists on Vergil's Epic Technique, in A. J. Boyle (ed.), The Imperial Muse. Ramus Essays on Roman Literature of the Empire: Flavian Epicists to Claudian, Bendigo 1990.
77. P. Hardie, The Epic Successors of Vergil. A Study in the Dynamics of a Tradition, Cambridge 1993.
78. R. Harmand, De Valerio Flacco Apollonii Rhodii imitatore, Nancy 1898.
79. A. Heeren, De chronographia a Valerio Flacco adhibita, diss. Göttingen 1899.
80. W. D. Hull, Medea in Valerius Flaccus's Argonautica, in: Proceedings of the Leeds Philos. and Lit. Society, Lit. and Rhet. Section 16, 1, 1975.
81. W. Hull, The Hero-concept in Valerius Flaccus' Argonautica, in: Studies in Latin Literature and Roman History, Bruxelles 1979.
82. R. L. Hunter, Short on Heroics': Iason in the Argonautica, *CQ* 38, 1988.
83. G. O. Hutchinson, Hellenistic Poetry, Oxford 1988.
84. G. L. Huxley, Greek Epic Poetry from Eumelos to Panyassis, London 1969.
85. U. Keudel, Poetische Vorläufer und Vorbilder in Claudians De consulatu Stilichonis. Imitationskommentar, Hypomnemata 26, Göttingen 1970.
86. A. J. Kleywegt, Die "anderen" Argonauten, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991.
87. H. H. Koch, Die Hylasgeschichte bei Apollonios Rhodios I. 1153ff., Theokrit Eid. XIII, Properz Eleg. I.20, Valerius Flaccus Arg. III. 459ff., Diss. Kiel 1955.
88. Korn, Valerius Flaccus und Vergil. Das Verhältnis von Nachahmer und Meister in sprachlicher Hinsicht, *Ratis omnia vincet. Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* Hildesheim, Zürich, New York 1991.

89. H. Köstlin, Zu Valerius Flaccus, *Philologus* 39, 1880.
90. W. Kühlmann, Katalog und Erzählung. Studien zu Konstanz und Wandel einer literarischen Form in der antiken Epik, Diss. Freiburg/Br. 1973.
91. E. Lefèvre, Das Prooemium der Argonautica des Valerius Flaccus, Wiesbaden 1971.
92. E. Lefèvre, "Die Opfer-Szene im ersten Buch (1,184-254) und das Iason-Bild in Valerius Flaccus' Argonautica" in M. Korn and H.J. Tschiedel (edd.), *Ratis omnia vincet. Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* Hildesheim, Zürich, New York 1991, 173-180.
93. E. Lefèvre, Der ordo rerum in Valerius Flaccus' "Argonautica". In: U. Eigler & E. Lefèvre, in Zsarb. mit G. Manuwald (edd.). "*Ratis omnia vincet.*" *Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus. Zetemata* 98, München 1998, 223-32.
94. E. Lefèvre, Das Bild der Kolcher in Valerius Flaccus' Argonautica, *Phasis* I, 1999.
95. G. Liberman, Valerius Flaccus. Argonautiques Texte établi et traduit, 2 vol. (CUF lat. 340/369), Paris 1997/2002.
96. O. Lordkipanidze, Phasis. The River and the City in Colchis, Geographica Historica 15, Stuttgart 2000.
97. E. Lüthje, Gehalt und Aufriss der Argonautica des Valerius Flaccus, Diss., Kiel 1971.
98. G. Manuwald, Die Bilder am Tempel in Kolchis: *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus* in Zusammenarbeit mit G. Manuwald hg. v. U. Eigler u. E. Lefèvre, *Zetemata* 98, München 1998.
99. G. Manuwald, Die Cyzicus-Episode und ihre Funktion in den *Argonautica* des Valerius Flaccus, Hypomnemata 127, Göttingen 1999.
100. G. Manuwald, Hesione und der "Weltenplan" in Valerius Flaccus' Argonautica: *Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus. Ratis omnia vincet* III. hg. v. F. Spaltenstein, *Zetemata* 120, München 2004.
101. G. Manuwald, Die Argonauten bei den Mariandynern und die Erzähltechnik in Valerius Flaccus' Argonautica, Phylologus 149, 2005.
102. F. Mehmel, Valerius Flaccus, Diss. Hamburg 1934.
103. C.H. Moore, Prophecy in the Ancient Epic, Harvard Studies of Classical Philology 32, 1921.
104. H.-G. Nesselrath, Jason und Absyrtus – Überlegungen zum Ende von Valerius Flaccus' Argonautica, in: *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus*, hg. v. U. Eigler, E. Lefèvre, München 1998.

105. R. Nordera, I virgilianismi in Valerio Flacco. Contributo a uno studio della lingua epica nell'età imperiale, in: R. Nordera, T. Bertotti, L. Bezzi, E. Pianezzola, A. Lunelli. Contributi a tre poeti latini (Valerio Flacco, Rutilio Namaziano, Pascoli), Bologna 1969.
106. M. Parry, L'epithete traditionelle dans Homere, Paris 1928.
107. M. Parry, Studies in the Epic Technique of Oral Verse-making, p. I-II, Harvard Studies in Classical Philology, vol. XLI, 1930.
108. H. M. Poortvliet, Valerius Flaccus and the last file, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991.
109. H. M. Poortvliet, C. Valerius Flaccus. Argonautica Book II. A commentary, Amsterdam 1991.
110. R. Preiswerk, "Zeitgeschichtliches bei Valerius Flaccus", *Philologus* 89, 1934.
111. J. Rieker, Das Supplement des Johannes Baptista Pius Bononiensis zu den Argonautica des Valerius Flaccus. *Ratis omnia vincet*, München 1998, 357-363.
112. C. Salemme, Medea. Un antico mito in Valerio Flacco, Napoli 1993, 81.
113. J. C. Scaliger, Poetices libri septem. Ad Sylvium filium, Lyon 1561, 323.
114. K. Schenkl, Studien zu den Argonautica des Valerius Flaccus, SB Wien, phil.-hist.Kl. 68, 1871, 271-382.
115. P. Schenk, Studien zur poetischen Kunst des Valerius Flaccus: *Beobachtungen zur Ausgestaltung des Kriegsthemas in den Argonautica,* C.H.Beck Verlag, 1999.
116. J. Schrader, Observationum liber, Franeker, 1761, 10.
117. J. E. Shelton, A Narrative Commentary of the Argonautica of Valerius Flaccus. Diss. Vanderbilt University, Nashville (Tenn.) 1971.
118. W. Schetter, Die Buchzahl der Argonautica des Valerius Flaccus, Philologus 103, 1959, 297-308.
119. F. Schimann, Valerius Flaccus und Vergil – interpretatio Virgiliana. *Ratis omnia vincet. Neue Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* München 1998.
120. W. Schubert, Socia Iuno. Zur Gestalt der Götterkönigin in Valerius Flaccus' Argonautica, Hildesheim, Zürich 1991.
121. E. Shreeves, Landscape, Topography and Geographical Notation in the Argonautica of Valerius Flaccus, Diss. University of North Carolina, Chapel Hill, 1979.
122. J. J. L. Smolenaars, Quellen und Rezeption. Die Verarbeitung homerischer Motive bei Valerius Flaccus und Statius, *Ratis omnia vincet. Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* Hildesheim, Zürich, New York 1991.

123. J. Soubiran, Valerius Flaccus. Argonautiques. Introduction, Texte et traduction rythmée, Notes et Index, Bibliothèque d'études classiques 33, Louvan, Paris, Dudley (Ma) 2002.
124. H. Stadler, Hercules' Kampf mit dem Seeungeheuer (Val. Flacc. 2. 497-549), *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991.
125. H. Stadler, Valerius Flaccus, Argonautica VII. Ein Kommentar (Spudasmata 49), Hildesheim/Zürich/New York, 1993.
126. T. Stover, Unexampled Exemplarity: Medea in the Argonautica of Valerius Flaccus, in: Transactions of the American Philological Association 141, 2011.
127. H. Stroh, Studies zu Valerius, besonders über dessen Verhältnis zu Vergil, Gymnasialprogramm, Augsburg 1905.
128. J. Stroux, Valerius Flaccus und Horaz, Philologus 90, 1935.
129. W. C. Summers, A study of the Argonautica of Valerius Flaccus, Cambridge 1894.
130. J. W. Swain, The Theory of Four Monarchies: Opposition History Under the Roman Empire, *CP* 35, 1940, 1-21.
131. P. R. Taylor-Briggs, Valerius' Flavian Argonautica, *CQ* 44, 1994.
132. W. Tomaschek, Die alten Thraker. Ein ethnologische Untersuchung, Gorgias Press, 2009[2], I 97.
133. H. J. Tschiedel, Prometheus und die Argonauten, *ROV*, Hildesheim, Zürich, New York 1991.
134. H. J. Tschiedel, Medea – Zauberin und Liebende, *ROV*, Hildesheim, Zürich 1991.
135. L. Ullman, Valerius Flaccus in the mediaeval Florilegia, CPh 26, 1931, 21-30.
136. P. Venini, "Sulla struttura delle Argonautiche di Valerio Flacco", *RIL* 105, 1971.
137. M. Wacht, "Zur Motivierung der Handlung im Epos des Valerius" in M. Korn and H.J. Tschiedel (ed.), *Ratis omnia vincet. Untersuchungen zu den Argonautica des Valerius Flaccus,* 101-120, Hildesheim 1991.
138. S. Wetzel, Die Gestalt der Medea bei Valerius Flaccus, Diss. Kiel 1957.
139. H. J.W. Wijsman, A Commentary Valerius Flaccus Argonautica, Book V. Leiden 1996.
140. H. J.W. Wijsman, A Commentary Valerius Flaccus Argonautica, Book VI. Leiden 2000.
141. U. v. Wilamowitz-Mölendorff, Hellenistische Dichtung II, Berlin 1924, 165.

სტატიები ენციკლოპედიებიდან Paulys Realenzyklopädie der klassischen Altertumswissenschaft (RE), Der Neue Pauly (DNP):

142. I. v. Bredov, Skythen, DNP, 11, 644-656.
143. Bürchner, Ryndacus, RE, I A.1, 1286.
144. Diehl, E., Phasis, RE, XIX.2, 1886-1893.

145. Diehl, Phasis, RE, XIX.2, 1886-1893.
146. Escher, Aia, RE, I.1, 919-920.
147. Fluss, Koralloi, RE, XI. 2, 1377.
148. Fluss, Moesi, RE, XV. 2, 2347-2350.
149. Franke, Latris, RE, XII.1, 978.
150. Graef, Amazones, RE, I, II, 1755.
151. Gressmann, RE, II A.2, 2229-2230.
152. Gunning, Menippe, RE, XV.1 860-861.
153. Herrman, Iaxartes, RE, IX, 1181.
154. Herrmann, Maiotis, RE, XIV. 1, 590-592.
155. Herrmann, Mykoi, RE, XVI. 1, 1029.
156. Herrmann, Neuroi, RE, XVII. 1, 158-161.
157. Herrmann, Thyssagetai, RE, A. 1, 755.
158. Hoefer, Arron, RE, II 1, 1260.
159. Hoefer, Ciris, RE, III.2, 2585.
160. Honigmann, Sidon, RE, II A.2, 2216-2229.
161. Ihm, Bastarnae, RE, III. 1, 110-113.
162. K. Kretschmer, Scythia, RE II A,1, 942-946.
163. Kiessling, Gandaridai, RE, VII. 1, 694-695.
164. Kiessling, Heniochi, RE, VIII, 259-280.
165. Kiessling, Hypanis, RE, IX.1, 210-230.
166. Kiessling, Hyrkania, RE, IX 1, 454-526.
167. Kiessling, s. v. Ἡνίοχοι, RE 8. 1, 259-280.
168. Lesky, Medeia, RE, XV 1, 30.
169. Oberhummer, Bisaltai, RE, III. 1, 499-500.
170. Oberhummer, Hebros, RE, VII.2, 2589-2590.
171. Oberhummer, Koilaletai, RE, XI. 1, 1049.
172. Patsch, Caucasus mons, RE, III.2 1801.
173. Patsch, Caucasus mons, RE, III.2; 1801.
174. W. Peek, Perses, RE, XIX 1, 973-974.
175. Plontke-Lüning, Heniochoi, DNP 5, 346-7.
176. Polaschek, Peuce, RE, XIX.2, 1384-1390.
177. O. Rossbach, Anxur, RE, I.2, 2652-2653.
178. Ruge, Sinope, RE, 3A. 1, 252-255.

179. Scherling, Taulas, RE, IV A.2, 2530.
180. L. Schmidt, V. Terentius, P. (Atacinus), DNP12/1.
181. Sittig, Ripheus, RE, I A.1, 921.
182. Swoboda, Datis, RE, IV.2, 2227-2229.
183. Tages, RE, IV A.2, 2009-2011.
184. Tomaschek, Ambenus mons, RE, I.2, 1797.
185. Tomaschek, Auchatai, RE, II, 2, 2268.
186. Tomaschek, Ballonoti, RE, II. 2, 2832.
187. Tomaschek, Caspiae, RE, III.2, 1654.
188. Tomaschek, Choaspes, RE, III.2, 2355
189. Tomaschek, Choatrae, RE, III. 2, 2355.
190. Tomaschek, Cissianti, RE, III. 2, 2590.
191. Tomaschek, Cyrni, RE, IV.2, 1943-1944.
192. Tomaschek, Darapsa, RE, IV.2, 2152.
193. Tomaschek, Drangai, RE, V. 2, 1665-1667.
194. Tümpel, Amastris, RE, I.2, 1749-50; Amastros, RE, I.2, 1750.
195. Türk, Strymon, RE, IV A.1, 394.
196. Türk, Thoe, RE, VI A.1, 303.
197. Vulić, Iazyges, RE, IX. 1, 1189 S VI.
198. Wagner, Euryale, RE, VI.1, 1316-17.
199. Weicker, Henioche, RE, 8. 1, 258.
200. Weicker, Henioche, RE, VIII.1, 258.
201. Weissbach, Choatras, RE, III. 2, 2355.
202. Weissbach, Kentrites, RE, XI. 1, 181.
203. Weissbach, Kossaioi, RE, XI. 2, 1499-1503.
204. Weissbach, Satarchae, RE, II A. 1, 60.
205. Wernicke, Arimaspoi, RE, II 1, 826.
206. Wernicke, Arimaspoi, RE, II, 1, 826-7.
207. Wernike, Apsyrtos, RE, II 1, 284.

დანართი

ნაწყვეტები ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკიდან“

I, 1-4

Prima deum magnis canimus freta pervia natis
fatidicamque ratem, Scythici quae Phasidis oras
ausa sequi mediosque inter iuga concita cursus
rumpere flammifero tandem consedit Olympo.

I, 1-4

ვუმღერით ზღვებს, რომლებიც პირველად ღმერთთა დიდებულმა ვაჟებმა გადალახეს და ბედის მაუწყებელ ხომალდს, რომელმაც სკვითური ფასისის ნაპირების ჩავლა გაბედა, მოძრავ კლდეთა შორის სწრაფად გაიკვალა გზა და საბოლოოდ ცეცხლოვან ოლიმპოსზე დაისადგურა.

I, 40-63

'hanc mihi militiam, veterum quae pulchrior actis,
adnue daque animum. nostri de sanguine Phrixus
Cretheos ut patrias audis effugerit aras.
hunc ferus Aeetes, Scythiam Phasinque rigentem
qui colit – heu magni Solis pudor! –, hospita vina
inter et attonitae mactat sollemnia mensae
nil nostri divumque memor. non nuntia tantum
fama refert: ipsum iuvenem tam saeva gementem,
ipsum ego, cum serus fessos sopor alligat artus,
aspicio, lacera adsiduis namque illius umbra
questibus et magni numen maris excitat Helle.
si mihi quae quondam vires, et pendere poenas
Colchida iam et regis caput hic atque arma videres.
olim annis ille ardor hebet necdum mea proles
imperio et belli rebus matura marique.
tu, cui iam curaeque vigent animique viriles,
i, decus, et pecoris Nephelaei vellera Graio
redde tholo ac tantis temet dignare periclis!'
talibus hortatur iuvenem propiorque iubenti
conticuit certus Scythico concurrere ponto
Cyaneas tantoque silet possessa dracone
vellera, multifidas regis quem filia linguas
vibrantem ex adytis cantu dapibusque vocabat
et dabat externo liventia mella veneno.

I, 40-63

„გამიწიე სამსახური, რომელიც წინაპართა საქმეებს აღემატება და გულისყურით მოეკიდე. უკვე გსმენია, თუ როგორ გაექცა მამისეულ სამსხვერპლოს ფრიქსუსი, ჩვენი კრეთევსის სისხლისა. იგი მრისხანე აიეტმა, რომელიც სკვითიას და ყინულოვან ფასისს განაგებს, – ჰოი, სირცხვილო დიდო მზისაო! – მსხვერპლივით დაკლა სამასპინძლო ღვინოებს შორის, ამის შემსწრე მენადიმეთა შესაშინებლად, დაგვივიწყა ჩვენცა და ღმერთნიც. ეს ამბავი მონაჭორი არ გეგონოს. როცა გვიანობით თვლემას მიეცემა ჩემი დაუძლურებული სხეული, ვხედავ ხოლმე ამ ყმაწვილს, საშინლად რომ გოდებს ღამით, რადგან გამუდმებით საყვედურებით მაღვიძებს მისი დასახიჩრებული აჩრდილი და ჰელეც, დიდი ზღვის ღვთაებაც. უწინდებურად ძალა რომ შემწევდეს, უკვე იხილავდი კოლხიდას დასჯილს, მეფის თავსაც და აღჭურვილობას. ჟამთა სვლამ დააცხრო ჩემი მგზნებარება, ჩემი მემკვიდრე კი ჯერ არ მომწიფებულა მმართველობისათვის, საომარი საქმეებისა და ნაოსნობისათვის. შენ, რომელსაც უკვე ძალა გერჩის, წადი და კვლავ დაუბრუნე ბერძნულ ტაძარს საწმისი ნეფელეს ცხოველისა, ღირსად შერაცხე თავი ამ საფრთხისათვის“. ასე აქეზებდა იგი ყმაწვილს, რაც უფრო ბრძანებას ჰგავდა, ის კი განზრახ არ უთქვამს, უეჭველად რაც უწყოდა, რომ სკვითიის ზღვაში კიანეები ერთმანეთს ეჯახებიან და რომ საწმისს ისეთი ძლიერი დრაკონი დარაჯობს, რომელსაც მრავლად დაყოფილი ენებით მოსისინეს, ჯადოსნური გალობითა და ნუგბარით იხმობდა სიღრმიდან მეფის ასული და აწვდიდა თაფლს, შეზავებულს უცხოური შხამით, რის გამოც მას მოლურჯო ფერი დაჰკრავდა.

IV, 599-625

quid tibi nubifera surgentem rupe Carambin,
quid memorem quas Iris aquas aut torqueat Ancon?
proxima Thermodon hinc iam secat arva – memento –
inclita Amazonidum magnoque exorta Gradivo
gens ibi: femineas nec tu nunc crede catervas,
sed qualis, sed quanta viris insultat Enyo
divaque Gorgonei gestatrix innuba monstri.
ne tibi tunc horrenda rapax ad litora puppem
ventus agat, ludo volitans cum turma superbo
pulvereis exsultat equis ululataque tellus
intremit et pugnas mota pater incitet hasta.
non ita sit metuenda tibi saevissima quamquam
gens Chalybum, duris patiens cui cultus in arvis
et tonat adflicta semper domus ignea massa.
inde omnem innumeri reges per litoris oram,
hospitii quis nulla fides, sed limite recto
puppis et aequali transcurrat carbasus aura:
sic demum rapidi venies ad Phasidis amnem.
castra ibi iam Scythiae fraternaque surgit Erinys.
ipse truces illic Colchos hostemque iuvabis
auxiliis. nec plura equidem discrimina cerno.
fors etiam optatam dabitur contingere pellem.
sed te non animis nec solis viribus aequum
credere: saepe acri potior prudentia dextra.
quam tulerit deus, arripe opem. iamque ultima nobis
promere fata nefas. Silebo prior' . . . .

IV, 599-625

რისთვისღა მოგახსენო შენ ღრუბლით მოსილი, კლდედ აღმართული კარამბისის შესახებ, ასევე წყლების შესახებ, რომელთაც ირისი ან ანკონი ატრიალებს? აქედან ახლომდებარე მინდვრებს უკვე თერმოდონი კვეთს; გახსოვდეს, იქ დიდი გრადივუსისგან წარმომავალი სახელგანთქმული ხალხი – ამაზონები სახლობენ; ნუ გეგონება, რომ ქალთა რაზმია ოდენ, არამედ ისეთები არიან, როგორიც ენიო, კაცებს აბუჩად რომ იგდებს და ისეთები, როგორიც ღვთაებრივი და უმანკო ქალწული, გორგონას ურჩხულის მპყრობელი. დე, მძლავრი ქარი ნუ გარიყავს შენს ხომალდს თავზარდამცემ ნაპირებთან მაშინ, როცა ამაზონთა მქროლავი გუნდი ამაყად იქცევს თავს მტვრიან ცხენებზე ჯირითით, როცა მიწა მათი შეძახილებით კრთება და მამა მახვილის რხევით ბრძოლას აღაზევებს. ნუ შეგაშინებს მეტად მრისხანე ტომი ხალიბთა, ისინი ხომ ძნელად დასამუშავებელ მინდვრებში დიდ ჯაფას სწევენ და მოელვარე საცხოვრისებიდან მარადჟამს რკინის წრთობის გუგუნი ისმის. მათ შემდეგ მთელ სანაპიროს გაყოლებაზე უთვალავი მეფე სახლობს, რომელთაც არ იციან სტუმარმასპინძლობა, ასე რომ პირდაპირ ეჭიროს გეზი ხომალდს და ზომიერმა ქარმა დაჰბეროს იალქნებს: ასე, ბოლოს და ბოლოს, მიაღწევ მშფოთვარე მდინარეს, ფასისს. იქ დგას უკვე სკვითთა ლაშქარი და აღზევებულა ძმებს შორის ერინია. იქ მრისხანე კოლხებსა და მტერს გვერდში დაუდგები. სხვა საფრხეს ნამდვილად ველარ შევიცნობ. მოგეცემა შემთხვევა, რომ შენი სასურველი საწმისი მოიპოვო. მაგრამ ნუ გგონია, რომ მხოლოდ სიმამაცე და ძალა გეყოფა: ხშირად ჭკუას მეტი ძალუძს, ვიდრე მარჯვე ხელს. ჩაეჭიდე ღმერთისგან მოვლენილ დახმარებას. ამაზე მეტის ხვედრის ცხადყოფის ნება აღარ გვაქვს. უპრიანია გავჩუმდე . . ."

IV, 711-732

Tum freta, quae longis fuerant impervia saeclis,
ad subitam stup<uer>e ratem Pontique iacentis
omne solum regesque patent gentesque repostae.
non alibi effusis cesserunt longius undis
litora, non, tantas quamvis Tyrrhenus et Aegon
volvat aquas, geminis tot desint Syrtibus undae.
nam super huc vastos tellus quoque congerit amnes;

IV, 711-732

მაშინ განცვიფრდნენ ნაკადები, საუკუნეების განმავლობაში გაუვლელნი, უეცრად გამოჩენილი ხომალდის გამო, აღმოჩენილია უკიდეგანო პონტუსის მთელი სივრცე, მეფენი და შორეული ტომები. ტირენიის და ეგეოსის ზღვები წყლის რაოდენ უხვ მორევს ატრიალებს, და ორივე სირტუსიც მეტად წყალუხვია, თუმცა მაინც არსად სხვაგან ასე არ სწყდება ნაპირებს მაღლა აზვირთული ტალღები; ვინაიდან აქ მიწაც მრავალ მდინარეს უყრის თავს; აღარ მოვიხსენიებ წყალთა იმ

non septemgemini memorem quas exitus Histri,
quas Tanais flavusque Tyres Hypanisque Novasque
addat opes quantosque sinus Maeotia laxent
aequora. flumineo sic agmine fregit amari
vim salis hinc Boreae cedens glaciantibus auris
Pontus et exorta facilis concrescere bruma.
utque vel immotos Ursae rigor invehit amnes
vel freta versa vadis, hiemem sic unda per omnem
aut campo iacet aut tumido riget ardua fluctu,
atque hac Europam curvis anfractibus urget,
hac Asiam, Scythicum specie sinuatus in arcum.
illic umbrosae semper stant aequore nubes
et non certa dies, primo nec sole profundum
solvitur aut vernis cum lux aequata tenebris,
sed redit extremo tandem in sua litora Tauro.

სიუხვეს, შვიდნაკადიანი ისტროსის შესართავები რომ წარმოქმნიან: ტანაისს, ყვითელ ტირესს, ჰიპანისსა და ნოვასს, და იმ ფართო ყურეს, სადაც მეოტისის წყლები იღვრება; ასე დასძლია ნაკადთა მდინარებით მარილის სიმლაშე, აქ პონტუსი გზას უთმობს ბორეასის გამყინავ ქარებს და სიცივეში ადვილად იყინება; და სულერთია, დათვის თანავარსკვლავედის გამყინვარება მოუსწრებს უმოძრაო მდინარეებს თუ სიღრმიდან აბობოქრებულ ზღვას, ან მთელი ზამთრის მანძილზე ტალღების ზედაპირი სარკესავითაა მოსწორებული ან ფრიალო კლდესავით აზიდულ ზვირთებად იყინება; სკვითიური მშვილდივით მოხრილი პონტუსი ერთი მხრიდან ევროპას ეხება თავისი მრუდე ხვეულებით, მეორედან კი აზიას. იქ ზღვას მუდამ მოქუფრული ღრუბლები ადგას, და არც ნათელი დღე იცის, წყვდიადს ვერც მზის პირველი სხივები არღვევს და ვერც გაზაფხულის ბუნიობა, არამედ მხოლოდ კუროს თანავარსკვლავედის ჩასვლისას კვლავაც ამოდის თავის ნაპირებზე.

V, 120-126

transit Halys longisque fluens anfractibus Iris
saevaque Thermodon medio sale murmura volvens,
Gradivo sacer et spoliis ditissimus amnis,
donat equos, donat votas cui virgo secures
cum redit ingenti per Caspia claustra triumpho
Massageten Medumque trahens. est vera propago
sanguinis, est ollis genitor dues . . .

V, 120-126

. . . მიღმა რჩება ჰალისი და გრძელ ხვეულებად მიმდინარე ირისი და თერმოდონი, რომელიც თავის მრისხანე ნაკადებს მარილიანი ზღვის შუაგულშიც კი ხმაურით აჩუხჩუხებს, გრადივუსისათვის წმინდა და უმდიდრესი ნადავლით სავსე მდინარე, რომელსაც ახალგაზრდა ქალწული უძღვნის ცხენებს და აღთქმულ საბრძოლო ცულებს მიართმევს, როდესაც ის დიდებული ტრიუმფით კასპიის ვიწრობებით უკან ბრუნდება, მოათრევს რა უკან მასაგეტსა და მიდიელს. ჭეშმარიტი შთამომავლები არიან ისინი ღვთაებრივი სისხლისა, ღმერთისგან წარმოშობილნი...

V, 140-183

Nocte sub extrema clausis telluris ab antris
pervigil auditur Chalybum labor: arma fatigant
ruricolae, Gradive, tui; sonat illa creatrix
prima manus belli, terras crudelis in omnes.
nam prius ignoti quam dura cubilia ferri
eruerent ensesque darent, Odia aegra sine armis
errabant Iraeque inopes et segnis Erinys.
inde Genetaei rupem Iovis, hinc Tibarenum
dant virides post terga lacus, ubi deside mitra

V, 140-183

ღამის მიწურულს მიწის ჩარაზული ჯურღმულებიდან ისმის ხალიბთა დაუცხრომელი შრომა: თავიანთ ხელსაწყოებს შენი მაცხოვრებელნი, გრადივუსს, დაუღალავ ჯაფას აყენებენ. მთელს დედამიწაზე გრგვინავს მათი ხელი, საზარელი ომის პირველი შემოქმედი, რადგან, ვიდრე ისინი უცნობი რკინის მყარ სამაღნოებს ამოთხრიდნენ და მახვილებს გადმოგვცემდნენ, უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა სუსტი, უიარაღო სიძულვილი, უძლური რისხვა და ზანტი ერინისი. შემდეგ ჩამოიტოვებენ მინიები იუპიტერ გენეტეუსის კლდეს, შემდეგ – ტიბარენთა მწვანე ტბებს, სადაც ორსული საკუთარ უქნარა ქმარს თავს უბუ-

feta ligat partuque virum fovet ipsa soluto.
vos quoque non notae mirati vela carinae,
Mossynoeci, et vos stabulis, Macrones, ab altis
Byzeresque vagi Philyraeque a nomine dicta
litora, quae cornu pepulit Saturnus equino.

Ultimus inde sinus saevumque cubile Promethei
cernitur, in gelidas consurgens Caucasus Arctos.
ille etiam Alciden Titania fata morantem
attulerat tum forte dies iamque aspera nisu
undique convellens veteris cum strage pruinae
vincula prensa manu saxis abduxerat imis
arduus et laevo gravior pede. consonat ingens
Caucasus et summo pariter cum monte secutae
incubuere trabes abductaque flumina ponto.
fit fragor, aetherias ceu Iuppiter arduus arces
impulerit imas manus aut Neptunia terras.
horruit immensum Ponti latus, horruit omnis
Armeniae praetentus Hiber penitusque recusso
aequore Cyaneas Minyae timuere relictas.
tum gemitu propiore chalybs densusque revulsis
rupibus audiri montis labor et grave Titan
vociferans, fixos scopulis dum vellitur artus.
contra autem ignari (quis enim nunc credat in illis
montibus Alciden dimissave vota retemptet?)
pergere iter socii. tantum mirantur ab alto
litora discussa sterni nive ruptaque saxa
et simul ingentem moribundae desuper umbram
alitis atque atris rorantes imbribus auras.

Sol propius flammabat aquas extremaque fessis
coeperat optatos iam lux ostendere Colchos,
magnus ubi adversum spumanti Phasis in aequor
ore ruit. cuncti pariter loca debita noscunt
signaque commemorant emensasque ordine gentes
dantque ratem fluvio. simul aethere plena corusco
Pallas et alipedum Iuno iuga sistit equorum.

რავს მანდილით და მშობიარობის მერე თვითონ უვლის. თქვენც, მოსინებო, გაგაოცათ უცნობი ხომალდის იალქნებმა და თქვენც, მაკრონებო, თქვენი მაღალი საცხოვრისებიდან და თქვენც, მომთაბარე ბიძერებო, და თქვენც, ფილირას სახელით წოდებულო ნაპირებო, რომელნიც სატურნუსმა ცხენის ფლოქვით შეარყია. აქედან მოჩანს უკიდურესი ყურე და პრომეთეს შიშისმომგვრელი სამყოფელი კავკასუსი, რომელიც ყინულოვან არქტოსთან აღმართულა. ამ დღეს შემთხვევით იქ ალკიდიც მისულიყო, ტიტანის ხვედრის შესაფერხებლად და, აი, უკვე მთელი ძალ-ღონით ყოველი მხრიდან ანჯღრევს მყარ ბორკილებს ძველ ჭირხლთან ერთად, ჩაავლებს მათ ხელს და კლდის ძირიდან ამოგლეჯს მაღლა აღმართული და მარცხენა ფეხს მყარად დაყრდნობილი; და ხმა გამოსცა ძლევამოსილმა კავკასუსმა, მთის მწვერვალთან ერთად ხეებმა იწყეს ცვენა და ზღვას დაშორდნენ მდინარეები. გაისმა ხმაური, თითქოს მაღლა წამომართულ იუპიტერს შეერყიოს ეთერის სიმაგრეები ან ნეპტუნუსის ხელს მთელი ქვემო სამყარო. თავზარი დაეცა პონტუსის მთელ თვალუწვდენელ სანაპიროს, შეძრწუნებულიყო ყოველი იბერი, არმენიამდე მოსახლე, შორით უზომოდ აღელვებული ზღვის დანახვაზე, შეშინდნენ მინიებიც კიანეების გამო, რომლებიც მათ უკვე უკან მოეტოვებინათ. მაშინ უფრო ახლოდან მოისმოდა ფოლადის ქღარუნი, თითქოს ლოდები სწყდებოდეს კლდესო და გამყინავი გმინვა ტიტანისა, როცა ტანჯვას დაითმენდნენ კლდეზე მიჯაჭვული მისი სხეულის ასონი. მაგრამ ამასობაში, ისე გააგრძელეს თანამგზავრებმა გზა, რომ არც იცოდნენ (ან ვინ იფიქრებდა რომ ალკიდი იყო ახლა ამ მთებში ან რომ კვლავ შეეცდებოდა შეფერხებული აღთქმის აღსრულებას). ახლა მათ დიდებული ზღვიდან აკვირვებთ, თოვლით დაფარული ნაპირები და კლდეთა ლოდები სახილავი, ამასთანავე აოცებთ უზარმაზარი ჩრდილი მომაკვდავი ფრინველისა, რომლის სისხლიც შავ წვიმად იქლინთება ჰაერში. მზე უფრო ახლოს ანათებდა წყალთან და დღის მიწურულს უკვე იხილეს დაქანცულებმა ნანატრი კოლხები, სადაც დიდი ფასისი აქაფებული შესართავით პირისპირ ზღვაში ჩაედინება. უმალ შეიცნო ყველამ, მათთვის ბედისწერით განსაზღვრული ადგილები, მოიგონებდნენ ნიშნებს, ერთმანეთის მიყოლებით გამოვლილ ტომებს და ხომალდით მდინარის გასწვრივ მიცურავ-

დნენ. ამასობაში ციური ციაგით მოსილი პალასი და იუნო ლაგამს ამოსდებენ ფრთოსან ცხენებს.

V, 416-428

nec minus hinc varia dux laetus imagine templi
ad geminas fert ora fores cunabula gentis
Colchidos hic ortusque tuens, ut prima Sesostris
intulerit rex bella Getis, ut clade suorum
territus hos Thebas patriumque reducat ad amnem,
Phasidis hos imponat agris Colchosque vocari
imperet. Arsinoen illi tepidaeque requirunt
otia laeta Phari pinguemque sine imbribus annum
et iam Sarmaticis permutant carbasa bracis.
barbarus in patriis sectatur montibus Aean
Phasis amore furens. pavidas iacit illa pharetras
virgineo turbata metu, discursibus et iam
deficit ac volucri victam deus alligat unda . . .

V, 416-428

სარდალი ტაძრის სვადასხვა გამოსახულებით არანაკლებად აღფთოვანებული მზერას მიაპყრობს ორმაგ კარიბჭეს. აქ ხედავს კოლხური მოდგმის წარმომავლობასა და დასაბამს, თუ როგორ დაიწყო პირველი ომები მეფე სესოსტრისმა გეტების წინააღმდეგ, ხოლო თავისი ლაშქრის მარცხით ზარდაცემულმა ერთი ნაწილი თებეში, მშობლიურ მდინარესთან დააბრუნა, სხვები კი ფასისის მხარეში დაასახლა და განუწესა კოლხები რქმეოდათ. ერთნი დაუბრუნდნენ არსინოეს, თბილ ფარუსზე უზრუნველ ცხოვრებას, ხელსაყრელ მშრალ ჰავას; მეორენი კი უკვე სცვლიან ტილოს სამოსელს სარმატულ შარვლებზე. თავის მშობლიურ მთებში ეას მისდევს ბარბაროსი ფასისი, სიყვარულით გახელებული. იგი კი, აღელვებული ქალწულებრივი შიშით, აგდებს ათრთოლებულ კაპარჭებს, სირბილით ქანცგაწყვეტილს ძალა აღარ შესწევს და ღმერთი იმორჩილებს სწრაფი ტალღით...

V, 456-464

e Sole satus patriis penetralibus infert.
filius hunc iuxta primis Absyrtus in annis,
dignus avo quemque insontem meliora manerent.
tum gener Albanis Styrus qui advenerat oris,
distulerant sed bella toros. tum Phrontis et Argus
Aeolidae fraterque Melas, quos advena Phrixus
progenuit, pariterque levi Cytisorus in hasta.
post alii, quos praecipuo Titania tellus
legit honore patres, motique ad proelia reges.

V, 456-464

... მზის შვილი მამისეულ პალატებში შებრძანდება. გვერდითაა მისი შვილი აბსირტუსი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი, ბაბუას ღირსი და ღირსი იმისა, რომ მას, უდანაშაულოს უკეთესი ხვედრი რგებოდა. შემდეგ კი მისი სასიძო სტირუსი, რომელიც ალბანიის სანაპიროებიდან მოსულიყო, მაგრამ ომის გამო ქორწილი გადაედოთ. შემდეგ ფრონტისი და არგუსი, ეოლიდები და მათი ძმა მელასი, ვაჟნი უცხოელი ფრიქსუსისა, და იქვე – კიტისორუსი, თავის მსუბუქ მახვილს დაყრდნობილი. შემდეგ კი ისინი, რომელთაც ტიტანიური ქვეყანა ირჩევს განსაკუთრებული პატივით უხუცესებად და ასევე საბრძოლველად მოხმობილი მეფენი.

VI, 33-167

Hinc age Rhipaeo quos videris orbe furores,
Musa, mone, quanto Scythiam molimine Perses
concierit, quis fretus equis per bella virisque.
verum ego nec numero memorem nec nomine cunctos
mille vel ora movens. neque enim plaga gentibus ulla
ditior: aeterno quamquam Maeotia pubes
Marte cadat, pingui numquam tamen ubere defit

VI, 33-167

ახლა, მუზავ, შემახსენე, თუ როგორი სისასტიკე ნახე აქ რიპეის მიწაზე, თუ როგორი დიდი ძალისხმევით მოუწოდებდა პერსესი სკვითებს, თუ რომელი ცხენების და კაცთა იმედი ჰქონდა ომში. ნამდვილად ვერ შევძლებ ვერც რიცხვი და ვერც სახელები მოვიხსენიო ყველასი, თუნდაც ათასი ენა მქონდეს, რადგან არ არის სხვა მხარე ტომებით ესოდენ მდიდარი: მიუხედავად იმისა, რომ მეოტიის ახალგაზრდობა გამუდმებით იღუპება ომებში, მაინც არ გადაშენებულა შთამო-

quod geminas Arctos magnumque quod impleat Anguem
ergo duces solasque, deae, mihi promite gentes.

Miserat ardentes mox ipsa secutus Alanos
Heniochosque truces iam pridem infensus Anausis,
pacta quod Albano coniunx Medea tyranno,
nescius heu quanti thalamos ascendere monstri
arserit atque urbes maneat qui terror Achaeas,
gratior ipse deis orbaque beatior aula.
proxima Bisaltae legio ductorque Colaxes,
sanguis et ipse deum, Scythicis quem Iuppiter oris
progenuit viridem Myracen Tibisenaque iuxta
ostia, semifero – dignum si credere – captus
corpore, nec nymphae geminos exhorruit angues.
cuncta phalanx insigne Iovis caelataque gestat
tegmina dispersos trifidis ardoribus ignes;
nec primus radios, miles Romane, corusci
fulminis et rutilas scutis diffuderis alas.
insuper auratos collo gerit ipse dracones,
matris Horae specimen, linguisque adversus utrimque
congruit et tereti serpens dat vulnere gemmae.
tertius unanimis veniens cum milibus Auchus
Cimmerias ostentat opes, cui candidus olim
crinis inest, natale decus; dat longior aetas
iam speciem; triplici percurrens tempora nodo
demittit sacro geminas a vertice vittas.
Datin Achaemeniae gravior de vulnere pugnae
misit in arma Daraps, acies quem Martia circum
Gangaridum potaque Gerus quos efferat unda
quique lacum cinxere Bycen. non defuit Anxur,
non Radalo cum fratre Sydon, Acesinaque laevo
omine fatidicae ~Phrixus~ movet agmina cervae.
ipsa comes saetis fulgens et cornibus aureis
ante aciem celsi vehitur gestamine conti
maesta nec in saevae lucos reditura Dianae.
movit et Hylaea supplex cum gente Syenen

მავლობა, რომელიც ორივე დათვისა და დიდი დრაკონის თანავარსკვლავედებს შორის სახლობს. მაშ, ქალღმერთებო, წინამძღოლთა და მხოლოდ ტომთა სახელები განმიცხადეთ. ანავსისმა გამოაგზავნა ბრძოლის წყურვილით ანთებული ალანები და მრისხანე ჰენიოხები, მოჰყვა მალე თვითონაც, უკვე დიდი ხნის წინ მტრულად განწყობილი, რადგანაც ალბანელ მბრძანებელს შეჰპირებოდნენ მედეას საცოლედ; ვაი, რომ არ იცოდა საბრალომ, თუ როგორი ურჩხულის საქორწინო სარეცელს ესწრაფოდა და თუ როგორი უბედურება ელოდათ აქეას ქალაქებს. თვითონ ღმერთთათვის მეტად საყვარელი და უფრო სვებედნიერი იქნებოდა, თავის მარტოდშთენილ სასახლეში. ყველაზე ახლოა მასთან ბისალტების ლეგიონი და სარდალი კოლაქსესი. ისიც ღვთაებრივი სისხლისაა, იუპიტერს სკვითიის სანაპიროსთან ჩაუსახავს, მწვანე მირაკეს და ტიბისენური შესართავების მახლობლად. იგი, თუ ეს სიმართლეა, ნიმფის სხეულით – ნახევრად ცხოველის, ნახევრად ქალისა – მოხიბლულა და არც მისი ორი გველის შეშინებია. მთელი საბრძოლო მწყობრი ატარებს იუპიტერის ნიშანს, ფარების ამოტვიფრულ საფარველზე, სამ ნაწილად აალებულ ცეცხლს. შენ არ ხარ პირველი, რომაელო ჯარისკაცო, რომელიც განავრცელებს ელვის სხივებს და ფარებისგან არეკლილ ქარვისფერ ციაგს. თვით კოლაქსესს დაუმატებია მოოქროვილი დრაკონები, მისი დედის ჰორას ნიშანი და აქეთ-იქიდან ენებით უერთდება ერთმანეთს ორი გველი და გესლავენ თლილ ქვას. მესამეა ავხუსი, ერთსულოვან ათასებს წინ რომ მოუძღვის, კიმერიულ ძლევამოსილებას. მას უკვე დიდი ხანია ჭაღარა თმა აქვს, დაბადებიდან თანდაყოლილი ნიშანი; მხცოვანი ასაკის გამო თავი გამელოტებია, საფეთქლებზე სამმაგად განასკვული თავსაბურავი შემოუხვევია, ღვთაებრივი თხემიდან ორმაგი საკვრელი ჩამოშვებია. დარაპსმა, რომელიც ძლიერ იტანჯებოდა აქემენიდურ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან, დატისი გამოგზავნა საბრძოლველად. მას შემოსჯარვია საბრძოლოდ ანთებული განგარიდები; ისინიც, ვისაც გერუსი თავისი წყლების შესმით აგზნებს, და ისინი, რომლებიც ბიკესის ტბის გარშემო სახლობენ. არ გამოჰკლებია არც ანქსური, არც სიდონი ძმასთან, რადალუსთან ერთად; ბედისმაუწყებელი ფურირემის ავის მომასწავებელი ნიშნით აკესინურ ჯარებს მოუძღვის ფრიქსუსი. მათი

impia germani praetentans vulnera Perses.
densior haud usquam nec celsior extulit ullas
silva trabes fessaeque prius rediere sagittae
<. . . . .>
quin et ab Hyrcanis Titanius expulit antris
Ciris in arma viros plaustrisque ad proelia cunctas
Coelaletae traxere manus. ibi sutilis illis
est domus et crudo residens sub vellere coniunx
et puer e primo torquens temone cateias.
linquitur abruptus pelago Tyra, linquitur et mons
Ambenus et gelidis pollens Ophiusa venenis
degeneresque ruunt Sindi glomerantque paterno
crimine nunc etiam metuentes verbera turmas.
hos super aeratam Phalces agit aequore nubem
cum fremitu densique levant vexilla Coralli,
barbaricae quis signa rotae ferrataque dorso
forma suum truncaeque, Iovis simulacra, columnae.
proelia nec rauco curant incendere cornu
indigenas sed rite duces et prisca suorum
facta canunt veterumque, viris hortamina, laudes.
ast ubi Sidonicas inter pedes aequat habenas
illinc iuratos in se trahit Aea Batarnas,
quos duce Teutagono crudi mora corticis armat
aequaque nec ferro brevior nec rumpia ligno.
nec procul albentes gemina ferit aclyde parmas
hiberni qui terga Novae gelidumque securi
eruit et tota non audit Alazona ripa.
<. . . . .> 101a
quosque Taras niveumque ferax Euarchus olorum.
te quoque venturis, ingens Ariasmene, saeclis
tradiderim, molem belli lateque ferentem
undique falcatos deserta per aequora currus.
insequitur Drangea phalanx claustrisque profusi
Caspiadae, quis turba canum non segnius acres
exsilit ad lituos pugnasque capessit eriles.
inde etiam par mortis honos tumulisque recepti

მეგზურია პრიალა ბეწვითა და ოქროს რქებით გამოსახული ფურირემი, ჯარს წინ მიჰყვება მაღალ ჭოლოკზე დავანებული. სევდიანს არ სურს კვლავ მრისხანე დიანას ჭალაში დაბრუნება. პერსესმა თხოვნით სალაშქროდ შესძრა აგრეთვე ჰილეას ტომთან ერთად სიენესი, უჩვენებდა მათ ძმის მიერ ულვთოდ მიყენებულ ჭრილობებს. არსად ასე მჭიდროდ და მაღლა არ აღუმართავს ტყეს ხეების კენწეროები, ისე რომ ისრებიც უმალ ცვიოდნენ, ვიდრე ხეთა უმაღლეს კენწეროებს მიაღწევდნენ. ჰირკანიის გამოქვაბულებიდანაც კი აღაზევა ვაჟკაცები საბრძოლველად ტიტანიუსმა კირისმა. ბრძოლაში ჩააბეს კელალეტებმა ყველა თავისი რაზმი ეტლებზე ამხედრებული. მათ აქვთ იქვე ტყავისგან შეკერილი საცხოვრისები, ჰყავთ ცოლი, რომელიც დაუმუშავებელი ტყავის კარავში ზის, და ვაჟიც, რომელიც წამახულ ჯოხებს ისვრის ხელნაზე შემომჯდარი. მიტოვებულ იქნა ზღვისპირა ფრიალო ტირა, მთა ამბენუსიც და მომაკვდინებელი შხამებით უხვი ოფიუსა. გადაგვარებული სინდებიც მოიჩქარიან და თავს უყრიან რაზმებს, მათ ახლაც კი წინაპართა დანაშაულის გამო დარტყმების ეშინიათ. შემდეგ ფალკესსაც მოჰყავს ზეგანზე ხმაურიანად ბრინჯაოთი შეიარაღებული მეომრები და მრავალრიცხოვანი კორალები თავიანთ ალმებს აღმართავენ, გამოუსახავთ მათზე ბარბაროსული ბორბლები, ზურგზე – რკინაში ამოტვიფრული გარეული ტახები და წაჭრილი სვეტები, გამოსახულება იუპიტერისა. ისინი ბრძოლას ხრინწიანი საყვირით კი არ აღაზევებენ, არამედ მღერიან თავიანთი წინამძღოლების და თანატომელთა ადათისამებრ გარდასულ საქმეთა შესახებ, ხოტბას ასხამენ უხუცესთ. იქ კი, სადაც სწრაფი ფეხოსანი, სიდონურ ლვედებს უთანაბრდება, იქიდან იზიდავს ეა ფიცით შეკრულ ბატარნებს, ტევტაგონუსის წინამძღოლობით, შეიარაღებულთ ნედლი ქერქის საფარველიანი ფარებით და ხმლით, რომელზეც თანაბრად იყო განაწილებული ხე და რკინა. მახლობლად თეთრ მრგვალ ფარებს სტყორცნის ორმაგ ხელშუბს ის, ვინც ზამთარში მდინარე ნოვას ზედაპირს ნაჯახით აპობს და მთელ სანაპიროზე აღარ ესმის ყინულოვანი ალაზონის ხმა. . . . [ტარასი და თოვლივით ქათქათა გედებით უხვი ევარხუსი] ... მსურს შენი სახელიც მომავალ საუკუნეებს გადავცე, დიდებულო არიასმენუსს, ომის ბურჯო, რომელიც ყოველგან შორ მანძილზე ნამგლებიან ეტლებს უდაბურ ზეგნე-

inter avos positusque virum. nam pectora ferro
terribilesque innexa iubas ruit agmine nigro
latratu<que> cohors quanto sonat horrida Ditis
ianua vel superas Hecates comitatus in auras.
ducit ab Hyrcanis vates sacer agmina lucis
Vanus, eum Scythiae iam tertia viderat aetas
magnanimos Minyas Argoaque vela canentem.
illius et dites monitis spondentibus Indi
et centumgeminae Lagea novalia Thebes
totaque Rhipaeo Panchaia rapta triumpho.
discolor hastatas effudit Hiberia turmas,
quas Otaces, quas Latris agunt, et raptor amorum
Neurus et expertes canentis Iazyges aevi.
namque ubi iam vires gelidae notusque refutat
arcus et inceptus iam lancea temnit eriles
magnanimis mos ductus avis haud segnia mortis
iura pati, dextra sed carae occumbere prolis
ense dato, rumpuntque moras natusque parensque,
ambo animis, ambo miri tam fortibus actis.
hic et odorato spirantes crine ~Mycael~
Cessaeaeque manus et qui tua iugera nondum
eruis, ignotis insons Arimaspe metallis,
doctus et Auchates patulo vaga vincula gyro
spargere et extremas laqueis adducere turmas.
non ego sanguineis gestantem tympana bellis
Thyrsaget<en> cinctumque vagis post terga silebo
pellibus et nexas viridantem floribus hastas.
fama ducem Iovis et Cadmi de sanguine Bacchum
hac quoque turiferos, felicia regna, Sabaeos,
hac Arabas fudisse manu, mox rumperet Hebri
cum vada Thyrsagetas gelida liquisse sub Arcto.
illis omnis adhuc veterum tenor et sacer aeris
pulsus et eoae memoratrix tibia pugnae.
iungit opes Emeda suas, sua signa secuti
Exomatae Torynique et flavi crine Satarchae.
mellis honor Torynis, ditant sua mulctra Satarchen,

ბზე დაატარებ. შემდეგ მოჰყვებიან დრანგეის საბრძოლო წყებანი და თავიანთი სავანეებიდან გამოსული კასპიადები, რომელთა ძაღლების ხროვა რქის საყვირის მკაფიო ხმაზე სწრაფად ხტის და პატრონთა ბრძოლაში მონაწილეობს. ამიტომ სიკვდილის შემდეგ მათ საკადრისი პატივიც ერგებათ და იკრძალებიან წინაპარების და ვაჟკაცთა სამარხებს შორის. ძაღლების ხროვა უკვე მკერდ შეჯავშნულები და აჯაგრულები შავ მწყობრად მოჰქრიან საზარელი ყეფით, როგორიც გაისმის დისის შიშისმომგვრელ შესასვლელთან ან ჰეკატეს ამალა გამოსცემს მაღლა ჰაერში. აქეთ მოჰყავს ჯარები ჰირკანიის ჭალებიდან წმინდა მისანს ვანუსს; მას უკვე სკვითიის მესამე თაობა ხედავდა, თუ როგორ უმღეროდა მამაც მინიებსა და არგოს იალქნებს. მისი წინასწარმეტყველური გაფრთხილებით მდიდარნი არიან ინდოელნი და ასბჭიანი თებეს ეგვიპტური ქვეყანა და მთელი პანქაია, რიპეის ტრიუმფით დაპყრობილი. მრავალფეროვანი იბერიიდან შუბოსანთა ჯარები მოედინებიან, რომელთაც სარდლობენ ოტაკესი, ლატრისი, სიყვარულის გამტაცებელი ნევრუსი და იაზიგები, რომელთაც არ უწყიან, თუ რა არის ჭაღარა სიბერე. რადგან როდესაც ძალა უწინდებურად აღარ ერჩით და ჩვეული მშვილდი და მახვილი უკვე თავის პატრონს აღარ ადგება დიდსულოვანი წინაპრებისაგან ასეთი ადათი მოსდგამთ, არ დაითმინონ განგებით დადგენილი ნელი სიკვდილი, არამედ აღესრულონ ძვირფასი შთამომავლის მარჯვენით, მისთვის მიცემული ხმლით, ლოდინს ბოლოს უღებს შვილიც და მშობელიც, ორივე ერთსულოვნად. ორივე გასაოცარია ასეთი ვაჟკაცური საქციელის გამო. აქ არიან ასევე მიკეები, თმაში კეთილსურნელების მფრქვეველნი, და კესეელთა რაზმები და, არიმასპი, უდანაშაულო, უმეცარი ლითონისა, რომელსაც ჯერ არ გაგითხრია შენი მიწები, და ავხატი, დახელოვნებული მფრინავი ბაგირის შორს წრიულად ტყორცნაში, რომლის ყულფი ყველაზე უკიდურეს რაზმსაც კი სწვდება. არ დავდუმდები არც თირსაგეტზე, რომელიც სისხლიან ომებში ტიმპანონს დაატარებს, ზურგზე მოგდებული აქვს მოფრიალე ტყავი და ხელთ უპყრია ყვავილებით გარშემოწნული ამწვანებული მახვილი. არსებობს თქმულება, რომ ბაკხუსმა, იუპიტერის და კადმუსის სისხლით ნათესავმა, ამ რაზმის სარდლობით კეთილსურნელოვანი საბეელები, მათი ბედნიერი სამეფო და არაბებიც,

Exomatas venatus alit nec clarior ullis
Arctos equis. abeunt Hypanin fragilemque per undam
tigridis aut saevae profugi cum prole leaenae
maestaque suspectae mater stupet aggere ripae.
impulit et dubios Phrixei velleris ardor
Centoras et diros magico terrore Choatras.
omnibus in superos saevus honor, omnibus artes
monstrificae, nunc vere novo compescere frondes,
nunc subitam trepidis Maeotin solvere plaustris.
maximus hos inter Stygia venit arte Coastes.
sollicitat nec Martis amor, sed fama Cytaeae
virginis et paribus spirans Medea venenis.
gaudet Averna palus, gaudet iam nocte quieta
portitor et tuto veniens Latonia caelo.
ibant et geminis aequantes cornibus alas
Balloniti comitumque celer mutator equorum
Moesus et ingentis frenator Sarmata conti.
nec tot ab extremo fluctus agit aequore nec sic
fratribus adversa Boreas respondet ab unda
aut is apud fluvios volucrum canor, aethera quantus
tunc lituum concentus adit lymphataque miscet
milia, quot foliis, quot floribus incipit annus.

შემდეგ კი, როცა ჰებრუსის წყალზე გადადიოდა, მიატოვა თირსაგეტები ყინულოვან ჩრდილოეთში. მათ ახლაც კი შემორჩენილი აქვთ წინაპართა ცხოვრების წესი: სპილენძის საკრავზე წმინდა დარტყმები და ფლეიტა, მთხრობელი აღმოსავლური ბრძოლის შესახებ. თავის საომარ ძალას ურთავს ემოდა; თავიანთ ალმებს მოჰყვებიან ექსომატები, ტორინები და ქერათმიანი სატარხები. ტორინები თაფლს სდებენ პატივს, სატარხები მდიდარნი არიან საწველელით, ექსომატებს კი ნადირობა ასაზრდოებს ჩრდილოეთში არ არსებობს მათზე უფრო გამორჩეული ცხენები. გადაიქროლებენ ჰიპანისის მყიფე ყინულით დაფარულ წყალზე, ილტვიან ვეფხვის ან მრისხანე ძუ ლომის ნაშიერებით და ნაღვლიანი დედა შეშდება საეჭვო ნაპირის ბექობზე. ფრიქსუსის საწმისის წადილმა აღაზევა არასაიმედო კენტორები და გრძნეულებით შიშისმომგვრელი ხოატრები. ისინი ყველანი უზენაეს ძალებს გაშმაგებით სცემენ თაყვანს, ყველა გასაოცარ ხელობას ფლობს: ძალუძთ შეაჩერონ გაზაფხულის დადგომისას ამწვანება, ხან უეცრად დაადნონ მეოტისი მტოკავი ეტლებისათვის. მათ შორის ყველაზე აღმატებული სტიგეური ხელოვნებით მოემართება კოასტესი. მას აქეზებს არა ომის სიყვარული, არამედ სახელი კიტეელი ქალწულისა, მსგავსი შხამებით სულდგმული მედეასი. ხარობს ავერნუსის ჭაობი, მშვიდი ღამის გამო ხარობს ქარონი და ლატონია, რომელიც უსაფრთხო ცაზე მიცურავს. მოვიდნენ ბალონიტები, ათანაბრებდნენ საბრძოლო რიგებს ორივე ფლანგზე და მესიელი, რომელიც თანმხლებ ცხენებს სწრაფად იცვლის და სარმატი, უზარმაზარი შუბის მტყორცნელი. არც ამდენ ნაკადს აღაზევებს ბორეასი უკიდურესი ზღვის ნაპირებიდან, არც ასე ეხმიანება ძმებს საპირისპირო ტალღის ზვირთებიდან, არც ფრინველთა ასეთი ხმაური ამტყდარა მდინარეებთან, როგორც იქ საყვირთა ერთხმოვანება ცას სწვდებოდა და აღაგზნებდა გონდაბინდულ ათასებს იმდენს, რამდენი ფოთოლი, რამდენი ყვავილიც იცის გაზაფხულზე.

VI, 322-342
illum ubi congressu subiit Gesander iniquo
territat his: 'tu qui faciles hominumque putasti
has, Argive, domos, alium hic miser aspicis annum
altricemque nivem festinaque taedia vitae.
non nos aut levibus componere bracchia remis

VI, 322-342
როცა გესანდერი უთანასწორო ბრძოლაში კანთუსს შეეჩეხა, შიშს ჰგვრის ასეთი სიტყვებით: ,,შენ, არგიველო, რომელმაც ეს საცხოვრისები მყუდროდ და ადამიანურად მიიჩნიე, ხედავ აქ, საბრალოვ, განსხვავებულ ჟამთა ცვლას, მასაზრდოვებელ თოვლს და სიცოცხლის დროულ უგულებელყოფას. არც

novimus aut ventos opus exspectare ferentes:
imus equis qua vel medio riget aequore pontus
vel tumida fremit Hister aqua. nec moenia nobis
vestra placent: feror Arctois nunc liber in arvis
cuncta tenens; mecum omnis amor iacturaque plaustri
sola nec hac longum victor potiere rapina.
ast epulae quodcumque pecus, quaecumque ferarum.
mitte Asiae, mitte Argolicis mandata colonis,
ne trepident. numquam has hiemes, haec saxa relinquam,
Martis agros, ubi tam saevo duravimus amne
progeniem natosque rudes, ubi copia leti
tanta viris. sic in patriis bellare pruinis
praedarique iuvat talemque hanc accipe dextram!'
dixit et Edonis nutritum missile ventis
concitat. it medium per pectus et horrida nexu
letifer aera chalybs . . .

VII, 186-192.

…volucrem tunc aspicit Irin
festinamque iubet monitis parere Diones
et iuvenem Aesonium praedicto sistere luco.
protinus hinc Iris Minyas, Cytherea petivit
Colchida, Caucaseis speculatrix Iuno resedit
rupibus attonitos Aeaea in moenia vultus
speque metuque tenens et adhuc ignara futuri.

VII, 349-370

rursus ad Haemonii iuvenis curamque metumque
vertitur, hunc solum propter seu vivere gaudens
sive mori, quodcumque velit. maiora precatur
carmina, maiores Hecaten immittere vires
nunc sibi, nec notis stabat contenta venenis.
cingitur inde sinus et, qua sibi fida magis vis
nulla, Prometheae florem de sanguine fibrae
Caucaseum promit nutritaque gramina monti,
quae sacer ille nives inter tristesque pruinas
durat alitque cruor cum viscere vultur adeso
tollitur e scopulis et rostro inrorat aperto.

მჩატე ნიჩბებზე ხელების დაწყობა გვეხერხება, და არც ზურგქარის ლოდინი გვჭირდება. ცხენებს დავაქროლებთ ზღვის გაყინულ შუაგულში ან იქ, სადაც ისტრუსი წყალს აჩუხჩუხებს. არ ვწყალობთ თქვენი ქალაქის კედლებს: ახლა თავისუფლად დავქრივარ ჩრდილოეთის ზეგნებზე. ყველაფერი მაქვს და ყოველივეს თან დავატარებ; შესაძლოა მხოლოდ ეტლი დავკარგო და ამ ნადავლსაც დიდი ხნით ვერ დაისაკუთრებ როგორც გამარჯვებული. საზრდო კი ჩვენი არის ყოველგვარი პირუტყვი თუ ნადირი გაუგზავნე აზიის, გაუგზავნე არგოლიდის მცხოვრებთ განკარგულება, რომ შიში ნუ ექნებათ: არასოდეს დავტოვებ მე ამ ყინვებს, ამ კლდეებს, მარსის ველებს, სადაც ასეთ შმაგ მდინარეში ჩვენი შთამომავლობა და ახალშობილები გამოვაწრთეთ, სადაც ამდენგვარია სიკვდილი კაცთათვის. მშობლიურ ყინვაში ომიც და ნადავლის მოპოვებაც ტკბილია და გამოსცადე ეს მარჯვენაც" – თქვა და გაუქანა ედონური ქარებით ნასაზრდოები ოროლი. შიგ გულმკერდში მოხვდა სასიკვდილო რკინა და გაგლიჯა მტკიცედ შეკრული აბჯარი...

VII, 186-192.

... მაშინ ხედავს ფრთოსან ირისს და ავალებს, სასწრაფოდ დიონეს შეგონებას დამორჩილდეს და ესონიდი ყმაწვილი შეპირებულ ჭალაში მიიყვანოს. მყისვე ისწრაფა ირისმა მინიებთან, კითერეა კი კოლხ ქალწულთან გაეშურა, იუნო მჭვრეტელი კავკასუსის კლდეებზე დაბრძანებულა, დაჟინებული მზერა მიუპყრია ეას კედლებისაკენ, იმედითა და შიშით, არა უწყოდა, თუ რა მოხდებოდა.

VII, 349-370

. . . ეს თქვა მან და კვლავ მიუბრუნდება ჰემონიელ ყმაწვილს ზრუნვითა და შიშით, აღსავსე სიხარულით, რომ იგი მხოლოდ მისთვის იცხოვრებს ან თავს გასწირავს, რასაც იგი მოისურვებს. ჰეკატეს სთხოვს, რომ ძლიერი ჯადოსნური შელოცვები, დიდი ძალები აღაზევოს ეხლა მასში და იგი იდგა იქ, უკმაყოფილო მისი ცნობილი შხამებით. შემდეგ წელზე ქამარს იკრავს და იღებს კავკასიურ ყვავილს, პრომეთეს ღვიძლის სისხლისაგან აღმოცენებულს, ამაზე საიმედო ძალა მას სხვა არაფერი ეგულება. შემდგომ ბალახებს, ქართაგან ნასაზრდოებს, რომელთაც წმინდა სისხლი თოვლსა და სუსხიან ყინვაში აწრთობს და კვებავს, როცა ძერა შთანთქავს რა შიგნეულს, მყის ფრიალო კლდეები-

idem nec longi languescit finibus aevi
immortale virens, idem stat fulmina contra
salvus et in mediis florescunt ignibus herbae.
prima Hecate Stygiis duratam fontibus harpen
intulit et validas scopulis effodit aristas,
mox famulae monstrata seges, quae lampade Phoebes
sub decima iuga feta metit saevitque per omnes
reliquias saniemque dei. gemit inritus ille
Colchidos ora tuens. totos tunc contrahit artus
monte dolor cunctaeque tremunt sub falce catenae.

დან მაღლა აიჭრება და გაღებული ნისკარტიდან ნამავს მათ. ამ ყვავილს ჟამთა ცვლა ვერ აჭკნობს, მარადმწვანეა, ვერაფერს აკლებს უამინდობა, მისი ფოთლები შიგ ცეცხლშიც კი ხარობენ. პირველად ჰეკატემ მოიტანა სტიგიის წყაროებში გამოწრთობილი ნამგალი და გათიბა ძლიერი თავთავები ციცაბო კლდეებზე, მალევე უჩვენა სამკალი მხევალ ქალს, რომელიც ფებეს მეათე ლამპრის შუქზე ნაყოფიერ ფერდობებს თიბავს და მრისხანებს ღმერთის ნარჩენებისა და ბალღამის გამო. გმინავს ის ამაოდ, კოლხი ქალის სახის დანახვაზე. კლდეზე მიჯაჭვულს ტკივილი მთელს სხეულში უვლის და მთელი ჯაჭვი ერთიანად ზანზარებს ნამგლის მოქნევაზე.

VIII, 202-211

Puppe procul summa vigilis post terga magistri
haeserat auratae genibus Medea Minervae
atque ibi deiecta residens in lumina palla
flebat adhuc, quamquam Haemoniis cum regibus iret
sola tamen nec coniugii secura futuri.
illam Sarmatici miserantur litora ponti,
illa Thoanteae transit defleta Dianae,
nulla palus, nullus Scythiae non maeret euntem
amnis. Hyperboreas movit conspecta pruinas
tot modo regna tenens . . .

VIII, 202-211

. . . შორს, სრულიად მაღლა კიჩოზე, ფხიზელი მესაჭის ზურგს უკან განრთხმულა მედეა მოოქროვილ მინერვას მუხლებთან და იქ მჯდომარე თვალებზე მოსასხამაფარებული, კვლავ ტიროდა, თუმცა ჰემონიელ მეფეებთან ერთად მიემგზავრებოდა, მაინც მარტოსული იყო, არც მომავალი ქორწინება ეიმედებოდა. იგი ეცოდებათ სარმატიის ზღვის ნაპირებს, ჩაუვლის თოანტურ დიანას, მას რომ დასტირის, ყოველი ჭაობი, სკვითიის ყველა მდინარე დარდობს გზაკვალ აბნეულზე. ჰიპერბორეის თოვლიც კი შეიძრა მისი შემყურე, ვინც სულ ახლახან ამხელა სამეფოს ფლობდა.

VIII, 217-219

Insula Sarmaticae Peuce stat nomine nymphae
torvus ubi et ripa semper metuendus utraque
in freta per saevos Hister descendit alumnus . . .

VIII, 217-219

დგას კუნძული პევკე, სარმატიის ნიმფის სახელით წოდებული, სადაც მქუხარე და მარადჟამს შიშისმომგვრელი ისტრუსი ორივე ნაპირზე დაუდგრომელი ნაკადებით ზღვაში ჩაედინება...

Index nominum

Absyrtus 5.457; 6.171, 517; 8.261, 369
*Acastus 1.164; -um 1.153, 485; -i 1.709, 6.720; -o 1.695
Acesinus 6.69
*Achaemenius 6. 65
Achaeus 6.46
Aea (a) nympha: -an 5. 424 (b) terra: 1. 742, 5.51, 6.96
Aeaeus: 1.451, 5.277, 547, 620; 6.189; 7.119, 191, 281
Aeetes 1.43; 3.495; 5.285, 553, 589, 599; 6.13; 7.640; 8.138; -a 7.89; 8.11, 350. -en 2.379; 5.317, 393, 685; -ae 4.14; 6.22; -ae 5.289, 401
Aeetis 6.481, 7.445, 8.233
Aeetius 6.267, 542, 691; 7.565; 8.379
Alani -os 6.42, -is 6.656
Alazon -ona 6.101
Albanus 3.497; 5.258, 459; 6.44, 194, 8.153 (subst.) 6.271 (Styrus)
Amastrus 6.554 cf. Ciz. 3.145
Amazon 5.89 Amazonis: -idum 4.602
Ambenus (mons) 6. 85 (Scytha) 6.251
Anausis 6.43, 266; -in 6.272
Ancon 4.600
Anguis 6.40
Anxur 6.68
Apres -em 6.638 (-en?)
Aquites 6.295
*Arabes -as 6.139
Arctos 6.147; -on 4.210, 5.272; -o 1.419, 5.317, 6.140; -os 3.359; 5.46, 155; 6.40, 612
Arctous 3.499; 5.619; 6.295, 330
Argus Phrixi filius 5.460, 6.553
Ariasmenus 6.387, 394, 423; -e 6.103
Arimaspus 6.131
Arines -en 6.638
Armenia: -ae 5.166
Armis 6.530
Aron 5.590; 6.524, 536
*Arsinoe 5.421
Asia: -am 1.542, 554; 2.614; 4.728; 7.43; 8.396: -ae 4.210: -ae 6.334
Auchates 6.132
Auchus 6.60; -i 6.619

Balloniti 6.161
Barisas: -anta 6.557
Batarnae: -as 6.96
Bisaltae 6.48
Byces: -en 6.68
Byzeres 5.152

Caicus: -e 6.688; -o 6.688
* Calais 3.692, 4.465, 6.557
Callichorus 5.75
Campesus 5.593, 6.243
*Canthus 1.166, 451; 7.422 -e 6.317, 346; -um 6.364, 368 bis: -i 3.192; 6.350
Carambis 5.107
Caresus 6.192
Carmeius 5.582
Caspius (a) Scytha 6.189, (b) adj. 5.124
*Castor
Caucaseus 4.63, 72; 5.253, 381; 7.190, 357, 565
Caucasus (a) Colchus 6.641 (b) mons 5.155, 161, 518; 6.612; 7.55
Celaeneus 3. 406
Centores: -as 6.151
Ceramnus: -i 6.550
Cessaeus 6.130
Chalciope: -en 6.479: -es 7.156
Chalybes: -um 4.611, 5.141
Choaspes: -en 5.584
Choatrae: -as 6.151
Cimmerius 6.61 (subst.) -ium (gen. pl.) 3.399
Circaeus 5.327, 6.426, 7.544
Circe 6.445: -e (voc.) 7.217, 347: -en 7.120, 212
Ciris 6.80 (Cyris edd.)
Coastes 6.155 (Choastes?)
Colaxes 6.48, 621, 646
Colchi 3.698; 4.706; 5.440; 6.190, 241: -i (voc.) 8.264: -os 1.66, 201, 327, 391, 743; 3.82; 4.618; 5.178, 283, 420; 6.30. 389, 530, 691; 7. 231; 8.313: -orum 6.417: -is 3.6812; 5.451, 633; 6.742; 8. 156, 320, 326: -is 5. 50
Colchis (a) Medea 5.349; 7.181, 389, 584, 596; 8.68, 70, 83, 338: -ida 6.468; 7.153, 190, 575; 8.2: -idos 7.369, 625 (b) terra: -ida 1.52, 5.505, (8.161): -idos 2.423, 5.202 (c) adi: -idos 5.417: -des 8.142
Coralli 6.89
Cremedon: -onis 6.194
Cyrnus: -e 6.297
Cytaeus (a) adj. 6.156, 543, 595, 693 (b) subst. -i 6.427: -is 5.466
Cytisorus 5.462
Cytoros : -on 5.105

Daraps 6.66, 572
Datis: -in 6.65
*Deileon: -onta 5.114
Dipsas: -anta 6.192
Drangeus 6.106, -ius 6.507

Edonus 6.340
Emoda 6.143
Evarchus 6.102
Euryale: -en 5.612: -es 6.370
* Eurytus 3.99, 471; 6.569: -e 1.439
Exomatae 6.144: -as 6.146, 569

Gangaridae: -um 6.67 Gargara 2.360, 583
Gelas: -ae 6.208
Gelonus: -o 7.236: -i 6.512
Gerus 6.67
Gesander 6.303, 322, 365: -rum 6.280, 371
Gessithous: um 6.637
Getae 5.603, 6.507: -is 5.418
Geticus 2.204, 232; 5.618; 6.619; 7.645

Halys flumen 5.112, 120
Harpe: -en 6.375
Hebrus (a) flumen: -um 7.646: -i 2.515, 4.463, 6.139: -o 8.228 (b) Cyzicenus: -o 3.149 (c) Scytha: -um 6.618
Helice 1.18: -en 5.71
Helix 6.570
Helle
Henioche 5.357
Heniochi: -os 6.43
* Hercules
Hiber 5.166, 559; 6.507, 750, -o 7.235
Hiberia 5.604, 6.120
Hiberus 2.34, 3.730
Hister 6.329; 8.219, 256: -ri 4.718, 8.185
Hora: ae 6.58
Hylaeus 6.74
Hypanis (a) flumen 4.710 (b) Colchus: -in 6.252
Hyperboreus 8.210
Hyperionides: -e 5.471
Hyperionius 2.34
Hypetaon: -ona 6.637
Hyrcanus 3.494; 6.79, 114, 203

Iapetus 4.74: -i 1.564
*Iason
Iaxartes: -en 5.596
Iazyges 6.122: -as 6.281
*Idas
Idasmenus 6.196
*Idmon
Indi 6.117
*Io
* Iphis
Iron (a) Cyzicenus 3.111 (b) Scytha 6.201
Issedonius 6.750

* Lacon
*Lageus 6.118
Latagus: -um 5.584, 6.572
Latris 6.121
Lexanor: -oris 6.686
Lyce: -en 6.374

Macrones: 5.151
Maeotis 6.565 (nympha): -in 6.38
Maeotius 4.720, 6.38
Massagetes: -en 5.125
Medores 6.211
Medus 5.604: -um 5.125
* Melas
*Meleager
Menippe 6.377
Menoetius 6.343
Moesus adj. 2.360 (b) subst 6.162
Moneses: -en 6.189
Monesus: -in 6.651
Mossynoeci 5.151
Mycaei 6.129
Myrace: -en 6.50
Myraces 6.690, 717

* Nestor
Neurus 6.122
Novas 6.100

Ocheus 6.200
Ocreus 6.251
Odrussa 5.594
* Oebalius
Oebasus
*Oenides
Olbus 6.638
Oncheus 6.256
Ophiusa 6.85
Otaces 6.121
Otaxes 6.529

* Panchaia 6.119
Phasiades: -en 6.640
*Parthi 6.891
Perseis 7.238
Perseius 5.581, 6.495
Perses 3.493, 502; 5.266, 271, 284; 6.15, 26, 34, 75, 725, 741: -e 6.605: -en 5.529, 634, 678; 6.30
Peuce (a) nympha: -en 8.256 (b) insula 8.217: -en 8.293: -ae 8.376
Peucon 6.564
Phaethon (a) Sol 3.213 (b) Solis filius: -onta 5.429
Phalces 6.88: -en 6.244, 554
Phalerus: -e 1.398: -i 4.654, 6.217
Phasiades 6.640

Phrixeus 1.391; 2.585; 5.632; 6.150; 8.75, 119, 267
Phrixus 6. 70
Phrontis 5.480
*Pollux
Ponticus 1.800
Pontus 4.723: -um 2.629: -i 1.716; 4.318, 561, 590, 712; 5.165
Prion 6.619
Prometheus (a) subst. 5.154 (b) adi. 7.356
Phasis (a) numen fluminis 5.425 (b) flumen ipsum 1.518, 2.597; 4.545; 5.51, 179: -i 5.205, 208: -in 1.43, 87; 2.379; 7.220: -idis 1.2, 78; 3.306, 501, 662; 4.616, 706; 5.342, 420, 440; 6.295, 319, 641, 643; 7.564: -ide 5.299

Rhadalus 6.69
Rambelus 6.529
Rhipeus 2.516; 5.558, 602; 6.33, 119; 7.562
Rhyndacus (a) flumen: -e 3.35 (b) Scytha: -e 6.220
Rhipeus: -ae 6.558

Sabaei: -os 6.138
Sabaeus 6.709
Sarmata 6.162
Sarmaticus 2.176; 5.423; 6.231; 8.207, 217
Satarches: -en 6.145: -ae 6.144
Sauromatae 7.235
Scythia: -am 1.43, 87; 6.34, 428, 728: -ae 1.745; 4.617; 5.525; 6.7, 115, 350, 647 bis; 7.424; 8.209
Scythicus 1.2, 58, 331, 345, 442, 503, 716; 2.379, 574, 595, 648; 3.307, 496, 617, 653; 4.9, 728; 5.224, 325, 516; 6.49, 319; 7.42; 8.185
Scythis: -idum 5.342
* Sesostris 5.417
* Sestos 1.285: -on 5.201
Sibotes 6.249
Sidon 6.69
Sidonicus 6.95
Sindi 6.86
Sinope 5.109: -es 5.108
Sol 1.504, 3.401, 4.92: (voc.) 8.350: -is 1.44; 3.730; 5.224, 581; 6.442, 518; 8.282, 460: -e 5.263, 456,567
Soligena: -am 5.317: -ae 5.223
Strymon: -ona 6.193
Stygius 1.730, 781; 2.106, 173, 601; 3.398, 446, 450; 6.155; 7.364; 8.87
Styrus 3.497; 5.459; 6.266; 8.299, 329: -e 6.275: -i 8.335
Suetes: -en 6.550
Sydon 6.69
Syenes: -en 6.74, 703

Tages 6.223
Talaus 1.358: -um 3.478, 5.366, 6.720: -i 3.471
Tanais 4.719: -i 1.538
Taras 6.102
Tartareus
Taulas: -antis 6.221
Taxes 6.252
*Telamon
Teutagonus: -o 6.97
Thermodon 4.601, 5.121
Thoe: -en 6.375
Thydrus: -um 6.639
Thyrsagetes: -en 6.135: -as 6.140
Tibareni: -um 5.147
Tibisenus 6.50
Titan (a) Sol 2.37, 57 (b) Prometheus 5.169: -ana 4.79
Titanis: -ida 7.212
Titanius 4.91, 5.563, 6.79, 7.347 (b) 5.156, 7.449
Toryni 6.144: -is 6.145
Tyra 6.84: -es 4.719
Tyres 6.201

Vanus 6.115
*Venus
Voraptus: -e 6.288

Zacorus: -um 6.554
Zetes (a) Argonauta 1.469; 4.465, 466 (b)